

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება

მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება

მასალები საქართველოს ითემობრავისათვის

IV (30)

თბილისი
2023

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Department of Ethnology of Georgia

MATERIALS FOR GEORGIAN ETHNOGRAPHY

IV (30)

Tbilisi
2023

რედაქტორი: დოქტ. ქეთევან ხუციშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი)

რედკოლეგია: დოქტ. ნინო მინდაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), დოქტ. გიორგი ჭეიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), დოქტ. ნინო აბაკელია (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), დოქტ. ქეროლ ფუშე (ედინბურგის უნივერსიტეტი), დოქტ. სუზანე ფერლინგსი (ფრანკფურტის გოთეს უნივერსიტეტი), დოქტ. ვალერი ვაშაკიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი)

დაბეჭდა:

Editor: Dr. Ketevan Khutsishvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of History and Ethnology)

Editorial Board: Dr. Nino Mindadze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of History and Ethnology), Dr. Nino Abakelia (Ilia State University), Dr. Giorgi Cheishvili (Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of History and Ethnology), Dr. Carole Faucher (The University of Edinburgh), Dr. Susanne Fehlings (Goethe University Frankfurt), Dr. Valeri Vashakidze (Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of History and Ethnology).

Published

ISSN 2667-9582

კრებული “მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის” (მსე) განცემით დარგის სპეციალისტებისა და ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის თემატიკით დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრისთვის. კრებული მოიცავს თემატურად მრავალფეროვან საკითხებს, ტრადიციული და თანამედროვე ეთნოლოგიური პრობლემები გაანალიზებულია განსხვავეული მეთოდოლოგიური მიდგომებით, რაც კრებულს მიმზიდველს ხდის ფართო საზოგადოებისთვის.

გამომცემლობა „ანივარსალი“, 2023

თბილისი, 0186, ა. აღლიძეს სახლი №4, ჟურნალის №4, ტელ: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

შინაარსი CONTENTS

წინასიტყვაობა.....	4
Preface	4
აბაკელია ნინო.....	9
მითი და სიმბოლო სვანურ სამონადირეო	
მითო-რიტუალურ კომპლექსში	
Abakelia Nino	
Myth and symbol in the hunting mythic-ritual	
complexes of the Svans	
აზიკური ნანული	36
ქართული ხალხური მხატვრული ქსოვილები	
(თუშური ჯეჯიმიანი საფენ-საგებლები)	
Azikuri Nanuli	
Georgian Artistic Tradition of Folk Weaving	
('Jejimi' style covers and rugs from Tusheti)	
გვიმრაძე თეიმურაზი.....	46
ეთნოლოგიის კათედრა თბილისის სახელწიფო	
უნივერსიტეტში	
Teimuraz Gvimiradze	
Department of Ethnology at Tbilisi State University	
გუჯეჯიანი როზეტა	53
რელიგიური ვითარების ტრანსფორმაციის პროცესი	
სვანეთში გვიანი მუასაუკუნეებიდან დღემდე	
(ტერმინი „პაპ“/„ბაპ“)	
Gujejiani Rozeta	
The process of transformation of the religious situation in	
Svaneti from the late Middle Ages to the present day (the term	
"Пап"/"Bap")	

ვახტანგაშვილი გიორგი.....69

კულტივაცია ოკუპაციის წინააღმდეგ: მიწათმოქმდების
როლი რუსული მავთულხლართების პრობლემის

კონექსტში (დიცის დევნილთა დასახლების მაგალითზე)
Vakhtangashvili Giorgi

Cultivation versus Occupation: the Role of Agriculture in
Challenging the Russian Barbed Wires in the IDP Settlement
oft Ditsi

კომახიძე ბორისი100

ქალაქი ცვლილებების პირობებში: ზესტაფონის
ურბანული ტრანსფორმაცია

Komakhidze Boris

The City in Transition: Urban Transformation in
Georgia's Industrial City of Zestaponi

მამარდაშვილი გიორგი130

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოლოგიური
კინოფონდი -ვიზუალური ანთროპოლოგიის
შესანიშნავი კოლექცია
Mamardashvili Giorgi

Ethnological Film Fund of the National Museum of
Georgia – an outstanding collection of visual anthropology

მინდაძე ნინო141

ხალხური რელიგიური სისტემა და ეკოლოგიური
ტრადიციები

Nino Mindadze

Folk Religious System and Ecological Traditions

ფაცაცია დავითი	166
ლოდინისა და ყოველდღიურობის ეთნოგრაფია ზუგდიდის დევნილთა დასახლების მაგალითზე Patsatsia Davit	
Ethnographies of Waiting and Everyday Life on the Case of Zugdidi Settlement of Internally Displaced Persons	
ქამუშაძე თეა	192
პანდემიის ეფექტი – როცა სახელმწიფო მარნეულში შეხვდა მოქალაქებს Kamushadze Tea	
Affect of Pandemics – When the State Met Citizens in Marneuli	
ჩალაძე მარიამი	228
ცხრასართულიანი კორპუსის ყოველდღიურობა: სივრცისა და ადგილის ეთნოგრაფიული გააზრება დიდი დილმის დასახლებაში Chaladze Mariam	
Ethnographic understanding of space and place in Didi Dighomi settlement (The everyday life of one 9-storey residential building)	
ჩირგაძე ნინო	260
სოციალური ეკოლოგიის ხალხური ტრადიციები (ხევის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) Chirgadze Nino	
Folk traditions of social ecology (according to Khevi ethnographic data)	

ჩხატარაშვილი ნანა	269
ელექტრონული მუსიკა, როგორც იდენტობის გამოხატვის საშუალება თანამედროვე საქართველოში	
Chkhatarashvili Nana	
Electronic music and identity expression in contemporary Georgia	
ხაჭაპურიძე რამაზი	301
ქორწინების და დაკრძალვის ტრადიციები სოფ. იანეთის რეპატრირებულ მოსახლეობაში	
Khachapuridze Ramaz	
Marriage and Burial Traditions among the Repatriate Population of Yaneti	
ჭელიძე ელისო.....	313
ეპიდემიების კვალი მატერიალურ კულტურასა და ისტორიულ მეხსიერებაში (ხევის ეთნოგრაფიული მასალის მაგალითზე)	
Chelidze Eliso	
Traces of epidemics in material culture and historical memory (on the example of Khevi ethnographic data)	
ქრონიკა	
CHRONICLE	
ნინო (ნუნუ) მინდაძე – 80	334
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაარსებიდან 30 წელი.....	338
რეცენზია მონოგრაფიაზე Italo Pardo • Giuliana B. Prato Editors, The Legitimacy of Healthcare and Public Health Anthropological Perspectives	341

ნიცო აჩაკელია

მითი და სიმბოლო სვანურ სამონალირეო მითო-რიტუალურ კომპლექსში

სვანეთში ნადირობა დამოუკიდებელ ეკონომიკურ აქტი-
ვობას წარმოადგენდა, მაგრამ ის, ასევე, საკრალურის სფერო-
საც მიეკუთვნებოდა, რადგან ორი ტიპის სივრცულ გარემოს
(შინას და გარეს კატეგორიების) მიმართებას გულისხმობდა
და, შესაბამისად, დაცულობასა და თავგადასავალს, რომელთა-
ნაც მრავალი რწმენა-წარმოდგენა და წეს-ჩვეულება იყო დაკავ-
შირებული.

სვანეთში და, ზოგადად, მთელ საქართველოში მთა წმინ-
და ადგილად, ხოლო ნადირი წმინდა არსებებად ითვლებოდა.
ხალხური ტრადიციები ცხოველთა და ფრინველთა უდროოდ და
დიდი რაოდენობით დახოცვას კრძალავდა.¹ შესაბამისად, სანა-
დირო დრო და ადგილი განსაზღვრული იყო. წესის დამრღვევი
მონადირე დამნაშავედ ითვლებოდა და ისჯებოდა. ამას ყველა-
ფერს კი არეგულირებდა რწმენა-წარმოდგენები ნადირ პატრო-

¹ ნაშრომში გამოყენებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიე-
რო ფონდის მიერ მსარდაჭერილი და დაფინანსებული პროექტის (სვა-
ნეთის ყოფის ამსახველი უცნობი საარქივო მასალა საქართველოს
ეროვნულ მუზეუმში)კვლევის ნაწილი, რომელიც ეფუძნება დ. კოშევ-
ნიკოვას 1927-36 წწ უცნობ საარქივო მასალას და მიზნად ისახავს ამ
მასალის გააქტიურებას და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანას. მასში
დამატებით წყაროდ და შესადარებელ მასალად გამოყენებულია სხვა-
დასხვა დროს შესრულებული ეთნოლოგიური და ფოლკლორული
კვლევები, რომლებიც საშუალებას იძლევა დინამიკაში იქნას დანახუ-
ლი ის ცვლილებები, რომლებიც აირეკლა ნადირობასთან დაკავშირე-
ბულ სპეციალურ კვლევებში. ნადირობას ეთნოლოგთა თაობები იკ-
ვლევდა და იკვლევს. მასთან დაკავშირებული კვლევების გაფართოე-
ბულ დისკუსიას არც სტატიის ფორმატი იტევს და არც საჭიროება
ითხოვს. გამოყენებული ნაშრომები სტატიაში შესაბამისად არის მი-
თითებული.

ნის შესახებ,¹ რომელზეც მონადირის იღბლიანი ნადირობა იყო დამოკიდებული.

აღნიშნულ რწმენა-წარმოდგენებში, რომელიც განაპირობებდა მონადირეთა გარკვეულ ქმედებას, დაცული იყო ცოდნა იმის შესახებ, რომ მონადირეს უნდა მოეკლა ნადირის ის რაოდენობა, რომელსაც მხოლოდ საჭიროება მოითხოვდა და ნადირ პატრონი იყო ტყის ის არსება, რომელიც ზრუნავდა და აკონტროლებდა ნადირის კვლას. მონადირე და ნადირ პატრონი „დებდნენ ერთგვარ ხელშეკრულებას“, რომელიც, როგორც ყველა ხელშეკრულება, გულისხმობდა ორმხრივი მოვალეობების დაცვას. ნადირ პატრონი აძლევდა მონადირეს ნადირის კვლის უფლებას (თუმცა ლიმიტირებულად), შესაბამისად – ბედ-ილბალს ნადირობაში, კეთილდღეობასა და ბარაქას, მონადირე კი იცავდა ნადირ პატრონისგან მიღებულ ვალდებულებებს. რიგ შემთხვევაში მონადირე შედიოდა მის მიერ შემოთავაზებულ სატრაფიალო ურთიერობაში, რომელიც საიდუმლოდ უნდა შეენახა. საიდუმლოს გამოაშკარავების შემთხვევაში იგი სასტიკად ისჯებოდა (უფრო ვრცლად იხ. ქვემოთ).

ნადირობა მონადირისთვის მხოლოდ წინასწარ ცნობილ და განსაზღვრულ ტერიტორიებზე იყო დასაშვები. სანადირო ტერიტორიის საზღვრებს საზოგადოებათა თემების საზღვრები წარმოადგენდა. სხვა თემის ტერიტორიაზე დაჭერილ მონადი-

¹ ქართული სამონადირეო ტრადიციების განხილვისას, ე.ვირსალაძე ადასტურებს ნადირ პატრონის შესახებ ქართველი და, ასევე, მთელი კავკასიელი ხალხების რწმენა-წარმოდგენებში მათ მრავალფეროვნებას. საქართველოს ცალკეულ კუთხეში, ამ მრავალფეროვნებას მკვლევარი ხსნის ევოლუციონისტური მიდგომით. მისი აზრით, ნადირ პატრონის უძველესი სახე ზოომორფული იყო და ანთროპომორფიზაციის შედეგად ქალის სახით წარმოიდგენებოდა, რომელსაც სურვილის მიხედვით შეეძლო თავისი ქვეშევრდომი ნადირის სახე მიეღო. იხ. ვირსალაძე, ქართული ხალხური სამონადირო ეპოსი, გვ.2.

რეს, ნანადირევს ართმევენ. ჩვეულებრივ, ნადირობდნენ მარტო. კოლექტურად (5-6 ადამიანი) ნადირობდნენ ჯიხვზე.¹

ეთნოგრაფიული აღწერილობების მიხედვით, ნადირობას სამნაწილიანი ფორმა ჰქონდა და იყოფოდა რიტუალებად, რომ-ლებიც სრულდებოდა სახლში სანადიროდ წასვლამდე, ტყეში და კვლავ სახლში დაბრუნებისას (აბაკელია 2017, 177).

სახლიდან გასვლისას მონადირე წმინდა გიორგის ან რომელიმე სხვა წმინდანს შესთხოვდა იღბლიან ნადირობას.

მონადირე სანადიროდ მიდიოდა აუცილებლად ღამე და, ასევე, ღამე ბრუნდებოდა ისე, რომ არავის არ უნდა დაენახა და არავის უნდა სცოდნოდა სად მიდიოდა. სხვა რამეებთან ერთად მონადირეს თან მიჰქონდა ცვილი, სანთლები, მარილი და ლემზირი ჯანმრთელობისთვის განკუთვნილი შესანირავი პური სამი ყუნწით, რომლითაც ხის (უმეტესწილად ნაძვის ხის ქვეშ) ლოცულობდა სანადირო ადგილის პატრონს იღბლიან ნადირს შესთხოვდა.

შინიდან გასვლისას და ტყეში, ნადირ პატრონის საუფლოში შესვლისას, მონადირე ნაძვის ხის ქვეშ მისთვის სანთლებს ანთებდა და ლოცულობდა.

ნადირ პატრონი ქართული ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით შეიძლება ყოფილიყო როგორც ქალური ასევე მამაკაცური პრინციპის მქონე.

ქალი ნადირ პატრონის სვანური სახელწოდება დალ-ია (მრ.რ. – დალაარ). ხალხური რწმენა-წარმოდგენებით ყოველ მიუვალ კლდეს თავისი დალ-ი ჰყავდა. ადგილობრივი რწმენა-

¹ კოუენიკოვა. არქივი. ნადირობა (ბეჭი) F.157. სამონადირეო საზღვრები (მთები) დასტურდება მთელ საქართველოში მაგ.: რაჭაში. თითოეულ მთას თავისი პატრონი ჰყავდა (გვარის სახით). მამა-პაპათა-გან დანესებული სანადირო საზღვრებს ხალხი მტკიცედ იცავდა. თავის სანადირო მთებში სოფლის ყოველ წევრს თავისუფლად შეეძლო ენადირა, მხოლოდ სხვას არ ჰქონდა საზღვრის დარღვევის უფლება. რეხვიაშვილი, „მთას ვიყავ.“ გვ. 29.

წარმოდგენებით, დალაარ – ლამაზი ქალები იყვნენ, რომლებიც მიუვალ კლდებში ცხოვრობდნენ. ისინი მრავლად იყვნენ და ყველა მათგანს ჰქონდა გრძელი ქერა თმა და შავი თვალები (კოუენიკოვა F.157). (ეს მათი უმთავრესი ფერები იყო, თუმცა ზოგიერთ აღნერილობაში ის ჟღალი ფერის თმებითაც წარმო-უდგენიათ).

ლინგვისტები, ანთროპოლოგები და კავკასიოლოგი ეთ-ნოლინგვისტები, სვანურ Dæl-სა და ქართულ Dali (Tuite 2006, 165-188) თანამედროვე ნახურ ენებში (ჩაჩნური dēla, ინგუშური dælə, ბაცბური dale), სიტყვა ღმერთთან აკავშირებენ. წმინდა ფონოლოგიური თვალსაზრისით, ეს კავშირი მათში კითხვებს არ იწვევს და იმ შემთხვევაშიც კი გვერდზე რომ გადაიდოს სუსტი ეტიმოლოგიური ინტერპრეტაცია თეონიმი დალისა და ქართული დილის შესაბამისობაზე, მათ ერთმანეთთან კავშირ-ზე ეთნოგრაფიული მასალა მაინც დამაჯერებლად მიაჩნიათ (Tuite 2006, 166).

სვანეთში დალი და მასთან დაკავშირებული მითო-რიტუ-ალური კომპლექსები კოსმოლოგიური პერსპექტივიდან გარესა და შინას სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება:

- 1) რამდენიმე ვერსიით ცნობილ ბალადაში სახელწოდებით „და-ლა კოჯას ხელლვაჟალე“ („დალი კლდეში მშობიარობს“) დალს კლდიდან უვარდება ახალშობილი, რომელსაც მგელი გაიტა-ცებს; მის ჩვილს მონადირე გადაარჩენს მგლისგან. დალი კლდეზე აიყვანს მონადირეს და საჩუქრად შესთავაზებს თავის სიყვარულს ან ილბალს ნადირობაში. მონადირე ირჩევს ილბალს. სხვა ვარიანტით, დალი გამოუყვანს 9 ჯიხს საჩუქრად, რო-მელშიც ერთ ოქროს რქიანს გაურევს, მონადირე, ბედისწერით, სწორედ ოქროს რქიანს ამოიღებს მიზანში, რომელსაც ტყვია არ მიეკარება, ხოლო შუბლში მოხვედრილი შებრუნებული ტყვია მონადირეს კლავს. მონადირე სიკვდილით ისჯება, რად-

გან ოქროს რქიანი ჯიხვი დალის სახეცვლილებას წარმოადგენს (ვირსალაძე 1964, 44-47, 127).

2) ახალი წლის კონტექსტში:

განსაკუთრებით საინტერესოა დალის ჩენა ახალი წლის კონტექსტში, ძველიდან ახალ წელიწადში გადასვლისას.

ამ დროს, ზემო სვანეთის ზოგიერთ სოფელში ახალი წლის წინა დღეს (31 დეკემბერს), რომელიც ცნობილია ეშხუამ (ešxwæm) ან შუშხუამ (šusšxwæm-s) სახელით უხმობენ „ახალი წლის დალს¹ და სთხოვენ ახალი წლის მშვიდობიან შესვლას (ეცერი). ცხომარის საზოგადოებაში (თემში) დალ ეშხუამიშს (Dæl Ešxwamiš) უხმობენ როგორც ოჯახის უფროსი ქალები, ასევე, ოჯახის უფროსი მამაკაცები და სწირავდნენ პურს, რომელიც გამომცხვარი იყო კონსეკრირებული მარცვლეულისგან.

დალ-ს ეშხუამიშს უხმობენ, მაშინ როდესაც დღე ღამეს შორდება,² ანუ გამთენისას: „დალო შეშხუამისაო, მრავალი დღევანდელი დღე შეგვასწარი მშვიდობით, კეთილი გულით, საქონლის და ადამიანის მშვიდობით და გამრავლებით“.

ეცერის თემში მაგ.: დალ ეშხუამიშ (Dæl ešxwamiš) ლოცვებში სთხოვენ ახალი წლის მშვიდობიანად შემოსვლას. 6. წერე-დიანის აზრით, ეშხუამ თავად არის ძველი წლის ბოლო და ახალი წლის პირველი დღე. მის წიაღში მთავრდება ძველი და იწყება ახალი წელი. როგორც ახალი წლის პირველი დღე, ისე მთელი წელიწადი მისი არსებობის შედეგია; როგორც მკვლევარი ფიქრობს ეშხუამის – ფუძე ეშხუა ნიშნავს ერთს და უნდა ნიშ-

¹ დალ ეშხვამიშ (ეცერი, ცხიმარი, ბეჩო), დალ შესხვამისშ (ლატალი, ლენჯერი), დალ შუშხვამის (მულახი). ეშხვამიშ დალის ეპითეტია მაგრამ ზოგან დალ ეშხვამიშ-ს ნადირ პატრონი დალისგან ასხვავებენ. იხ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. გვ.191.

² ღამისა და დღის მონაცვლეობაზე იხ.Characidzé, Prométhée ou le Caucase. 1986.

ნავდეს ერთისთვის ლოცვას. მას სქესის გამომხატველი არანაირი ვიზუალური და შინაარსობრივი მხარე არ გააჩნია. ის ერთის იდეური სიტყვა, პარადიგმა ანუ უხილავი პერსონაჟია. ეშუ – დალ ეშხუამიშ დროისა და სივრცის მეუფეა (წერედიანი 2005, 25-26).

დ. კოუევნიკოვას მიერ ლატალის თემში ჩაწერილი მასალის მიხედვით (1931), დალ-ს იეშხვამისას სთხოვენ ახალი წელი უკეთესი წლით შეცვალოს“ და სხვ. (კოუევნიკოვა 1928). აღნიშნულ რიტუალებში ქ. თუითი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გამთენისას ლოცვას. ქ. თუითის აზრით, დილა როგორც განმეორებადი ტროპი ლვთაებისა, გარდამავალი (ლიმინალური) პერიოდია ღამესა და დღეს შორის და, შესაბამისად, ბინდისა, აქედან გამომდინარე, დალი ბინდის კალენდარული კორელატია (Tuite 2006, 165-188).

3) დალი დროით-ციკლურ კატეგორიებში ვლინდება რიტუალურ ფერხულში, რომელიც გვხვდება საგაზაფხულო დღე-ობათა ციკლში, კერძოდ ყველიერში.

დალი არა მარტო თავისი საუფლოს კონტექსტში (ე.ო. გარე სკნელში), არამედ ის, ასევე, შინაშიც, საზოგადოებრივ სივრცეში ჩნდება სახეცვლილი სახით. ეს ხდება ყველიერში აღპა ლალრალის (აღების, დაურწყების წარგზავნის) დღეს. აღნიშნულ დღესასწაულში, რომელიც სამი კვირის განმავლობაში გრძელდება (ორი კვირა ხორციელი (კოუევნიკოვა 1928), მესამე – ყველიერი) რიტუალურად და სიმბოლური თვალსაზრისით ყველაზე მეტად დატვირთული ბოლო დღეებია. სხვადასხვა დროის მრავალ ეთნოგრაფიული აღნიშრილობებში მის ერთერთ სრულ ვერსიას დ. კოუევნიკოვასთან ვხვდებით:

„...აღაპების¹ კვირეულის ხუთშაბათ დღეს სოფლის მამაკაცები იწყებენ თოვლის კოშკის აგებას, რომლის აგება შაბათ დღეს სრულდებოდა. კოშკს შუაში ჩაარჭობენ ნაძვის გრძელ ჭოკს (ჭერს), რომელსაც წვერზე გამოაბამენ ნანავს, ჩვეულებრივი ჭვავის გამხმარ ტოტებს ადამიანის ხელ-ფეხის მსგავსად, სახით და ფორმით. იმას თავზე ქალის თმებს გაუკეთებენ ხოლმე.² ამ გრძელ ჭოკს (ჭერს) ფეხებშუა შეუდგამენ / ჩაუდგამენ ყველის სანურ ჩეჩის (ზერდს) და ჩამოჰკოდებენ ფალოსს (ხუემ-ყურნას!). ამ ჭოკზე გამოსახულ კაცს მოაბამენ ასევე, ხელში დააკავებენ მშვილდ-ისარს, იქვეა მომაგრებული ფარი (ფაარ). როგორც წესი ეს ფარი არის ამ შემთხვევაში ძველი საცერი. ... შაბათ საღამოს სოფლის დასავლეთით შეიკრიბება მუჟალის სოფლების დიდი და პატარა, მეორე გვერდი ქალი და კაცი...³ ამ სახალხო დღეობის მონანილენი მოდიან განიერი და ფართო ბარებით (ლახირებით) და თოვლის ნამქერობა, ნამქერცვენა (ლიქსალ) იწყება: უაბეშელები და ჩვაბიანელები ერთმანეთს თოვლს აყრიან ჯიბრით: ჩვაბიანი მოერევა, მოუგებს თუ უაბეში. მიაჩნიათ, რომ მოგება, მორევა კარგად მოქმედებს წელიწადზე. (აი, რომელი სოფელიც მოერევა, იმას ექნება (მოუვა) უკეთესი წელიწადი).

¹ აღაპი საქართველოში ძველთაგანვე ეკლესიაში ან მონასტერში ეწყობოდა და თან ახლდა წირვა, ზოგჯერ კი — პანაშვიდიც. სააღაპო ტრაპეზზე უნდა შეესვათ ლვინო მიცვალებულის ცოდვების შესანდობრად, ხოლო წირვისას მოქესენიებინათ მისი სახელი. ზოგჯერ ეწყობოდა ე. წ. „კარგალებული“ აღაპი. ამ დროს უფასოდ უმასპინძლებოდნენ „გლახაკებს“. ფულის და სხვა შენირვაც იცოდნენ.

² სხვა ვერსიით, ხის წვერზე მანდილიანი დროშა არის მიმაგრებული ან ადამიანის გამოსახულება – „ლამარია“, რომელსაც ხელში დაშნა უჭირავს, წინ ფალოსი აქვს ჩამოკიდებული, ხოლო სახეს საცრის - „ფარის ნაგლეჯი განასახიერებს. იხ. რუხაძე, ბუნების ძალთა...1999. გვ. 131.

³ დღესასწაულის სრული აღწერილობა იხ. დ.კოშევნიკოვა, არქივი: აღბალალრაალი მუჟალში, № 66-№72.

ნამქერობის, ნამქერცვენის (ლიქსალ) რიტუალის დასრულების მერე ხალხი ირჩევს საქმისას და ყაენს. მერე საქმისაი თვითონ ირჩევს თავის ამხანაგებს. „არჩევნები“ რომ დამთავრდება, მერე იმართება ფერხული იმ ადგილას, სადაც ნამქერობის, ნამქერცვენის რიტუალი ჩატარდა. იმ დღეს ჩვაბიანშიც და უაბეშმიც იმართება (ლიტბლი). ტაბლების შენირვა, ტაბლაობა (ლვთისადმი სალოცავი პურების, ტაბლების, საკლავის მსხვერპლად შენირვა). შეალოცავენ და შესწირავენ (ლესკარს)¹ სარიტუალო პურს და არაყს ბლომად... (კოშევნიკოვა 1931). ამის შემდეგ სრულდება ფერხული.

ფერხულს თოვლის კოშკან, რომელიც აღბალალრალის დროს ზემო სვანეთში სრულდებოდა ცნობილი იყო სამთი ჩიშხაშის (*samtī č' აშხაძ-ს*) სახელით. ჯ.რუხაძის მასალის მიხედვით (რუხაძე 1999, 131), თოვლის კოშკან, იქ, სადაც ნამქერობის რიტუალი სრულდებოდა იმართებოდა სამთის ფერხული. ფერხულს ასრულებდა ექვსი-შვიდი ხანშიშესული კაცი. ისინი სიმღერით ადიოდნენ თოვლის კოშკზე და ცეკვავდნენ ლამარიას გარშემო. ამის შემდეგ ისინი არხევდენენ ხეს, სანამ ფარი არ ჩამოვარდებოდა. მათი რწენა-წარმოდგენებით, რომელ მხარეზეც ფარი გადავარდებოდა იმათ ექნებოდათ კარგი მოსავალი იმ წელს. მოხუცების შემდეგ კოშკზე ბავშვები ადიოდნენ და ეჯიბ-რებოდნენ თუ ვინ პირველი გამოთხრიდა ლამარიას ნიჩბით და ვინ წააქცევდა მას მიწაზე.²

ფერხულის შესრულების მერე კვლავ ნამქერობის, მშრალი თოვლის მიყრა-მოყრის თამაშია. ამ დროსაა ყველაზე მე-

¹ ლესკარი – დიდი ზომის პური შუაში ჯვარდასახული, ლასკარში (სადღეობო დაჯგუფებაში) შეგროვილი ფქვილისგან ცხვებოდა (მაგ.: ლამარია ლესკარ – ლამარიასთვის განკუთვნილი რიტუალური პური). იხ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი გვ. 207, 209.

² ლამარიას წაქცევაც სიმბოლურად ნაყოფიერებას უკავშირდება

ტად მორევა – ჯობნება თავგამოდებით. ამის მერე უკვე უაბე-შელები და ჩვაპიანელები დაზავდებიან... უაბეშელები დაბრუნ-დებიან თავიანთ სოფელში და კოშკთან იმსჯელებენ, გადაწყვე-ტენ, ვინ უნდა გამოაცხოს აღების დღისთვის (ლესკარი) დიდი სარიტუალო პური და სხვ. (კოუენიკოვა 1931, №66-№72).

მოკლედ რომ აღინიშნოს, ზემოთ მოტანილი დღესასწაუ-ლის სტრუქტურა მოიცავდა: 1. მზადებას დღესასწაულისთვის, რომელიც იწყებოდა ყველიერის ხუთშაბათს (ზოგი ვერსიით – პარასკევს) თოვლის კოშკის მშენებლობით, რომელიც კვირა დღისთვის უნდა დასრულებულიყო. კოშკს აშენებდა მუჟალ-მულახის საზოგადოება. დასრულებული კოშკის აუცილებელი შემადგენელ ნაწილები იყო ნაძვის ხე მის შუა გულში, ლამარიას გამოსახულება, და ასევე მოისარი მშვილდით ხელში. 2. საყვე-ლიერო კარნავალს საქმისაის, ყენის, მათი გუნდის და შეკრე-ბილი მოსახლეობით, კარნავალისთვის დამახასიათებელი ტრა-ვესტიზმით, ბილწიტყვაობით და ქმედებებით, ნაყოფიერი მო-სავლის დასაბევებლად და სხვ. 3. წმინდა ფერხულს, რომელიც ამ დროს სრულდებოდა. 4. კოშკის რიტუალურ წაქცევას (წი-ნასწარმეტყველებას თუ ვის მხარეზე იქნებოდა ნაყოფიერება) და 5. ლასკარის სუფრას და მომდევნო წლის მასპინძელი ოჯა-ხის არჩევას.

მაგრამ რას შეიძლება ნიშნავდეს ლამარიას ერთი შეხედ-ვით პარადოქსული და ამბივალენტური, მითო- რელიგიური ძა-ლების შემცველი და ორმაგი მინიშნების მქონე სიბოლო, რო-მელიც ერთდროულად ორივე სქესთან: ერთის მხრივ, ლამარი-ასთან (წმ.მარიამთან), ხოლო, მეორეს მხრივ, ფალიკურ პერსო-ნაჟთან – არის დაკავშირებული? შედარებითი რელიგიისა და შედარებითი მითოლოგის მეთოდოლოგიას მივყევართ Coincidencia oppositorum-ისა და ერთიანობის საიდუმლოსთან. ამგვარი ამბივალენტობა რელიგიების ისტორიაში აიხსნება რო-გორც ღვთაებრივი ერთიანობა (ორი ერთში), რომლის სიღ-

რმულ სტრუქტურაში ვლინდება ღვთაებრივი ანდროგინობა ანუ საყოველთაო ორსქესიანობის იდეა, რომელიც ყოველ დონეზე და კონტექსტში უნდა შეიცვადეს coincidencia oppositorum-ს (Eliade 1965, 82-85) (ანუ დაპირისპირებულთა ერთიანობას).

ქრისტიანულ დონეზე ახლებურად ინტერპრეტირებული და ახალ კონტექსტში მოქცეული არქაული ამგვარი სიმბოლოები და ძველი მითოლოგიური თემები რელიგიების ისტორიაში გულისხმობს სისტემაზღველი ეტაპის რწმენებსა და კონცეპტებს, რომელიც თავისი წარმომავლობით კონკრეტულ სიტუაციაში არის ერთდროულად არქაულიც და თანამედროვეც, წინარე-ქრისტიანულიც და ქრისტიანულიც (Eliade 1965, 111). როგორც ცნობილია, ამგვარი იდეები, სიმბოლოები და რიტუალები მოიპოვება ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროში, ანტიკურ ახლო აღმოსავლეთსა და, ასევე, სხვა არქაულ და ეგზოტიკურ კულტურებშიც, რომლის, ჩემი აზრით, ქართულ (სვანურ) ნაირსახეობას უნდა წარმოადგენდეს ლამარიას განხილული სიმბოლოც, რომელიც ისტორიული პერსპექტივით, თავდაპირველი მითოლოგიური იდეების ვარიაციას უნდა წარმოადგენდეს. აღბა ლალრალის სიმბოლურად გაცოცხლებული და ხელახლა აქტუალიზებული რიტუალები სრულდება მომავალი უხვი მოსავლისთვის და ნაყოფიერებისთვის. რაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული რიტუალის უმთავრესი პერსონაჟის – საქმისაის ორგაისატული რიტუალური ქმედების მეშვეობითაც.

აღნიშნული რიტუალი სხვა თვალსაზრისითაც საინტერესოა. კერძოდ, ვგულისხმობ დალის ჩენას (ცხოველის სახით) საფერხულო სიმღერაში, რომელიც სრულდებოდა სამთი ჩიშხაშის (წმინდა ფერხულის)¹ შესრულებისას ყველიერის აღბა-ლალრალის (აღების, დაურწყების წარგზავნის) დღეს, რომელშიც მონადირე ბეთქილის ამბავი იყო გადმოცემული. ფერხულში მოთხოვობილია გამართულ სამთის (წმინდა) ფერხულში ბეთქენის,

¹ აქ ჩვენ ე. ვირსალაძის მიერ ახსნილ მნიშვნელობას ვეყრდნობით.

მისი რძლის თამარის და ნადირ პატრონის ისტორია, რომლის მიხედვით, ფერხულის შესრულებისას იმ ადგილას საიდანლაც თეთრი შუნი გაჩნდა, რომელიც ფეხებშუა გაუძვრა ბეთქილს და გაიტყუა ის კლდისკენ. საფერხულო ტექსტის მიხედვით, მონანილენი ხვდებიან, რომ ეს ბეთქილის წერაა. მას თვითონ ბეთქილიც ხვდება, მაგრამ მაინც დაედევნება შუნს; ის წინ გზას ხედავს, უკან კი გზა იშლება. ამ დევნისას მონადირე შეტყუებული იქნა კლდოვან (შავ კლდეში, დიოფალ დალის სამყოფ) ადგილას. დალი მონადირეს მის საჩუქარს მძივს (სხვა ვერსიებში ბეჭედს, თავსაფარს) მოჰკითხავს, რომელიც მას არ აღმოაჩნდება. ბეთქილი თავის გამართლებას ცდილობს. დალი ქრება, ხოლო ბეთქილი ერთი ხელით და ცალი ფეხით კლდეზე დაკიდებული რჩება.¹

ბეთქილი, რომელიც ხვდება რომ დალის სასტიკი სასჯელი მას არ ასცდება (რძალ თამართან, სხვა ვერსიით – ცოლთან) ღალატისთვის, მეფერხულეთ ანდერძად უტოვებს სხვებსაც უამბონ ეს ამბავი და ბეთქილი არ დაივიწყონ. მონადირე იღუპება. ყველიერის აღაპების² დღეებში მუჟალ-მულახის საზოგადოება ყოველწლიურად იხსენებს სამთის (წმინდა) ფერხულის შესრულებით დაღუპულ მონადირეს.

დატირებად მიჩნეულ წმინდა ფერხულის ტექსტში მინიშნებულია და იგულისხმება, რომ ბეთქილი დალის რჩეული ფარული სატრფო იყო, რაზეც დალის მიერ მონადირისთვის ნაჩუქარი მძივი (სხვა ვერსიით, ბეჭედი და სხვ.), მათი სატრფიალო ხელშეკრულების ნიშანი მიანიშნებს. მათი ურთიერთობის შესახებ მონადირეს არავისთვის უნდა გაემხილა. სანაცვლოდ ის ნადირ პატრონისგან იღბლიან ნადირობას ეწეოდა. სიტყვის გატეხვის, ღალატის ან ნადირის ნადირ პატრონის უსანქციოდ

¹ სიუჟეტის სხვადასხვა ვერსიებისთვის იხ. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი.

² აღაპების პერიოდში ფერხულის შესურლებაზე იხ. დ. კოუევნიკოვა: არქივი. მულახ-მუჟალი (№ 1-87)

კვლისთვის მონადირე სასტიკად დაისჯებოდა. საჩუქრის ფლობა გულისხმობდა გარკვეული ტაბუების დაცვას, ხოლო ამ ტაბუების დარღვევა – მონადირის სასტიკ დასჯას (ვირსალაძე 1964, 7).

დღესასწაულთა ეს პერიოდი იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ამ დროს საერთო გართობა-თამაშების, შეჯიბრებების, ნაყოფიერებაზე ზრუნვის და გარდაცვლილთა მოხსენიება ხდებოდა. ყველაფერი ეს კი ჯგუფის აუცილებელი სასიცოცხლო მოთხოვნილებებისთვის სრულდებოდა. უაბეშელები და ჩვაბიანელები აღნიშნულ ზღვრულ საგაზაფხულო დღესასწაულს ზეიმობდნენ შეჯიბრებების სახით, რომელსაც მათთვის კეთილდღეობა და ნაყოფიერება უნდა მოეტანა. თუ თამაში (საქმისას, ყენისა და მისი მეგობრების წარმოდგენა), მსხვერპლშენირვები და წმ. ფერხული კარგად ჩატარდებოდა მოგებული მხარე უზენაეს მადლისა და კურთხევას ეზიარებოდა.

ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ნადირობის მოდელი ახალ ფუნქციაში, ახალ კომუნიკაციაში გრძელდება, რომელთანაც ქრისტიანული სახვითი და სიტყვიერი კონტექსტები ასოცირდება.

სვანეთში, ნადირობასთან დაკავშირებულ რწმენებში თვალსაჩინოა ნადირ პატრონის მამრი კორელატი, რომელიც უმეტესწილად წმ გიორგის ან აფსატის სახით წარმოიდგინება. თავისუფალი სვანის მასალებით, სვანეთში მონადირე კლდის დალის გარდა, ნადირობაში გამარჯვების თხოვნით მიმართავდა: წმ. გიორგის, ღმერთს და აფსატს.¹ ადგილობრივი რწმენები

¹ თავისუფალი სვანი, ოთხი დღე... 1886, N 247. (ციტირებულია ე. ვირსალაძიდან). რაჭის მთებს პატრონობენ: მარიამის საჯვარე, წმ. გიორგი, კვირაცხოველი, მამა წმინდა და სხვ., ჯვარი-ყანა. ქრისტე მეუფე, მთავარანგელოზი და სხვ. იხ. რეხვიაშვილი დასახ, ნაშრომი, 27 კირტიშის (შდრ. აფხ. კინტრიშს) საჯიხვეებისაკენ მიმავალი მგზავრი კი გონის მთავარანგელოზის სალოცავს ვერ ასცდებოდა).

მათ წარმოადგენენ ხან დალის ვაჟიშვილად, ან ძმად ან მამად, რომლებიც თანდათან ზღუდავენ მის ფუნქციებს (ვირსალაძე 1964, 31).

სხვა მოსაზრებით, ნადირი როგორც ცოცხალი, ისე მოკლული ანგელოზს (იგულისხმება ნადირთ პატრონი) წმ. გიორგისაგან ჰყავდა ჩაბარებულიც (მაკალათია 1977, 28-30).

სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით წმ. გიორგის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას მონადირეთ მფარველობა შეადგენდა (მაკალათია 1977, 27).

აღნიშნული ფუნქცია მიეწერებოდა უშგულის, მესტიის (მოლჯ ჯგრააგ), იფხის, ჰადიშის (ჯგრააგ ლიჩენიშ ლეფაყუ – ქუდოსანი წმ. გიორგი და ჯგრააგ მელჩიაჟ – ცხენოსანი წმ. გიორგი) იფარის (ჯგრააგ ლენჩიაჟ) წმ. გიორგის. უშგულელი მონადირები ჯიხვის რქებს სწირავდნენ თემის მთავარ სამლოველოს, ლამარიასაც. ეკლესიაში შენირული რქები აწყვია კანკელსა და კათედრაზე. ადრე კი ჯიხვისა და არჩვის რქები მაგრდებოდა კათედრის გასწვრივ ჩამოკიდებულ გრძელსა და დაჩქრეტილ ხეებზე. იმავე თემის უშგულის სოფ. ჩვიბიანში შენირული რქები აწყვია ფუსდის ეკლესიის კანკელზე და ჰკიდია კედლებზე. გარეული ნადირის შენირული რქები მიმოფანტულია უშგულის თემის ყველა ეკლესიაში (მაკალათია 1977, 28).

საეკლესიო კალენდრით, წმინდა გიორგის ხსენების დღის – შემოდგომის გიორგობის (10/11, 23/11) – აღნიშვნა ნაკიფარის წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვა-ლოცვით იწყებოდა. ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ, ეზოში შეკრებილი კალაიფარის მოსახლეობა შესაწირი ზვარაკითა და ყველიანი ლემზირებით საკუთარი ოჯახიდან გარდაცვლილებს მოიხსენიებდა და ჯგრაგს მამაკაცების კეთილდღეობასა და გამრავლებას, მონადირეების მფარველობას შეევედრებოდა. ნადირობის უკეთ წარმართვის მიზნით, იცოდნენ ნანადირევის თავ-რქის შენირვაც (მაკალათია 1977, 31).

როგორც მ. მაკალათია აღნიშნავს ნადირ ღვთაების ფუნქციები მითვისებული აქვს აგრეთვე სოფ. ჰადიში ორ წმ, გიორგის ე.ნ. ქუდიანს და ცხენოსანს (ამ უკანასკენელს ქაშვეთის წმ. გიორგისაც ეძახიან). ნადირობიდან დაბრუნებულნი ეკლესიაში შედიოდნენ თან შეპქონდათ სანთელ, „ნათავედი“ არაყი, არჩვის შემწვარი ყველაზე წმინდა შესანირავი გულ-ღვიძლი და რქები. ლოცვის შემდეგ მონაწილენი იქვე შეექცეოდნენ გულ-ღვიძლს (მაკალათია 1977, 27). სანადიროდ მიმავალი ჰადიშელნი გზად ლიჩენიშის წმ. გიორგის ეკლესიაში შედიოდნენ, ანთებდნენ სანთელს და შესთხოვდნენ ხელის შეწყობას (მაკალათია 1977, 31).

გარეული ნადირის რქების შეწირვა იცოდნენ არა მარტო სვანეთში, არამედ რაჭაშიც, (გონის მთავარანგელოზის ეკლესია, შხელის წმ. გიორგის ეკლესია – სოფ. გლოლა, ღების დედა ღვთისა, ჭიორის წმ. გიორგის ეკლესია). სამეგრელოში (სოფ. ოქუმის წმ. გიორგის ეკლესიის გალავანი სავსეა ირმის რქებით. გადმოცემით, თითქოს 23 აპრილს, გიორგობა დღეს ირმები თავისი ფეხით მიდიოდნენ ამ ეკლესიაში. ირმებს შესწირავდნენ მსხვერპლად წმ. გიორგის და რქებს გალავანზე ამაგრებდნენ. ქართველ მთიელებს: სვანებს, თუშებს და ხევსურებს ირმის რქები უწყვიათ სამლოცველოებში. ირმის რქებს სამლოცველოებს სწირავდნენ მონადირები, რომელიც წინასწარ დებდნენ პირობას ხატის წინაშე, რომ თუ კარგად ინადირებდნენ რქებს შესწირავდნენ. (იგივე, დასტურდება ჩრდილო ოსეთში ქრისტიანულ სამლოცველო რეკომში) (მაკალათია 1977, 31).

ხევსურული და სვანური წმ. გიორგის ფუნქციები საკმაოდ მსგავსია, ზოგადი დასკვნისთვის რომ (აღმოსავლეთისა და დასავლეთის) ქართველ მთიელთა წმ. გიორგი პასუხს აგებდა საზოგადოების კაცების დაცვაზე და წარმატებაზე გარე სამყაროში, იქნებოდა ის დასახლებული თუ დაუსახლებელი (Tuite 2018, 8).

წმ. გიორგის ხალხური პერცეფცია ყველაზე კარგად

ვლინდება მის დასავლურ ქართულ ერთერთ ეპითეტში მრავალძალში, რომელიც თითქოს და ერთად კრებს მის სხვადასხვა ძალის ამსახველ ეპითეტებს (თეთროსანი, ხანგროსანი, მოისარი, ცხენოსანი, ქუდოსანი, ტეხისა, ხარიპარია, etc.), რომლებიც მისი სხვადასხვა ძალის ასპექტების მაჩვენებელია (აბაკელია 2017, 153-154).

დასავლეთ საქართველოში მის ერთერთ (მაგრამ არა ერთადერთ) იმაგინაციას მოისარი (სვ. მეისარიშ // ლილმესაარ, მეგრ. ჯეეგე მისარონი) და ხანგროსანი (ხანჯლის მქონე ან ლახვროსანი, ჯრააგ ლიჩენიში ანუ ქუდოსანი, ვაჟების მიმცემი და მამაკაცის ფუნქციებში შემავალი ყველა საქმიანობს მფარველი), რომლითაც ის ერთის მხრივ, სჯის შემცოდეს და სულიერად აავადებს მას, ხოლო მეორეს მხრივ ასოცირდება წმინდანის ნადირობასთან დაკავშირებულ სურათ-ხატთან. ის იცავს მეურნეს, მეომარს და მონადირეს. მას როგორც მ. მაკალათია ფიქრობს, ნადირ ღვათაების ფუნქციები აქვს მითვისებული (მაკალათია 1977, 28-30).

დღეობის გარდა, სანადიროდ მიმავალი უშგულელი მონადირეები წმ.გიორგის შესთხოვდნენ მფარველობას და ხელის შეწყობას, ხოლო სანაცვლოდ მოკლული ნადირის გულ-ლვიძლსა და თავ-რქას ჰპირდებოდნენ.

ნადირობისას მეორე მამაკაცური პრინციპის მატარებელი ადრესატი, ვისაც მონადირე მოიხსენიებს თავის ლოცვებში არის აფსატი. ბოლო დრომდე, აფსატი მიიჩნეოდა ნადირობის წარმართ ღვთაებად, რომელსაც მონადირე სანადიროდ წასვლის წინ ბედ-ილბალს სთხოვდა ნადირობაში, ხოლო ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ (რაგვარიც არ უნდა ყოფილიყო ნადირობა წარმატებული თუ წარუმატებელი მას (ისევე, როგორც წმ. გიორგის და დალს) მადლობას უხდიდა.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად წერენ, რომ სვანური აფსა(ა)ტის ფუნქციები როგორც ნადირ პატრონისა ლიმი-

ტირებული იყო და ისაზღვრებოდა ფრინველებისა და თევზების პატრონობით (ხოლო კიდევ უფრო კონკრეტულად კალმახით).¹ მაგრამ ეთნოგრაფიული აღწერილობები ამით არ იფარგლება და არსებობს სხვა მასალაც, რომელიც მას გარეული ჩლიქოს-ნების ნადირ პატრონად მიიჩნევენ, რაც როგორც ქვემოთ ვნახავთ უფრო ლოგიკურია. ამ მასალის მიხედვით, აფსა(ა)ტი რქოსანი ნადირის და ფრინველების პატრონია. ის ახლო დგას დალთან თუმცა მამრობითი სქესისაა (Чартолани 1980, 96).

კბარდველიძის მიხედვით, აფსატი ყარაჩაელთა და ბალყარელთა მითოლოგიაში ნადირისა და ცხოველთა მფარველია. ის ის-ლამამდელი პერსონაჟია, რომელიც ოსური ავსათის და სვანური აფსა(ა)ტის მონათესავეა და შესაძლოა აფხაზური აუვეიბშასიც და ადილეური მეზითხესიც. ის არის ნადირის მფარველი, რომელიც მწყემსავს ველურ ცხოველებს. იგი თვითონ გამოყოფს ნადირს მონადირისთვის. მის გარეშე არავის შეუძლია დაუცდენლად (ზუსტად) სროლა, მის საპატივცემულოდ მონადირები მღეროდნენ სპეციალური სიმღერებს, რომლითაც ისინი მადლობას უხდიდნენ მას ილბლიანი ნადირობისთვის (Бардавелиძე 1980, 96).

ბოლო დროის გამოკვლევებიდან, რომელიც აფსატს ეძღვნება მნიშვნელოვანია ი. არჯანცევას და ზ. ალბეგოვას ნაშრომები,² რომლებიც ეხება ქრისტიანობის გავრცელებას ჩრდილოეთ კავკასიაში აღანებს შორის და მონადირეთა მფარველის აფსატის ჩენას ალანურ პანთეონში. ალნიშნულ ნაშრომებში ავტორებმა აფსატის ეტიმოლოგიას და მისი იდენტიფიკაციის საკითხს გარკვეული ადგილი დაუთმეს და საინტერესო ჰიპოთეზები წარმოადგინეს. მათაც, ისევე როგორც მანამდე ე. ვირსალაძემ, მ. ჩართოლანმა და ვ. ბარდაველიძემ ყურადღება გაა-

¹ იხ. გ. შარაშიძის მოსაზრება ქ. თუითის ნაშრომში: Tuite 2018, 144.

² Аржанцева & Албегова 1999, 183-200; Албегова 2001, 83-96; Arzhantseva 2013, 1-12.

მახვილეს იმ ფაქტზე, რომ კავკასიის გარკვეულ არეალში, სხვა-დასხვა ხეობასა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა კონფესიის ხალხში გვხვდება ნადირის მფარველის ერთი და იგივე იდეა, რომელიც თითქმის იდენტური სახელწოდებით- აფ-სატიო- მოწმდება. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია რამდენიმე ვერსია აფსატის წარმომავლობაზე. მაგ.: ნ. მარი თვლიდა, რომ სვანური ღვთაება აფსატი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო თრაკიულ-სომხურ *sabadios-* aswat-თან (*astowat, astwac-*თან). მისი აზრით, სვანებიდან ის უნდა შესულიყო ოსებ-ში, სადაც მისი სახელი უღერდა როგორც *Avsat*-ი. ეს მოსაზრება, ოსური ენის თავისებურებიდან გამომდინარე, უარყო ვ. აბა-ევმა.¹ თავისებურება კი მდგომარეობს იმაში, რომ სხვა ენები-დან ნასესხებ სიტყვებს ოსურ ენაში (ნასესხობებში) არა თუ ემატება დაბოლოება, არამედ პირიქით, ისინი იკვეცებიან. აქე-დან გამომდინარე, გაუგებარია საიდან უნდა მოხვედრილიყო ოსურ ღვთაება *Avsati*-ში ასო ნიშანი ი. ამ ფაქტმა აბაევს ავარა-უდებინა, რომ ბოლო i-სთან შესაძლოა ყოფილიყო კიდევ ერთი მარცვალი ან ასო, რომელიც ნასესხობამ ჩამოიცილა.² ი. არ-უნცევას და ზ.ალდებერვას კვლევების თანახმად, აფსატის სა-ხელში ქრისტიანული წმინდანის ევსტათი პლაკიდას სახელი იმაღება. ამ აზრამდე ისინი მიიყვანა კიაფარის ხეობაში უძვე-ლესი სტელების გამოსახულებათა შესწავლამ და რეკონსტრუქ-ციამ. მათ რეკონსტრუირებულ ნადირობის სცენაში დაინახეს მონადირე და ირმის გამოსახულება ჯვრით რქებში და კომპო-ზიცია სავარაუდო 11-ე საუკუნით დაათარიღეს (Аржанцева & Албегова 1999, 187). ყველაფერმა ამან ისინი მიიყვანა ევსტათი პლაკიდამდე, რომელსაც ისინი წარმართობის ნადირობის

¹ ამავე აზრისაა ქ. თუითიც, რომელიც თვლის რომ არსებულ ინტერ-პრეტაციებში ეს ყველაზე სუსტია. იხ.Tuite 2018, 144-145.

² აბაევის მოსაზრება, არუანცევას ნაშრომში იხ. Arzhantseva 2013, 1-12.

ღვთაების დუბლიორად თვლიან (Аржанцева & Албегова 1999, 187). ზ. ალბეგოვა თვლის რომ კიაფარის სტელები ირემთა უამ-რავი გამოსახულებებით წარმოადგენენ ქრისტიანული და მა-ნამდე არსებული წარმართული მითოლოგიის ერთმანეთში ჩაწ-ვნის თვალსაჩინო მაგალითს (Аржанцева & Албегова 1999, 187). მკვლევრები იქვე აღნიშნავენ, რომ ბერძნული ეუსტათიოს - ის გამოთქმა ევსტათის ფორმით დასტურდება ქართულ ენაში და რომ, შესაძლოა, ეს უღერადობა დადებოდა წმინდანის ჩრდი-ლო კავკასიურ სახელს *Ævstati-s* და შემდეგ ტრანსფორმირებუ-ლიყო მოგვიანო *Ævsati-ში* (Аржанцева & Албегова 1999, 191). დასავლელ ალანთა თურქიზაციის პროცესში, რომელსაც, ასე-ვე, ადგილი ჰქონდა ყარაჩაელთა და ბალყარელთა ეთნოგენეზ-ში, მეორე ბერა „ვ“ ჩაანაცვლა „ფ“-მ. აქვე მკვლევრები შენიშ-ნავენ, რომ სვანური აფსაათ, ასევე, დაკავშირებული უნდა იყოს ევსტათესთან (Аржанцева & Албегова 1999, 191). მკველევრე-ბისთვის ლოგიკურად დადგა საკითხი, საიდან შეიძლება გავ-რცელებულიყო ეს კულტი ჩრდილო კავკასიაში ბიზანტიიდან თუ საქართველოდან, რაც დღესდღეობით ისევ საკამათოდ რჩება. ისინი გადაიხარწენ ბიზანტიისკენ.

მათი ნააზრევი შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად შეჯამ-დეს:

1. აფსატის კულტის შესწავლისას, ათვლის წერტილად ი.არჯან-ცევა და ზ.ალბეგოვა იღებენ ნადირობის წარმართულ ღვთაე-ბას ჩრდილოეთ კავკასიაში, რომლის სახელი უცნობი იყო.
2. კიაფარის რეკონსტრუირებულმა იკონოგრაფიამ ისინი მიიყ-ვანა მის დუბლიორ ქრისტიან წმინდანთან – წმ. ევსტათისთან და ქრისტიანობის გავრცელების საკითხებთან ჩრდილოეთ კავ-კასიაში.
3. მათი აღნიშვნით, ქრისტიანობის გავრცელების წყარო თვალ-საჩინოდ ორი იყო: ბიზანტია და საქართველო. მკვლევართა ჰი-პოთეზის მიხედვით, ქრისტიანი წმინდანის კულტი ჩრდილოეთ

კავკასიაში დასავლეთის ალანებისგან უნდა გავრცელებულიყო, რომელთაც თავის მხრივ, ის მიიღეს ბიზანტიიდან, ხოლო სვანეთში უნდა შესულიყო ოსებისგან (Аржанцева & Албекова 1991, 191).

თუ რამდენად ძველია წმ ევსტათის თაყვანისცემა საქართველოში ამაზე უძველესი ხელნაწერები და ხუროთმოძღვრების ძეგლები მონაბენ. წმ. ევსტათი პლაკიდას იკონოგრაფიის პოპულარობა და მისი ადრეული ნიმუშები, ბუნებრივია ქვეყნისთვის, რომელმაც ერთერთმა პირველმა მიიღო ქრისტიანობა.

ქრისტიანული ეკლესია (როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის) წმ. ევტათი პლაკიდას თაყვანს სცემს, როგორც დიდმონამეს, რომელიც 118 წელს რომში ეწამა იმპერატორ ადრიანეს დროს. ვარაუდით, თავდაპირველად წმ. ევსტათი პლაკიდას ცხოვრება შედგენილი იქნა ბერძნულ ენაზე, დაახლოებით V-VIIსს, შესაძლოა კონსტიტიუტიულში. ამ თარიღის სასარგებლოდ მეტყველებენ მისი ყველაზე ადრინდელი გამოსახულებები „ხილვები წმ. ევსტათი პლაკიდასი“, რომელიც ემყარება მის ცხოვრებას და ცნობილია კაპადოკიისა (დაახლ. V ს.) და საქართველოს (VI-VII სს). ხელოვნების ძეგლებიდან (ჯაფარიძე 1973, 218).

ნაშრომი ამტკიცებს, რომ წმ. ევსტათის კულტი სვანეთში ვერ გავრცელდებოდა ჩრდილო კავკასიიდან თუ სვანეთი განხილული იქნება (და ეს მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური თვალსაზრისით) მის ისტორიულ-კულტურულ და არა დასავლეთ კავკასიის კონტექსტში. ასეთ შემთხვევაში ის ხელოვნურად არ იქნება მოწყვეტილი მის ბუნებრივ ერთიან ქართულ ქრისტიანულ კულტურას. ისტორიული კონტექსტის მიხედვით, კი საქართველოში, რომელმაც ერთერთმა პირველმა მიიღო ქრისტიანობა (IV საუკუნის I ნახევარი), ფართოდ იყო გავრცელებული ევსტათი პლაკიდას კულტი. რაზეც, როგორც ზემოთ

იყო ნახსენები, მეტყველებენ საქართველოში მისი ყველაზე ად-
რინდელი გამოსახულებები (VI-VII სს.). აქედან მოყოლებული
კი (ე.ი. VI-VII სს.) ის ჩნდება მონადირე მხედრის სხვადასხვა
ფორმით და ინტერპრეტაციით რელიეფურ ქანდაკებაში, მონუ-
მენტურ მსატვრობასა, წიგნის მინიატურაში და მეორდება თით-
ქმის ყოველ საუკუნეში 18-ე საუკუნის ჩათვლით.¹

ცნობები წმ ევსტათიზე ქართულ წყაროებში შემონახუ-
ლია უძველეს მეტაფრასტულ კოლექციაში „წასაკითხი სექტემ-
ბრიდან“, რომელიც თავის მხრივ ემყარება ბერძნულ პირველ-
წყაროს და შესრულებულია ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელე-
ბის, დავით ტბელის, სტეფანე სანანოისძის, არსენი, იოანე პეტ-
რინის და სხვ. მიერ.

აღსანიშნავია, რომ ნადირობისა და თეოფანიის თემა, რო-
გორც ერთგვარი პავლეს მოდელი მირიან მეფის ქრისტიანობის
რჯულზე მოქცევის შესახებ გადმოცემაშიც ფიგურირებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კავკასიის გაქრისტია-
ნებისას ბიზანტიისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო ოუ სა-
ეკლესიო მესვეურნი ისტორიის სხვადასხვა (ჭეიშვილი 2023,
239). ეტაპზე სხვადასხვაგვარად მოქმედებდნენ და რომ ახლად
გაქრისტიანებული რომი და შემდეგ ბიზანტია იმპერიის უსაფ-
რთხოების უზრუნველსაყოფად იმპერიის საზღვრებზე მეგობ-
რული, ნახევრად დამოკიდებული ქვეყნების შემოკრებას ცდი-
ლობდა და ამ მოკავშირობის განსამტკიცებლად ბარბაროსთა
გაქრისტიანებას (ჭეიშვილი 2023, 239). ცნობილია, რომ გვიან

¹ საკითხს ამუშავბდნენ ხელოვნების ისტორიკოსების სხვადასხვა თა-
ობები, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერები (ნათელა ალა-
დაშვილი, კიტი მაჩაბელი, მარიამ დიდებულიძე, თამარ დადიანი, ეკა-
ტერინე კვაჭაჭაძე, თამარ ხუნდაძე, დევიდ უინფილდი, ვახტანგ ბერი-
ძე, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ჯობაძე, ნინო ჭიჭინაძე, ირინე
ელიზარარაშვილი, ალექსანდრე სალტიკოვი, ნიკოლ ტიერი და სხვ.)
სრული ბიბლიოგრაფია ამ საკითხზე იხ. ბოლო დროის ნინო გოდერ-
ძიშვილის ნაშრომში: გოდერძიშვილი 2020.

რომაულ და აღრე ბიზანტიურ ხანაში ქრისტიანობის გავრცელების ფორმებს „სახელმწიფო მისიონერობა“ და „ბარბაროსათა¹ მიერ ბარბაროსათა გაქრისტიანების“ პრაქტიკა წარმოადგენდა. შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა გაქრისტიანებაში და კონსტანტინოპოლის ეპარქიების შექმნის გეგმაში მონაწილეობდნენ არ მხოლოდ ქრისტიანი ბოსფორელები (ჩრდილო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში), არამედ ქართველები, სომხები და ალბანელები (ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებში, ნაწილობრივ – დასავლეთ სექტორშიც) (ჭეიშვილი 2023, 241). როგორც გ. ჭეიშვილი აღნიშნავს, ბიზანტიური და კავკასიური მისია ერთმანეთისგან და-მოუკიდებლად მიმდინარეობდა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ მოქმედებდნენ საერთო ძალისხმევით. ყველა მისიას საკუთრი მიზნები ამოძრავებდა; ამიტომ მათ საქმიანობაში მსგავსებასთან ერთად განსხვავებებიც შეინიშნება (ჭეიშვილი 2023, 241).

ფაქტია, რომ ქართველები მონღლოლთა შემოსევამდე ინტენსიურ ქრისტიანულ მოღვაწეობას აწარმოებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. ამის დამადასტურებელი საბუთებია, აღრე შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული ძეგლები ჩრდილო კავკასიაში (ნუზალის სამღლოცველო, ზრუგის ხოზიტა მად-მაირამი, ტყყობა-ერდი და სხვ., სამღლოცველოებში აღმოჩენილი 10-ე საუკუნის ფსალმუნთა ძველი ხელნაწერები, სასაფლაოებზე ქართული ანბანით შედგენილი ხუნძური ტექსტები, ტოპონიმები და სხვ.). აღნიშნულ ძეგლთა ქართულ წარმომავლობაზე მოწმობენ მათი ქართულ ხუროთმოძღვრებასთან კავშირი და ქართული წარწერები.

ქართლის ცხოვრების ცნობით, VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ (VII ს.) ჩრდილოეთ კავკასია გადასცა საქართველოს

¹ აქ ბარბაროსი იხმარება არა რომაელისა და არა ბიზანტიელის მნიშვნელობით

საეკლესიო იურისდიქციას, რასაც ბიჭვინთის იადგარი და სხვა ძეგლებიც ადასტურებენ. რაც გულისხმობს, რომ იმჟამად ჩრდილო კავკასიაში წირვა-ლოცვა ქართული იყო. ამ ეკლესიებს აერთიანებდათ საერთო სჯულის კანონი, საერთო საეკლესიო წესები და ქართული საეკლესიო ტრადიციები (ჯაფარიძე 1973, 218).

ნაშრომი ამტკიცებს, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ნადირობის მოდელი ახალ ფუნქციაში, ახალ კომუნიკაციაში გრძელდება, რომელთანაც ქრისტიანული სახვითი და სიტყვიერი კონტექსტები ასოცირდება და ასევე, განიხილავს საკითხს თუ რამდენად გამჭვირვალე და ზედაპირული საფარი შეიძლება იყოს ქრისტიანობა ნადირობის მოდელისთვის (ამ შემთხვევაში ნადირობის ღმერთისთვის). ან სხვაგვარად, დროის მობრუნებისას ანუ ქვეყნის გაქრისტიანებისას ნადირობის მოდელში ნადირ პატრონის მამრი კორელატების თავდაპირველ წყაროს ქრისტიანობა წარმოადგენს თუ წინარე ქრისტიანული ადგილობრივი რწმენა-წარმოადგენები.

ჩემი აზრით, წმ. დიდმონამე ევსტათის თაყვანისცემის წყაროს თავად მისი ცხოვრება წარმოადგენს, რომლის დროსაც მას ორემზე ნადირობისას ჰქონდა ხილვა: მან დამიზნებული ირმის რქებში იხილა ერთი ვერსიით იესო ქრისტეს სახე ან ჯვარცმა, ხოლო სხვა ვერსიით ჯვარი. კორნელი კეკელიძის (კეკელიძე 1955, 142;143) ცნობასა და კვლევაზე დაყრდნობით, ვფიქრობ, რომ თაყვანისცემის გახალხურებისთვის ხელი უნდა შეეწყო 12-ე საუკუნეში ნადირობისთვის და შესაფერისი ქრისტიანული ლოცვებისთვის სამღვდელოების მიერ სპეციალურად შეთხულ წესს. აღნიშნულ ქრისტიანულ „წესს“ ზეგავლენა მოუხდენია ხალხურ წესებზე, რის შედეგად ხალხურ წესებსა და შელოცვებში შესულა ქრისტეს სახელი და აგრეთვე წმ. გიორგის სახელი (და, სავარაუდოდ, წმ ევსტათის სახელი – ნ.ა.) (კეკელიძე 1955, 142;143).

კომუნიაციის ახალ ფორმაში მოქცეული მონადური გეგ-მა, რომელსაც მითოლოგიური იდეა იღებს, წმ. ევსტათეს და წმ. გიორგის თაყვანისცემაში, ახალი თეოფანიაა, რომელიც სამყაროს აღქმის ახალი დონის მაჩვენებელია და მიგვანიშნებს რა-ლაცაზე რაც ლოკალურად და გარკვეულ დროს ეკუთვნის გან-საზღვრულ (ამ შემთხვევაში ქართულ) კულტურას და ვლინდება ტიპურ მანერაში. წმ ევსტათის კულტი, რომლის წყაროსაც მის ცხოვრებაში თეოფანია წარმოადგენს, დროთა განმავლობა-ში გაუფერულდა და შემოგვრჩა დასავლეთ საქართველოში აფ-სატის სახით; ხოლო მისგან განსხვავებით წმ გიორგის კულტი ძლიერ ნაციონალურ სიმბოლოდ იქცა, ქართული კულტურის მკვეთრი მახასიათებლებით.

დამოწმებული ლიტერატურა:

აბაკელია, ნ. (2017), უძველესი კოსმოლოგიური ასპექტები და არქაული რელიგიური სიმბოლოები ქართველთა კულტურულ მეხსიერებაში. თბილისი: ილიას სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ბარდაველიძე, ვ. (1939), სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი: ნაწ.

1: ახალწლის ციკლი. თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი. აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი.

გოდერძიშვილი, ნ. (2020), რელიეფური სცენები მონადირე-მხედრები-თა და ზოომორფული გამოსახულებებით შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.

ვირსალაძე, ე. (1964), ქართული ხალხური სამონადირო ეპოსი, თბილისი, მეცნიერება.

კეველიძე, ვ. (1955), ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ.3. 134-145. თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- კოშევნიკოვა, დ. (1928),** საარქივო მასალა. ნადირობა (ბეზო) F.157.
<https://dinakozhevnikova.ge/>
- კოშევნიკოვა, დ. (1931),** საარქივო მასალა. მონაცემთა ბაზა. 1931. აღ-
 ბალალრალი. მულახ-მუჟალი (№1-87)
<https://dinakozhevnikova.ge/>
- მაკალათია, მ. (1977),** წარმართული ხასიათის ზოგიერთი ძეგლი სვა-
 ნეთში, სვანეთი I. თბილისი: მეცნიერება.
- რეხვიაშვილი, ს. (1968),** სად მონადირე სდევს ჯიხესა. ნადირობა სა-
 ქართველოში. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- რუხაძე, ჯ. (1999),** ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწა-
 ული საქართველოში (ბერიკაობა-ყევენობა). თბილისი: მეცნიე-
 რება.
- წერედიანი, ნ. (2005),** სვანურ ხალხურ დღეობათა საწელინადო კა-
 ლენდარი, ამირანი, ტ.11 თბილისი – მონრეალი.
- ჭეიშვილი, გ. (2023),** ქრისტიანობა ჩრდილოეთ კავკასიაში, კავკასიის
 ისტორია, ტ.1. თბილისი. არტანუჯი.
- ჯაფარიძე, ა. (1973),** საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია,
 ტ.II. თბილისი: ალიოლო.
- Arzhantseva, I. (2013),** The Cult of Saint Eustace in the North Caucasus”,
 Nâme-ye Irân-e Bâstân 11/2, pp. 1-12, Nâme-ye Irân-e Bâstân 11/2
 (2011-12): 1-12.
- Characidzé, G. (1986),** Prométhée ou le Caucase. Essai de mythologie
 contrastive, Flammarion.
- Eliade, M. (1965),** Mephistopheles and Androgynie. Studies in Religious
 Myth and Symbol. Translated by J. M. Cohen. Sheed and Ward:
 New York.
- Tuite, K. (2006),** The meaning of Dael. Symbolic and spatial associations
 of the South Caucasian goddess of game animals. In: *Language, Culture and the Individual*. A Tribute to Paul Friedrich. Catherine
 O'Neil, Mary Scoggin & Kevin Tuite (editors), pp. 165-188.
- Tuite, K. (2018),** Image-mediated diffusion and body shift in the cult of St
 Eustace in the western Caucasus , 141-151. *Le corps et le lieu*,
 Université de Montréal, Montréal.
- Албегова З.Х. (2001),** Палеосоциология аланской религии VII-IX
 вв. (по материалам амулетов из катакомбных погребений

Северного Кавказа и Среднего Дона) // Российская археология, № 2.

Аржанцева И.А., Албегова З.Х. (1999), Культовые камни Кяфарского городища (еще раз о религиозном дуализме алан). // Древности Северного Кавказа, Москва.

Бардавелидзе, В. (1980), Апсаты. Мифы народов мира. Энциклопедия. Т.1.Стр.96. Издательство: Советская Энциклопедия. Москва.

Чатолани, М. (1980), Апсати. Мифы народов мира. Энциклопедия. Т.1.Стр.96. Издательство: Советская Энциклопедия. Москва.

Nino Abakelia

Myth and symbol in the hunting mythic-ritual complexes of the Svans

The article explores the changing meaning patterns in the hunting complexes of the Svans. Accordingly, it focuses on the female patron of the hunt, called Dæl and her masculine correlates: hunter helpers Apsaat and St. George. Among these figures the oldest figure is the goddess Dæl, the cult of which weakened and diminished with the passage of time and continues its existence in the mythological and religious beliefs and practices together with St. George and the male patron of game Apsaat.

According to the recent investigations Apsaat is identified with St. Eustace (Z.Albegova, I. Arzhantseva). The proposed explanation was shared by V. Abaev and K. Tuite. I. Arzhantseva and Z. Albegova related the worship of St. Eustace to the pre-Islamic beliefs in the North Caucasus i.e., to the Christian beliefs and viewed it as a clear example the interwoven Christian and pre-existing pagan mythologies.

The generations of different specialists (E.VirsalaZe, V.Bardavelidze, M.Chikovani, Z.Albegova, I. Arzhantseva. K.Tuite and others) paid attention to the fact, that in the particular region of the Caucasus, in different gorges and among the people speaking different languages and having different confessions could be found almost identical name of the game patron – Apsaat. Accordingly, a logical question aroused: from where this cult might be spread in the North Caucasus. According to I. Arzhantseva's hypothesis it might be spread from the western Alans, who in turn, had received the cult from Byzantine and then spread to Svaneti (i.e.to mountainous western Georgia).

The present article argues that the cult of St. Eustace could not be spread from the North Caucasus for a certain set of reasons: firstly, from the methodological point of view, it would be much approved to study Svaneti and its mythic-ritual complexes in its historical and (i.e in the Georgian) cultural context than to review it just only in the west Caucasian context. In this case, it would not be artificially torn from its natural cultural environment –Georgian Christian culture. According to the historical context, in Georgia (which was one among the first countries to accept Christianity), the cult of St. Eustace was widely spread and the hunting scenes of the saint occupied important place in the medieval Georgian art. His earliest images were found in Cappadocia (in 5th century) and in Georgia (in 6th -7th cc) (Gladkova, Gerasimenko, Chichinadze). And since then (i.e. since 6th -7th cc) in Georgia it occurs and is repeated almost in every century in different forms and interpretations (in the image of the hunter-rider in relief scenes, monumental paintings and book miniatures) up to the 18th c.(Goderdzishvili). The data about the St. Eustace is saved in the old Georgian sources e.g. in metaphrastic collection, which in turn is based on the Greek primary source. It is also remarkable that in Georgia the motif of the theophany during the hunting also figures in the legend of the conversion of the King

Mirian (contemporaneous to the Roman emperor Constantine the Great) to Christianity.

It should also be taken into the consideration that the Georgians carried on intensive Christian activity in the North Caucasus before the Mongol invasion of the Caucasus. The Christian activity of the Georgians is evidenced by the early Medieval Georgian churches in the North Caucasus (Nusal, Zrug Khosita Mad-Majram, Tqoba-erdi churches, etc.). Georgian origin of these churches is attested by their relation to the Georgian architectural patterns, old manuscripts of the Georgian Psalters found in churches and the Georgian inscriptions on the aforesaid churches. Besides according to the Life of Kartli, the 6th World Council of Churches (in the 7th c) transferred the North Caucasus to the ecclesiastical jurisdiction of Georgia, (the fact is attested in other sources, as well). It meant that, at that time, in the North Caucasus the liturgy was Georgian, the above-mentioned churches were united by the common justice, common church rules and the Georgian church traditions (Ghambashidze, Japaride).

The paper argues that after the spread of Christianity the hunting pattern continues its existence in a new function, in a new communication, with which Christian imagery and belief contexts are associated. It also examines the question whether Christianity is a primary source for the patron of the hunt or does the cult of male patron of the game originate from the pre-Christian beliefs.

In my opinion, the source for the worship of St. Eustace is the hunting episode and the theophany in his life, when in the antlers of the stag he saw the face of the Saviour (or in other versions Crucifix, or simply the Cross). Taking into the consideration K. Kekelidze's research, I think it is probable that the worship might be popularized in the 12th century, when the official church leaders formulated the rules suitable for hunting Christian prayers. These rules introduced the names of Christ and the Christian saints (in our case St George and St Eustace) in the Christian prayers.

The monadic plan framed into a new form of communication, which the mythological idea acquires in the worship of St Eustace and St George represents a new theophany, reveals a new level of the worldview and refers to something that is local and something that belongs to a definite period of time (in our case to the Georgian culture), that unfolds in a typical manner.

In the course of time, the cult of the St. Eustace faded and in western Georgia (in particular, in Svaneti) it survived in the hunting beliefs, church facades and corrupted form of the name of Apsaat. As for St. George, his cult transformed into a strong national symbol with clear Georgian cultural features.

ნაცილი აზიკური

ქართული ხალხური მხატვრულ ქსოვილებს შორის ყურადღებას იქცევს საფენ-საგებლის ერთი ჯგუფი, „ჯეჯიმიანი საფენების“ სახელწოდებით, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში იქსოვებოდა. თუშეთის ყოფას მათი ქსოვის ტექნიკა მეოცე საუკუნის პირველ ნახევრამდე შემორჩა. ამ ტიპის საფენები ცალკე შესწავლის საგანი არ ყოფილა. ადრე მათი თავისებურება და სახეები განვიხილე სხვა მხატვრულ ქსოვილებთან ერთად (აზიკური 1991, 46; 68). ამჟამად წარმოვადგენ ჯეჯიმიანი ნაქსოვების ერთი სახის ქსოვის ტექნიკას, მის თავისებურებასა და თვითმყოფადობას. ესაა სხვადასხვა ტექნიკის შერევით ნაქსოვი, სხვაგვარად შერეული სახის ქსოვილები – „ჯეჯიმიანი ფარდაგები“. აქვე ყურადღებას ვამახვილებ ხალიჩური იგივე ხაოიანი ქსოვილების აღმნიშვნელ ქართულ ტერმინოლოგიაზე, კონკრეტულად კი სიტყვაზე „ჯეჯიმიანი“, რადგან ხალიჩური ნაწარმის, სხვაგვარად ხაოთი, კვანძებით ნაქსოვი მხატვრული ქსოვილების სახელწოდებად „ჯეჯიმიანი“ მხოლოდ თუშეთში გვხვდება. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ტექნიკითა და ვიზუალურადაც მნიშვნელოვნად განსხვავებულია აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული მხატვრული ნაქსოვებისაგან, რომელთაც „ჯეჯიმი“ ჰქვია. ჯეჯიმები გავრცელებული იყო ფშავში, ხევსურეთში, საინგილოში, კახეთში, ქართლში, მთიულეთში, ქსნის ხეობაში, იმერეთში, სამეგრელოში, აჭარაში, მესხეთში... და მათი ნიმუშები დღემდეა შემორჩენილი. ჯეჯიმი ესაა უხაოო, გლუვი ზედაპირის მქონე საფენი, ის სიგრძეზე ფერადზოლიანი ქსოვილია; იგი დაქსელილია ხშირადდაყენებული, მაღალი გრეხის მქონე, სხვადასხვა

ფერის ქსელით, მოსაქსელად კი ერთფეროვანი ძაფია გამოყენებული, რომელიც ქსოვისას ქსელში იმალება, ესე იგი, ასეთი საფენის ზედაპირს ქსელი ქმნის. ამ ტიპის საფენები სათანადოდაა შესწავლილი ქართულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში, ეთნოლოგი ც. ყარაულაშვილის მიერ და მანვე ასეთი საფენების დამზადების ტექნიკას „ჯეჯიმური ქსოვა“ უწოდა (ყარაულაშვილი 1975, 149-162; 150, 159). ასევე იქნა გააზრებული და მიღებული ქართულ სიტყვახმარებაშიც. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ჯეჯიმური (ჯეჯიმურისა) ასეა განმარტებული: „ჯეჯიმის მსგავსი, ჯეჯიმის ნესით ნაქსოვი, – ზოლიანი ჯეჯიმური ხურჯინი“ (ქეგლ 1964, (8) 1580). ჯეჯიმიანის და ჯეჯიმის სახელწოდებათა მსგავსების მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნე, თუშური ჯეჯიმიანი, ანუ ხაოიანი ნაქსოვები ქსოვის ტექნიკით სრულიად განსხვავებულია საქართველოში ფართოდ გავრცელებული მხატვრული ნაქსოვების ჯეჯიმებისაგან. მათ საერთო მხოლოდ ის აქვს, რომ ორივე სახის ნაქსოვებზე ქსელი ხშირადაა დაყენებული. ასევე, ხშირადაა დაყენებული ქსელი ხაოიან, ნანარმზეც და შესაბამისად ჯეჯიმიან საფენებზეც, რადგან ესეც სანახევროდ ხალიჩურად, ქსელზე ასხმული კვანძებით იქსოვება. ამ შემთხვევაში ქსელის სიხშირის მსგავსება ჯეჯიმებთან არაფერს ნიშნავს. აქ, შეიძლება, მხოლოდ ტერმინის მსგავსებასთან გვქონდეს საქმე. მათი სხვაობისათვის მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ თუშებში ასეთი ნაქსოვების აღსანიშნავად მხოლოდ „ჯეჯიმანს“ ამბობენ, თანაც მისათითებელ საგანთან კონტექსტში, მაგალითად, „ჯეჯიმიან საგორავი“, „ჯეჯიმიან ფლასი“, „ჯეჯიმიან ფარდაგი“ მაშინ როცა მხოლოდ ერთი სიტყვა ჯეჯიმი და ჯეჯიმები ცალკე აღებულ კონკრეტულ ნივთს აღნიშნავს. სიტყვა ჯეჯიმი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით სპარსულიდან მომდინარეა: „[სპარს. ჯაჯიმ] 1. ფარდაგულად ნაქსოვი ზოლიანი ქსოვილი“

[ქეგლ 1964, (8) 1580]. ფარდაგულ ქსოვილში ნაქსოვის სწორი, უხაოს ზედაპირი იგულისხმება.

ამრიგად, ჯეჯიმიანი ქსოვილი იგივეა, რაც ხალიჩური – ხაოს კვანძებით ნაქსოვი. როგორც ცნობილია, ხალიჩური, ანუ ხაორიანი ნაქსოვები ქსელის, მისაქსელის და ქსელზე ასხმული კვანძებისაგან შედგება. უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლურ ხალიჩურ ნაწარმთან შედარებით ანალოგიურ ქართულ ნაქსოვებზე წარმოდგენილი ხაოს კვანძების ოდენობა გაცილებით ნაკლებია. ზოგადქართული ხალიჩური ნაწარმის მსგავსია თუშეთში წარმოდგენილი ხალიჩური ქსოვილების ერთი რიგი. აქ ქსელში კვანძებიან რიგებს შორის ორი ან მეტი მისაქსელია გატარებული. მაშინ როცა აღმოსავლურ ხალიჩებზე წარმოდგენილ ხაორიან რიგებს შორის მხოლოდ ერთი ან წყვილი მისაქსელია, ნაქსოვია უფრო წვრილი ძაფით და ხაოს სიმაღლე უფრო დაბალია. ქართულ ხალიჩებზე კი ხაოს სიმაღლე გაცილებით მაღალია. ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ისიცაა, რომ ქართულ ხაორიან ნაწარმს ქსელი მაღალი გრეხის შალის ძაფისან აქვს გაბმული, აღმოსავლელ ხალხთა მეხალიჩეობაში კი ხაორიანი ქსოვილებისათვის აუცილებლად ბამბის ძაფია გამოყენებული.

თუშური ჯეჯიმიანი ნაქსოვების რამდენიმე სახეა ცნობილი: ბითუმჯეჯიმიანი // გამტკიცულჯეჯიმიანი – ნაქსოვის მთელი ფონი ფერადოვანი ხაოს კვანძებითაა ერთიანად მოფენილი. კვანძებიან რიგებს შორის მისაქსელი ორჯერაა გატარებული, ესენია: „ჯეჯიმიანი ფლასები“, „ჯეჯიმიანი საგორავები“, „ჯეჯიმიანი ფარდაგები“ და „ჩულები“ – ცხენის აღკაზმულობის მოსადევარი. ამავე ჯგუფის და მეორე სახის ჯეჯიმიან ქსოვილებზე მისაქსელი ოთხჯერაა გატარებული და ფორმით ვიწრო და გრძელია, ესენია „ჯეჯიმიანი საგორავები“. არის აგრეთვე ამავე ჯგუფში შემავალი, ოღონდ შერეული სახის „ჯეჯიმიანი“ და „თხლადჯეჯიმიანი“ ნაქსოვები. ესენია შერეული ტექნიკით ნაქსოვი სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების საფენები.

ასეთ საფენებზე შერეული ტექნიკა გულისხმობს იმას, რომ ერთ, კონკრეტულ ნაქსოვზე ერთდროულადაა წარმოდგენილი ქსოვის ფარდაგული (უხაოო, გლუვი ფონი) და ხალიჩური (ხაო-იანი) ტექნიკა. ასეთი ნაწარმიც ორი სახისაა: „თხლადჯეჯიმიან საფენებზე“ ქსელი ფერადია და ხალიჩური დაქსელვის შესაბა-მისად ხშირადაა დაქსელილი. მისაქსელიც ფერადია და მხო-ლოდ ნაწილობრივ არის ქსელში მიმაღული, რაც ფერის გარდა-მავალი ტონის ეფექტს იძლევა და სილამაზეს ჰმატებს. ასეთ საფენებზე ხაოს ფერად-ფერადი კვანძები კი 3-4 სმ სიგრძის არის და 6-8 მისაქსელის ინტერვალითაა წარმოდგენილი.

თუშურ ჯეჯიმიან ქსოვილებზე ნაქსოვის განსხვავებულო-ბას ქსელის სიხშირე განაპირობებს; იგი, შერეულ ტექნიკასთან ერთად, ნაქსოვის ტიპის განმსაზღვრელია. ჯეჯიმიან ნაქსოვებ-ზე ქსელი უხაოო, ფარდაგული ნაქსოვის ქსელთან შედარებით უფრო ხშირადაა გაბმული, თითქმის მიჯრით. აქ ქსელებს შო-რის მანძილი 1-1.5 მმ თუ იქნება, მაშინ როცა საფარდაგედ გაბ-მულ ქსელებს შორის მანძილი 2-4 მილიმეტრია.

დანიშნულების მიხედვით „ჯეჯიმიანი საგორავები“ ვიწრო და გრძელი საფენებია და გამოიყენება საცხოვრებელ, სამყოფო სახლში კედლის მთელ სიგრძეზე, კედლიდან კედლამდე მწვდომ დასაჯდომ ტახტზე გადასაფარებლად. მართულთხა ფორმის „ჯეჯიმიანი ფლასები“ საწოლ ტახტზე გადასაფარებლად იხმა-რება. გამოიყენება კედლის სამშვენისებადაც. „თხლადჯეჯიმი-ანი საფენები“ ლოგინებსა და საოჯახო ბარგზე გადასაფრებე-ლი დანიშნულებისაა.

ამავე ჯგუფის ხაოიან ნაქსოვებში ჯეჯიმიანი საფენების განსხვავებულ სახეს ქმნის „ჯეჯიმიანი ფარდაგები“. ასეთ მხატვრულ ქსოვილებზე ფონი ტილოსებრი ხლართით, ფარდა-გულად, სხვაგვარად უხაოდაა ნაქსოვი, გლუვია. ორნამენტები კი ფერადოვანი კვანძებითაა წარმოდგენილი, ფერადი ხაო აქ ორნამენტის ფორმას და სახეს ქმნის. თუშური სახელწოდებით

ასეთი საფენიც „ჯეჯიმიანია“ – რადგან ისიც ნაწილობრივ ხაოს კვანძებითაა ნაქსოვი. ამ სახის საფენებშიც ქსელი ხშირადაა დაყენებული, მხოლოდ შავი ფერისაა და მისაქსელიც შავი ფერის ეყრება, რათა ორნამენტის კონტური უფრო კარგად გამოისახოს. ეს არის ერთადერთი ნაწარმი თუშურ მეფარდაგეობაში, სადაც, ქსელის მსგავსად, მისაქსელიც მაღალი გრეხისაა. ამ სახის ჯეჯიმიანი ფარდაგები თვითმყოფადია თუშეთსათვის.

„ჯეჯიმიანი ფარდაგები“ დიდი ზომისაა, 5-6 და ზოგჯერ მეტი კვადრატული მეტრია. კედელს მთელ სიმაღლეზე ფარავს, ეფინება ტახტს და იატაკამდე ეშვება. საქართველოს სხვა რეგიონებში მხატვრული ქსოვილის ეს ტიპი არ გვხვდება და რამდენადაც მიმიწვდა ხელი, არც სხვა ხალხების ტრადიციულ მხატვრულ ქსოვილებშია მსგავსი რაიმე. ქსოვის ამ სტილს თანამედროვე ყოფაში წარმატებით იყენებენ მხატვარი-დიზაინერები, გობელენის ოსტატები და ფაბრიკული წარმოების ნაქსოვებშიც მსგავსი ტექნიკა ფართოდაა წარმოდგენილი. ასევე წარმატებითაა წარმოდგენილი მხატვრულ ხალიჩებზე სხვადასხვა სიმაღლეზე გაკრეჭილი ხაო, რაც ლამაზ, განსხვავებული რელიეფის მქონე ეფექტს იძლევა. ამ ტექნიკას ფართოდ იყენებენ აბრეშუმის ქსოვილების დამზადებისასაც – ნახევრად ხავერდოვანი სახის შესაქმნელად. განსაკუთრებით ფართოდ გვხვდება ეს ტექნიკა ჩინურ მეხალიჩეობაში. ტრადიციული ნაქსოვის ეს სახე მხოლოდ თუშეთში გვხვდება. აქ, ამ ტექნიკით საფენ-საგებლებს სხვა ტრადიციული საფენ-საგებლის გვერდით ძველთაგანვე ქსოვდნენ. ხალიჩების მცოდნე, გერმანელი ექსპერტის უდი ჰირშის გამოკვლევით ამ ტექნიკით ნაქსოვი მხატვრული ქსოვილების ქსოვის ტრადიცია მსოფლიოს სამკუთხეში იყო ცნობილი – მაროკოში, ბოლივიასა და საქართველოში, ესე იგი ტრადიციული მხოლოდ ამ სამ ადგილას იყო. საქართველოში კი თუშეთის ყოფამ შემოინახა და სამეცნიერო ანალიზისათვის საკმაო ოდენობის ნიმუშებია შემორჩენილი.

ქველებური ჯეჯიმიანი საფენების ნიმუშებში მთლიანად გეომეტრიული ორნამენტებია წარმოდგენილი, მოგვიანებით კი, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან და მეოცე საუკუნის ოცდაათიან-ორმოციან წლებში, მსგავსად სხვა, პარალელურად არსებული უხაოო ქსოვილებისა, აქაც ჩნდება სტილიზებული მცენარეული ორნამენტები, ზოომორფული და ანთროპომორფული ფიგურები. შესაბამისად, ძველ ნიმუშებში მცენარეულ საღებავებში შეღებილი ძაფია გამოყენებული. მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების მიჯნაზე ჩნდება ქიმიურ საღებავებში შეღებილი ფერები და მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან ადგილს მთლიანად ქიმიური საღებავები იკავებენ.

„ჯეჯიმიანი ფარდაგების“ ზომები თუშების მთიდან ჩამოსახლების და ბარში საბოლოოდ დამკვიდრების შემდეგ (მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი), ბარის მაღალჭერიანი ოთახების შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზარდა.

თითქმის ყველა, დიდი ზომის, „ჯეჯიმიან ფარდაგებზე“ წარმოდგენილია ლიტერატურაში კარგად ცნობილი და ქართულ მხატვრულ ქსოვილებზე ფართოდ გავრცელებული ტრანსნაციონალური ორნამენტის გამოსახულება: ესა სიცოცხლის დაბადებასთან დაკავშირებული ორნამენტი, რომელსაც აუცილებლად ახლავს ცისკენ მიმართული, საფენზე ვერტიკალურად აზიდული სიცოცხლის ხის მოტივი, რომელსაც ჩარჩოდ, ხშირად, ალვის ხის ორნამენტი აქვს შემოვლებული. დედის ორნამენტი ესაა მიწიერი საწყისი, სიცოცხლის ხე – ცისკენ სწრაფვა, ამაღლება და განვითარება. თუშურ ჯეჯიმიან ფარდაგებზე ქალის ამგვარ სტილიზებულ, სიმბოლურ გამოსახულებას რამდენიმე ადგილას გამოკვეთილად აქვს ჩაქსოვილი თვალები – მარადიული სიფხიზლის სიმბოლო – დედის წილხვედრი ვალდებულება. ამგვარ ორნამენტიანი საფენები სახლს განსაკუთრებულ სითბოს და სიმყუდროვეს სძენს.

ზოომორფული ორნამენტებიდან ხშირია ვერძის, ხარის, ირმის ან ირმების, ცხენისა და ფრინველების – პეპლების, ჩიტების, მამლის გამოსახულებანი; აქვეა წარმოდგენილი საყოფაცხოვრებო ნივთებიც – დოქები, ჭიქები, ბარძიმი, ფიალა...

მხატვრულმა ქსოვილებმა თანამედროვე საოჯახო მოხმარების ფუნქცია დაკარგეს. აქ აღწერილი უნიკალური ჯეჯიმიანი ფარდაგებიც აღარ იქსოვება და გარდასული დროის ნიმუშებადლაა შემორჩენილი.

სტატიაში წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ თუშური „ჯეჯიმიანი საფენების“ თავისებურებას და თვითმყოფადობას ქმნის ერთი და იმავე ნაქსოვზე ერთდროულად წარმოდგენილი ქსოვის ერთზე მეტი ტექნიკა, ესაა: ქსელისა და მისაქსელის ტილოსებრი ან ფარდაგული ხლარი, გლუვ ფონზე წარმოდგენილი ხაოს გაბნეული კვანძები ან ხაოს კვანძებით კომპაქტურად შეკრული მოტივები.

საინტერესოა რატომაა ტერმინებს შორის ასეთი მსგავსება საქართველოში ფართოდ გავრცელებულ უხაოო ჯეჯიმური ქსოვის „ჯეჯიმებსა“ და მხოლოდ თუშეთში წარმოდგენილ ხაოიან „ჯეჯიმიან საფენებს“ შორის. თვით „ჯეჯიმით“ სახელდებული ქართული საფენები (ყარაულაშვილი 1975, 150) ქსოვის ტექნიკით სრულიად განსხვავებულია აღმოსავლური და მათ შორის თურქული „ჯიჯიმებისაგან“ (Belkis 1982, 55-60). ეს ცალკე კვლევის საკითხია. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა თუშეთში წარმოდგენილი ხაოიანი საფენების აღმნიშვნელი სიტყვა „ჯეჯიმიანი“. ცნობილია, რომ სიტყვა ჯეჯილი პურეულის (ხორბლის, ქერის...) აღმონაცენის გარდა, ქართლურ დიალექტში ხაოიანი ქსოვილების აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა. როგორც ჩანს, ახლადაღმოცენებული ჯეჯილისა და ფარდაგის ხაოს გარენული მსგავსების ნიადაგზე ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში მოხდა ე.წ. ასოციაციური მეტონომია. ხაოიანმა ნაქსობმა მიიღო ჯეჯიმის, იგივე ჯეჯილის სახელწოდება (აზიკური 1999, 48). შესაძლოა ადრე ამ სიტყვას ამავე შინაარსით

საქართველოს სხვა რეგიონებში, მათ შორის თუშეთშიც გავრცელების დიდი არეალი ჰქონდა. თუშეთის ყოფამ ის დღევანდლამდე შემოინახა. ასეთ საფენებზე ჯეჯიმებს არავინ ამბობს, ეს არის გამოკვეთილად ჯეჯიმიანი, ანუ ჯეჯიმის – ხაოს მქონე საფენი. ჩანს აქ საქმე გვაქვს ქსოვილის გარკვეული სახის აღმნიშვნელ ძველ ქართულ სიტყვასთან, რომელიც ჯეჯილის ასოციაციით გაჩნდა. როგორც ქსოვის სხვა მრავალი ძველი ქართული ტერმინი ესეც დავიწყებას მიეცა და დღევანდლამდე ის მხოლოდ თუშეთის ყოფამ შემოინახა. ხალხურ ქსოვილებზე, ჩემი მუშაობის ადრეულ ეტაპზე უფროსი თაობა კარგად განასხვავებდა ქსოვილთა სახეობებს და რომელთა დაფიქსირებაც მე მოვასნარი. დღეს თუშეთშიც ისევე როგორც მთელს საქართველოში, შალის მხატვრული ქსოვილების აღმნიშვნელი სხვადასხვა დასახელება დავიწყებას ეძლევა და ყველგან შალის სხვადასხავა ტექნიკით ნაქსოვ ნაწარმს ხალიჩებად მოიხსენიებენ, რაც ხალიჩური (ხაოიანი) ნაწარმის პოპულარიზაციამ განაპირობა.

თუ მისალებია ის მოსაზრება, რომ თუშეთში ხაოიანი ნაქსოვების აღმნიშვნელი სიტყვა „ჯეჯიმი“ იგივეა რაც ამავე შინაარსით დატვირთული, ქართლში გავრცელებული სიტყვა „ჯეჯილი“, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის გაჩნდებოდა გარკვეული სახის, შედარებით თხლად განფენილი ხაოს კვანძებიანი ქსოვილის აღსანიშნავად. ის როგორც ჩანს, ახლადამოწვერილი ჯეჯილის (პურეულის აღმონაცენი) ასოციაციით შექმნილი სიტყვაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი ქართული ხაოიანი ნაწარმის აღმნიშვნელ ტერმინებს ემატება ჯეჯიმიც, იგივე ჯეჯილი, როგორც თხლად ან ფარდა-გულ ფონზე ასევე თხლად, ოღონდ ჯგუფ-ჯგუფად (ორნამენტის შესაბამისად) წარმოდგენილ ხაოთა აღმნიშვენლი ტერმინიც,

რომელსაც სპარსულ სიტყვა „ჯაჯიმთან“, ფონეტიკური მსგავსების გარდა, სხვა საერთო არა აქვს რა.

დამოწმებული ლიტერატურა:

- აზიკური, ნ. (1999), თუშური ფარდაგი, თბილისი, „კუნა გეორგიკა“.
- ქეგლ (1964) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. 8, თბილისი, „მეცნიერება“.
- ყარაულაშვილი, ც. (1975), ქსოვილების დამზადების ხალხური წესები აღმოსავლეთ საქართველოში („ჯეჯიმური ქსოვა“) // საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXXI-B, თბილისი, გვ. 149-164, „მეცნიერება“.
- Belkis, B. A. (1982), Kilim-cicim zili-sumak, Istanbul (თურქულ ენაზე).

Nanuli Azikuri

Georgian Artistic Tradition of Folk Weaving (‘Jejimi’ style covers and rugs from Tusheti)

The paper discusses one of the artistic traditions of textile weaving widespread in Tusheti, the weaving process of which represents the simultaneous application of several types of traditional techniques. The term describing the tradition of "jejimi cover" (jejimiani sapheni) is analysed. It is assumed that "jejimi" could be the same as "jejili" in Kartlian dialect, which, in addition to meaning the newly germinated cereal in a field, was also used to denote the tufty fabric. It seems that on the basis of the external similarity of "Jejili" and the tuft of a rug, the so-called associative metonymy took place in the consciousness of the linguistic community. Thus, the weaving of a textile with a tufty, velvety surface acquired the name Jejimi (i.e., the same as Jejili).

თეიმურაზ გვიმრაძე

ეთნოლოგიის კათედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ეთნოლოგია-ეთნოგრაფიის კათედრას თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტში ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია აქვს. მისი მესამირკვლე იყო ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომელიც 50 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ეთნოგრაფების მომზადებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქართველ ეთნოგრაფთა ის კადრები, რომლებიც მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ უმაღლეს სასწავლებლებში და სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში, ძირითადად ეთნოგრაფიის კათედრისა და მისი დამაარსებლის, ბატონ გიორგი ჩიტაიას აღზრდილებიარიან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეთნოგრაფია ეთნოლოგიის სახელწოდებით 1921 წლიდან იყო ბიოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოლოგიის კათედრაზე, რომელსაც გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა.

1926 წელს ივანე ჯავახიშვილის რეკომენდაციით ეთნოლოგიის განხრით კათედრის პირველ ასპირანტად ჩაირიცხა გიორგი ჩიტაია.

1934 წელს ახლად დაარსებულ ისტორიის ფაკულტეტზე გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით იქმნება „მატერიალური კულტურის ისტორიის კათედრა“, რომელიც აერთიანებდა: არქეოლოგიას, ეთნოგრაფიასა და ხელოვნების ისტორიას.

1935 წლიდან 1938 წლამდე არქოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრა იწოდებოდა „წინაკლასობრივი საზოგადოების ისტორიის კათედრად“ – ხელმძღვანელი გიორგი ნიორაძე.

1939 წელს გიორგი ჩიტაიას ენერგიული მუშაობის შედეგად უმაღლესი სკოლების საკავშირო კომიტეტის განკარგულებით

ცალკე გამოეყო ეთნოგრაფიის კათედრა და გამგედ დაინიშნა გიორგი ჩიტაა. თბილისის უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრა რიგით მეორე იყო მოსკოვის უნივერსიტეტის შემდეგ. ახლად დაარსებული კათედრის წევრები იყვნენ: ისტორიის მენიერებათა კანდიდატი ვერა ბარდაველიძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან ხარაძე. ასპირანტები: მიხეილ გეგეშიძე და მიხეილ ჩართოლანი. 1940 წლიდან აკაკი სოხაძე, ილია ჭყონია, იოსებ ნანობაშვილი და მარგარიტა ადამია. 1939 წლის თბილისის უნივერსიტეტის წესდებით სტუდენტთა მომზადება ხდებოდა 31 ძირითად სპეციალობაში. მათ შორის იყო ეთნოგრაფიის სპეციალობა.

1940 წლის 1 თებერვლით თარიღდება ეთნოგრაფიის კათედრის პირველი ოქმი, რომელიც საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ეთნოგრაფიის სწავლების საწყისი პერიოდი საქართველოში. ეთნოგრაფიის კათედრის წევრების მიერ იკითხებოდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული: 1. ზოგადი ეთნოგრაფია, 2. წინა აზის ეთნოგრაფია, 3. კავკასიის ეთნოგრაფია, 4. რელიგიის ისტორია, 5. სოციალური გადმონაშთების სპეციურსები და სპეც-სემინარები. ოქმს თან ახლავს სამეცნიერო თემატიკის ჩამონათვალი და თანამშრომლების გვარები, რომლებსაც ევალებოდათ აღნიშნული თემების დამუშავება. ახლად დაარსებული კათედრა ამუშავებს რიგ საკითხებს ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის, სოციალური ყოფისა და რელიგიის ისტორიიდან. კათედრის სხდომებზე იკითხება სამეცნიერო მოხსენებები. მაგალითად: გიორგი ჩიტაა – „ხევსურული მშვილდისარი“, რუსუდან ხარაძე „მაქსიმ კოვალევსკი და საქართველოს ეთნოგრაფია“ და სხვ.

გიორგი ჩიტაა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველანაირად ცდილობდა სტუდენტთა ჩაბმას საექსპედიციო საქმიანობაში, რათა აუდიტორიაში მიღებული ცოდნა სტუდენტს გაემყარებინა ველზე შეკრებილი მასალებით.

1940 წლის ივლისში გიორგი ჩიტაიას ინიციატივით, ხევსუ-რეთში, ბარისახოში გაიხსნა ეთნოგრაფიული სტაციონარი (პირველი სტაციონარი ყოფილ საბჭოთა კავშირში), სადაც საველე საქმიანობას ეზიარა ეთნოგრაფების მრავალი თაობა.

1945 წელს ეთნოგრაფიის კათედრასთან იქმნება კაბინეტ-მუზეუმი (მდებარეობდა II კორპუსის I სართულზე და ეკავა ორი ოთახი), სადაც განთავსებული იყო მაკეტები, მულაჟები, მსოფლიოს მოსახლეობის ანთროპოლოგიური ტიპების ამსახველი ფერადი ფოტოები. ექსპონატები შემოწირულობით იქნა მიღებული სახელმწიფო მუზეუმიდან. კათედრის ბიბლიოთეკა შეივსო კათედრის წევრების მიერ შეგროვებული წიგნებით. კაბინეტ-მუზეუმი სისტემატიურად ივსებოდა სტუდენტთა მიერ საველე მუშაობის დროს შეგროვებული ექსპონატებით. „სამეცნიერო და სასწავლო პროცესების წარმოებით ეთნოგრაფიის კაბინეტი მოწინავეა უნივერსიტეტში“ – წერდა აკადემიკოსი ვიქტორ კუპრაძე 1953 წელს.

1951 წელს ეთნოგრაფიის კათედრა გაუქმდა და სპეციალობა ეთნოგრაფია შეუერთდა არქეოლოგიის კათედრას, 1953 წლიდან კი ხელოვნებათმცოდნეობას. 1966 წელს გაუქმდა ეთნოგრაფიის კაბინეტი და იქ არსებული მასალები და ექსპონატები მიმოიფანტა.

1968 წლიდან ეთნოგრაფია კვლავ ცალკე კათედრად ჩამოყალიბდა და მას გიორგი ჩიტაია 1973 წლამდე ხელმძღვანელობდა.

1973 წელს გიორგი ჩიტაიამ ასაკის გამო თავისი წებით დატოვა ეთნოგრაფიის კათედრის გამგის თანამდებობა და გადავიდა კათედრის პროფესორ – კონსულტანტად. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდა მეცნიერთა შერჩევასა და მომზადების საქმეში.

1973 წლიდან 1983 წლამდე ეთნოგრაფიის კათედრას ხელმძღვანელობს დოცენტი ანდრო ლეკიაშვილი (ამ დროს ეთნოგ-

რაფიის კათედრა I კორპუსის II სართულზე იკავებს მოკრძალებულ ადგილს. ამ პერიოდში კათედრაზე მუშაობენ: პროფესორი გერცელ ჩაჩაშვილი, პროფესორი მიხეილ გეგეშიძე (მოწვეული ლექტორი), დოცენტი სიმონ ჭანტურიშვილი, დოცენტი იოსებ კვიციანი, ირაკლი სურგულაძე, ოთარ მიმინოშვილი, ზურაბ კუტალეიშვილი, ჯილდა ქვლივიძე, ნანული კალმახელიძე, მოგვიანებით თინა ღუდუშაური.

1983 წლიდან 2006 წლამდე ეთნოგრაფიის კათედრას ხელმძღვანელობს პროფესორი ვახტანგ შამილაძე (შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი). მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო ბატონი ვახტანგის მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიუხედავად მისი აქტიური პოლიტიკური საქმიანობისა (ის იყო საკავშირო და რამდენიმე მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი). მისი ხელმძღვანელობით კათედრის წევრებმა თარგმნეს გიორგი მარკოვის დამხმარე სახელმძღვანელო „ეთნოგრაფია“ (გამოიცა 1991 წელს). მანამდე ეთნოგრაფიაში დამხმარე სახელმძღვანელო არ არსებობდა და სტუდენტთა მომზადება ხდებოდა „ჩიტაიას სვეტებით“. ამას მოჰყევა რამდენიმე დამხმარე სახელმძღვანელოს გამოცემა (ს. ჭანტურიშვილი „ეთნოლოგია“, „ეთნოლოგის საფუძვლები“, „ეთნოლოგის ქრესტომათია“ და სხვ.)

ბატონი ვახტანგის ინიციატივით კათედრასთან შეიქმნა „ეთნიკური კულტურისა და ეროვნული ტრადიციების შემსწავლელი სამეცნიერო ლაბორატორია“, (ხელმძღვანელი ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი); „ეთნოეკოლოგის სამეცნიერო ლაბორატორია (ხელმძღვანელი თ. ცაგარეიშვილი); შეიქმნა სპეციალური ჯგუფი „ეთნოგრაფიული მოგზაურობა საქართველოში“ (წევრები: ვ. შამილაძე, ო. მიმინოშვილი, თ. გვიმრაძე, თ. ღუდუშაური).

ბატონი ვახტანგის დაუღალავი მცდელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დადგენილების საფუძველზე და უნი-

ვერსიტეტის რექტორის ბრძანებით 1987 წელს შეიქმნა აკადე-
მიკოს გიორგი ჩიტაას სახელობის კაბინეტი (კაბინეტის გამგე
1987 წლიდან 1991 წლამდე იყო თეიმურაზ გვიმრაძე). კათედ-
რას შეეცვალა სახელი და ენოდა „ეთნოლოგიის“ კათედრა. გა-
უმჯობესდა კათედრის მატერიალური პაზა (კათედრა განთავ-
სდა I კორპუსის II სართულზე N87 კაბინეტში). გიორგი ჩიტაას
კაბინეტში მოეწყო მცირე გამოფენა ქართული ყოფისათვის და-
მახასიათებელი ნიმუშებისა. კაბინეტის ერთ კედელზე განთავ-
სდა საქართველოს რელიეფური რუკა, რომელზეც დატანილი
იყო საცხოვრებელი ნაგებობების ტიპები კუთხეების მიხედვით
(ავტორი ზურაბ წერეთელი). კათედრამ გააქტიურა მუშაობა და
თანამშრომლობა კავკასიის, ევროპისა და ამერიკის შესაბამის
სამეცნიერო ცენტრებთან. ბატონი ვახტანგი იყო გიორგი ჩიტა-
ას საქმის ღირსეული გამგრძელებელი. მისი მოღვაწეობის
დროს კიდევ უფრო გაიზარდა კონტაქტები თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სხვადასხვა სამეცნი-
ერო და პედაგოგიურ ცენტრებთან. ბატონი ვახტანგ შამილაძე
ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართველ ეთნოლოგთა შორის,
რომელმაც უშუალოდ გააგრძელა გიორგი ჩიტაას, ვერა ბარ-
დაველიძის, რუსუდან ხარაძის, ალექსი რობაქიძისა და სხვათა
ტრადიციები და თავის კოლეგებთან ერთად განავითარა ქარ-
თული ეთნოლოგიური სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი
მიმართულება – კავკასიათმცოდნეობა. ვახტანგ შამილაძემ,
რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემიის კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანა-
მაშრომლობის კომისიას, დიდი ძალა და ენერგია შეაღია, რათა
აღედგინა სსრკ-ს დაშლის შემდეგ წლების განმავლობაში შეწ-
ყვეტილი მეცნიერული კონტაქტები კავკასიის ქვეყნებთან და
მათ სამეცნიერო წრეებთან. თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის ეთნოლოგიის კათედრა არაერთგზის ყოფილა მასპინძე-
ლი საერთაშორისო კონფერენციებისა. ბატონ ვახტანგს, რო-
გორც კათედრის გამგეს და დარგის აღიარებულ სპეციალისტს,

ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, ოფიციალურ ოპონენტად, ექსპერტად, რეცენზირტად. მისი მონაწილეობით საზღვარგარეთ დაცულია 12 სადოქტორო დისერტაცია.

2006 წელს ეთნოლოგიის კათედრის საფუძველზე შეიქმნა „ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი”, რომელიც წარმატებით აგრძელებს იმ შესანიშნავ ტრადიციებს, რომელთა ფუძემდებლები ჩვენი დიდი მასწავლებლები იყვნენ.

დამოწმებული ლიტერატურა:

გვიმრაძე, თ. (2015), ვახტანგ შამილაძე, 80. თბილისი.

ჩიტაია, გ. (2001), შრომები, ტ. IV. თბილისი.

ჯორბენაძე, ს. (1988), თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია. თბილისი.

Teimuraz Gvimiradze

Department of Ethnology at Tbilisi State University

The Department of Ethnology-Ethnography at Tbilisi State University has a long and interesting history, its founder was academician Giorgi Chitaia, the founder of the Georgian Ethnological School, who for 50 years led the training of new generation of ethnographers. Since 1921 ethnology was consistent part of the Department of Biology, Anthropology and Ethnology at the Tbilisi State University under the leadership of Giorgi Javakhishvili. In 1926 by the recommendation of Ivane Javakhishvili, Giorgi Chitaia was enrolled as a post-graduate student. In 1934, under the leadership of Giorgi Nioradze, the Department of History of Material Culture was created at the newly established Faculty of

History, which combined: archaeology, ethnography and art history. From 1935 to 1938, the Department of Archeology and Ethnography was called the “Department of the History of Pre-Class Society” (Head Giorgi Nioradze). In 1939, as a result of Giorgi Chitaia’s activities, the Department of Ethnography was separated and Docent Giorgi Chitaia was appointed on the position of Head of the Department. The first protocol of the newly established ethnography session dates back to 1940, which allows us to restore the initial period of teaching ethnography in Georgia. In the same year, the first Ethnographic Field Station was established in Barisakho, Khevsureti. In 1951, the Department of Ethnography was abolished and joined the Department of Archaeology. From 1968, ethnography was again formed as a separate Department and it was headed by Giorgi Chitaia until 1973. Between 1973 and 1983, the Department of Ethnography was headed by Docent Andro Lekashvili, who was replaced by Professor Vakhtang Shamiladze. As a result of tireless work of Prof. Shamiladze, a scientific laboratory for studying ethnic culture and national traditions, as well as a scientific laboratory of ethnoecology were created by the Department. “Academic Giorgi Chitaia’ Cabinet” was opened in 1987. At the same time, the Department of Ethnography changed its name and was called the Department of Ethnology, which existed until 2006. In 2006, on the base of the Department of Ethnology the “Teaching Scientific Institute of Ethnology” was established, which successfully continues the excellent traditions.

როზეფა გუჯეჯიანი

რელიგიური ვითარების ტრანსფორმაციის პროცესი სვანეთში გვიანი შუასაუკუნეებიდან დღემდე (ტერმინი „პაპ“/„ბაპ“)

ცნობილია, რომ სვანეთში კარგად განვითარებული ქრისტიანული კულტურა არსებობდა. ეპარქიულად, ჩვენამდე მოღწეული წყაროების მიხედვით, სვანეთი ორ ნაწილად იყოფოდა, ბალსქვემო ნაწილი ცაიშელს ეკუთვნოდა, ბალსზემო და ქვემო სვანეთი ცაგერელ ეპისკოპოსს. ამავე დროს, სვანეთის საისტორიო დოკუმენტებში არაერთგზის იხსენიება ადგილობრივი მაღალი იერაქრიის სასულიერო პირის სახელოც – სეჭიელი ქორეპისკოპოსი. ის უშუალოდ მესტიის თემის შუაგულში არსებულ სეჭში მოღვაწეობდა.

მას შემდეგ, რაც საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, სვანეთი გარკვეული პერიოდი იმერეთის სამეფოში შედიოდა, შემდეგ კი თანდათანობით დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა. ამ დროიდანვე, ანუ, გვიანი შუასაუკუნეების დასაწყისიდან, სვანეთის რელიგიური ვითარება მკვეთრად შეიცვალა.

საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულად დაქუცმაცების შემდეგ, განსაკუთრებით კი XVII-XVIII საუკუნეებში ახალი ფორმები იქმნება სვანეთის ყოფით ყოველდღიურობაშიც, რაც განაპირობა საქართველოს ზოგადმა ვითარებამ.

სვანეთი, გარდა იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ქმნიდა დიდ ქართულ ეროვნულ კულტურას, სხვა განსაკუთრებულ ფუნქციასაც ასრულებდა: „დაიწყო თუ არა საქართველოს პოლიტიკური წარუმატებლობა, მაშინვე აშკარად გამოიკვეთა მთის თავდაცვითი ფუნქცია... ხვარაზმელებთან განცდილი მარცხის შემდეგ საქართველოს მთამ კვლავ დაიბრუ-

ნა საფარის ძველი ფუნქცია... სვანეთის მხარე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საიმედო ზურგი და თავშესაფარი იყო იქ მცხოვრები თავისუფალი მოლაშქრეებით“ (სტეფნაძე 1983, 49-50).

თამაზ ბერაძის დაკვირვებით, „შუაფეოდალურ ხანაში სვან წარჩინებულთა ეკონომიკური სიძლიერე ნაწილობრივ ბარზე იყო დამოკიდებული, სადაც მისი წარმომადგენლები მეფის სამსახურში იქნევდნენ ხმალს და გასამრჯელოდ პარში ყმა-მამულს ან კიდევ ფულს იღებდნენ. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში მონაცემთა გაბატონებამ სვანთა წარჩინებული წოდების ქონებრივ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა. შენყდა ქართველთა წარმატებული ლაშქრობანი მეზობელ ქვეყნებში, რამაც საქართველოს ყველა კუთხის ფეოდალთა შემოსავალი მნიშვნელოვნად შეამცირა. დავით ნარინმა სპეციალური გამოსალები „სასვანოც“ კი დააწესა, რათა სვან წარჩინებულთათვის ამგვარი დანაკლისი ნაწილობრივ მაინც შეევსო“ (ბერაძე 1983, 29).

მას შემდეგ რაც სვანეთი გამოეყო იმერეთის სამეფოსაც, სვანი არისტოკრატები, რომლებიც დიდად დაფასებულნი იყვნენ სამეფო კარზე, მათი მხედრული ნიჭის გამო, უკვე ვერ იღებდნენ ხელფასსა თუ წყალობის სახით ბარად მიწა-წყალსა და სხვა სახის ჯილდოებს მეფეებისაგან და დღითიდლე მცირდებოდა მათი შემოსავალი და კნინდებოდა სოციალური სტატუსი.

ბუნებრივია, რომ მცირემინანი სვანეთი, ცენტრალური ხელისუფლების დაუხმარებლად, ვერ უზრუნველყოფდა ფეოდალური სახლების არსებობას, ამიტომ ბალსზემო ნაწილში თანდათანობით ნომინალურ სახესლა ინარჩუნებს არისტოკრატთა ძალაუფლება და ძლიერდება თავისუფალ მეთემეთა სოციალური სტატუსი და ფუნქცია. პარალელურად კი მნიშვნელოვანი დატვირთავას იძენს ხალხური თვითმმართველობის ფორმები. სავარაუდოდ, ამ დროიდან ჩნდება დოკუმენტებში

„ერთობილი სვანეთის ჭევის“ ის სოციალური ნიშნები, რაც შემდგომი საუკუნეების საისტორიო ძეგლებიდანაც იკითხება. „ერთობილი სვანეთის ჭევში“ სამეფო ხელისუფლების გავლენის მოსპობამ ძალზე უარყოფითად იმოქმედა აქ მოსახლე აზნაურთა („გარგთა“) სოციალურ სტატუსზე. მათზე დამოკიდებულ კომლთა ვალდებულებათა უმეტესობა თანდათანობით ფიქციად გადაიქცა. ფაქტიურად, XVIII ს-ში ძველი ერთობილი სვანეთის ჭევი „უბატონი“ თემების კრებულად გადაიქცა“ (ბერაძე 1983, 30).

განსხვავებული ვითარება შეიქმნა ბალსქვემო სვანეთსა და ქვემო სვანეთში, სადაც არისტოკრატიამ (რუჩეგიანები/რიჩეგიანები, დადეშქელიანები, გელოვანები, გარდაფხაძეები...) ძალაუფლება შეინარჩუნა და ამ მხარეებში რუსეთის მიერ გატარებულ საგლეხო რეფორმამდე ბატონყმური ურთიერთობები არსებობდა.

სვანეთის სამივე მხარის სულიერ და კულტურულ-საგნა-მანათლებლო ცხოვრებასაც რეგრესი დაეტყო: აღარ არსებობენ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციები და სახელოები – სეტის ქორეპისკოპოსი/სეტიელი, ცაშისა და ცაგერელის საეპისკოპოსოები. ბარიდან სვანეთში უკვე არ იგზავნებიან სწავლული სასულიერო პირები, ეკლესიებს შემოაკლდა წმიდა ლიტურგიკისათვის საჭირო ინვენტარი და ა. შ. ამ პრობლემის შესახებ ჯერ კიდევ 1665 წელს წერს ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (1636-1672 წწ.).

მაკარიოს III ანტიოქიის პატრიარქი იყო 1647 წლიდან 1672 წლამდე და მან რუსეთში მოგზურობის დროს ორჯერ შემოიარა საქართველოში (1664-66 და 1669 წლებში). მის თხზულებაში დაცულია მეტად საყურადღებო ინფორმაცია იმ დროინდელი დასავლეთ საქართველოსა და მათ შორის სვანეთის შესახებაც: „ჩვენ გვეახლა სვანთა ტომის წინამდლოლი. ეს იყო 110 წლის მოხუცი. მას ახლდა დიდი ჯამაათი. როცა ნახა ჩვე-

ნი წირვა-ლოცვა და ჩვენი ქადაგება მოისმინა, გაოცდა. იგი და მთელი მისი ჯამაათი მოინათლა, გვთხოვა, ნავყოლოდით მის ქვეყანაში სხვა თანატომელთა მოსანათლავად. ესაა რიც-ხვმრავალი ტომი, რომელიც დღემდე ქართველებს ემორჩილება. სვანებს ორი ეპისკოპოსი ჰყავთ, რომლებიც ქართველთა ქვეყანაში ცხოვრობენ და მხოლოდ სახელი აქვთ აქაური სამწყსოს მღვდელმთავრებისა. ეს ეპისკოპოსები სულ არ მიდიან სვანებთან და არ მოძღვრავენ მათ. ესენია ცაგერელი ეპისკოპოსი და ცაშიელი ეპისკოპოსი. ცაგერელმა ეპისკოპოსმა გვაუწყა, რომ მის სამწყსოში – მოხსენებულ სვანთა ქვეყანაში – 60-ზე მეტი სოფელი შედის. ყველაზე პატარა სოფელში 600 კომლი და უფრო მეტიცაა, მათ თორმეტიათასი მეომრის გამოყვანა შეუძლიათ. სვანთა უმეტესობა უნათლავია იმის გამო, რომ არავინ ჰყავთ, ვინც დამოძღვრავდა. ამ ეპისკოპოსმა ისიც მითხრა, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში არასოდეს ვყოფილვარ სვანებთან, ისინი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანებიო. ასევე მხოლოდ სახელით ითვლება სვანთა ეპისკოპოსად ცაიშელიც... ჩვენ ვერ შევძელით მათთან წავსულიყავით, რათა დაგვემოძღვრა, მოგვენათლა და სჯული გვესწავლებინა” (მაკარი ანტიოქიელი 1982, 110).

მაკარი ანტიოქიელის ტექსტში საუბარია ცაიშელისა და ცაგერელის სახელოებზე, რომლებიც იმ დროისათვის უკვე ველარ აგზავნიდნენ სვანეთში წიგნიერ სასულიერო პირებს და ეს კუთხე პერმანენტული კანონიკური სწავლებისა თუ რელიგიური ატრიბუტიების მძაფრ დეფიციტს განიცდიდა.

სვანეთის „ერთობილი ჭევი“ ხანგრძლივი დროის მანძილზე (XVI-XVIII საუკუნეები) უმკლავდებოდა ერთიანი საქართველოს დაშლის უმძიმეს შედეგებს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ტრადიციულ საერო და სასულიერო მართლწესრიგს, ცხადია,

ტრანსფორმირებული სახით, რელიგიურს კი – პაგანიზებული ფორმით.

ამავე დროს, სვანეთს საკუთარი თავის ამარა უწევდა ჩრდილოკავკასიელთა შემოსევებთან გამკლავება, ხეობისა და ოჯახის დაცვა, რამაც როგორც ყოფით ცხოვრებაში, ასევე ხალხური არქიტექტურის თვალსაზრისითაც გარკვეული ნოვაციები წარმოქმნა: სოციალური კავშირები თავდაცვისა და გადარჩენის საშუალებად იქნა მოაზრებული – თავდაცვის საჭიროება ქმნიდა თავდაცვითი კოშკების აგების აუცილებლობას და სხვ.

მოიშალა ბართან დამაკავშირებელი ტრადიციული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი. კომუნიკაცია იმერეთთან, სამეგრელოსთან და აფხაზეთთან ინდივიდუალური სახისა გახდა. ეკონომიკური ცირკულაციის შეფერხებამ კარჩაკეტილი, ნატურალური მეურნეობა ჩამოაყალიბა, რაც გაუყოფელ (დიდ) ოჯახთა რიცხვის ზრდასაც განაპირობებდა.

ცხადია, რომ ამგვარ მძიმე ვითარებაში მოსახლეობას უნდა მოექცენა გადარჩენის გზები და ასეთად მათ მიიჩნიეს „ეკლესიის“ როლის გაძლიერება, რაც იქცა ტრადიციული მართლწესრიგის შენარჩუნების მთავარ მექანიზმად.

სავარაუდოდ, სწორედ ამ პერიოდიდან მოყოლებული, ეკლესია-მონასტერთა მცველებად უკვე გევვლინება უშუალოდ მთელი თემი. ადგილობრივი ქმნიან ეკლესიის მართვისა და დაცვის ხალხურ ფორმას და საგულდაგულოდ უვლიან ჯვარსაჭაც, სხვა სახის საგანძურსაც, სახატო მიწებსაც და ტყესაც (გუჯეჯიანი 2008). ამ მიზნით იქმნება მთელი სოციალური ინსტიტუტი: მღვდელი, ან ხალხური „მღვდელი“, „მოკილ“ – ეკლესიის გასაღების მფლობელად შერჩეულ პირთა ჯგუფი, მთელი თემი. ამ ნაშრომში ვიმსჯელებთ მხოლოს მღვდლის (სვანურად, „პაპ“/„ბაპ“) ხალხური ინსტიტუციის შესახებ.

რა იგულისხმება ტერმინ „ეკლესიის“ ქვეშ ამ დროიდან?

ცნობილია, შუასაუკუნეების სვანეთის საზოგადოების ყოფით ყოველდღიურობაში უმნიშვნელოვანეს როლს ეკლესია ას-რულებდა. ქვეყნის ერთიანობის დაშლის შემდეგ კი ეკლესიის, როგორც ასეთის, სულიერი და სოციალური ფუნქცია კიდევ უფრო გაიზარდა: ის მოიაზრებოდა თვითგადარჩენისა და ტრა-დიციული მართლწესრიგის შენარჩუნების, ანუ, ყოფის მომწეს-რიგებელ მექანიზმად. ესე იგი, ამ დროიდან „ეკლესიის“ ფუნ-ქციაა არა მხოლოდ სულიერი ცხოვრების წარმართვა, არამედ ის ქცეულია ეროვნული სამართლისა და ტრადიციული მარ-თლწესრიგის არსებობის მთავარ დასაყრდენ ძალად. ეს პროცე-სი თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი სვანეთის საისტორიო დო-კუმენტებში (წყარო: სილოგავა 1986).

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: როგორც უკვე ითქვა, გვიანი შუა საუკუნეების სვანეთის ეკლესიებში თითქმის აღარ არიან სწავლული და ნაკურთხი მღვდლები. მათ ნაცვლად მღვდლობას შინგანსწავლული, ძირითადად, მემკვიდრეობითი გზით მიღებული ცოდნით – მამისაგან შვილისათვის ცოდნის გადაცემით – მოვლენილი პირები სწევენ, რომელთაც, ასევე, „პაპ“/„ბაპ“ შეერქვათ, როგორც მანამდეც ეწოდებოდა მღვდელს სვანეთში. „პაპ“/„ბაპ“ მღვდლის მნიშვნელობით, სავა-რაუდოდ, ადრექრისტიანული ხანიდან დამკვიდრდა უცხოურის გავლენით. თუმცა ტერმინ „პაპას“ ქართული ენობრივი სამყა-რო წინაპრის მნიშვნელობითაც იცნობს.

არსებობდა გამონაკლისებიც, გადმოცემებით ცნობილია რამდენიმე „პაპის“/„ბაპის“ ისტორია, რომელთაც მოუხერხები-ათ გელათში ცოდნის შეძენა და მიუღიათ მღვდლად კურთხევის პატივიც. სწავლულ და ნაკურთხ მღვდელთაგან განსხვავებულ, ამ ახალი წესით „დადგენილ“, „მღვდლებს“, რასაკვირველია, ბევრად მცირე ცოდნა ჰქონდათ თეოლოგიისა, ვიდრე წინამორ-ბედ სასულიერო პირებს, თუმცა გამოუვალი ვითარებისა გამო,

საზოგადოებამ ცნო მათი ერთგვარი ლეგიტიმურობა და მათ მიმართაც ჩამოყალიბდა მოწინებისა და ნდობის განცდა.

სვანეთის ეკლსია-მონასტერთა დაცვისა და ღვთისმსახურების ხალხური ფორმების შესახებ ჩვენს დრომდე მოღწეული ყველაზე ძველი აღნერილობა რუს მოხელეს, არქეოლოგსა და ნუმიზმატს, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, გენერალ-ლეიტენანტ ივანე ბართოლომეის (1813-1870 წწ.) ეკუთვნის. ცნობილია, რომ ი. ბართოლომეიმ 1853 წლის ივლისში იმოგზაურა ბალსზემო სვანეთში. რასაკვირველია, მისი მოგზაურობა რუსეთის იმპერიის მიზნებს ემსახურებოდა – ზემო სავნეთის ვითარების შესწავლას ამ მხარის საბოლოოდ დაპყრობის მომზადებისათვის (Бартоломей, 1855, 150). ი. ბართოლომეი ამ საკითხზე ვრცლად მოგვითხრობს კალის წმიდა კვირკეს მონასტრის აღნერისას. მისი დაკვირვებით, კალელები საგულდაგულოდ იცავდნენ ტაძარს და იქაურობას დღე და ღამ ყარაულობდნენ შეიარაღებული მცველები, ღვთისმსახურებას კი სასულიერო პირთა შთამომავლები, ე. წ. დეკანოზები ასრულებდნენ (Бартоломей, 1855, 161-162).

ბართოლომეის აღნერილობით, ეკლესიის გალავანთან მათ შვიდი „დეკანზი“ – კალის თემის შვიდი სოფლიდან შეჰვებებია, რომლებიც იყვნენო შთამომავლები ძველი ნაკურთხი მღვდლებისათვის (Бартоломей, 1855, 162). ი. ბართოლომეი უაღრესად წევატიურად საუბრობს ამ პიროვნებებზე, რაც, ზოგადად, დამახასიათებელია რუსი მკვლევარ-მოგზაურების ნაწილისა და მოხელეებისათვის, ისინი უმრავლეს შემთხვევაში ტენდენციურნი არიან ქართველ მთიელთა აღნერისას.

ი. ბართოლომეის აღნერილობაში ნახსენები ტერმინი „დეკანზი“, რაც საეკლესიო იერარქის სახელწოდებაა, უცნობია სვანეთის ხალხური რელიგიური სისტემისათვის, მას მხოლოდ საეკლესიო წიაღში იცნობენ სვანები. თუმცა, „დეკანზი“ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფისათვის ნაცნობი

ტერმინია ხალხურ ყოფაშიც. სავარაუდოა, რომ ეს სიტყვა ი-ბართოლომეიმ აღმოსავლეთ ქართველ მთიელთა ყოფიდან აიღო და მექანიკურად მიუსადაგა სვანეთის ხალხურ სარიტუალო პრაქტიკას. სვანეთის სინამდვილეში, როგორც უკვე ითქვა, ამგვარ „საეკლესიო მსახურთ“ ნამდვილი მღვდლის მსგავსად, „პაპ“/„ბაპ“ ჰქვია და ამ ინსტიტუციის შესახებ ვრცლად ქვემოთ ვიმსჯელებთ.

ი. ბართოლომეის მონათხრობით: „დეკანოზებმა“ მიქელა-ძეს და ბართოლომეის გაულეს წმიდა კვირიკეს ეკლესიის კარი, დაათვალიერებინეს სიწმინდეები, „ეკლესია ნაგებია უხეშად თლილი ქვით და შემოზღუდულია ნახევრად დანგრეული ქვის კბილოვანი გალავნით. ეკლესიის გარშემო მომცრო ზომის ქვის კელიებია, სადაც ოდესლაც ცხოვრობდნენ მონაზვნები ახლა კი მორიგეობით ჩერდებიან დეკანოზები, მცველნი ეკლესიისა. ეკლესიაში შესვლამდე მომთხოვეს ხელ-პირის დაბანა სპილენძის სურიდან, რომელიც ადრე ნათლობისათვის გამოიყენებოდა ახლა კი დგას კარებთან მომსვლელთა ხელ-პირის დასაბანად. შევასრულე ეს მოთხოვნა/რიტუალი და შევედით მომცრო სატრაპეზოში, რომელიც ეკვრის ეკლესიას სამხრეთიდან, საიდანაც შედის ერთადერთი კარი ეკლესიაში. შესვლისთანავე გამაკვირვა სატრაპეზოს უსუფთაობამ. შუაში მოჩანდა კოცონის ფერფლი და კედლებზე იყო შენირული რქები. აქ ამზადებენ დეკანოზები საკვებს, წვავენ მწვადს და კერის ქვებზე აცხობენ პურს. კვამლი აღწევს ეკლესიაშიც. ვითხოვე, რომ გაედოთ ეკლესიის კარიც და ახლა დაიწყო გრძელი ცერემონია დეკანოზებს შორის. მათ დაიწყეს გასაღების მიწოდება ერთმანეთისათვის, რადგან ულირსად მიიჩნევდნენ თავს ამგვარ სიწმინდესთან მიახლებისათვის. გარკვეული ხნის შემდეგ კარი გააღეს და ამასობაში ლამის მტვერმა დაგვახრჩო. სიბნელისა და მტვრის გამო გამიჭირდა საგნების გარჩევა და სანთლის ანთების შემდეგ დავინახე,

რომ ეკლესია *dლივ-dლივობით* დაიტევდა 50-მდე კაცს“
(Бартоломей 1855, 165).

1910 წელს იგივე ეკლრსიის/მონასტრის განძეული და ეპიგრაფიკული მასალა დაწვრილებით აღნუსხა ექვთიმე თაყა-იშვილმა. ამ ექსპედიციის შედეგები დღემდე უმნიშვნელოვანე-სია სვანეთის კულტურის კვლევის საქმეში (თაყაიშვილი 1991). თვით ამ დიდ მოღვაწესაც კი რთული წინასწარი სამუშაოები ჩაუტარებია, რათა კალელებს ეკლესიის კარები გაეღოთ და სიწმიდეების აღწერისა და ფოტოგადაღების უფლება მიეცათ მეცნიერისათვის: „**ბესარიონ ნიჟარაძის რჩევით, წინდანინ პა-პებს ვაცნობეთ, კალის ეკლესიის მოლოცვა გვინდა და მთელს საზოგადოებას ვპატიჟობთ ნადიმზეო.** ამისთვის ფული გა-ვუგზავნეთ და ვსთხოვეთ მარაგი დაეჭირათ: დაემზადებინათ არაყი, პური, ეყიდათ ცხვრები, ჩამოესხათ თაფლის სანთლე-ბი და სხვა, რაც საჭირო იყო. მაგრამ წინა დღით, როცა კა-ლასკენ ვბრუნდებოდით, საშინელი ავდარი დადგა, დიდი წვი-მა დაიწყო, წვიმაში თოვლსაც ურევდა. ჩვენ იმედი დაგვეკარ-გა ჩვენი წადილის განხორციელებისა, მაგრამ საბედნიეროდ, მეორე დღეს მშვენიერი მზიანი დღე გათენდა. მან გვიშველა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ხატები ჩვენზე არ ჯავრობდენ. ადრე დილით უკვე ეკლესიაზე ავედით ცხენებით. **პაპები, მცველები და ნანილი ხალხისა იქ დაგვხვდა.** საკლავი ცხვრები მოეყვა-ნათ. ხალხმაც დაიწყო მოდენა. **პაპებმა ცხვრებს ანთებული სანთლები მიაკრეს, დაიჩოქეს მთელ ხალხთან და ჩვენთან ერთად და იწყეს სვანურად ლოცვა... როდესაც ლოცვა გაა-თვეს, ცხვრები წაიყვანეს დასაკლავად და სადილის მარაგს შეუდგენ.** ჩვენ ეზოში ფოტოგრაფიული აპარატი მოვაწყვეთ და **პაპებს ვსთხოვეთ ხატები ჩამოეღოთ კედლებიდან და მოე-წოდებინათ, მაგრამ მათ განაცხადეს, რომ ხატებს ხელს ვერ ახლებენ შიშით. იძულებული შევიქენი მე თვითონ ჩამომეღო კედლებიდან და თაროებიდან ხატები. დახმარებას მიწევდა**

ერთი სვანი დიაკონი, რომელიც იმერეთში ნამყოფი იყო და საიმისოდ ხატის ხელის შეხებას არ შეძობდა. გაშინჯვის და აწერის შემდეგ მე ხატს ვაძლევდი ბესარიონ ნიუარაძეს, მას მიჰქონდა ეზოში აპარატთან და ერმაკოვი იღებდა სურათებს. მაგრამ ხალხი გუნდ-გუნდად მოდიოდა და ყოველთვის გან-გაშს ასტებდა ხოლმე, ვიღუპებით, ეს რა არის ჩვენს თავზე, რაც ეკლესია გაშენებულა, ხატები არავის გამოუტანია გა-რედ, ეხლა ამოგვინყდება ცოლ-შვილი და სხვა. ბესარიონი და ივანე ნიუარაძე ამშვიდებდნენ ხალხს... ეს გარემოება, რასაკ-ვირველია, ხელს გვიძლიდა და ამით აიხსნება, ზოგიერთი ჩე-მი მინოდებული ხატი ერმაკოვს გადაუდებელი დარჩა... როცა ხალხის დენა შეწყდა, ყველა დამშვიდდა, წინეთაც მარტო ლა-პარაკი და განგაში იყო, თორებებული უდიერად არავინ მოგვპრო-ბია... ბოლოს გავახსნევინეთ რეინით შეჭედილი ზანდუკი, რომელიც ჩვენს წინ არავის ენახა, შიგ, სხვათა შორის, აღმოჩ-ნდა ხელნაწერი ტყავის წიგნი, იერუსალიმის დიდი კანონი, ჭურჭლები და მრავალი წვრილმანი ნივთები. ესენიც გადავი-დეთ... ნაშუადლევის ხუთს საათზე მუშაობა დავამთავრეთ და ნადიმს შევუდექით“ (თაყაიშვილი 1991, 205-207).

პერმანენტული კანონიკური სწავლების და რელიგიური ატრიბუტიკის მძაფრი დეფიციტის შედეგად სვანეთის ყოფაში გაჩნდა გარკვეული ნოვაციები და თანდათანობით ლიტურგი-კულტი პრაქტიკამ ხალხური ელფერი შეიძინა. ამ პრობლემის კვლევას შესანიშნავი წერილი მიუძღვნა ცნობილმა ეთნოგრაფ-მა და ეროვნულმა მოღვაწემ დეკანოზმა ივანე მარგიანმა. ის აღნერს ხალხური „პაპობის“ ფორმირების ისტორიას, ამ პირთა როლს სვანეთის საზოგადოების სულიერ და სოციალურ ყოფა-ში, მოგვითხრობს ისეთ კონკრეტულ დეტალებს, რაც სხვაგან აღნერილი არ არის

დეკანზ იოანე მარგიანის მიერ აღნერილი ისტორია ხალ-ხური „პაპობის“ ჩამოყალიბებისა და მათი იერსახისა: „ნამდვი-

ლი მოძღვრები სად იყვნენ და მათი ადგილი დაიჭირეს „პაბებმა“, ანუ „ბაპებმა“ ერთ დროს თავისუფალი სვანეთი ცაგერელ ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა ხოლო სადადეშელიანო სვანეთი „ცაიშს“, რომელიც უგზავნიდნენ მათ (სვანეთს) ნაკურთხს მღვდლებს, მაგრამ შემდეგ ეს დამოკიდებულება თანდათან მოისპო. ეს დამოკიდებულება ამგვარი იყო. პაპებს ყოველთვისა ჰყავდათ შეგირდები („დიკვნარ“), რომლებსაც ასწავლიდნენ საღმრთო წერილს და სხვა სამსახურსა. როდესაც პაპა მოხუცდებოდა და შეგირდიც გაიწვთნებოდა, ამ უკანასკნელს აგზავნიდა ეპისკოპოსთან ცაგერს ან ცაიშს, რომლიც ხელდასმულს აბრუნებდა სვანეთში. ძღვნად მიჰყავდათ ხარი, რომლსაც კურთხევის დღეს ჰკლავდნენ და მიიწვევდნენ ეპოსკოპოსს კრებულითურთ. ზემოთა ვსტკით, რომ შემდეგში ეგ დამოკიდებულება თან-და-თან მოისპომეთქი. მოისპო ამგვარად, რომ პაპებმა თითონ მიითვისეს კურთხევის უფლება, თავისი შეხედულებით ხელს ასხამდნენ „დიაკვნებს“ პაპებად და ეკლესიასაც თავისით განაგებდნენ. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია და არცაა გასაკვირველი, თუ თვითო სოფელში მათი რიცხვი 10-15-დე ადიოდა. „ბაპ“ (ზედა ხევში, ანუ თავისუფალ სვნაეთში) ხოლო „პაპ“-ა (ქვედა ხევში) ისე იცვამდა, როგორც სხვა სვანი: თავზედ ნაბდის წვეტიანი ქუდი, ან ფაფანაკი ეხურა, ტანზედ ეცვა ჭუჭყიანი შინაური ხელობის ტილოს მსხვილი პერანგი; რომლის საყელო კანაფის მსხვილი ძაფით იკვრებოდა, ზედ შინაური ხელობისვე მსხვილი მატყლის ჩოხა მერმე იმისვე შარვალი (შარობარ) და პაიჭები, ფეხზედ მრგვალი ქალამნები ბანრით შემოჭირებული, ნელზედ ერტყა დაუზელელი ტყვის სარტყელი, ამასაც მოდიდო ადგილობრივი ხელობის უშნო ხანჯალი ამძიმებდა. ბეჭზედ კაჟის თოვფი „ყირიმი“, ან „სტამბოლი“ ეკიდა. ყველა ეს გამოუცნობლადა ხდიდა პაპს უბრალო სვანისგან. სხვა ხნავდა პაპაცა ხნავდა, სხვა ომობდა, პაპაც ომობდა და წინ

უძლვოდა ლაშქარსა. მაგრამ ამავე დროს ის კიდეც მღვდლობდა თუ შეიძლებ ასე ითქვას... მასში თქვენ ნახავ-დით იგეთ ძალას, რომლიც ხალხს პატივისცემას და სიყვა-რულს აგრძნობინებდა. აი ამ „პაპებმა“ დაიცვეს სვანეთში ქრისტიანობა მოსპობისაგან და ხელი შეუშალეს სვანეთში მაჰმადიანობის გამეფებას, გამოსტაცეს ხელიდან მაჰმადია-ნებს წმ.ძვირფასი ხატები და ნივთნი, რომლეთაც ეხლა თვალ წინა ვსპობთ. ამით ხალხს დაუფასებელი სამსახური გაუწიეს. პაპების ყოფა-ცხოვრებაში ბევრი რამე ღირს შესანიშნავია, მეტადრე საინტერესოა წირვა-ლოცვის, ნათვლის, გვირგვი-ნის კურთხევისა და სხვა საიდუმლოების წეს-რიგი და მათი აღსრულება“ (მარგიანი 1911, ნომ.26-28).

ივანე მარგიანს დეტალურად აქვს აღნერილი ლვთისმსა-ხურების ხალხური პრაქტიკის ნიუანსებიც კი: „რას ხმარობ-დნენ პაპები სეფისკვერად, ზედაშედ და სამკაულად? პაპებს სეფისკვერისათვის ბეჭედი არ ჰქონდათ, ბეჭდის მაგიერად გამოცხობამდე სეფისკვერს ჯვარის სახეს გაუკეთებდნენ და შუაში მარილის კვნიტს ჩასდებდნენ. ზედაშედ არაყს, რანგს (თაფლისაგან კეთდება) და წყალსა ხმარობდნენ. ძველად, ნა-კურთხ მღვდლებისაგან დატოვებულს მირონს პაპები ყოველ-ნლობით ზეთს უმატებდნენ და იმასა ხმარობდნენ მირონად“ (მარგიანი 1911, 26-28). როგორც ვხედავთ, მეტად სავალალო სურათი იხატება. აშკარაა, რომ სარწმუნოებრივი ცხოვრების წყურვილით და მოშლილი ტრადიციული ცხოვრების წესის აღ-დგენის სურვილით აღსავსე ქართველი მთიელი ამ ფორმით ცდილობს რელიგიური ატრიბუტიკის სიმწირით წარმოქმნილი დეფიციტის შევსებას.

მას შემდეგ, რაც სვანეთიც დაიპყრო რუსეთის იმპერიამ და იქაურობაც სინოდიალური მმართველობის არეალში მოექცა, ხე-ლისუფლებამ თანდათანობით ყველა სოფელში განამწესა მღვდლები. ეთნოგრაფიული მასლა ავლენს, რომ ახლად დადგინე-ბული სასულიერო პირების მიმართ ადგილობრივითა დამოკიდე-

ბულება თავიდან წევატიური იყო, მაგრამ მალე ახალმა მღვდლებმაც მოიპოვეს სვანთა ნდობა. ზოგან მღვდლები ხშირად ძველ, ე. წ. ხალხურ „მღვდლებთან“ ერთობლივადაც მოღვანეობდნენ.

ფრიად საგულისმოა წმიდა პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ 1903 წელს უშგულის თემში აღწერილი ერთი ფაქტი: „აქ მურკმელის წმ. ბარბარეს საყდრის ეზოში გამოგვეცნაურა ოდესმე პაპად ნამყოფი 85 წ. მოხუცი გიორგი ჩარქესლიანი. მისმა სასიამოვნო ნახვამ მომაგონა ქართლ-კახეთში ჩვენი ძველი ხელჯოხიანი დიაკვნები, თეთრი თმის ნანავით უკან, წელში მოხრილნი, წელზედ პრტყელი ტყავის ქამრით, მოყომრალო ჩოხაში თეთრ გულის პირა პერანგით და დიმიკიტონის ახალუხბში გადმოწყობილნი ფეხზედ შავი პაჭიჭებით და ჩუსტებით, მაღალი ბუხრის ქუდით. გიორგი პაპი თურმე რამდენჯერაც სწირავდა თავის პაპობაში, იმდენს აჭდევდა ამ ჯოხზედ, აგრეთვე აჭდევდა საყდრის საკურთხეველში კანკელზედ, როგორც მთელ სვანეთში ჩვეულებად ჰქონიათ ძველის ძველადგან. მართლაც, სადაც-კი საკურთხეველში შევედით კანკელის ზურგი ყველგან აჭრელებული იყო ჭდეებით. ჩვენ დიდის პატივისცემით მივესალმეთ მოხუცს პაპის და ვთხოვთ ყოველთვის ელოცნა ჩვენთვისაც. დიდათ იამათ იქ დამსწრე სვანებს, ჩვენ რომ ასე პატივისცემით მივეგებთ მოხუცსა“ (კარბელაშვილი 1903, ნომ. 222).

ამრიგად, გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში, XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე, რუსეთის მიერ სვანეთის დაპყრიბამდე, ამ ნაკურთხ ან ე.წ. ხალხურ „მღვდლებთან“ ერთად ეკლესიის მცველებად გვევლინება ნაკურთხი სასულიერო პირი, ან ხალხური „მღვდელი“ (პაპა/ბაპ), აგრეთვე, მთელი თემი (სოფელთა ჯგუფები), ამა თუ იმ ეკლესიის მრევლი. ყოველი თემი ცხოვრების, სამართლის ფორმებისა და საერთოდ ნებისმიერი სახის პრობლემის მოგვარებისათვის ეკლესიას, როგორც საკრალურ და სოციალურ ცენტრს, მიმართავდა. გაგრძელდა სა-

მართლებრივი შინაარსის დოკუმენტების შედგენის ტრადიცია-აც. საჭირბოროტო პრობლემების სამართლებრივი „განაჩენი“ კანონის სახეს იძენდა დოკუმენტის შედგენის შედეგად. დოკუ-მენტს კი ახლდა ამა თუ იმ კონკრეტული ეკლესის „დამოწმე-ბა“ (სილოგავა 1986).

საქართველოს გათავისუფლების შემდეგ სვანეთში განამ-ნესეს მღვდლები, შეიქმნა მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია, ქვემო სვანეთი მოექცა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში. აღ-დგა ქართული ღვთისმსახურება, დაარსდა მონასტრები, გიმნა-ზიები. ტერმინი „პაპ“, „ბაპ“, ცხადია, ახლაც გამოიყენება სვანუ-რი მეტყველების დროს და ახლა უკვე ისევ თავისი პირვანდელი მინიჭებულობით – საქართველოს სამოციქულო ეკლესის მიერ ნაკურთხი და განწევებული მღვდლების აღსანიშნავად.

დამოწმებული ლიტერატურა:

ანტიოქიელი, მ. (1982), ცნობები საქართველოს შესახებ, – არმალანი, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბილისი, არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა, გვ., 110.

გუჯეჯიანი, რ. (2008), მინათმფლობელობა სვანეთში, – საეკლესიო მიწები – კრ., სვანეთი ქართული კულტურის სავანე, საქართვე-ლოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახე-ლობის ქართული უნივერსიტეტი, თბილისი, გვ., 369-387.

თაყაიშვილი, ექვ. (1991), არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვა-ნეთში, 1910 წ., ქლ. ტ. II, თბილისი.

კარბელაშვილი, პ. (1903), სვანეთში ორი კვირით, „ივერია“, 1903 წ.

მარგარიანი, ი. (1911), ვინ იყვნენ „ბაპ“-ები, ანუ „პაპ“-ები, გაზეთი – „ში-ნაური საქმეები“ № 26, 28, VIII, 1911).

სილოგავა, ვ. (1986), სვანეთის წერილობითი ძეგლები, ტ., I, თბილისი.

სტეფნაძე, ჯ. (1983), მთის რეგიონების როლი საქართველოს საგარეო ომებში, – კრ., საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომი-კური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში, თბილისი, გვ., 49-51.

**Бартоломей, М. А. (1855), Поездка в Вольную Сванетию, ЗКОИРГО,
т. III, Тифлис.**

Rozeta Gujejiani

**The process of transformation of the religious situation in
Svaneti from the late Middle Ages to the present day
(the term "Pap"/"Bap")**

A well-developed Christian culture is characteristic of Svaneti. According to the sources that have been maintained until nowadays, Svaneti was divided into two dioceses: Balskvemo part belonged to Tsaishi Episcopate, Balszemo and Kvemo Svaneti belonged to the Tsageri Episcopate. At the same time, in the historical documents of Svaneti, the name of a local high-ranking clergyman – Chorbishop of Seti – is mentioned many times. He was residing in the middle of Mestia community in Seti.

After Georgia was divided into principalities, Svaneti was included into the kingdom of Imereti for some time, and then it gradually became an independent principality. From this time, i.e. from the beginning of the late Middle Ages, the religious situation of Svaneti changed dramatically, as well as the new forms were developed in Svaneti's everyday life. The spiritual and cultural-educational life of all three parts of Svaneti also experienced a regression: the most important institutions and dioceses were no longer existing – the Chorbishop of Seti, the Episcopates of Tsaishi and Tsageri. Educated clerics were no longer being sent from lowlands to Svaneti, the churches lacked the equipment needed for the holy liturgy, etc.

Gradually, instead of normatively educated and consecrated priests, the priesthood was replaced by the people educated at home, mainly with the knowledge acquired in a hereditary way – by passing

knowledge from father to son – they were also called "Pap"/"Bap", according to the name used in Svaneti to name the priest. "Pap"/"Bap" with the meaning of priest was probably established from the pre-Christian era due to foreign influence. However, the Georgian language also knows the term "Papa" in the meaning of ancestor.

During the late Middle Ages, until the second half of the 19th century, before the conquest of Svaneti by Russia, together with this blessed or so-called "folk" priests, the whole community (groups of villages), parishioners of one or another church appear as guardians of the church. Every community was applying to the church as a sacred and social center to solve all kind of problems, to precede the law and etc.. The tradition of drafting documents of legal content also has been continued.

After the Russian Empire conquest of Svaneti the synodical rule has been launched, the authorities gradually appointed priests in all villages. The ethnographic material reveals that the attitude of the locals towards the newly established clergy was initially negative, but soon the new priests gained the trust of the Svans. In some places, priests often cooperated with the old, so-called "folk priests".

After the liberation of Georgia, priests were ordained in Svaneti, the Episcopates of Mestia and Zemo Svaneti were created, Kvemo Svaneti was included in the Episcopate of Tsageri and Lentekhi. The Georgian religious services were restored, monasteries and gymnasiums were established. The term "Pap"/"Bap" is obviously still used in the Svan language and now again in its original meaning – to denote the priests consecrated and ordained by the Apostolic Church of Georgia.

გიორგი ვახტაგიაშვილი

კულტივაცია პკუპაციის წინააღმდეგ: მინათმოძღვანების როლი რუსული მაკოულესლართაგის პრობლემის კონექსუალი (დიცის დევნილთა დასახლების მაგალითზე).¹

სტატიაში, უსულო აგენტობის ანთროპოლოგიისა² და გარემოს ანთროპოლოგიის თეორიულ კონტექსტში, განხილულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად იძულებით გადადგილებული პირების მიერ საკუთარი ინიციატივითა და რესურსებით, სოფელ დიცში შექმნილ მცირე დასახლებაში მიწათმოქმედების როლი „მცოცავი ოკუპაციისა“ და „ბორდერიზაციის პროცესში“. სტატია ნარმოადგენს ავტორის მცდელობას თანამედროვე ანთროპოლოგიური თეორიების მოხმობით, ახლებურად იქნას გაანალიზებული ქართული სამეცნიერო დისკურსისათვის აქტუალური პრობლემა.

აგენტობის ცნებას ანთროპოლოგიაში მრავალრიცხოვანი განმარტებანი და განვითარების ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რაც ამ საკითხის სიღრმისეულ თეორიულ გააზრებას აქტუალურს ხდის (Dobres, 2000, 3). მათ შორისაა არჯუნ აპადუირაის შრომები გლობალიზაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც, თანამედროვე მსოფლიოში ინდივიდები საკუთარ ეკონომიკურ და კულტურულ გამოცდილებებს თავადვე აყალიბებენ და ქმნიან

¹ სტატიაში გამოყენებული ემპირიული და ნაწილობრივ თეორიული მასალა ეფუძნება ჩემს სამაგისტრო ნაშრომს (ყოველდღიური ყოფა და ცხოვრება საოკუპაციო გამყოფ ხაზთან, თბილისი, 2021) და ეთნოგრაფიულ დღიურს.

² ორიგინალში – Nonhuman Agents. გამომდინარე იქიდან, რომ ამ (ცნების პირდაპირი ქართული თარგმანი (არაადამიანური) ადამიანის მიერ ჩადენილი უარყოფით ქცევის (რასაც თან სხვა არსების ტანჯვა მოსდევს), ანდა ადამიანის შესაძლებლობებს მიღმა არსებული მოქმედების მნიშვნელობას ატარებს, ეს სიტყვათშეთანხმება ვთარგმნე, როგორც უსულო. აქედან გამომდინარეობს მისი სხვადასხვა ფორმებიც – უსულო აგენტი, უსულო აგენტობა და ა.შ.

აგენტობას – ინდივიდთა შესაძლებლობას იმოქმედონ დამოუკიდებლად და მიიღონ გადაწყვეტილებანი (Appadurai, 1990, 297). აპადურაის მსჯელობა თავის მხრივ, ებმაურება ანტონი გიდენსის მიერ აღნერილ ურთიერთობას აგენტობას (ინდივი-დუალურ არჩევანსა) და სტრუქტურას (სოციალურ ორგანიზა-ციას) შორის. გიდენსმა სტრუქტურისა და აგენტობის, როგორც ურთიერთდამოკიდებული ფენომენების აღნერისას აღნიშნა, რომ „სისტემის სტრუქტურული თავისებურებანი წარმოადგენენ მათ მიერ რეკურსიულად წარმოებული პრაქტიკების როგორც შუამავლებს, ასევე მათ უშუალო შედეგებს“ [Giddens 1984, 25, ციტირებულია Whittington, 2015, 149]. ამ სოციალურმა თეორიამ ინდივიდუალური მოქმედებისა და სოცია-ლური ორგანიზაციის ურთიერთმიმართების საკითხის ირ-გვლივ რამდენიმე მნიშვნელოვანი დეფინიციის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ამ მრავალრიცხოვან განმარტებათაგან ჩემი მასალის ეთ-ნოგრაფიული ანალიზისათვის, გამოვიყენე ანთროპოლოგ ლაუ-რა ეიჰერნის აგენტობის, დეფინიცია, როგორც „მოქმედების უნარი, რომელიც სოციოკულტურული ფაქტორების შუამავლობის ხარჯზე არსებობს“ (Ahearn 2001, 112). აგენტობის ცნებასთან დაკავშირებით ანთროპოლოგისათვის რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემათაგან, არსებითია იმის განსაზღვრა, მოიცავს თუ არა ეს ცნება მხოლოდ ადამიანებს. ამდენად, რამდენად შესაძლებელია ამ კრებსითი კატეგორიის ქვეშ მოვიაზ-როთ ადამიანთა გაერთიანებები ანდა სულაც ადამიანთა ყოფი-სა და ბუნებისათვის დამახასიათებელი უსულო საგნები.

ამ საკითხის გასაგებად ადამიანური აგენტობის განმარტებაა საჭირო. ამისათვის შეიძლება კარპის მიერ წარმოდგენი-ლი „აქტორისა“ და „აგენტის“ ბინარული წყვილი იქნას გააზრებული (Karp 1986). კარპი მიიჩნევს, რომ აქტორი წარმოადგენს ადამიანის იმგვარ ტიპს, რომლის მოქმედებაც წინასწარ გან-საზღვრული და კონკრეტულ კულტურაში დამკვიდრებული წე-

სებით იმართება, ხოლო აგენტობა მიესადაგება ადამიანს, რომელმაც დომინანტური ძალაუფლების სისტემაზე გავლენის მოხდენა და მის უშუალო გარე სამყაროში ცვლილებების შეტანა განიზრახა (Karp 1986, 137).

აგენტის ძალისახმევა, რომ მოახდინოს მის უშუალო სოციო-კულტურულ რეალობაზე გავლენა ხშირ შემთხვევაში, სცილდება ინდივიდუალურ საზღვრებს, რასაც დღის წესრიგში შემოაქვს აგენტობის, როგორც არა ინდივიდუალისტური, არა-მედ კოლექტიური გაგება – ის ხომ კონკრეტული სამოქმედო მიზნით გაერთიანებული ინდივიდებს მოიცავს (Wertsch et al, 1993). ამგვარი გაგება ერთი მხრივ, გამომდინარეობს ლევ ვიგოცკის (Vygotsky 1978) პედაგოგიური თეორიიდან, რომელშიც განვითარების პროცესში ინდივიდის უშუალო გარემოცვის მნიშვნელოვანი როლია წარმოჩენილი. მეორე მხრივ, ის ემყარება გრეგორი ბეიტსონის (Bateson 1972) მოსაზრებებს აგენტობაზე, რომელიც თავისი არსით, კოლექტიური ფენომენია და მოიცავს იმგვარ „მედიაციურ საშუალებებს“, როგორიცაა მაგალითად ენა (Wertsch et al 1993, 352). ტერმინ აგენტობის ზემოთქმული დეფინიციების ანალიზი მაძლევს მოსაზრების გამოთქმის საფუძველს, რომ ანთროპოლოგიაში ეს კონფეფცია სცდება ინდივიდუალური მოქმედების საზღვრებს და მოიცავს ფართო საზოგადოების წიაღში არსებულ მარკერებს. ეს მარკერები კი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზეზების გამო, მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოციალური და კულტურული ერთობების ყოფასა და ცხოვრებასთან.

წარმოდგენილ დაშვებას მივყავართ აგენტობის კიდევ ერთი – კულტურულ რელატივისტური ბუნების თავისებურებასთან. რობერტ დესჯარლაისმა (Desjarlais 1997) ბოსტონში უსახლკარობის პრობლემის ეთნოგრაფიულად შესწავლისას შემოვთავაზა მტკიცება, რომ მის მიერ შესწავლილი სოციალური

ჯგუფის აგენტობა მხოლოდ იმ სოციო-კულტურულ კონტექსტში შეიძლებოდა შექმნილიყო, რომელიც მას ეთნოგრაფიულ ველზე დახვდა. ამდენად, ეს ავტორი აღნიშნავს, რომ აგენტობა შეუძლებელია ონტოლოგიურად აპრიორული იყოს კონკრეტულ კონტექსტთან შედარებით, არამედ პირიქით – ის წარმოიშვება კონკრეტულ სივრცე-დროში არსებული პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კონტექსტის წიაღში (Desjarlais 1997, 204).¹ იმავე მოსაზრებას ავითარებს ენდრიუ პიკერინგიც, რომელიც წერს:

„ადამიანთა განსხვავებულ კულტურუბსა და მატერიალურ სამყაროებში შესაძლოა ერთმანეთისაგან საქმაოდ განსხვავებული მოქმედების საშუალებანი არსებობდეს იმასთან შედარებით, რასაც, როგორც წესი ჩვენ მათ მივაწერთ“ (Pickering 1995, 245).

აგენტობის კულტურულ-რელატივისტური და, შესაბამისად, მრავალშრიანი ბუნების განხილვის შემდეგ, მკითხველის ყურადღებას ამ ცნებითი კატეგორიის ქვეშ ადამიანთა ყოფისათვის დამახასიათებელი უსულო საგნების ანდა მატერიალური კულტურის ელემენტების მოქცევის პრობლემისაკენ მივმართავ.

ამ საკითხის ირგვლივ, მე-20 საუკუნის მიწურულიდან საკმაოდ აქტუალური გახდა მატერიალისტური მიდგომის სახელით ცნობილი თეორია სოციალურ მეცნიერებებში, ასევე „ახალი მატერიალიზმი“, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის კვლევები (STS) და რაც მთავარია, აქტორისა და ქსელის თეორია (Actor-Network Theory, ANT). განზოგადებულად რომ ითქვას,

¹ შეიძლება გავიხსენოთ კიდევ ერთი დებატი ანთროპოლოგიაში ონტოლოგიისა და ეპისტემოლოგიის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ანთროპოლოგიის ამიცანა არა კონკრეტული ფენომენის არსებობის დამტკიცება, არამედ ამ ფენომენის ირგვლივ, მოსაზრებათა და კულტურულ მსოფლიმედველობათა გადმოცემა და ანალიზია (იხ. Soumhy (რედ.) 2010, 158-168, ციტირებულია ვახტანგაშვილი 2022, 113).

ყველა ამ ახალ თეორიულ მიმართულებას აერთიანებს ის, რომ უსულო აგენტებს ისეთივე მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა, როგორიც ადამიანებს (Sayes 2014, 135).

თანამედროვე თეორიტიკოსი ანთროპოლოგები მარტინ ჰოლბრაადი და მორტენ აქსელ პედერსენი აღნიშნავენ, რომ ადამიანებისა და მატერიალური ობიექტების, როგორც სულიერი და უსულო აგენტობების მიმართ, არსებობს ორი – ჰუმანისტური და პოსტ-ჰუმანისტური მიდგომა, რომელთაგანაც პირველი მათგანი უკავშირდება ალფრედ გელის, ხოლო მეორე – ბრუნო ლატურის სახელებს (Holbraad, Pedersen 2017, 203-205). ამ ორ არგუმენტს შორის პრინციპული განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ჰუმანისტური მიდგომა ცდილობს უჩვენოს ის მჭიდრო კავშირი, რაც ადამიანებსა და საგნებს შორის არსებობს, რა დროსაც მიჩნეულია, რომ ადამიანთა საქმიანობა და არსებობა პირდაპირ და უშუალოდ აღიძებჭდება მატერიალურ საგნებზე. სხვა სიტყვებით – ნაკლებად იცვლება ონტოლოგიური დიქტომია ადამიანებსა და საგნებს შორის, რა დროსაც საგნების, როგორც ადამიანებთან პირდაპირ დაკავშირებული აგენტობების სტატუსი მუდმივად აქტუალურია. რაც შეეხება პოსტ ჰუმანიზმს, ბრუნო ლატურმა ადამიანებსა და საგნებს შორის სულ სხვაგვარი ონტოლოგიური მიდგომა შემოგვთავაზა. ამგვარი მიდგომისთვის ნიშანდობლივია საგნების, როგორც დამოუკიდებელი აგენტობების როლის წარმოჩენა, რომლებიც დამოუკიდებელი მყოფობით გამოირჩევიან და ხშირ შემთხვევაში სხვა (მათ შორის ადამიანების) აგენტობებზე საერთოდ არ არიან დამოუკიდებული (Holbraad, Pedersen 2017, 202-205). განვიხილოთ ლატურის აქტორისა და ქსელის, როგორც უსულო აგენტობების დამოუკიდებელი კონსტიტუციის განსაზღვრის თეორიული მიდგომა.

უსულო აგენტების გამოკვლევით, ლატურმა სცადა გადმოეცა მოდერნიზმის პროექტის მთავარი მახასიათებელი (ლა-

ტური 2014). მისი აზრით, მოდერნიზმს უკავშირდება ბუნებისა და კულტურის ხელოვნურად შექმნილი ბინარული ოპოზიციის გაჩენა, რაც გამოიწვია ჰობსისა და ბოლის ცნებითი კატეგორიების დასავლურ აზროვნებაში დამკვიდრებამ, უფრო კონკრეტულად კი ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი ძალის, იგივე ძალაუფლებისა და მეორე მხრივ – ბუნების ძალის გამიჯვნამ. ამ ორიდან, პირველი სამართლის სუბიექტია, მეორე კი – მეცნიერების შესწავლის საგანი (ლატური 2014, 42). ლატურმა უსულო აგენტობის ცნების შემოტანით, სცადა დაესაბუთებინა ის ურთიერთკავშირი, რაც მისი აზრით, მოდერნულობის მიერ ხელოვნურად გამიჯვნულ ადამიანურ და უსულო სამყაროებს შორის არსებობს, არადა სინამდვილეში ჩვენი რეალობა უსულო და სულიერ სამყაროებს შორის არსებული კომპლექსური ურთიერთობების ქსელით ხასიათდება. ამ ქსელების მახასიათებელი კი ისაა, რომ ადამიანური და უსულო აგენტობები აქტიურად არიან ჩართულნი სოციალურ პროცესში და ერთმანეთის გარდაქმნასა თუ ფუნქციონირებას განაპირობებენ.

ბუნებისა და საზოგადოების ხელოვნური დიქოტომიის აბსურდულობის დასამტკიცებლად, ლატურს მისი თანამემამულე ანთროპოლოგის – კლიდ ლევი-სტროსის ციტატა მოჰყავს ავტობანზე საავტომობილო მოძრაობის თავისებური ბუნების შესახებ:

„[საავტომობილო მოძრაობა] მძღოლთა განზრახვების მიერ გაადამიანურებულ ბუნების ძალათა სისტემებს უპიროსპირებს ფიზიკური ენერგიის მიერ ბუნების ძალებად გარდაქმნილ ადამიანებს, რომლებიც ფიზიკური ენერგიის მედიატორები ხდებიან. აქ ვეღარც ისეთ ოპერაციას ვნახავთ, რომელსაც აგენტი ინერტულ ობიექტზე ახორციელებს, და ვეღარ უკუქმედებას, რომელსაც აგენტის როლამდე ამაღლებული ობიექტი აწარმოებს რაიმე სუბიექტზე ისე, რომ ეს უკანასკნელი მის სასარგებლოდ უსასყიდლოდ განიძარცვავს თავს [...] არსებები ერთმანეთს ერთდროულად სუბიექტისა

და ობიექტის როლებში უპირისპირდებიან...“ [Levi-Strauss 1962, 294], ციტირებულია: [ლატური 2014, 72-73].

კლოდ ლევი-სტროსზე დაყრდნობით, ლატურმა გვიჩვენა სამეცნიერო კონცეპტუალურ აპარატში არსებული ის ხარვეზი, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობაში სულიერი და უსულო აგენტების თანაკვეთის დანახვაში გვიშლის ხელს. სხვა სიტყვებით, მან ყურადღების გადატანა სცადა ჰიბრიდების¹ გაჩენის პროცესზე – იმგვარ სიტუაციებზე, რომელებშიც ბუნებისა და კულტურის ერთი შეხედვით მკაფიოდ დეტერმინირებული წევრები მათ სამოქმედო სივრცეში (ქსელში) ერთმანეთის ადგილებსა თუ ფუნქციებს შეითავსებენ. ამგვარი შეთავსების არსის გასაგებად, საჭიროა აგენტების უმთავრეს – მედიატორულ ფუნქციაზე იქნას ყურადღება გამახვილებული.

აქტორისა და ქსელის მომდევნო თეორეტიკოსმა მაიკლ კალუნმა (Callon 1991) შემოგვთავაზა უსულო აგენტების კიდევ უფრო სრული დეფინიცია, რომელიც ლატურის (Latour 1992) მოსაზრებების შემავსებლად შეიძლება იქნას მიჩნეული. მან პირველ რიგში, განასხვავა შუამავლები მედიატორებისაგან² რომელთაგანაც ამ უკანასკნელს მან ქსელში უბრალოდ შუამავლობის როლზე გაცილებით ფართო და მნიშვნელოვანი – ტრანსფორმაციული ფუნქცია მიანიჭა. მისი აზრით, უსულო აქტორები, როგორც მედიატორები არსებობენ სხვა აქტორებს შორის და მათ შორის არსებული ურთიერთობების სტატუს კვოს მუდმივად ცვლიან (Callon 1991, 134; Latour 1992, 229). მისივე თქმით:

„მედიატორები მუდმივად განსაზღვრავენ იმ ქსელების რაობას, რომლებშიც თავად იმყოფებიან – ადამიანური და

¹ უფრო დაწვრილებით ჰიბრიდების, როგორც ადამიანური და უსულო აგენტობების სიმბიოზის საილისტრაციოდ, იხილეთ ლატურის ცნობილი მსჯელობა იარაღის კონტროლის შესახებ ამერიკაში Latour 1999.

² ორიგინალში: *Intermediaries and mediators.*

უსულო, ინდივიდუალური და კოლექტიური აგენტების არსებობას. ეს რაობის განსაზღვრა მათივე როლების, იდენტობებისა და პროგრამების განსაზღვრით იწყება, რაც თავიდან ბოლომდე იმ ურთიერთობების ტიპზეა დამოკიდებული, რომლებშიც ისინი არიან ჩართულნი... აქტორები ერთმანეთს განსაზღვრავენ იმ მედიატორების დახმარებით, რომლებსაც ისინი შემოიტანენ მიმოქცევაში... მედიატორები აქტორების სინონიმურ მნიშვნელობას წარმოადგენენ“ (Callon 1991, 139-140).

სხვა აქტორებს შორის არსებული მედიატორული როლის გარდა, მნიშვნელოვანია უსულო აგენტების მორიგი თავისებურებაც გავიაზროთ. ლატურის მიხედვით (Latour 2005), უსულო აქტორები ერთი მხრივ, დაჯილდოებულნი არიან ქსელის მიერ მინიჭებული კონკრეტული კომპეტენციების კომპლექტით, მეორე მხრივ კი მათი მაფორმირებელი სხვა აქტორებისაგან სანაცვლოდ ასევე კომპეტენციების გარკვეულ რაოდენობას ითხოვენ. ამდენად, უსულო მედიატორები ამგვარი გაგებით, ერთი მხრივ, ცირკულაციის პროცესში იცვლებიან, მეორე მხრივ კი, თავადვე ცვლიან ცირკულაციის პროცესს. ამასთან, ისინი არც საზოგადოებების ტრანსცენდენტალურ პირობებს, არც სხვა აქტორების მაფორმირებელ შავ ყუთებსა და არც ადამიანთა ქცევის უბრალო განმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენენ – ისინი ამ მარტივი კაუზალობების მიღმა დგანან (Latour 2005, 70).

ჩემს მიერ გაანალიზებულ თეორიულ მასალაზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ აგენტობა თანაბრად მოიცავს როგორც ადამიანური, ასევე უსულო აგენტების იმ მოქმედებების ნაკრებს, რომლებიც მათ უშუალო სოციო-კულტურულ გარემოშია წარმოშობილი და მასზე ზეგავლენის მოხდენის უნარით გამოირჩევა. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ბუნებისა და კულტურის დიქოტომიის გადალახვასა და მათი შემადგენელი ელემენტების მიერ როლების ურთიერთშეთავსე-

ბის რთულ პროცესთან, რაც როგორც წესი, როგორც ადამიანური, ისევე უსულო აგენტთა დიდი რაოდენობის ჩართულობით ხასიათდება. გარდა ამისა, აგენტობა ყოველთვის კონტექსტურია – მისი ფორმირება ყოველთვის უკავშირდება სოციალური, კულტურული, პოლიტიკური თუ სხვა მიკრო და მაკრო ფაქტორების ზეგავლენას.

წარმოდგენილი თეორიული განხილვის შემდეგ, უკვე შესაძლებელია მსჯელობას მიეცეს უფრო კონკრეტული ხასიათი და საკითხი დავიწროებულ იქნას კონკრეტული აგენტობის ან-თროპოლოგიურ კონტექსტში განხილვასა და მისი ფორმირების პროცესის ემიცური სიღრმით დანახვაზე (კონკრეტულ ეთნოგრაფიული ველზე მოპოვებული მასალის მოხმობის გზით). ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა პასუხი გაეცეს შეკითხვას – შესაძლებელია თუ არა, რომ მიწათმოქმედება, როგორც ასეთი, წარმოდგენილ იქნას უსულო აგენტობად, რომელსაც ადამიანთა საზოგადოებისა და კულტურის მდგომარეობაზე გარკვეული ზემოქმედების უნარი გააჩნია.

მიწათმოქმედებისა თუ ადამიანის მიერ საცხოვრებელ გარემოსთან ინტერაქციის პროცესის კვლევა გარემოს ანთროპოლოგიის ჩათვლით, თითქმის ყველა ანთროპოლოგიური სკოლი-სათვის (მათ შორისაა ამერიკული კულტურული ეკოლოგია) იყო აქტუალური. მისი წარმომადგენლები იყვნენ ჯულიან სტიუარტი, ლესლი უაითი, მარვინ ჰარისი, ერიკ ვულფი და ა.შ. მათ თეორიებში მკაფიოდ ჩანს გეოგრაფიული დეტერმინიზმისა და მარტივი რედუქციონისტული მსჯელობების ნიშნები, რაც ამ სკოლის წარმომადგენელთა მთავარი მიზნით – ბუნებრივი გარემოსა და ეკოლოგიის დახმარებით, ადამიანთა კულტურის და საზოგადოების ანალიზით აიხსნება. მაგალითად, შეიძლება გავიხსენოთ ამერიკელ გეოგრაფ ელსოურთ ჰანტინგტონის კლიმატოლოგიური თეორია, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მე-20 საუკუნის ანთროპოლოგიურ კვლევებზე. ჰანტინგტონი იყო

ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გადაწყვიტა გამოეკვლია რამ-დენად დიდია ეკოლოგიური ფაქტორების როლი ადამიანთა კულტურის ფორმირების პროცესში (Huntington 1945). ამ პერიოდში მიმდინარე დისკუსიები უკვე სცდება მარტივი რედუქციონისტული მსჯელობის ეტაპს და გაცილებით კომპლექსური ანალიზის გზებით ხასიათდება. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ის გარემოება, რომ ადრეული თეორიების მსგავსად, გარემო უკვე მიჩნეულია არა ადამიანთა კულტურის ფორმირების მთავარ მიზეზად, არამედ მეორეხარისხოვან – შემზღვეულ ანდა სელექციურ მოცემულობადაც კი, მთავარი აქცენტი კი გადადის კულტურის, როგორც მთავარი ფაქტორის მნიშვნელობაზე გარემოს გარდაქმნის პროცესში. ამერიკელი ანთროპოლოგი ალფრედ კროებერი იკვლევდა რა ჩრდილო ამერიკელ ადგილობრივთა დასახლებებში სიმინდის კულტურის მოყვანის წესებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გარემო, როგორც ასეთი, საერთოდ არ ქმნის სიმინდის მოყვანის წინაპირობებს, მაგრამ გარანტირებულად განაპირობებს იმას, რომ სიმინდის კულტურამ ვერ გაიხაროს (Kroeber 1939, 207-212).

თანამედროვე თეორიებში ეს მიღვომა კიდევ უფრო შეიცვალა და ანთროპოლოგიურმა კვლევებმა მეტად კონტექსტუალური ხასიათი შეიძინა. მოდერნული ე.წ. „დიდი თეორიების“ პოსტმოდერნისტული კრიტიკის კვალდაკვალ მთავარი აქცენტი გლობალურიდან ლოკალურ აღქმებზე გადავიდა. ეს მიღვომა ნათლად ჩანს ჯეიმს კლიფორდის მიერ დახასიათებული ეთნოგრაფიული კვლევის, როგორც „სანახევროდ სიმართლის“ კონცეფციაში (Clifford 1986). მისი შენიშვნით, სოციალური მეცნიერებების ინტერპრეტაციული ბუნებიდან გამომდინარე, სამეცნიერო დებატებში შემოტანილი ნებისმიერი „სიმართლე“ კონკრეტული რიტორიკისა და დისკურსის ნაყოფია, რომლის ფორმირებაშიც ძალაუფლებრივ სისტემას და ისტორიულ კონტექსტს უდიდესი წვლილი მიუძღვის (Clifford 1986, 6-7).

აქედან გამომდინარე, ეთნოგრაფიული კვლევა მარკუსის (Marcus 1995) მიხედვით, ალარაა მიმართული ფართო სისტემის მახასიათებლების რეპრეზენტაციისა და აბსტრაქტული მოდე-ლების შექმნისკენ (Marcus 1995, 99). ამის ნაცვლად, კვლევის არეალი გაფართოვდა და მათ შორის მატერიალური ობიექტების სოციალური კონტექსტის კვლევაც მოიცვლა (Marcus 1995, 106-107). ამგვარი მიდგომა გარემოს ანთროპოლოგიაში კლი-ფორდ გირცმა (Geertz 1963) დაამკვიდრა.

გირცმა შემოგვთავაზა, რომ ცალკე აღებული კულტური-სა და მის საპირისპირო პოლუსზე მყოფი ბუნების კვლევის ნაც-ვლად, თანაბარი ყურადღება დავუთმოთ იმ ურთიერთმიმართე-ბებს, რომელთა წყალობითაც ადამიანი ერთი მხრივ, ბუნებას-თან, მეორე მხრივ კი – მისი უშუალო გარემომცველი სოცია-ლური და კულტურულ პროცესებშია ჩაბმული (Geertz 1963, 6). ამ გაგებით, წინა პლაზე გამოდის ადამიანისა და მის მიერ შექ-მნილი კულტურული რეალობის – მიწათმოქმედების ახლებური გააზრების საკითხი. გირცის არგუმენტის არსი შესაძლოა მოკ-ლედ იქნას შეჯამებული შემდეგი ციტატით:

„იავური ბრინჯის ტერასები მჭიდროდ არიან ინტეგრი-რებულნი შრომის ორგანიზების მეთოდებთან, სოფლის სტრუქტურის ფორმებსა და [საზოგადოების] სოციალური სტრატიფიკაციის პროცესთან“ (Geertz 1963, 9).¹

გირცის სიმბოლური ანთროპოლოგიის პარალელურად, მსგავსი მოსაზრებები აღმოცენდა ამერიკული ეკოლოგიურ-მა-ტერიალისტური თეორიისა და კულტურული ეკოლოგიის წარ-მომადგენლებს შორისაც, რომლებიც ადამიანთა პოპულაციებ-სა და გარემოს შორის ურთიერთმიმართებების ძიებისას არ შე-მოიფარგლებოდნენ გარემოს, როგორც პასიური აქტორის რო-ლით, რომელიც ქმნის კულტურას, თუმცა არანაირ გავლენას

¹ შეადარეთ ადამიანური და უსულო აგენტობების ურთიერთმიმართების შე-სახებ არსებულ ზემოთხსენებულ მსჯელობას.

განიცდის მისგან. მათი მთავარი ამოცანა სწორედ საზოგადოებებისა და გარემოს ურთიერთგავლენის კვლევა გახდა, რაც კულტურულ კონტექსტზეა დამოკიდებული და ადამიანებისა და გარემოს მრავალმხრივი ინტერაქციის გაგებისკენაა მიმართული (McGee, Richards 2008, 265). ამის მაგალითად გამოდგება ჯულიან სტიუარდის მიერ ფორმულირებული კულტურული ეკოლოგის კვლევის ობიექტი:

„კულტურული ეკოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ თავისებურებების კვლევას, რომელთა ემპირიული ანალიზიც ყველაზე ნათლად უჩვენებს გარემოს უტილიზაციის კულტურულად განსაზღვრულ გზებს“ (Steward 1955, 37).

ამდენად, როგორც ანთროპოლოგიურ თეორიაში არსებულ კულტურისა და ბუნების ურთიერთმიმართების პრობლემის შესახებ შექმნილ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვიდან გამოჩენდა, მნიშვნელოვანია, რომ ანალიზის კონცეპტუალური ჩარჩო არ შემოიფარგლოს მარტივი გეოგრაფიული დეტერმინიზმის დაშვებებით და ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართებების შესწავლისას ერთ მხრივ, ყურადღება გამახვილდეს იმ სოციო-კულტურულ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ფაქტორებზე, რომლებიც მოცემული სივრცისა და დროისთვისაა აქტუალური, მეორე მხრივ კი მიწათმოქმედებაზე, როგორც ადამიანის გარემოსთან ინტერაქციის პროცესში ფორმირებულ დამოუკიდებელ აგენტობაზე.

ამდენად, მიწათმოქმედების, როგორც უსულო აგენტობის წარმოდგენა ამ სტატიაში უკავშირდება რამდენიმე ძირითად მახასიათებლებს:

1. ზემოქმედების უნარს საზოგადოების წევრებს შორის სოციალური ურთიერთობების შენარჩუნების ანდა გარდაქმნის პროცესზე;

2. კვლავწარმოებისათვის საჭირო სხვადასხვა აგენტის (მედიატორის) მოპილიზებასა და მათ ფუნქციურად დატვირთვას;

3. გარემოებების (კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა მაკრო ფაქტორები) შეცვლის პარალელურად, მის მიერ გამოვლენილ ადაპტაციურ უნარებს;

სტატიაში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალა გორის რაიონის სოფელ დიცში მიწათმოქმედების, როგორც უსულო აგენტობის შესახებ შესაძლოა ორ პირობით სივრცე – დროით (ომამდე და ომის შემდეგ) განზომილებებად იქნას დაყოფილი. ეთნოგრაფიული კვლევის პირველ ეტაპზე წარმოებული ეთნოგრაფიული დაკვირვებისა და არაფორმალური ინტერვიუების პროცესმა გამოიკვეთა ორი გარემოება. ერთი მხრივ, ჩემს მთხოობელთა ყოველდღიურ ყოფაში მიწათმოქმედების განსაკუთრებული როლი 2008 წლის ომის და შემდგომი პერიოდის „მცოცავი ოკუპაციის“ დაწყების შემდეგ. მეორე მხრივ, ჩაღრმავებული ინტერვიურების მეთოდით, მიწათმოქმედების ომამდელი, თვისებრივად განსხვავებული ფუნქცია და დანიშნულება ომის შემდეგ შექმნილი რეალობის კონტექსტში.

2020 – 2021 წლებში სამაგისტრო ნაშრომისათვის ემპირიული მასალის შეგროვების მიზნით, ეთნოგრაფიული კვლევა ჩავატარე საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელ დიცში (გორის რაიონი). კვლევის პირველი ეტაპის შემდეგ, გამიჩნდა განსაკუთრებული ინტერვესი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ იძულებით გადაადგილებული რამდენიმე ოჯახის მიერ სოფელ დიცში ჩრდილოეთ ნაწილში, ოკუპირებული სოფელ ერედვის საზღვართან ომის შემდეგ შექმნილი მცირე დასახლების მიმართ. უფრო კონკრეტულად – მაინტერესებდა რა გახდა მათ მიერ ამ დასახლების შექმნის მიზეზი, როგორ ახდენდნენ აქ მცხოვრები დევნილები საკუთარი ინტერესების, რესურსებისა და სურვილების მიხედვით, ურთიერთსაპირისპი-

როდ გამოყენებული და გაზიარებული სიმბოლოების ინტერ-პრეტაციის დახმარებით, ამ დასახლებაში არსებული მატერია-ლური და არამატერიალური რეალიების სიმბოლურ რეპრეზენ-ტაციას (ვახტანგაშვილი 2021, 4). ამ უკანასკნელის შესწავლის წინაპირობად კი ეთნოგრაფიული მასალა შეკრებილ იქნა ომის შემდეგ შექმნილი ეკონომიკური რეალობის, რელიგიური პრაქ-ტიკისა და ყოველდღიური ყოფისა თუ ლოკალური იდენტობის შესახებ.

საოკუპაციო გამყოფი ხაზის პირველადი დაკვირვების შემდეგ, ჩემი ყურადღება მავთულხლართებთან არსებულმა სივრცემ მიიპყრო. ქალაქ გორიდან მიმავალი საავტომობილო გზა სოფელ დიცის ცენტრში მიდის, რის შემდეგაც აღმოსავლე-თით, არბოსა და ქორდისაკენ მიემართება. 2008 წლამდე სოფ-ლის ცენტრიდან გზა ჩრდილოეთით, სოფელ ერედვისაკენაც მიემართებოდა, თუმცა 2021 წლისთვის საავტომობილო გზის ეს მონაკვეთი ტალახით დაფარული დამხვდა. აქედან საოკუპა-ციონ გამყოფი ხაზი სულ რამდენიმე ათეულ მეტრში გადიოდა. ეს გზა ეგრეთ წოდებული „საზღვრის“ აღმნიშვნელ ბანერთან წყდებოდა, რომლის ჩრდილოეთითაც ოკუპირებული სოფელი ერედვი, დასავლეთით კი დიცის მოსახლეობის ხეხილის ბალები იწყებოდა. განსაკუთრებულად უჩვეულოდ გამოიყურებოდა აღმოსავლეთი ნაწილი, რომელზეც არც მავთულხლართები და არც რაიმე სახის ე.ნ. „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერი იდგა. ეს ცარიელი სივრცე, რომელიც შემოდგომით ტალახით იყო დაფა-რული, ზაფხულობით კი საძოვრებად გამოიყენებოდა (რის გა-მოც, ადგილობრივების თქმით, ხშირი იყო რუსი სამხედროების მხრიდან რქოსანი პირუტყვის გატაცების შემთხვევები). ამავე ადგილზე მოხშირდა ადამიანების გატაცებაც) სრულდებოდა საოკუპაციო გამყოფი ხაზის სიღრმეში შეჭრილი კულტივირე-ბული მიწებით. ამ კონტრასტის დანახვისას გამიჩნდა შეკითხვა – რატომ არ სწევენ რუსები ამ მონაკვეთზე გამავალ მავთულ-

ხლართებს უფრო სამხრეთით – ძნელად წარმოსადგენია, რომ ისინი სასოფლო-სამეურნეო მიწებს უწევდნენ ანგარიშს.

უშუალოდ საოკუპაციო გამყოფ ხაზში შექრილი ბალები დიცის ჩრდილოეთით მდებარე სოფელ ერედვიდან 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს, ამ ბალებიდან ყველაზე ჩრდილოეთით, უშუალოდ ე.წ. „საზღვართან“ მდებარე ბალი კი ილია ბერუაშვილს ეკუთვნოდა. ილიასა და ყველა მის დევნილ მეზობელს, თუ ზოგადად, სოფელ დიცის მოსახლეობას უშუალოდ შეეხო (და ეხება) როგორც ბორდერიზაციის, ასევე მცოცავი ოკუპაციის პროცესი. ტერმინი „ბორდერიზაცია“ შეემნილია საქართველოში მოქმედი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისის მიერ და განიმარტება, როგორც: „ფიზიკური აღნიშვნებისა და მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც [ადმინისტრაციული საზღვრის] ხაზზე გადაადგილების პროცესს უწევს კონტროლს ანდა აფერხებს“ (Toal, Merabishvili 2019, 5).

რაც შეეხება „მცოცავ ოკუპაციას“, ესაა: „კონფლიქტის ხაზის სახელმწიფოთაშორის საზღვრად გარდაქმნისთვის ფიზიკური ბარიერების შექმნის პროცესი“ (Toal, Merabishvili 2019, 2).

ორივე პროცესი თანადროულად, 2008 წლის ომის შემდეგ დაიწყო, ხოლო 2009-2017 წლებში რუსული და ოსური მხარეების მიერ სათვალთვალო კოშკების, ბლოკ-პოსტებისა და მავთულხლართების გავლებაც დაემატა. ამ ყველაფერს თან სდევდა 2009-2017 წლებში საქართველოს 900-ზე მეტი მოქალაქის დაკავება „საზღვრის უკანონო კვეთის“ ბრალდებით (Komakhia 2017). ეს პროცესი დღემდე შეუქცევად ხასიათს ატარებს.

სოფელ დიცში მცხოვრებ ჩემს მთხრობელებს ომის დასრულებიდან მაღვევე, ჯერ კიდევ 2013 წლის ზაფხულიდან მოუნიათ „მცოცავი ოკუპაციის“ პირისპირ აღმოჩენა, რადგან ამ სოფელში საოკუპაციო საზღვრის გადმოწევა სწორედ ამ დროი-

დან დაიწყო (Toal, Merabishvili 2019, 9). ამის გამო, ჩემი მთხოვნელი ბის თქმით, სულ მალე მათი თანასოფლელების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილის საოკუპაციო გამყოფი ზოლის მიღმა აღმოჩნდა.

ამ სტატიისთვის წარმოდგენილი კონცეპტუალური ჩარჩოს მიხედვით, მიწათმოქმედება მისი ზოგადი უტილიტარისტული დანიშნულების გარდა, შესაძლოა აგრეთვე განვიხილოთ, როგორც აგენტობა, რომელსაც მოცემულ სოციო-კულტურულ კონტექსტში (საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მდებარე ქართულ დასახლებაში) მოქმედ აქტორთა ყოფაში ღრმა ისტორიული ფესვები გააჩნდა, რის გამოც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის სოციო-ალური კოპეზიის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორადაც ჩამოყალიბდა. ამ შემთხვევაში, სოციალურ კოპეზიაში იგულისხმება კონკრეტული სოციალური ჯგუფის წევრებს შორის არსებული სოლიდარობის, გაზიარებული ლირებულებებისა და მიკუთვნებულობის განცდის არსებობა (Baylis, Beider, Hardy 2019, 8). მიწათმოქმედების ამ როლის უფრო ნათლად წარმოსაჩენად, შეგვიძლია ახლოდან შევხედოთ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა სამეურნეო-ყოფით თავისებურებებსა და აქ არსებულ ეკოლოგიურ წინაპირობებს:

საარქივო მასალის ანალიზზე დაყრდნობით, ისტორიკოს-მა გიორგი სოსიაშვილმა (სოსიაშვილი, 2010) მე-20 საუკუნეში სოფელ დიცის ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრისას შენიშნა, რომ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში სოფლის კოლმეურნეობის ჩამოყალიბებას მებალეობისა და მარცვლეული კულტურების განვითარება მოჰყვა, რაც 1931 წელს დიცში ხილის გადამუშავებელი პუნქტების გახსნით დასრულდა. აქ არსებული კოლმეურნეობა ანგარიშვალდებული იყო სახელმწიფოსათვის გარკვეული გადასახადი ხორბლით გადაეხადა. სოფელში აქტიურად მისდევდნენ მესაქონლეობასაც, რაც ერბოსა და ხორცის წარმოების განვითარებას უკავშირდება, რომელთა რეალიზა-

ციაც დიციდან 4 კილომეტრში მდებარე ქალაქ ცხინვალში ხდებოდა (სოსიაშვილი 2010, 13-14).

სოფლის ამ ეკონომიკურ თავისებურებას ეკოლოგიური წინაპირობები ქმნიდა. ამ მხრივ, შეგვიძლია გავიხსენოთ ქართველი ეთნოლოგ გიორგი ჯალაბაძის (ჯალაბაძე 1986) ნაშრომი, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ შიდა ქართლის ამ ნაწილში მოსახლეობა სოფელ ვანათიდან ერედვის გავლით მომდინარე დიცურის სარწყავი არხით სარგებლობდა, რომლითაც დიცისა და ერედვის გარდა ირწყვებოდა ახლო მდებარე არბო, ქორდი, ერგნეთი, თერგვისი და ტირძნისიც. დიცურის მოვლა სოფლების კოლექტიურ პასუხისმგებლობას წარმოადგენდა, რაც დასტურდება გიორგი ჯალაბაძის მიერ მოყვანილი ერთი საინტერესო ადგილობრივი ჩვეულებითაც:

„დიცურის მერუეთა გადმოცემით, ერედველებს წყლის დალევის შემდეგ წვერი უნდა დაებერტყათ, რომ არხს ბევრი წყალი არ მოკლებოდა... წყლის ხელოვნური რუების გატანა ძალიან დიდი მნიშვნელობის პრობლემას იყო მიჩნეული, ხოლო ამ რუების დაზიანება, მოშლა და ხელყოფა ქვეყნის მოშლას უდრიდა“ (ჯალაბაძე 1986, 298).

ქართველმა ეთნოლოგმა შიდა ქართლში მიწათმოქმედების განვითარების შესწავლა მეოცე საუკუნის ოციან წლებში დაიწყეს. 1924-1926 წლებში, მესხეთში, შიდა და ქვემო ქართლში ეთნოგრაფიული მასალის ანალიზის შემდეგ, გიორგი ჩიტაია აღნიშნავდა:

„ქართლის ეთნოგრაფიულ ყოფაში მოპოვებულმა წინასწარი ხასიათის მონაცემებმა უკვე დაგვანახა, რომ მშრომელი გლეხობა ფლობდა მეტნაკლებად მკვიდრ ემპირიულ მასალას, რომლის ცალკეული მონაცემები მუშავდებოდა და ფორმირდებოდა ათასწლეულთა მანძილზე ხანგრძლივი, შეუპოვარი ძიებისა და გამოცდის გზით“ (ჩიტაია 1997, 57).

ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებელი ყურადღებას აქცევდა ადამიანის ყოფისათვის დამახასიათებელი თა-

ვისებურებების, განსაკუთრებით კი მიწათმოქმედების ეთნოგრაფიულად შესწავლის საკითხს, რის აღსანიშნადაც ის ტერმინ აგროეთნოგრაფიას იყენებდა. საყურადღებოა მის მიერ წარმოდგენილი აგროეთნოგრაფიის კვლევის საგანი, რომლის განმარტებიდანაც ჩანს, რომ გიორგი ჩიტაია, თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლოგიით რომ ითქვას, სწორედ სულიერ და უსულო აგენტობებზე და მათ ადამიანურ აგენტობასთან მჭიდრო კავშირზე საუბრობს, თუმცა განსხვავებული კონცეპტუალური აპარატით:

„აგროეთნოგრაფიის დარგში მუშაობის ხაზს განსაზღვრავს ადამიანის ფაქტორი. ამიტომ ნინ უნდა წამოიწიოს ადამიანის სიმბიოზი მცენარეებთან და ცხოველებთან. საჭიროა ეკოლოგიისა და მეურნეობის ისტორიის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში წარმოჩენა, რადგან კონკრეტულ ბუნებრივ პირობებში გამოცდილი და გამართლებული სამეურნეო საქმიანობა მკვიდრდება“ (ჩიტაია 1997, 62).

ქართველი მეცნიერების მიერ ამ კონკრეტულ რეგიონსა თუ ზოგადად, საქართველოში მიწათმოქმედების განვითარებაზე წარმოდგენილი მასალა ვუკავშირებ კლიფორნდ გირცის აგრიკულტურული ინვოლუციის თეორიის ერთ ასპექტს. გირცი (Geertz 1963, 12-37) ასაბუთებდა, რომ არსებობდა მჭიდრო კავშირი ინდონეზიაში არსებულ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ პრაქტიკებს, ეკოლოგიურ პირობებსა და სოციალურ სტრუქტურებს შორის, რა დროსაც მან ხაზი გაუსვა საირიგაციო სისტემების განუხრელად დიდ როლს საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური ქსოვილის შექმნაში. გირცის კონცეფცია, რასაკვირველია სცდება მარტივი რედუქციონიზმის საზღვრებს და მისი ანალიზი ინდონეზიურ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სიმბოლოებისა და ადამიანთა ყოფის სხვა ასპექტებს შორის მჭიდრო კავშირების ახსნის მიმართულებით ვითარდება.

ამდენად, ნათელია, რომ ეკოლოგიური პირობები აყალიბებს კონკრეტული მეურნეობისათვის ხელსაყრელ, ანდა ხელისშემშლელ ფაქტორებს, თუმცალა ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს, ჯულიან სტიუარტის სიტყვებით რომ ითქვას, „გარემოს უტილიზაციის კულტურულად განსაზღვრული გზებიც,“ რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება აქ წარმოდგენილი ეთნოგრაფიული ველის მეტ-ნაკლებად სრულ-ფასოვანი სურათის აღწერა.

ამისათვის, მნიშვნელოვანია ამ პროცესში მონაწილეთა-გან დანახული რეალობის ემიკურად გადმოცემა, უფრო კონკრეტულად კი იმის გაგება თუ რა როლს თამაშობდა 2008 წლამდე მიწათმოქმედება ადგილობრივთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ერთ-ერთი ინტერვიუს მონაკვეთი გადმოსცემს ჩემი მთხოვბელების სათქმელს:

„რაც თავი მახსოვს, ჩვენცა და ჩვენი მამა-პაპებიც სულ ვუვლიდით ბალებსა... სოფელში სუფრა ისე არ გაიშლებოდა, რომ ერთმანეთი არ დაგვეპატიჟა, ვიცოდით მუშაობის დრო-საც გვერდში დგომაი. ადრე ხალხი ერთად იდგა ჭირშიცა და ლხინშიცა...“

ამ წარატივში წარსულში არსებული მჭიდრო სოციალური ურთიერთობების შენარჩუნება პირდაპირ თუ ირიბად უკავშირდება რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას, მათ შორის კი – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ სეზონურ სამუშაოებს. ეს უკანასკნელი კი, ჩემ მიერ მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნოსთა შორის თუ შიდა ეთნიკური სოციალური ურთიერთობების განმაპირობებელ მე-დიატორადაც კი იქნა წარმოჩენილი. ამის ნათელსაყოფად მნიშვნელოვანია წარმოვადგინოთ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის ადგილის, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერგნეთში გახსნილი ე.წ. „ტეკის ბაზრის“ სოციალური მნიშვნელობა.

ამ ბაზრის შესახებ არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო მოცემულობა – ერთი მხრივ, ის რესეტიდან საქართველოს მიმართულებით არალეგალური პროდუქტებით ვაჭრობის (Kukhianidze, Kupatadze, Gotsiridze 2004, 18-20), მეორე მხრივ კი ადგილობრივი წვრილი და მსხვილი მოვაჭრეების, მძღოლების, მტვირთავებისა და კლიენტებისათვის ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს სივრცეს ნარმოადგენდა (Kukhianidze, Kupatadze, Gotsiridze 2004, 20). ეკონომიკური ურთიერთობების გარდა, ბაზარი ქართულ და ოსურ მოსახლეობას შორის კონფლიქტის პირობებში, ყოველდღიური ურთიერთობების გამყარების პრაქტიკურ ადგილად მოგვევლინა (Khutsishvili 2018, 3-4).

ჩემი მთხრობელების ინტერვიუებიდან ამოკრეფილი ქვემოთ ნარმოდგენილი რამდენიმე ციტატაც გამოდგება იმის საჩვენებლად, თუ როგორ შექმნა მიწათმოქმედებამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ერგნეთის ბაზარში რეალიზაციასთან დაკავშირებული მრავალაქტორიანი ქსელი, რომელშიც თანამონაწილეობდა სულიერ თუ უსულო აგენტობათა გამორჩეულად დიდი რაოდენობა. ილია ბერუშვილის თქმით:

„პომიდორი მიგვქონდა ხოლმე ჩვენა გასაყიდად და იქა [ერგნეთის ბაზარში] ბევრი დახლი იყო რო გავიხედე ვიფიქ-რე [...] ესა დღეს არ გაიყიდება-მეთქი. ჩამოვიდოდა ხოლმე რუსეთიდან მანქანაი და სულ მაასპობდა- დაუდებდა კუხე-მწიფესა და სულ მიჰეონდა. სულ ყველაფერი იყიდებოდა.“

„ახლა ამ ტერიტორიებზე, სამი ჰექტარი რაც მაქვს სულ ვაშლი მქონდა და ახლა მაგ ტეკზე სულ ვერ გავყიდიდი, სამაგიეროდ, კლიენტსა ვნახულობდი, მერე მომყავდა, ვაჩვენებდი, პადვალი სავსე მქონდა, [შემდეგ] მოიყვანდნენ მუშებსა, დავგრუზავნდით, წავიყვანდით...“

ეს მოსაზრება განავრცო მისმა მეზობელმა 70-წლამდე მა-მაკაცმაც:

„[ერგნეთის ბაზარში] ოსებს ჩამოჰქონდათ ფქვილი, ხორბალი, ქერი, სიგარეტი, საკონდიტრო ნაწარმი, გოჭები, ქათმები, კვერცხი და რავი, ბევრი რამე... დიზელი, ბენზინი და ა.შ.“

„[ერგნეთის ბაზარში] ავტობუსი დადიოდა ხოლმე, ისეთ ზუსტ დროს, ხალხი მასზე ასწორებდა საათს. მარტო ჩვენი ხეობის კი არა, მთელი გორის რაიონის ხალხი ვაჭრობდა ცხინვალში.“

„მანამდე [ერგნეთის ბაზრის გახსნამდე] დაკეტილი იყო ეს გზები და ჩერეზ აზერბაიჯანით დავდიოდით რუსეთში... და იმდენად დავუახლოვდით ამის მერე ოსებს, რომ აი, ამის მერე გასვენებაში ცხინვალში ჩავსულვარ, ჯავაში ჩავსულვარ, ქორწილში ვყოფილვარ... ჩვეულებრივად შეგვეძლო მანქანით ბაზარში გადაადგილება.“

როგორც ამ მონაკვეთიდან ჩანს, სავაჭრო-ეკონომიკურ ქსელში ჩაბმულ პირებს, მიუხედავად მათი ეთნიკურობისა, ერთმანეთთან მჭიდრო სოციალური ურთიერთობების დამყარება შეეძლოთ. აღნიშნული სიტუაცია შეიცვალა ერთი მხრივ, ერგნეთის ბაზრის დაკეტვის, ხოლო შემდეგ კი ამ რეგიონში მუდმივად მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, რაც საბოლოო ჯამში 2008 წლის აგვისტოს ომით დასრულდა. ახალმა რეალობამ ადგილობრივთათვის არა მხოლოდ გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეები, არამედ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანისა და საოჯუბაციო გამყოფ ხაზთან ახლოს ცხოვრებისა და ბორდერიზაციის გამო, უსაფრთხოების პრობლემებიც გააჩინა.

ამის სირთულეების მიუხედავად, ომის შემდეგ საოკუპაციო გამყოფ ხაზთან დევნილთა მცირე დასახლება მაინც შეიქმნა. ეს პროცესი პირველ რიგში ილია ბერუაშვილის საცხოვრებელს უკავშირდება, რომელიც ოკუპირებულ ერედვსა და დიცს შორის მდებარეობს და 2008 წლის შემდეგ მცოცავი ოკუპაციის

ეპიცენტრში აღმოჩნდა. ამას მოჰყვა ე.წ. „საზღვრის“ ნიშნულებისა და მავთულხლართების რამდენიმე შრის გავლება უშუალოდ ილია ბერუაშვილის კუთვნილი ბალების სიახლოვეს. ამ პროცესის პარალელურად, ილია ბერუაშვილის საცხოვრებლის გარშემო მიწების შეძენა დაიწყეს იმ დევნილებმა, რომელთა საცხოვრებელი სახლები და ბალებიც გამყოფი ხაზის მიღმა აღმოჩნდა. დევნილებმა საკუთარი გადაწყვეტილების მიღების ორი მიზეზი დაასახელეს: 1. სოფელ ერედვისგან „შემორჩენილი მიწის შენარჩუნება“ დეკუპაციის დასაწყისამდე და 2. მცოცავი ოკუპაციის შეჩერება სასოფლო-სამეურენო მიწების ფართობის ზრდის გზით.

ილია ბერუაშვილის ჩათვლით, ამ დასახლებაში მუდმივად ოთხი ოჯახი ცხოვრობს, რომელთა ძირითად საქმიანობად მიწათმოქმედება რჩება. მიუხედავად ამისა, მათ მიწის დამუშავება მხოლოდ ქართული პოლიციის დახმარების გზით შეუძლიათ. ილია ბერუაშვილის მიხედვით,

„ჩვენი ტერიტორიაა, მარა იქვე „საზღვარია“ და ჩვენა, ტექნიკას რომ შევიყვანთ, იქა ჩვენი მილიცია გვეხმარება“.

„იმდღესა მიწას ვამუშავებდით, ტექნიკა რამე რომ შეგვყავს იქ ჩვენი პოლიცია თუ არ დგას, ვერ შევდივართ...“

მსგავსი პრობლემა გამყოფ ხაზთან მდებარე ყველა ბალის მფლობელს, მათ შორის ილია ბერუაშვილის მეზობელ 60 წლამდე დევნილ მამაკაცსაც შეეხო:

„შიშით შევდივართ, მაგის დედა ვატირე. მე რათ მინდა მილიცია, რომ ჩემს ნაკვეთში შევიდე და დავამუშავო?!"

ამ სირთულის გაჩენამ ჯგუფის წევრებს შორის სოციალური კოპეზია კიდევ უფრო განამტკიცა, რაც აისახა ტოპონიმიკაში – ამ ტერიტორიას მათ „ბერუაშვილების უბანი“

უწოდეს, ეს ტოპონიმი კი ოკუპირებულ სოფელ ერედვიდან გადმოიტანეს. მეორე მხრივ კი, ამით ხელი შეუწყვეს მათ შორის არსებული სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებასა და

დაცვას – აქ დასახლებულებს საერთო წარმომავლობის გარდა ნათესაური კავშირებიც გააჩნიათ.

კვლევის პროცესში მომეცა საშუალება დავკვირვებოდი ამ ჯგუფის წევრების მიერ შემუშავებულ სხვადასხვა ორგანიზებულ მოქმედებებს, რომელთა უმეტესობაც მიწათმოქმედებას უკავშირდებოდა. პირველ რიგში, ეს ეხება ამ დასახლებაში სეზონურად მცხოვრები დევნილების ბალების მოვლას – როგორც ადრეულ გაზაფხულზე მიწის დამუშავების, ასევე შემოდგომით მოსავლის აღებისა და დაბინავების პროცესში. სეზონურად მცხოვრებ რამდენიმე დევნილ ოჯახზე დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მათ ძირითადად ეკონომიკური მიზეზების გამო, ერთგვარი ორმაგი მოსახლეობა არჩიეს – ისინი უმეტესწილად დევნილთა დასახლებებში აგრძელებენ ცხოვრებას აქ კი პერიოდულად ჩამოდიან (სასოფლო-სამეურნეო ციკლით გათვალისწინებული სეზონური სამუშაოების შესასრულებლად).

ამგვარი შრომით ურთიერთდახმარების ფორმები ტრადიციულად სამინათმოქმედო თუ მესაქონლეობის დარგებში შრომითი ნაყოფიერების გაზრდასა და ფიზიკური ძალების დაზოგვას ემსახურებოდა,¹ თუმცადა ამ კონტექსტში ძველ (მიწათმოქმედება, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული მატერიალური ობიექტები თუ პრაქტიკები) და ომის შემდეგ გაჩენილი ახალ აგენტობების (მავთულხლართები, რუსი და ოსი ე.წ. „მე-საზღვრები“ და მძიმე ტექნიკა) გამო შეიცვალა. ანალიზისას აუცილებელია აღინიშნოს ამ აგენტობებს შორის შექმნილი ის ბინარულობა, რომელიც აქ მცხოვრებთა ყოველდღიურობას განსაზღვრავს. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება ილია ბერუაშვილის მორიგი სიტყვები:

„ჩემ ბალში ვართ და ვამყნობთ ხეებსა. [მავთულხლართებს მიღმა] დავინახეთ საიდანლაც გამოჩნდა ვილისი თუ ჯიპი ეგ მანქანაი და გაიშალნენ ასე რუსები, თან ხელებს იქ-

¹ იხილეთ: გელაძე 1989; გრძელიძე 1985.

ნევერ აქეთკენა... დავრეკე პოლიციაში აქ არ იყვნენ მაშინა. [ჩემს მეზობელ] დაეწყო ხელების კანკალი. ეშინია, თან ამ- ყნობს.“

„[გამყოფ ხაზთან მდებარე ბაღში] ნერგის ფესვები ამო- ვილე ერთი ორგანა, უკვე ბინდდებოდა და ბარემ მოვრჩე- მეთქი, ეს ცული ავიტანე ჩავჩერებო-მეთქი და [რუსები] არ და- მადგნენ ბიჯო?! ორნი თანა. დობრი ვეჩერო – ვეჩერ დობრი, კაკ სლუჟბაო, მეკითხეს.. და იდუტ, სპასიბა. არაფერი, არა- ფერი, აესე ვსაუბრობთ ხოლმე...“

როგორც ამ მონაკვეთიდან ჩანს, საოკუპაციო გამყოფი ხაზის ორივე მხარეს ორი სხვადასხვა სახის უსულო აგენტობე- ბი წარმოადგენენ, რაც, თავის მხრივ, მიწათმოქმედებისა და მცოცავი ოკუპაციის, მიწის კულტივაციისა და ოკუპაციის ბი- ნარული ოპოზიციებით განისაზღვრება. აქ საჭიროა მივუბრუნ- დეთ სტატიის თეორიულ ნაწილში წარმოდგენილი ალფრედ გე- ლის (Gell 1998), „ჰუმანისტურ მიდგომას,“ რომელიც მატერია- ლური საგნების აგენტობების მთავარ განმსაზღვრელად ადამი- ანურ აგენტობას სახავდა. მისი ნაშრომიდან განსაკუთრებით გასათვალისწინებელია მორიგი არგუმენტი. გელის მიხედვით, პოლ პოტის მიერ კამბოჯის სხვადასხვა ტერიტორიაზე დაფ- ლული ნაღმები „პირდაპირ მიუთითებენ“ დიქტატორის დეს- ტრუქციულ ზრახვებზე იმ გაგებით, რომ ადამიანები, რომლებ- საც მათ გამო დაზიანებები მიადგათ კაუზალური ლოგიკური კავშირებით, წარსულში პოლ პოტის მიერ კამბოჯის დანაღმვის გადაწყვეტილებამდე მიდიან (Gell 1998, 20-21). როგორც აქ ჩანს, ნაღმებს, როგორც ცალკე აღებულ მოცემულობებს, გააჩ- ნიათ აგენტობა – მათი მოქმედებაში მოყვანა ადამიანებს კონ- კრეტული პიროვნების სახელს ახსენებს. სხვა სიტყვებით, ნაღ- მები იმ გაგებით წარმოადგენენ აგენტობებს, რომ ისინი არამ- ხოლოდ ატარებენ, არამედ კიდეც აღასრულებენ ადამიანების მოკვლის განზრახვას.

ამგვარი გაგებით, დევნილების დასახლებასთან გავლებული საოკუპაციო გამყოფი ხაზი იქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის, გელის მიერ აღწერილი პოლ პოტის მინების, როგორც ისტორიული მოვლენების რემინისცენციის მსგავსად, უსულო აგენტობად იქნას გააზრებული, რომელიც რუსულ მხარესთან ასოცირებულ ომს, ადამიანების გატაცებასა და ოკუპაციას უკავშირდება. რაც შეეხება მინათმოქმედებას, ის შეიძლება დახასიათდეს გამყოფი ე.ნ. „საზღვრის“ წინააღმდეგ ფორმირებულ აგენტობად, რომელიც ადგილობრივთა ტრადიციული (ომამდელი) ყოფისათვის დამახასიათებელი ტრადიციული სამეურნეო ცხოვრების წესზეა დამყარებული. ამასთან გამოიკვეთა, რომ შესაბამისი გამოწვევების პირობებში, მინათმოქმედებას გააჩნია პოტენციალი გარდაიქმნას ახალი ტიპის ქსელად, რომელშიც სხვა სულიერი და უსულო აგენტობები არსებული სიტუაციის შესაცვლელად გარკვეული მიზნებისათვის გაერთიანდებიან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ სტატიაში 2020 – 2021 წლებში სამაგისტრო ნაშრომისათვის სოფელ დიცში 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის შემდეგ შექმნილ დევნილთა მცირე დასახლებაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის ახლებურად გაანალიზებისა და მისი უსულო აგენტობისა და აქტორისა და ქსელის ფართო თეორიასთან დაკავშირების გზით, ვეცადე მეჩვენებინა საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მცხოვრები ადამიანების მიერ მინათმოქმედების, როგორც უსულო აგენტობის ფორმირების დინამიკური პროცესი, რომელიც სათავეს ადგილობრივთა ტრადიციული ყოფა-ცხოვრებიდან იღებს და ომის შემდეგ შექმნილი ბორდერიზაციისა და მცოცავი ოკუპაციის პროცესში შექმნილ სიტუაციაზე გავლენის მოხდენის უნარით ხასიათდება. ემპირიული მასალისა და თეორიის ანალიზიდან გამოჩნდა, რომ მინათმოქმედებას გააჩნდა და გააჩნია სხვა სულიერი თუ უსულო აგენტობებისაგან

დაკომპლექტებული ქსელის შექმნის უნარი ომამდელ (ტეკის ბაზარი, სავაჭრო ურთიერთობები, სატრანსპორტო ქსელი) და თვისებრივად განსხვავებულ – ომის შემდეგ (გამყოფ ხაზთან მობილიზებული პოლიცია, მცოცავი ოკუპაციის შესაკავებლად ფორმირებული სოც. ურთიერთობები, გამყოფ ხაზთან დამუშავებული მიწები და ა.შ.) სიტუაციებში. აქედან გამომდინარე, სტატიაში არა მხოლოდ „გარემოს უტილიზაციის კულტურული გზების“, არამედ ადამიანების მიერ ფორმირებული იმგვარი აგენტობის შექმნის კონტურები იკვეთება, რომელიც უნდა გავიაზროთ კულტურისა და ბუნების დიქოტომიის გარეშე, რადგანაც ის ჰიბრიდული ბუნების მატარებელია და ადამიანთა ქცევაზე ზემოქმედების უნარით ხასიათდება, უფრო კონკრეტულად კი – მისი შემქნელი სოციალური ჯგუფისაგან მოითხოვს ახალი სოციალური ურთიერთობების ფორმირებას (მაგ. სხვა დევნილების ბალებზე ზრუნვა და მიწათმოქმედება პოლიციის თანხლებით) კონკრეტული კომპეტენციების (მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული სეზონური სამუშაოები, შრომითი ურთიერთდახმარება) მობილიზებასა და, შესაბამისად, ახალ სიტუაციასთან ადაპტაციას. ნაშრომში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული მასალის შინაარსიდან გამომდინარე, მიწათმოქმედების აგენტობის კონცეფცია უფრო მეტად გააზრებულია ჰუმანისტური მიდგომით, რადგანაც თითოეული უსულო აგენტობის შექმნა პირდაპირ უკავშირდება ადამიანური აგენტობების მიზნებსა და ამოცანებს. ამასთან ერთად, შესაძლებელია ვისაუბროთ ერთი მხრივ, ოკუპაციასთან დაკავშირებული ბორდერიზაციის, მეორე მხრივ კი, მიწის კულტივაციის როგორც პირველის საწინააღმდეგოდ გაჩენილ აგენტობებს შორის მიმდინარე კონფლიქტსა და ახლებურ სოციალურ დინამიკაზე, რაც პირდაპირი ამსახველია რესერტსა და საქართველოს შორის მიმდინარე მაკრო სოციალური და პოლიტიკური პროცესებისა.

ადამიანისა და მისი უშუალო საცხოვრებელი გარემოს ურთიერთკავშირის პრობლემა, რომელიც განსაკუთრებულად აქტუალური თანამედროვე ანთროპოლოგიურ მიმართულებებში გახდა (მაგ. გარემოს ანთროპოლოგია ანდა ზემოხსენებული აქტორისა და ქსელის თეორია) ქართულ ეთნოლოგიური სკოლისათვის არამხოლოდ კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება იყო (მაგ. გიორგი ჩიტაიას მიერ წარმოდგენილი ადამიანის, მცენარეებისა და ცხოველების სიმბიოზის კვლევა აგროეთნოგრაფიის კონტექსტში), არამედ გვჩვდება ემპირიული მასალით გამყარებული ნაშრომები, რომლებშიც კონტექსტურადაა გააზრებული ეკოლოგიური ცოდნა მათ შორის სარწყავი წყლის მოხმარების შესახებ

დამოწმებული ლიტერატურა:

გელაძე, თ. (1989), მიწათმოქმდებასთან დაკავშირებული შრომითი დახმარება (აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით), ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XL-B, გვ: გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

გრძელიძე, ბ. (1985), შრომის ორგანიზაციის ფორმები მთიულეთსა და გუდამაყარში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანცკე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, N2, გვ: თბილისი.

ვახტანგაშვილი, გ. (2021), ყოველდღიური ყოფა და ცხოვრება საოცუპაციო გამყოფ ხაზთან (სოფელ დიცის მაგალითზე). სამაგისტრო წაშრომი, ხელმძღვანელი ქეთევან ხუციშვილი, თბილისი, თსუ, VIII კორპუსი, ოთახი 204, ხელნაწერის უფლებით.

ვახტანგაშვილი, გ. (2022), თანამედროვე ანთროპოლოგიური ეპისტემოლოგია: ლოკალური ცოდნის სისტემების კონსტრუირება და მათი ანალიზი (ტონი ლ. უათჰედისა და მარგარეტ ლ. კომპტეს პარადიგმების მიხედვით). მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის III (29): 108- 132, თბილისი.

- ლატური, ბ. (2014),** არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულები, სიმეტრიული ანთროპოლოგიის მცდელობა, მთარგმნელი ელენე ლადარია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
- სოსიაშვილი, გ. (2010),** დიცის ისტორია (პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
- ჩიტაა, გ. (1997),** საქართველოს აგროეთნოგრაფიის პრობლემები (შესწავლის მდგომარეობა და პერსპექტივები). ცაგარეიშვილი თ. (რედ), შრომები ტ. 1 გვ: „მეცნიერება“, თბილისი.
- ჯალაბაძე, გ. (1986),** მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.
- Appadurai, A. (1990),** Disjuncture and Difference in the Global Cultural Economy, Theory, Culture and Society, Vol. 7, Issue 2-3.
- Ahearn, L. M. (2001),** Language and Agency. *Annual Review of Anthropology*, Vol. 30, pp. 109-137.
- Bateson, G. (1972),** Steps to Ecology of Mind: A Revolutionary Approach to Man's Understanding of Himself, New York, Ballantine
- Baylis, I.; Beinder, H.; Hardy, M. (2019),** Cohesive Societies Literature Review, The British Academy Cohesive Societies, January.
- Callon, M. (1991),** Techno-economic networks and irreversibility, In: A Sociology of Monsters: Essays on Power, Technology and Domination, Law J. (ed.), London, Routledge, pp. 132-161.
- Clifford, J. (1986),** Partial Truth, შესავალი წიგნიდან: Clifford James, Marcus George E (რედ). Writing Culture, The Poetics and Politics of ethnography, University of California Press.
- Desjarlais, R. R. (1997),** Shelter, Blues: Sanity and Selfhood Among the Homeless, Philadelphia, University of Pennsylvania Press.
- Dobres, M. (2000),** Technology and Social Agency: Outlining a Practice Framework for Archeology, Oxford, Blackwell.
- Geertz, C. (1963),** Agricultural Involution, The Process of Ecological Change in Indonesia, University of California Press.
- Gell, A. (1998),** Art and Agency, An Anthropological Theory, Oxford University Press.
- Giddens, A. (1984),** The Constitution of Society, Cambridge: Polity.

- Holbraad, M.; Pedersen, M. A. (2017),** The Ontological Turn, An Anthropological Exposition, Cambridge University Press.
- Huntington, E. (1945),** Mainsprings of Civilization, New York, Jogn Wiley.
- Karp, I. (1986),** Agency and Social theory, A review of Anthony Giddens, American Ethnologist, Vol. 13, No.1, pp. 131-137.
- Khutshishvili, K. (2018),** Marketplaces: Meeting Places in Border Zones of Georgia, working paper series on Informal Markets and Trade, Working Paper, N 6, 14.
- Komakhia, M. (2017),** “*Russia’s Influence Over the Field of Security in Tskinvali Region is Growing: Support for Full Integration*”: Rondeli foundation, 15 ნოემბერი, ბოლო წვდომა: 2023: 30 ივლისი, ხელ-მისაწვდომია: <https://gfsis.org.ge/blog/view/766>
- Kroeber, A. L. (1939),** Cultural and Natural Areas of Native North America, Berkley, University of California Press.
- Kukhianidze, A.; Kupatadze, A.; Gotsiridze, R. (2004),** *Smuggling Through Abkhazia and Tskinvali Region of Georgia*, American University’s Transnational Crime and Corruption Centre (TraCCC), Georgia Office, Tbilisi.
- Levi-Strauss, C. (1962),** La pensée sauvage, Paris, Pion.
- Sayes, E. (2014), Actor-Network Theory and methodology: Just what does it mean to say that nonhumans have agency? – Social Studies of Science, Vol. 44, No. 1, pp. 134-149, February.
- Latour, B. (1992),** where are the missing masses? *The sociology of a few mundane artifacts*, in: Bijker WE and Law J (eds) Shaping Technology/Building Society: Studies in Sociotechnical Change, Cambridge, MA: The MIT press, pp. 225-258.
- Latour, B. (1999),** *Pandora’s Hope: Essays on the Reality of Science Studies*, Cambridge, MA: Harvard University Press.
- Latour, B. (2005),** Resembling the Social: *An Introduction to Actor-Network Theory*, Oxford: Oxford University Press.
- Marcus, G. E. (1995).** Ethnography in/of the World System: The Emergence of Multi-Sited Ethnography, Annual Review of Anthropology, vol. 24, pp. 95-117.

- McGee, J. R.; Warms, Richard L. (ed.) (2008)**, Anthropological Theory, An Introductory History, 4th edition, McGraw-Hill Companies, New York.
- Pickering, A. (1995)**, The Mangle of Practice, Time Agency and Science, Chicago, University of Chicago Press.
- Soumhya, V. (ed.) (2010)** *Ontology is just another word for culture, Motion tabled at the 2008 Meeting of the Group for Debates in Anthropological Theory*, University of Manchester, Critique of Anthropology, vol. 30, N 2, pp.152-200, DOI:10.1177/0308275X09364070.
- Steward, J. (1955)**, Theory of Culture Change, Urbana, University of Illinois Press.
- Toal, G.; Merabishvili, G. (2019)**, Borderization Theatre: Geopolitical entrepreneurship on the South Ossetia boundary line 2008-2018, Caucasus Survey, Vol. 7, Issue 2.
- Vygotsky, L. S. (1978)**, Mind in Society, The Development of Higher Psychological processes, M. Cole S. Scribner, E. Souberman (ed.) Cambridge, MA, Harvard University Press.
- Wertsch, J.; Tulviste, P.; Hagstrom, F. (1993)**, A Sociocultural approach to Agency, In Context for Learning: Sociocultural Dynamics in Children's Development, EA Forman, N Minick, CA Stone, (ed.), New York, Oxford University Press, pp. 336-356.
- Whittington, R. (2015)**, Giddens, Structuration Theory and Strategy as Practice, ნიგნიდან Golsorkhi Damon, Rouleau Linda, Seidl David, Eero Vaara (რევ.) Cambridge Handbook of Strategy as Practice, Cambridge University Press.

Giorgi Vakhtangashvili

**Cultivation versus Occupation: the Role of
Agriculture in Challenging the Russian Barbed
Wires in the IDP Settlement oft Ditsi**

This article attempts to analyze the process of land cultivation by internally displaced persons living in the village of Ditsi, near the occupational dividing line, as a process of terminating borderization and creeping occupation against the backdrop of the ongoing theoretical discussion about non-human agency in anthropological theory. IDP-cultivated lands are described here as goal-oriented formations of non-human agency, which are linked to the following theoretical premises, depending on the content of the paper: 1. Overcoming the current contradiction between nature and culture, and seeing objects as significant as humans (Bruno Latour, Alfred Gell) 2. Understanding the natural environment as one of the primary influences on social organization (Clifford Geertz) In this case, the conceptualization of land cultivation as an agency is related to agriculture's ability to shape (and reshape) new networks by enlisting different human and non-human agencies, which can be explained by the fact that IDPs adapt land cultivation practices and knowledge to the new post-war reality from their everyday practices prior to the 2008 war. At the same time, it was revealed during the analysis of the presented context that agriculture can be interpreted as a counterbalance to the Russian barbed wire erected at the dividing line (another non-human agency), which directly represents the desires, affects, and goals of the social group that created it. The current paper also aims to break new ground in Georgian anthropology by presenting new insights from the larger philosophy of non-human agency. This technique, according to Autor, not only sheds light on previously undiscovered aspects of (in this example) internal displacement in Georgia, but also lays the way for future scholarly research into related empirical investigations.

პორის კომანდები

ქალაქი ცვლილებების პირობებში: ზესტაცონის ურბანული ტრანსფორმაცია

სტატიაში¹ განხილულია სამრეწველო ქალაქის, ზესტაფონის პოსტსაბჭოთა იდენტობის ტრანსფორმაცია, რომელიც ეყრდნობა 2017-2019 წლებში ჩატარებულ ეთნოგრაფიულ კვლევას. ქალაქი, ფუნქციური შინაარსით, სოციალური და კულტურული აგლომერაციაა, რომელშიც ორგანიზდება მატერიალური და არამატერიალური ინტერაქცია. ქალაქი ყალიბდება და აყალიბებს ნარატივებს მეხსიერებაში და მეხსიერების მეშვეობით (Bridge and Watson 2003, 7-14). ქალაქის იდენტობის (რე)კონსტრუირება პოლიტ-ეკონომიკური ცვლილებების დროს ხდება თვალსაჩინო, რადგანაც ასეთ პირობებში, აქტუალურია ახალი ცხოვრების წესის ფორმირების საკითხი, რომელიც ძველისაგან განსხვავდება, თუმცა მისით საზრდოობს.

პოსტსოციალისტური ბლოკის ქვეყნებში ურბანული წესრიგი, რომელიც ცენტრის მიერ იმართებოდა შეიცვალა ახალი, ნეოლიბერალური ეკონომიკით, რამაც გავლენა მოახდინა ადამიანთა იდენტობაზე. ახალმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ წარმოქმნა კრიზისი, რომლისგან თავის დაღწევის ალტერნატიული გზების ძებნა პოსტსაბჭოთა მოქალაქეების ყოველდღიურ პრაქტიკად იქცა. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის პროცესში სანარმოებს შორის ეკონომიკური კავშირების გათიშვა, დაუსაქმებლობა, საცხოვრებელი პირობების გაუარესება, სამრეწველო ქალაქების ყოველდღიურობის ნაწილად იქცა, რადგანაც წარმოებისა და მოთხოვნის დისპალანსი დასაქმე-

¹ სტატია ეფუძნება სამაგისტრო კვლევას სახელწოდებით: „პოსტსაბჭოთა ქალაქის ტრანზიციის თავისებურებები (ზესტაფონის მაგალითზე)“, თბილისი 2019, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, ხელმძღვანელი დოქტორი თეა ქამუშაძე.

ბულთა რაოდენობის შემცირებასა და ქალაქების სამრეწველო ორგანიზებისაგან დისტანცირებას უწყობდა ხელს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, სისტემის მოშლის პარალელურად ახალი ნეო-ლიბერალური ეკონომიკის იღუზია შეიქმნა.

ყოფილმა საბჭოთა მოკავშირე ქვეყნებმა მოდერნიზაციის თავისებური გზა გაიარეს და ინდუსტრიალიზმის განსხვავებული ფორმა შექმნეს, ვიდრე ლიბერალურმა სახელმწიფოებმა. დემოდერნიზაცია და პოსტმოდერნიზაცია ამ სისტემის მოშლას უკავშირდება. ტერმინი დემოდერნიზაცია სხვადასხვა პერიოდის სოციეტალურ ცვლილებებს ხსნის და გამოიყენება პოსტსაბჭოთა ქვეყნების სოციალური და კულტურული ტრანსფორმაციის გასაგებად. მოდერნულობის ძირითადი ასპექტები მოიცავს: ფიზიკურ ინფრასტრუქტურას, კოლექტიურ იდენტობას, ინსტიტუციებს, ინდუსტრიულ საწარმოებს, რომლებიც დემოდერნიზაციასთან ერთად ზიანდება ან ქრება (Rabkin and Minakov 2018, 13).

დემოდერნიზაციის პროცესი საკავშირო მასშტაბით 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, რაც განპირობებული იყო სოციო-პოლიტიკური კრიზისითა და ინფრასტრუქტურის ამორტიზებით. დაგეგმილი ეკონომიკა ქაოსური, ყოველდღიური სპორადული აქტივობებით ჩანაცვლდა. სამრეწველო ქალაქებში იდენტობის კრიზისი შეიქმნა, რადგანაც აქამდე გიგანტური, საკავშირო დაქვემდებარებაში მყოფი ქარხნების რესურსებით მომარაგებულ ქალაქს, ახალი საბაზრო პრინციპებისათვის უნდა აეწყო ფეხი. ამგვარი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა სამრეწველო ქალაქი ზესტაფონიც.

საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი წარმატებული სამრეწველო ქალაქი ზესტაფონი, საბჭოთა კავშირის დაშლიდან სამი დეკადის გასვლის შემდეგ, ისევ ღირებულების გადაფასების პროცესშია. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა პირველი უდიდესი საწარმოა საქართველოში, რომელიც 1933 წელს შეიქმნა

და ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფაქტორად იქცა. ცვლილებების მიუხედავად, ნეოლიბერალურ ეკონომიკურ სისტემაში, ფეროშენადნობთა წარმოება ადგილობრივთა და სახელმწიფო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებშია მოქცეული და სამომავლო პერსპექტივები წარმოების პროცესთანაა დაკავშირებული. ახალმა საბაზრო წესრიგმა კრიზისი და უმუშევრობა გამოიწვია ქალაქში. 1990-იანი წლებიდან ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი ძალებით ებრძვის სილარიბეს. „ხსნის იმედად” ჯერ კიდევ ამორტიზებული, შემდეგ კი პრივატიზებული ფეროშენადნობთა ქარხნის ნარჩენები იქცა, რომელიც ქალაქის მატერიალურ ფორმას ქმნის 1930-იანი წლებიდან. 2007 წელს ქარხნის მფლობელი „ჯორჯიან მანგანეზი” გახდა, რომელმაც დაიწყო საწარმოს რესტრუქტურიზაცია. 2010-იანი წლებიდან ფეროშენადნობთა ქარხანა ადგილობრივთა გარემოსდაცვითი აქტივიზმის არეალად იქცა. შეიქმნა მოხალისეობრივი გაერთიანება, რომელიც კომპანიას სთხოვს გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას და სამოქალაქო პასუხისმგებლობისკენ მოუწოდებს.

საკვლევი პრობლემის აქტუალობას განაპირობებს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის სოციალური და კულტურული გავლენების შესწავლის აუცილებლობა. კვლევის მიზანია გავიგო, საბჭოთა პერიოდში მუშათა ინდუსტრიულმა ქალაქმა და დასაქმების უდიდესმა ბაზამ, ზესტაფონმა შეძლო თუ არა მძიმე ინდუსტრიის ბაზაზე ახალი სამრეწველო გადაწყობა. როგორ აისახა მის ურბანულ სივრცეზე პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და „იდენტობის ძიების“ პროცესი. ისტორიული გამოცდილებისა და თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ფონზე ვცდილობ დავადვინო რა ტიპის იდენტობას ქმნის ზესტაფონი თანამედროვე ყოფაში და გამოვავლინო ადაპტაციის ის ფორმები, რომელსაც მოსახლეობა თავის გასატანად მიმართავს პერიოდულად.

ზესტაფონის სამრეწველო არეალად ქცევა სარკინიგზო მა-
გისტრალის ქალაქის ცენტრალურ არეალში გატარებას მოჰყვა.
1880-იან წლებში ზესტაფონში გაიხსნა ლოლოპერიძის შავი ქვის
მარგანეცის გადამამუშავებელი კანტორა. განვითარების პარა-
ლელურად მაზრის ცენტრი შორაპნიდან ზესტაფონში გადავი-
და. ზესტაფონი ქალაქად 1926 წელს გამოცხადდა (გველესიანი
1982, 2). ზესტაფონი, ინდუსტრიალიზაციასთან ერთად, იქცა
საქართველოში საბჭოთა სოციალიზმის მშენებლობის ნიმუშად,
სადაც პირველი მძიმე სამრეწველო საწარმო აშენდა. ქარხანამ
დასრულებული სახე საბჭოთა კომუნიზმის მშენებლობის პერი-
ოდში მიიღო. 1924 წლის 16 აპრილს სახკომსაბჭოს მიერ შექმნი-
ლი კომისია იზიარებდა სამრეწველო ქარხნის ზესტაფონში აშე-
ნების იდეას, ნედლეულისა და ენერგიის წყაროებთან სიახლო-
ვის გამო (თუთპერიძე 1974, 5-11).

ქარხნის გასაშენებელი ადგილი 1930 წლის 2 ივნისს იქნა
გამოყოფილი, ამავე დღეს დაიწყო მუშათა საცხოვრებელი სახ-
ლის მშენებლობა. საბჭოთა ავტორები ფეროშენადნობთა ქარ-
ხანას წარმოაჩენდნენ, როგორც რევოლუციის პირმშოს და
ხაზს უსვამდნენ ზესტაფონის, როგორც პირველი სამრეწველო
სტატუსის მქონე ქალაქს. ქარხანა, რომლის იდეა და დაპროექ-
ტება რუსული ცარიზმისა და ევროპელი კაპიტალისტების ინი-
ცირებული პროექტია, საბჭოთა ხელისუფლების მიერ განსხე-
ულდა პრაქტიკაში. ქარხანა 1933 წლის 28 ოქტომბერს გაიხსნა
(იხ. ბუხნიკაშვილი 1983).

ზესტაფონის ურბანული ლანდშაფტი, საშუალებას იძლეო-
და სამრეწველო ქარხანასთან ერთად გაზრდილიყო სამოქალა-
ქო დასახლება. ფეროშენადნობთა ქარხანამ წარმოქმნა ქალაქი
ქალაქში, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომამდე, როდესაც
ქარხნის შემოგარენში მუშათა დასახლებები შეიქმნა.

ომარიმ, ოთხმოც წელს გადაცილებულმა ინფორმაციმა
სამრეწველო დასახლების შესახებ, ჩემთან საუბრისას აღნიშნა:

„ფეროში [უბანი] დაბადებული ვარ. მამაჩემი და ბიძაჩემი პირველი საამქროს მუშები იყვნენ. მეც ვიმუშავე ქარხანაში, ამიტომ ბინა მოგვცეს „ფეროს დასახლებაში“. თუ ფეროელი იყავი სახელი გქონდა, კაცს გეძახდნენ. სამი ბინა იყო ფეროს სამმართველოსთან, მე მეორეში ვცხოვრობდი. მერე ის ბინები დაანგრიეს და ხალხი გადაანაწილეს კვალითის დასახლებასა და ქალაქში, მე ბინა წყალსადენის დასახლებაში მომცეს, ქალაქის ცენტრში”.

ფეროს დასახლება იყო ერთ-ერთი პრესტიული უბანი საბჭოთა პერიოდში, თავისი სკოლით, ბაღით, კლუბით, სტადიონით. ნუგზარიმ, ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა მამაკაცმა ჩემთან ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ სკოლებიდან და ბაღებიდან გამორჩეული იყო ფეროს დასახლების სკოლა და ქალაქში რომ ვინმე იტყოდა ფეროელი ვარო, პრესტიულად ითვლებოდა.

ქარხნის აშენებას მოჰყვა ზესტაფონელთა სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, ქალაქის გაფართოება და მოსახლეობის ზრდა. 1960-იანი წლებიდან „ფეროს შენობები“ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გამოჩნდა, ხოლო „მეტალურგთა ქალაქის“ სოფელ კვალითის ტერიტორიაზე გაშენება 1971 წლიდან დაიწყო, რომელიც 10 000 მაცხოვებელზე იყო გათვლილი (კომუნისტი 1971, 4).

ქალაქის იდენტობას ადგილობრივები ქმნიან, რომლებიც მოქმედებენ რესურსებსა და ინფორმაციაზე წვდომის შესაბამისად. ქალაქის სივრცეები, ცვლილებების პროცესში, რეორგანიზდება. ზესტაფონმა, რომელმაც ადგილობრივთა კეთილდღეობა სამრეწველო საქმიანობაზე დააფუძნა, 1990-იან წლებში დაკარგა საკავშირო მნიშვნელობის მქონე სამრეწველო ქალაქის სტატუსი. ქალაქი იქცა ამორტიზებულ, მოქალაქეებისაგან დაცლილ სივრცედ. პოსტსაბჭოთა პრივატიზაციის პროცესის შეფასებისას, ადგილობრივები იხსენებენ მოქალაქეების მი-

ერ ორგანიზებულ პერიოდს (1990-იან წლებს). ერთ-ერთი ინფორმანტი მიუთითებდა, რომ 1990-იანმა წლებმა ადგილობრივთა ცხოვრებაში ცვლილებები მოიტანა, რადგან სახელმწიფო სისტემა, რომელიც მანამდე მათთვის სოციალურ კეთილდღეობას ქმნიდა მუდმივი და სავალდებულო საქმეებით, მოიშალა. მოქალაქეებს კი ამ სისტემის ნარჩენებით თავის გატანა მოუწიათ.

კვლევამ ცვლილებების ორი ეტაპი ცხადყო – პრივატიზაციამდელი და პრივატიზაციის შემდგომი. პრივატიზაციის შემდგომმა პერიოდმა, რომელმაც 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ მიიღო ინტენსიური სახე, კრიზისი გაამწვავა, რადგან ადგილობრივებს, ინსტიტუციონალიზაცია-ლეგალიზაციის შედეგად, თვითნებური („ჩალიჩის“) ეკონომიკური აქტივობები აეკრძალათ. ქეთინომ, ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა ქალმა, ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ ხალხი ახლა უფრო გაჭირვებულად ცხოვრობს ზესტაფონში, ვიდრე 1990-იან წლებში. თქვა, რომ იმ პერიოდში „ქრთამი, კორუფცია, უფულობა კი იყო, მაგრამ ხალხს მეტი შესაძლებლობა ჰქონდა. ბევრი მეტალზე „ჩალიჩიბდა“, მერე რევოლუცია მოხდა, ყველაფერი გაიყიდა და დღეს ზესტაფონში უფრო მეტი ხალხი ცხოვრობს გაჭირვებაში, ვიდრე მაშინ“.

კიდევ ერთმა ინფორმანტმა, დიმიტრიმ, რომელიც 60 წელს გადაცილებულია და მერიაში მუშაობს, სისტემის ცვლილების შემდგომ პერიოდში არსებულ ცხოვრების წესს, საბჭოთა ეკონომიკური ხარვეზები დაუკავშირა და მიიჩნია, რომ ის რაც ხდებოდა 1990-იან წლებში საბჭოთა პერიოდში გაბატონებული ცხოვრების წესის შედეგი იყო. მან თქვა, რომ 1990-იან წლებში თუკი რამე ნაწილდებოდა ქალაქში ქრთამზე იყო დამოკიდებული. პროდუქტებზე, ბიზნესსა და საქმეზე ეგრეთწოდებული „სტავკები“ იყო, რისი გადახდის შემთხვევაშიც გადამხდელს

ერგებოდა წილი. ასეთი მდგომარეობა იყო საბჭოთა პერიოდის ბოლოსაც, რამაც გამოიწვია სისტემის დანგრევა. მისი თქმით:

„ზესტაფონში ვისაც რკინის ღობე აქვს, უმეტესობა საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში ფეროდან მოპარული რკინითაა გაკეთებული. კი იპარავდნენ, მაგრამ შრომობდნენ. რომ შრომობდნენ დოვლათი მაინც იქმნებოდა. ეს მდგომარეობა სისტემის დაშლის შემდეგ უცვლელად გაგრძელდა.“

ქეთინო, კეთილდღეობის კრიტერიუმებზე საუბრისას, ხაზს უსვამდა, რომ 1990-იან წლებში „კარგად ცხოვრების გარანტი“ – პური იყო, რომელიც ძნელად იშოვებოდა და თუ ყოველდღე შვილებს პურს აჭმევდი, „კარგად მცხოვრები“ გერქვა. რომ, 1990-იან წლებში „ფეროს“, ქალაქის მნიშვნელოვან საწარმოებს მხედრიონი და სვირის საძმო უყურებდა. ისინი „უბრალო ხალხს“ არ ერჩოდნენ, იმათ მტრობდნენ ვინც „ბევრ ფულს ჭამდა“. მან თქვა:

„ჩემი ოჯახი არ ცხოვრობდა გაჭირვებაში. ჩემი ქმარი მუშაობდა პურის ქარხანაში და რაღაც ადგილებს ამარაგებდა, ამიტომ იმ პერიოდში ჩვენ პური გვქონდა. ამ გადმოსახედიდან თუ შევაფასებთ გაჭირვება არ გვქონია.“

სისტემის ცვალებადობა ადამიანის ყოველდღიურობას შეეხო. 1990-იან წლების შესახებ საუბრისას ინფორმანტები სიამაყით აღნიშნავდნენ, რომ მათ გაუძლეს იმ პერიოდს და გადარჩნენ. მათვის თანამედროვე პერსპექტივიდან დანახული 1990-იანი წლების გაჭირვება აღძრავს საბჭოთა სისტემისადმი ნოსტალგიას, რადგანაც ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც კომუნისტებმა ააშენეს, ადგილობრივებს გაჭირვების პერიოდში პურს აჭმევდა.

ზესტაფონელებს სიბნელეში ნაპერნკალივით მოევლინა საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის შავი ნარჩენები. წიდა, ეკონომიკური ადაპტაციის ახალი მექანიზმი, მმართველი ელიტის ინტერესებში ექცეოდა, ამიტომ ქალაქის სახედ 1990-იან წლებში,

ქუჩებში უროთი და კირკით მომუშავე წილის მაძიებელი ხალხი იქცა.

ხათუნამ, ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა ინფორმანტმა, ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ მისი მეუღლე, მეზობელ მამაკაცთან ერთად ცდილობდა პურის ფულის შოვნას, რომ დადიოდნენ ხან ბაზარში წიდაყრილზე, ხან მდინარე ყვირილის ნაპირას და თხრიდნენ მიწას, მეტალის პოვნის მიზეზით. მთელი ქალაქი ხეირობდა ამ საქმისგან, თქვა რომ ახსოვს, მეზობლები გადაეკიდნენ ერთმანეთს ჩემი კარიერია აქ და შენ რატომ თხრიო.

ქალაქში მთავარი წიდაყრილი ძველი და ახალი ბაზრის ტრიტორიაზე იყო, რისი შექმნაც საამქროში სილიკომანგანუმის დიდი რაოდენობით წარმოებამ გამოიწვია. 1950 წელს მდინარე ყვირილის სანაპიროზე ორ ადგილას გამოყვეს ტერიტორია წიდის დასაყრელად ათ-ათი წლით სარგებლობის შესაძლებლობით. წიდა უხარისხო ნარჩენია, მას ვარგისიანობას აძლევს უანგვის შედეგად შერეული ლითონი. წიდაში სილიკომანგანუმის რაოდენობა 1960-იან წლებში გაიზარდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მეტალი იყარგებოდა 1982-1989 წლებში. 1985 წელს ააშენეს წიდაყრილის სეპარაციის უბანი, რაც წიდისგან ვარგისიანი ლითონის გამორჩევას უწყობდა ხელს. სეპარაციის უბანმა განაპირობა წიდაზე მოთხოვნილების ზრდა, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ლუკმა-პურის გაჩენის შესაძლებლობას აძლევდა (ზესტაფონის მოამბე 25.05.1995, 2). ადგილობრივები ქალაქსა და მის მიმდებარე სოფლებში მიმობნეულ მეტალის ნარჩენებს ეძებდნენ, საძირკველს უთხრიდნენ ხიდებს, კორპუსებს, იმისათვის რომ იქ ჩაყრილი წიდისგან მეტალი გამოერჩიათ. შედეგად, დაინგრა სოფლის გზები, ჯებირები, მოედნები, სარკინიგზო მაგისტრალი (ზესტაფონის მოამბე 3.02.1995, 2). 1994 წლის 3 აგვისტოდან აიკრძალა ქარხნის ტერიტორიაზე დაყრილი წიდებიდან ლითონის ამოლება. საქართველოს მეორე

პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის დადგენილებით, ფეროშენადნობთა ქარხნის წიდასაყრელის გარდა, მთელი ქვეყნის მასშტაბით აიკრძალა მეტალის შეგროვება (ზესტაფონის მოამბე 17.03.1995, 1).

შიმშილობის პროცესის მოგვარების შესაძლებლობიდან, წიდაყრილი კერძო პირების ბიზნეს შესაძლებლობად იქცა. 1994 წელს სილიკონმანგანუმის მადნის ნედლეულისა და საწარმოო ნარჩენების შეძენის უფლება კონცერნ „ზესტაფონს“ გადაეცა. კერძო პირზე სილიკონმანგანუმის წარმოების ნებართვის გაცემის მიუხედავად, არალეგალური საქმიანობა გაგრძელდა. ზესტაფონელების გარდა, წიდა-მეტალის არალეგალურად მოპოვების საქმიანობაში ჩაერთო სხვა ქალაქების მოსახლეობაც. მაგალითად, ჭიათურელი მაღაროელები ზესტაფონის წიდაყრილებიდან ცდილობდნენ შემოსავლის მიღებას. ლია წესით აკრძალული ლითონის მოსაპოვებლად დაიწყეს გვირაბების გათხრა (ზესტაფონის მოამბე 3.02.1995, 2). გაჩერებული საწარმოების მუშა-ხელმა ნარჩენების შეგროვება-ჩაბარებით გაიჩინა შემოსავლის წყარო. ავთომ, სამოც წელს გადაცილებულმა პენსიონერმა მამაკაცმა, ჩემთან საუბრისას თქვა, რომ 1990-იან წლებში პატარა ბავშვებიდან დაწყებული ყველა ჩართული იყო მეტალის მოპოვების საქმეში, რაც ქალაქის მთავარი შემოსავალი იყო. რომ ზესტაფონს ფეროს ქარხნის ნარჩენები არჩენდა ბოლო დრომდე. აღნიშნა, რომ ახლა უკვე ლიცენზიანტი პატარ-პატარა გადამატუშავებელი საწარმოები ამუშავებენ ნარჩენებს და ჯერ კიდევ ქალაქის ეკონომიკა ფეროს გარშემო ტრიალებს.

მეტალის ბიზნესი ქალაქში ალტერნატიული ეკონომიკის წყაროს წარმოადგენდა, ამიტომაც ბევრი დებდა პირად ქონებრივ კაპიტალს, წარმატების მისაღწევად. ავთომ თქვა:

„უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო ერთი, რომელსაც „გაზ-24“ (მანქანა) და ბინა მისცეს ქალაქის ტერიტორიაზე,

ადგა და მეტალის ბრუნვაში ჩადო. ორივე დაკარგა. აქ საშინელება ხდებოდა, ბევრი ადამიანი შეეწირა 1990-იან წლებს”.

ქალაქის ბაზარი სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენებით სავსე ტერიტორიაზე იყო განლაგებული, რაც ლიცენზიანტ ფირმას არ აწყობდა. ამიტომ, ჯერ ახალი ბაზრის მიმდებარე ტერიტორია გადათხარეს, სადაც ახალი სავაჭრო ცენტრი ააშენეს, ხოლო შემდეგ ძველი ბაზრის ტერიტორიაზე გადაინაცვლეს. 2005 წლის მარტში, „ჭურჭლის ბაზრის“ მოვაჭრეებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მიზეზი ბაზრობის უკან წარმოებული სილიკომანგანუმის ამოღების სამუშაოები იყო, რასაც კომპანია „დიენექსი 2000“ ასრულებდა. მოვაჭრეები კუთვნილი სავაჭრო ფართების ჩამორთმევას აპროტესტებდნენ. ისინი ღიად ადანაშაულებდნენ ხელისუფლებას ბაზრის მეპატრონების ლობირებაში (ზესტაფონის მოამბე 28.03.2005: 2).

„ლითონის ბუმბა“ ქალაქში დროთა განმავლობაში იკლო, თუმცა მოსახლეობის მიერ მისი არალეგალური მოპოვება-გასაღება გაგრძელდა. ინტერესების გაფართოებას ცდილობენ კერძო კომპანიებიც. დიმიტრი, ჩემთან საუბრისას აღნიშნავდა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე დაყრილი ნარჩენების საერთო რაოდენობა ორი მილიარდი დოლარის ქონება იყო, ხოლო გაჭირვების პერიოდში სარგებლიანი საქმე იყო მეტალის ამოღება და ჩაბარება. ჩაბარებული ტვირთი ექსპორტზე გადიოდა. ინფორმანტმა აღნიშნა, რომ მეტალის მოპოვება დღემდე გრძელდება, თუმცა ექსპორტზე აღარ გადის, რადგან მცირე სანარმოები (მინი-ფეროები) აღნობენ ჩაბარებულ ნარჩენებს. მან თქვა:

„ეს ისეთი საქმე იყო, რომ შევარდნაძის დროს ჩართული იყო მხედრიონი და უშიშროება. ადამიანების გადარჩენის შესაძლებლობა იყო ლითონი, რომელიც უკანონოდ გადიოდა. მეტალმა გადაარჩინა ზესტაფონი. 1993-1994 წლიდან დღემდე ნიდა მოქმედებს ამ ქალაქზე. დღეს ნიაღის სტატუსი აქვს მი-

ნიჭებული და ამოღებას ლიცენზია სჭირდება. თუმცა, შავი ბაზარი მაინც მუშაობს.”

წიდა ზესტაფონისთვის ორივე, საბჭოთა ეკონომიკისა და ნეოლიბერალური დღის-წესრიგის სიმბოლური ნიშნის მატარებელია, რომელიც დაკავშირებულია ფეროშენადნობთა ქარხანასთან და ადგილობრივებისათვის ქმნის წარმოდგენას, რომ „ფერო წარსულიდან“ განაპირობებდა „ფერო აწმყოს“ კეთილდღეობას 1990-იანი წლებში.

სისტემის ცვალებადობა წარსულის გადააზრებას ეხება. ახლის შესაქმნელად ძველის შეფასება ხდება, რასაც მოჰყვება რიგი პროცესები წარსული ნარატივებისა და მისი მატერიალური არეალების შექმნის, გარდაქმნის და/ან დავინუების შესახებ. ანთროპოლოგი, სეტა ლოუ შენიშნავს, რომ მეხსიერებაზე დომინირებადი რე/პროდუქციის ჰეგემონური სქემები საჯარო სივრცეების მონოპოლიზაციას მოითხოვს, რაც დრამატულად გამოვლინდა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ურბანულ არეალებში, რადგან მათ სივრცეებში ურბანული ლანდშაფტისა და კოლექტიური მეხსიერების ცვლილება სოციო-პოლიტიკურ გარდაქმნებთან ერთად ხდება (Low 2014, 22). იდეოლოგიის დასასრული და ახლის დასაწყისი, კითხვებს აჩნის რა უნდა იქნეს დამახსოვრებული წარსულიდან და რა არა. ანთროპოლოგი თეა ქამუშაძე შენიშნავს, რომ როდესაც ქალაქში წარსულის გახსენებას და მის რეპრეზენტაციას ვეხებით, მეხსიერებაში მყოფი „ისტორიის ადგილს“ დავინუება იკავებს, რაც სისტემის ცვალებადობასთან ერთად ახალი იდენტობის ძიების პროცესს იწვევს. ცვლილებების პირობებში ჩნდება კითხვა, როგორ მოახდინა ქალაქმა მეხსიერების არეების ცვლილება და რამდენად მოერგო მისი სივრცეები ახალი ეკონომიკური და ეროვნული ნარატივების ფორმირების გამოკვეთის პროცესს (ქამუშაძე 2017, 90).

ზესტაფონმა, 1990-იანი წლების შემდგომ, წიდა-მეტალის განსაკუთრებული ღირებულების დაკარგვის შემდეგ, ორი და-

ნიშნულება შეინარჩუნა: მუნიციპალურ-ადმინისტრაციული და სავაჭრო. ერთ დროს საკავშირო მნიშვნელობის სატრანსპორტო და სამრეწველო კვანძი „სუპერ-მარკეტების“ ქალაქად იქცა. ეკონომიკური სახის დაკარგვასთან ერთად, საჭირო გახდა გარკვევა, რა ტიპის სიმბოლურ დისკურსს აყალიბებს პოსტსამრეწველო ზესტაფონი ეროვნულობის კონტექსტში. სამრეწველო ქალაქების ქართულ სახელმწიფოებრივ კონტექსტში წარმოქმნა „ეროვნული იდეისთვის“ მებრძოლ ადამიანებს უკავშირდება (იხ. ქამუშაძე 2017, 106). ზესტაფონის შემთხვევაში, ასეთი პიროვნება გია აბესაძეა. მისი სახელი ზესტაფონელებისთვის პროტესტთან, ქვეყნის სიყვარულთან ასოცირდება. გია აბესაძე იყო წარმოშობით ზესტაფონელი, პროფესიით ექიმი, რომელმაც 1991 წლის 21 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის გამზირზე სამოქალაქო ომის გასაპროტესტებლად თავი დაიწვა. 60 წლის ინფორმაცია, სახელად ნუგზარიმ, ჩემთან საუბრისას თქვა, რომ მსოფლიოს ახსოვს ისეთი პრეცედენტები, როდესაც ადამიანებმა თავი დაიწვეს, აიფეთქეს, მოიკლეს თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის და ასე შემდეგ, მაგრამ არ ეგულება ვინმე, ვინც გავიდა ქუჩაში და საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა ძმათა მკვლელი ომის გაპროტესტებას. მისი თქმით: „გია აბესაძემ, იმის გამო, რომ ქართველმა ქართველს ესროლა, თავი დაიწვა თბილისში, რუსთაველის მოედანზე“. აბესაძე სიმბოლურად იქცევა პიროვნებად, რომელიც არის სამოქალაქო ომის დაპირისპირებული მხარეების მსხვერპლი და მათი გამაერთიანებელი. გია აბესაძე, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ხდება ზესტაფონის იდენტობის ნაწილი და მიჯნაეს ქალაქის თანამედროვე სახეს საბჭოთა მემკვიდრეობისაგან. გია აბესაძის ქმედება ქალაქისთვის წარსულთან გამიჯვნის მექანიზმია, ხოლო, პრივატიზებული ფეროშენადნობთა ქარხანა, წარსულთან მაკავშირებელი, რომელიც ქმნის ქალაქის წესრიგს. ქალაქის მერი, რო-

მელიც 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების შედეგად დაინიშნა თანამდებობაზე, ფეროშენადნობთა ქარხნის ყოფილი დირექტორია. ქალაქის საინდუსტრიო სტატუსის მოშლის მიუხედავად, ზესტაფონის იდენტობას დღემდე ფეროშენადნობთა ქარხნა განსაზღვრავს. ინფორმანტები აღნიშნავდნენ, რომ ზესტაფონი დღემდე არის სამრეწველო ქალაქი, თუმცა ამ წინადადებას ხშირად ერთვოდა განმარტებები: „ისეთი აღარაა, როგორც ადრე”, „ისეთ პროდუქციას ვეღარ აწარმოებს, როგორც კომუნისტების დროს” და ასე შემდეგ.

ქალაქის სამრეწველო ფუნქციის შეცვლასთან ერთად, აქტუალური გახდა ალტერნატიული იდენტობის ძიების საკითხი; რისი ქალაქია ზესტაფონი დღეს და რა განსაზღვრავს მის სტატუსს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, არის ეს ისევ მძიმე მრეწველობა, რომელიც საბჭოთა პერიოდში გადამწყვეტი იყო? ადამიანის, როგორც სოციალური ორგანიზაციის ნაწილის ბუნებრივი მდგომარეობაა გარემო პირობებთან ადაპტირება, რაშიც მას მოვლენათა ვიზუალიზაცია ეხმარება. საბჭოთა პერიოდში ფეროშენადნობთა ქარხნის სამმართველო ტერიტორიაზე მრავლად იყო მოზაიკები, რომლებიც საბჭოთა ინდუსტრიალიზაციისა და კოლმეურნეობის ფორმირებას, მუშათა კლასის ჩამოყალიბებას წარმოაჩინდა. ქალაქის გერბზე, რომელიც საბჭოთა ზესტაფონის სავიზიტო ბარათად მიიჩნეოდა, გამოსახული იყო ფეროშენადნობთა ქარხანა და ვაზი, ორი სიმბოლო, რომლებთანაც ზესტაფონელის იდენტობა ასოცირდებოდა.

საბჭოთა პერიოდში ქალაქის იდეოლოგიზებული კულტურა და სხვადასხვა სახის გამოსახულებები დაკავშირებული იყო ფეროშენადნობთა ქარხანასთან. ამის მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ ბარელიეფი ქალაქის ცენტრში, ცხრა აპრილის სკვერში, ასევე მოზაიკები ადმინისტრაციულ შენობებზე.

საბჭოთა იდეოლოგიის მთავარ სიმბოლოს, ლენინის ძეგლს ზესტაფონისათვის თავისებური დატვირთვა გააჩნია. დიმიტ-რის, მერიის თანამშრომლის ცნობით, ზესტაფონში ლენინის ძეგლი 1961 წლამდე იდგა, ხოლო შემდეგ ააფეთქეს. მალევე ახ-ლიდან დადგეს, მაგრამ ისევ აიღეს. მოგვიანებით, მამუკა ასლა-ნიკაშვილის (ზესტაფონის რაიონის პირველი მდივანი) ინიცია-ტივით, 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწ-ყისში ქალაქში ლენინის ძეგლი კვლავ გამოჩნდა (ამ ფაქტის შე-სახებ საარქივო მასალის მოძიება ვერ მოხერხდა, თუმცა ფაქ-ტი, რომ ინფორმაციების ინტერპრეტაციები თანამედროვე ყო-ფის სიმბოლურ-ვიზუალურ დემარკაციას ახდენენ, ამ ნარატივს სოციალურ და კულტურულ მეხსიერებაში მყარად უნიშნავს ადგილს). ინფორმაციმა აღნიშნა, რომ ასლანიკაშვილმა ლენი-ნის ძეგლის ქალაქში დაბრუნებით ზესტაფონს ეკონომიკური სიკეთები მოუტანა. ძეგლი საბჭოთა სისტემის რღვევამდე იდ-გა დღევანდელი მერიის მოპირდაპირედ, ღვთისმშობლის საკა-თედრო ტაძრის ნაცვლად. ლენინის ძეგლის დემონტაჟის ზუს-ტი თარიღი ინფორმაციებს არ ახსოვთ, თუმცა მას ეროვნულ მოძრაობას უკავშირებენ. კონკრეტული ძეგლის ამბავს ქალა-ქის დღევანდელ ყოფაში, ქრისტიანობის საბჭოთა სეკულარულ პილიტიკაზე გამარჯვების სიმბოლური დატვირთვა აქვს. ლე-ნინის ძეგლის დემონტაჟის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე საკათედ-რო ტაძრის მშენებლობა დაიწყო 1993 წელს. ნახევრამდე აშენე-ბული ეკლესიის მშენებლობა წლების განმავლობაში შეჩერდა, რომელიც 2012 წელს დასრულდა. ქალაქში ლენინის ძეგლის მოშლის ისტორია, ინფორმაციებში სიამაყის განცდას იწვევს, რადგანაც 1961 წელს აფეთქებული ლენინის ძეგლის ისტორია ფასდება, როგორც პროტესტი სისტემის წინააღმდეგ. თამა-ზიმ, სამოცდაათ წელს გადაცილებულმა ინფორმაციმა, ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ ზესტაფონი ყოველთვის იყო უსამარ-თლობის წინააღმდეგ მებრძოლი ქალაქი. აქ მოხდა ის, რაც არ

მომხდარა საქართველოში. შევარდნაძის ხელისუფლების წინა-აღმდეგ ბრძოლა ზესტაფონში გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე ვარდების რევოლუცია. 1998 წელს ქალაქში, ადგილობრივ არჩევნებში ტრადიციონალისტთა კავშირმა დაამარცხა მოქალაქეთა კავშირი. ინფორმანტისათვის ლენინის ძეგლის ისტორია და ქალაქში ვარდების რევოლუციამდე რამდენიმე წლით ადრე ადგილობრივი ხელისუფლების ცვლილება, ერთმანეთს უკავშირდება და განზოგადდება ზესტაფონის, როგორც უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი სტატუსის მქონე ქალაქის იდეამდე.

ზესტაფონში მთავარი სარეკრეაციო სივრცეა „ირინეს პარკი”, რომელიც შექმნა ფრანგმა, უანიომ. მას ბაღში მოსამსახურედ ირინე წულია ჰყავდა. ირინე 1937 წელს გარდაიცვალა და ბაღში, თუთის ძირას დაკრძალეს. სარეკრეაციო სივრცეს ოფიციალურად კულტურისა და დასვენების პარკი ჰქვია. ირინეს პარკი თავშეყრის ადგილი და ქალაქის ცენტრალური ნაწილია. მას განსაკუთრებული სიმბოლური დატვირთვა 1970-იან წლებამდე არ ჰქონია. ამ წელს, პარკში, თეატრის ტერიტორიიდან, გადმოიტანეს ძეგლი, „არწივი ვნახე დაჭრილი”, რომელიც ეძღვნება „დიდ სამამულო ომში” დაჭრილ და დაღუპულ მებრძოლებს. მემორიალი იყო ომის ვეტერანთა თავშეყრის ადგილი, სივრცე, სადაც ომის მონაწილეები იკრიბებოდნენ და წარსულზე ჰყვებოდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ირინეს პარკმა კიდევ უფრო მეტად შეიძინა მემორიალური დატვირთვა, მას შემდეგ რაც ამ ტერიტორიაზე სტალინის ძეგლი დაიდგა. 1956 წლის 9 მარტის საპროტესტო აქციების ჩახშობის შემდეგ, სტალინის იდეა ქართველებისათვის ქართველობის იდეას დაუკავშირდა. სტალინის სახელი ასოცირდა ხრუშჩოვის რიტორიკის წინააღმდეგ რეზისტენტულობასთან. ინფორმანტების უმეტესობისათვის სტალინის დროინდელი და შემდგომი პერიოდის საბჭოთა ხელისუფლება ერთმანეთისაგან გამიჯნულია. ადგი-

ლობრივებისათვის სტალინი არის პიროვნება, რომელმაც დაა-არსა ფეროშენადნობთა ქარხანა, მოიგო მეორე მსოფლიო ომი, ხოლო სტალინის შემდგომი სისტემა ბოროტების მანქანაა, რო-მელიც დაუპირისპირდა ყოველივე ქართულს, მათ შორის სტა-ლინსაც. შედეგად, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გა-მოცხადების შემდეგ, სტალინის ძეგლი ქალაქში გამოჩნდა. სტა-ლინის პიროვნების როლი განსაკუთრებული განხილვის საგნად 2008 წლის ომის შემდეგ იქცა, მალე მისი ძეგლების დემონტაჟი დაიწყეს, პირველი ქალაქი გორი იყო (იხ. ქარაია 2015).

დიმიტრიმ, სამოც წელს გადაცილებულმა ინფორმანტმა, ჩემთან საუბრისას თქვა:

„სტალინის ძეგლი ზესტაფონში საბჭოთა კავშირის დაშ-ლის შემდეგ გამოჩნდა. კომუნისტების დროს ვინ დადგამდა მის ძეგლს? ასე 1995-1996 წელს დადგეს ჩვენს ქალაქში. სტა-ლინის ძეგლი ირინეს პარკში ადგილობრივი კომუნისტის თა-ოსნობით დაიდგა. მმართველობის და ქალაქის მოსახლეობის მხრიდან, მაშინ არავის გამოუხატავს პროტესტი. ზესტაფო-ნელებს ეს ამბავი გაუხარდათ და ამაყობდნენ”.

ირინეს პარკიდან სტალინის ძეგლი 2010 წელს გაიტანეს, რასაც თან მიჰყვა ძეგლი „არწივი ვნახე დაჭრილი”. ადგილობ-როვები ფიქრობდნენ, რომ ძეგლები რეკონსტრუქციის მიზნით მოხსნეს, მაგრამ საბოლოოდ გააქრეს. ხელისუფლების ცვლი-ლების შემდეგ დაჭრილი მებრძოლის ძეგლი პარკში დააბრუნეს. ირინეს პარკის სიმბოლური დატვირთვის გარეშე დატოვების შემდეგ, ქალაქის ცენტრალურ ადგილში, ოთხმოციან წლებში გახსნილ და შემდეგ უყურადღებოდ დატოვებულ მემორიალს 2010-იან წლებში, სტალინის ძეგლის მოშორების შემდეგ მიუბ-რუნდნენ. ეს იყო მამუკა ასლანიკაშვილის ქალაქის მმართვე-ლად ყოფნის დროს შექმნილი ბარელიეფი, წინ შადრევნებით და გვერდით პლაკატით, რომელზეც გამოსახული იყო საბჭოთა სა-ქართველოს დროშა, საწარმო, მუშები თანდართული წარწერით

– „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს”. პლაკატი, დამოუკი-დებლობის გამოცხადების შემდეგ, მოიხსნა. დარჩა ბარელიეფი, შადრევნები და სივრცე, რომლისკენ გახედვა არაესთეტიურობის განცდას იწვევდა მოქალაქეებში. ხელისუფლებისთვის ბარელიეფის აღდგენა მომგებიანი იყო, რადგანაც იგი წარმოაჩენდა საქართველოს ეროვნულ კულტურასა და ტრადიციებს. ბარელიეფი რვა გამოსახულებისაგან შედგება, აქედან შვიდი საქართველოს ისტორიის, ქვეყნის წარსულის გამომხატველია. გამოსახულია ფრაგმენტები მედეას მითიდან, წმინდა ნინოს შემოსვლა ქართლის ცხოვრებიდან, დავით აღმაშენებლის ეპოქა, თამარ მეფის ხანა, თერგდალეულების პერიოდი, კავკასიონზე მიჯაჭვული ამირანის სიუჟეტი. ბარელიეფი ქართული სახელმწიფოებრიობის იდეისთვის მისაღები იყო, ამიტომაც ამ სივრცეს განსაკუთრებული დატვირთვა უნდა მიეღო განახლებული ზესტაფონისათვის. ბარელიეფთაგან, მხოლოდ ერთი წარმოაჩენს ქალაქის ინდუსტრიულ იდენტობას, რომელზეც გამოსახულია მუშები და პირველი მადნის მიღება. მის უკანა ფონზე საინდუსტრიო მშენებლობის შედეგად გაშენებული საწარმოელთა დასახლებაა გამოსახული. ბარელიეფებს რესტავრაცია ჩაუტარეს, შადრევნები აღადგინეს და სკვერი მოაწყვეს. თუმცა, საჭირო გახდა კიდევ რაღაც, რამე ისეთი, რაც ეროვნულ იდეას კიდევ უფრო გაამძაფრებდა და ქალაქის უმთავრეს მემორიალურ ადგილად აქცევდა, წარმოაჩენდა წასულს და მის განგრძობითობას. ამიტომ, სკვერს ცხრა აპრილის სახელი ეწოდა. ცენტრში დაიდგა ახალი მემორიალი, რომელსაც სანთლის ფორმა აქვს, ეძლვნება იმ ადამიანებს, ვინც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შესწირა თავი. მონუმენტს გია აბესაძის სახელსაც უკავშირებენ. ცხრა აპრილის სკვერი ქალაქის სიმბოლურ, რიტუალურ არედ იქცა, რისი მოთხოვნილებაც საბჭოთა მმართველობასთან დაკავშირებული დაჭრილი მებრძოლის მემორიალისა და სტალინის ძეგლის აღებას მოჰყვა. მონუმენტუ-

რი არეალი, რომელიც საბჭოთა პერიოდში შეიქმნა და ვარდების რევოლუციის შემდგომ განახლდა, ნარმოაჩენს ქალაქის მიკუთვნებულობას საქართველოს სახელმწიფო პრივატიზაციის და მეორე მხრივ, მის ინდუსტრიულ წარსულს უსვამს ხაზს.

ურბანულ პერიფერიებში სამოქალაქო მოძრაობები, რომელიც ადგილობრივთა მიერ ინიცირდება, არადივერსიფიცირებულია. სამოქალაქო მოძრაობათა კვლევის პროცესში პიოტროვსკიმ თანამედროვე აღმოსავლეთ ევროპაში გავრცელებული აქტივიზმის ოთხი ძირითადი ფორმა გამოყო: მონაწილეობითი აქტივიზმი (პოლიტიკურ სისტემასთან შეთანხმებული); ტრანზაქციული აქტივიზმი (შიდა-ორგანიზაციული, რომლის დროსაც ხდება რესურსების, სამოქმედო გეგმისა და ინფორმაციის ტრანზაქცია სხვადასხვა ჯგუფებში); რადიკალური აქტივიზმი (რომელიც ხასიათდება ულტრანაციონალისტური, რასისტული და ასე შემდეგ ხედვებით); სამოქალაქო აქტივიზმი (აქტივიზმის სახე, რომელიც ორგანიზაციული ჩართულობის გარეშე იქმნება და ეფუძნება სპონტანურ მობილიზაციას). ამ ტიპის აქტივიზმი აღმოსავლეთ ევროპაში ორიენტირებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა „უფლება ქალაქზე“ და ასე შემდეგ (Piotrowski 2015, 6-7).

ვისია ქალაქი? რა არის ზესტაფონი, პრივატიზებული სანარმო თუ მისი მაცხოვრებლები? ესაა კითხვა, რომელიც თვითორგანიზებულმა ჯგუფმა გააუდერა 2018 წლის გაზაფხულზე გამართულ აქციაზე ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაციულ შენობასთან. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ გარემოზე ზემოქმედების შემცირებას, ქალაქის ელიტიზმისგან გათავისუფლებას და თანასწორობის განცდის შექმნას, რომელიც ახალგაზრდა ორგანიზატორების აზრით, ზესტაფონს აკლდა.

ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ გარემოზე მავნე ზემოქმედების გავლენის შემცირების შესახებ ფიქრი, საბჭოთა პერიოდში, 1970-იან წლებში დაიწყო და რამდენიმე ეტაპად მიმდინარე-

ობდა. 1980 წელს ქარხანას სტუმრობდნენ შავი მეტალურგიის მინისტრი კაზანეცი და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ელუარდ შევარდნაძე, რომლებმაც ზესტაფონში გარემოს დაცვის პრობლემა წამოჭრეს. მთავრობის მიერ გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება, უნარჩენო წარმოების შემცირებას მოჰყვებოდა, რომლის დროსაც ყველა გადასამუშავებელი ნედლეული საწარმოო პროდუქტად გადაიქცეოდა (ბუხნიკაშვილი 1983, 187-188). საბჭოთა ხელისუფლება სახავდა გეგმას გარემოსდაცვითი აქტივობების შესასრულებლად, თუმცა, სისტემის დაშლასთან ერთად, იდეები ვერ განხორციელდა.

1991 წელს ზესტაფონის მწვანეთა სარაიონო ორგანიზაციის კონფერენციაზე განიხილეს ზესტაფონის მძიმე ეკოლოგიური მდგრამარეობა. მწვანეთა მოძრაობამ აუცილებლად მიიჩნია ზესტაფონის მწვავე ეკოლოგიურ ზონად გამოცხადების აუცილებლობა. 1992 წლის ოქტომბერში მიიღეს კანონი მავნე ნივთიერებით გარემოს დაბინძურებაზე გადასახადების შემოღების შესახებ, რაც გულისხმობდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საწარმოების მიერ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ლიმიტების დადგენას (საქართველოს რესპუბლიკა 19.07.1991, 1).

2010-იან წლების დასაწყისში ზესტაფონში გამოჩნდა საინიციატივო ჯგუფი „გადავარჩინოთ ზესტაფონი”, რომელიც 2012 წელს ფეროშენადნობთა ქარხანაში გამწვვი ფილტრების დაყენებას ითხოვდა. დაიწყო პირველი აქციების ორგანიზება ქალაქში გარემოს გაჯანსაღების მიზნით. მოძრაობის ხელმძღვანელობა არასამთავრობო ორგანიზაცია „დლიერი და ჯანსაღი ზესტაფონის” ლიდერმა, მამუკა მახათაძემ ითავა. პროტესტმა შედეგი არ გამოიღო, ვერ მოხერხდა მონაწილეთა მობილიზება, თუმცა ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაცია პირობას დებდა, რომ გამწმენდ ფილტრებს აამოქმედებდა (იხ. თარხნიშვილი 2012).

ზესტაფონში ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, 2017 წელს სასამართლოს თანხმობით, სახელმწიფო „ჯორჯიან მანგანეზში“ სპეციალური მმართველი დანიშნა. ეს თანამდებობა დაიკავა ფეროშენადნობთა ქარხნის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა 2003-2006 წლებში, ნიკოლოზ ჩიქოვანმა. 2017 წელს ნიკოლოზ ჩიქოვანმა „ჯორჯიან მანგანეზის“ გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა გაასაჯაროვა. გეგმა ითვალისწინებდა მდინარე ყვირილაში ნარჩენების მოხვედრის აღკვეთას, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში ეკოლოგიური აუდიტის ჩატარების შემდგომ ანგარიშის მომზადებას და სამოქმედო გეგმის შეთანხმებას გარემოს დაცვის სამინისტროს-თან. მმართველის მოსვლამ მდგომარეობა გააუმჯობესა, თუმცა ამან მოქალაქეების ნაწილზე გავლენა ვერ იქონია.

შეიქმნა საანიციატივო ჯგუფი, რომელმაც გარემოსდაცვითი აქცია გამართა ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაციული შენობის წინ. აქცია 2018 წლის 24 თებერვალს დაინიშნა 16:00 საათზე. მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 100-მდე ადამიანს. პირველი მიმართვა ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაციული შენობის მეზობლად განთავსებული წმინდა წინოს ეკლესიის შენობის წინ გაკეთდა. აქტივისტმა მადლობა გადაუხადა მონაწილეებს გამოფხიზლებისათვის. აღინიშნა, რომ დიდი ხანია იგეგმება საპროტესტო აქციის მოწყობა, რომელ-საც საბოლოოდ „თავი მოება“, დამზადდა ბანერები, პლაკატები და მოახერხეს მობილიზება. საპროტესტო აქციაზე გამომსვლელმა ერთ-ერთმა ქალმა აღინიშნა, რომ ეს ამ მასშტაბის პირველი საპროტესტო აქციაა ზესტაფონში, რომელიც იმართება ქალაქის დაკვამლიანების საწინააღმდეგოდ და მან თანამოქალაქეებს „გამოღვიძება“ მიულოცა.

მარიო დიანი, სოციალური მოძრაობის სტრუქტურების დახასიათებისას ოთხ ფაქტორს გამოყოფს: არაფორმალური ურთიერთქმედების ქსელები; გაზიარებული ღირებულებები და

სოლიდარობა; კოლექტიური ქმედება კონფლიქტური საკითხების მიმართ; მოქმედება რომელიც სოციალური ცხოვრების ინსტიტუციური სფეროსა და რუტინული პროცედურების მიღმაა (Diani 1992).

განვიხილოთ ზესტაფონის მაგალითი დიანის სოციალური მოძრაობების ასპექტებში:

1. არაფორმალური ურთიერთებების ქსელები: ესაა სოციალური მოძრაობის მამოძრავებელი ძალის კოლექტიური აქტორები, სადაც ინდივიდები, ორგანიზაციები და სხვადასხვა სახის ჯგუფები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. დიანის აზრით, ურთიერთობათა ქსელები ქმნიან წინასწარ მდგომარეობას მობილიზაციისათვის და შემდგომ ისინი უზრუნველყოფენ სპეციფიკური მსოფლმხედველობისა და ცხოვრების წესის შემუშავებას. სოციალური მოძრაობა არაფორმალური ურთიერთებების კავშირებია ინდივიდებს, ჯგუფებსა და/ან ორგანიზაციებს შორის (Diani 1992: 7-8). 2018 წლის 24 თებერვალს საპროტესტო აქციის წინასწარი მობილიზაციის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აქციის ორგანიზატორთა „სამეგობრო-სანაცნობო“ წრემ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მარგვეთის ეპარქიის მრევლმა, რომლებიც დაანონსებულ საპროტესტო აქციას სათავეში ჩაუდგნენ. მოსამზადებელ ეტაპზე მათ მონაწილეთა მობილიზაციის მიზნით, ქალაქის ტერიტორიაზე გააკრეს საინფორმაციო ტექსტები, რომელიც იტყობინებოდა შემდეგს: „ფერო“ შენ გეხება! შენს უკან შენი შვილებია! შენს მომავალს დაცვა სჭირდება! ეს შენი ვალია!!! შაბათს, 24 თებერვალს 16 საათზე ვიკრიბებით ფეროს სამმართველოსთან, რათა ერთად დაციცვათ მტანჯველი სიკვდილისათვის განწირული ქალაქის აწყმყო და მომავალი. ჩვენს გარდა ჩვენს შვილებს არავინ დაიცავს. გავერთიანდეთ „სიკვდილის წინააღმდეგ!“.

2. გაზიარებული ღირებულებები და სოლიდარობა: დიანის მოსაზრებით, კოლექტიური ინტერაქცია მოითხოვს გაზიარებულ ღირებულებებსა და გარკვეული იდეისადმი მიკუთვნებულობას. ამ კონტექსტში დიანი სოლიდარობასა და კოლექტიურ იდენტობას სინონიმურ მნიშვნელობას ანიჭებს. ამ შემთხვევაში კოლექტიური იდენტობა იდეებისა და ორიენტირების ჰომოგენურობას არ გულისხმობს (Diani 1992, 8-9). 28 თებერვლის აქციის ორგანიზატორებს აქცენტი, აქციის მონაწილეთა ახალგაზრდა ნაწილზე ჰქონდა გაკეთებული. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ და ემიჯნებოდნენ მმართველ ელიტას. მათი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მარკერი მონაწილეთა ასაკი იყო. პანერები ხელში ეჭირა არასრულწლოვან მოქალაქეებს, რაც ხაზს უსვამდა მომავალი თაობის უფლებას ქალაქზე. აქცენტი გაკეთდა ამ ქალაქის სამომავლო კეთილდღეობის შექმნისათვის ქარხნის მხრიდან პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებაზე. რელიგიური იდენტობის ხაზის გამსმელი იყო პირველი შეკრება ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაციული შენობის მოპირდაპირე მდებარე ეკლესის წინ. მომიტინგებს ხელში ეჭირათ ილია ჭავჭავაძის სურათი, წმინდა გაბრიელ სალოსის, წმინდა გიორგის ხატები და სხვა. ეკლესის ეზოსთან დაყოვნების შემდეგ, მონაწილეებმა ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაციული შენობის ეზოში გადაინაცვლეს.

3. კოლექტიური ქმედება კონფლიქტური საკითხების მიმართ: სოციალური მოძრაობის აქტორები პოლიტიკურ და/ან კულტურულ კონფლიქტში ერთვებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ცდილობენ ხელი შეუწყონ ან შეეწინააღმდეგონ სოციალურ ცვლილებებს სისტემურად არასისტემურ დონეზე (Diani 1992, 9-11). ერთ-ერთმა ორგანიზატორმა არაფორმალურ საუბრებში ხაზი გაუსვა სასულიერო პირების არ მონაწილეობაზე აქციაში. თქვა, რომ ეპისკოპოსი ქალაქში „ფეროს“ ინტერესების გამტარებელია. ამ შემთხვევაში იდენტობის გამმიჯვნელ

ერთ-ერთ მარკერად „ელიტიზმი” გვევლინება, სადაც რელიგიური, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მქონე ინსტიტუტები და პიროვნებები ღარიბი მოქალაქეების მხრიდან დაპირისპირების ობიექტები ხდებიან. კონფლიქტური საკითხი მოიაზრებს, რომ ამ აქციას მხარს არ უჭერს მაღალი სოციალური და ფინანსური რესურსების მქონე პირები, რადგან ეს მდგომარეობა აქციის მონაწილეთა ღია მხარეა. მეორე მხრივ, მმართველი ელიტა და ქარხნის ადმინისტრაცია მონაწილეთა შორის ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს ხედავს. აქცია ემოციურად დაიძაბა შვილმკვდარი დედის მიმართვის დროს, რომელმაც განაცხადა, რომ შვილის ლეიკემიით გარდაცვალებაში ფეროშენადნობთა ქარხანას და მის მფარველ მთავრობას მიუძღვის ბრალი, რომლებიც ქალაქს აბინძურებენ. აქციის მონაწილეები მოითხოვდნენ გარემოს დაცვის პოლიტიკის გამკაცრებას და ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაციის მხრიდან ეკოლოგიური პასუხისმგებლობის აღებას. აქციაზე ერთ-ერთმა გამომსვლელმა ორგანიზატორმა ოცდაათ წელს გადაცილებულმა კაცმა თქვა:

„მოთხოვნა იყო ფეროს მიერ დაბინძურების პოლიტიკის შეცვლა. იყო მოსაზრებები, თითქოს ჩვენ ფეროს დახურვას მოვითხოვთ, თუმცა, ჩვენ არ გვინდა ფეროს დახურვა, ჩვენ გვინდა, რომ ფერომ იმუშაოს გამართულად და ხელი შეუწყოს მოსახლეობის დასაქმებას, თუმცა არა მათი ჯანმრთელობის ხარჯზე”.

4. მოქმედება, რომელიც სოციალური ცხოვრების ინსტიტუციური სფეროსა და რუტინული პროცედურების მიღმაა: სოციალური მოძრაობა არაფორმალური ინტერაქციის კავშირის შედეგად იქმნება, რომელიც წარმოადგენს ინდივიდთა მრავლობითობას, ჯგუფებსა და/ან ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ჩართული არიან პოლიტიკურ ან კულტურულ კონფლიქტში გაზირებული კოლექტიური იდენტობის საფუძველზე (Diani 1992, 11-13). 2018 წლის თებერვლის აქცია იყო მოქმედე-

ბა, რომელიც სოციალური და კულტურული ცხოვრების ინსტიტუციონალური და რეგიონული პროცედურების მიღმაა. აქციის მონაწილეები სამართლებრივი პროცედურების დაცვით არ წარადგენდნენ საპროტესტო ნოტას ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაციასთან. მათ აირჩიეს პროტესტის მოსახლეობის სპონტანურად მობილიზების ფორმა. აქციის დროს გამოაცხადეს შემდეგი მოთხოვნები: ჯანმრთელობის მავნე საწინააღმდეგო ნარჩენების დამარხვა სპეციალურ ბუნკერზე, კვამლის მტვრის აირის გაფილტვრა, სპეციალური მილის გავლით გაფილტრული ნარჩენების გამოყოფა, სენსორების ჩართვა, ქარსაცავი ზოლების აღდგენა აქციის მონაწილეთა ჩართულობით, აირგამწმენდების განათება და მათი კონტროლი ონლაინ რეჟიმში. მოთხოვნები, რომლებიც აქციის ორგანიზატორებმა წარადგინეს გაზიარებულია მთელი ქალაქის მიერ.

თოთ ფაქტორს ემატება კიდევ ერთი მე-5. მასობრივი მოპილიზება, რომელიც ეფუძნება მოკლევადიან აქტივობებს: ამ ტიპის აქტივობებს ჰყავს ბევრი მონაწილე, სადაც ორგანიზაციები ან საერთოდ არ მონაწილეობენ ან ნაკლებად არიან ჩართული ღონისძიებებში (Cisar 2013, 143). ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაციის გარემოსდაცვითი პოლიტიკის წინააღმდეგ მოწყობილი 2018 წლის თებერვლის აქციას მოჰყვა აპრილის აქცია, რომელიც სტრუქტურულად იდენტური იყო წინა საპროტესტო მოძრაობისა. მონაწილეობდა იგივე ხალხი, იმავე რაოდენობით. ეს აქცია ეფუძნებოდა რელიგიურ მოტივებს. აქტივისტთა რელიგიურ განწყობებზე მიუთითებდა ახალი საინფორმაციო ტექსტები, რომელიც თებერვლის აქციის ჩატარებიდან მაღლევე გამოჩნდა ქალაქის ქუჩებში. აქტივისტებმა იქსოქრისტეს აღდგომის დღესასწაული გამოიყენეს იმის დემონსტრირებისათვის, რომ მათ გააჩინიათ რეალური მოტივები ქალაქში მდგომარეობის შესაცვლელად. ქალაქში გააკრეს ტექსტები შემდეგი შინაარსით: „ქრისტე აღსდგა! ზესტაფონელე-

ბო, ჩვენ ბევრი ახალგაზრდა დაგვეხოცა ფეროს დაბინძურების გამო და ნულარ დავახოცინებთ თაობებს თითქოსდა ერთობის არ ქონის გამო. 23 აპრილს, 17 საათზე ვიკრიბებით ფეროს სამმართველოსთან, რათა აღარ მივცეთ მათ ჩვენი დახოცის უფლება, დავიცვათ შეიღები სანამ გვიანი არა!!!”

ორივე აქცია მოკლევადიანი იყო და კონკრეტულ მოთხოვნებს ეფუძნებოდა. 2018 წლის აპრილის შემდეგ გარემოსდაცვითი აქციები აღარ შეინიშნება, აქციის ორგანიზატორებმა და მრევლმა გააპროტესტეს საქართველოს მიგრაციულ პაქტზე მიერთება, რამაც წარმოქმნა მოსაზრება, რომ ორგანიზატორები ქალაქში ალტერნატიული პოლიტიკური პლატფორმის ჩამოყალიბებას ცდილობდნენ. 2018 წლის 24 თებერვლის აქციის დროს ხაზი გაესვა მონაწილეების ერთობას. ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ აქციაზე დამსწრეთა სიმცირე მიუთითებდა ერთიანობის არქონაზე, თუმცა ორგანიზატორებმა შეაწყვეტინეს და განაცხადეს, რომ ერთობა არსებობს და მონაწილეთა რაოდენობა მომავალშიც გაიზრდებოდა თუ მოთხოვნები არ დაკმაყოფილდებოდა.

დელა პორტა და დიანი შენიშნავენ, რომ სოციალურ მოძრაობას განაპირობებს კონფლიქტური საკითხის არსებობა ინტერესთა მხარეებს შორის, რაც განპირობებულია აზრთა სხვადასხვაობით, ინტერესთა კონფლიქტით, საწინააღმდეგო იდეოლოგიებით. მობილიზაცია და მისი მასშტაბები დამოკიდებულია მატერიალურ (ფული, კონკრეტული ბენეფიტები, სერვისები და ასე შემდეგ) და არამატერიალურ რესურსებზე (ავტორიტეტი, მორალური შეთანხმება, რწმენა, მეგობრობა) (Della Porta and Diani 2006, 14-15). ადგილობრივი საჯარო ფიგურებისათვის, აქტივისტები წარმოადგენენ კერძო-პოლიტიკური ინტერესებით გაერთიანებულ პირთა ჯგუფს.

ნინომ, ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა მერიაში და-საქმებულმა ქალმა, ჩემთან საუბრისას განაცხადა:

„ვერ ვიტყვი, რომ ადამიანები, რომლებიც გარემოს დაცვის მოტივით გამოდიან ფეროს ნინააღმდეგ, ნრფელი მოქალაქეობრივი სურვილით ერთიანდებიან. თუ ისინი რეალურად ქმნიან გაერთიანებას გარემოს დასაცავად, რატომ არ საუბრობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მდინარე ყვირილას დაბინძურება, ქუჩაში დაყრილი მეტალის ჩიჩქნა და მისი მავნე გავლენები ქალაქზე? ეს ჯგუფი, 28 იანვარს გამოვიდა მიგრაციული პაქტის მიღების წინააღმდეგ. ბოლოდროინდელი ამბებიდან ჩანს, რომ თითქოს ეს ქალაქი დაყოფილია, პირველი ჯგუფი შეიძლება იყოს რელიგიური, პოლიტიკური და ბიზნეს ფრთა, მეორე – ამ აქტივისტთა ეგრეთ წოდებული „ახალგაზრდული ჯგუფი“ და მესამე უბრალო მოქალაქეები, რომლებიც ექცევიან შუაში, რომლების ინტერესი უმთავრესად ისაა, რომ ამ დაუსაქმებლობის და უმუშევრობის ფონზე იშვიონ ორი კაპიკი ოჯახის დასაპურებლად. თუ გავიხსენებთ გამოსვლებს გარემოს დაცვის მიზნით, ორგანიზატორთა მოთხოვნები არ იყო კარგად ჩამოყალიბებული და გააზრებული. მათ კონკრეტულ საკითხზე თავიანთი მკაფიო აზრი არ გამოუხატავთ. ის ძირითადი მოთხოვნები, რაც მათ ჰქონდათ მანამდე იყო შესრულებული ქარხნის ადმინისტრაციის მიერ”.

თებერვლის საპროტესტო აქტივობის სტრუქტურა წარმოაჩენს მის ორ მხარეს: ერთ შემთხვევაში, გარემოს დაცვის სურვილი, რომელიც ადგილობრივთა ჯანმრთელობას ეხება და მგრძნობიარე საკითხია, რაც დაადასტურა შვილმკვდარი დედის ჩართულობამ აქციაში და მისმა ემოციურმა გამოსვლამ. მეორე შემთხვევაში, აქტივიზმი უპირისპირდება ელიტიზმს. ეს აქცია გამოხატავს მოთხოვნას, რომ ახალგაზრდები, მუშები, სამომხმარებლო სერვისებში დასაქმებული ადამიანები არიან ისინი, ვისაც ეკუთვნის ქალაქი. მაშინ, როდესაც აქცია წარმოაჩენს ერთ მხარეს მდგომ ადგილობრივ რელიგიურ, პოლიტიკურ და ბიზნეს ელიტას, ხდება დემონსტრირება იმისა, რომ მეორე

მხარეს სუფთა ხელებია (ბავშვები, ახალგაზრდები), რომლებიც ქალაქს ფლობენ მისი სტრუქტურული შინაარსით. ესაა ელიტა, რომლის სამსახურშიც უნდა იყოს ქალაქის რელიგიური, პოლი-ტიკური და ეკონომიკური მმართველობა. აქცია ქმნის ილუზი-ას, რომ ეს ორი ფრთა ერთმანეთისაგან გათიშულია და სხვა-დასხვა სივრცით განზომილებაში ცხოვრობს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ზესტაფონი პოსტსამრეწველო ქალაქის სახეს ატარებს, რომლის განვითარების გზებს ქალაქის მაცხოვრებლები აღტერნატიული მრეწველობის განვითარება-ში ხედავენ. პოსტსამრეწველო ქალაქის სტატუსი ვლინდება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ აქტივობებსა და საპ-როტესტო გამოსვლებში, რომელიც ფეროშენადნობთა ქარხა-ნასთანაა დაკავშირებული და დღის-წესრიგში აყენებს შეკით-ხვას ქალაქზე უფლების შესახებ. თუ საბჭოთა პერიოდში, ძირი-თადი ეკონომიკა ქალაქში ფეროშენადნობის წარმოებაზე იყო დამოკიდებული, ცვლილებების ხანაში, ქარხანაში ფუნქციური გავლენა დაკარგა, რამაც მოქალაქეთა სოციალური და ეკონო-მიკური დაუცველობის განცდა წარმოქმნა. ამ მხრივ, ზესტა-ფონში ფეროშენადნობთა ქარხნის არსებობამ საბჭოთა პერიო-დის შემდეგ, უარყოფითად იმოქმედა ქალაქის განვითარებასა და მისი ახალი იდენტობის ფორმირებაზე. გიგანტურ საქმეებში ქალაქის სოციალური და ეკონომიკური რესურსების ჩართვა საბჭოთა სისტემას სარგებელს აძლევდა, ხოლო ახლად შექ-მნილ ნეოლიბერალურ ეკონომიკაზე გარდამავალ სახელმწი-ფოს წამგებიან პოზიციაში ამყოფებდა, რადგან პროდუქციის წარმოებამ და წიდა-მეტალის მოპოვებამ ტრანსფორმაციის პი-რობებში, დააზიანა როგორც ქალაქის სახე, ისე დაახშო მისი განვითარების ახალი პერსპექტივები, რომელიც მოერგებოდა სასოფლო პროდუქციის წარმოებასა და ადგილობრივების ეკო-ნომიკური კეთილდღეობის შექმნას. ტრანსფორმაციას დაკავ-შირებულმა ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა ნაბიჯებმა ქა-

ლაქში ინდივიდებს მოუტანა სარგებელი, თუმცა მოშალა კომუნალური სიკეთები და მოქალაქეები, რომლებიც 1990-იან წლებში პურის რიგში იდგნენ ან წიდა-მეტალს ჩიჩქნიდნენ, დღეს ან შრომით ემიგრაციაშია ჩაბმული, ან წვრილმან საქმიანობას მისდევს ადგილზე და მათი კეთილდღეობა კერძო-მესაკუთრეთა ნებაზეა დამოკიდებული. ფეროშენადნობთა ქარხანა ადგილობრივ მოსახლეობას, სხვა კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებისაგან განსხვავებით, მეტ სოციალურ გარანტი-ებს სთავაზობს. ამიტომ, იგი ქალაქში პირველი დამსაქმებლის სტატუსს ინარჩუნებს და მასზეა დამოკიდებული ზესტაფონის ურბანული განვითარების სამომავლო პერსპექტივა.

დამოწმებული ლიტერატურა:

გველესიანი, გ. (1982), ცნობარი ზესტაფონის რაიონის შესახებ. რაიონის მოკლე ისტორია. ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებული დოკუმენტი ნაბეჭდი სახით შესრულებული, 1-49 გვერდები, ხელს აწერს: ზესტაფონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ლ. გველესიანი. თბილისი.

ბუხნიკაშვილი, ო. (1983), ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

ზესტაფონის მოამბე (1995) 25.05.1995, 2

ზესტაფონის მოამბე (1995) 3.02.1995, 2

ზესტაფონის მოამბე (1995) 17.03.1995, 1

ზესტაფონის მოამბე (2005) 28.03.2005, 2

თარხნიშვილი, ნ. (2012), „კვამლი ზესტაფონის თავზე“ რადიო თავისუფლება, თბილისი.

თუთერიძე, მ. (1974), „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი

კომუნისტი (1974), 14.09.1971:4

საქართველოს რესპუბლიკა (1991), 19.07.1991, 1

ქამუშაძე,თ. (2017), „ქალაქის სახის ფორმირება და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციები (ქ. რუსთავის მაგალითზე)“, დისერტაცია ანთროპოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერის უფლებით, თბილისი.

ქარაია, თ. (2015), „მეხსიერების პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში (ვარდების რევოლუციის შემდეგ)“, დისერტაცია პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, შესრ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხელმძღვანელი მალხაზ მაცაბერიძე, ხელნაწერის უფლებით, თბილისი.

Bridge, G., Watson S. (2003), “City Imaginaries” pp.7-17; City Interventions pp. 505-516. Eds. Bridge G., Watson S., A companion to the city, Blackwell publishing.

Cisar, O. (2013), “A typology of extra-parliamentary political activism in post-communist settings: The case of the Czech Republic”, In K. Jakobsson, S. Saxoberg (Eds.), Beyond NGO-ization.

Della Porta, D., Diani, M. (2006), “Social Movements an Introduction”. Blackwell Publishing.

Diani, M. (1992), “The concept of social Movement”. In the Sociological Review, 40(1), 1-25.

Low, M. S. (2014), “Spatialities: The rebirth of Urban Anthropology through Studies of Urban Spaces”, A Companion to Urban Anthropology, First Edition. Ed. Donald M. Nonini. Published by John Wiley & Sons, Ltd.

Piotrowski, G. (2015), “What are Eastern European Social Movements and How to Study them?” In Intersections. Eastern European Journal of Society and Politics, 1(3), 4-15.

Rabkin, M. Y., Minakov, M. (2018), “Editors’ Foreword”. Ed. Rabkin Y.

Kanakov, M., 2018 Demodernization A future in the Past, ibidem-Verlag Stuttgart pp.9-15.

Boris Komakhidze

The City in Transition: Urban Transformation in Georgia's Industrial City of Zestaponi

This essay analyzes the ways in which the post-industrial, post-Soviet identity of the city evolves. In this article, I look at societal changes through the lens of urban anthropology. Following the creation of the Soviet Union, industrial growth dominated urban areas in Georgia. Cities with a large concentration of heavy industrial factories lost their significance and function with the fall of state socialism. As a result, it trapped the city's identity between the past and an uncertain future. The "quest for identity" in the newly constituted state of Georgia had an impact on the industrial city of Zestaponi as well. The article's primary questions are: what does Zestaponi signify in post-industrial life? What is its role and identity in contemporary Georgian society? The research's actuality is guided by the need to understand the issues of post-Socialist transition as well as the need to comprehend how the industrial city of Zestaponi transformed its sociocultural image in conjunction with evolving political realities. The essay discusses post-industrial city challenges as well as the ramifications of post-Soviet urban development

გიორგი მამარდაშვილი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოლოგიური კიბოცოდეი – ვიზუალური ანთროპოლოგის გამორჩეული კოლექცია

ეთნოლოგიური შინაარსის კინოების, ფოტოების, რუქებისა და არქიტექტორული ანახაზების კოლექცია ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ჯერ ბოლომდე შეუსწავლელი ფონდია. ამჟამად ფონდში დაცულია 1000 კოლოფზე მეტი კინოფირი, ათასზე ოდნავ მეტი ფოტოპოზიტივი და ფოტონეგატივები. ეს მასალა ეთნოლოგიურია, თუმცა ფონდში დროთა განმავლობაში ხვდებოდა სხვა შინაარსის მასალაც – ფონდს საბჭოთა იდეოლოგიის დამსახურებით „შეემატა“ ისეთი ფილმები როგორიცაა „ჩვენი სერგო“ (სერგო ორჯონიკიძის შესახებ), „სერგო ორჯონიკიძე“, „ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში“, „(ციმბირელი პაპა“ და სხვა მსგავსი მიმართულების ფილმები. ეს მასალა მხოლოდ დაარქივდა და როგორც მცირეოდენი ღირებულების მქონე და დავინუებას მიეცა. რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით იმ ეთნოლოგიური თვალსაზრისით ძვირფას მასალაზე, რომელიც 1961 წლიდან მოყოლებული 2000-იანების დასაწყისამდე გროვდებოდა და მუშავდებოდა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გადამღები აპარატურით შეიარაღებული პირველი ექსპედიცია, „ათეისტური კაბინეტის“ ხელმძღვანელობით 1960-იანი წლების დასაწყისში ეწვია საქართველოს მთიანეთს, რათა ფირზე აღებეჭდა მთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ყოველდღიურობა, მათი რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები. შემდგომში ექსპედიციებმა ყოველწლიური ხასიათი მიიღო და 1980-იან წლებამდე თითქმის უწყვეტად მიმდინარეობდა. „ათეისტური კაბინეტის“ გაცხადებული მიზანი ტრადიციათა დრომოქმულობისთვის, რელიგიური რიტუალებისა და რწმენა-წარმოდგენების საბჭოთა საზოგადოებისთვის მავნე ხასიათისთვის

ხაზგასმა წარმოადგენდა. სინამდვილეში, ამგვარი საბურველით შენილბული ექსპედიციები და „ათეისტური კაბინეტი“ ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციების, ხალხური არქიტექტურის, სარიტუალო ნიუანსების ფიქსაციას ახდენდა, ცოცხლად უნახავდა მომავალ თაობასა და სამეცნიერო წრეებს ისტორიას, ინფორმაციას საკუთარი ქვეყნის წარსულიდან შემორჩენილ ურთიერთობებისა და ყოფის მრავალი ასპექტის შესახებ.

ფონდის საფუძველჩამყრელი მირიან ხუციშვილი გახლდათ. მისი მოხვედრა სამეცნიერო წრეში ახალგაზრდობაში არჩეული პროფესიის მიხედვით ნაკლებად სავარაუდო იყო – ბატონმა მირიანმა, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე სამხედრო სასწავლებელს მიაშურა და სრულიად ახალგაზრდას კავკასიონის გადმოსასვლელებზე, ჰიტლერელთა ცნობილი სამთო ბატალიონის „ედელვაისის“ წინააღმდეგ წარმოებულ ოპერაციებშიც მოუნია მონაწილეობის მიღება. ომის დათმავრების შემდეგ თურქეთის საზღვარზე გაიწვიეს. შინ დაბრუნებულმა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტის ფაკულტეტზე ჩააბარა და 1949 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა გორის მუზეუმში მეცნიერ მუშაკად დაიწყო მუშაობა. 1952 წელს კვლავ არმიას დაუბრუნდა და შორეულ ციმბირში, კამჩატკის ნახევარკუნძულზე და რუსეთის სხვადასხვა მხარეს რამდენიმე წელი გაატარა. 1959 წელს, მირიან ხუციშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ათეისტური კაბინეტის გამგედ. 1960-იანი წლების დასაწყისში მისი უშუალო ხელმძღვანელობით იწყება ექსპედიციათა ხანგრძლივი ციკლი, რომლის მიზანი ვიზუალური ანთროპოლოგიური მასალის ფიქსაცია იყო (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი 2009, 63).

საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიული კუთხეების ყოფა-ცხოვრების ვიდეოფიქსაციის პარალელურად მიმდინარეობდა ფოტო გადაღებები, სარიტუალო თუ საცხოვრებელი შენობების არქიტექტურული აზომვა და ჩახატვა, ტოპოგრაფიული

და გეოგრაფიული რუკების შესადგენად საჭირო სამუშაოები. ექსპედიციის ყოველი სამუშაო წლის ანგარიში ბარდებოდა მუზეუმის ხელმძღვანელობას და ეს მშრალი ანგარიშებიც თავის-თავად საინტერესო ცნობებს გვაწვდიან, თუნდაც იმ ხალხის შესახებ, რომლებიც ჩართული იყვნენ ხალხურ ტრადიციათა ფიქსირების პროექტში. ანგარიშების მიხედვით, პირველ წლებში ექსპედიციები ერთობლივი იყო, მათ ისტორიის ინსტიტუტი და მუზეუმი ერთიანი ძალისხმევით ახორციელებდნენ და ამ ექსპედიციებს სათავეში ვერა ბარდაველიძე ედგა.

ფონდში შესული ვიდეო მასალა 1980-იან წლებში საფუძვი-ანად დამუშავდა და უკვე დასრულებული, გახმოვანებული სამეცნიერო დანიშნულების მქონე ფილმებად იქცა. ამჟამად, ფონდში, უშუალოდ მუზეუმის შრომის შედეგად შექმნილი 7 სრულყოფილი ფილმი ინახება. ფილმები, რომელთა საერთო თემატური სათაურია „ქართული ტრადიციული ყოფა-ცხოვრება და რიტუალები“, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის შესახებაა და შემდეგი ფილმებითაა წარმოდგენილ: „თუშეთი“, „ხევსურეთი“, „ფშავი“, „მთიულეთ-გუდამაყარი“, „თიანეთი“, „ყველიერი საქართველოში“. ეს ფილმი მესხეთსა და კახეთშია გადაღებული, ასევე, მთის რეგიონებს ეხება ფილმი „კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის კვალდაკვალ“, რომელშიც საქართველოს მთიანი კუთხების გარდა ფიქსირებულია ინგუშეთიც, რომელიც ფონდში ცალკე ფილმად, „ინგუშეთის“ სახელით ინახება. გარდა ამისა, ფონდში დაცულია დიდ რაოდენობით დაუმონტაჟებელი მასალა, რომელთა დიდ ნაწილიც არა შესული დასრულებულ ფილმებში და საქართველოს სხვა კუთხეების (ქართლი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩებუმი) ტრადიციულ ყოფა ცხოვრების შესხებ გვიქმნის წარმოდგენას (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი 2009, 13).

ფონდი, მუზეუმის გარედან შემოსულ მასალასაც ფლობს

და მათგან ზოგიერთი ძალიან მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, მირიან ხუციშვილის მიერ კრასნოგორსკის საკავშირო არქივი-დან ჩამოტანილი, 1929 წელს ხევსურეთში გადაღებული კადრები. აგრეთვე, 1940-იანი წლების ბოლოს და 1950-იანი წლების დასაწყისში მოყვარული ოპერატორის, ფაიველ სობოლის მიერ დაფიქსირებული ხევსურული და სვანური ყოფა-ცხოვრების ნიუანსები (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი 2009, 14). ფონდში, აგრეთვე ინახება არქეოლოგებისთვის მნიშვნელოვანი მასალა, რომელიც მოგვითხრობს მცხეთის, დმანისის, ურბნისის, ნოქალაქევის, უინვალის ექსპედიციების მუშაობის პროცესებზე (საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი 2009, 13).

ფონდში დაცული მასალა დროთა განმავლობაში, მოვლა-პატრონობასა და დანიშნულების მიცემას მოითხოვდა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი პერიოდულად ანესრიგებდა ფონდს. 2007-2009 წლებში „იუნესკოს“ დახმარებით განხორციელდა პროექტი, რომლის მიზანიც იყო არსებული მასალის სისტემური დამუშავება, კონსერვაცია-რესტავრაცია, მონაცემთა ბაზის შექმნა. ფონდში არსებული 1000-მდე ფოტოპოზიტივი დამუშავდა, ჩაიდო სპეციალურ დამცავ ქაღალდებში, ყველა მათგანს მიენიჭა ნომერი და სრული ანოტაციებითა და აღნერილობით შეიქმნა თითოეულის პასპორტი. ფოტოპოზიტივები კინოფილმების შინარსს ემთხვევა. მათში დაფიქსირებულია ყოფა-ცხოვრებისა და რიტუალების ის ნიუანსები, რის შესახებაც მოგვითხრობენ ფონდში დაცული კინოფირები. შექმნილია ელექტრონული ბაზა, რომლის საძიებო პროგრამით მარტივადა შესაძლებელია ფოტოპოზიტივებში სასურველი ინფორმაციის მოძებნა. პროექტის ფარგლებში გაიწმინდა 853 კოლოფი კინოფირი, შეიქმნა კინოფირების ელექტრონული ბაზაც. 2009 წელს გამოიცა კინოფონდის ალბომი, რომელიც რამდენიმე

წლით ადრე გამოცემულის შევსებული და მცირედით განახლებული ვარიანტია.

იუნესკოსა და ეროვნული მუზეუმის პროექტს მიღმა დარჩა ფონდში დაცული ფოტონეგატივები, არქიტექტურული ანახაზები და ეთნოგრაფიული შინაარსის რუქები, რომლებიც ფასეულ სამეცნიერო მასალას ინახავენ და კინო და ფოტო მასალასთან (პოზიტივებთან) ერთად თითქმის სრულ წარმოდგენას გვიქმნიან ამა თუ იმ კუთხის ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ.

ერთობლივი პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენი ის ტექნიკური საშუალებებია (სამონტაჟო მაგიდა, შესაბამისი სიმძლავრის კომპიუტერი), რომლითაც დღესაც მიმდინარეობს ფონდში არსებული მასალის დამუშავება, განმენდა და მონტაჟი. ამ ტექნიკური საშუალებებით მოხერხდა ფონდში არსებული ყველა დასრულებული სრულმეტრაჟიანი ფილმების ახალი, გაუმჯობესებული ხარისხის ასლების შექმნა, დამონტაჟდა და ტიტრები დაედო რამდენიმე ფილმს. ამჟამად მიმდინარეობს ფონდში არსებული დაუმუშავებელი მასალის ხელახალი დახარისხების და ნაწილობრივ გაციფრულების პროცესი.

ეროვნული მუზეუმის კინო-ფოტო ფონდის მასალა უდიდესი მნიშვნელობისაა ეთნოლოგიისთვის და აგრეთვე ქართული ტრადიციული ყოფა-ცხოვრების ნიუანსებით დაინტერესებული საზოგადოებისთვისაც. თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებისა და სწრაფი ურბანიზაციის პირობებში, სულ უფრო აქტუალურია წარსულის სურათების ფიქსაცია და მათი გაანალიზება, რაც ბუნებრივობასთან კავშირის არ გასაწყვეტად, საზოგადოების განვითარების საფუძვლების ცხადად გასათავისებლად და აქიდან გამომდინარე შემდგომი განვითარების გზების დასახვის ერთ-ერთ საშუალებად მიგვაჩნია.

მნიშვნელოვანია ამ ფილმებში ფიქსირებული მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხე-კოშკები, ჯვარ-ხატები და საცხოვრებელი სახლები). ფილმებში დაწვრილებითაა აღწერილი და დაფიქსირებული ტრადიციული ხევსურული კალიანი სახ-

ლები, თუშური კოშკები თუ მთიელთა ყოფა-ცხოვრებისთვის მახასიათებელი შენობა-ნაგებობები. განმარტებული და თვალ-საჩინოდ წარმოდგენილია მათი დანიშნულება და ამ შენობა-ნა-გებობების შემადგენელი ნაწილების ფუნქციური დატვირთვა. ყველა ამ ფილმში ნაჩვენებია საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატთა სტრუქტურა, ხატის კარის, კვრივის, სამსხვერპლოს, სადროშე კოშკის, სალუდის განლაგების სისტემა. ფილმებში ასევე დაფიქსირებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიელე-ბის სადღესასწაულო რელიგიური რიტუალების სინკრეტული ხასიათი – ამის მაგალითად, გამოდგება სოფელ მუქოში არსებული მეცხრამეტე საუკუნის ეკლესიის გამოყენება რიტუალის დროს – ვინაიდან ხატის კოშკები დროთა განმავლობაში ჩაქცეულა, ეკლესიის შენობაში ასვენებენ დროშებს (ეს დრომაც წინარექრისტიანული წარმოდგენების გამოხატულებაა. იგი შედგება ტარისგან და მასზე ასხმული საწირებისგან), ეკლესიის გარშემოც დროშითა და სამსხვერპლო ხონჩით უვლიან წრეს. პროცესს ჯვარ-ხატის ტერიტორიაზე მსხვერპლშეწირვა და დამწყალობნება უძლვის. ამ ფილმებში, ჩვენი აზრით, ჩანს წარმართული ცნობიერებისთვის მახასიათებელი „ფამილარული“ დამოკიდებულება ღვთაებრივი ძალების მიმართ. ეს ფშაველი ხევისბერის სიტყვებში (რა გულითაც მათ შემოგწირეს ასეთივე გულით დაამწყალობნეო (ფშავი 1979)) და უფრო თუშურ დღე-სასწაულზე წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ ლექსში ჩანს –

„დღესამ დღეობა ვისია? წმინდისა გიორგისია,
ყმათად უმატე გიორგი თუ გინდა მოსახელენი,
პურსა უმატე გიორგი თუ გინდა კოდნი სავსენი!
ცხვარსა უმატე გიორგი თუ გინდა რქა ჯანგიანი!“

(თუშეთი 1979)

მაგიური ქმედებისა და წინასწარმეტყველების ელფერი დაკრავს თუშურ ქორბელელასაც (სარიტუალო სვლას საჯარი-დან ხატის კარამდე) როცა შეზარხოშებული მამაკაცები წრეში დგებიან, მხრებზე მათ ასევე წრიულად ადგებიან და სარიტუა-

ლო სიმღერით მიდის ქორბელელა საჯარედან ხატის კარამდე. თუ ქორბელელამ დანიშნულების ადგილამდე დაუშლელად მიაღწია, ეს კარგის ნიშანია (თუშეთი 1979).

ლოცვის ტექსტებში მოხსენიებულია წმინდანები, ხატები და ზეციური ძალები: კოპალა და იახსარი დევ-კერპებთან მეომრები, ყველაზე ხშირია წმინდა გიორგის ხსენება, რომელიც ხან მუხის წმინდა გიორგად, ხან მჭედლად, ხან გზა-შარის მოყარაულედ მოხსენიება (ფშავი 1979, თუშეთი 1979). ხშირია თამარისა და ლაშარის, მეომარ-მოლაშქრე ხატის მოხსენიება. იხსენიებენ იესო ქრისტესაც – „იასო ქრისტეო დედა ღვთისმშობლის ვაზის ჯვრის მიმღებელო“ ასეა ერთგან. მეორეგან კი „იასო ქრისტევ მოსამართლეო“. იხსენებენ ღვთისმშობელსაც: „დედაო მარიამ იასო ქრისტეს იღლიდან მშობელო.“ ბოლო ფრაზიდან ჩანს ხალხში შემორჩენილი წარმოდგენა მარადქალწულ ღვთისმშობელ მარიამზე (ფშავი 1979).

რიტუალის დროს ჩანს წესის აღმსრულებელთა იერარქიაც – თავხევისბერი, ხევისპრები, დეკანოზები, ჯვარის ხელოსანნი, შულტები, ხუცესები და ა.შ.. (ხევსურეთი 1980, ფშავი, თუშეთი 1979, მთიულეთ-გუდამაყარი). ეროვნული მუზეუმის კინოფონდის კადრებში დაფიქსირებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში უდიდესი ავტორიტეტსა და დაფასების მქონე ხევისბერები, დეკანოზები და თემის გამორჩეული წევრები (გადუა ჭინჭარაული, ბაბუა ჭინჭარაული, მელიტო ხოსიკურიძე, შოთა რიგიშვილი, დავით ელიზბარაშვილი, ილო ფხოველი და ა.შ.) (ხევსურეთი 1980, ფშავი, თუშეთი 1979, მთიულეთ-გუდამაყარი). ფილმები, რიტუალის დროს სქესთა შორის განსხვავებეულ უფლება-მოვალეობაზეც გვიქმნის წარმოდგენას – კაცს, დომინანტური ადგილი უჭირავს, თუმცა არც ქალები არიან დაჩაგრულები. არის სპეციალური ადგილები „ქალთ სანათლავები“ სადაც ქალებს ნათლავენ, ასევე აქვე ხდება მათი ხატში გაყვანის რიტუალის შესრულება. ამ რიტუალს მოხუცი და პატივ-

ცემული ქალები ხელმძღვანელობდნენ. ასევა დაფიქსირებული მთიელი ქალის სითამაშე და მათი უფლებრივი მდგომარეობა. ფილმებში არის კადრები, სადაც ქალი თავისი ხელით ასმევს არაყს ახალგაზრდა მამაკაცს, თვითონაც არ ერიდება სასმელს და ცეკვა თამაშშიც ტოლს არავის უდებს (ხევსურეთი 1980). ამ ასპექტში, ყველაზე გამომხატველი თუშური დღესასწაული შა-ფურთობაა, რომლის დასკვნითი ნაწილი და მთავარი აზრის გა-მოხატულება რიტუალის ბოლოს განვითარებული სცენაა – შოლტებით შეიარაღებული ქალები მათკენ გამოქცეულ მხედ-რებს შოლტებს ურტყამენ, ცხენებიდან აგდებენ და შემდეგ შე-წირული ცხვარივით დაღმართში აგორებენ – ახალგაზრდა ახალგაზრდას ერჩის, მოზრდილი მოზრდილს, ყველა თავის ტოლსა და სწორს (თუშეთი 1979). ფილმებში, აგრეთვე, სახა-ლისო და სახუმარო შინაარსის „თამაშობები“ არის დაფიქსირე-ბული (სინის ქვაზე შეხეთქების ჩვეულება, თუში მაქალათების ონები, რძალ-დედამთილის ურთიერთობების სახუმარო თამა-ში და ა.შ. (ფშავი, თუშეთი 1979)). დიდი ადგილი აქვს დათმობი-ლი მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ რიტუალებსა და რწმენა წარმოდგენებს საიქიო ცხოვრების შესახებ (ხევსურეთი 1980, თუშეთი 1979). ფიქსირებულია მთიელების დოლი, ყოველ-დღიური ცხოვრების სამეურნეო ნიუანსები, ლუდის ხარშვის, ქსოვისა თუ თიბეის პროცესები, ტრადიციული ტანისამოსი, ადგილობრივი ტიპაჟები და ა.შ. ამ მხრივ, უნიკალურად უნდა ჩაითვალოს 1929 წელს გადაღებული კადრები, რომელშიც და-ფიქსირებულია ხევსურული საფიხვნო, მამაკაცთა თავშეყრის ის ადგილი, სადაც ისინი ბჭობდნენ სოფლისთვის აქტუალურ საკითხებზე, ყვებოდნენ მამა-პაპისგან გადმოცემულ ამბებს, თან ისეთ სამუშაოებს ასრულებდნენ, რომლებიც დიდ ძალის-ხმევას არ მოითხოვდა (თოკის დაწვნა, ტყავის დარბილება, სა-მეურნეო იარაღის ლესვა). აქვეა წარმოდგენილი ხევსურთა სა-ომარი ჩაცმულობა და აღჭურვილობა. მცირეხნიანი, მაგრამ ძა-

ლიან ეფექტურია ხევსურული ფარიკაობა-კეჭნაობის ამსახველი კადრებიც (ხევსურეთი 1980).

თავისი სტრუქტურით განსხვავებულია ფილმი „ყველიერი საქრთველოში“, რომელიც ერთი დღესასწაულისადმი არის მიძღვნილი და საგაზაფხულო ხალხურ კარნავალს, ბერიკაობა-ყენობას გვიჩვენებს. ფილმი ნახევარსაათიანია და მასში მიმოხილულია დღესასწაულის ისტორია, კავშირები სხვადასხვა ხალხის ანალოგიურ დღესასწაულებთან, ახსნილია ბერიკაობა-ყენობის ასპექტების სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვები. ფილმი გადმოგვცემს დღესასწაულის ხასიათსა და შინაარსს. მასში ნაჩვენები კადრები ეხება ბერიკაობა-ყენობის ყველა ნიუანსს (საგაზაფხულო სამეურნეო დღესასწაული, სიცოცხლის მიძინება-აღორძინება, მოსავლისა და სხვა სიკეთეების „დასაბევებელი“ მაგიური შინაარსის ქმედებები, ჭიდაობა, წყლისა და ნაყოფიერების კულტი, სექსუალური კავშირის იმიტაციები, ბარაქისა და სქსობრივი სიჯანსაღის სიმბოლოები და სხვა). ფილმი გადაღებულია ჩაილურში, მატანში, ვალესა და უდეში (ყველიერი საქართველოში 1990).

მთლიანობაში, ეროვნული მუზეუმი კინოფონდის ფილმებში დაფიქსირებული მასალა საშუალებას გვაძლევს ცხადად ვიმოგზაუროთ წარსულში. ტექსტების ავტორები არიან თინათინ ოჩიაური და მზია მაკალათია; კონსულტანტი ლევან ჭილაშვილი. ფილმებში ნაჩვენებია 1960-1970-იანი წლების აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ყოფის ნიუანსები. კადრები და სიუჟეტები გვიადვილებს აღვიქვათ ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილე, გვეხმარება გავითავისოთ შესაბამისი ქართული სამეცნიერო-ეთნოლოგიური შინაარსის ნაშრომები. ეროვნული მუზეუმში დაცული ვიზუალურ ანთროპოლოგიურ მასალის (პირველ რიგში ფილმებს; ფოტოებს, რუკებს, არქიტექტურულ ანაზომებს, ჩანახატებს) ფართო მასშტაბით შესწავლა, ანალიზი, სამეცნიერო ლიტერატურასთან შეჯერება დიდად წაადგება

ეთნოლოგიურ მეცნიერებას, აგრეთვე ქართული ტრადიციული კულტურის, როგორც სულიერი, ისევე მატერიალური კულტურის ძეგლების, ყოფის თავისებურებების ფიქსაციას.

დამოწმებული ლიტერატურა:

კინოფონდი (2009), საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი, თბილისი.

თუშეთი (1979), საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი, დოკუმენტური ეთნოლოგიური ფილმი.

მთიულეთ-გუდამაყარი (1979), საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი, დოკუმენტური ეთნოლოგიური ფილმი.

ფშავი (1979), საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი, დოკუმენტური ეთნოლოგიური ფილმი.

ხევსურეთი (1980), საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი, დოკუმენტური ეთნოლოგიური ფილმი.

ყველიერი საქართველოში (1990), საქართველოს ეროვნული მუზეუმის კინოფონდი, დოკუმენტური ეთნოლოგიური ფილმი.

Giorgi Mamardashvili

Ethnological Film Fund of the National Museum of Georgia – an outstanding collection of visual anthropology

The Documentary Film Fund of the National Museum of Georgia has an excellent collection of visual anthropology. The work on the films was carried out in the 1960s and 1970s. Older films (from the 1920s and 1940s–1950s) are still stored in the fund. Films were created as a result of expeditions by the National Museum of Georgia. This case was led by Mirian Khutshishvili. Many well-known Georgian scientists (V. Bardavelidze, T. Ochiauri, and L. Chilashvili) were involved in the work of the expeditions and then in

the production of films. The following films are currently preserved in the fund: "Tusheti," "Khevsureti," "Pshavi," "Mtiuleti-Gudamakari," "Tianeti," and "Shrovetide in Georgia." Mountain regions are also covered by the film "In the Footsteps of the Caucasus Pass Railway," in which, in addition to the mountainous corners of Georgia, Ingushetia is also recorded, which is kept in the fund as a separate film under the name "Ingushetia." In addition, the fund preserves a large amount of unedited material, a large part of which is not included in the above-mentioned finished films. This unedited material is about other ethnographic parts of Georgia (Kartli, Kakheti, Samtskhe-Javakheti, Abkhazia, Svaneti, and Rach-Lechkhumi). The material recorded in the films of the National Museum Film Fund allows us to travel clearly into the past. The footage is interesting for an ordinary citizen and very important for a student who is studying the profession of ethnologist or anthropologist. The material is valuable to scientists as well. Almost all the nuances of the lives of the mountaineers of Eastern Georgia in the 1960s and 1970s of the last century are shown in the films. Shots and stories make it easier for us to perceive the Georgian ethnographic reality and help us to understand well the works of relevant Georgian scientific and ethnological content.

ნინო მიდაძე

სალეზური რელიგიური სისტემა და ეკოლოგიური ფრაძიციები

დღეს, გლობალური ეკოლოგიური კრიზისის ხანაში, საზოგადოება ეძებს ეკოლოგიური პრობლემების თავიდან აცილების გზებს, სწორედ ამიტომ ჩამოყალიბდა ეკოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა დარგი: ადამიანის ეკოლოგია, კულტურის ეკოლოგია, სამედიცინო ეკოლოგია, მათ შორის რელიგიის ეკოლოგია..., რომელიც რელიგიისა და ეკოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხებს იკვლევს, აღნიშნულ საკითხთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიგიური რწმენა – წარმოდგენებისა და წეს-ჩვეულებების ფორმირების ეკოლოგიური ასპექტებია.

გამოთქმა რელიგიის ეკოლოგია პირველად, გასული საუკუნის 60-იან წლებში, შვედმა მეცნიერმა აკე ჰულტკრანცმა გამოიყენა. მან შეისწავლა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიების ყოფა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გარემომ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათ რელიგიაზე, რწმენა – წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებზე. ჰულტკრანცის მიხედვით, რელიგიის ეკოლოგია სწავლობს რელიგიის ინტეგრაციას გარემოში (იგულისხმება ბიოგეოგრაფიული გარემო ნ.მ.) და ამ ინტეგრაციის შედეგებს. ინტეგრაცია, დაკავშირებულია ადამიანის ქმედებებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მის არსებობას (Hultkrantz 1966, 131-150; Hultkrantz 1973, 221-236). ასეთი მიდგომა რელიგიის კვლევის ახალ შესაძლებლობებს იძლეოდა.

რელიგიის ეკოლოგიის წინამორბედად რელიგიის გეოგრაფიას მიიჩნევენ, ხოლო ერთ-ერთ მეცნიერად, რომელმაც რელიგიის ეკოლოგიას გზა გაუკვალა ცნობილი ფრიდრიხ რატცელი ითვლება.

რელიგიის და ბიოგეოგრაფიული გარემოს ურთიერთმიმართება ორმხრივია – ერთი მხრივ, გარემო ახდენს გავლენას რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებზე, მეორე მხრივ კი რელიგია გარემოზე (Büttner 1973, 249-260). ეს გავლენა შეიძლება იყოს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მაგ. გასული საუკუნის 60-წლებში ამერიკელმა მეცნიერმა ლინ უაიტმა გამოთქვა აზრი, რომ ქრისტიანულმა რელიგიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა გარემოზე, რადგან ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, ღმერთმა ადამიანს ბუნებაზე პატონობის უფლება მისცა. მისი სიტყვებით, ქრისტიანობა ატარებს ისტორიული დანაშაულის მძიმე ტვირთს, ძველ სამყაროში, ქრისტიანობის გავრცელებამდე, ყოველ ხეს, ყოველ ბორცვს, წყლის ყოველ ნაკადს, ჰყავდა თავისი მფარველი სული და მნიშვნელოვანი იყო ამ სულის კეთილგანწყობის მოპოვება, წარმართული ანიმიზმის განადგურებით, ქრისტიანობამ დაუშვა ბუნების ექსპლოატაციის ფსიქოლოგიური შესაძლებლობა (Уайт 1990, 188-202). თუმცა, იგივე ნაშრომში, იგი აღნიშნავს, რომ დღიდან გაჩენისა, ადამიანმა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ბუნებაზე – ნადირობით, ტყის მასივების გაჩეხვითა თუ გადაწვით, ირიგაციითა და სხვ. (Уайт 1990, 188-202).

რელიგიის ეკოლოგიის მკვლევრები იკვლევენ, თუ რა ფუნქცია ენიჭება რელიგიას გარემოსთან ადამიანის ადაპტაციის პროცესში, როგორია გარემო, რა თავისებურებები ახასიათებს მას, როგორია ამ გარემოში მცხოვრები ადამიანის ბუნება. რელიგია მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ ბუნების შესახებ ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, არა-მედ ეთიკის ნორმების ჩამოყალიბებაშიც, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას ბუნებასთან მიმართებაში (Botero 2014).

ეკოსისტემების, რელიგიური რიტუალებისა და სოციო-კულტურული სისტემების ურთიერთგავლენის კვლევის საქმე-

ში საკმაო წვლილი შეიტანეს სამედიცინო ანთროპოლოგიის მკვლევრებმა. ჯორჯ ფოსტერმა და ბარბარა ანდერსონმა ნაშრომში – სამედიცინო ანთროპოლოგია, გაანალიზეს რელიგიები, როგორც ფუნქციონალური სოციოკულტურული სისტემები, რომლებიც ეფუძნებიან სხვადასხვა გარემოს და ამგვარად აყალიბებენ ახალ ეთნოსამედიცინო სტრატეგიას (Foster 1978).

ზემოაღნიშნულ საკითხებს ხშირად სულის ეკოლოგიასთან მიმართებაში განიხილავენ, „სულიერი სამყაროს ეკოლოგია „ადამიანის ეკოლოგიის (ანთროპოკულოგიის) ძირითად ნაწილად მოიაზრება და რეალურად არსებული ადამიანის სულიერი სამყაროს ცვლილებებს იკვლევს, მატერიალური საარსებო გარემოს ეკოლოგიური ცვლილებების ფონზე“ (ციცქიშვილი 2014, 83).

რელიგიის ეკოლოგია, მეცნიერების შედარებით ახალი დრგია და ამ დარგის სპეციალისტები საქართველოში იშვიათად გვხვდება, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პრობლემის მნიშვნელობაზე ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1918 წელს მიგვანიშნა, როდესაც აღნიშნა, რომ შეუა საუკუნეებში ქართველების წარმოდგენით, „მსოფლიო ორ მთავარ ნაწილად იყო დაყოფილი ხილულ და უხილავ სოფლად... პირველს ეკუთვნოდა ყველაფერი, რაც კი „საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა მფლობელი იყო, მეორეს რასაც კი „ზესთასოფლისა ძალთა ბუნებაი“ ჰქონდა. ლერთის მიერ შექმნილი ადამიანი ამ ორსავე ბუნებათა მფლობელი იყო, „სოფლის“ ყოვლისავე აგებულებისა“ შემაერთებელი იყო... მას ჰქონდა „საცნაურ და გრძნობად ბუნების მქონე სხეული და უხილავი „ზესთასოფლისა ძალთა ბუნებოვანი სული“... ამგვარად, იგი იყო ვითარცა პატარა მსოფლიო („მიკროკოსმოს“-ი) დიდ მსოფლიოში („მაკროკოსმოს“-ში)“ (ჯავახიშვილი 1982, 122). ე.ი. შეუა საუკუნეებში მცხოვრები ქართველის შეხედულებით ადამიანი, ბუნებრივი, მიწიერი – ხილული და ზეციური – უხილავი სამყაროს შემაერთებელ ქმნილებას წარმოადგენდა. ეს დასკვნა, კი მეტად მნიშველოვანია როგორც

ანთროპოეკოლოგიის, ისე რელიგიის ეკოლოგიის თვალსაზრისით. ისიც უნდა თქვას, რომ ქართველი ეთნოლოგები – რელიგიის და საერთოდ, ტრადიციული კულტურის საკითხების კვლევის დროს რელიგიის ეკოლოგიას ყოველთვის ეხებოდნენ. ვგულისხმობ გიორგი ჩიტაიასა და ვერა ბარდაველიძის მიერ ჩამოყალიბებული ეთნოლოგიური მეცნიერების სკოლის წარმომადგენლებს.

უშუალოდ რელიგიის ეკოლოგიის კვლევის პიონერად საქართველოში მიხეილ გეგეშიძე უნდა ჩაითვალოს. ცნობილია, რომ მ. გეგეშიძემ ეთნოლოგთაგან პირველმა დაიწყო ეკოლოგიურ საკითხებზე მუშაობა. კვლევის შედეგები აისახა წიგნში: ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში (თბ. 1981), რომელშიც, სხვა საკითხთა შორის, მან ეკოლოგიური ასპექტით განიხილა სვანური დღე-სასწაული „მურყვამობა“ (გეგეშიძე 1982, 82).

რელიგიის ეკოლოგია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაზღვრავს რელიგიის როლსა და ადგილს ადამიანისა და ბუნებრივი თუ სოციოკულტურული გარემოს ურთიერთობაში, რაც ასახულია სხვადასხვა ხალხის ცხოვრების ტრადიციულ წესში – მეურნეობის სხვადასხვა დარგში, შრომის კულტურაში, ღირებულებათა სისტემაში, ზნეობრივ ნორმებში, ჯანმრთელობის დაცვის ხალხურ ტრადიციებში და სხვ.

როდესაც რელიგიურ სისტემაზე ბიოგეოგრაფიული გარემოს გავლენას იკვლევენ უმეტესწილად რელიგიის განვითარების ადრეულ ფორმებს გულისხმობები, ჰულტკრანცის სიტყვით, ე.წ. პრიმიტიულ რელიგიებს. თუმცა, ბუნებრივი მოვლენები ადამიანს ყველა ეპოქაში უქმნიდა და დღესაც უქმნის პრობლემას. ამიტომ, ახლაც კი ტარდება რიტუალები, რომელთაც, არც თუ იშვიათად, ცრურნენა უდევთ საფუძვლად. ასეთი რიტუალები საუკუნეების მანძილზე ოფიციალური რელიგიებისათვის მიუღებელი იყო. ასეა დღესაც მაგრამ, ისინი, გარკვეულ საზოგადოებებში, მაინც განაგრძობენ არსებობას, მაგი-

ური ან ე.წ. ჰიბრიდული რიტუალების სახით, რადგან დროთა ვითარებაში მათ განსხვავებული რელიგიური სისტემების, ჩვენში ქრისტიანობის, გავლენა განიცადეს.

ბიოგეოგრაფიულ გარემოსთან, უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივი სტიქიებისგან დამცველი და სხვა, ამინდის მარეგული-რებელი რიტუალები თუ დღესასწაულებია დაკავშირებული.

ასეთ დღესასწაულს წარმოადგენს ჰულიში¹, რომელიც ბ. ნიუარაძის სიტყვებით, „როგორც სახალხო დღე-სასწაული, იციან თავისუფალ სვანეთში – მესტიის საზოგადოებაში და სადადიანო სვანეთს – ლაშეთის საზოგადოებაში... ეს დღესასწაული ხვდება ყოველ წელს პეტრე-პავლობის მარხვის წინ შაბათ- კვირას [...].

სადადიანო სვანეთს – ლაშეთის საზოგადოების ჩრდილოეთით, სხვათა შორის, იმართება ორ ვერსამდინ მთა, რომლის წვერზედ გამლილია მოდიდო მინდორი; ამ მინდორშუა დგას ქვიტკირის ეკლესია მთავარანგელოზის სახელზედ, სადაც ულიშობა დღეს მიდის ხალხი ლაშეთის საზოგადოებიდგან. ხალხს მიაქვს თავისი სადილი, სასმელ-საჭმელი, ჯდება იქ მინდორში სადილად და საღამოს სოფლად ბრუნდებიან. თვითეულს მოსახლეს მიაქვს ხსენებულის ეკლესიის შესაწირავად, რამდენიმე ღერი წმინდა სანთელი, დოქტ ღვინო, ცხვრის გულ-ღვიძლი და მისი ტაბლა. ეს ხორაგი მახვშის სასარგებლოდ, რომელსაც ეკუთვნის ეკლესია.

¹ შდრ. აჭარაში დადასტურებულ ქაშატობას, აპრილის პირველ შაბათს, როდესაც „ნიალვრისა და საერთოდ ავლრის თავიდან აცილების მიზნით,[...] სახნავ მინაზე არ გაიტანდნენ რკინის იარღებს: სახნისა, თოხს, ცულსა და მისთ. სწამდათ, რომ ამ წესის დამრღვევნი ვერ აიცილებდნენ სელგაპს, ნიალვარს“ (ნიუარაძე 1971, 353). სელგაპი, არაბულ-სპარსული სიტყვაა, ნიშნავს წყალდიდობას, ღელებისა და მდინარეების ადიდების შედეგად ნათესებისა და სათიბების წალეკვას (ნიუარაძე 1971, 317).

დღესასწაული ჰულიში ძველის დროიდგან არსებობს სვანეთში. ხალხში ამ დღესასწაულის შემოლებას მოგვითხრობს სახალხო სიმღერა, ამ დღეს სამღერებელი. ძლიერ ადრე ენგურის სათავეში, მთიდგან მოწყვეტილა საყინულე, სვანურად “ჰოლ“ ანუ „ვოლ“..., ყინულს ენგური დაუგუბავს, ისე, რომ მის ქვეშ ერთი ცვარი წყლისა არ გაუშვია. როცა ეს დაგუბული წყალი აზვავებულა, ყინული დაუძრავს და მთელის სვანეთის ხეობაში ამოუტანია, რადგანაც ყინული დიდი ყოფილა, ამისთვის მისი ნაპირები ყველა სოფელს მოხვედრია და მთელი სვანეთი წაულეკავს. ამ უბედურების შემდეგ ხალხს, რომ იგი მეორედ არ განმეორდეს, დააუწესებია ეს დღესასწაული „ჰულიში“ (ნიუარაძე 1962, 64).

აღნიშნულ დღესასწაულს ე. თაყაიშვილი, წმინდა ილიას¹ დღესასწაულად თვლის და წერს : „სვანების გადმოცემით [...] დროშა თამარ მეფის მიერ არის მათდამი ნაანდერძევი. წელიწადში ერთხელ ულიშობას, ესე იგი წმინდა ილიას დღეს, გამოიტანენ მას და ერთი ცხენოსანი ამ დროშით ჩამოაარს მთელს სოფელს; თუ ამ მატერიის ლომი კარგად გაიბერება, გაიშლება და ლომის სახე კარგად გამოჩნდება, ეს დიდი ბედნიერებაა და კარგი მოსავლის მომასწავებელია“ (თაყაიშვილი 1937, 275).

ვ. ბარდაველიძეის მიხედვით კი, ეს დღეობა უხსოვარ დროს დაწესებულა სვანეთის მინა-წყალს მოდებული მტრის ძლევისა და განდევნის სასახელოდ პეტრე-პავლობის მარხვის წინა შაბათიდან დაწყებულა სამ დღეს გრძელდებოდა... დროშა გამოჰქონდათ კვირასა და ორშაბათს“... (ბარდაველიძე 1963, 147).

¹ წმ.ილია//ელია თეზბიტელი (ძვ.წ. IX საუკუნე), ძველი აღთქმის მიხედვით, წინასწარმეტყველია, მისი სახელი დაკავშირებულია ამინდის ცვალებადობასთან მას ასე მიმართავენ: “წინასწარმეტყველო და წინასწარმხილველო დიდებულთა საქმეთა ღმრთისა ჩუენისათა, ილია დადად სახელოვანო, რომელმან სიტყუითა შენითა დააყენე წყალმდინარე იგი ღრუბელი, მეომ გვყავ ჩუენ მხოლოსა მიმართ კაცომოყუარისა“.: მისი ხსენების დღეა 20 ივლისი, (ახ. წ. 2 აგვისტო).

ჰუკევიანი წერს: „ჰულიშობის დღესასწაულის შესახებ რ. გუჯეჯიანი წერს: „ჰულიშობა სტიქიური უბედურების თავიდან აცილებასა და კარგი ამინდის გამოთხოვნას ეძღვნება, ანუ მიმართულია „ამინდის მომწესრიგებელი“ ელია წინასწარმეტყველისადმი, დღეობა საერთო-სახეევო მნიშვნელობისაა, ემსახურება ზემო სვანეთისათვის მშვიდობიანი და მოსავლიანი წლის დაბევებას [...] სვანეთში, მთელი საქართველოს მსგავსად, ელია წინასწარმეტყველი („დიდი ელია“ – „ხოშ იელ“) ამინდის „გამგებლად“, „მომწესრიგებლად“ ითვლება. ამგვარი დამოკიდებულება პარალელს ბიბლიის სათანადო სიუჟეტებთან ჰპოვებს და განმტკიცებულია საეკლესიო ტრადიცით. გარდა ოფიციალური 20 ივლისის (ძვ.სტ.) ელიაობისა, სვანეთის ტრადიციულმა ყოფამ ელია წინასწარმეტყველისადმი მიძღვნილი სხვა დღეობებიც (მარტში, მაისში, ივნისში, ივლისში...) შემოგვინახა“ (გუჯეჯიანი 2008, 156-160).

სვანეთში წმ. ელია „ითვლებოდა ავდრის ღვთაებად, რამდენადაც ავდარი დიდი მნიშვნელობის იყო მოსავლიანობითვის, იმდენად მორიდებით სახსენებელი იყო ეს ღვთაებაც. ილია ცისა, მადლით სავსე, მადლიანო, შენი ცვარ-ნამით გაახარე ჩვენი ნახნავ-ნათესი, ინდომე ჩვენი ლოცვა – დიდების მისასვლელი, ილია ჰატრონო, მადლიანო! ელიობის დღესასწაულს გულდას-მით იხდიდა მოსახლეობა [...] ამ დღეს, ვაცს კლავდინენ, მოხარ-შავდნენ სასოფლოდ, დაჭრიდნენ ულუფებად ამა თუ იმ სოფ-ლის კომლთა რაოდენობის მიხედვით, თვითეული ოჯახი სალო-ცავ დიდ ჰურსა(უფრო ხაჭაპურს) გამოაცხობდა და ჰურთან ერთად პატარა ჯვარი (სამქიმიანს). ჰური და ჯვარი კარანებით გამოჰქმდათ და სოფელი ერთად მოილოცავდა. შემდეგ ლოცვის მონაწილენი კომლიდან თითო კაცი, იქვე დაჯდებოდა, მიიღებდა ხორცის ულუფას და ამგვარად სოფელი ერთად ისადი-ლებდა. ხშირად ამ სალოცავისთვის არაყსაც ყიდულობდნენ სა-

ერთო საფასურით [...] როდესაც დიდი ხნის მონატრული წვიმა წამოვიდოდა მოსახლეობა მადლობით მიმართავდა ილიას [...].

ილიაობას მეტად იცავდნენ სოფელში. არავინ ამ დღეს არ მუშაობდა, შიშით იმისა, რომ სოფელი ახმაურდებოდა. უქმე დღის გამტეხის წინააღმდეგ სოფელი მაწყევრად გამოედევნებოდა“ (დავითიანი 1939, 32-34).

ჯულიეტა რუხაძეს ეთნოგრაფიულ დღიურებში აღნიშნული აქვს, რომ სვანეთში წმ. ელიას დარის იელის სახელით მოიხსენიებენ (რუხაძე 2020).

ილიაობა//ელიაობა, მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები განხილული აქვს ირაკლი სურგულაძეს. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დადასტურებული გადმოცემის მიხედვით, ელია ბრმაა, ეტლში ზის და ცაში დასეირნობს, მას წინ მიუძღვის ეშმაკი და აცდუნებს სეტყვა უადგილო ადგილას (ნათესებზე) მოუვლინოს ამა თუ იმ სოფელს. ასეთი გარემოების თავიდან აცილების მიზნით, როდესაც სეტყვის შავი ღრუბელი გამოჩნდებოდა, სოფლის მკვიდრნი თოფის სროლასა და ზარების რეკვას იწყებდნენ – ელია გაიგონებს, მიხვდება, რომ აქ სოფელია და წავაო, ელიას სამსხვერპლო ცხოველია თხა (ციკანი) (სურგულაძე 2003, 275).

ბ. ნიუარაძის მიერ ჩანტრილ გადმოცემაში, წმ. ილიას ენაცვლება სეტყვა.. თავად ბ. ნიუარაძის განმარტებით, სეტყვა სვანებს „წარმოდგენილი ჰყავთ როგორც ცოცხალი არსება“ (ნიუარაძე 1962, 146). იგი წერს „სეტყვა ბრმა არის. წინამდოლად მას ეშმაკი ჰყავს მიჩენილი და დროგამოშვებით მოისურვებს ქვეყნად (სეტყვას ბინა ცაზე აქვს) გასეირნებას. სეტყვის საყვარელი სასეირნო ადგილები მთებია და ღელე-ღულები“... (ნიუარაძე 1962, 146).

არ არის გამორიცხული სეტყვა, ან მისი სვანური შესატყვისი, დარ-ავდრის ღვთაების სახელი ყოფილიყო, რომელსაც საქართველოს გაქრისტიანების შემდეგ წმ. ელია ჩაენაცვლა.

მაგრან ეს მხოლოდ ვარაუდია და ამ საკითხს უთუოდ მრავალ-მხრივი კვლევა სჭირდება.

საქართველოში ლეონტი მროველის მიხედვით, წმინდა ელი-ას ჯერ კიდევ IV საუკუნეში სცემდნენ თაყვანს. მისი ხალენი მცხეთაში ყოფილა დაფლული (ქართლის ცხოვრება 1955, 107).

ასეთივე ცნობას გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი (ბატო-ნიშვილი 1973, 348). და აღნერს რიტუალსაც, რომელსაც ატა-რებდნენ სეტყვის შესაწყვეტად: „შესწირავენ ელიას თხასა და ხორცას შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმვენ მაღალსა ძელსა ზედა და თაყვანი-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელია-სასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყუანი და მოსცეს ნა-ყოფნი ქვეყნისანი“ (ბატონიშვილი 1973, 638-639).

„დიდი გვალვისას წმინდა იოანეს ბრძანებით ექვთიმე მთაწმინდელის მიერ გამართული ლოცვა ელიასადმი იშვიათი ცოცხალი ფერებით აქვს აღნერილი გიორგი მთაწმინდელს. ამ დიდი მოღვაწეების მცდელობას შედეგად ძლიერი თქეში მოჰყოლია“ (სურგულაძე 2003, 276).

სვანეთში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებ-ში, დადასტურებულია სეტყვის//კოხის თავიდან აცილების რი-ტუალი, რომელსაც კოხინჯრობა ეწოდებოდა. „კოხინჯრობაზე იცოდნენ. ნიგვზიანი ან ყველისგულიანი ტაბლების გამოცხობა, დაკლავდნენ ვაცს ან ხბოს, ვერძს ილოცებდნენ – კოხი არ მოვიდესო. საკლავს სოფელში შეკრებილი ფულით იყიდნენ (რუხა-ძე 2020, 118).

ქრისტიანული ეკლესია კოხინჯრობას არაქრისტიანულ, წარმართულ დღესასწაულად მიიჩნევს და მისი ჩატარების წინა-აღმდეგია. მაგრამ გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. კოხინჯრობა ტარდება 7(20) მაისს. 7 მაისი, ქრისტიანული კა-ლენდრის მიხედვით, ჯვრის გამოჩინების. დღესასწაულია. ხალხური გადმოცემით, ამ დღეს აუცილებლად მოდის წვიმა, რომელიც ცაზე გამოსახული ჯვრით არის ნაკურთხი. ამ შემ-

თხვევაში ქრისტიანული დღესასწაულის ხალხური წესით ჩატარებასთან გვაქვს საქმე, რასაც წმიდა მღვდელმთავარი გაპრიელ ქიქოძის აღმფოთება გამოუწვევია და ქადაგებაში უთქვამს: „ნეტავი იმ დღესასწაულით მაინც დაკმაყოფილდნენ, რომელნი განაწესა ეკლესიამან. არა! ზოგიერთთა ესოდენ უყვარსთ ლხინი, უზომოდ ჭამა და სმა, რომელ ჭეშმარიტთა ეკკლესიურთა დღესასწაულთა, იგინი მოიგონებენ თვისთა საკუთართა დღესასწაულთა, რომელი არ დაუწესებია ეკკლესიასა. როგორც რომ დადგება მაისის თვე, სოფლით-სოფელით იწყებენ რაღაც უცნაურსა დღესასწაულობასა, რომელსა დაბიურადთ უწოდებენ „კოხინჯრობას“. რა დღესასწაულია ესა, ვინ დააწესა, რის-თვის? ეს კაცმა არ იცის“ (ქადაგებანი 1989, 277).

ბუნების სტიქიასთან დაკავშირებულ დღეობათა შორის უნდა მოვხსენიოთ, ე.წ კაიშობა, რომელიც ზემო სვანეთში, უშხვანარში, 31 დეკემბერს ტარდებოდა, ზვავის საწინააღმდეგოდ. აღნერილია ვ. ბარდაველიძის მიერ. ამ დღეს „სოფელს წინასწარ გამოყოფილი ჰქონდა ოჯახზე თითო კარვა (საწყაოა 6.მ.) ქერი“ (ბარდაველიძე 1939, 88-89) ერთ-ერთ ოჯახში იშლებოდა სუფრაა, რომელზედაც „სოფლის უხუცესი ხმამაღლა დაილოცავდა კაიშას სახელზე და შესთხოვდა მას სოფელი ზვავისგან დაეცვა და დაეფარა“ (ბარდაველიძე 1939, 89). ლატალში კი შობიდან ახალწლამდე ე. წ. ორთაშუა კვირაში „პარასკევის ლოცვა და შესაწირავი ლემზირ-ები განკუთვნილი იყო კაიშა თარანგზელ-ისთვის. კაიშა თარანგზელ-მა იცისო, ამბობდნენ სვანები, მთის ფერდობებიდან მიწის ჩამოშვება და საზოგადოდ, მიწის ჩაწევა [...]. ძალიან ძლიერ და საშიშ ღვთაებად მიაჩნდათ სვანებს კაიშა თარანგზელ-ი“ (ბარდაველიძე 1939, 68).

ბალსქვემო სვანეთში კაიშობის დღესასწაულის დაარსების შესახებ არსებული ერთ-ერთი გადმოცემა ასეთია: „ძველად, ყარაჩაიდან გადმოსულ მტერს მთელი ბალსქვემო სვანეთი აუოხრებია და ქართველი მამაკაცების დიდი ნაწილი

ბრძოლაში დაღუპულა. ჩუბეხევის თემის ქალები და ბავშვები მაღალ მთაზე აღმართულ კაიშის მთავარანგელოზების ეკლე-სიას შეჰვერვიან და წმიდა მხედრისთვის შველა უთხოვიათ. სასწაულებრივად გამოჩენილი წმიდა გიორგი მტრის ურიცხვ ჯარს შებმია. წმინდა მხედარს ეკლესიის მახლობლად მდება-რე სახატო ტყეში აღმართული ნაძვებიც მიშველებიან, შუბის და ისრისპირებად ქცეულ ნაძვის წინვებს მტერი დაუსეტ-ყვავთ. წმინდა მხედარს მტრისთვის მუსრი გაუვლია. ამის შემდეგ მადლიერი სვანები ზაფხულის ერთ დღეს ამ სასწაუ-ლის აღნიშვნას უთმობენ და დღემდე სწირავენ ეკლესიას ხის-გან გამოთლილ შუბებსა და მშვილდ-ისრებს. იქვე მდებარე სა-ეკლესიო ტყე კი ამჟამადაც სათუთად დაცული და შემონახუ-ლია” (გუჯეჯიანი 2012, 37).

საყურადღებოა, რომ, დღესასწაული კაიშობა ბალსზემო და ბალსქვემო სვანეთში – სხვადასხვა დროს იმართება და მათ განსხვავებული ფუნქცია და მითოლოგიური საფუძველი აქვთ. ბალსზემო სვანეთში დღესასწაულის მიზანი „ძლიერი და საშიში ღვთაების“ გულის მოგებაა, ზვავით დასჯის თავიდან ასაცი-ლებლად, ბალსქვემო სვანეთში კი პირიქით, დღესასწაულის მი-ზანი მადლიერების გამოხატვაა წმინდა მხედრის//წმინდა გიორ-გის და მისი დამხმარე საეკლესიო ტყის მიმართ, რომელიც დღემდე „სათუთად დაცულია“. ე.ი. ამ შემთხვევაში ბუნების დაცვაა ხაზგასმული. ისიც ჩანს, რომ ამ დღესასწაულების მი-თოლოგიური საფუძველი სხვადასხვა ეპოქაშია ჩამოყალიბებუ-ლი. ბალსზემო სვანეთში, იკვეთება უფრო ადრეული, წინაჯრის-ტიანული შრე, დაკავშირებული კონკრეტულ ბუნებრივ მოვლე-ნასთან, ზვავთან, რომელიც ბალსზემო სვანეთისთვის განსა-კუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ბუ-ნებრივ მოვლენებთან დაკავშირებული მაგ. „გვალვისა და დელ-გმის რიტუალები რელიგიური პრაქტიკის ერთ-ერთი უძველესი ორგანული ნაწილია და ფართოდ არის გავრცელებული მსოფ-

ლიოს თითქმის ყველა ხალხში, მიუხედავად მისი განვითარები-სა” (სურგულაძე 2003, 282).

ბალსქვემო სვანეთში დადასტურებული გადმოცემა კი, შუა საუკუნეებში მომხდარ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს – მტრის შემოსევას, ასახავს, რომელიც ამ ეპოქისთვის დამახასი-ათებელ განსაკუთრებულ საფრთხეს. წარმოადგენს. ე.ი. ორივე დღესასწაული ეპოქის აქტუალურ პრობლემებთან არის დაკავ-შირებული

ზემოაღნიშნული, კვლევის მრავალმხრივ პერსპექტივას სახავს და განსაკუთრებით საინტერესოა რელიგიის ეკოლოგი-ის თვალსაზრისით.

სასურველი ამინდის გამოსათხოვად ტარდებოდა მაგიური რიტუალებიც: მაგ. „ქვა, რომელიც დგას ზედა ლახამულის შეედს (ენგურის გაღმა მხარეს შეედს ეძახიან), ცნობილი იყო ამინდის გამომწვევად. როდესაც ამ ქვის მახლობლად მოთიბავ-დნენ, თივა წვიმის მოუსწრებლად შინ ვერ მიჰქონდათო. როდე-საც უავდრობა აფიქრებდა მოსახლეობას, განსაკუთრებით ივ-ნისში, დათქვამდნენ ერთად – მოლერის ქვასთან მოვთიბოთ, ეგებ წვიმა მოვიდესო, როცა თიბათვეში ავდრიანობის ეშინო-დათ, ამ ქვის მახლობლად ცელის გასმას ერიდებოდნენ, რომ წვიმა არ მოსულიყო. (მოლერის სათიბები სხვადასხვა ოჯახებს ეკუთვნის. „საწვიმარი“ ქვა კი დავითიანის სათიბში დგას) (და-ვითიანი 1939, 37-39].

დარ-ავდართან დაკავშირებული რიტუალების შესახებ ირ. სურგულაძე წერს: „ამინდის შეცვლასთან გამიზნულ რიტუალ-თაგან უფრო მარტივი და შეიძლება ითქვას, პრიმიტიულია მა-გიური წესები და მოქმედებები, რომელთაც ჩვეულებრივ, სა-სურველი ამინდის გამოწვევის მიზნით ასრულებენ [...]. ამ მოქ-მედებათა გარკვეული ნაწილი იმიტაციის პრინციპს ემყარება, ზოგი პროვოცირების მეთოდს იყენებს, ზოგი კი მოქმედებათა მთელ მწკრივს შეიცავს, სადაც ყველა შესაძლებელი მეთოდია?

გამოყენებული [...] ასეთი წესები ხან დამოუკიდებლად ტარდებოდა, ხან კი რომელიმე უფრო რთული რიტუალის შემადგენლობაში შედიოდა (სურგულაძე 2003, 215).

შემდეგ კი დაასკვნის: „რელიგიური შეხედულებები კაცობრიობის ისტორიაში უცვლელი არ არის ამინდის მოწესრიგების რიტუალები იცვლება როგორც ისტორიულად ისე ზონა-ლობის მიხედვით [...] მათ ყოველთვის ემატება მომდევნო ისტორიულ ეპოქათა დანაშრევები, რომელთა წყალობით თავდაპირველი ფორმა ხშირად დიამეტრულად იცვლება. მაგრამ იდეური პრინციპი ისევ ძველებური რჩება (სურგულაძე 2003, 215-216).

ადამიანმა, დღიდან გაჩენისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უარყოფითი გავლენა მოახდინა თავის გარემომცველ ბიო-გეოგრაფიულ გარემოზე, საკვების მოპოვებით, საცხოვრებლის შექმნით თუ სხვ. მაგრამ იმავდროულად საუკუნეების მანძილზე ბუნებრივ გარემოზე დაკვირვებით, ჩამოყალიბდა ხალხური ეკოლოგიური ცოდნა. ეს ცოდნა საფუძვლად დაედო ბუნება-სარგებლობის და ბუნების დაცვის ხალხურ ტრადიციებს და არც თუ იშვიათად მოსახლეობაში რელიგიური წეს-ჩვეულებების სახით იყო და დღესაც არის წარმოდგენილი.

უპირველეს ყოვლისა შევეხებით მცენარეულის, კერძოდ ხეების დაცვას, რომელსაც ტრადიციულ ყოფაში უმეტესწილად ხეთა თაყვანისცემის¹ სახე აქვს. ხეთა თაყვანისცემის შესახებ ყოვლისმომცველი კვლევაა ჩატარებული როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ. მათი კვლევის შედეგებს ამ-ჯერდ არ შევეხები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ხალხური ეკოლო-

¹ ხეთა თაყვანისცემის შესახებ იხ. ბარდაველიძე (ლომია) 1925; ჩიტაია 2000, ჩიტაია 2000-II, 215-230; ხაზარაძე, ცაგარეიშვილი 1999, ცაგარე-იშვილი 2012, 274; ცაგარეიშვილი 2000; აბაკელია 1997, 111-130,, მისივე 2017, 156-157; ქისტაური 2012, 19-47; ჯაყელი 1998, 138-150; ლამბაშიძე <http://www.ambioni.ge/xeta-tayvaniscema>; ელაშვილი 2008 და სხვ.

გიური ცოდნა საქართველოში როგორც რელიგიური აკრძალვების, ისე ეთიკური ნორმების სახით ვლინდებოდა. მაგ. ითვლებოდა, რომ გაზაფხულზე, როდესაც ხე იღვიძებდა, ხის მოჭრა არ შეიძლებოდა-„ხის მოჭრა ცოდვად ითვლებადა და შეიძლება ეს ცოდვა, რამე ავადმყოფობის, ოჯახის განადგურების მიზე-ზიც კი გამხდარიყო. ასეთი ხის მომჭრელი კი „ცოდვიან კაცად“ ითვლებოდა (ცაგარეიშვილი 2000).

ამჯერად წარმოვადგენ მხოლოდ მცირე მასალას სვანე-თის ყოფიდან, რომელიც რელიგიის ეკოლოგიის თვალსაზრი-სით, საინტერესოა: ალ. დავითიანის მიერ ჩაწერილი ეთნოგრა-ფიული მონაცემებით, სვანეთში, „ნაძვი ღვთაების ხედ ითვლება. ალაგ-ალაგ ეს ხე განმარტოებით დგას. ლახამულაში ორი ასეთი ნაძვი იდგა, ერთს პატრონის(დიდი ღმერთის) ნაძვს ეძა-ხიან. უზარმაზარი სიმაღლის და სიდიდის არის . ამ ნაძვთან სხვადასხვა სალოცავს იხდიდნენ. მოსახლეობის მხრით ეს ნაძვი ხელუხლებელია. ტოტსაც არავინ სტეხს[...]. მეორე სალოცავი ნაძვი იდგა ხვალმის გორაკზე[...]. ამ ნაძვთან ხველების საწინა-აღმდეგო სალოცავი იმართებოდა. მლოცველს პურის კვერები მოჰქონდა, მოილოცავდა და იქვე ტოვებდა თუ მთელად არა რამდენიმე პატარა კვერს მაინც. ვინც ამ ლემზირ-სალოცავებს შეჭამდა, ხველაც იმას დაემართებოდაო, ზოგს ლემზირ-სალო-ცავ პურების ნაცვლად მძივები მიჰქონდა და ხველით ავადმყო-ფის სახელზე ნაძვს დაჰკიდებდა და ვინც ამ მძივებს მოხსნიდა“ (დავითიანი 1939, 6).

ცაცხვსაც წმინდა ხედ მიიჩნევდნენ. „ცაცხვი ბედნიერი ხე არისო“. ცაცხვს რგავენ ეზოსთან ახლო-მახლო და სასოფლო მოედნებზე. ეს წესი ძველი დროიდან სრულდება., რაც დას-ტურდება იმ უზარმაზარი ცაცხვებით, რომლებიც მარტოდმარ-ტო დგანან სასოფლო მოედნებზე და დღემდე ხელუხლებელია მოსახლეობისგან. ცაცხვის საღვთო-სამლოცველო ადგილებ-შიც შემონახულია აქა-იქ, კერძოდ ლახამულაში ერთ-ერთი გა-

დაბერებული ცაცხვი პატრონის(უფლის) ნაძვთან დგას. მისი დარგვა არ ასოვთ სოფელში. ეს ადგილი ერთ-ერთი მთავარი სალოცავთაგანია, როგორც ლახამულაში ,ისე მთელ სვანეთში [...]. ამ სალოცავს [...] პატრონს ლახამულისა – რომ იხსენებენ, სინამდვილეში ამ სალოცავზე, მხოლოდ ნაძვი და ცაცხვი დგას და ის ძველი სამლოცველო ამავე სახელობისა, რომელიც იქვე კლდეშეჭრილში იდგა და რომელიც სიძველის გამო კარგა ხნის იქით გადმოვარდა კლდიდან, მოსახლეობას თითქმის გადაავიწყდა და, ამგვარად სალოცავად მხოლოდ ნაძვი და ცაცხვი ითვლებიან[...], ცოტას ლაპარაკობენ, რომ ამ სამლოცველოში მართმადიდებლური მაჩვენებლები მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევდნენ მოსახლეობისა. ეს ცაცხვი ლახამულას იმდენად პატივსაცემ ხედ მიაჩნდათ, რომ ქალები დღემდე ფიცულობდნენ აქა-იქ ... – ცაცხვის მადლებას“ (დავითიანი 1939, 9).

„როგორც ცაცხვს, იფანსაც სოფლის მახლობლად ეჭირა ადგილი, მას რგავდნენ სასოფლო მოედნებზე და სოფლის მიერ ეს ნარგავი ხელუხლებელი იყო“ (დავითიანი 1939, 10).

წმინდა ადგილებში არსებული ტყეები თუ კორომები, სვანეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხებში, რეალურად ნაკრძალებს წარმოადგენდა და იქ არა თუ ხის მოჭრა, ტოტის მოტეხვაც კი არ შეიძლებოდა. ასევე სუფთად იყო დაცული წმინდა ადგილები ან სალოცავებთან არსებული ტბები, რომლებსაც მოსახლეობა განსაკუთრებით უვლიდა.

ზემომოყვანილი მონაცემების მიხედვით, ხეთა დაცვას სვანეთში მათი საკრალურობა განაპირობებდა, ხოლო საკრალურობას მათ ანიჭებდა „პატრონი“, სალოცავი, რომლის კუთვნილებადაც ეს ხეები ითვლებოდა.

როდესაც რელიგიის ეკოლოგიის საკითხს განვიხილავთ გვერდს ვერ ავუვლით ნადირობას. ნადირობის ფუნქცია კ. კეკელიძეს შედეგნაირად აქვს ჩამოყალიბებული: „ნადირობას კაცობრიობის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველ-

ყოფილს საზოგადოებაში ის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო ადამიანის არსებობისა. ამგვარი მნიშვნელობა მან ნაწილობრივ ისტორიულ ხანაშიც შეინარჩუნა. მხოლოდ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, რაც უფრო წინაურდებოდა კულტურულად ადამიანი, ნადირობა, პირველ ფუნქციასთან ერთად, მეორესაც ასრულებდა: ის სპორტის, გართობის როლსაც თამაშობდა. ამას დაემატა მესამე ფუნქციაც: იგი ერთგვარი სამხედრო და სა-ლაშქრო ვარჯიშობა იყო“ (კეკელიძე 1955, 134). იმავდროულად, ნადირობა იყო ალბათ პირველი სარეწაო საქმიანობა, რომელ-მაც ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული ეკოლოგიური ბა-ლანსი დაარღვია, მას არღვევდა მთელი ისტორიის მანძილზე და არღვევს დღესაც. ამიტომ დროთა განმავლობაში სხვადას-ხვა საზოგადოებამ შეიმუშავა ნადირობის თავისებური წესი.

კ. კეკელიძის მიხედვით, „ქართულ ხალხურ შეგნებაში ნა-დირობა წმინდა ხელობად ყოფილა მიჩნეული: ეს შეგნება გად-მოსულა ქრისტიანულ ეპოქაში და ამიტომ ეკლესიას თავისი სანქცია მიუცია მისთვის. როგორც ხალხში შექმნილა მთელი რიტუალი ნადირობისა საგანგებო წესებითა და ლოცვებით, ისე ეკლესიაშიც შემუშავებულა საგანგებო წესი ნადირობისა და შეთხულა შესაფერისი საქრისტიანო ლოცვები. ხალხური წარმოდგენით, ნადირო ჰყავთ თავისი პატრონი, ანგელოზი, მწყემსი; ამ ხალხური წარმოდგენისთვის ქრისტიანობას პარა-ლელი უპოვნია ... ბიბლიურ საკითხავებსა და ლოცვებში“ (კეკე-ლიძე 1955, 142-143).

ალ. რობაქიძე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მონაცე-მებზე დაყრდნობით, ხაზს უსვამს ეკლესიის უარყოფით დამო-კიდებულებას ნადირობისა და ნანადირევის მიმართ გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში (VIII-IXსს.). მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „ნადირობისადმი ასეთ დამოკიდებულებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ სამღვდელოების წრეში და ეს, რა თქმა უნდა, დანარ-ჩენი ერისთვის არ იყო მახასიათებელი“ (რობაქიძე 1941, 153).

ნადირობა, როგორც ჩანს, იკრძალებოდა ეკლესიის მიერ, მაგრამ ამას თავად სასულიერო პირებიც კი არ ეპუებოდნენ, კ. კეკელიძის ცნობით: „ნადირობას მისდევდა ჩვენში ყოველი წრისა და მდგომარეობის ადამიანი... სასულიერო პირნიც კი, არა მარტო დაბალი ხარისხისა, არამედ ეპისკოპოსნიც, რომელ-თაც საეკლესიო კანონები ამგვარ საქმიანობას უკრძალავდნენ კიდეც“ (კეკელიძე 1955, 134).

არქანჯელო ლაშერტიმ (XVII ს. პირველ ნახევარი) აღნერა ნადირობა ოდიშის სამთავროში. მისი სიტყვით, ოდიშში „ყოველ ნადირობას თავისი დრო აქვს ხოლო ყველაზე უფრო მონინებაშია ირმებზე ნადირობა, რომელსაც ორი დრო აქვს წელიწადში: ერთი ყველიერის დაწყებიდან დიდ-მარხვამდე და მეორე – სექტემბრის დასასრულიდან შობის მარხვამდე...“ (ლამბერტი 1991, 56). ე. ი. არ ნადირობდნენ მარხვის დროს და ირმებზე, და უნდა ითქვას, რომ არა მარტო ირმებზე, არამედ ყოველგვარ ნადირზე. დიდი მარხვის დროს, გაზაფხულზე ნადირობის აკრძალვა უთუოდ ხელს უწყობდა ნადირის გამრავლებას. ყოველივე ეს კი მიგვანიშნებს, რომ ხდებოდა ნადირობის რეგულირება დროში. ასევე, იყო მცდელობა ნადირობის რეგულირებისა სივრცეში, თუ გავითვალისწინებთ, სანადირო ტერიტორიების შემოსაზღვრას ნაკრძალების სახით, ნადირობის აკრძალვას საღლოცავის ტერიტორიაზე და სხვ.

არსებობდა, როგორც ჩანს, სოციალური ხასიათის შეზღუდვებიც, მაგ. „ადრეფეოდალური ეპოქის მიწურულის ვითარების ამსახველი ძეგლი „სერაპიონ ზარმელის ცხოვრება“ (X ს.), ცხადად გვიჩვენებს, რომ სამცხეში მდაბიო მოსახლეობის-თვის იმ დროს უკვე შეზღუდულია ტყით სარგებლობა და ნადირობის უფლება (ჩხატარაიშვილი 1979, 185).

არის აზრი, რომ „ნადირობის შეზღუდვა, ნადირობის რეგალია ფეოდალური საზოგადოების დამახასიათებელი მოვლენა. რომაულმა სამართალმა აკრძალვა არ იცოდა, ლათინურ

ენაში ბრაკონიერის აღმნიშვნელი სიტყვაც კი არ არსებობდა. ნადირობის უფლება ჰქონდა ყველა თავისუფალ რომაელს (ჩხატარაიშვილი 1979, 185).

ზემოაღნიშნული შეზღუდვები ძირითადად სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ იყო დაწესებული. საქართველოს მოსახლეობას თავადაც ჰქონდა ნადირის განადგურების შემზღუდავი ღონისძიებები, რომლებიც ტრადიციად ყალიბდებოდა. მაგ., აღ. რობაქიძის მონაცემებით, რაჭაში მასობრივი ნადირობა მხოლოდ სამ შემთხვევაში იმართებოდა : 1. მტაცებელი ნადირის შემოჩვევის, 2. დიდი თოვლობის და 3. ნადირის მოქარბებული მოშენების დროს (რობაქიძე 1941, 77).

იმავდროულად, ხალხურ რელიგიურ სისტემაში ჩამოყალიბდა ნადირთ პატრონის კულტი, რომლის ფუნქცია მონადირის დაცვასთან ერთად, ნადირის დაცვაც იყო. იგი ადგენდა და აკონტროლებდა ნანადირევის რაოდენობას. ნადირთ პატრონი სხვადასხვა სახით: დალის, ტყაშიმაფას, ოჩოკოჩის, ოჩოპინ-ტრეს და ა.შ. ჰყავდათ ნარმოდგენილი:

სვანეთში ნადირთ პატრონად მიაჩნდათ დალი, უმეტესწილად წარმოედგინათ ლამაზი ქალის სახით და აფსათი, ნადირთა მწყემსი, რომელიც „ჩლიქოსანი ნადირის“ გამგებლად ითვლებოდა (დავითიანი 1939, 35). შობას მულახში გამოაცხობდნენ 3, 6, 9 ან 12 პატარა კვერს, გაიტანდნენ კალოზე და ილოცებდნენ ლოცვის დროს „მმართავდნენ სოლომ-ს, რომელიც სვანს ფრინველების მოკვლის ნებას აძლევდა და აფსიათ-ს“ (ბარდაველიძე 1939, 51).

ნადირობას, როგორც აღვნიშნე, ყველგან გარკვეული წესი ჰქონდა და აქვს. სვანეთში ეს წესები ნადირის განუკითხავად დახოცვას ეწინააღმდეგებოდა. ამ მხრივ საინტერესოა გადმოცემა ჩორლას შესახებ – „მონადირე ჩორლა სანადიროდ მიდის, მიეპარება ჯიხვების ჯოგს, მაგრამ დახარბდება, და მიუხედავად მიღებული წესისა, ერთის მაგიერ სამ საუკეთესო ჯიხვს

მოკლავს, მეოთხესაც დაუმიზნებს, მაგრამ ნადირთ პატრონი დალები მას შებორკავენ და კლეზე მიაბამენ მარჯვენა ხელი-თა და მარცხენა ფეხით“ (ვირსალაძე 1964, 118).

ელ. ვირსალაძეს ეს გადმოცემა ლექსის სახითაც ჩაუწერია სოფელ მულახში მთქმელ დავით მარგიანისგან. მოვიყვანთ ლექსის ფრაგმენტს :

“კარგი მონადირეა ჩოლაი,
ის წავიდა სანადიროდ, მიეპარა ჯიხვების ჯოგს,
სულ პირველად ერთი არჩეული ჯიხვი მოგიკლავს,
მაგრამ შემდეგ არ იკმარე, დახარბდი;
მეორე ჯიხვი კიდევ მოგიკლავს,
კიდევ დახარბდი და მესამე ჯიხვი კიდევ მოგიკლავს.
სამი ჯიხვი მოუკლავს...სანამ მეოთხეს კლავდა
მანამ დალიმ შებორკა (დაბა)“... (ვირსალაძე 1951, 212).

ჯ. რუხაძეს ჩანერილი აქვს გადმოცემა ორბელელი მეჯო-
გე ძმების შესახებ „მეჯოგები იყვნენ ორბელში სამი ძმები. შუ-
ანა ძმა მონადირე იყო არჩებზე და დათვებზე ნადირობდა. ერ-
თხელ იმას მოუკლავს 13 არჩვი. შემოდგომას უნდა ნადირობა .
ახლა გამოჩნდება დალი და ეტყვის რატომ მომიკალი ამდენი
ჯოგი, სამზე მეტი არ უნდა მოკლა“ (რუხაძე 2020, 142).

ქრისტიანობის აღმსარებელ საზოგადოებებში, წინაქრის-
ტიანული ხანის ზოგიერთ ღვთაებას უარყოფითი გარეგნული
ნიშნები მიეწერა. ასე მოხდა სვანეთშიც. ნადირთ პატრონის და-
ლის შესახებ ელ ვირსალაძე წერს: „დალის თმა, მისი მშვენიერი
ოქროს ნაწნავები ასეა შემკული (იგულისხმება ერთ-ერთი ხალ-
ხური ლექსი ნ.შ.): „თმანი საზარელი, სისხლითა დასვრილი“. ამ
აღნერაში იგრძნობა ქრისტიანული ეკლესის უშუალო გავლენა
(ვირსალაძე 1951, 116). ასევე მიენიჭა ქრისტიან წმინდანს ნა-
დირთ პატრონის ზოგიერთი ფუნქცია: „ხალხის წარმოდგენით,
წმინდა გიორგის აბარია ნადირთ ჯოგები და მისი სურვილის
გარეშე, მონადირე ნადირს ვერ მოკლავს [...] მონადირე (ნადი-

რობის დაწყების წინ 6.მ.) იღებს ხელში რიტუალურ ხაჭაპურს, და წმინდა გიორგის მიმართავს ლოცვით: დიდება, დიდება და წყალობა შენ წმ. გიორგი მონადირის მშველელო! შემიბრალე დღეს და ერთი შუნი მომაკვლევინე შენი დიდი ჯოგიდან, ნუ გა-მიშვებ ხელცარიელს“ (ვირსალაძე 1951, 118).

ამგვარად, ტრადიცია სვანეთში, ისევე როგორც მთელ სა-ქართველოში, ნადირის უმოწყალოდ ხოცვას კრძალავდა. ამ-კრძალავად კი გველინება ადგილობრუი ლვთაებები, ნადირთ პატრონი, ნადირთ მწყემსი, დალი და სხვ. ეს ფუნქცია ქრისტია-ნულ საქართველოში წმ. გიორგიმ გაიზიარა. თუმცა დალისა და საერთოდ ნადირთ ლვთაებების კულტი არ გამქრალა.

დაბოლოს ალბათ გვერდს ვერ ავუვლით ნადირთან და-კავშირებულ ზოგიერთ რიტუალს. მაგ. მგელთ უქმს ან მგელთ კვირაობას სვანურად თხერობ ან თხერემი ლამპრობ, როდე-საც სრულდებოდა მაგიური ქმედებანი, წარმოითქმებოდა შე-რისხების ფორმულები და ლოცვები, მგელს მიართმევდნენ სა-წესო პურებს, რომელთაც სვანები გელო ლაგაფს, „მგლის ულუფას“ უწოდებდნენ, ანთებდნენ ლამპრებს და ა. შ. (ბარდა-ველიძე 1967, 152).

ეს რიტუალი ტარდებოდა ყველიერის დროს, უმეტესწი-ლად თებერვალში ან მარტის დასაწყისში, იმ მიზნით, რომ ნადირს შინაური ფრინველი ან საქონელი არ შეეჭამა ან არ დაესახიჩრებინა, და არა მარტო მგლის, არამედ მელის სა-ხელზეც. „ყველიერის ალების ღამეს /კვირას/ ქალი გარეთ გა-დააგდებდა ყველის ერთ ნაწველს და ასე ამბობდა: „აჲა, მელავ, არჩივი შენი, არაფერი დაკლებოდეს ჩვენს ოჯახს.“ ასევე კაცი გადააგდებდა ხორცის არჩივს /ხაჭარს/ გარეთ და ასე ამბობდა: „აჲა, მგელო, არჩივი, არაფერი დაკლებოდეს ჩვენს ოჯახს სა-ქონლიდან აწი“ (ონიანი 2020, 82). მგლისა თუ მელის არჩივი შეიძლება ყოფილიყო აგრეთვე „დიდი ყველიანი ტაბლა“ (დი-დი ხაჭაპური), რომელიც გაჰქინდათ მინდორში, ტყის პირას.

ასეთივე რიტუალების ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ჩიტიფაფობა და სხვ. ეს წესები, რომელთაც ასრულებდა სოფელში მცხოვრები თითქმის ყველა ოჯახი, იმისთვის, რომ შინაური ფრინველი თუ საქონელი დაეცვა ნადირისაგან, ვფიქრობთ თვით ამ ნა-დირის დაცვასც უწყობდა ხელს, თუნდაც ერთდღიანი დაპუ-რებით წლის ყველაზე მშიერ სეზონში, ზამთრის ბოლოსა და გაზაფხულის დასაწყისში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბიოგეოგრაფიული ფაქტორი, ადამიანის არსებობის მთელი ისტორიის მან-ძილზე, გარკვეულ როლს თამაშობდა მაგიურ-რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და რწმენა-წარმოდგენების ჩამოყალიბებაში, რასაც ნათელყოფს ერთი მხრივ, ბუნებრივი სტიქისა-გან – ზვავებისგან და ღვარცოფებისგან დამცველი, ამინდის რეგულირებასთან დაკავშირებული მაგიური თუ რელიგიური დღესსწაულები და რიტუალები, მაგ ჰულიშშობა, კოხინჯრობა და სხვ. მეორე მხრივ კი, ბუნების დაცვის ხალხური წესები, მცენარეთა, ნადირის და სხვ. დამცველი ღონისძიებები, რომ-ლებიც ხალხში მაგიური თუ რელიგიური ფორმით იყო წარ-მოდგენილი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხალხური ეკოლოგიური კულტურის, რელიგიური ასპექტების გამოვ-ლენა და ანალიზი რელიგიური ეკოლოგიის ხაზით კვლევის მნიშვნელოვან პერსპექტივას სახავს.

დამოწმებული ლიტერატურა:

აბაკელია, ნ. (1997), სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბილისი.

ბარდაველიძე, ვ. (1939), სვანურ ხალხურ დღეობათა კალებდარი I, თბილისი.

ბარდაველიძე, ვ. (1963), ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტო-რიიდან, დროშა „ლემ“. მგელი-ძალლი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, თბილისი.

- ბარდაველიძე, ვ. (1953),** ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბილის.
- ბარდაველიძე (ლომია), ვ. (1925),** ხის კულტისათვის საქართველოში. საქ. მუზეუმის მომბეჭდი, ტ.3, ტფილისი.
- ბატონიშვილი, ვ. (1973), „ალწერა სამეფოსა საქართველოსა“ – ,ქართლის ცხოვრება – ტომი IV – ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.**
- გეგეშიძე, მ. (1981),** ეკოლოგის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბილისი.
- გუჯეჯიანი, რ. (2008),** ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან, თბილისი.
- გუჯეჯიანი, რ. (2012),** წმიდა გიორგის ქართული ხალხური ეპითეტები (სვანეთი), კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, XIV, თბილისი.
- დავითიანი, ა. (1939),** ეთნოგრაფისათვის, ივ ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, 1939, M' 35 ხელნაწერი.
- დავითიანი, ა. (1939),** წმები სალოცავთა, ეთნოგრაფისათვის, ივ ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, 1939, M' 80 ხელნაწერი.
- დავითიანი ა. (1939),** სვანეთის ღმერთებზე, ეთნოგრაფისათვის, ივ ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, 1939, M' 80 ხელნაწერი.
- დავითიანი ა. (1939),** ეთნოგრაფისათვის, ბუნების კულტი ლახამულას თემში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, 1939, M' 35 ხელნაწერი.
- ელაშვილი, ქ. (2008),** ხეთმეტყველება, ქართული ფოლკლორი. 4 (XX), თბილისი.
- ვირსალაძე, ე. (1964),** ქართული სამონდირეო ეპოსი (დაღუპული მონადირის ციკლი), თბილისი.
- თაყაიშვილი ექვ. (1937),** არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩეუმ-სვანეთში, პარიზი.

- კეველიძე, კ. (1955),** ახლად აღმოჩენილი რიტუალი ნადირობისა, ეტი-
უდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიდან III, თბილი-
სი.
- ნიუარაძე, პ. (1962),** ისტორიულ- ეთნოგრაფიული წერილები, თბილი-
სი.
- ნიუარაძე, პ. (1971),** ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა, ბა-
თუმი.
- ონიანი, ჯ. (2020),** მურყვამობა კვირიაობა სვანეთში, ქართული ეთ-
ნოგრაფიული მემკვიდრეობა IV, თბილისი.
- რობაქიძე, ალ. (1941),** შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქარ-
თველოს სახალხო მეურნეობაში 1 (კოლექტიური ნადირობის
გადმონაშთები რაჭაში), თბილისი.
- რუხაძე, ჯ. (2020),** ცოცხალი ისტორიები, სვანეთი, თბილისი.
- სურგულაძე, ირ. (2003),** მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში,
თბილისი.
- ქადაგებანი (1989),** იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა I, სიტყვა
თქმული გელათს 21 სექტემბერს, თბილისი.
- ქალდანი, ა. (1990),** ცენტრალური კავკასიონის მთიელთა კოშკური
კულტურა, თბილისი.
- ქართლის ცხოვრება (1955),** წიგნი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირი-
თადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიმვილის მიერ, თბილისი.
- ჩარექიშვილი, ნ. (2005),** „ძაღლაცები“ ხეთურ ლურსმნულ ტექსტებში
და მათი ქართული პარალელები, ამირანი 12.
- ჩიტაა, გ. (2000),** სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ თრნამენტში, შრო-
მები ხუთ ტომად, II, ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულ-
ტურულ – ისტორიული პრობლემები, ტექსტი გამოსაცემად მო-
ამზადა. და ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები, ლექსი-
კონი, საძიებლები დაურთოთ. ცაგარეიშვილმა, თბილისი.
- ჩხატარაიშვილი, ქ. (1979),** ნარკევები სამხედრო საქმის ისტორიდან
ფეოდალურ საქართველოში ლაშქარ-ნადირობა და მისი სოცი-
ალური არსი, თბილისი.
- ლამპაშვილები, ნ. (2011),** ხეთა თაყვანისცემა და მისი ზოგიერთი ეკოლო-
გიური ასპექტი საქართველოში <http://www.ambioni.ge/xetatayvaniscema>

ცაგარეიშვილი, თ. (2000), ტრადიციული კულტურა და ეკოსისტემები
თბილისი.

ცაგარეიშვილი, თ. (2012), ტყითსარგებლობის ეთნოეკოლოგიური
კულტურა საქართველოში, ხეთა თაყვანისცემა, ხატის ტყე,
სატყეო მოამბე, N5, 274

**ციცქაშვილები დ., მ. და მ., ჩხარტიშვილი ა., ზურაბაშვილები ზ. და დ.
(2014),** სულიერი სამყაროს ეკოლოგიის საგნოპრივი არსი – თა-
ნამედროვე საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერე-
ბების სინთეზი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკა-
დემიის შემოქმედებითი ჯგუფი, ჟურნ. მეცნიერება და რელი-
გია.

ხაზარაძე, ნ.; ცაგარეიშვილი, თ. (1999), წმინდა ხის კულტი სა-
ქართველოში, თბილისი.

ჯავახიშვილი, ი. (1982), თხუზულებანი თორმეტ ტომად. VI, თბილისი.
ჯავახიშვილი, ი. (1984), ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეო-
რე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბილისი.

ჯაყელი, თ. (1998), ალვის ხე, ჟურნ. აფრა N3, თბილისი.

Botero, C. A.; Gardner, B.; Kirby, K. R; Bulbulia, J.; Michael, C. G.; Russell, D. G. (2014), The ecology of religious beliefs, <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov>.

Büttner, M. (1973) "Commentary". Science of Religion. Studies in
Methodology: Proceedings of the Study Conference of the
International Association for the History of Religions, held in Turku,
Finland.

Foster, G., & Anderson, B. (1978) Medical Anthropology.

Hultkrantz, A. (1966), An ecological approach to religion Ethnos: Vol. 31,
No. 1-4.

Hultkrantz, A. (1973), Ecology of Religion: Its Scope and Methodology //
Science of Religion: Studies in Methodology. Proceedings of the
Study Conference of the International Association for the History of
Religions, held in Turku, Finland.

Уайт, Л. (1990), Исторические корни нашего экологического кризиса
// Глобальные проблемы и общечеловеческие ценности. М.

Nino Mindadze

Folk Religious System and Ecological Traditions

Several folk traditions of weather regulation, plant protection, and hunting are discussed in this article in order to present the ecological aspects of the folk religious system of Svaneti, one of the historical regions of Georgia. It is evident that throughout the history of human existence the bio-geographical factor played a certain role in the formation of magical-religious customs and beliefs, which is illustrated by the magical or religious daily rituals for protection from natural disasters – avalanches and mudslides and the rituals related to weather regulation, such as Hulishoba, Kohinjroba, etc. The folk rules for the protection of nature, plants, etc. have been developed based on their experience. The protective measures and norms were presented to the people in a magical or religious form. The analysis of the folk ecological culture is carried out within the religious ecology.

დავით ფაცაცია

ლოდინისა და ყოველდღიურობის ეთნოგრაფია ზუგდიდის დეპილოთა დასახლების მაგალითი

ნაშრომის¹ მიზანია ლოდინის, როგორც სოციალური და კულტურული პროცესის გავლენის გაექმნა ზუგდიდის დევნილთა დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობის ყოფაზე, რაც გამოწვეულია იძულებითი მიგრაციით. იძულებითი ადგილმონაცვლეობა, გარდამავალი მოვლენაა, რადგან იგი დაკავშირებულია წარსულთან და სოციალური იდენტობის პროექტირებასთან. ამიტომ, უნდა დავადგინოთ, როგორ ესმით ლოდინი, როგორც სოციალური და კულტურული კონცეფცია და რა როლი უჭირავს აფხაზეთში (ვერ)დაბრუნების ლოდინს დევნილთა ყოველდღიურობაში. დევნილი, ჩემს კვლევაში, ზუგდიდის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში მცხოვრები პირია, რომელსაც მოუნია, იძულებით დაეტოვებინა საცხოვრებელი არეალი აფხაზეთში, ხოლო ლოდინი, როგორც შინ დაბრუნების ან ვერდაბრუნების განცდა, დევნილობის თანმდევ პროცესად არის გააზრებული.

ლოდინის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის მნიშვნელობა, დამახასიათებელია სოციალური აქტორებისა და ჯგუფისათვის. მომლოდინე კულტურულ დისკურსში უნდა განვიხილოთ, ვინაიდან იგი ილტვის ცვლილებისაკენ. ლოდინი, როგორც ემოციური მდგომარეობა და სტრუქტურირებული განცდა, უბიძებს ინდივიდებსა და ჯგუფებს იყვნენ ძლიერი, შესფოთებული, თავი იგრძნონ იმედიანად, ან გაურკვევლად. ეს

¹ სტატია ეფუძნება საბაკალავრო კვლევის ფარგლებში შესრულებულ კვლევას სახელწიოდებით: „მოლოდინი და ყოველდღიურობის ეთნოგრაფია ზუგდიდის დევნილთა დასახლების მაგალითზე“. თბილისი 2023. თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტი, ხელმძღვანელი ბორის კომახიძე

განცდები შუამავალი პროცესია მათი ცხოვრების რე/კონსტრუ-ირებისათვის (იხ. Riano-Alcalá 2008, 1-18).

დევნილების ემოციურობის, ლოდინისა და ყოველდღიუ-რობის კვლევის აკადემიური ინტერესი ივანე ჯავახიშვილის სა-ხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბერგე-ნის (ნორვეგია) ეთნოლოგია/ანთროპოლოგიის დეპარტამენტე-ბის თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარებულ საზაფხულო სკოლაში მონაწილეობისას გამიჩნდა. პროექტი, ანთროპოლო-გიური კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, ქართველ და ნორ-ვეგიელ ბაკალავრიატისა და მაგსიტრატურის საფეხურის სტუ-დენტებს უღრმავებდა თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებს. აკადემიური აქტივობა, რომელშიც მივიღე მონაწილე-ობა, ჩატარდა აჭარაში, კვარიათში 2022 წლის 22 ივლისიდან 4 აგვისტომდე, დროით მონაკვეთში. საზაფხულო სკოლა, ლექცი-ების გარდა, მოიცავდა პრობლემაზე ორიენტირებულ მოკლევა-დიან ეთნოგრაფიულ კვლევებს საქართველოს სხვადასხვა ტე-რიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებში. თემატური ინტე-რესები, ჩემს ნორვეგიელ კოლეგასთან ერთად, დევნილთა პრობლემას დავუკავშირე და საკვლევ არეალად ჩემთვის ნაც-ნობი ქალაქი ზუგდიდი (ადგილი სადაც გავიზარდე) შევარჩიე. თემატურად, საკითხი, ეგრეთ წოდებული საზღვრის პრობლემას შეეხებოდა, რომელიც სოციეტალურ მდგომარეობას განსაზ-ღვრავს საქართველოს კონტროლირებად და არაკონტროლირე-ბად ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსალეობაში (იხ. Khutsishvili 2016). გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტისა, წინა-ლობა/ბარიერი/საზღვარი შემახსენებელია კონფლიქტით გამოწ-ვეული და სოციალურად ფორმირებული ემოციური და ტრავმუ-ლი გამოცდილებისა (იხ. Alexander 1994).

ჩემს ნორვეგიელ (შრი-ლანკული წარმომავლობის) კოლე-გასთან ერთად, შევხვდი ზუგდიდში, ბარამიას ქუჩის დასახლე-ბაში, კომპაქტურად მცხოვრებ დევნილებს, ასევე დავაკვირდით

ქალაქში ყოფილ დევნილთა დასახლებად წოდებულ არეალებს, რომლებშიც მოსახლეობა არ ცხოვრობს. რამდენიმე დღიანმა კვლევამ ზუგდიდში, ჩემი ეთნოგრაფიული ინტერესი გამოკვეთა, რომელში ჩაღრმავებაც საბაკალავრო ნაშრომის საკვლევ პრობლემად დავსახე.

ნაშრომი ეთნოგრაფიულ ანალიზს ეყდნობა, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს, აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომი ლოდინის პროცესით გამოწვეული მორალური და ემოციური სოციო-კულტურული რეფლექსიების შესწავლა, ზუგდიძის, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში. კვლევის მეშვეობით ვცდილობ გავიგო, როგორია დევნილთა ყოველდღიურობა და რა გავლენა აქვს ლოდინს, როგორც სოციალურ პროცესს მათი ცხოვრების წესზე.

თუ კვლევის არეალის დასაბუთების აუცილებლობის საკითხს შევეხებით, რაც შესაძლოა არგუმენტირებისთვის გამოდგეს, არის ის რომ, ზუგდიდი საქართველოს ხელსიფულების მიერ ადმინისტრაციულად კონტროლირებად ტერიტორიათაგან, გეორგაფიულად, ყველაზე ახლოს არის აფხაზეთთან და აქ მცხოვრები დევნილები, ყოველდღიურად ფიზიკურად ხედავენ და/ან წარმოიდგენენ, მდინარე ენგურის გადმოლმა მხარიდან, არაკონტროლირებადი ადმინისტრაციული ტერიტორიის ჰორიზონტებს.

რა განცდები, ემოციები და წარმოდგენები ექმნებათ დევნილებს, როდესაც წარმოიდგენენ მათ მიერ განვლილ ცხოვრების გზას? ამ კითხაზე პასუხის გაცემა, სოციალური ანთროპოლოგიის ფართო კონტექსტში, მიგრაციის, მორალისა და ლოდინის თეორიული დისკუსიას (იხ. Bendixen and Eriksen 2018; Zigon 2008) ქართული ეთნოგრაფიული მასალით განავრცობს, რითაც მკითხველს წარმოდგენას უქმნის ზუგდიდში მცხოვრებ დევნილთა ყოფაზე, რომლების ცხოვრებასაც, აჩრდილად ლოდინი მისდევს. რას, რატომ, როგორ ელოდება ზუგდიდის დევნილთა

დასახლებაში აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობა და ცხოვრების წესის რა ფორმებზე ახდენს ეს პროცესები გავლენას, მკითხველისთვის დაკვირვებისა და ინტერვიურების მეთოდების გმოყენებით შეგროვებული მასალის ეთნოგრაფიული წერისა და ანალიზის ტექნიკით მოვახდენ (Ingold 2014).

ეთნოგრაფიული კვლევა ჩავატარე 2023 წლის გაზაფხულზე, რა დროსაც გადავწყვიტე, ბარამიას ქუჩის დევნილთა დასახლებაში დაბრუნება. ბარამიას ქუჩა ზუგდიდის ცენტრიდან დაახლოებით 2-3 კილომეტრში მდებარეობს. დასახლება შედგება 11 კორპუსისაგან, რომლებიც კომპაქტურად არის გაშენებული და აკუსტიკას ქმნის შემოგარენში. კორპუსები 12 სართულიანი შენობებია, მათ კედელზე ანერია რიგით მერამდენე შენობაა. საფეხბურთო მოედანი დასახლებაში შესვლამდე არის მოწყობილი. მის ახლოს არის რამდენიმე მარკეტი: „მაგნიტი“, „ორი ნაბიჯი“ და საცხობი. დასახლებაში სარეკრაციო ზონები რამდენიმეა, ძირითადად საბავშვო, სადაც მცირეწლოვნები თამაშობენ. ეზოში ჩამოსასხდომი გრძელი სკამებია, არ არის გადახურული ადგილები, სადაც ადამიანები უამინდობის დროს ეზოში მოახერხებენ ყოფნას, რის არქონასაც მაცხოვრებლები ჩივიან. ინფორმანტები, ბარამიას დასახლებიდან, ადარებდნენ საცხოვრებელ პირობებს, ზუგდიდის დევნილთა მეორე დასახლებას.

ბარამიას ქუჩის დასახლებაში ხალხთან საუბრის შემდეგ, გადავწყვიტე თაბუკაშვილის ქუჩის დასახლების ნახვა, რომელსაც „ბარამიელები“ თავიანთ ყოფასა და ინფრასტრუქტურას ადარებდნენ. მონათხოობმა გამახსენა ჩემი ბავშვობის მოგონებები, რომლის შემდეგაც დასახლება არ მენახა. თაბუკაშვილის ქუჩის დასახლება, ზუგდიდის ცენტრიდან დაახლოებით 1,5 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. ამ დასახლების არსებობის შესახებ, ჩემი მოზრდილობის ასაკიდანვე ვიცოდი, როდესაც კალათბურთის სათამაშოდ დავდიოდი მოედანზე 2015-2016

ნლებში. აქ მოსახლოება 2015 წლის 12 აპრილს დაასახლეს. სამეზობლო შედეგება ათი ოთხსართულიანი კორპუსისაგან. საკალათბურთო მოედანი ამ ტერიტორიაზე ახალი გაკეთებული იყო და ყველას უხაროდა იქ სათამაშოდ მისვლა. ეს საკალათბურთო მოედანი კორპუსების უკანა ნაწილში მდებარეობს. კორპუსების განლაგება კვადრატული ფორმისაა, რომლის შიდა ცენტრი, საფეხბურთო მოედანთან ერთად, ეზოს წარმოადგენს. მოედნის გვერდით საბავშვო რეკრეაციული ზონაა, რომელშიც დგას ქვის ჯვარცმა. დევნილების ყოფის ძირითადი ნაწილი ეზოსთან არის დაკავშირებული. ზოგი მათგანი ფეხბურთს თამაშობს, ზოგი სკამებზე სხედან და ქმნიან საძალაყბოებს (ბირჟებს), კორპუსში შესვლა სადარბაზოში კვადრატული ეზოს გავლით არის შესაძლებელი. ეზო ვრცელი ტერიტორიაა, სადაც მანქანების საპარკინგე ადგილია; სამარშუტო ტაქსები ეზოში შედის. ეზოში ორი გადახურული ადგილია, სადაც რამდენიმე გრძელი სკამი და მაგიდა დგას.

სტატია ამ ორი დასახლების მაცხოვრებელთა ყოფის ეთნოგრაფიულ შესწავლას ეხება, რომლებისთვისაც ყოველდღიურობა, ლოდინის თანმდევი ემოციითაა განპირობებული.

მორალურობის სოციალურ და კულტურულ კატეგორიაში ეთნოგრაფიული კვლევის დროს, ყურადღების ცენტრში შეიძლება მოვაქციოთ ადამიანის მდგომარეობის რთული ემოციური პროცესის განმსაზღვრელი ისეთი განცდა, როგორიც ლოდინია. ლოდინი წარმოადგენს როგორც სასიამოვნო, ისე არასასიამოვნო შეგრძნებას, რომლის დროსაც ინდივიდს ან ჯგუფს, არ შეუძლია თავისთავად შეცვალოს რეალობა, რომლის ცვლილების აუცილებლობასაც ის (ისინი) განიცდის (განიცდიან) (Sutton et al 2011; Walter 2023). როდესაც ლოდინი ტრავმული გამოცდილებით ფორმირებულ რეალობის ცვლილების მოთხოვნილებას უკავშირედება, იგი ასოციაციას ქმნის უძლურობის, დაუცველობისა და დაუხმარებლობის განცდებთან. იქმნება გაურკვევლობის მდგო-

მარეობა, რაც იძულებით გადაადგილებულ პირებში გარდამავალი პროცესია და მისი დასრულების/შეცვლის მოთხოვნილება ყოვედლიური ცხოვრების წესზე ახდენს გავლენას.

დროითი განზომილება და ლოდინის ეთნოგრაფიული ანალიზი, სოციალურ ანთროპოლოგიაში, მიგრანტებისა და ადგილმონაცვლეობის კომპლექსური გამოცდილების გაგების ერთ-ერთი ასპარეზია. სოციალური და კულტურული ცხოვრება ყოველდღიურად ფორმირდება, რაც მომავლის ახალ პერსპექტივებს აჩენს საზოგადოებაში. ანთროპოლოგმა ნილ ვოლტერმა, შეისწავლა კამერუნის დასავლეთ რეგიონში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ფრანკოფონიის მაცხოვრებელი ანგლოფონები, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ დაბრუნებას კამერუნის ინგლისურნოვან გეოგრაფიულ არეალებში. მათთვის ადგილმონაცვლეობა არანებაყოფლობითი პროცესია, რომელიც რეალობის შეცვლისა და განსახლების თავდაპირველ არეალში დაბრუნების ლოდინის პროცესს წარმოქმნის (ისევე როგორც ზუგდიდში მცხოვებ დევნილებში). ნილ ვოლტერს მოჰყავს ტრანსგენერაციული მაგალითები, რომელიც სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს, განსახლების თავდაპირველი არეალის მეხსიერებით, შინ დაბრუნების მოთხოვნილებისაკენ უბიძგებს (Wolter 2023, 1050-1064).

ნილ ვოლტერი წერს, რომ ასაკისა და თაობის ცვლის მიუხედავად, ცხოვრებისეული გამოწვევა, იძულებით გადაადგილებულ პირებზე გავლენას ახდენს, რა დროსაც, უმუშევრობა, სიღარიბე, სოციალური და კულტურული ჩაკეტილობა და მარგინალიზებისკენ მიდრეკილება, ადგილმონაცვლეთა ცხოვრების წესის ნაწილად იქცევა. მიუხედავად იმისა, რომ ლოდინს ავტორი სტატიკურ მდგომარეობასთან აკავშირებს, მას მხოლოდ უფერულ პრაქტიკად არ გაიაზრებს, რადგან იგი იმედთან, ცვლილებების მოთხოვნილებასთან არის დაკავშირებული. ლოდინი ნილ ვოლტერს ესმის, როგორც პროდუქტიული მდგომა-

რეობა და/ან მოქმედების ეტაპი, რომელიც დევნილს ყოველ-დღიური ცხოვრების რიტმის შენარჩუნებისაკენ უბიძგებს, რათა მოახერხოს წარსულით ფორმირებულ აწმყოსთან ადაპტირება (Wolter 2023, 1050-1064). იმედის ქონა დევნილისთვის ცხოვრების წესის აუცილებელი პირობაა, რაც გულისხმობს, თანამედროვე ყოფის შეცვლის სურვილს.

სხვა ანთროპოლოგები ლოდინს განიხილავენ, როგორც კავშირს აწმყოსა და მომავალს შორის, რომელიც არის თვით-რეფლექსისა და ცხოვრებისეული გამოცდილების შეფასებითი კატეგორია და კონსტრუირდება ისტორიული, სოციალური და ეკონომიკური გამოცდილების მეშვეობით (Palmer, Pocock, Burton 2017, 1-17).

ანთროპოლოგმა სარა თურნბულმა ლოდინი განიხილა, როგორც იმედთან დაკავშირებული მტკიცნეული განცდა. თურნბული ეხება პატიმარებში გამოვლენილ ლოდინის პროცესს. ის წერს, რომ ლოდინი ადამიანებში დროის მსვლელობის გავრცელებული ემოციური გამოცდილებაა, რომელიც საპატიმრო პირობებშია გამძაფრებული. იგი პატიმრის ყოფის თანმდევია. ციხეში დრო უარყოფილია, პატიმარი ან რაიმეს აკეთებს ან დროს „კლავს“. ის ელოდება გათავისუფლების თარიღს, რათა დაუბრუნდეს გარე სამყაროს. უვადო პატიმრებისთვის დრო „გაჭიმულია“, დაუსრულებლობის პროცესში ისინი ვალდებული არიან ებრძოლონ საკუთარ შფოთსა და გაურკვევლობას. ლოდინი სხვების წების დაქვემდებარებაში ყოფნაა, პატიმრებში ის ძალაუფლების განხორციელების ფორმაა (Turnbull 2016, 61-79).

პატიმრების მსგავსად, ჩემი ინფორმანტი დევნილების-თვის ლოდინის პროცესში დრო „გაჭიმულია“, გაურკვეველი პერსპექტივის გამო. დევნილებს სტატუსი და საცხოვრებელი არეალი, წარსულთან ემოციურად აკავშირებს და მომავლის პერსპექტივას აბუნდოვნებს.

ჩემს მიერ ჩატარებულ საველე კვლევას, თან სდევდა ინფორმანტთა მხრიდან ყოფითი პრობლემების შესახებ ჩივილი. ბარამიას დასახლებაში, ინფორმანტებთან საკუთარი თავისა და საკვლევი ინტერესების წარდგენის დროს, ინტერვიუზე თანხმობის წაცვლად, ხშირად ვიღებდი უარს, თუმცა ეს ინფორმანტები ყოფით პრობლემებზე საუბრის შესაძლებლობას არ უშვებდნენ. ერთ-ერთმა ინფორმანტმა ხაზი გაუსვა, რომ დევნილების მიმართ წაკლებ ყურადღებას იჩენენ პოლიტიკოსები და რომ საცხოვრებელი, სადაც ისინი ცხოვრობენ უხარისხოდ არის აშენებული. დასახლებაში შეუძლებელია ისეთი ადგილის მოძებნა, სადაც წვიმისგან თავის შეფარება არის შესაძლებელი.

ჩემი იქ ყოფნის დროს, იყო ხმაურიანი გამოლაპარაკების შემთხვევები, რამდენიმე ახალგაზრდამ გამოვლელ წაცნობს მოგვიანებით ეზოში შეხვედრა და კარგი საჩუქრით (მარიხუანა) გამასპინძლება შესთავაზეს. მენიშნა, რომ ეზო ბარამიას დასახლებაში ყოველდღიური საჯარო ინტერაქციის, შეკრების მთავარი არეალია. ეზოში ძირითად შესაქცევთაგან შეკრებილთა სიმრავლით გამოირჩეოდა წარდის სათამაშო ადგილი. ეთნოგრაფიული ინტერესით მოტივირებული, წარდის მოთამაშებს შევუერთდი. შეკრებილები თამაშს დასცექროდნენ და ემოციურად აკვირდებოდნენ. თამაში რიგ-რიგობით ასპარეზს მოიაზრებდა. შევეცადე, პირველად მათთან გამომეხატა ჩემი აკადემიური ინტერესი დევნილთა ყოფის მიმართ. ეს სივრცე, კვლევის ერთ-ერთი მთავარი არეალია, რომელიც არ იყო კონცენტრირებული ერთ ინფორმანტზე, არამედ ერთად შეკრებილ წარდის მოთამაშებისა და დამკვირვებლების შეხედულებზე, რომლებიც ჩემი იქ ყოფნისას მოდიოდნენ და მიდიოდნენ. მომსვლელები უსმენდნენ განსახილველ საკითხებს, ერთვებოდნენ მსჯელობაში, ახსენებდნენ პოლიტიკურ პრობლემებს და მიდიოდნენ, ნაწილი მოსაზრების დაფიქსირების გარეშე მიდიოდა. წარდი და მოცლილობა მაფიქრებინებდა ჩემი კონცეპტუალური პრობლემი-

სადმი მიმართებაზე. იქ მისვლის შემდეგ, გამიჩნდა მოსაზრება, რაც შემდგომში მოპოვებული მასალითაც დადასტურდა: რაღაცის ან ვიღაცის მიერ რამის შეცვლის ლოდინი, ჩემს ინფორმანტ დევნილებში, დაკავშირებულია განცდასთან, რომ ვიღაცამ, რაღაცამ უნდა შეცვალოს მათი ყოველდღიურობა. მათი ამ საქმეში ჩართულობა კი, მხოლოდ ლოდინის რეჟიმში ცხოვრებაში გამოიხატება.

თაბუკაშვილის დასახლება განსხვავდება ბარამიას დასახლებისგან, სადაც ჩემი ვიზიტისას სიმშვიდე იგრძნობოდა. ბარამიას ქუჩაზე, ეზოში შეკრებილების ხმაურისა და მაღალი კორპუსების აკუსტიკის გამოცდილების შემდეგ, თაბუკაშვილის დასახლების სიმშვიდემ გამაკვირვა. საფეხბურთო მოედანთან ორი შეუცნობის მამაკაცი შევნიშნე, რომლებმაც ყოყამნი გამოხატეს მათი ემოციებისა და ყოველდღიურობის შესახებ დისკუსიაში ჩართვაზე. ერთ-ერთი მამაკაცი „დროის მოკვლის“ მიზნით, დაზარებით, დამთანხმდა ინტერვიუზე. გადახურულ სივრცეში ჩამოვსხედით, საუბარს კიდევ ერთი მამაკაცი შემოუერთდა, რომელსაც მანქანა პარკინგზე გაეჩერებინა და ჩემს გვერდით მყოფი მამაკაცის დაძახილზე ინტერესით სურდა მსჯელობის შინაარსის გაგება. ჩვენი ლაპარაკი მეგრულ-ქართულად წარიმართა. ცოტა ხანში საუბარს მოხუცი ქალი შემოუერთდა, მამაკაცებმა მას დაუძახეს, ჩემი თავი წარუდგინეს და შესთავაზეს მისი ამბის გაზიარება. მამაკაცებმა ქალს ადგილი დაუთმეს, თვითონ ამავე სივრცეში, მაგიდისგან მოშორებით, ბანქოს თამაშს შეუდგნენ.

ქალი ემოციების გამოხატვას არ ერიდებოდა, ზურგს უკან შუახნის მეორე ქალი ისმენდა ჩვენს ლაპარაკს და სიტყვებით ამარაგებდა მოხუცს. მოხუცმა წარმიდგინა ქალი და მითხრა, რომ აქაურებს ეხმარებათ. ეს ქალი მარკეტის გამყიდველი იყო, რომელსაც ლუბა¹ ჰქვია და მისი ამბავი, ცალკე ქვეთავშია წარმოდგენილი. ლუბა მარკეტის წინ იყო გამოსული და კართან

¹ ინფორმანტთა ინტერესებიდან გამომდინარე, ტექსტში სახელები შეცვლილია

სკამზე ჩამომჯდარი ისმენდა ჩვენს საუბარს. მოხუცი შორიდან მიყვებოდა გამვლელების ბიოგრაფიებს. ლოდინის, როგორც ემოციის რელევანტურობის შესახებ, ჩემი მოხუცთან საუბრის დროს დავრწმუნდი, რადგან თუ „ბარამიელები“ ღიმილით და ჩემთვის არასერიოზული ტონით მპაზუხობდნენ რომ აუცილებლად დაბრუნდებოდნენ აფხაზეთში, ქალმა საპირისპიროდ, ტირილით გამოხატა თავის მოსაზრებები. კარტის მოთამაშები, ჩემი მოხუცთან საუბრის დროს, მომარაგებული ალკოჰოლის სმას შეუდგნენ და შეზარხოშებულები პერიოდულად თავიანთ შეხედულებებს უმატებდნენ მოხუცის მონაყოლს.

მომდევნო დღეებში ისევ ვნახე ბარამიასა და თაბუკაშვილის დასახლებები. შევხვდი სხვადასხვა თაობის ინფორმაციებს, რომლების ემოციებიც, მომდევნო ქვეთავებში თემატურად არის კლასიფიცირებული.

საველე კვლევისას ლოდინი ყოველდღიურ მოცლილობას დაუკავშირდა და ასოცირდა ყოფის ცვლილების სურვილთან. დევნილის განცდებს, გაურკვევლობის მელანქოლია ძლევს, რომელიც მოცლილობაში ვლინდება. არაფერის კეთება/მოცლილობა, იძულებით გადაადგილებული პირებისთვის არის მცდელობა ყოველდღიური რუტინის შენარჩუნებისათვის, რათა გააკონტროლონ აწმყო, სანამ მომავლის ცვლილების კონტურები მოიხაზება (იხ. Wolter 2023).

მოცლილობა აწმყოში აჩენს წარსულის უსიამოვნო ან სასიამოვნო ემოციებს, მოგონებებს და გამოცდილებას, რომელიც ურთიერთგაზიარების მეშვეობით ვლინდება პრაქტიკაში. ბარამიას ქუჩაზე ერთ-ერთ ინფრასტრუქტურულ პრობლემად ინფორმაციებმა ჩამოსასხდომი და გადახურული ადგილების არქონა დაასახელეს. მოცლილობის მაგალითი, ბარამიას დასახლებაში, ნარდის თამაშის ყრილობა იყო. თაბუკაშვილის ქუჩაზე ნარდს ბანქოს თამაში ცვლილა. გადახურული ადგილის ქონა ინფორმაციებისათვის, ამინდის მიუხედავად, სოციალური შეკრე-

ბის (იხ. Goffman 1963 [1966]) დროის გაყვანის, უქმად ყოფნის არეალად აღიქმება.

ველზე ყოფნის დროს, ბარამიასა და თაბუკაშვილის დასახლებებს რამდენჯერმე მივაკითხე. ყოველ ჯერზე, შეკრების ადგილები სიცარიელეს არ უჩიოდა. მთხოობელები შეკრების სივრცეებს ბარამიასა და თაბუკაშვილის დასახლებებში ერთმანეთს ადარებდნენ. შედარებები ეხებოდა სარეკრეაციო ადგილებს. ბარამიელები მეუბნებოდნენ, რომ მათი თავშეყრის ადგილი, თაბუკაშვილის შეკრების ადგილისგან განსხვავებით მოწყობილი არ იყო. პენსიონერმა მამაკაცმა ბარამიას დასახლებიდან თქვა:

„ამხელა ტერიტორიაა, აქ ერთი რაიმე ბავშვებისთვის გაკეთებული არ არის, მე კარგი, 73 წლის ვარ მაგრამ ამ ახალგზრდებმა რა დააშავეს?! აგერ წვიმაა, გვაწვიმს, ახლა რომ შევიდე ოთახში რა გავაკეთო?!. აქ კიდევ ნარდს ვამაშობ მეტი რა ვაკეთოთ.“

მამაკაცი ვერ ხედავს მის ცხოვრებაში სხვა აქტივობას, რომლითაც იგი დაკავდება დასახლებაში ყოფნის დროს. ნარდის თამაში კი მისთვის თავის შექცევის (დროის გაყვანის) ერთ-ერთი საშუალებაა. დაკვირვებისას შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ მაცხოვრებლები მათ ინიციატივას, იმისათვის რომ კომფორტული გადახურული ადგილი ჰქონოდათ, სხვის მიერ შესასრულებელ ამოცანად სახავდნენ.

ქალაქში, ინფორმაციული თქმით, არ მოიძებნება დასაქმების ადგილები, ახალგაზრდები კი ამ მიზნით, უცხო ქვეყნებში მიგრირდებიან. პენსიონერები ახალგაზრდების ამ გადაწყვეტილებას ამართლებენ, რადგან ამბობენ: „სხვაგვარად რა ქნან, რა გააკეთონ?“. მოცლილობა, ეზოში სალაყბოების (ბირჟა) შექმნაში, ალკოჰოლის სმაში, სამაგიდო და სამოედნო თამაშებში გამოიხატება. ნარსულის სივრცითი წარმოსახვით და მომავალისკენ ორიენტირებით, დევნილები ქმნიან მოქმედებებს ანმყ-

ში, რაც სხვადასხვა აქტივობებში ვლინდება – ეზოში სალაყბოების შექმნა, მეზობლებს შორის სხვადასხვა სოციალური ურთიერთობა, სამსახურის ძიება. როდესაც კითხვებს ვსვამდი თუ როგორ შეეჩივნენ ცხოვრებას დასახლებაში, პასუხად ჩვეული დღის აღნერას ვიღებდი; მეუბნებოდნენ, რომ ნაწილი ვერ შეეგუა, ნაწილი პირიქით შეეგუა, თუმცა ყველასთვის ყოვედლიურობა უფერულად აღიქმება. დასახლებას „ბეტონის ჯუნგლებს“ და „ციხეს“ უწოდებენ, აქ ცხოვრებას კი „მისჯილობას“.

მოცლილობასთან ერთად, სამომავლო პერსპექტივებისა და აფხაზეთში დაბრუნების სურვილების შესახებაც ვიკითხე. მაინტერესებდა როგორ წარმოიდგენდნენ აფხაზეთს და რა სამომავლო როლი ეჭირა იმედის/უიმედობის განცდაში თავდაპირველი განსახლების არეალს. აფხაზეთში დაბრუნების სურვილი, ყველა ინფორმანტის ცხოვრების ემოციური მდგომარეობის განმსაზღვრელია, რომელსაც რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტის პირობებში, სიმძაფრე ემატება, რადგან თვლიან, რომ კონფლიქტი აღმოსავლეთ უკრაინაში და შედეგები, საქართველოს დაკარგულ ტერიტორიაზე დაბრუნების გაურკველ პერსპექტივას სიცხადეს შეჰქმატებს. ინფორმანტმა, ახალგაზრდა კაცმა მიპასუხა: „უკრაინამ თუ გაიმარჯვა აფხაზეთი დაბრუნდება. ყველა ასე ფიქრობს, რა ვიცი. მეც ასე ვფიქრობ.“ ჩემი ინფორმანტები, წარსული გამოცდილების ფონზე, დაკარგული ტერიტორიის დაბრუნების პრობლემის გადაჭრას, რუსეთ-უკრაინას ომის დასრულებასა და შედეგების დადგომის ლოდინში პოულობს. ეს მოსაზრება მუდმივი განხილვის საგანია თავშეყრის ადგილებში შეკრების დროს, რა დროსაც მოცლილები მომავლის, აფხაზეთში დაბრუნების პერსპექტივებს განიხილავენ სხვისი საქმის (რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის) კონტექსტში, სადაც რაღაცის შეცვლის ლოდინი საერთო/ჯგუფურ არგუმენტაციას ქმნის.

მომავლის ბუნდოვანება, რომელიც თან სდევს დევნილის ცხოვრებას, ანმყოში გაურკვევლობის განცდას წარმოქმნის. ტე-

რიტორიული და სოციალური მიკუთვნებულობა გარდამავალი პროცესია ახალ გარემოში ინდივიდისთვის თავის დასამკვიდრებლად (ამ შემთხვევაში სოციალურად თვითდამკვიდრება იგულისხმება, რადგან კვლევა დევნილთა კომპაქტურ დასახლებას ეხება), რადგან ის ჯერ კიდევ წარსული გამოცდილებების ემოციური წარმოსახვით ცხოვრობს. ჩემი ინფორმანტებისთვის წარსული მოგონებები ისაა, რაც მათ აფხაზეთიდან წამოღებულ ნივთებთან ერთად შემორჩათ. დევნილი მაკა ბელქანია (2022) წიგნში, „რისი წამოღებაც შევძელი“ წერს, რომ ერთადერთი რაც აფხაზეთისგან დარჩა წარსულია, რომლის შესახებაც შვილებს, როგორც ზღაპრებს ისე უყვება. ჩემი მთხრობელებისთვის, აფხაზეთის შესახებ წარსულ და ანმყო დროში საუბარი (იგულისხმება მათი მოგონებები და თანამედროვე გარემოებები, რომლის შესახებაც ინფორმაციას იღებენ) დევნილთა დასახლებაში ცხოვრების რიტმს ქმნის, რომელსაც ამბებად თხრობის გზით, იმ თაობებს გადასცემენ, რომლებსაც აფხაზეთი თვალით არ უნახავთ.

ჩემს დღიურში მთხრობელთა მიერ მოყოლილ ამბებში, აფხაზეთი „ლამაზი“ ეპითეტებით იკითხება. ქალაქი სოხუმი, მათთვის სანატრელი და ყველაზე მიმზიდველია (ერთ-ერთმაინდორმანტმა სოხუმს ნარკოტიკი და ნარკოტიკივით მიმზიდველი ადგილი უწოდა). ინფორმანტები აღნიშნავდნენ, რომ იქ ჩასულ ადამიანს, წარუშლელ შთაბეჭდილებას უტოვებდა გარემო და პიროვნებები. ჩემმა ერთ-ერთმა მთხორბელმა, პენსიონერმა მამაკაცმა, სოხუმს საოცარი/ყუდესი უწოდა. შუახნის მთხრობელები, რომლებიც აფხაზეთში გატარებული ბავშვობის ემოციებს ინახავენ, აღელვებულად იხსენებდნენ პირად ისტორიებს: ესენია ამბები მათი საუკეთესო წლების, ახალგაზრდობის და სახლის შესახებ. რამდენიმე ინფორმანტმა მითხრა, რომ აფხაზეთზე ფიქრი ძილშიც არ ასვენებს და ხშირად ესიზმრებათ მათი სახლი, სივრცე და გარემო სადაც დროს ატარებდნენ. აღნიშ-

ნავენ, რომ მხოლოდ მოგონებებით ახერხებენ აფხაზეთში დაბრუნებას, რადგან ფიზიკურად იქ დაბრუნება ვერ ხერხდება.

ლუბა შუახნის ქალია, რომელიც განსაკუთრებული ემოციურობით მიყვებოდა დაკუთარ თავგადასავალს. იგი აღლვებით იხსენებდა იძულებით გადმოსვლის ამბეჭს, პირადი და ახლობლების გამოცდილებების მიხედვით. მან თქვა, რომ სოფლებში დაბომბვის დროს მამამისმა მანქანით ოჯახი ოჩამჩირემდე ჩაიყვანა. ეს სარისკო საქმე იყო, რადგან გზაში, ორმხრივი სროლის დროს საბურავები გაეხათ. შემდეგ კი, გალში გადავიდნენ, მამამისმა ამ მანქანით 63 დედა-შვილი გადაარჩინა სიცოცხლეს. ლუბამ, თქვა:

„ახლაც გვყავს ეს მანქანა ხელუხლებელი, ანტიკვარივით ვინახავთ დღემდე. არც ვყიდით და არც არაფერი, ეზოში გვყავს. მამაჩემი გარდაიცვალა მესამე წელია, მაგრამ ის მანქანა გვყავს, არ ვყიდით, ვერ ველევით. ბავშობას მახსენებს, ჩემს ბავშვობაში მაბრუნებს და იმ დღეს წარმომიდგენს... ძალიან ცუდ ისტორიას მახსენებს, მაგრამ ძალიან მიყვარს ეს მანქანა, იმიტომ, რომ ამდენი დედისა და შვილის სიცოცხლე გადაარჩინა“.

ბელქანია, დევნილს აღიქვამს, როგორც ადამიანს წარსულის გარეშე, ბუნდოვანი მომავლით, რომელიც ჩემი ინფორმანტების მსგავსად გაურკვევლობაში ცხოვრობს. ის რაც მწერალს სულის ტკივილამდე ენატრება აფხაზური მიწა, თავისი განსხვავებული სურნელით, რომელზეც მონატრებას ჩემი მთხორბელების თქმით, ერთმანეთში საუბრით აქარვებენ და იხსენებენ დაკარგულ, მაგრამ მათთვის ნაცნობ ადგილს, აფხაზეთს (ბელქანია 2022, 3-40).

უფროსი თაობის წარმომადგენლებმა (პენსიონერებმა) გამოსცადეს სახლის დაკარგვა, დევნილის სტატუსის მიღება და ახალი სახლის ძიების პროცესი, რამაც გავლენა იქონია მათ ემოციურ მდგომარეობასა და ყოველდღიურობაზე. მათი ტრავმული გამოცდილება, ემოციები და ლოდინი, ასევე შეგუება/არ-

შეგუების მდგომარეობა გამოხატავს მათი ყოფის თანმდევ მოვლენას და გავლენას ახდენს მომავლის ალქმაზე.

თაბუკაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთმა ინფორმანტმა თქვა, რომ საბჭოთა კავშირის დროს, ერთ-ერთ ციხეში ჩატიმარს შეუცვალეს საკანი და სიკვდილმისჯილებთან გაამწესეს, რაღაც ვადით. ექსპერიმენტის დროს უთხრეს, რომ მისი სასჯელი უვადოდან სასიკვდილო განაჩენად გადაკვალიფიცირდა. ექსპერიმენტის ფარგლებში დათქმული სასჯელის აღსრულების დღეს, მამაკაცი განცდებისგან გაჭაღარავებულა. ინფორმანტმა მითხრა, რომ ექსპერიმენტის შესახებ იმიტომ მიამბო, რომ იმ პატიმრის განცდებს სიკვდილმისჯილის გარდა ვერავინ მიხვდებოდა, ასეა დევნილების შემთხვევაშიც. თქვა: „თუ დევნილი არა ხარ ვერ ჩაწვდები დევნილების აზროვნებაში. ვერ გაიგებ რას განიცდიან ისინი აფხაზეთში დაკარგული სახლის შემდეგ. მოსმენა კი შეგიძლია, მაგრამ ჩაწვდომა არა.“ ინფორმანტის მიერ მოთხოვნილი ამბავი, ჩემთვის დევნილთა მიერ განვლილი გზის ტრავმულ გახსენებასთან არის დაკავშირებული, რომელსაც ისინი ყოველდღიურად ატარებენ და რითაც, ახდენენ თავიანთი დევნილობის დამახსოვრებას, ასევე დისტანცირებას ადგილობრივი მოსახლეობისაგან, რაც ლოდინის განცდით ცხოვრებას, სიმბოლურ-ემოციურ ლეგიტიმაციას ანიჭებს.

ერთ-ერთმა ინფორმანტმა ქალმა, ზუგდიდში გადმოსახლების შემდეგ აქაური ცხოვრების შესახებ მიამბო, მომიყვა მეგრულ ლექსს, რომელიც მას გადაუკეთებია. გავიგე, რომ ეს ლექსი ძველი მეგრული სატრფიალოა. ლექსის შინაარსი აფხაზეთის ამბებს, დევნილობაში გატარებულ ცხოვრებასა და უკან დაბრუნების ყოველდღიური ლოდინით დაქანცულობას აერთიანებს. ტექსტი მეგრულთან ერთად ქართულ ენაზეც მაქვს წარმოდგენილი, თუმცა ჩემეულ ქართულენოვან თარგმანში პოეტური სტილი დაცული არ არის. ლექსის ბოლო ფრაზა: „ზუგდიდა-

რებს მა ქუგვალე ქარწყეთ ჩქინი დორთა ვარე” (ზუგდიდელებს ვენაცვალე, ხედავთ ჩვენი დაბრუნება არაა), გამოხატავს ერთი მხრივ, მადლიერების გრძნობას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, გახაგრძლივებული ლოდინისაგან დაღლილობას. მოხუცის ნათქვემში ჩანს, რომ იგი მეგრელებს მადლობას უხდის დევნილების წუხილის გაზიარების გამო და სანაცვლოდ სთხოვს გაუგონ, დაინახონ რომ მათი შინ დაბრუნება არ ხერხდება.

ვაი, დედა საყვარელი რინა მუში მამარდა რე
რინაშ ნება ქორდასი[ნი] სუ[ო]ხუმი მუში მაფართარე,
აფხაზეთ, წინდაშ გოშერშილ, ოშა ტყვიათ ნახართარე,
ხო ქორჯერა ჩქინი ხალხი, ვავა მუში მაცოდარე,
სამარგალოს დიდ მადლობა, ქარწყეთ ჩქინი საშველ ვარე,
ზუგდიდარებს მა ქუგვალე ქარწყეთ ჩქინი დორთა ვარე.

ვაიმე, დედა საყვარელო, ცხოვრება როგორი მადლიანია,
ცხოვრების ნება რომ იყოს, სოხუმი როგორი დიდია,
აფხაზეთი ჭუჭყით გაუღენთილი, ასჯერ ტყვიით დაკოდილი
ხომ გჯერათ ჩვენი ხალხი, ვაიმე როგორი საცოდავია,
სამეგრელოს დიდი მადლობა, ხედავთ ჩვენი საშველი არაა,
ზუგდიდელებს მე ვენაცვალე, ხედავთ ჩვენი დაბრუნება არაა.

ლუბა 45 წლის ქალია, წარმოშობით ოჩამჩირიდან, რომელ-
საც თაბუკაშვილის დასახლებაში შევხვდი. საკუთარი აფხაზური
გამოცდილების შესახებ თხრობისას კომუნიკაბელური და ემო-
ციური იყო. ლუბა არ ბლოკავდა განცდებს, თავისუფლად ყვე-
ბოდა მისი (მო)ლოდინ(ები)ს შესახებ. მასთან ორჯერ ჩავიწერე
ინტერვიუ. პირველად მას მოხუც ქალთან ინტერვიუს ჩასწერის
დროს შევხვდი, შემდეგ კი პირადად მისგან ჩავიწერე ამბები,
„მარკეტში”. მოხუცთან საუბრისას, რომელსაც სტატიაში აზას
ვუწოდებ, მან თავი გამოიჩინა და ინტერვიუს დროს მას აზრე-

ბით და სიტყვებით ამარაგებდა. აზამ, მითხრა, რომ ლუბა მარკეტის გამყიდველია, ის პატივს სცემს აქაურ მოსახლეობას, ყურადღებას აქცევს და „ნისიად“ ატანს პროდუქტებს.

აფხაზეთის კონფლიქტის დროს, ლუბა არასწორულწლოვანი იყო. მის მექსიერებაში აღბეჭდილი ინფორმაცია, ბავშვის თვალით დანახულ აფხაზურ ემოციებს ინახავს. მან თქვა, რომ პირველად მათი სოფელი (ოჩამჩირეში) დაიბომბა შეცდომით. დეტალებზე მსჯელობას ლუბამ თავი აარიდა. თქვა, რომ სოფელი შვიდი თვე ალყაში იყო მოქცეული. ის და მისი ოჯახი დასამალად „აკობებს“ და აფხაზი მეზობლების სახლებს აფარებდნენ თავს. არ დააკონკრეტა ტყვეობის ამბავი, თუმცა თქვა, რომ აფხაზებსა და ქართველებს შორის ტყვეთა გაცვლის დროს, როდესაც ფულზე და ოქროზე ცვლიდნენ ადამიანებს, დააღწია თავი იქაურობას. მინასთან გასწორებული სოფელი, მას შემდეგ არ უნახავს. თაბუკაშვილის ქუჩაზე ლუბა 2015 წელს დასახლდა, მანამდე კი 22 წელი სოფელ ჯვარში ცხოვრობდა, როგორც სოციალურად დაუცველი. ლუბა რვა წელია, რაც ამ დასახლებაში ცხოვრობს. ახალ მეზობლებს შეეჩინა, თქვა, რომ თავს ისე გრძნობს, რომ თითქოს აქ დაიბადა და გაიზარდა. „ისეთი კარგი ურთიერთობა მაქვს, 16 ოჯახი არის ერთ სადარბაზოში და შეხმატებილებულად ვართ; ერთს თუ უჭირს ყველას გასაჭირი ერთია ჩვენთვის.“

თაბუკაშვილის ქუჩაზე ყოფნისას, გამიჩნდა განცდა, რომ აქ ყველა ერთმანეთს იცნობს. ისინი ეზოში შეხვედრისას ესალმებოდნენ ერთმანეთს და საერთო ნაცნობზეც კითხულობდნენ ამბებს. აზამ და ლუბამ მითხრეს, რომ რვა წელი ცოტა არ არის საცხოვრებლად და რომ შეეჩივნენ აქაურ [ზუგდიდის დევნილთა დასახლებაში] ცხოვრებას. თუმცა, მათი აქაურ [ზუგდიდურ] ცხოვრებასთან შეგუება, არ გამორიცხავს აფხაზეთის მელანქოლიას. აქაური ცხოვრება, იქაურის მონატრების, უკან დაბრუნების მოლოდინის განცდასთან ერთად, ყოფასთანაა დაკავშრებული. აფხაზეთში დაბრუნების შესახებ, ლუბამ მითხრა:

„მე ვერავინ გამასწრებს. აქ ასი წელი ცხოვრებას იქ ერთი წელი ყოფნა მირჩევნია. იმიტომ, რომ ჩემი მინა-წყალია, მთელი ბავშვობა იქ გავატარე. ნოსტალგიები მაქვს და იქ მინდა დაბრუნება. მირჩევნია იქ ვიყო, თუნდაც ცარიელ მინაზე“.

ლუბამ, ემოციები ვერ მოთოვა და იტირა, რამდენიმე წუთით ინტერვიუს პროცესი შევწყვიტეთ. ლოდინს, როგორც ემოციას ლუბას მონაყოლში მონატრების განცდა აღძრავს, რომელიც დაკავშირებულია აფხაზეთში დარჩენილებთან კონტაქტის შენარჩუნებასთან და მათ მიერ ლუბას დაბადების ადგილის შესახებ მუდმივი ინფორმაციის მიწოდებასთან. თქვა, რომ აფხაზეთის სახლის ფოტოებს უგზავნიან ხოლმე ფეისბუკით და მთელი კვირის განმავლობაში მათ უყურებს. „თვეები გავა მაინც სახლის სურათებს ვუყურებ, დამით გამეღვიძება, ვუყურებ და მერე ვტირი. გჯერა? დამიჯერებ? ისეთი მონატრება გვაქვს ჩევნ აფხაზეთის“. მისთვის ძველის მონატრება და წარსულის გახსენება, რეალობის-დევნილობის შემახსენებელიცაა. მან თქვა: „სულ ვამბობ ხოლმე, აფხაზეთის სახლი, მაგრამ იქ სახლი არ არის და აღარც არაფერია, ცარიელი მინაა. ახლა ინტერნეტი არაა თორებ გაჩვენებდი ჩვენი მეზობლების სახლებს და ჩვენი ქუჩის სახლებს. ნახავდი ახლა რა მდგომარეობაშიც არის, საცხოვრებლებზე ტყე არის ამოსული.“ ლუბას სურს, რომ ეს გარემოება (დევნილობა და შინ დაბრუნების ლოდინი) შეიცვალოს. თუმცა, მას მხოლოდ სურათების ნახვა შეუძლია. სურათებით წარმოსახული აფხაზური სახლის ემოცია, მას ლოდინის განცდას უმძაფრებს, რაც მომავალთან და იმედის არ გაქრობასთანაა დაკავშირებული. ლუბამ თქვა:

„იმედით ვართ, იმედი არ გვეწურება. სულ ნოსტალგიებში ვართ, ჩვენთვის იმედი არის ამოუწურავი. ლოდინი, ცრულოდინი გვაქვს, ცრუ. აბსოლიტურად ცრუ [დაუსრულებელი] ლოდინი. უკეთესობას, შერიგების ველოდებით; ბოლოს და ბოლოს, მაინც ხომ უნდა შევრიგდეთ. ყველაფერს ხო[მ] აქვს

თავისი ზღვარი, რა ვიცი. ჩევნთვის აფხაზეთზე საუბარი არ ილევა, გული მტკივა. ეს გული საქართველოს ამოაცალეს“.

ლუბას ემოციური წარმოსახვით ჩანს, რომ ლოდინი დაუს-რულებელია. ეს დაუსრულებლობა ემოციურ განცდას რელო-ბისგან სულ უფრო აცილებს, რადგან პოლიტიკური მდომარეო-ბა არ იცვლება. ჩანს პრაგმატული, პოზიტიური გამოცდილე-ბაც, რომელიც ეფუძნება დევნილებისა და აფხაზეთში დარჩენი-ლების კომუნიკაციას. იქ დარჩენილ მეზობლებთან ურთიერთო-ბა, ელექტრონული სამუალებებით, ქმნის კონფლიქტის პოზი-ტიურ მხარესაც, რომ იქ მათ ვიღაც ელოდება, რომ ურთიერთო-ბა შესაძლებელია (ოდესლაც) აღდგეს.

რამდენადაა შესაძლებელი ახალგაზრდებისთვის აფხაზე-თის როგორც სახლად გააზრება? ის თაობა, რომელსაც აფზახე-თი არ უნახავს გაიზარდა, ასევე გაჩნდა სასაფლაოები საქარ-თველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს ახალ მიწასთან ტრადიციით მიბმას, ახალი ცხოვრების წესის გათავი-სებას. რადგანაც დევნილთა სასაფლაოები გაჩნდა საქართვე-ლოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ვფიქრობდი ხომ არ გამოიწვევდა ეს, ახალგაზრდა თაობაში, კულტურულად აფ-ხაზეთისაგან გამიჯნულობისა და ზუგდიდისადმი მიკუთვნებუ-ლობის განცდას? ერთ-ერთმა პენსიონერმა მამაკაცმა მერაბმა, ბარამიას დასახლებიდან თქვა, რომ ყველას ენატრება თავისი მიცვალებული საფლავი აფხაზეთში. ზუგდიდში გაჩნდა დევნი-ლების საფლავები, სასაფლაოები გადაიცსო, თუმცა აფხაზეთში დატოვებული საფლავების დაბრუნება დევნილებისთვის უწმინ-დესია. „მე არ ვიცი შვილო როგორ გამიგებთ მაგრამ მე არ და-მიკარგავს [იქ დაბრუნების] იმედი ”.

ეს განცდები გნასაზღვრავს მომავლის წარმოსახვას ტე-რიტორიული მიკუთვნებულობის კონტექსტში. კარლ მანკეიმ-თან, კაცობრიობა შედგება თაობათა კანონზომიერებისაგან, რომ ისინი ერთმანეთს თანმიმდევრულად და განგრძობითად

მიჰყებიან და ანაცვლებენ. როდესაც ერთი პერიოდი სრულდება, მეორე იწყება. თანამედროვეობა იქმნება, ერთი და იმავე გავლენების განცდის შედეგად. ინდივიდები, რომლებიც ერთ თაობას ეკუთვნიან მდებარეობენ სოციალური პროექციის ისტორიულ განზომილებაში, საერთო ლოკატაზე (Manheim 1927 [1952]).

ქვეთავი, გარდა ახალგაზრდების პრობლემისა, უფროსი თაობის წარმომადგენლების თვალით დანახული ახალგაზრდების ემოციურობის რეფლექსიასაც ეხება. ინფორმანტებს ვეკითხებოდი რას ფიქრობდნენ ახალგაზრდები აფხაზეთის შესახებ, რა წარმომადგენა ჰქონდათ ამ მხარეზე და შესაძლებლობის შემთხვევაში, რომელი თაობა (ახალგაზრდა, შუა ხნის, ასაკიანი) დაბრუნდებოდა აფხაზეთში. მიღებული ინფორმაცია სხვადასხვაგვარია, რადგან კონფლიქტიდან სამი დეკადის გასვლის შემდეგ, თაობათა ცვლილების პროცესთან ერთად, იცვლება პოლიტიკური გარემოებაც, რაც სახლად ადგილის აქ (ზუგდიდში) და იქ (აფხაზეთში) ემოციური გააზრების პერსპექტივებს ცვლის.

მოხუცმა ქალმა, აზამ, ახალგაზრდების დაბრუნების ან ვერდაბრუნების ლოდინი აფხაზეთში ყოფნა-არყოფნის გამოცდილებას დაუკავშრა. მან თქვა, რომ ვინც აფხაზეთშია ნამყოფი და იქაური გულისტკივილი აქვს დამახსოვრებული დაბრუნების მოლოდინით ცხოვრობს, ხოლო ისინი, ვინც აქ (ზუგდიდში) დაიბადა და იქაურობა არ უნახავს აქაურ ცხოვრებას შეეჩინა და რომ გაუჭირდება იქ დაბრუნება. აზას შინაარსი გაიმეორა მერაბმა, პენსიონერმა მამაკაცმა ბარამიას დასახლებიდან. მან თქვა:

„პირველ რიგში ჩვენ დაგბრუნდებით. ახალგაზრდები შეიძლება დაბრუნდნენ, მაგრამ გული არ მიუწევთ, იმიტომ რომ აქ დაიბადნენ და გაიზარდნენ. ჩვენს თაობას, იქ ხის ძირას ცხოვრება ურჩევნია აქ ყოფნას. 85 წლის ვარ და როგორ არ დავგბრუნდები?“

მათივე მონათხრობიდან მეუფლებოდა განცდა, რომ ისინი არ იყვნენ დარწმუნებული უმცროსი თაობის სურვილებში. თუმცა, თვითონ თავდაჯერებით მპასუხობდნენ შუა ხნისა და ასაკოვანის პირების აფხაზეთში დაბრუნების შესახებ.

პენსიონერებს ვეკითხებოდი თუ/და რას უყვებოდნენ ახალგარდებს აფხაზეთის შესახებ. მპასუხობდნენ, რომ ბევრი არც ინტერესდებოდა ამ ამბით. ლუბასთან, მაღაზიის გამყიდველთან საუბრის დროს, მარკეტში, შუახნის ქალი შემოვიდა. ლუბას და ჩემს დიალოგს უსმენდა და წასვლას არ ჩქარობდა. ლუბს სთხოვა პროდუქტი „ნისიების“ რვეულში ჩაენიშნა. თაობების შესახებ მსჯელობისას ჩვენს დიალოგს გამოეხმაურა და მაგალითად თავისი შვილის ამბავი გვიამბო. თქვა, რომ ყველაფერი ახალგაზრდების აღზრდაზეა დამოკიდებული (დაბრუნდება თუ არა აფხაზეთში). მისი შვილები იქ [აფხაზეთში] არ არიან ნამყოფი, მაგრამ კითხვაზე ნამდვილი სახლი სად არის აფხაზეთის სახლს ჰპასუხობენო. ლუბა და მეორე ქალი თანხმდებოდნენ, რომ მშობლის როლი დიდია, შვილს გადასცეს აფხაზეთის სიყვარული. იმასაც ამატებდა, რომ მისი შვილები ეკითხებიან აფხაზური ცხოვრების შესახებ და სთხოვენ იქაური ამბების გახსენებას. მათ მონათხრობს, აფხაზეთის როგორც სახლის სოციალური მეხსიერების კონტექსტში დამახსოვრების ტენდენციამდე მივყავართ, რომლითაც შესაძლოა მომავალმა თაობამ იხელმძღვანელოს იმის გადაწყვეტაში ჰქონდეს თუ არა (არ/ვერ) დაბრუნების იმედი.

ელენე 25 წლის ახალგაზრდა ქალია, რომელსაც თაბუკაშვილის ქუჩაზე შევხვდი. მას არასდროს ენახა აფხაზეთი. ვკითხე, როგორ შეეძლო წარმოედგინა აფხაზეთი. ელენემ აფხაზეთი, იქაურ სახლთან დააკავშირა, რადგან მის წარმოსახვაზე, გავლენა იქონია აფხაზეთის სახლის სურათმა, რომელიც მის ბებია-ბაბუას ჰქონდა შენახული. მან თქვა:

„ბებია და ბაბუა სულ მიყვებდონენ ზღაპრებივით აფხა-
ზეთის ამბებს და ყველაფერი დეტალურად ვიცი. სასწაულად
იდეალურად [ორმაგი აღმატებითი ფრაზით წარმოადგენს აფ-
ხაზეთის მისეურ განცდას] მაქვს შექმნილი ყველაფერი ჩემს
წარმოდგენაში, ძალიან მშვენიერია. ჩემი სახლის ფოტოც
აქვს ბებიას. ისინი რასაც მიყვებოდნენ იმ ამბების დიდი სიყ-
ვარული მაქვს“.

მითხრა, რომ უნდა აფხაზეთში დაბრუნდეს, აუცილებლად
წავიდოდა, რადგან იქაურობასთან მისი ბებიისა და ბაბუის ამბე-
ბია დაკავშირებული.

ინფორმანტებთან საუბრისას ორმაგი მიმართულება გა-
მოიკვეთა. ჩემი ინფორმანტების ნაწილი არ ინტერესდება იქაუ-
რობით, რითაც სავარაუდო ბლოკავს გაურკვევლობის ლო-
დინს, მდგომარეობას, რომელსაც სიცხადე არ გააჩნია ახლო
პერსპექტივაში. ზოგიერთისათვის, აფხაზეთის, მათი ცხოვრე-
ბის რაღაც ფორმით შეცვლის ლოდინი, მელანქოლიურად წარ-
მოსახულია წარსულის ანაბეჭდებით, რომელიც შესაძლოა თა-
ვად არ გამოიცდიათ, თუმცა ბებია-ბაბუების გადმოცემების გა-
მო იქცნენ მათი ყოველდღიურობის განმსაზღვრელ ემოციურ
ფაქტორებად.

კონკრეტული ჯგუფი გავლენას ახდენს ინდივიდის არსე-
ბობის თითოეულ ასპექტზე. ამიტომაც, უფროსი თაობის ისტო-
რიული გამოცდილება შესაძლებელია პოზიტიურად იყოს აღ-
ქმული თანამედროვე თაობისთვის, რაც უყალიბებს მათ წარსუ-
ლი ცხოვრების ისტორიულ შეგრძნებებს. ეს მათ სურვილებზე,
მოლოდინებზე ახდენს გავლენას, რითაც აფხაზეთი გაიაზრება,
როგორც სახლი, რომელში დაბრუნების ლოდინით გამოწვეული
გაურკვევლობის სიცარიელე წარსულის მოგონებებით ივსება.

დევნილთა ლოდინი და აფხაზეთის როგორც იდეის წარმო-
სახვა, ქმნის ტერიტორიასთან მიეუთვნებულობის/მიჯაჭვულო-
ბის ეფექტს, რაც პრაქტიკაში ემოციურ არტიკულაციასთან,

წარმოსახვასთან არის დაკავშირებული. ჩემს მიერ ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევა ცხადჰყოფს, რომ სოციალური და კულტურული პროცესების კომპლექსები, მაგალითად, სოციალური ქსელები, პოლიტიკური მისწრაფებები/აქტივობები, ყოველდღიური საქმიანობა და ლოდინით განპირობებული ემოციური ყოველდღიურობა, იძულებით გადაადგილებულთა პაქტიკაში, პოლიტიკური ძალაუფლების აქტორთა გავლენების მიღმა არსებობს. დევნილთა სოციალური და კულტურული სივრცე უგულვებელყოფს ფიზიკურ ბარიერებს და დამოკიდებული ხდება აწმყოს ცვლილების სურვილით განპირობებულ ლოდინის განცდაზე.

ფიზიკური ბარიერების ემოციური უგულვებელყოფა, სახლად აფხაზეთის გააზრება, ასევე მოცლილობა და საერთო დისკუსიები, ქმნის თანამედროვე ყოფის სტატუს-კვოს, რომელიც გულისხმობს აპრიორი, ლოდინსა და მომავლის ცვლილების იმედიანი წარმოსახვის პირობას. კონფლიქტიდან დეკადების გასვლის შემდეგაც, დევნილების განცდები ქმნის ფრაგმენტული მეხსიერების ფონს, რითაც ისინი იმახსოვრებენ და აიდეალებენ აფხაზეთს, აკავშირებენ სახლის ცნებასთან და ლოდინის ფონზე ემოციურად ემზადებიან „სახლში“ დასაბრუნებლად. მიუხედავად იმისა, რომ დროის ფაქტორმა, ახალი ტერიტორიისადმი შეგუების განცდა წარმოქმნა, დევნილებისთვის სახლი, როგორც იდეა აფხაზეთშია.

„დევნილის ემოციების თანაგანცდას ვერ შეძლებ, თუ ეს კონფლიქტი საკუთარ თავზე არ გამოგიცდია“, მითხრა ერთერთმა მთხოვბელმა. ახალგაზრდა დევნილები, რომლებსაც ფიზიკურად არ გამოუცდიათ კონფლიქტი, მაგრამ უფროსი თაობის წარსული ამბების მატარებლებად იქცნენ, სახლად, უფროსების მსგავსად, აფხაზეთს გაიაზრებენ და იქ ჩასვლის ლოდინით აქაურ დროს, დევნილის სტატუსით „კლავენ“.

უფროსი თაობის მელანქოლიამ და აფხაზეთის, როგორც ადგილის გაიდეალებამ, ახალგაზრდებს მემკვიდრეობით გადასცა ლოდინის პროცესი, რომელიც მიღებულია მშობლების, ბებია-ბაბუების მიერ მოყოლილი ბიოგრაფიების მეშვეობით.

ემოციურად თხრობას და სასიამოვნო წარსულის განცდების გაზიარებას მსმენელისთვის შთაბეჭდილების მოხდენა შეუძლია. ტკბილად მოსაგონარი ამბები ჩემი ინფორმანტების თქმით, გახდა მიდგომა ახალგაზრდა თაობის აფხაზეთით დასაინტერესებლად, შესაყვარებლად და დროებით დაკარგული გეოგრაფიული არეალისადმი მიკუთვნებულობის განცდის შესაქმნელად. ადამიანები, რომლებიც დევნილობაში ცხოვრობენ, ქმნიან დროით და სივრცულ არათანმიმდევრულ რიტმებს, წასრული გამოცდილების საფუძველზე, რომელითაც ცხოვრობენ და აფხაზეთში დაბრუნებას ელოდებიან.

დამონშებული ლიტერატურა:

ბელქანია, მ. (2022), რისი წამოღებაც შევძელი, თბილისი

Alexander, J. C. (2004), Toward a theory of cultural trauma. *Cultural trauma and collective identity*, 76(4), 620-639.

Khutishvili, K. (2016), Across the Enguri Border: Lives Connected and Separated by the Borderland Between Georgia and Abkhazia. *Eurasian Borderlands: Spatializing Borders in the Aftermath of State Collapse*, 107-131.

Ingold, T. (2014), That's enough about ethnography! *Hau: journal of ethnographic theory*, 4(1), 383-395.

Bendixsen, S., Eriksen, T., H. (2018), Time and the Other: Waiting and Hope among Irregular Migrants. In Janeja Manpreet K. and Bandak Andreas (eds) *Ethnographies of Waiting*. London, Routledge 87-112. <https://doi.org/10.4324/9781003085317>

Goffman, E. 1963 [1966]. Behaviour in Public Places Notes on the Social Organization of Gatherings. New York: The Free Press.

- Manheim K. (1927 [1952])** The Problem of Generations. In Paul Kecskemeti (ed.), *Karl Mannheim: Essays* (Routledge, 1952, republished 1972), 276-322; 22-24 (introduction).
- Riano-Alcala, P. (2008)** Journeys and Landscapes of Forced Migration: Memorializing Fear Among Refugees and Internally Displaced Columbians. *Social Anthropology/Antropologie Sociale* 16(1): 1-18
- European Anthropology of Social Anthropologists
<https://doi.org/10.1111/j.1469-8676.2008.00036.x>
- Zigon, J. (2008)** *Morality: An Anthropological Perspective*. London: Routledge <https://doi.org/10.4324/9781003086147>
- Fassin, D. (2012)**, *A Companion to Moral Anthropology*. West Sussex: Wiley-Blackwell
- Wolter, N. (2023)**, Doing nothing? Dynamics of waiting among ageing internally displaced Cameroonian during the anglophone crisis, *Journal of Ethnic and Migration Studies* 49(4): 1050-1064
- Palmer, J. Pocock, C. Burton, L. Waiting (2017)**, power and time in ethnographic and community-based research. *Qualitative Research* 1-17
- Sutton, R. Vigneswaran, D. Wels, H. (2011)**, Waiting in liminal space: Migrants' queuing for Home Affairs in South Africa, *Anthropology Southern Africa* 34 (1): 30-37
- Turnbull, S. (2016)**, Stuck in the middle: Waiting and uncertainty in immigration detention. *Time & Society* 25(1): 61-79

Davit Patsatsia

Ethnographies of Waiting and Everyday Life on the Case of Zugdidi Settlement of Internally Displaced Persons

This article traces an ethnographic analysis of an internally displaced person's daily existence in Zugdidi IDPs' settlements, which is affected by the circumstances of the social process of waiting (for changes and returning to Abkhazia). This is about the cultural and social emotional state of IDPs as they wait and reflect on their daily

lives. After three decades of the armed conflict in Abkhazia, I have been interested in understanding IDPs' expectations and daily life activities. During the research, the focus was on their expectations and ways of defining and reflecting the notion of home. Due to the positive memories of Abkhazia being accompanied by the traumatic experience of eviction and being an IDP, their emotional attitude toward the past is ambivalent. The actuality of the research is guided by the need to understand what role the waiting process plays in IDPs' daily lives and how they adapt to their new living environment.

თეა ქამუშაძე

პაციენტის ეფექტი – როცა სახელმწიფო მართვული განვითარება¹

კოვიდპანდემია, როგორც გლობალური მოვლენა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო და დაგვანახა სირთულეები და გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას თანამედროვე ქართული საზოგადოება. ერთ-ერთი მთავარი, რაც კოვიდპანდემიამ ვირუსთან ერთად მოგვიტანა, იყო სახელმწიფო ინსტიტუტებთან უშუალო შეხება. პანდემიამ არსებითად წარმოაჩინა სახელმწიფოს როლი კრიზისულ პირობებში, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები. სახელმწიფო იყო ქვეყანაში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები და მათი აღმასრულებელი (Lehtinen & Brunila 2021). პანდემიის მართვის პირობებში, სახელმწიფო, უფრო საგრძნობი, კონკრეტული და ხელშესახები გახდა მოქალაქეებისთვის (Nyers 2006). ასეთ ვითარებაში გამოჩნდა მისი აღქმის პრობლემურობა, განსაკუთრებით, საზოგადოების ცალკეული ჯგუფების მხრიდან. შედარებით მძაფრად ეს იმ მოქალაქეებმა განიცადეს, რომლებსაც მანამდე მსგავსი გამოცდილება ნაკლებად, ან საერთოდ არ ჰქონიათ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სახელმწიფოს გაგება სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფისათვის განსხვავებული შინაარსებით დაიტვირთა და წინააღმდეგობრივ გამოცდილებად ჩამოყალიბდა. დამოუკიდებელმა ქართულმა სახელმწიფომ კი, ჯერაც ვერ მოახერხა საკუთარი მოქალაქეების დარწმუნება თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის შესაძლებლობაში (ზვიადაძე, ჯიშკარიანი 2018). თანასწორობის საკითხი წარმოჩნდა მთელი სიმწვავით პანდემიის მართვის პირობებში, რო-

¹ ტექსტი-კვლევა მომზადდა შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, გრანტის №FR-21-14562.

დესაც ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ორი მუნიციპალიტეტი, მარნეული და ბოლნისი ჩაიკეტა. თანასწორობის უზრუნველყოფა, კომუნიკაციის გზების ძიება საკუთარ მოქალაქეებთან და ვირუსის გავრცელების თავიდან აცილება იქცა ქართული სახელმწიფოს თვითგამოხატვის ფორმად კოვიდრეალობაში. რეალობა, რომელიც უფრო მეტი აღმოჩნდა, ვიდრე პანდემიის მართვა, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის რთულ და ხანგრძლივ გზაზე ქართულ საზოგადოებაში, სახელმწიფოს სისუსტეებსა და, რიგ შემთხვევაში, მის უუნარობაზე თანაბრად უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების დაცვა. პანდემიის პირობებში გამოცხადებული საკარანტინო ზონების ახლოდან გაცნობა, იმ საზოგადოების თავისებურებებს დაგვანახებს, რომელიც ვირუსთან ერთად უცხოდ მოინიშნა.

სტატიაში შევეცდები გამოვკვეთო სახელმწიფოს როლი პანდემიის პერიოდში, თუ როგორ აღიქმებოდა მისი ცალკეული გადაწყვეტილება თუ ქმედება, აზერბაიჯანული თემის მხრიდან. ამ საკითხებზე მსჯელობისათვის, მარნეულში განვითარებული მოვლენებიდან მოვიხმობ მაგალითებს. საინტერესოა, თუ როგორ გამოჩნდა სახელმწიფო კრიზისის პერიოდში, რას მოელოდა და რა მიიღო მისგან მოსახლეობამ. რა გამოაჩინა ვირუსის საფრთხის გაცნობიერებამ ქართულ საზოგადოებაში და როგორ გაუუმკლავდით იმ გამოწვევებს, რომლებიც პანდემიამ ხელახლა და უფრო მეტი სიმწვავით დააყენა დღის წესრიგში. სტატიაში, ვეცდები მოვახდინო ადგილის, როგორც ტერიტორიის, კონცეპტუალიზება. რით არის იგი გამორჩეული, რეგიონისა თუ ქვეყნის მასშტაბით? რატომ ჩაკეტეს მარნეული პანდემიის საწყის ეტაპზევე?¹ შევეცდებ იმის გარკვევას, თუ ზოგა-

¹ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2020 წლის 23 მარტიდან მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტები ჩაიკეტა, საკარანტინო ზონებად გამოცხადდა. “შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სრული კოორდინაციით,

დად როგორია მარნეულის, როგორც ადგილის, აღქმა საქართველოს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ საზოგადოებებში. როგორ აყალიბებს ჩვენს წარმოდგენებს საკუთარი თავისა და „სხვის“ შესახებ. შესაბამისად, ვიმსჯელებთ ლოგიკაზე, რომელმაც სახელმწიფო ამ მუნიციპალიტეტების ჩაკეტვის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. რამდენად შესაძლებელია ამ მომენტის კონცეპტუალიზება, როგორც „საომარი ვითარებისა“, როდესაც პანდემიის პირობებში, ძალაუფლების გამოვლენა პოლიტიკური ონტოლოგიის ნაწილად იქცევა. როგორ ცდილობს სახელმწიფო არსებული შფოთვის სამართავად ომის ეფექტის გამოყენებას. ამგვარად საერთო შფოთვა და დაუცველობის განცდა, შიშის სახით ფორმირდება, რომელიც უფრო ადვილად კონტროლირებადი და მართვადია. ლეტინენი და ბრუნილა სტატიაში, პანდემიის პოლიტიკური ონტოლოგიის შესახებ, ცდილობები აჩვენონ, თუ როგორ მივყავართ სახელმწიფოს მხრიდან ომის ონტოლოგიის გამოყენებას (Lehtinen & Brunila 2021).

სტატიაში ასევე განვიხილავ, მოსახლეობის რეაქციას ჩაკეტვისა და შეზღუდვების დაწესებაზე, როგორც სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ უკიდურეს ზომებზე. პროტესტის რა გზები და ფორმები აირჩია რაიონის მოსახლეობამ უკმაყოფილების გამოსახატავად. რამდენად ორგანიზებული იყო პროტესტი და რა კონკრეტული შედეგები მოჰყვა ამ წინააღმდეგობას. სტატიაში ასევე ვისაუბრებ ადაპტაციის იმ გზებზე, რომლებიც მოსახლეობამ პანდემიასთან, სახელმწიფო რეგულაციებთან თანაცხოვრებისათვის გამონახა. აქვე შევეხები აზერბაიჯანული თემისათვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ტრადიციულ ელემენტს – ქორწილს, რომელიც პანდემიის გამო არსებითად შეიზღუდა. შესაბამისად, ქორწილების „ფარულად“ გამართვა, პანდემიის გარკვეული ეტაპიდან მოყოლებული,

თავდაცვის ძალები მარნეულისა და პოლინისის მუნიციპალიტეტებთან იცავს სპეციალურ გამშვებ პუნქტებს” (რადიო თავისულფეხა 2020)

პროტესტის სხვა ფორმებთან ერთად, შეიძლება სახელმწიფო სანქციების მიმართ თავისებურ პასუხად, რეაქციად განვიხილოთ. სტატიის დასკვნით ნაწილში კი შევაჯერებთ მიღებულ გამოცდილებას, რომელიც მარნეულში პანდემიასთან ერთად სახელმწიფოს გამოჩენას და მასთან უშუალო შეხებას მოჰყვა. ვიმსჯელებთ აზერბაიჯანული თემის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესზე, როგორიც პანდემიური რეალობის ნაწილზე.

ნაშრომი ეფუძნება, როგორც საველე ეთნოგრაფიულ კვლევას, ისე არსებული სამეცნიერო და პერიოდული გამოცემის მიმოხილვას. სპეციალურად კვლევისათვის, ჩავწერე რვა ჩალრმავებული ინტერვიუ იმ ადამიანებთან, რომლებსაც პანდემიის პირობებში მოუწიათ სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ყოფილიყვნენ ერთგვარი „შუამავლები“, ჩართულიყვნენ იმ საკითხების მოგვარებაში, რომლებსაც სახელმწიფო და მოქალაქეები ვერ ართმევდნენ თავს. ჩემი მთხოვნებელი საუბრობდნენ მარნეულის მოსახლეობის წუხილებზე, იმ განცდებისა და გამოცდილების შესახებ, როგორადაც კოვიდრეალობა იქცა უმცირესობებით დასახლებულ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში.

ყველა ინტერვიუ ჩაწერილია ქართულ ენაზე. 8 მთხოვნებიდან, 6 ეთნიკურად აზერბაიჯანელია, რომელთაც ქართული ენის სწავლების შესაძლებლობა არა ბავშვობაში, არამედ, მოგვიანებით მიეცათ. დანარჩენი ორი, მარნეულში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი და სომეხი ინფორმანტები, ამ რაიონისათვის უმცირესობაში მყოფ ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ. ექვსი ეთნიკურად აზერბაიჯანელი მთხოვნებელიდან, მხოლოდ ერთი არ ცხოვრობს მარნეულში, თუმცა, აქტივისტური საქმიანობით მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მასთან. ამ საკითხების ეთნოგრაფიულ კვლევას, პანდემიის დასრულების შემდეგ შევუდექი, თუმცა ჩემი პროფესიული და ყოველდღიუ-

რო საქმიანი გამოცდილებით ათ წელზე მეტია ვთანამშრომლობ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანულ თემთან და ახლო-დან ვაკვირდები ინტეგრაციის რთულ პროცესს. გარდა იმისა, რომ ქართულ ენას ვასწავლი საქართველოს აზერბაიჯანულ და სომებ მოქალაქეებს, წლების განმავლობაში ჩართული ვიყავი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის „1+4“ პროგრამის ადმინისტრირებაში, მათ შორის, პანდემიის პერიოდში. სტატიაში წარმოდგენილი კვლევა ჩემს პირად რეფლექ-სიებსაც ეფუძნება. ჩემი მთხოვბელების გახსნილობასა და გულწრფელობას ისიც განაპირობებს, რომ მათგან ნახევარს, ბევრი წელია ვიცნობ. მთხოვბელთა შერჩევისას ბევრი ფაქტო-რი გავითვალისწინე. გარდა იმისა, რომ მთხოვბელები უშუა-ლოდ უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი მარნეულთან, მოვ-ლენების ფართო პერსპექტივის წარმოსაჩენად, ვეცადე მათი განსხვავებული გამოცდილებაც გამეთვალისწინებინა. ერთ-ერთი მთხოვბელი პანდემიის პერიოდში ადგილობრივ ხელისუფ-ლებაში, მარნეულის მერიაში მუშაობდა. ამდენად იგი სახელ-მწიფო პოლიტიკის გამტარებელი და მისი წარმომადგენელიც იყო მოსახლეობისათვის. ამის გათვალისწინებით, როდესაც მის მოსაზრებებს დავიმოწმებ, მას შეცვლილი სახელით მოვიხსენი-ებ. დანარჩენ მთხოვბელებს, თემატიკის მგრძნობელობის მიუ-ხედავად, მათივე ნებართვით, საკუთარი სახელით მოვიხსენიებ.

ეთნოგრაფიული კვლევის გარდა, რაც მარნეულის რაიონულ ცენტრსა და მის სოფლებში გასვლას გულისხმობდა, ორე-ნოვანი კითხვარის საშუალებით, გამოვკითხე მარნეულში მცხოვრები 30 მოქალაქე. შევეცადე ანონიმური გამოკითხვის გზით (ლია კითხვების საშუალებით), მიმეღო ინფორმაცია პან-დემიასთან და მარნეულის ჩაკეტვასთან დაკავშირებული მათი გამოცდილების შესახებ.

რაც შეეხება კვლევის თეორიულ ჩარჩოს, ეთნოგრაფიუ-ლი მასალა გაანალიზებულია ჯეიმს სი სკოტის მიერ შემოთავა-

ზებულ სახელმწიფოსა და ლოკალური თემის ურთიერთობის კონტექსტში «Legibility»-ს გაგებაში. ეს ტერმინი ქართულად შეიძლება ითარგმნოს გარჩევადობად/წაკითხვადობად, როდე-საც რაღაც იმდენად მკაფიოა, რომ მისი წაკითხვაც/გაგებაც შე-საძლებელია. გარჩევადობა, როგორც წაკითხვის შესაძლებლობა, სახელმწიფოს სისტემისათვის აუცილებელი პირობაა სამარ-თავად, მანიპულაციისა და ექსპლუატაციისათვის. როდესაც სახელმწიფო ვერ ახერხებს ცალკეული ტერიტორიის სრულფა-სოვან მართვას, არ ესმის ადგილობრივი მოსახლეობის, ხალხის ლოკალური თავისებურებების და განაგრძობს მცდელობას, ამის ერთ-ერთი შედეგი, ეფექტი, შეიძლება იყოს გარჩევადობის გაზრდა. ჯეიმს სი სკოტი სხვადასხვა მაგალითის საშუალებით საუბრობს სახელმწიფო ინსტიტუტების, როგორც მაღალი მო-დერნული იდეოლოგიების მატარებელი ინსტიტუტების კრახზე, საკუთარი სადავეების ქვეშ მოაქციონ ვრცელი ტერიტორიები და აკონტროლონ ისინი ტექნოლოგიური პროგრესის ან რაიმე სხვა აუცილებლობის სახელით (ამ შემთხვევაში, პანდემიის). ჯეიმს სი სკოტი ოთხი ფაქტორის კომბინაციაზე საუბრობს, როდესაც მაღალი ტექნოლოგიები (პანდემიის პირობებში, სწო-რედ ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში), რომელთა აღსრულების ბერკეტებსაც სწორედ სა-ხელმწიფო ფლობდა) უპირისპირდება ადგილობრივ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც იგი ძველი ბერძნული მითოლო-გიდან ნასესხები სიტყვით, „მეტისი“, გამოხატავს. სკოტის მი-ერ დამკვიდრებული ტერმინი „მეტისი“ შეესაბამება ადგილობ-რივ ცოდნას, რომელიც ემპირიულ გამოცდილებას ეფუძნება, კომპლექსურია და გულისხმობს ლოკალურ, ეკონისტემასთან თანაცხოვრების უნიკალურ გამოვლინებას, ესაა სიბრძნე და ეშმაკობა ერთდროულად (Scott 2020).

პანდემიის შემთხვევაში სახელმწიფომ ჩაკეტა ქვეყნის ის ტერიტორიები, რომელთა “წაკითხვაც” წაკლებად შეეძლო, რა-

თა კონტროლის გზით, ისინი უფრო მეტად «წაკითხვადი» გაესადა. პანდემიის პირობებში, სახელმწიფო წარმოჩინდა, როგორც ადმინისტრატორი, რომელიც აკონტროლებს საზოგადოებასა და ბუნებას, რომელიც დარწმუნებულია და ეფუძნება ტექნილოგიური პროგრესის პათოსს, ხოლო სამართავად ფიზიკურ ძალას ეყრდნობა. იგი არჩევს ისეთ სამოქალაქო საზოგადოებას, სადაც მისი კონტროლი ნაკლებად ვრცელდება. ასეთად შეიძლება დავინახოთ და აღვწეროთ 2020 წლის პანდემიური რეალობა ქართულად, როდესაც სახელმწიფო შეხვდა საკუთარ მოქალაქეებს მარნეულსა და ბოლნისში.

ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, საქართველოში ახალი ვირუსის, კოვიდ-19-ის გამოჩენას, დიდი წინააღმდეგობა და განსხვავებული ინტერპრეტაციები მოჰყვა. მოლოდინი ვირუსის შესაძლო გავრცელების შესახებ საქართველოში 2020 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან გაძლიერდა. ვირუსის გავრცელების დინამიკა ლოგიკურად გულისხმობდა მოლოდინს, რომ ის საქართველოშიც გამოჩნდებოდა. ამის მანიშნებელი იყო საჯარო დისკუსიები დისტანციური სწავლების შესაძლებლობა-სა და ვირუსის გავრცელების სხვა პრევენციული ზომების შემოღებაზე. ვრცელდებოდა ინფორმაცია უპანის ჩაკეტვის შესახებ (რადიო თავისუფლება 2020). ევროპაში, განსაკუთრებით კი, იტალიაში შექმნილი ვითარება დრამატულად და სიმძაფრით შექდებოდა (კუნძულია 2020; მათითამშვილი 2020). ვირუსის გეოგრაფიის ზრდასთან ერთად, მისი საქართველოში გამოჩენის ალბათობაც კიდევ უფრო რეალური ხდებოდა. თუმცა საკითხი ასე იდგა – როდის, საიდან და ვინ იქნება პირველი?

კოვიდით დაინფიცირებული პირველი პაციენტის გამოვლენა, გასცდა სამედიცინო ინტერესს და ფართო საზოგადოებრივი დისკუსიების დაუსრულებელ წყაროდ იქცა. პირველი კოვიდპაციენტის შესახებ ინფორმაცია საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს გავრცელდა. საქართველოს ჯანდაცვის მინის-

ტრი საგანგებო განცხადებით გამოეხმაურა შემთხვევას და ქვეყნის მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდა მოსალოდნელი რისკების შესახებ (რადიო თავისუფლება 2020). ამ ბრიფინგი-დან დაიწყო ახალი რეალობა, რომელიც უცხო, ძნელად შესაგუებელი და დრამატული აღმოჩნდა. პირველი პაციენტის გამოვლენასთან ერთად გამოიკვეთა ტენდენციები, რომლებიც სამოქმედო გეგმებად და პოლიტიკის ნაწილადაც იქცა სახელმწიფოს მხრიდან.

რა გავიგეთ და რა შეიძლება გამოვყოთ ამ მომენტიდან:

- პირველი დაინფიცირებულის მოძრაობის ტრაექტორია: რაც გულისხმობდა საქართველოს მოქალაქის ვიზიტს ირანში და უკან დაბრუნებას აზერბაიჯანის გავლით. ამ მოცემულობიდან გავიგეთ, რომ საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაინფიცირდა, იყო ეთნიკურად აზერბაიჯანელი, დაინფიცირების ადგილი კი – ირანი. იმ მომენტისათვის ირანის ისლამური რესპუბლიკა, უკვე ვირუსული ინფექციის მნიშვნელოვან კერად იყო წარმოდგენილი მედიაში;
- დაინფიცირებული პაციენტის ლოკალური თემის დაგენა: პირველი დაინფიცირებული საქართველოში აღმოჩნდა საქართველოს მოქალაქე, აზერბაიჯანული თემიდან. საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, ნაკლებად ან თითქმის არ ფლობენ ქართულ ენას. ქართული ენის არცოდნა, ხშირად, მათ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების მიღმა ტოვებს. როდესაც ცნობილი გახდა, რომ პირველი კოვიდინფიცირებული პაციენტი, 50 წლის აზერბაიჯანულენოვანი მამაკაცი იყო, ეს ნიშნავდა, რომ იგი, სამმაგად უცხოდ (ეთნიკურობასა და რელიგიურობას დამატებული ვირუსი). შესაბამისად, საფრთხედ მოინიშნა;

➤ ეპიდემიოლოგიური ვითარების გამწვავების მოლოდინი და ტენდენცია: პირველი ინფიცირებულის გამოვლენის ფაქტის რეზონანსულობა უკვე ქმნიდა ნიადაგს, რომ შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოში გამოცდილი პრევენციული ზომების საქართველოში გადმოტანა, „ლოკდაუნი“, საკარანტინო ზონა, კომენდანტის საათი და ა.შ.

პირველი პაციენტის გამოვლენასა და მისი ვინაობის დადგენას მოჰყვა სახელმწიფო გადაწყვეტილება ჩაეკეტა მარნეული და ბოლნისი.

ჩემთვის, პანდემიის პერიოდში, ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი შთაბეჭდილება, ტელევიზიით, მარნეულის შესასვლელთან სამხედროებისა და გამშვები პუნქტის დანახვა იყო. პანდემიის ომთან გაიგივება მსოფლიო ლიდერების რიტორიკის ნაწილადაც იქცა, თუმცა სამხედრო ნაწილების ჩართვა ამა თუ იმ ტერიტორიის გასაკონტროლებლად, თვისებრივად ცვლიდა რეალობის აღქმას ლოკალურ დონეებზე. სამხედროების საშუალებით კონკრეტული მუნიციპალიტეტის იზოლირება დანარჩენი საქართველოსგან, საფრთხედ მონიშვნით, ერთი მხრივ, იქ მცხოვრებ ადამიანებს აიგივებდა ვირუსთან, ხოლო მეორე მხრივ, იქ მცხოვრებლებს უქმნიდა განცდას, რომ ისინი გაიმეტეს, განირეს და დასაჯეს როგორც „სხვა“.

პანდემიის გამოცხადებიდან დაახლოებით ორი წლის თავზე, კამილას მარნეულში, სათემო რადიოს ოფისში ვენვიე. კამილა რადიო „მარნეულის“ დამფუძნებელია და ფიქრობს, რომ მნიშვნელოვან საქმეს ემსახურება როგორც საკუთარი თემის ინტეგრაციის, ისე ქვეყნის განვითარების კუთხით. ერთ-ერთი პირველი, რისი გახსენებაც კამილას ვთხოვე, პანდემიის გამოცხადება და ამასთან დაკავშრებული პროცესები იყო. მან თქვა, რომ კოვიდი სრულიად დაუჯერებელი იყო, ვირუსი სერიოზულად არ აღიქმებოდა. მას თავისი მოსაზრება აქვს, თუ რატომ ჩაეკეტეს მარნეული.

„მე ჩემი აღქმა მაქვს, რატომ მოხვდა მარნეული [მოვლენების] ეპიცენტრში, რატომ არ გვჯეროდა, იმიტომ რომ, როცა საქართველოში რაღაც ხდება, აზერბაიჯანულ თემს ეს არ ეხება, ანუ ყოველთვის რაღაც ხდება საქართველოში და ჩვენ უბრალოდ შორიდან ვაკვირდებით. ამოვარდნილები ვართ მოვლენებიდან, ზუსტად ასეთი აღქმა იყო კოვიდის დროს, რომ ეს ყველაფერი სადღაც ხდება და საქართველოშიც რომ ხდება, ჩვენამდე მაინც არ მოდის. იმიტომ რომ ჩვენამდე არასდროს არაფერი არ აღწევს. კონტაქტი, სიახლოვე ფსიქოლოგიური არ არსებობს. მარნეულელი გამოყოფილია, ცალკეა“ (კამილა 2022).

იგი იხსენებს, რომ მარნეულის ჩაკეტვას მოჰყვა-რი პანიკა და დაჩაგრულობის განცდა, იყო ინფორმაციის დეფიციტი, რაც დეზინფორმაციის გავრცელებისათვის ნოუიერ ნიადაგს ქმნიდა. ამ ყველაფერს ემატებოდა სიძულვილის ენის გააქტიურება. თუმცა, ამაზე მეტად მას მოსახლეობის იმ ნაწილის განცდები დაამახსოვრდა, რომელსაც სახელმწიფომ უთხრა, რომ უბრალოდ უნდა დაკეტონ მაღაზიები და სახლში დასხდნენ.

„ახსნის მაგივრად [სახელმწიფო] გეუბნება, დახურე მაღაზია, მე მოვიტან პურს და „გრეჩკას“. ეს ადამიანები არავისზე არ იყვნენ დამოკიდებულნი, სახელმწიფოზე მით უმეტეს, ყველაზე ბოლოს აქაურ ხალხს სახელმწიფოს იმედი აქვს, ამიტომ ყოველთვის საკუთარი ძალებით ნაშოვნი პურის ფულის იმედი აქვთ. უცებ სახელმწიფო გეუბნება, დახურე ის, რაც შენ შეჰქმენი, ჩემი მონაწილეობის გარეშე“ (კამილა 2022).

კამილას დაკვირვებით, ადგილობრივ მოსახლეობას სახელმწიფოსთან შეხება თითქმის არ აქვს, ერთადერთი კავშირი სახელმწიფოსთან პენსიაზე გასვლის შემდგომ, პენსიის დანიშ-

ვნისას მყარდება.¹ მთავარი პრობლემა, მისი აზრით, იყო კომუნიკაციის დეფიციტი, ან მისი არარსებობა. მან დანახულით აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ იყენებდა და ნაკლებად თანამშრომლობდა სათემო რადიოსთან, რომელიც მუნიციპალიტეტში სამ ენაზე მაუწყებლობს. მისი აზრით, პანდემიამ წარმოაჩინა, რომ ჩვენი სახელმწიფო ძალიან სუსტია ინტეგრაციის საკითხებში, უჭირს კომუნიკაცია საკუთარ მოსახლეობასთან, შესაბამისად, მოსახლეობა არ ენდობა მას.

2020 წლის აპრილის ინტერვიუში კამილა ხსნის კარანტინის საწინააღმდეგო პროტესტის მიზეზებს. აქ იგი ამბობს, რომ მარნეულის მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულია და მათი საქმიანობა სოფლის მეურნეობას უკავშირდება. შესაბამისად, საკარანტინო ზომებითა და გადაადგილების შეზღუდვით, მათ განსაკუთრებულად იზარალეს.

„უმეტესობას აგროსესებები აქვს აღებული და ეს ყველა-ფერი სესხით აქვთ გაკეთებული. უბრალოდ ისინი ცხოვრებაში პირველად სახელმწიფოზე გახდნენ დამოკიდებულები“ (კამილა 2020).

პირადად მისთვის, სახელმწიფოს სიმბოლოდ, პანდემიის პერიოდში, ის ჯარისკაცები და პოლიციელები იქცნენ, რომლებიც ე. წ. საკარანტინო საზღვარს აკონტროლებდნენ. ისინი „საზღვართან“ მოსულ ხალხს შენიშვნებს აძლევდნენ „ზედმეტი“ მოძრაობის გამო. როგორც კამილა იხსენებს, გამშვებ პუნქტთან სულ დაძაბულობა იყო. მისი აზრით, პანდემიის პერიოდში, სახელმწიფომ, ზრუნვის ნაცვლად, ძირითადად კონტროლის ფუნქცია აიღო საკუთარ თავზე.

¹ ეთნიკური უმცირესობების დაბალ ჩართულობასა და მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს მასშტაბით ჩატარებული კვლევები ადასტურებენ (ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, 2019, ეთნიკური უმცირესობებისთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა კვლავ მნიშვნელოვან გამოვევად რჩება, 2021, გაბუნია, ამირეჯიბი 2021; მელიქიშვილი, ჯანიშვილი 2021).

სახელმწიფოს როლის მიმართ, პანდემიის მართვის პერიოდში, განსაკუთრებულად კრიტიკულია ქამრანი, რომელიც თბილისში, არასამთავრო ორგანიზაციაში მუშაობს. იგი აქტიურადაა ჩართული ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის საქმეში. ქამრანი, გარდა იმისა, რომ საკუთარი საქმიანობითაა დაკავშირებული მარნეულთან, ასევე იხსენებს, რომ ბავშვობაში, ზაფხულობით, ხშირად ჩადიოდა მამიდასთან, სოფელ ალმამედლოში. მისი წარმოდგენით, მარნეული თავისებური ცენტრია ეთნიკური აზერბაიჯანელებისათვის. ეს არის ადგილი, სადაც ვხვდებით ჩაიხანების კულტურას, ესაა სივრცე, სადაც აზერბაიჯანული ისმის და მეტი აზერბაიჯანელი ჩანსო. მისივე აზრით, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ პირველად და ყველაზე ხანგრძლივად სწორედ მარნეული ჩაიკეტა საქართველოში.

„ალბათ ხელისუფლებაში ფიქრობდნენ, რომ იქ სიტუაციას ვერ მართავდნენ, მათ შორის ენობრივი ბარიერის გამო, ხიდჩატეხილობის გამო. რთულია, როცა არ გაქვს მედია, რომელიც ჯანდაცვის მინისტრის საუბარს მიაწოდებს ქვეყნის მოსახლეობას, მათთვის გასაგებ ენაზე“ (ქამრანი 2022).

იმის საიდუსტრაციოდ, თუ როგორი მომხმარებლური დამოკიდებულება გამოხატა მთავრობამ მუნიციპალიტეტის მიმართ, მან გაიხსენა კონკრეტული მაგალითი, როდესაც მაშინდელი პრემიერი მარნეულის შესასვლელთან, ბარიერებთან მივიღდა და განაცხადა, რომ საქართველოს მოსახლეობამ არ უნდა იღელვოს, მარნეულიდან, აუცილებლად გამოიტანენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს დანარჩენ საქართველოში. როგორც იგი იხსენებს, ქვეყნის მაშინდელ პირველ პირს არაფერი უთქვამს მარნეულელების ჯანმრთელობაზე, მათ გაფრთხილებასა და დაცვაზე.

„სახელმწიფო არ ზრუნავს შენზე [მოქალაქეზე], შენს ჯანმრთელობაზე, ზრუნავს იმაზე, რომ შენს მიერ წარმოებული პროდუქტი გაიტანოს, მაგრამ არა შენზე“ (ქამრანი 2022).

მისივე თქმით, როცა მარნეული და ბოლნისი ჩაიკეტა, ხალხი ფიქრობდა, რომ ვირუსი არ არსებობდა, ისინი არ იყვნენ ქართულ საინფორმაციო ველში მოქცეულნი. მართალია, უყურებდნენ აზერბაიჯანულ და თურქულ არხებს, მაგრამ აქ მთავარი ის იყო, რომ ქართული და აზერბაიჯანული თემი ერთ ტალღაზე არ ყოფილა. თუმცა, ქამრანს ისიც კარგად ახსოვს, რომ ქართულენოვან საზოგადოებაშიც იყო კოვიდსკეფსისი, განსაკუთრებით, პირველ ეტაპზე.

სახელმწიფოს მხრიდან გამოხატულ მზრუნველობაზე მეტად, მისი სადამსჯელო სახის წარმოჩენის მაგალითად, ქამრანს ახსენდება, თუ როგორ მიმართეს მარნეულის ერთ-ერთი სოფლიდან მის ორგანიზაციას დახმარებისათვის. კაცი, რომელმაც არ იცოდა კომენდანტის საათის შესახებ, პურის საყიდლად გავიდა და სახელმწიფომ 3000 ლარით დააჯარიმა. ქამრანმა თქვა, რომ სახელმწიფოსთან დავის ეს შემთხვევა წარმატებით დასრულდა, გააუქმებინეს ჯარიმა. თუმცა მისი გამოცდილებით, ასეთი შემთხვევა მარნეულში ცოტა არ უნდა ყოფილიყო. მისივე თქმით, თითქმის ყველა სოფელში ერთი ან რამდენიმე მაინც ხვდებოდა, ვინც ან თავად დაჯარიმდა, ან ფაქტის შესახებ იცოდა. ჯარიმებთან დაკავშირებით, სამირამაც გაიხსენა შემთხვევა, როცა ასაკოვანი მამაკაცი საათიში დააჯარიმეს, იმის გამო, რომ საკუთარ ნაკვეთში ბალახს აგროვებდა. დავითმაც ლიმილით გაიხსენა, რომ მის სოფელში, შაუმიანშიც დააჯარიმეს რამდენიმე მისი თანასოფლელი,¹ თუმცა გადახდაზე არც უფიქრიათ, საბოლოოდ კი აღარც მოუწიათ, თქვა მან.

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან ჩემს მიერ გამოთხოვილი სტატისტიკური მონაცემები პანდემიის პერიოდში (2020 წლის 21 მარტი – 22 მაისი) რეგულაციების დარღვევების შესახებ ასახავს ვითარებას. ჯარიმების

ყველაზე რთული და დაუძლეველი პრობლემა პანდემიის პირობებში ენობრივი ბარიერი იყო, რომელზეც ყველა მთხოველი ამახვილებს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო გადაწყვეტილებები და ოფიციალური პირების გამოსვლები ითარებინებოდა, ცალკეულ შემთხვევებში, ეს საკმარისი არ ყოფილა. მუნიციპალიტეტში არსებული ვითარება, საინფორმაციო კუთხით, ვაკუუმის განცდას ქმნიდა. ენობრივი ბარიერი ისევ აქტუალური გახდა უშუალოდ მარნეულში, კარანტინის დასრულების შემდგომ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული კომპენსაციების განაცხადების შევსებისას. სახელმწიფო ეხმარებოდა მათ, ვისაც პანდემიის გამო სამუშაოს შეწყვეტა მოუწია (მთავრობის №286 დადგენილება). 18 წლამდე ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების მისაღებად ასევე საჭირო იყო განაცხადის შევსება ქართულ ენაზე (მთავრობის №286). ენობრივი ბარიერის გამო, ეს სიკეთე საქართველოს ყველა მოქალაქესათვის თანაბრად ხელმისაწვდომი ვერ იქნებოდა, რადგან აპლიკაცია მხოლოდ ქართულ ენაზე ივსებოდა. ქამრანი იხსენებს, რომ მან და მისმა მეგობრებმა ორგანიზაციიდან, 11 დღეში, 500 ბენეფიციარი დაარეგისტრირეს მარნეულის სოფლებიდან, რომელთაც თავად ამის გაკეთება უბრალოდ არ შეძლოთ.

გიულგუნი, ერთადერთია თავის სოფელში, რომელიც ქართულს თავისუფლად ფლობს და როცა პანდემია დაინყო, მაშინ უნივერსიტეტში სწავლობდა. ჩაკეტილი მარნეულიდან,

რაოდენობით ქვემო ქართლი (1972 შემთხვევა) მეორე ადგილზეა თბილისის (2513 შემთხვევა) შემდგომ. რომ შევადაროთ სხვა რეგიონებს, მაგალითად ჯარიმების რაოდენობით ქვემო ქართლი აჭარბებს ერთად აღებულ იმერეთში რაჭა-ლეჩებულისა და ქვემო სვანეთში დაფიქსირებულ შემთხვევებს (577 შემთხვევა). ასევე ჩამორჩება მას შიდა ქართლი (559 შემთხვევა). ასევე საგულისხმოა, რომ მას ჩამორჩება სამცხე-ჯავახეთიც (230 შემთხვევა), სადაც ასევე გზედება ეთნიკურ უმცირესობათა დასახლებები. ეს რეგიონი მხოლოდ გურიას (162 შემთხვევა) უსწრებს ამ მაჩვენებლით.

უურნალ „ინდიგოსთვის“ მოწერილ მის წერილებში ვკითხულობთ:

„დღეს დილას ყველას მოგვივიდა მესიჯი ტელეფონზე. მთავრობა გვთხოვს კარანტინის წესები დაიცავითო. მამაჩემა დამიძახა, მოდი, ერთი, გვითარგმნე, რას იწერებიანო. ჩემ გარდა ქართულად არავინ არ ლაპარაკობს ოჯახში. მეზობლებსაც მე ვუთხარი, რა ეწერა. სალამოს ისევ მოვიდა მესიჯი მთავრობისგან. აზერბაიჯანულად. ის მოიწერეს, რაც დილას მამაჩემს გადავუთარგმნე. გაიგებს ეხლა ყველა“ (გიულგუნი 2020).

გიულგუნი ნაწილობრივ იუმორით იხსენებს იმას, რაც პანდემიისა და კარანტინის პერიოდში ემოციურად რთულად გადაიტანა. მას ჰქონდა წვდომა ქართულ საინფორმაციო არხებზე, ასევე სოციალურ ქსელებზე, შესაბამისად, მისთვის უსიამოვნო იყო ის გალიზიანება, რაც სოციალური ქსელებიდან ვირუსის გავრცელების ბრალდებით საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებსა და მარნეულელებს მიემართებოდა. მაშინ კი ძალიან განიცადა, თუმცა, მისი აზრით, სიძულვილის ენის გამომხატველ პოსტებს ცალკეული დაინტერესებული ჯგუფები, უფრო ავრცელებდნენ, კერძო მიზნების განსახორციელებლად.

გიულგუნს წლებია ვიცნობ, თუმცა მასთან სტუმრობა, 2022 წლის ოქტომბერში მოვახერხე. მისი სოფელი თექალო, მარნეულის ცენტრიდან 27 კილომეტრითაა დაშორებული, სადახლოს მიმართულებით, ცენტრალური გზიდან მარჯვნივ უნდა გადაუხვიო. სოფლად, ჩემთვის, ყველაზე თვალში საცემი ის იყო, რომ ეზოები მთლიანად ბოსტნეულის სათბურებისთვის ჰქონდა გამოყენებული. ძალიან იყო მოსავალი, რომელიც ეზოებში გაშენებულ ბოსტნებში გარედან ჩანდა. გიულგუნის ეზოცარკი ლობიოსა და კიტრის მაღლარებს ეკავა. გიულგუნმა ამიხსნა, რომ ამ ღია და დახურულ სათბურებში ყოველდღიური,

მძიმე რუტინული სამუშაოა. ყოველ მესამე დღეს, მანქანა მოდის, რომელიც მათ ბოსტნეულს იბარებს. მუდმივად არა, მაგრამ როცა სოფელშია, ყოველთვის ეხმარება ოჯახს ბოსტნეულის კრეფასა და დახარისხებაში. პანდემიის პერიოდი, მან სოფელში გაატარა. მასთან ხშირად მოდიოდნენ მეზობლები და რაღაცებს ეკითხებოდნენ, აზუსტებდნენ ინფორმაციას და თავიანთ გასაჭირსაც უზიარებდნენ. მას უკავშირდებოდნენ სხვადასხვა ორგანიზაციიდანაც და ეკითხებოდნენ, რა მდგომარეობა იყო სოფელში. ერთხელ, მარნეულის რადიოდან დაუკავშირდნენ და სთხოვეს სოფლად, იმის თაობაზე, თუ რა აწუხებდა მოსახლეობას კარანტინის პირობებში, ვიდეო გამოკითხვა ჩატარებინა. გიულგუნს ვთხოვე, გამოკითხვის შედეგები ჩემთვისაც გაეზიარებინა. ყველაზე მეტად, რაც მაშინ მოსახლეობას აწუხებდა და ღიად აფიქსირებდნენ, მოსავლის რეალიზაციის საკითხი იყო. მისი თქმით, სოფლის მოსახლეობა დიდწილად სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზეა დამოკიდებული. ეკონომიკურად ძალიან გაუჭირდა ხალხს, მით უფრო, რომ ნაწილს სესხი ჰქონდა აღებული. გიულგუნს ზუსტად არ ახსოვს, მონაწილეობდნენ თუ არა მისი სოფლიდან საპროტესტო აქციებში, მაგრამ მარნეულში რომ იმართებოდა, ეს ფაქტი კარგად ახსოვს. დამატებით, პანდემიის პერიოდში გამოკვეთილ პრობლემებზე ვკითხე. დაფიქრდა და მითხრა, რომ ქალები კიდევ უფრო დაიტვირთნენ, მეტი საქმე დააწვაოთ. გარდა ამისა, მისივე დაკვირვებით, ცალკეულ შემთხვევებში, ძალადობაც გაიზარდა ქალების მიმართ, რადგან მამაკაცები ძირითადად სახლში იყვნენ და ღიზიანდებოდნენ, ამის გამო აგრესიულებიც გახდნენ.

თუკი სადმე მარნეულზე და მით უფრო პროტესტის გამოხატვაზე საუბრობენ, იქ აუცილებლად გაიგონებთ სამირა ბაირამოვას სახელს. სამირას ყველა იცნობს, სოციალურ ქსელებში, პოლიტიკურ პარტიებსა და დიპლომატიურ წრეებშიც. თავი-

სი აქტიური, სამოქალაქო პოზიციით მან დიდი ხანია მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მე, მახსოვს მისი „პოსტები“ სოცი-ალურ ქსელებში პანდემიის საწყისი ეტაპიდან მოყოლებული, რომ არაფერი ვთქვა იმაზე, რომ მას 2015 წლიდან პირადად ვიცნობ, როგორც აქტიურ სტუდენტს. მახსოვს, პირველად, როგორც სტუდენტმა, მარნეულში, საკუთარ ოჯახში, ნოვრუზ ბაირამზე დამპატიუა. სამირა ყოველთვის პირდაპირი და ძირი-თადად კრიტიკულია, როგორც მთავრობის, სახელმწიფოს მი-მართ, ისე ზოგადად, ქართული საზოგადოების მიმართაც. ის არ ინდობს არც აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლებს და არც არასამთავრობო ორგანიზაციებს. ამბობს იმას, რასაც ფიქრობს და რაც მართებულად მიაჩნია. აუცილებლობის შემ-თხვევაში, შეუძლია რადიკალური პოლიტიკური ძალების წარ-მომადგენლებსაც დაუპირისპირდეს.

2022 წლის 8 ივნისს, მობილურზე რომ დავურეკე და შეხ-ვედრა ვთხოვე, სამირამ მითხრა, კარგი, მაგრამ ჯერ დაცვას უნდა შევუთანხმოო. მას უკვე თვეები იყო, რაც პოლიცია იცავ-და, რადგან რადიკალური ძალების წარმომადგენლები ემუქრე-ბოდნენ. სამირამ მარნეულში, „ალტ-ინფოს“ ოფისის გახსნა გა-აპროტესტა. ოფისის ფანჯრები უკრაინის დროშის ფერებში შე-ღება, რასაც მის მიმართ მუქარები მოჰყვა. 2022 წლის 22 მარტს პროკურატურამ სამირა დაზარალებულად სცნო და დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართო (ცქიფურიშვილი 2022). ამ ყვე-ლაფრის გათვალისწინებით, სამირას, თბილისში, მის დროებით საცხოვრებელ სახლთან ახლოს, ყველა წესის დაცვით, დათ-ქმულ დროს შევხვდი.

სანამ კოვიდსა და მარნეულზე საუბარს შევუდგებოდით, სამირას ვთხოვე, თუ შეგიძლია ამიხსენი, ასეთი რატომ ხარ-მეთქი. მან თბილად გამიღიმა და მითხრა, რომ ადრეული ასაკი-დან სხვანაირი ბავშვი იყო, ცელქი, მეამბოხე და დაუმორჩილე-ბელი. იმდენად ცელქი და უმართავი ყოფილა, რომ ოჯახმა სა-

ჯარო სკოლაში მისი შეყვანა ვერ გაძედა. ის კერძო სკოლაში სწავლობდა და ეს მისი უპირატესობაც იყო, უფროს დასთან შედარებით. მისი მხრიდან, უპირატესობის მოპოვების მცდელობები კი, ერთგვარად ტრავმულ გამოცდილებას უკავშირდებოდა. მის ოჯახში, ისევე როგორც თემში, პირველი გოგოს შემდეგ, მხოლოდ ვაჟი ითვლებოდა სასურველად. როდესაც პირველი გოგოს შემდეგ დაიბადა, ისევ გოგო, სასიამოვნო არ ყოფილა, განსაკუთრებით მამის დედისათვის, რომელმაც უკმაყოფილება გამოხატა, იმდენად, რომ რამდენიმე ხანი ბავშვისთვის სახელიც კი არ დაურქმევიათ. ამ მოცემულობას ისიც ამძიმებდა, რომ ექიმებმა დედამისს უთხრეს, რომ მეტი შვილი აღარ ეყოლებოდა. კითხვაზე თუ საიდან იცოდა ეს ამბები, სამირამ მითხრა, რომ დედამ მის ნათესავს ნახევრად ხუმრობით უამბო და არც უფიქრია, რომ ეს ბავშვსაც ესმოდა და მასზე ძლიერ მოქმედებდა. სამირა, ადრეული ბავშვობიდან მამასთან მეგობრობდა და მის საქმეებში უკეთ ერკვეოდა, ვიდრე დედის საოჯახო საქმეში. თვლის რომ ბიჭივით იზრდებოდა, რითაც მისი ბიოლოგიური გოგოობა „კომპენსირდებოდა“. რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა სასწაული და სამირას დედა ისევ ბავშვს, ამჯერად უკვე ბიჭს ელოდა. სამირას ახსოვს, როგორ გაახარა ამან, მან პირადად შეურჩია მუცლადმყოფ ძმას სახელი, თქვა, რომ მის მსგავსად, ძმას, სამირი ერქმეოდა. ბავშვი დაიბადა და ოჯახი ბედნიერი იყო, მაგრამ სამირი მალე გარდაიცვალა. მიზეზი, 1990-იანი წლები აღმოჩნდა, როცა არეულობა იყო ქვემო ქართლში და მთელ საქართველოში. ექიმთან წასვლა მაშინ რთული და საშიში იყო. იმ ვითარების გამო, ბავშვს ვირუსული დაავადება გაურთულდა და გარდაიცვალა, ვეღარ უშველეს. ამან კიდევ უფრო დათრგუნა სამირა და დააფიქრა იმ გარემოებებზე, რომელშიც ცალკეული ადამიანი აღმოჩნდება ხოლმე საერთო განუკითხაობის გამო. საბოლოოდ, სამირას ოჯახში მაინც გაჩნდა ბიჭი და გაიზარდა კიდეც. თუმცა დამოკიდებულება სქესის

ტრადიციული აღქმის მიმართ მისთვის და მთელი ოჯახისათვის ტრაგმულ გამოცდილებად დარჩა. ტრაგმულად დარჩა ის უსია-მოვნო ფონიც, რომელიც საქართველოში 1990-იანი წლების შემდგომ ეთნიკური უმცირესობების მიმართ გამოიკვეთა.¹ სა-მირამ მითხრა:

„წარმოიდგინე, ჩემი სოფლიდან პირველი გოგო ვიყავი, რომელიც თბილისში ჩამოვიდა და უძალესი განათლება მი-იღო. მანამდე მარნეულში სწავლობდნენ, ან ბაქოში. მე, ერთი ვიყავი ქართულ საზოგადოებაში უფრო აქტიურად ჩართული. დავარნმუნე ჩემი ოჯახი, რომ ყველა ქართველი არ არის მო-ძალადე. ეს შიში დღემდე ცხოვრობს.² ... თუ ოჯახში სტუდენ-ტები არიან, ქართველებთან აქვთ ურთიერთობა, ამ ოჯახებ-ში, რა თქმა უნდა, მოხდა ცვლილება. დარნმუნდნენ, რომ თბილისში არ ყოფილა საშიში, ნორმალური ქვეყანა ვართ და რაც იყო, დარჩა წარსულში“ (სამირა 2022).

სამირას პირადი გამოცდილება არსებითად ხსნის იმ ხა-რისხის გაუცხოებას და უნდობლობას, რომელიც ქართულ და აზერბაიჯანულ თემებს შორის საგრძნობი და ხელშესახები აღ-

¹ 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის რღვევას, ნაციონალისტური ტენდენცი-ების გაძლიერება მოჰყვა, რამაც ხელი შეუწყო ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკუ-რი უმცირესობების, „სხვა“ ჯგუფად მონიშვნას. ამას ემატებოდა ორი კონ-ფლიქტი ქვეყნის შიგნით, რომელიც ეთნოკონფლიქტებად გაფორმდა. 2021 წლის 17 მაისს, დმანისის მუნიციპალიტეტში მომხდარი კონფლიქტის გასა-აზრებლად, კვლევის ავტორები დაპირისპირების მიზეზბს ულრმავდებიან და 1990-იანი წლებს ვითარებას იხსენებენ. ამ თემაზე მსჯელობას მნიშვნელოვ-ნად ართულებს მოსახლეობის ტრაგმატული მეხსიერება და სამეცნიერო რეფლექსის დეფიციტი ქართულ აკადემიურ წრეებში (მამედლი, ჩაბაია 2021).

² სამირა, აქ, საუბრობს 2015 წელზე, როდესაც მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის მომზადების პროგრამაზე ჩააბარა. 2010 წლი-დან, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში, ფუნქციონირებს „1+4“ პროგრამა. ამ გზით, საქართველოს მოქა-ლაქეებს სამუალება ეძლევათ მშობლიურ ენაზე ჩააბარონ ეროვნული გამოც-დები და ერთნლიანი ქართულის მომზადების შემდგომ სწავლა მათვის სა-სურველ საბაკალავრო პროგრამებზე განაგრძო.

მოჩნდა. იზოლაცია და სახელმწიფოს მიმართ შიში, რომელმაც ვერ დაიცვა 1990-იანი წლების არეულობისას და თაობები განუკითხაობისათვის განირა, ნაწილობრივ დღემდე ცოცხალია ეთ-ნიკურად აზერბაიჯანული მოსახლეობის მეხსიერებაში. მხოლოდ ქართველებთან ურთიერთობის გამოცდილების მქონენი, ახერხებენ დაძლიონ უსიამოვნო წარსულის მოგონებები.

ქართულენოვანი საზოგადოების დიდ ნაწილში გავრცელებულია აზრი, რომ მარნეული და სხვა უმცირესობებით და-სახლებული მუნიციპალიტეტები არ გამოირჩევიან სამოქალაქო აქტიურობით, მით უფრო ნაკლებად ან თითქმის არ გამოხატავენ უკამაყოფილებას. ყველა სახელისუფლებო პარტიას სჯერა, რომ იმ რეგიონებიდან, სადაც ეთნიკური უმცირესობა კომპაქტურად ცხოვრობს, მარტივად მიიღებს ხმების უმრავლესობას.

პანდემიის პერიოდში აზერბაიჯანულმა თემმა არაერთი და განსხვავებული პროტესტი გამოხატა. ქამრანი ორი სახის პროტესტს იხსენებს: სიგნალების პროტესტს და ფერმერების პერმანენტულ აქციებს. სიგნალების პროტესტი იყო როდესაც ეზოებში, ქუჩებში გაჩერებული მანქანებიდან საყვირის ხმას აგონებენ სიმბოლურად სახელმწიფოს, რომელიც გადაადგილების უფლებას უზღუდავდა. ამ პროტესტის შესახებ გავიგე, რომ მისი ორგანიზატორები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაიბარა და გააფრთხილა. ამ პროტესტის მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ დაბარებული მოწმეები საბოტაჟის მუხლით აღძრულ საქმეზე დაკითხეს.

რაც შეეხება ფერმერების პროტესტს, მას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც მედიაში, ისე ფართო საზოგადოებაში. სამირა იხსენებს, რომ ამ აქციებს ორგანიზატორები არ ჰყოლია, არც მიტინგის სახე მიუღია, გაბრაზებული, განაწყენებული ხალხი გამოვიდა ქუჩაში და აპროტესტებდა, ერთი მხრივ, მონოპოლიას, რომელიც სახელმწიფომ დააწესა, როდესაც ერთ კონკრეტულ ორგანიზაციას მისცა უფლება ექსკლუზიურად

შეესყიდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები მარნეულში, მეორე მხრივ, ჩაკეტვას. ფერმერების გარდა, როგორც კამილა იხსენებს, ე.ნ. საზღვართან, მარნეულის შემოსასვლელში, მიდიოდნენ რიგითი მოქალაქეები, რომლებსაც სამედიცინო მიზნით ესაჭიროებოდათ გასვლა მარნეულიდან და ამის ნებას არ რთავდნენ. ამის თაობაზე და ზოგადად პროტესტის გამოხატვაზე, ბუნებრივია, ჩემს მთხოვბელს, მერიის თანამშრომელს ვკითხე. ბატონმა ალიმ გაიხსენა, როგორ იკრიბებოდა ხალხი მერიასთან, თუმცა მის მეხსიერებას პროტესტის მთავარ წყაროდ მარნეულელების მიმართ სიძულვილის ენის გამოყენება შემორჩა და ისიც, რომ მარნეული და მარნეულელები ვირუსთან გაიგივდნენ, შედარებით ნაკლებად ახსოვდა ფერმერების აქტიურობა. მისი თქმით, საპროტესტო შეკრებები სხვადასხვა მიზეზებით იმართებოდა, მათ შორის, საკარანტინო ზონის დატოვების მოთხოვნითაც. მერიის თანამშრომელი იხსენებს, რომ ამ პრობლემების მოსაგვარებლად, მათ მეტი ძალისხმევა სჭირდებოდათ, გაცილებით ხანგრძლივი დროით მუშაობდნენ, ვიდრე ჩვეულებრივ. მათზე დიდი ზენოლა იყო და ყველაფერს აკეთებდნენ ცალკეული მოქალაქის პრობლემის მოსაგვარებლად. „იუთუბის“ პლატფორმაზე განთავსებული ერთი ვიდეოსიუჟეტი ეხებოდა მარნეულის მერიის მუშაობას. ვიდეოში მარნეულის მერის წარმომადგენლები, საუბრობენ იმაზე, თუ როგორ გაიზარდა მათი ფუნქციები პანდემიის დროს და რამდენად წარმატებით გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობას. ვიდეოში საუბარია იმაზე, რომ მერის წარმომადგენლებს პენსიაც მიჰქონდათ ხანდაზმულებთან, ჩართულები იყვნენ სკრინინგის პროცესში და მოსახლეობას დაეხმარნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტის რეალიზებაში. 6-წუთიან ვიდეოში ნათქვამია, თუ როგორი მნიშვნელოვანია ძლიერი მუნიციპალური თვითმმართველობა (Georgian Media Club 2020).

სამირას მონათხრობის მიხედვით, ხალხის უკმაყოფილებას ისიც იწვევდა, რომ მათ ნაწილს ჰქონდა განცდა, რომ მერია სამართლიანად არ ანაწილებდა დახმარებებს. სოფლების ნაწილში, ასევე პრობლემური იყო წყლით მომარაგება. ჰიგიენური ნორმების დაცვაზე საუბრობდნენ, მაგრამ მოსახლეობის ნაწილს სასმელი წყალი არ ჰქონდა, რაც ასევე იწვევდა პროტესტსა და გულისწყრომას. ქამრანი იხსენებს, რომ როდესაც სოფლებში დადიოდნენ და მოსახლეობას ჰიგიენური ნორმების დაცვას სთხოვდნენ, ერთ-ერთ სოფელში, მოხუცმა ქალმა უპასუხა, კი ბატონო, თუკი დღეში ხუთჯერ ამომიტანთ წყაროდან წყალს, ზუსტად ეგრეც მოვიქცევიო. ამდენად მოსახლეობის პროტესტს მარნეულში სხვადასხვა მიზეზები ჰქონდა, თუმცა მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მოსახლეობისათვის მაინც საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფა იყო. მთხრობელები იმაზეც საუბრობდნენ, რომ კომპანია „ჯიბე“, რომელიც მარნეულში შემოდიოდა, ძალან დაბალ ფაში ცდილობდა პროდუქტის შესყიდვას. დაბალი ფასი პროდუქტებზე მატერიალურ ზიანს აყენებდა სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას და მათ უკმაყოფილებას იწვევდა. ამ თემასთან დაკავშირებით, რადიო „მარნეულის“ ოფისში კამილასთან საუბრისას, მისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა გაიხსენა, რომ მამამისი ისე გაბრაზდა შეთავაზებული ფასების გამო, რომ ჭარხალი მიწიდან არც კი ამოულია, ისე გადახნა ტრაქტორით ნაკვეთით.

საპროტესტო აქციებზე საუბრისას, კამილა იხსენებს იმ ფონს და ფრაზას, რომელიც გადმოსცემს მერიის წინ შეკრებილთა პათოსს, – „ვირუსი კი არა, შიმშილი მოგვკლავს!“ ეს ფრაზა სათაურში გადმოაქვს „ნეტგაზეთსაც“, რომელიც 30 მარტს, მერიასთან მარნეულის მოსახლეობის შეკრების თაობაზე ავრცელებდა ინფორმაციას (აფრიაშვილი 2020).

2021 წლის 21 მარტს, თვითორებანიზებულმა მოქალაქეებმა, მარნეულის ცენტრში, ნოვრუზ ბაირამი დემონსტრაციულად

აღნიშნეს. კომენდანტის საათის პირობებში, მარნეულის ქუჩებში, სალამოს 9 საათის შემდეგ ცეცხლის დანთება, პროტესტი იყო სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მოქალაქეთა აზრით თანაბარ მდგომარეობაში არ აყენებდა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით განსხვავებულ ჯგუფებს.

სოფიო ზვიადაძე 2020-2021 წლებში, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, პანდემიის მართვის პირობებში, ტოლერანტობის ოპტიკურ ილუზიას უწოდებს. იგი საუბრობს შერჩევით მიდგომებზე, რომელსაც სახელმწიფო იჩენდა ცალკეული რელიგიური ჯგუფის მიმართ, როდესაც 2021 წლის 6 იანვარს კომენდანტის საათის შეზღუდვა მოიხსნა. მისი თქმით, საქართველოს აზერბაიჯანული თემის ინიციატივა, ნოვრუზი ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადებულიყო, მთავრობას არც კი განუხილავს. ამის გარდა, თემის მოთხოვნა, დღესასწაულის აღნიშვნის მიზნით კომენდანტის საათი ერთი დღით გაუქმებულიყო, ასევე უგულებელყოფილ იქნა.

„რომ არა მთავრობის განსხვავებული მიდგომა უმცირესობების და დომინანტური რელიგიური (მართლმადიდებელი ქრისტიანები) ჯგუფისადმი, ეს გადაწყვეტილება რეგულაციების მკაცრ დაცვად ჩაითვლებოდა. სინამდვილეში კი მივიღეთ ტაქტიკური დისკრიმინაცია. რადგანაც მთავრობამ კომენდანტის საათის დროს დაწესებული შეზღუდვები სხვა შემთხვევებში არაერთხელ მოხსნა და, მათ შორის, რელიგიურ დღესასწაულზე, მაგალითად, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღდგომის დღესასწაულს აღნიშნავდა“ (ზვიადაძე 2021).

ნოვრუზის ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადების მოთხოვნაც, ასევე შეიძლება განვიხილოთ აზერბაიჯანული თემის რეაქციად, პანდემიის პერიოდში მათ მიმართ გამოხატულ გალიზიანებასა და მიუღებლობის განცდაზე. აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობის მიმართ გამოხატულმა ბრაზმა და მათი

ვირუსთან გათანაბრებამ, ინტეგრაციის პროცესი ქართულ საზოგადოებაში არსებითად შეაფერხა. ნოვრუზის ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადების იდეა და მის აღსანიშნად, კომენდანტის საათის ერთი დღით გაუქმების მოთხოვნა, სამირა ბაირამოვას ეკუთვნოდა (ნერგაძე 2021). მახსოვს მისი ფეის-ბუკებრივი კომენდანტის საათის დარღვევას მოაწავებდა.

ნოვრუზ ბაირამის აღნიშვნა მარნეულში, მარიამისთვის, ასევე განსაკუთრებული მოვლენაა. მას ბავშვობიდან ახსოვს ის პოზიტიური გამოცდილება, რომელიც ნოვრუზის აღნიშვნას დაუკავშირდა. იხსენებს, რომ ეს იყოს “ნამდვილი ახალი წელი”, როდესაც ზამთარს ვაცილებდით და გაზაფხულის დადგომას ვზეომობდით. მისი თქმით, როგორც წესი, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო ნოვრუზამდე, ზუსტად იცოდა, რომ 21 მარტს, კარგი ამინდი დადგებოდა, რადგან ნამდვილი გაზაფხული ასე იწყებოდა. მარიამი მარნეულის დემოკრატიული განვითარების ცენტრში მუშაობს და ოჯახთან ერთად სოფელ თამარისში ცხოვრობს. მას, შესაძლებლობის მიუხედავად, არასდროს უფიქრია მარნეულის გარდა სხვაგან ცხოვრებაზე. მისთვის, საინტერესო შეგრძნებაა, იყოს ეთნიკური უმრავლესების წარმომადგენელი უმცირესობა მუნიციპალიტეტში, სადაც ეთნიკური უმცირესობა უმრავლესობაშია.

მარიამი თავისი ხანგრძლივი საქმიანობით ჩართულია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში. მასთან ოფისში, ვისაუბრეთ პროექტებზე, რომლებსაც მისი ჯგუფი ახორციელებს, მათ შორის, კოვიდპანდემიის პერიოდიდან მოყოლებული. პანდემიის შეზღუდვების პირობებში, მათ აქტიურად გამოიყენეს სოციალური ქსელები და შექმნეს ლია ჯგუფი „დარჩი სახლში – ჩართვა მარნეულიდან“ (<https://www.facebook.com/groups/274468463543836>). ამ ჯგუფის საშუალებით, ისინი ინფორმაციას იღებდნენ ცალკეული ადამი-

ანისა თუ ოჯახების საჭიროებებზე, შემდეგ მათთან აკავშირებდნენ ადამიანებს, ვისაც კონკრეტული პრობლემების მოგვარება შეეძლო. ამ პლატფორმაზე იდებოდა საინფორმაციო პოსტები. ამ ჯგუფში დამატებული ჰყავდათ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებიც. ფეისბუკჯგუფის მართვის გარდა, მარიამს, „ლოკალუნის“ პირობებში, დროობით (რადგან თელეთში მცხოვრებ საინფორმაციოს ერთ-ერთ წამყვანს მარნეულის ჩაკეტვის შემდეგ გადაადგილება შეეზღუდა) მარნეულის ტელევიზიაში მუშაობაც მოუნია. როდესაც დახმარება სთხოვეს, მარიამი უყოყმანოდ დათანხმდა. მიუხედავად იმისა, რომ მასაც ეშინოდა ვირუსის, ტელევიზიაში ყოველდღე დადიოდა. ამ გზით ის მონაწილეობდა აუცილებელი და საჭირო ინფორმაციის გავრცელებაში. ამის გათვალისწინებით, მას ახსოეს მარნეულში მიმდინარე საპროტესტო აქციების დეტალები და პრობლემათა მოგვარების მცდელობებიც.

მარიამს ვკითხე, მისი დაკვირვებით, რა გავლენა იქონია პანდემიამ მარნეულის საზოგადოების ინტეგრაციაზე. ამ კითხვაზე პასუხად, მან გაიხსენა, თუ როგორი სოლიდარულები იყვნენ მარნეულელები ერთმანეთის მიმართ. ასევე დაასახელა კერძო ინიციატივები, როგორ არიგებდნენ ცალკეული პირები და მაღაზიები პროდუქტებს უსასყიდლოდ. საერთოდაც, რომ არა გარე ფაქტორები, თუნდაც ყარაბახის ომი და ა.შ., ვირუსი და პანდემია ჩვენი საერთო გასაჭირი იყო, ერთმანეთის დადანაშაულება რას გვიშველიდათ.

დაბნეულობისა და უსამართლობის განცდის მიუხედავად, მარნეულის მოსახლეობამ იპოვა პანდემიასთან თანაცხოვრების გზები, რაც ძირითადად რეგულაციებისათვის თავის არიდების მცდელობებსა და სოლიდარობის ძალიან მაღალ ხარისხში გამოიხატებოდა.

მარნეულის ცენტრალურ ქუჩებში, თვალში აუცილებლად მოგხვდებათ ვიტრინებში გამოფენილი საქორწინო კაბები და

აქტიური სილამაზის სალონები. 2022 წლის 25 სექტემბერს, დი-ლიდან თითქმის მთელი მარნეული ფეხით შემოვიარე საქორნი-ნო დარბაზების დასათვალიერებლად, მაინტერესებდა რა ხდე-ბოდა, როგორ ემზადებოდნენ ქორნილებისათვის. შემხვედრები ცნობისმოყვარე გამვლელის კითხვებს ენთუზიაზმით პასუხობ-დნენ. დარბაზში მოფუსფუსე ხალხი დაუზარებლად მიხსნიდა, რას რატომ აკეთებდა. ზოგჯერ დამტვრეული ქართულით, ზოგჯერ კი სხვას ეძახნენ, რომ ჩემთვის აესსნათ ქართულად, ან რუსულად. იმ დღეს ხუთი საქორნინო დარბაზი მოვინახულე და ხუთივეში აქტიური სამზადისი დამხვდა. ქუჩებში შევამჩნიე ბაფთებით მორთული მანქანები, გადატვირთული სალონები და ახლომახლო შეკრებილი პატარძლის გულშემატკივრები. რო-გორც ჯეიპუნმა მითხრა (ჯეიპუნი ერთ-ერთ ცნობილ კერძო ტელევიზიაში ჟურნალისტად მუშაობს და მისი ცნობადობა ბევ-რად სცდება მარნეულს), გაზაფხულსა და შემოდგომაზე, მარ-ნეულში თვალსაჩინოა ქორნილები, თავისი მასშტაბებითა და პომპეზურობით.

ამ თემებით ასე არ დავინტერესდებოდი, რომ არა ჯეი-პუნთან რამდენიმე თვის წინანდელი შეხვედრა. ის ერთ-ერთი პირველია, ვინც ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაზე ჩააბარა და უმაღლესი განათლება საქართველოში მიიღო. ჯეი-პუნმა საკმაოდ რთული გზა გაიარა იმ ალიარებამდე, რომელიც ქართული საზოგადოებისგან მიიღო. იგი სიფრთხილითა და ოუ-მორით ეკიდება აზერბაიჯანული თემის მიმართ გამოხატულ ქსენოფონბიურ განცხადებებს. ჯეიპუნი ცალკეული მოქალაქის ქსენოფონბიურ განწყობას არ აზოგადებს ქართველებზე. ის ქართული საზოგადოების ნაწილად მიიჩნევს თავს და ფრთხი-ლობს შეფასებების გაკეთებისას. ვთხოვე გაეზიარებინა თავისი ხედვა, თუ როგორია მისთვის მარნეული. მისი თქმით, ეკონომი-კური თვალსაზრისით მარნეული ძლიერი და აქტიური ადგი-ლია, სულ მოქმედებაშია. „მარნეული ფულიანი ხალხის, მილი-

ონერების ქალაქია“ (ჯეიპუნი 2022). ეს ნახევრად ხუმრობით ნათქვამი შეფასება, მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, ამიტომ, დასაზუსტებლად, ვკითხე, რას გულისხმობ-მეთქი. მი-პასუხა, რომ მარნეულის მოსახლეობა დღე და ლამე მუშაობს, რომ იალიან მშრომელი ხალხია აქაური აზერბაიჯანელები. სიმ-დიდრის გამოვლინებად კი იგი იმ პომპეზურ ქორწილებს მიიჩ-ნევს, რომლებიც შემოდგომობით ტარდება. ამბობს, რომ ეს ყველაფერი დაკავშირებულია ფინანსებთან, რაშიც განსაკუთ-რებული ადგილი უჭირავს მზითვესა და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ქორწილის ხარჯები სულ უფრო იზრდება და ამ სფე-როში დასაქმებულებიც მდიდრდებიან.

რა ხდებოდა ორი წელი მარნეულში? საერთოდ აღარ ენ-ყობოდა ქორწილები პანდემიისას? მარიამი იხსენებს სანქციებს და მოსახლეობის დამოკიდებულებას მათ მიმართ და ამბობს, ეგრე შეკრებებიც აკრძალული იყო, მაგრამ როგორც კი კარან-ტინი მოიხსნა, მას მერე მარნეულში სულ ქორწილის ხმები ის-მოდაო. მარიამი იხსენებს სალონში გაგონილს, რომ სხვა მუნი-ციპალიტეტებიდანაც აქ ჩამოდიან და პოლიციასც არ იმჩნევ-დაო. ჩვენთვის ვამბობთ, აპა რისთვის ჩაგვკეტესო.

ამ თემაზე კამილასთანაც ვისაუბრე, მანაც დამიდასტურა პანდემიის დროს ქორწილების გამართვა. იგი იხსენებს:

„ქორწილი [მარნეულში] მაინც იყო, აკრძალული რომ იყო, მაინც აკეთებდნენ, ნუ არა 400 კაცზე, არამედ 150 კაც-ზე. მაინც ჩუმად აკეთებდნენ. ადგილობრივი ხელისუფლება საქმის კურსში იყო თითქოს. ეუბნებოდნენ, ფოტო არ დადო, ხუთი დღის მერე დადე ფოტო და ასე. ზოგს ბავშვი რომ ეყო-ლათ, მერე დადო ქორწილის ფოტოები“ (კამილა 2022).

გიულგუნმაც გაიხსენა ქორწილები სოფელში პანდემიის პერიოდში, მგონი დააჯარიმეს კიდეც, მაგრამ არ ადარდებდა-თო. ვკითხე, რატომ არის ასე მნიშვნელოვანი აქაურებისთვის ქორწილი-მეთქი. მან მიპასუხა, რომ ქორწილი განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია ქალებისთვის, რადგან ბევრი მათგანისთვის ეს გარეთ გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა, ამ დროს გამოდის ქალი სახლიდან, ემზადება, სხვებთან ურთიერთობს და საზოგა-დოების ნაწილად გრძნობს თავსო.

ქორწილებზე პანდემიის დროს, სამირა იხსენებს:

„როცა ძალიან მკაცრი წესები იყო, არ აღნიშნავდნენ ქორწილს. მაგრამ ზოგიერთები, ვინც ადგილობრივ ხელი-სუფლებასთან დაახლოებული იყო, მაინც აღნიშნავდნენ. ზოგმა იცოდა, ჯარიმა რომ იქნებოდა, მაგრამ მაინც აღნიშ-ნავდნენ: რა ვქნათ, ქორწილი მაინც უნდა გადავიხადოთო!“ (სამირა 2022).

ამდენად, მოქალაქეებისათვის პანდემიის პერიოდში ქორ-წილის გამართვა და მასში მონაწილეობა, თავისებურ პროტეს-ტად და ადაპტაციის ფორმად იქცა. ქორწილების გამართვა პან-დემიის პერიოდში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი რეაქცია შეზღუდვებზე, რომლებიც აღიქმებოდა უსამართლოდ და რეპრესიულად.

ყველა მთხოვნელი იხსენებს სოლიდარობის განსაკუთრე-ბულ განცდასა და მასთან ასოცირებულ კონკრეტულ ქმედე-ბებს პანდემიის პერიოდში. მარნეულის ჩაკეტვის შემდგომ, სო-ციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ინფორმაცია, თუ როგორ არიგებდნენ პურს უფასოდ საცხობის მფლობელები. სამირა თავად იყო ინიციატორი თანხის მოგროვებისა, რომლითაც პროდუქტები შეუძინეს, მათ, ვისაც ყველაზე მეტად ესაჭიროე-ბოდა დახმარება.

„მარნეული, მაგალითად, სოციალური დახმარების, სო-ციალური გაზიარების კუთხით, თანადგომის კუთხით, მე ვიტყოდი, საქართველოში სანიმუშო ქალაქია“ (კეიპუნი 2022).

სოციალურ ქსელში ასევე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გაუთოხნეს მარნეულის სოფელ მარადისში

კარტოფილის ყანა ოჯახს, რომელიც კოვიდის გამო საავადმყოფოში იყო გადაყვანილი (რადიო თავისუფლება 2020).

კამილამ და ჯეიჰუნმა გაიხსენეს მარნეულის მეჩეთის როლი ჰუმანიტარული დახმარების დარიგების კუთხით. ჯეიჰუნი ამბობს, რომ მერია თავის შექნილ პროდუქტს მარნეულის მეჩეთს გადასცემდა, რადგან იცოდნენ, ვის უფრო მეტად სჭირდებოდა დახმარება. სამირამ გაიხსენა, რომ დახმარებას არიგებდა როგორც იმამ ალის მეჩეთი, ისე მარნეულის ეპარქია, განურჩევლად ყველასთვის. სამირამ აქვე გაიხსენა, მარნეულის იმამ ალის მეჩეთის წარმომადგენელთა კრეატიულობა, როდესაც მანქანით გადაადგილების ნებართვაზე მერიიდან უარი მიიღეს, და სხვა რამ მოიფიქრეს.

„სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველოს შეიხი მირტაგი ასადოვი აცხადებს, რომ მარნეულის მერიამ მოსახლეობისათვის პროდუქტის დასარიგებლად მანქანით გადაადგილების ნებართვა არ მისცა, რის გამოც მათ პროდუქტების დარიგება ურიკაზე შებმული ვირით მოუწიათ (რადიო „მარნეული“ 2020).“

მარიამის თქმით, პანდემიის დროს მარნეულში არ იყო მოქალაქეებს შორის გარჩევა, ყველა ერთმანეთს ეხმარებოდა. „კამილას რადიოც“, მისი მთელი კოლექტივი, ცდილობდა მარნეულის სომხურენოვანი მოსახლეობისათვის ხმის მიწვდენას, მათ მშობლიურ ენაზე. რადიოში ამჟამად ერთი სომხურენოვანი ჟურნალისტი მუშაობს, რომელიც ახალ ამბებს სომხურ ენაზე თარგმნის. ამის მიუხედავად, მარნეულის სომხური მოსახლეობა, როგორც კამილა ამბობს, რამდენადმე დაკარგულია იდენტობის თვალსაზრისით და მათი საჭიროებების გაგება არც ისე ადვილია.

დავითმა, 2018 წელს, ქართული ენის მოსამზადებელ პროგრამაზე ჩააბარა. ისიც ჩემი ერთ-ერთი სტუდენტი იყო. როდესაც ეკითხებიან, საიდანაა, პასუხობს, რომ შაუმიანიდანაა

და არა მარნეულიდან. მარნეული, მისთვის ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის, აზერბაიჯანულ თემთან უფრო ასოცირდება, რომელთანაც საკუთარ თავს არ აიგივებს. საუბრისას, მიყვება, რომ ერთ დროს, როდესაც სახელმწიფოები და საზღვრები ამ სახით არ არსებობდა, მარნეული ისეთივე სოფელი იყო, როგორც შაუმიანი, სადაც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ. როდესაც ვკითხე, სად იძენენ პროდუქტებს, საჭირო ნივთებს მისი თანასოფლელები, მიპასუხა, რომ შაუმიანში ყველა სახის მაღაზია, მარკეტი და სუპერმარკეტი აქვთ. დანანებით ამბობს, რომ შაუმიანში ბანკი და საჯარო მომსახურების დაწესებულებები არ აქვთ. დავითი კომპიუტერულ მეცნიერებებს შეისწავლის და უნივერსიტეტში მოხვედრამდეც კარგად ფლობდა ტექნიკას. ქართული ენის სწავლებისას, წლების წინ, მითხრა, რომ უკვე საკუთარი შემოსავალი აქვს და სოფელში საჭირო ადამიანია. თუ ვინმეს ტელეფონი ან კომპიუტერი გაუფუჭდება, ჩემთან მოაქვთო. დავითს პანდემიის შემდეგ შეხვედრისას ვკითხე, ალბათ როგორ გამოგადგა შენი პროფესია კარანტინის დროს-მეთქი. ამ თემაზე საუბრისას ბევრი შემთხვევა გაიხსენა, როცა რჩევასა და დახმარებას სთხოვდნენ თანასოფლელები. თავად ქართულს კარგად ფლობს, როცა ქართული ენის პროგრამაზე ჩააბარა, უკვე თავისუფლად საუბრობდა ქართულად. ვკითხე, რა ენაზე საუბრობთ აზერბაიჯანელებთან მარნეულის ბაზარში ან მაღაზიებში-მეთქი. მითხრა, რომ კარგად ესმის აზერბაიჯანული ენა და საუბარიც შეუძლია, ისევე როგორც რუსული. ღიმილით მითხრა, რომ იგი პროგრამისტივით ჩაკეტილი და ასოციალური არ არის და ძალიან უყვარს ურთიერთობები. რაც შეეხება მის თანასოფლელებს, მათ რუსული და აზერბაიჯანული უკეთ იციან, ვიდრე ქართული. დავითს, სხვა მთხოობელების მსგავსად, ვკითხე, თუ როგორ ალქვამდა მისი სოფლის მოსახლეობა პანდემიას და ჩაკეტვას. მისი გულწრფელი პასუხი ძალიან ჰგავდა

სხვა მთხობელებისას, მოსახლეობისათვის ვირუსი არ იყო რეალური, თუმცა რეალური იყო ჩაკეტვა, შეზღუდვები, რომელიც კი არ იცავდა, პირიქით, მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. მსგავსი განცდა არც ქართულენოვანი საზოგადოებისთვის იყო უცხო. თუმცა მარნეულის შემთხვევაში აღქმა გაცილებით მძაფრი იყო, რასაც ემატებოდა ეთნიკური ასპექტი, როგორც შიგნიდან, ისე გარედან. სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე რეაქციის სახით, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფი, შეთქმულების თეორიებისა და დეზინფორმაციისათვის სასურველ ნიადაგს ქმნიდა და დაწესებული სანქციებისგან თავის არიდების გზებს ეძებდა.

რაც შეეხება მარნეულელთა ონლაინ გამოკითხვის შედეგებს, ის, რაოდენობრივი თვალსაზრისით, არსებითად, ამყარებს ჩემი მთხობელების მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს. სხვაობა, რაც გამოიკვეთა, ის იყო, რომ გამოკითხულთა მეხუთედი ფიქრობს, რომ მარნეულის ჩაკეტვა სახელმწიფოს მხრიდან გამართლებული და აუცილებელი იყო. ამასთანავე, მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფომ მაქსიმუმი გააკეთა მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის. ქართული სახელმწიფოს მიერ პანდემიის მართვის დადებითად შეფასება რამდენადმე სცდება ჩემი მთხობელების მიერ გადმოცემული მარნეულის მოსახლეობის განწყობას, თუმცა მას ერთგვარად აბალანსებს. ასევე საინტერესოდ გამოვლინდა ონლაინ რესპონდენტების მიერ მარნეულის, როგორც ადგილის აღქმა. თუ ჩემი მთხობელებისათვის მარნეული ძირითადად აზერბაიჯანულ თემთან ასოცირდება, მთხობელების ნაწილი, მასზე, როგორც მრავალფეროვან, მულტიკულტურულ ადგილზე საუბრობს¹. ამდენად, დისტანცი-

¹ ქვემო ქართლის და მათ შორის მარნეულის ისტორიულ გამოცდილებაზე, როგორც მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ ტერიტორიაზე, საუბრობს ისტორიკოსი, მკვლევარი ალექსანდრე ბოშიშვილი, რომელიც ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებს მიმართავს (ბოშიშვილი 2020).

ური და ანონიმური გამოკითხვა, რამდენადმე აზუსტებს და არ-სებითად თანხვედრაშია მთხობელების მიერ გადმოცემულ ფაქტებთან.

ჩემი მთხობელებისგან, რომლებსაც დიდხანს და გულახ-დილად ვესაუბრებოდი ყველა მწვავე საკითხზე, რომელიც კო-ვიდპანდემიამ და მარნეულის ჩაკეტვამ ამოატივტივა, გავიგე, რომ მათი მხრიდან სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ მწვავე კრიტიკა, არ მიემართება უშუალოდ ქართულ საზოგადოებას. მათმა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მარნეულის ჩაკეტვის პე-რიოდში ქართული საზოგადოების აქტიური ნაწილისგან დიდი მხარდაჭერა და თანადგომა მიიღეს. მათი უმრავლესობა კრი-ტიკულია ქართული სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც ვერ მო-ახერხა ეთნიკურ უმცირესობებზე სათანადო ზრუნვა, მათი ინ-ტეგრირება და დაცვა. ისინი საკუთარ კრიტიკას ასევე ავრცე-ლებენ მეზობელ ქვეყნებზეც, რომლებიც ამ რეგიონში გავლე-ნის მოპოვებასა და მის გაძლიერებას ცდილობენ, რაც, მათი აზრით, ასევე დამაზიანებელი შეიძლება აღმოჩნდეს ინტეგრა-ციისათვის. მათი კონკრეტული პანდემიური გამოცდილება, რომელიც სახელმწიფოსთან აქტიურ შეხებას დაუკავშირდა, არაერთგვაროვან შეფასებებს აერთიანებს. მათ მიერ გამოთ-ქმული კრიტიკა სახელმწიფოს ინტეგრაციული პოლიტიკის ხარვეზებს უფრო თვალსაჩინოდ წარმოაჩენს. მიუხედავად იმი-სა, რომ სახელმწიფოს მხრიდან პანდემიის სამართავად სამხედ-რო და ომის ეფექტის გამოყენებას სიძულვილის ენის გააქტიუ-რება და გაუცხოება მოჰყვა, მათი კრიტიკა ნაკლებად მიემარ-თება ეთნიკურად ქართველ თანამოქალაქეებს. მათი აზრით, პანდემია ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი გა-მოწვევა იყო და მან არსებული პრობლემები თვალსაჩინო გახა-და. პანდემიამ ისიც აჩვენა, რომ არსებულ პრობლემებს დაფარ-ვა კი არა, აღიარება და გადაჭრა სჭირდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კოვიდპანდემიამ ქართულ რეალობაში არსებული მოუგვარებელი საკითხები, ხელახლა დააყენა დღის წესრიგში. პანდემიის პირობებში სახელმწიფოს აღქმა ეთნიკურ უმცირესობებში პრობლემურად წარმოჩინდა. სახელმწიფოს მხრიდან ომის ეფექტის გამოყენებამ, სამხედრო ძალების ჩაყენებამ მარნეულის და ბოლნისის შესასვლელებთან, ხელი შეუწყო იქ მცხოვრები უმცირესობების მიმართ გაღიზიანების ზრდას. პანდემიამ სახელმწიფო უფრო ხელშესახები და კონკრეტული გახადა მისი მოქალაქეებისათვის. მოქალაქეების სახელმწიფო ინსტიტუტებთან ამ ფორმით შეხებას, არ შეუქმნია დადებითი გამოცდილება, რაც, ერთი მხრივ, პანდემიის დროს დაწესებულ შეზღუდვებსა და ჭარბ მობილიზებას უკავშირდება, და მეორე მხრივ, 1990-იან წლების უსიამოვნო მოგონებებს. საბჭოთა კავშირის ნგრევამ და შემდგომ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა თავისებური დაღი დაასვა ქართულ და აზერბაიჯანულ თემებს შორის ურთიერთობას. ქვემო ქართლის შემთხვევაში, გაჩნდა გაუცხოება, რომლის დასაძლევად, ქართულმა სახელმწიფომ საკმარის ძალისხმევას არ/ვერ მიმართა. პანდემიის პერიოდში, ინფორმაციის დეფიციტისა და გაურკვევლობის ფონზე, ადგილობრივმა მოსახლეობამ, სახელმწიფოს მხრიდან მარნეულისა და ბოლნისის ჩაკეტვის გადაწყვეტილება, მათ წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად აღიქვა. სახელმწიფოს მხრიდან გატარებული შეზღუდვებით დაირღვა ადგილობრივთა ტრადიციული რუტინული ყოველდღიურობა, მათი მობილობა და სხვადასხვა ეკონომიკურ აქტივობა.

მარნეულში განვითარებულმა პანდემიურმა რეალობამ სახელმწიფოს მხრიდან არასაკმარისი ძალისხმევის გამოვლენა და სუსტი ინტეგრაციული პოლიტიკა წარმოაჩინა. პანდემიამ ასევე აჩვენა, რომ ადაპტაციასთან ერთად აზერბაიჯანულ თემს შეუძლია პროტესტის ორგანიზება, მისი გამოხატვის გზების პოვნა და

საჭიროების შემთხვევაში, ახასიათებს სოლიდარობის მაღალი მობილიზაციის უნარი. სოლიდარობა, ტრადიციული ცხოვრების წესთან ერთად, პანდემიასთან გამკლავების ფორმად გადაიქცა. სახელმწიფოს მხრიდან არათანმიმდევრულ და უთანასწორო მიდგომას, ადგილობრივმა მოსახლეობამ, სოლიდარობა და შე-მოქმედებითობა დაუპირისპირა, რასაც ჯეიმს სი სკოტი მეტისს უწოდებს. ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან ტოტალური კონ-ტროლის განხორციელების მცდელობას, ადგილობრივმა თემბა საკუთარი გამოცდილებითა და ცოდნით უპასუხა. პანდემიის გა-მოცდილებამ ნათლად აჩვენა, რომ ქართულ სახელმწიფოს ნაკ-ლებად ესმის თავისი მოქალაქეების და რომ საკუთარი ძალის-ხმევა არა მათ კონტროლზე, არამედ დაცვაზე, ინტეგრაციის და მონანილეობის ხელშეწყობაზე უნდა მიმართოს.

დამოწმებული ლიტერატურა

- ახალი ამბები (2020),** მარნეულში ქალებმა COVID-19-ით ინფიცირებულ-თა ოჯახს ნაკვეთი გაუთოხნეს. რადიო თავისუფლება. მაისი 01
- ახალი ამბები (2020),** საქართველოში კორონავირუსის პირველი შემ-თხვევა დაფიქსირდა. რადიო თავისუფლება. თებერვალი 26
- ახალი ამბები (2020),** ჩინეთი მოსახლეობას აფრთხილებს, არ ჩავიდ-ნენ ქალაქში, საიდანაც ახალი ვირუსი გავრცელდა. რადიო თა-ვისუფლება. იანვარი 22
- აფრიკამაშვილი, ს. (2020),** „ვირუსი კი არა, შიმშილი მოგვკლავს“ – მარნე-ულის მერიასთან მოსახლეობა შეიკრიბა. „ნეტგაზეთი“. მარტი 20
- ბოშიშვილი, ა. (2020),** ქვემო ქართლის ეთნიკური და დემოგრაფიული სურათი (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა). თბილისი, თსუ.
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვ-რებაში მონაწილეობის კვლევა 2019. თბილისი: ფონდი „ლია სა-ზოგადოება საქართველო“.

ეთნიკური უმცირესობებისთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება 2021. თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი.

გაბუნია კ., ამირეჯიბი რ. (2021), საქართველოს უმცირესობები: ინტეგრაციის გზაზე არსებული ბარიერების ნგრევა. თბილისი: კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის ერთობლივი პროექტი – „საქართველოს მომავალი“.

კუნძულია, ლ. (2020), კორონავირუსი: ირანისა და იტალიის მდგომარეობა დამაფიქრებელია საქართველოსთვის. რადიო თავისუფლება. თებერვალი 26

მათითაშვილი, ვ. (2020), ვითარება კორონავირუსთან დაკავშირებით – იტალია, ირანი, ჩინეთი, სამხრეთ კორეა. პუბლიკა. თებერვალი 24
მამედოვა, კ. (2020), რამ გამოიწვია კარანტინის საწინააღმდეგო პროცესტი მარნეულში? აპრილი 23

მელიქიშვილი, ლ., ჯანიაშვილი ლ. (2021) ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაცია ქვემო ქართლში (სომხები და აზერბაიჯანი). თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ლომაძე, ნ. (2020) წერილები მარნეულის სოფლებიდან. ჟ. ინდიგო.

ზვიადაძე ს., ჯიშკარიანი დ. (2018), იდენტობის პრობლემატიკა ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებში და მისი პოლიტიკური. ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის მხარდაჭერილი EMC, 1-17.

მამედლი ქ., ჩაჩიბააი ვ. (2021), დანისის კონფლიქტი – ყოფით ნიადაგზე დაწყებული დაპირისპირების ეთნიკური შტრიხები. თბილისი: სოციალური (ი სამართლიანობის ცენტრი).

ცეკიფურიშვილი ნ. (2022), „სამირა ბაირამოვა პროკურატურამ დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართო“. „ნეტგაზეთი“. აპრილი 6

Lehtinen M. and Brunila T. (2021), A Political Ontology of the Pandemic: Sovereign Power and the Management of Affects through the Political Ontology of War. Front. Polit. Sci. 3:674076. doi: 10.3389/fpos.2021.674076

Nyer P. (2006) The Accidental Citizen: Acts of Sovereignty and (un) Making Citizenship. Economy and Society 35 (1), 22-41.

Scott, J. C. (2020) Seeing like a state. Yale University Press.

Tea Kamuhsadze

**Effects of Pandemics –
When the State Met Citizens in Marneuli**

The global COVID-19 pandemic had a profound impact on various aspects of public life in Georgia, shedding light on the challenges our society faced. It brought about a significant shift in our interaction with state institutions, illuminating both their strengths and weaknesses in crisis management. The pandemic necessitated crucial national decisions made by the government. This paper examines how the designation of the Marneuli and Bolnisi districts as quarantine zones during the COVID-19 outbreak influenced the perception and understanding of ethnic minorities. Additionally, it explores the communication and language barriers in these densely inhabited minority regions. The research investigates how Georgian, Armenian, and Azerbaijani communities perceive Kvemo Kartli and Marneuli and their roles in shaping our collective identity. It questions the rationale behind the imposition of lockdowns on these municipalities and discusses their necessity, inevitability, and legality. This juncture can be considered a "state of war" during the pandemic, where the demonstration of power becomes a crucial element of political ontology. It analyzes how the state utilizes attributes of war to manage anxieties, transforming general apprehension into fear, thereby making society more compliant. Building on the work of Lehtinen and Brunila regarding the pandemic's political ontology, the study explores how the state's adoption of the war ontology can lead to instances of racism, where individuals from other nations and diverse minorities are perceived as "enemies" and "threats." The paper also addresses the local population's response to strict state measures such as lockdowns and restrictions, examining their protest methods and levels of organization. It analyzes the strategies adopted by the population to coexist with the pandemic and adhere to state regulations. In the concluding section, the focus shifts to the process of integrating the Azerbaijani community into Georgian society, a pivotal aspect of the pandemic's impact.

მარიამ ჩალაძე

ცხრა სართულიანი კორპუსის ყოველდღიურობა: სივრცისა და ადგილის ეთნოგრაფიული გააზრება დიდი დილექციის დასახლებაში

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, სივრცისა და ადგილის, როგორც კულტურის განზომილების შესწავლა, ანთროპოლოგიური კვლევის მთელ რიგ სფეროს წარმოშობს. სივრცე განისაზღვრება აბსტრაქტული კონცეფციით, ხოლო ადგილი მოიაზრებს კულტურულ მნიშვნელობებს, რომლებსაც ადამიანები ანიჭებენ მას (Law & Lawrence-Zúñiga 2003). სოციალურად კონსტრუირებული სივრცე დატვირთულია მნიშვნელობებით, ემოციებითა და მოგონებებით. შენობები, როგორც სოციალური ადგილები ადამიანთა კომუნიკაციას და ინტერაქციას ემსახურება. მათი გარდაქმნა და ცვლილება დროთა განმავლობაში გავლენას ახდენს, ადამიანთა ყოველდღიურობაზე (Coleman & Collins 2020; Smith 2018).

ნეოლიბერალური წესრიგის პირობებში, როდესაც თბილისი მეგაპოლისად და რეგიონებიდან მოსახლეობის არარეგულირებადი მიღების ადგილად იქცა, დიდი დილომი ინფრასტრუქტურული ცვლილების და სწრაფი ურბანული განაშენიანების არეალია. აქ საქმე ეხება, სივრცის რეკონსტრუირებას, რაც გულისხმობს ქმედებათა პროცესის გზითა და სოციალურ აქტორთა ინტერაქციის მეშვეობით ზოგიერთი განზომილების ფორმირებას, რომელიც შეიძლება გარდაიქმნას ან ახალი ფორმა მიიღოს (Christmann 2014, 236).

დიდი დილმის მეოთხე მიკრო რაიონში, მთებით გარშემორტყმულ, ძლიერი ქარებით ცნობილ უბანში, ახალი საცხოვრებელი ნაგებობების ფონზე, საბჭოთა ნაცრისფერი კორპუსები, რომელიც გამვლელების ყურადღებას იქცევდა, ნელ-ნელა მხედველობის არეალის მიღმა რჩება. დასახლების ყველა შემო-

სასვლელში ახალი, მაღალსართულიანი შენობები გვხდება თვალში, რომელთა პირველ სართულებზე, ფერადად განათებული კომერციული ობიექტებია გახსნილი.¹ დიდი დილმის 29-ე კორპუსის მშენებლობა 1990-იან წლების დასაწყისში დაიწყო და საქართვლოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დაუსრულებული კორპუსის რიგებში შევიდა. დაუსრულებულ კორპუსს მფლობელები იაფად ყიდდნენ. ერთ-ერთმა ინფორმანტმა მითხრა „[კორპუსი] დაუმთავრებელი იყო, ვისაც ძალიან უჭირდა, იძულებული იყო რომ აქ გადმოსულიყო და საცხოვრებელი პირობები შეექმნა“.

მამაჩემმა საცხოვრებელი, დიდი დილმის 29-ე კორპუსში, 1996 წელს, 2000 ლარად შეიძინა. მისი მონათხრობიდან ვიცოდი, რომ აქ როდესაც გადმოვედით 1999 წელს, კორპუსის ფანჯრებიდან, ჯერ კიდევ გორები და ბორცვები მოჩანდა. ხალხმა თავისი ძალებით მოაწესრიგა გარე სივრცე – მოასწორეს კორპუსის წინ გზა, გაიტანეს სამშენებლო ნარჩენები, დარგეს ხეები; ნაწილმა ტრიალი მიწის ბალებად გამოყენება დაიწყო; სივრცე კორპუსის შიგნითაც შეცვალეს – სანაგვე შახტა გააუქმეს, აივნებს და კიბეებს მოაჯირები გაუკეთეს, გააუქმეს ოთახში გამავალი რომელიმე კარი, გააფართოვეს სამზარეულო და ასე შემდეგ.

2000-იანი წლებიდან საცხოვრებელი არეალის გარდაქმნაში, მთავრობა ჩაერთო. მოეწყო სკვერები, კორპუსში გამოჩნდა ლიფტები, სადარბაზოებიც შეღებეს. ბოლო 5-7 წელიდნადში, მის ირგვლივ სწრაფი ცვლილებები დაიწყო. საბჭოთა კორპუსებით გაშენებული მეოთხე მიკრო რაიონი ნეოლიბერალური ქაო-

¹ სტატია ეფუძნება სამაგისტრო კვლევას: „სივრცისა და ადგილის ეთნოგრაფიული გააზრება დიდი დილმის დასახლებაში (ერთი კორპუსის ყოველ-დღიურობა)“. თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტი. 2023 წელი. ხელმძღვანელი: ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის ინსტიტუტის აკად. ასისტენტი ბორის კომახიძე.

ტური ქალაქებების პოლიტიკის გამტარი გახდა. შედეგად გამოჩნდა ეკლექტიური ფორმისა და ზომის კორპუსები, რომლებიც კომერციულ ფართებსაც მოიცავენ. მხედველობიდან გაქრა ცარიელი სივრცეები და გორაკები, მოკლე დროში ამ კორპუსის მაცხოვრებელთა ყოველდღიურობაში ახალი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები გამოჩნდა. ბინადართა დარდი და საკუთარი სივრცის აღქმა, აივნებსა და ფანჯრებში ჩანს – გასაშრობად გამოფენილი სარეცხითა და ველოსიპედებით, მასზე გაკეთებული სათავსოებითა და მიშენებებით.

დიდი დიდმის დასახლებაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, მეოთხე მიკრო რაიონის ოცდამეცხრე კორპუსის ეთნოგრაფიული შესწავლა იძლევა შესაძლებლობას გავიგოთ, როგორ მოქმედებს ერთი მხრივ, მოსახლეობა საცხოვრებლის სივრცით ტრანსფორმაციაზე და მეორე მხრივ, როგორ მოქმედებს საცხოვრებელი არეალის ტრანსფორმაცია ადამიანთა ყოფაზე.

ნაშრომში, ცხრა სართულიანი საცხოვრებლის კონსტრუქციის პრობლემა და ჩემი თვითრეფლექსია ეთნოგრაფიას უახლოვდება: ველი, რომელიც აკადემიური ინტერესის არეალია, ჩემთვის, როგორც მკვლევრისთვის, კარგად ნაცნობი ადგილია, რადგან წარმოადგენს ჩემს საცხოვრებელ კორპუსს. ნაშრომში გამოყენებულია ავტოეთნოგრაფიული მეთოდი, რომელიც წერისა და კვლევის ავტობიოგრაფიული სტილია და აკავშირებს პირად და სოციო-კულტურულ გამოცდილებას. ნაშრომში ეთნოგრაფიული მასალის სისტემატიზაციის გზით, ვცდილობ პრობლემის მიმართ ანთროპოლოგიური გააზრების მიმართულება დავსახო, რაც ჩემს მიერ მოპოვებულ მასალას, თეორიებისა და დამსმარე დარგობრივი ლიტერატურის მიმოხილვით, სამეცნიერო დისკუსაში აქცევს.

ტრანსფორმაცია ევრისტიკული, მრავლისმომცველი ტერმინია, რომელიც აღწერს ფენომენის ფორმის, ბუნების, რაობის, ხასიათის, სტილის ან თვისებების ცვლილებას. სოციალურ მეც-

ნიერებებში, ტერმინი პირველად გამოიყენა ნიკოლაი ბუხარინმა (Bukharin 1979 [1920]), მოგვიანებით კი აღიარება ჰპოვა კარლ პოლანის (Polanyi 2001 [1944]) კლასიკად ქცეული ნაშრომის „დიდი ტრანსფორმაციის“ მეშვეობით. პოლანი აღწერს მე-19 საუკუნის ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკას, როგორც უტოპიას, რომელიც დაინგრა 1930-იანი ნლების დიდი დეპრესიით. თუმცა, ტრანსფორმაცია, როგორც ტერმინი, იშვიათად არის მოხსენიებული წიგნში და, როდესაც ჩნდება, გამოიყენება, როგორც სეკულარული სოციალური ცვლილების სინონიმი (Merkel, Kollmorgen & Wagener 2019, 86).

გაბრიელა კრისტმანის (2014) მიიჩნევს, რომ ტრანსფორმაციის პროცესებში გადამწყვეტ როლს ასრულებს კომუნიკაციური ქმედება (ინდივიდთა გაზიარებული ქმედებები). დღემდე, სივრცის სოციალური კონსტრუქციის კონცეპტუალურ განვითარებასთან დაკავშირებით, თეორეტიკულების უმეტესობა, როგორც წესი, ხაზს უსვამს ცოდნის როლს. ისინი თვლიან, რომ სივრცეების ორგანიზება ემყარება ადამიანის მიერ მისდამი მნიშვნელობის/სიმბოლოების ატრიბუტებს (Christmann 2014, 236). სივრცეების კომუნიკაციური რეკონსტრუირება მოიცავს სოციალურ კონსტრუივიზმს, რომელიც „კომუნიკაციურ ქმედებას“ აღიქვამს, როგორც რეალობის სოციალურად ფორმირების ძირითად პროცესს (Knoblauch 2013). კომუნიკაციის კონცეფცია მოიცავს ნებისმიერ ობიექტივიზებას, როგორიცაა სხეულების არავერბალური ნიშნების, ობიექტების, ტექნოლოგიების და ა.შ. ფორმები. კრისტმანს მიაჩნია რომ სივცით გარდაქმნების რთული პროცესების. ემპირიულად შესწავლა და სივრცეების კომუნიკაციური რე/კონსტრუირება შესაძლებელია თუ შევეცდებით გავიგოთ: როგორია სივრცესთან დაკავშირებული კომუნიკაციური ქმედების სტრუქტურა და დინამიკა მოქმედ ფორმაციებში; როგორ ყალიბდება სივრცესთან დაკავშირებული ცოდნის კომუნიკაციური მოლაპარაკება დისკურსში; რო-

გორ შეიძლება გამოიკვლიოს სოციალური აქტორების დინამიკა და დისპოზიტივები, რომლებიც მოიცავს ფიზიკურ ობიექტებს (Christmann 2014, 237-238).

დიდ დილომში მოსახლეობის სწრაფი ზრდა, აღქმადი და შესაგრძნობია – გაზრდილი ჰაერის დაბინძურებით, სამშენებლო მტვერით და დაუსრულებელი საცობებით. ბოლო ათი წლის განმავლობაში სწრაფი და მჭიდრო განაშენიანება დიდი დილმის ყველა მიკრო რაიონში შესამჩნევია, განსაკუთრებით კი იმ უბნებში, სადაც აუთვისებელი ტერიტორია უფრო მეტი იყო 5-10 წლის წინ. ამგვარი გარდაქმნებით პირველად თვალშისაცემი იყო გუდვილის მიმდებარე ტერიტორია, დიდი დილმის შემოსასვლელი. დაახლოებით 10 წლის წინ, 2010-იანი წლების დასაწყისში, თანადროულად დაიწყო კორპუსების მშენებლობა პირველი და მეორე მიკრო რაიონების (გუდვილის მოპირდაპირე მხარეს) ტერიტორიებზე. საბჭოთა კავშირის დროინდელი კორპუსები უფრო შუა გულში იყო ნაშენები, ითანე პეტრინის ქუჩის აქეთიებით. გიორგი ბრწყინვალისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩებზე (პეტრინის პარალელური ქუჩები), შედარებით გაფანტულად იყო საბჭოთა შენობები. შენდებოდა ახალი კორპუსები მათ გვერდით და ირგვლივ, მანამდე არსებულ მდელოებსა და გორებზე. ასეთი იყო ბოლო – მეოთხე მიკრო რაიონიც, მთებში მოქცეული, გორებზე განაშენიანებული უბანი. წლების განმავლობაში აქაური მოსახლეობა საბჭოთა კავშირის პერიოდში ნაგებ კორპუსებში ცხოვრობდა. წარსულში არ იყო კორპუსებთან მისასვლელი გზები, ჭირდა სასურსათო მაღაზია, არ იყო აფთიაქიც. მოსახლეობის ზრდასთან და გეგმიურიდან ნეოლიბერალურ საბაზრო პრინციპებზე ორიენტირებულ წესრიგზე გადასვლასთან ერთად, დიდ დილომში გამოჩნდა კომერციული ფართები, ქსელური მაღაზიები, გასართობი ცენტრები, კვების ობიექტები და რამდენიმე სავარჯიშო ცენტრი. ამის წარმოდგენა 10 წლის წინ გამიჭირდებოდა. ჩემი უბნის ვიზუალი მიჩნდა ფიქ-

რებს, თითქოს მიტოვებულ, პოსტსაბჭოთა სივრცეში შემოვაბიჯე, რომელიც სავსეა მინდვრებით და გორაკებით, რომელსაც ირგვლივ მთები არტყამს. დღეს ასე აღარ არის.

მე დიდი დილმის ბოლო მიკრო რაიონის ბოლო, ცხრა სართულიანი კორპუსის ბოლო სადარბაზოს მეზუთე სართულზე ვცხოვრობ. ადრე კორპუსთან მოსული, მარტივად დაინახავდი განცალკევებით მდგომ გრძელ საცხოვრებელ ნაგებობას, როგორც ამას დედაჩემი უწოდებდა სტუმრისთვის მარტივად მოსაგნებლად. ახლა, მესამე მიკროდან წამოსული, გზაჯვარედინთან მარცხენა მხარეს, პირველად დაინახავთ კერძო სახლებს. მათ შორის ყველაზე შესამჩნევია დიდი, წითელსახურავიანი სახლი დიდი ეზოთი და გალავნით. ხელმარჯვნივ – ტეტრისის ფიგურების მსგავსი შენობაა, რომლის თავზეც საქართველოს დროშაა. ერთ-ერთმა მთხოვნელმა მითხრა, რომ დაახლოებით 5 წლის წინ, როდესაც ნაგებობის მშენებლობა დაიწყო, შემოკრულ ღობეზე იყო ბანერი, რომელზეც ეწერა, რომ სტამბა შენდებოდა. ნაშრომზე მუშაობის დროს აღმოვაჩინე, რომ შენობას ჰქვია „სტამბა სეზანი“. დღეს სტამბა დასრულებული და ფუნქციურია.

სტამბის მოპირდაპირედ, გზის გადაღმა ახალი დასრულებული (დაახლოებით ერთი წელი თუ იქნება) კორპუსია, რომლის ქვეშ მეოთხე მიკრო რაიონის მაცხოვრებლებისთვის ნანატრი ქსელური მაღაზია („ნიკორა“) გამოჩენდა: მანამდე მეოთხე მიკროში არასდროს ყოფილა ქსელური მაღაზია. მხოლოდ პატარა უბნის მაღაზიები იყო, სადაც არ იყო პროდუქტების ფართო არჩევანი. ამის გამო, მეოთხე მიკრო რაიონელები, მესამე მიკრო რაიონში გადადიოდნენ, ქსელურ მარკეტებში.

ახლადაშენებული რვასართულიანი კორპუსი სანახევროდ ან მთლიანად ეფარება ცხასართულიან, ოცდამეცხრე კორპუსს. შენობის წინა მხარედ მაცხოვრებლები თვლიან იმ მხარეს, რომლის ფანჯრებიდანაც გადაჰყურებენ გორებს და კერძო სახლებს. ამ ნაწილშია აივნებიც და კორპუსისკენ შემომავალი მთა-

ვარი გზა – მირიან მეფის ქუჩა. კორპუსის წინ, გზიდან პირველივე სადარბაზომდე, ფართო გზას პატარა კუნძული ჰყოფს და ცალხმრივს ხდის. რამდენიმე თვის წინ, გზის ამგვარად მოწყობის დროს კუნძული მოაწესრიგეს, გაასუფთავეს, ირგვლივ დეკორატიული ფილები დაამაგრეს და ხეები დარგეს. გამოყვეს ნაგვის ბუნკერებისთვის ადგილი. მანამდე იდგა 2 ბუნკერი, რომელიც არც უნინ ყოფნიდა ოცდამეცხრე კორპუსს. მოსახლეობის ზრდასთან ერთად, 4 ბუნკერი დღის განმავლობაში ივსება. კორპუსისკენ მომავალ გზაზე, მირიან მეფის ქუჩაზე, ხელმარცხნივ ნაკვეთებია – რამდენიმე ბალი, რომელიც ოცდამეცხრე კორპუსის რამდენიმე მაცხოვრებელის საკუთრებაა. ბალების გვერდით არის „ყოფილი“ სკვერი – ადრე აქ საქანელები და მოსასვენებელი სკამები იყო, ახლა შუაში მდგარი ლამპიონები და სარეველა ბალახია. კიდევ თუ გავაგრძელებთ გზას – კერძო სახლი, მის გვერდით კი დიდი ვერცხლისფერი საწყობია. დღელამის განმავლობაში ამ საწყობისკენ მიმავალ „ტრაილერებს“ შენიშნავთ – ბავშვობაში, როცა პირველად გავიგე, რომ საწყობი იყო და ერთ-ერთ ტრაილერზეც შევნიშნე „ჩუპა-ჩუპსი“ ენერა, ვიფიქრე, რომ კანფეტების საწყობი იყო ჩემს კორპუსთან.

გზიდან პირდაპირ და ცოტა მარჯვივ მთაზე გახედვისას მოჩანს გაურკეველი სვეტი და პატარ-პატარა შენობები. ეს მუხათგვერდია, რომელსაც ჩემი „მაგარი უბნელობის“ იდენტობის შესაქმნელად ვიყენებდი მეუთე-მეექვსე კლასებში და „კრეატიულად“ ვიცავდი თავს – „იცოდე, მუხათგვერდის გვერდით ვცხოვრობ და უცებ ჩემს მეზობლად არ გაგხადო-თქმ“. მთის ქვემოთ და კორპუსთან ახლოს კერძო დასახლებები იწყება სიგრძეზე და უახლოვდება ოცდამესუთე კორპუსს, რომელიც ოცდამეცხრე კორპუსის უკან არის. ოცდამეცხრე კოპუსი მირიან მეფის ქუჩის ხელმარჯვნივ მდებარეობს. მის სადარბაზოებში შესასვლელი გზები ავტოფარეხებს შორის არის მოქცეული. სადარბაზოების ნუმერაცია, თუ მირიან მეფის გზაზე დავდგებით

და სახით გავუსწორდებით კორპუსს დაიწყება მარჯვნიდან მარცხნივ (პირველიდან მეექვსეს ჩათვლით). ბოლო, მეექვსე სა-დარბაზო, მთავარი გზიდან პირველივე სადარბაზო გამოდის (როგორც ამ სადარბაზოს მცხოვრებლები ხშირად ვუხსნით სტუმრად მოსულს).

ჩემს სადარბაზოსთან, ავტოფარეხებს შორის შემოდის ვიწ-რო გზა. ერთხელ აյ მოსულმა ტაქსისტმა შემომჩივლა: „როგორ დაგივიწროვებიათ გზა, დიდ მანქანას რომ მოუნდეს შესვლა, ვერ გაივლისო“. შენიშვნა პერსონალურად მივიღე, განცდა გა-მიჩნდა, თითქოს რაღაც ჩემეულს, „წმინდას“ შეეხნენ; შევენინა-ალმდეგე, გზა რომ გავაფართოვოთ, ბავშვებმა სად უნდა ითამა-შონ, ხალხმა სად იაროს-მეთქი. გზის აქეთ-იქით პატარა რეკრე-აციული ზონებია – ჩემი ოთახის ფანჯრის გასწვრივ ხუთი წიწ-ვოვანი ხეა დარგული. ხეებს შორის ორი სკამი დგას ერთმანე-თის პირისპირ. ერთი უფრო ადრინდელია, იმ პერიოდიდან, რო-ცა ქალაქში წითლად და თეთრად შეღებილი მოსასვენებელი სკამები გამოჩენდა საქანელებთან ერთად, მეორე კი ცოტა მოგ-ვიანებით ყვითელ ავტობუსებს მოჰყვა – მწვანესა და ყვითელში შეღებილი. ამ სკამებზე დღისით სხედან იქვე მოთამაშე ბავშვე-ბის დედები, ან კაცები, რომლებიც ან ნარდს თამაშობენ, ან ეზოში საქმისთვის იკრიბებიან (ავტოფარეხების გადახურვა მა-თი ბოლო აქტივობა იყო). ბავშვებისთვის სპეციალური სივრცე, სკვერი იყო, რომელიც მოშლილია. მას შემდეგ, რაც ლამით დი-დი სიჩქარით მიმავალი მანქანა შევარდა და ეზოს ირგვლივ მოვ-ლებული ღობები დაანგრია, ბავშვები სათამაშოდ იშვიათად ჩა-დიოდნენ. სკვერის გარშემო გზა მოუწესრიგებელია, ორმოებია, რამდენჯერმე ქვეწარმავალი დაუნახავთ და იქ თამაშის სურვი-ლი ბავშვებსაც აღარ აქვთ. სკვერში, სადაც ასფალტი არ არის, სარეველა ბალახია ამოსული. სკვერი სრულიად მიტოვებული არ არის, ოცდამეცხრე კორპუსის ბავშვებმა სკვერში თავიანთ მშობლებს, სკოლის დასასრულს, 15 ივნისს, კონცერტი მოუწ-

ყვეს. პირველ სადარბაზოსთან, კორპუსის ბოლოში და მის გვერდით არის სივრცე, რომლის ასფალტზეც, შავი საღებავით დახატულია კალათბურთის მოედნის ხაზები, იქვეა დამაგრებული ერთი რკინის ფარი.

ბავშვებში განსაკუთრებით პოპულარული ჩემი სადარბაზოს წინა მხარეა – უფრო გაშლილი სივრცეა წრეში-ბურთის უსაფრთხოდ სათამაშოდ. ყველაზე მეტი ბავშვი ამ სადარბაზოში ცხოვრობს. სადარბაზოს იმ მაცხოვრებლებს, რომლებიც ირგვლივ მანქანებს აჩერებენ და ავტოფარეხები აქვთ, გულზე არ მოსდით ბავშვების აქ თამაში. აივნიდან გაიგონებთ: „ბურთს ნუ ურტყამ „გარაჟის“ კარებს!“, „მანქანას ბურთი არ მოარტყათ, იცოდეთ!“, „სხვაგან ითამაშეთ!“, „წინაზე რომ მოარტყი, გადაიხადეს შენმა მშობლებმა?!“ შიგადაშიგ კივილი მესმის. განაპირა მეექვსე სადარბაზოსთან ყველაზე დიდი თავისუფალი სივრცეა. სანამ გვერდით კორპუსის აშენებას დაინტებდნენ, აქ მეექვსე სადარბაზოს მაცხოვრებლებს ნაკვეთები ჰქონდათ შემოლობილი და ბალებად გაშენებული. როდესაც მათ სიახლოვეს ავტოფარეხები აიშენეს (ეს დაამტკიცა თითქმის ერთნლიანი ორჭოფობის შემდეგ მერიამ, თუმცა ბალების მიწები გაასხვისა ინვესტორზე კორპუსის ასაშენებლად) გზის სავალი ნაწილიც ფართო დარჩა. სხვა სადარბაზოებთან შედარებით, სივრცე აქვს მეტუთე სადარბაზოს, ესეც მეექვსე სადარბაზოს ხარჯზე. იმის გამო, რომ ჩემი სადარბაზოსკენ მომავალ გზას, ორივე მხრიდან ნაძვები ესაზღვრება და ამ ნაძვების ერთი რიგი მეტუთე სადარბაზოსკენ მიმავალ გზასაც ეღლობება, ახალი ნაგებობის ახლომახლო ჩადგმა ვერ შეძლეს.

დანარჩენ სადარბაზოებთან გზის ორივე მხარე ავტოფარეხებს „უჭირავს“. მეოთხე და მესამე სადარბაზოებთან პირველ სართულზე მაცხოვრებლებმა, თავიანთი სახლის ფანჯრების წინ დაახლოებით 2 მეტრ სიგრძეზე, სიგანეში ისე რომ სადარბაზოსთან გზაზე ერთი მანქანა დაეტევა, ქვის ფილებით შემოსაზღვრეს

მწვანე ტერიტორია, რომელზეც რამდენიმე ალუბლის ხე და ფერადი ყვავილები დარგეს. ეს ძირითადად იმის ხარჯზე, რომ მეორე და მესამე სადარბაზოების საცხოვრებელი ნაწილი მთავარი გზიდან სხვა სადარბაზოებთან შედარებით მოშორებულია.

ოცდამეცხრე კორპუსი სამი, ცალკე მდგომი, ბლოკისაგან შედგება. პირველი და მეორე სადარბაზოს ბლოკი, მესამე და მეოთხე სადარბაზოების და მეხუთე და მეექვსე სადარბაზოების ბლოკები. მესამე და მეოთხე სადარბაზოების ბლოკი, რომელიც დანარჩენ ორს შორის არის მოქცეული, შიგნით არის შენეული, შესაბამისად, კორპუსის წინ გამავალი მთავარი გზიდან, მირიან მეფის ქუჩიდან სხვა სადარბაზოებთან შედარებით უფრო დაშორებულია. სხვა ბლოკებს შორის მოქცეული სივრცე სიმყუდროვის განცდას ტოვებს, ვიდრე პირველი სადარბაზოს ღია სივრცე. მესამე სადარბაზოს წინ დასაჯდომად და მოსასვენებლად, სხვებთან შედარებით უკეთესი ადგილია, რადგან დასავლეთის მხრიდან წამოსულ ქარს ეფარება პირველი და მეორე სადარბაზოების ბლოკი.

თითქმის ყველა სადარბაზოსთან არის წყაროები, ზოგი მუშაობს ზოგი არა. მეექვსე სადარბაზოსთანაც იყო წყარო, თუმცა სადარბაზოს მაცხოვრებლებმა გააუქმეს – ხშირად ფუჭდებოდა, წყალი დგებოდა. ახლა ამ სადარბაზოს გამორჩეულობას რაც სძენს, მის შესასვლელში გაკეთებული რკინის ნაკეთობის გადახურვაა. ეს გადახურვა მამაჩრემმა გააკეთა 3-4 წლის წინ. როგორც თვითონ მითხრა, ერთი რომ წვიმის დროს შეგიძლია თავი შეაფარო, და მეორე, უსაფრთხოებისთვის, რადგან უამდინდობისას, წვიმისა და ქარის დროს, კორპუსიდან ხშირად ცვივა აივნებიდან ნივთები. კორპუსიდან წვიმას ჩამოაქვს გაჯი და კენჭები. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს „მეზობელი შემოდიოდა სადარბაზოსთან და ჩამოვარდა ნალესი, სადლაც ორი მუჭის ტოლი. კი არ მოხვედრია, მაგრამ იქვე დაეცა“.

ოცდამეცხრე კორპუსის მაცხოვრებლები სათავსოებად

მხოლოდ ავტოფარეხებს არ იყენებენ. კორპუსს პირველი სართულის ქვემოთ აქვს სარდაფები. ზოგიერთ სარდაფს შესასვლელი შენობის გარეთაც აქვს და შიგნითაც – პირველ სართულზე სადარბაზოში შესვლისას ამავალ კიბესთან არის სადარბაზოში ჩასასვლელი კარიც. სარდაფების რაოდენობა შეზღუდულია და სადარბაზოს ყველა მაცხოვრებელს არ აქვს. ვისაც სარდაფი არ აქვს ითვისებენ ბინის შესასვლელთან სივრცეს. კორპუსის 6 სადარბაზოში თითოეულ სართულზე ორი ბინაა განლაგებული ერთმანეთის მოპირდაპირედ. კორპუსში სამ და ოთხ ოთახიანი საცხოვრებელი ბინებია: მარჯვენა მხარეს სამ ოთახიანია, მარცხნივ – ოთხ ოთახიანი. ბინებს შორის დაშორება (ერთის შესასვლელი კარიდან მეორეს კარამდე) დაახლოებით 2 მეტრი სიგრძისაა. ბინების კარები ყველგან რკინისაა. სართულებს (ლიფტის გარდა) ერთმანეთთან აკავშირებს კიბეები – მარჯვენა ბინასთან არის მის ქვემოთ ჩასასვლელი კიბე (ან ქვემოდან მასთან მისასვლელი), ხოლო მარცხენასთან ზემოთ ასასვლელი კიბე (ან ზემოდან მასთან ჩამოსასასვლელი). ამ საფეხურებს მთელი ბავშვობა ვითვლიდი, როცა ლიფტი არ გვქონდა – სულ ცხრა საფეხურია. ამ სივრცეში, ბინასთან ახლოს მყოფ კიბეზე ან კართან ხშირია ამ ბინაში მაცხოვრებლების მიერ სივრცის ათვისების შემთხვევა. შეხვდებით ისეთ ნივთებს, რომლებსაც ბინადრები აღარ იყენებენ, ადგილს ვეღარ უძებნიან სახლში, გადაგდებითაც ენანებათ და დროებით, სანამ მოუფიქრებენ დანიშნულებას, ისე რომ გადაადგილება კიბეზე არავის შეუზღუდონ, ამ სივრცეში განათავსებენ.

რაც შეეხება ბოლო სართლს, ჩემს სადარბაზოში მეცხრე სართულზე მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახს მცენარეები აქვს შემოდებული ორივე კიბესა და იმ პატარა რკინის კიბეზეც, რომელიც აკავშირებს კორპუსის შიდა სივრცეს სახურავზე გასასვლელთან. ამ სართულზე მხოლოდ აქ მაცხოვრებლები ადიან. ყველა სხვა დანარჩენზე იმ სართულზე მაცხოვრებლების გარდა ხვდე-

ბიან სხვებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა პირველი სართული. ყველა მაცხოვრებელი თუ სტუმარი ამ ადგილს გაივლის. ლიფტის მოლოდინში შესაძლოა რამდენიმე ადამიანი დადგეს ხელში დიდი პარკებით რისთვისაც სივრცე საჭიროა და ვერ გამოდებს ბინის მაცხოვრებელი საგარდელს ამ სივრცეში, როგორც ეს გააკეთა სხვა სადარბაზოს მაცხოვრებელმა მაღალ სართულზე. სადარბაზო და ბინების წინ სივრცე ერთ-ერთი იმ ადგილთაგანია, რომელიც ერთდროულად ყოველდღიურად ტრანსოფრმირდება და ამავე დროს ერთგვაროვანი რჩება თავისი სტრუქტურით.

ვინც პირველ სართულზე არ ცხოვრობს, ვერც ნაკვეთი და-ამუშავა და გვიან შეუერთდა ოცდამეცხრე კორპუსის სამეზობლოს, ერთ მეთოდს მიაგნო. მეოთხე და მესამე სადარბაზოებს ორ მაცხოვრებელს ავტოფარეხის თავზე ვაზი ამოუყვანია და რკინის ძელებით ტალავერი აქვს სახურავზე გაყვანილი. ავტოფარეხს გვერდიდან აქვს მიშენებული კიბე, რომლითაც ადიან სახურავზე ვაზის მოსავლელად. თუმცა, ხშირად ამ კიბეზე უბნის ბავშვებიც ადიან და სხვა, მიჯრით მდგარ ავტოფარეხების სახურავებზე გადარბიან. ზოგიერთი ავტოფარეხი მხოლოდ მანქანების სადგომად არ აქვთ გამოყენებული ოცდამეცხრე კორპუსელებს. მამაჩემს მის შიგნით, ფაქტობრივად „რკინის საამქრო“ ჰქონდა რამდენიმე წლის განმავლობაში, 2022 წლამდე. მისი ავტოფარეხი მისივე შემოსაზღვრულ ბალთან იყო, გვერდით. მამაჩემმა სამუშაო ადგილი შეიცვალა, როცა ავტოფარეხის უკან ტეროტორია და მათ შორის მეზობლების ნაკვეთების ადგილებიც ახალი კორპუსის აშენებისთვის მერიამ გაყიდა ახალი კორპუსის ასაშენებლად. კიდევ ერთი მეზობელი სანთლებს ამზადებს საკუთარ ავტოფარეხში. მესამე სადარბაზოსთან, იქვე მდგარ ავტოფარეხში ხის პატარა სახელოსნო არის გახსნილი. მეექვსე სადარბაზოს პირდაპირ, სარეკრეაციო ზონის გასწვრივ, ავტოფარეხში, ამავე სადარბაზოს პირველ სართულზე მცხოვ-

რებმა ოჯახმა გახსნა მაღაზია. მის გვერდით, 2022 წელს გააქი-
რავა ავტოფარენი ამავე სადარბაზოს კიდევ ერთმა მაცხოვრე-
ბელმა, სადაც მაღაზია გახსნეს. დაახლოებით ერთი წელი ამუ-
შავებდნენ და შემდეგ დაიხურა, რადგან არ ჰყავდათ საჭირო
რაოდენობის მომხმარებლები. დღეს ასეთ ავტოფარენებში მხო-
ლოდ ერთი მაღაზია მეორე სადარბაზოსთან, 4 წელია რაც არ-
სებობს. მოლარე კორპუსის მარჯვენა მხარეს არსებული კერძო
დასახლებების მაცხოვრებელი ქალბატონია (35-40 წლამდე).
ჩემთან საუბრისას, კითხვაზე, როგორია მომხმარებლების რაო-
დენობა, აღნიშნა: „ცუდი. რაც ეს მაღაზიები გაიხსნა, უფრო
კლებულობს, მაგრამ ქარში და ცუდ ამინდში, იქ „ნიკორაში“
ან უფრო შორს, „ორ ნაბიჯში“ ჩასვლას, უცებ აქ შემოირბე-
ნენ. თან ყველაფერი მაქვს და ბევრად ნაკლებ ფასებში ვიდრე
მაგ მაღაზიებშია. როგორ უმატებენ ასე ფასებს არ ვიცი“. რო-
ცა მაღაზია დავათვალიერე, ერთ პატარა ავტოფარენებში უამრა-
ვი პროდუქტი იყო მოთავსებული; ორ კედელზე ჩაყოლებული
მთლიანად მაცივრები იყო სასმელისა და რძის პროდუქტების-
თვის. შუაში ედგა 2-3 მაცივარიც გაყინული პროპდუქტების-
თვის. ჰქონდათ ტკბილულობაც.

ჩემი ინფორმანტი გიორგი, 55 წლის მამაკაცი, დიდ დილომ-
ში ოჯახთან ერთად საცხოვრებლად 1990-იანი წლების მიწუ-
რულს გადავიდა. ინტერვიუში ის ყვება, რომ კორპუსი იყო და-
უსრულებელი – არ იყო საცხოვრებელი პირობები (წყალი, კანა-
ლიზაცია, ელექტრო-ენერგია, კორპუსის მშენებლობა დასრუ-
ლებული). 1990-იანი წლებიდან მან გაიხსნა როგორ ცდილობდა
რამდენიმე ოჯახი საკუთარი ძალებით კორპუსისა და მიმდება-
რე ტერიტორიის გარდაქმნას. საუბარი დავიწყეთ იმ შესაძლო
კორპუსის აშენების თარიღთან დაკავშირებით. ოცდამეცხრე
კორპუსი, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემ-
დეგ, პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებების ქარტეხილში ვე-
ღარ დასრულდა: არ იყო ლიფტი, სახურავიც გასაკეთებელი

იყო, არც წყალი და არც კანალიზაცია არ დახვედრიათ მაშინ აქ საცხოვრებლად მოსულებს. იმ დროისათვის, როცა პირველი მაცხოვრებლები გადმოვიდნენ, ოცდამეცხრე კორპუსი იყო „შავი კარკასი“, მის ეზოში, რომელიც მოსწორებულიც კი არ იყო და გორაკები იყო, იდგა მშენებლობისგან შემორჩენილი ნაგავი და ამნები.

„აქ სულ მიწა იყო, იქითკენ ახლა სადაც ასფალტია, მიწის გზა იყო. მიწიდან, გორიდან უნდა ჩამოსულიყავი დაბლა, რომ სადარბაზოში შემოსულიყავი. ზემოდან უნდა ჩამოსულიყავი. ორმოები იყო და სამშენებლო მასალები ეყარა. შევკრიბეთ ფული, მოავსწორეთ, „კრანი“ დაჭრეს და ჯართში ჩაბაარეს. მოვიყვანეთ ტრაქტორები და რაღაცები. სადაც ახლა კერძო მოსახლეობაა (ოცდამეცხრე კორპუსის მარცხნივ), იქ კორპუსი იყო. ამ კორპუსის იქით არაფერი იყო. ტურები და მგლები დარბოდნენ. ღამით ტურების ხმა ისმოდა. საძოვრები იყო და იმას აძმვებდნენ, ცხვრებს და ძროხებს.“

მას შემდეგ რაც პირველმოსახლეებმა თავიანთი ინიციატივით შეძლეს ამწევებისა და სამშენებლო ნაგვის გატანა, კორპუსის გადახურვა და შემოსასვლელი კორპუსის წინა სივრცის მოსწორება, ახალმა მაცხოვრებლებმაც დაიწყეს კორპუსის ათვისება. საჭირო გახდა ელექტროენერგიის მასიური მიწოდება. გიორგი იხსენებდა, რომ კორპუსის უკან იყო ლექტრომომარაგების სადგური, რომელიც დღესაც ფუნქციურია, თუმცა თელასის საკუთრებაშია. ამ ქვესადგურიდან ოცდამეცხრე კორპუსის მაცხოვრებლებს გადმოყვანილი ჰქონდათ ელექტრო ენერგია თავიანთ სახლებში. ერთ მეზობელს თუ ჰქონდა სადგურიდან ელექტრო ენერგია გადმოყვანილი, მის გადმოყვანილ ენერგიას ებნებოდა ერთი ან ორი სხვა მეზობელიც. ელექტრო ენერგია რომ გაითიშებოდა, სადგურიდან გადმოყვანილებს მაინც ჰქონდათ სახლი განათებული. პარალელურად იპარავდნენ „კაბელებსაც“. გიორგიმ თქვა: „შიშველი მავთულები იყო ჩამოკიდე-

ბული, გადახლართული ერთმანეთში და ისე იყო გამოყვანილი დენი. უსაფრთხოება არ იყო დაცული. „რაც შეეხება გათბობას, მოსახლეობის უმეტესობას ჰქონდა ნავთქურა და შეშის ღუმელები. „ყოველ დილით პირველი სართულიდან დავათრევდით შეშას, ამოგვქონდა მალა, ეჩებავდით.“

შეშის ღუმელების მილები გაყვანილი ჰქონდა ფანჯრები-დან, რაც იწვევდა კონფლიქტს მეზობლებში. ერთი მეზობლის ღუმელის მილიდან გამომავალი კვამლი მეორეს ფანჯრებში შედიოდა. ჩემს ინფორმანტს მილი გაყვანილი ჰქონდა აბაზანაში და უერთდებოდა საპაერო სისტემას. როდესაც გაზი შემოვიდა და ასევე ამავე კორპუსის მაცხოვრებლებმა თავიანთი მონდო-მებით გააკეთეს გაყვანილობა, ცენტრალური გათბობა ერთ-ერთმა პირველმა გააკეთა ჩემმა ინფორმანტმა. ნავთქურისათვის ნავთის ყიდვაზე რიგი დგებოდა კორპუსის წინ. „ბუტკა“ [ჯიხური] იყო რაღაც, გაუთავდებოდა სხვაგან უნდა წასულიყავი.“

აქ გადმოსვლას ისტორია გიორგისათვის მაშინ დაიწყო, როდესაც საკუთარ დასთან ერთად ცხოვრობდა თბილისის სხვა უბანში სტუდენტობისას. იქ მოსულმა მეზობელმა შესთავაზა გიორგის ბინა დიდ დილომში, რომელსაც მისი ნათესავი ყიდდა. დის მონდომებით გიორგიმ 1990-იან წლებში შეიძინა ბინა. მას შემდეგ ნელ-ნელა აწყობდა საცხოვრებელს: თავისით ჩასვა ფანჯრები, კარები. ახლადშექმნილ ოჯახთან ერთად რომ გადმოვიდა, ბინის მოწესრიგება და კორპუსის სივრცეზე ზრუნვა სხვა მეზობლებთან ერთად განაგრძო. განსაკუთრებული მოლოდინები არ ჰქონია, ესმოდა, თუ რაიმეს გაკეთება სურდა, თავისი ძალებით უნდა ეშრომა. „იმედი გვექონდა რო[მ] ყველაფერი გვექნებოდა, გავაკეთებდით, სამეზობლოც შეივსებოდა, ლიფტიც გვექნებოდა და ასე თუ ისე დაემსგავსებოდა საცხოვრებელს. დღეისათვის ვთლი რომ ჩვენი კორპუსი და ჩვენი სადარბაზო ძალიან კარგი ადგილია საცხოვრებლად.“

კორპუსს მატერიალურის გარდა, კრიმინალურ პრობლემე-

ბიც ჰქონდა. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა კორპუსში და დაუმთავრებელი იყო, თუ რამის წაღება შეიძლებოდა იპარავდნენ. გიორგიმ თქვა: „აქ დენის კაბელი გამოვჭიმეთ და ერთხელაც მოვდივარ და მოპარული დამხვდა, ვიღაცამ მოიპარა. სახლშიც შემოვიდა, ჩვენგან ვერაფერი წაიღეს ისეთი. ზოგი ამბობს როგორც პარკეტი ამიყარესო.“ ასეთ პირობებში მობინადრეებს არ წარმოედგინათ, რომ თავიანთი თავების გარდა ვინმე დაეხმარებოდა. იცოდნენ, რომ თავად უნდა აეკრიფათ ფული და გაკეთებინათ თუ რამის გაკეთება სურდათ. მოგვიანებით, დაახლოებით ათი წლის შემდეგ, როცა კორპუსის თავმჯდომარეც აირჩიეს, მთავრობასთან დაიწყეს თანამშრომლობა. სადარბაზოებში ლიფტების გაკეთებასთან დაკავშირებით, მერიამ გადმორიცხა თანხის ნაწილი, ნაწილი კი თავად დაამატეს. მერიამ გაურემონტა სადარბაზოები და დაუგო ასფალტი, ჯერ კორპუსის წინ, 10 წლის შემდეგ, კორპუსის უკანაც. „თავიდან ეგ წარმოუდგენელი იყო იმ პერიოდში როგორც მთავრობას რამე გაეკეთებინა, რასაც ვაკეთებდით, ჩვენი ძალებით ვაკეთებდით.“

ოცდამეცხრე კორპუსის მაცხოვრებელთათვის 1990-იანი წლები დაახლოებით ყველასთვის ერთნაირი იყო. 1990-იანი წლებსა და 2000-იანი წლების დასაწყისში, ოცდამეცხრე კორპუსში ცხოვრების ყოველდღიურობის მსგავსება საზიარო სიკეთეებამდე განივრცობოდა. ჩემთან საუბრისას ერთ-ერთი ქალბატონი (40-45 წლის) იხსენებდა: „მე ჯერ კიდევ იმ პერიოდში ვცხოვრობდი აქ, გარეთ რომ ჩვეულებრივი ხის საერთო ტუალეტი გვედგა. ფეჩის [ღუმელის] ტრუბები [მილები] გვქონდა ფანჯრებში გაყოფილი; ვინმესთან ერთ ნავთქურაზე სუპი მთელი დღის მერე რომ გაკეთდებოდა მთელი სადარბაზო აღვნიშნავდით“.

დედაჩემმა მითხრა: „ქარი და წვიმა რომ იყო და ნავთის საყიდლად ვერ გავდიოდი, სულ ჩვენი მეზობლის ბიჭი მეგ ზავ-

ნებოდა, არ დაიზარებდა”. საერთო პრობლემა იყო კორპუსამ-დე მოსასვლელი გზაც, სამშენებლო ნაგავით დაბინძურებული გარემო, უნიკლობა და ელექტრო ენერგიის არ ქონაც. ერთნაირი პრობლემები აწუხებდათ და ერთად ცდილობდნენ პრობლემების მოგვარებას. მათ შორის, ზოგიერთი მაშინაც მოქმედებდა საერთოს განცდით, როცა მოლაპარაკების გზით ხდებოდა პი-რადი სივრცის გადანაწილება.

ოცდამეცხრე კოპრუსის მაცხოვრებლებმა პინა მათგან შეიძინეს, ვისაც საბჭოთა მთავრობამ გადასცა თავის დროზე. გიორგის ინფორმაციით ბინები მიღებული ჰქონდათ მთავრობის-გან, რომელიც არგანიზაციის თანამშრომლებს. მისი თქმით, კორპუსზე იძახდნენ „შოფრების კორპუსიაო“. ალბათ ამ ორგანიზაციაში დასაქმებულ მძღოლებს აძლევდნენ ამ კორპუსში პინებს უმეტესადო. ამ პრინციპით ვიღაცას მიღებული ჰქონდა ეს პინაც, რომელიც გიორგიმ შეიძინა 1990-იან წლებში. მეპატრონეს გაყიდვის უფლება ჰქონდა.

იმ პერიოდში, როდესაც მიწის მოსწორება დაიწყეს კორპუსის წინ, მეზობლებმა შემოისაზღვრეს ნაკვეთები, რომლებსაც ამუშავებდნენ. ამ ნაკვეთების ოფიციალური რეგისტრაცია არ მომხდარა. სახელმწიფო სტრუქტურების გამართვის შემდეგ, კორპუსის წინ, მოშორებით შეძლეს ნაკვეთების დამტკიცება, მაგრამ იმ მოსახლეებმა, რომლებსაც ნაკვეთები ჰქონდათ კორპუსის მარცხენა მხარეს. წლების განმავლობაში მერია უარს ეუბნებოდა, რომ ადგილი გადაეფინებინათ, თუმცა არ უკრძალვდნენ მიწაზე მუშაობას. გიორგიმ თქვა: „ვისაც შრომა არ გვეზარებოდა, თავისუფალ ადგილებში გავედით, დავბარეთ, მოვასუფთავეთ, დავრგეთ ხეები, ბოსტნებიც გვქონდა გაკეთებული, კიტრი, პომიდორი.“

ნაკვეთების გადანაწილების პროცესი ბუნებრივად მომხდარა. მაგალითად, რამდენიმე კაცმა ამოირჩია თავისთვის საკმარი-

სი ტერიტორია მიწის დასამუშავებლად. „ჩემს ადგილას დიდი ორმო იყო, ამოვავსეთ და დავინანილეთ ჩვენით.“

მიწაზე მომუშავეებს ძირითადად მოჰყავდათ კიტრი, პომი-დორი, ნინაკები, ზოგს კარტოფილი ჰქონდა. დროთა განამვლობაში, დაიწყეს ბალების მოშენება. დარგეს ალუბლები, ქლიავი, ბრონეული, გარგარი, გააშენეს ვაზიც. ეს სივრცეები იქცა მეზობლების თავშეყრის ადგილად. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კორპუსის მიმდებარე ტერიტორიას ასუფთავებდნენ და ასწორებდნენ, იქვე, მინდორში გაიტანდნენ ხოლმე პურ-მარილს და საღამოს დაღლილები ერთად მიირთმევდნენ. ან თუ რამე დღეობა იყო, მასაც აღნიშნავდნენ. მას შემდეგ რაც ბალები „გააშენეს“, დადგეს სკამები და მაგიდებიც და იქ აღნიშნავდნენ მეზობლები ერთმანთის დაბადების დღეს და დღესასწაულებს.

სივრცე ყველასი იყო და ყველა თავისთვის საკმარის ტერიტორიას იზომავდა; მონეული მოსავალი დაუნანებლად ნაწილდებოდა სამეზობლოში. ყველას შეეძლო ამ ტერიტორიებზე შესვლა და ხილის მოწყვეტა. იმ პერიოდის ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარი ბინების გარეთ, რთული იყო პირადი და საჯარო სივრცეების გამიჯვნა. პირადის შემოსაზღვრა ხდებოდა არა ოფიციალური დოკუმენტებით, არამედ წარმოდგენებით, პირადი ურთიერთობებით მეზობლებთან. მიწის საკუთრებად ქცევა დაფუძნებული იყო მფლობელის პრაქტიკაზე და არა სპეციფიურ შემოსაზღვრაზე და ასევე საჯაროს ელემენტებს სძენდა „პირად ნაკვეთს“ სხვისი პრაქტიკა და ის ფაქტი, რომ ეს ტერიტორია ოფიციალურად ისევ სახელმწიფოს ეკუთვნოდა, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში არავის ახსოვდა.

დროთა განმავლობაში, სახელმწიფო ინსტიტუტების გამართვასთან ერთად გამოჩენდა „მტკიცედ პირადი“ სივრცეებიც; ადგილები, სადაც უნებართვოდ, მესაკუთრის გარდა, ვერავინ შევიდოდა. ასეთი არეალები იყო ავტოფარეხები. როდესაც სამამეზობელმა თავისი ხარჯებით დაიწყო ნაკვეთების ტერიტორი-

ასთან ავტოფარეხების მშენებლობა, ადრეული 2010-იანი წლები იყო. მათ მიაჩნდათ, რომ ოცდამეცხრე კორპუსის მიდამო სახელმწიფოსთვის უინტერჯესო იყო. არც რაიმე კეთდებოდა ახალი მთელს უბანში და არც ნაკვეთების დამტკიცებას აპირებდა ამ ხალხისთვის. იმ პერიოდში მოსასვლელ გზაზე ხრეშიც მაშინდელი კორპუსის თავმჯდომარის მოწადინების შედეგად დაიყარა. იმ პერიოდში ჩემი ინფორმაციის (კაცი 55 წლის) თქმით, მანქანებს კორპუსებთან არ აყენებდნენ, რადგან ავტოსადგომიდანაც იპარავდნენ. თუ გარეთ დატოვებდნენ დაშლიდნენ ერთ ღამეში. თქვა, რომ მესამე მიკრორაიონთან იყო დიდი ავტოსადგომი, სადაც მანქანას ტოვებდნენ მეზობლები.

იმის შიშით, რომ ავტოფარეხის აშენების უფლებას არ მისცემდნენ და ტერიტორია მომავალი წლების განმავლობაში ისევ ნაკვეთების მსგავსად გამოუყენებელი დარჩებოდა, ხოლო მათი საჭიროებები აღარ იცდიდა, საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტეს მოქმედება. მშენებლობა სანახევროდ იყო მისული, როდესაც მერიიდან მიიღეს ჯარიმა და დანგრევის ბრძანება. აშენებული ავტოფარეხები დაანგრიეს, ბლოკები წაიღეს. დაახლოებით ერთ წლიანი ბრძოლის შემდეგ, მერიაში ნაცნობების გამონაზვის გზით, ეს სივრცე მაცხოვრებლებს ოფიციალურად დაუმტკიცეს. ადგილობრივებმა თამამად დაიწყეს ავტოფარეხების მშენებლობა. მსგავსი პრობლემა არ შექმნიათ კორპუსის წინა მხარეს ავტოფარეხების აშენების მსურველებს. ეს ტერიტორია კორპუსის წითელ ზონაში ყოფილა მაშინვე. მაშინ, როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში პრაქტიკის განხორციელების თვალსაზრისით ყველაზე ცოცხალი იყო კორპუსის მარცხენა, განაპირა ზონა, ოფიციალური სახით მისი მოსახლეობის საკუთრებად არ ითვლებოდა. სანამ მარცხენა ფლანგზე ავტოფარეხების არსებობისთვის იბრძოდნენ, კორპუსის მოპირდაპირე მხარეს ავტოფარერხებში კომერციულ საქმიანობას ეწეოდნენ.

ცოტა ხნის წინ, ღამის სამ საათზე ადგილობრივ მიტანის სერვისს – „გლოვოს“ შევუკვეთე საჭმელი. როდესაც დიდ დილომს, მეოთხე მიკრო რაიონს მოუახლოვდა, დამირეკა და მითხვა – პინძა არასწორად მომიყვანა მგონი, ახლა ვარ აი აგერ, ორი ნაბიჯია და ლიბრე. 2021 წლის დასაწყისში ჯერ კიდევ ასე ავუხსნიდი, როგორ უნდა მოეგონ – მესამე მიკროს ორ ნაბიჯს რომ გამოცდებით, 2- გაჩერებაში იქნება მოსახვევი – გზაჯვარედინი, მარცხენა მხარეს დიდი წითელსახურავიანი კერძო სახლია, პირდაპირ კი დაინახავთ ცალკე მდგომი გრძელი, ძველი კორპუსია და აი ეგაა. ახლა კი ვეუბნები – აი მაგ ლიბრეს გვერდით, ახალი აშენებული კორპუსი რომ არის, მაგის ქვემოთ არის „ნიკორას“ მაღაზია კუთხეში, ნიკორასთან გზაჯვარედინი რომ არის, აი მანდ შემოუყევით ხელმარჯვნივ, შეგხვდებათ მშენებარე კორპუსი და მაგის გვერდითაა ცხრა სართულიანი ძველი კორპუსი. ახალი კორპუსის ფონზე ოცდამეცხრე კორპუსი აღარ არის თვალშისაცემი, მაგრამ ახალი მარკეტების საშუალებით მარტივად მოსაგნები რუკის აწყობა შესაძლებელია.

კირილ სტანილოვნი მსჯელობს მიწის პრივატიზების პროცესის შესახებ, პოსტსოციალისტურ არეალებში, რამაც გავლენა იქონია პერიფერიულ სოციალისტურ საცხოვრებელ სახლებზე, სადაც ახალი კორპუსები, ქაოსურად განთავსებული სავაჭრო ცენტრები და ბენზინგასამართი სადგურები გაჩნდა, მაღალ-სართულიანი საცხოვრებელი შენობების მიერ გარშემორტყმულ ცარიელ ადგილებში (Stanilov 2007, 272).

ცვლილებები გიორგისთვის გრადაციული და მოულოდნელი არ ყოფილა. ირგვლივ მიმდინარე განაშენიანების ფონზე, ინფორმანტს ახარებს ერთი ფაქტი – „წინა მხარეს ვერავინ ვერაფერს ჩამოგვაფარებს, ამ მხრივ კარგია.“ თუმცა ანუხებს დიდ დილომში საცობების ამბავი. მისი აზრით, დიდ დილომს მოსახლეობის ზრდასთან ერთად აღარ ჰყოფნის გზები, ქუჩები და სივრცეები, ისევე როგორც ქალაქის სხვა უბნებიდან შემოსას-

ვლელები. აშინებს ფაქტი, რომ დიდი დილმის სივრცე ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შევსებული საცხოვრებელი კორპუსებით და არც კი უნდა წარმოიდგინოს, ამ ცარიელ სივრცეებში ახალი კორპუსების მშენებლობა და ახალი მაცხოვრებლების დამატება როგორ რთულს გახდის გზებზე გადაადგილებას: „ეს გზები 1990-იან წლებში შეავიწროვეს, დარჩა ეს ერთი გზა. მეხუთე მიკროც უნდა აშენებულიყო, იყო გეგმამით რომ მეტროც უნდა გაეყვანათო. ერთ-ერთი კარგი დასახლება შენდებოდა“ – თქვა ფიქრებში გართულმა.

მიუხედავად ამისა, გიორგის საცხოვრებლის შეცვლის სურვილი ჯერ არ აქვს. როგორც თვითონ ამბობს, „უკეთესი ადგილი რო მოძებნო, ეგ იმას ნიშნავს რო[მ] უკეთესი ფინანსები უნდა გქონდეს.“ ამ ეტაპზე ვერ ხედავს სადმე სხვაგან გადასვლის მიზეზს. არც მაშინ შეიცვლიდა ბინას, თუკი წინა ხედს საფრთხე დაემუქრებოდა და კორპუსს ააშენებდნენ. მისი აზრით, არც ამ შემთხვევაში ექნება აზრი თბილისის რომელიმე სხვა უბანში გადასვლას, რადგან ყველაზე განაშენიანების ერთნაირი პრინციპია უკვე და ხედები ყველა კორპუსს, სხვა კორპუსის აქვს. სამაგიეროდ, ამ განაშენიანებამ რაც კარგი მოიტანა, არის სასურსათო მაღაზიები და აფთიაქები, რაც ადრე მეოთხე მიკრო რაიონში არ იყო. „(როცა აფთიაქები არ იყო) შორს მივდიოდით, მეორეშიც და მესამეშიც ჩავსულვარ ღამე ფეხით აფთიაქები წამალი რო[მ] მეყიდა. საკმაოდ მოუხერხებელი იყო. მაღაზიაც არ იყო სადლელამისო.“

ჩემს ინფორმაცია უმრავლესობისათვის სწრაფი განაშენიანება და სივრცის პრივატიზება ასოცირდება ახალ მაღაზიებთან, გაუარესებულ ჰაერთან და საცობებთან.

კორპუსის მდებარეობა ხედის თვალსაზრისით მომგებიანია. კორპუსის წინა მხარეს არის მთავარი გზა, მის გვერდით შესყიდული ნაკვეთები ამავე კორპუსის მაცხოვრებლების მიერ, ხოლო ამ წაკვეთების უკან არის ვრცელი მდელო, გორები, რომ-

ლებზეც კერძო სახლებია. ხედად არის სივრცე, სიმწვანე. ნეო-ლიბერალიზაციის მასობრივი განაშენიანება მაღალი კორპუსებით მაცხოვრებელთა წინა ფანჯრებიდან არ შეიმჩნევა. მისი ძირითადი წილი მოდის მარცხენა და უკანა მხარეზე. ოცდამეტუთე და ოცდამეცხრე კოსპურსებს შორის კიდევ ერთი კორპუსი იდგმება. ის, რომლისთვისაც მერიამ გაასხვისა კორპუსის მარცხენა მხარეს არსებული ბალები. ეს არის მასშტაბური საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც მთლიანად დაფარავს ოცდამეტუთე კორპუსს, როგორც შედარებით მოშორებით მდგარ კორპუსს. ეს ახალი კორპუსი ოცდამეცხრე კორპუსს მზის ამოსვლის დროს ამიერიდან ჩრდილად გადაეფარება. მხოლოდ შუადღის მზე და სააღამოს დაისის დროს მოხვდება სხივები ოცდამეცხრე კორპუსს. ამ ახალი კორპუსის აშენებამ გამოიწვია სხვა პრობლემებიც: გადაკეტა ოცდამეცხრე და ოცდამეტუთე კორპუსს შორის უმოკლესი დამაკავშირებელი გზა, რომელსაც მარკეტში მიმავალი ოცდამეცხრე კორპუსელები გადადიოდნენ.

ახალი კორპუსის მშენებლობამ კიდევ ერთი პრობლემა გამოიწვია – ადგილი სადაც ნაგებობას აშენებენ, არის ის ზონა, სადაც გადის ოცდამეცხრე კორპუსის წყალმომარაგების მილები. ბოლო 3 თვის განმავლობაში წყალი ზოგჯერ წყდება ან მისი წნევა იკლებს. ივნისის თვეში იყო რამდენიმე შემთვხვევა, როცა კორპუსის მშენებლობისას ეს მილები დააზიანეს. ასეთი ერთ-ერთი შემთხვევის დროს 3-4 დღის განმავლობაში ოცდამეცხრე კორპუსს წყალი საერთოდ არ მიეწოდებოდა. წყალმომარაგების კომპანიამ, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაურერმა“ იმ ღამითვე გამოაგზნა ბრიგადა, თუმცა პრობლემა სწრაფად ევრ მოგვარდა. რამდენიმე დღიანი სამუშაოების პარალელურად კომპანიამ გამოაგზავნა წყლის ცისტერნა კორპუსისათვის, რომელიც მაღაზია „ნიკორასთან“ იყო და მსურველებს საკუთარი ჭურჭელით შეეძლოთ წყლის უფასოდ წამოლება. ერთ-ერთი ინფორმანტი, დაჩი (18-20 წლამდე) მეორე მიკროში დილით სავარჯიშო დარ-

ბაზში ჩავიდა დასაბანად. ამ კაცისათვის საცხოვრებელ ადგილს პრაქტიკული დანიშნულება უფრო აქვს. მისთვის არ იყო მნიშვნელოვანი ხედის ან გარკვეული სივრცეებისა და ადგილების ცვლილება.

55 წლის გიორგი ამჯერად კორპუსის შიდა სივრცეზე საუბრისას აღნიშნავს, რომ საცხოვრებლად გადმოსვლისას პირველ რიგში ჩასვა ფანჯრები – მისალებში სამი ფანჯარა უნდა ყოფილიყო, თუმცა ერთი, შეუ ფანჯრის სივრცე ამოაშენა და დატოვა ორი – აქეთ-იქით, რადგან მისთვის ესთეტიკური თვალსაზრისით ძალიან ბევრი ფანჯარა იყო. გააკეთა კარებიც, გაუკეთა აივანს თავის ხელით რკინის მოაჯირები; გაიყვანა კანალიზაციაც და შეიყვანა წყალიც. იატაკი ბეტონის იყო ყველა ოთახში. მოგვიანებით, ასევე თავის ხელით, ხის პარკეტი დააგო ერთ საძინებელ ოთახში, შედარებით პატარა ოთახში, რომელშიც ღუმელი ედგა, ამიტომაც ოჯახში ამ ადგილმა, „მთავარი ოთახის“ ფუნქცია შეიძინა.

უფრო ძირეული გარდაქმნების გაკეთება მოუწია სამზარეულოში. სამზარეულო ესაზღვრება ლიფტს. საბჭოთა გეგმარებით ლიფტსა და სამზარეულოს შორის იყო კაბინა – ნაგვის ჩასაყრელი შახტა. აქ გადიოდა მილი, რომლის საშუალებითაც მაცხოვრებლების მიერ ჩაყრილი ნაგავი გროვდებოდა პირველ სართულზე. გეგმის მიხედვით, უნდა მოსულიყო სპეციალური მანქანა და ნაგავი გაეტანათ, მაგრამ 1990-იან წლებში მსგავსი მანქანა არ არსებოდა, შესაბამისად ნაგავი გროვდებოდა და კორპუსში ჩნდებოდა ვირთხები და დგებოდა სუნი. ანტისანიტარული ნაგვის შახტა, მეზობლებმა ერთობლივი ძალებით გააუქმეს. დარჩენილი სივრცე პრაქტიკული დანიშნულებით გამოიყენეს: ზოგმა სამზარეულოს გაფართოება გადაწყვიტა, ზოგმა კი სათავსო გააკეთა შახტის სივრცეში, ლიფტთან.

სათავსოებად ზოგიერთ მეზობელს, მას ვინც ადრე გადმოვიდა და გაუმართლა, ჰქონდათ და დღესაც აქვთ, სარდაფები.

ამასთან დაკავშირებით ინფორმანტს პირველი კონფლიქტი მოუვიდა მეზობელთან: გიორგიმ როცა ბინა შეიძინა, მეპატრონემ უთხრა, რომ ბინას მოყვებოდა სარდაფიც, თუმცა არ უჩვენებია, რომელი იყო. მაშინ სარდაფები არ იყო დაკეტილი, ლია სივრცე იყო. ამბობს: „მერისთან [მეზობელი] მომივიდა კამათი – ის იძახდა ჩემიაო, მე არა ჩემია-მეთქი. მერე დათომ [მეზობელი] მომცა თავისი ნახევარი, დიდი იყო იმისი“. დანაწილების პრინციპი ასევე თვითნებური იყო. საერთო ჯამში, ერთ სადარბაზოში 5-6 ოჯახის სარდაფია.

მეექვსე და მეხუთე სადარბაზოების ლიფტები თანამედროვეა და მოსული სტუმრებისთვის „უცნაური“ – ლიფტს ორი კარი აქვს, ერთი რკინის შესასვლელი კარი და შიგნით ორფრთიანი ხის კარი, რომელიც აუცილებლად უნდა დაიკეტოს იმისთვის რომ ლიფტი დაიძრას. სხვა სადარბაზოებში ძველი, საბჭოთა დროის ნელი ლიფტებია, შიგნით დაბალი შუქით, სქელი რკინის ავტომატური ორი კარებით გვერდებიდან რომ შედის და გამოდის, გაღება-დახურვის დროს კი ხმა აქვს და კარები ირწევა.

ბინების შიგნით სივრცეებზე და მათ გარდაქმნებზე როდე-საც ვესაუბრებოდი ინფორმანტებს, დავადგინე, რომ სივრცულობის თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ იქმნება პრობლემა, რო-დესაც ორ-სამოთახიან ბინებში სამზე მეტი ადამიანი ცხოვ-რობს. ინფორმანტი სალომე (27 წლის), რომელმაც ბავშვობის უმეტესი ნაწილი ოცდამეცხრე კორპუსში გაატარა, ბინის მოწყობასა და ინტერიერთან დაკავშირებით ამბობს, რომ არაფერს შეცვლიდა, გარდა იმისა, რომ უფრო დიდი სახლი ექნებოდა 4-წევრიანი ოჯახისთვის.

სივრცის დანაკლისს ზოგიერთი აივნების ხარჯზე ინაზღაურებს. დასაწყისში ყველა კორპუსის აივანს არ ჰქონდა მოაჯირები და მაცხოვრებლებმა თავიანთი ხარჯით დაასრულეს. ყველაზე ხშირად ჩემს ბავშვობაში თვალშისაცემი იყო წელის სიგრძემ-დე გაკეთებული მოაჯირები, მაგრამ თანდათან ზედა სათულის

სიგრძემდე დაიწყეს მოაჯირების ამოვსება, ძირითადად იმ ოჯახებმა, ვისაც პატარა ბავშვი შეეძინათ, უსაფრთხოების მიზნით. რამდენიმე ოჯახს აივანზე აქვს სათავსოები გაკეთებული, რამდენიმეს აივანი მთელს ბინის სიგრძეზე აქვს გაერთიანებული, უკანა მხარეს, სადაც აივნები არ არის, მიშენებებიც გვხდება.

სალომე, რომელიც 4 წელია დიდ დიღომში აღარ ცხოვრობს (თავის მეუღლესთან ერთად სხვა უბანში გადასახლა), ამბობს, რომ ბინის სივრცის კომფორტულად მოწყობისას მისთვის მნიშვნელოვანია დიდი აივანი, რაც ახალ სახლში აქვს. იხსენებს: „დიდ დიღომში [კორპუსს], როგორც საბჭოთა არქიტექტურის ნაწილს, პატარა აივანი ჰქონდა. ისეთი ვიზრო, არა როგორც სხვებს. მანდ აივნით დიდად არ ვსარგებლობდი, თუმცა მახსოვს რომ აივანზე უჯდებოდი და რაღაცებს ვკითხულობდი“.

პოსტსოციალისტურმა პერიოდმა განამტკიცა არგუმენტი, რომ ურბანული სივრცის გამოყენება სოციალური ურთიერთობების სტრუქტურირების აქტიური ელემენტია. მეზობლებს შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებით ამოსავალ წერტილად წარმოვადგენ ინფორმაციური ცხოვრებაში გართულს, ჩემი მეზობლებთან ურთიერთობა მისაღმებით შემოიფაგლებოდა, რაც ინტერვიურების პროცესში შეცვალა.

ღია სივრცის და ადამიანებთან ინტერაქციის დიდი მოყვარულია ლია, (35-40 წლის), რომელსაც 4 შვილი ჰყავს და მათზე ზრუნვაში, ეზოში როცა ჩადიან, მუდამ მათთან ერთად არის, ყურადღებას აქცევს და მეექვსე სადარბაზოს წინ სკამებზე, სხვა ბავშვებიან მეზობელ ქალებთან ერთად საუბრობს. როცა ვკითხე, ვისთან მეგობრობს და აქვს კომუნიკაცია ყველაზე ხშირად მითხრა: აი, ბავშვები ვისაც ჰყავსო და ჩამოთვლას შეუდგა.

იქ სადაც ბავშვები თამაშობენ, არიან დედები, ერთმანეთს ესაუბრებიან. ხოლო მამაკაცები ძირითადად ტრიალებენ თავიანთი ავტოფარეხებს წინ და იქ ესაუბრებიან ხოლმე ერთმენთს.

დღეს, ვისაც ავტოფარეხებსა და სარდაფებში აქვთ შემორჩენილი მაგიდა და სკამები, ისინი იჩენენ დღესასწაულების მეზობლებთან ერთად აღნიშვნის ინიციატივას. დღესასწაული რომელიც არ გამოუტოვებიათ არის მაისის გიორგობა. ვისაც რაც შეუძლია ჩაიტანს ხოლმე სახლიდან, აუცილებელია ღვინო. წელს გადაწყვიტეს ცხვარი დაეკლათ და ერთ-ერთი მეზობლის ავტოფარებში აღნიშნეს. როცა ვკითხე, რატომ გიორგობა ასე გამორჩეულად და არა სხვა დღესასწაული, ერთ-ერთმა ინფორმანტმა მიპასუხა: „ჯერ ეს ერთიც ახალ წელსაც სულ აღვნიშნავთ, მაგრამ გიორგობას ალბათ იმიტომ, რომ ჯერ ქართველებისთვის წმინდა გიორგი მფარველი წმინდანია და მნიშვნელოვანია, მეორე ის, რომ კარგ დროსაა – მაისია, ყველა აქეთ ვართ, თან კარგი ამინდებია”.

ოცდამეცხრე კორპუსის კაცები ასევე იკრიბებიან როდესაც გაიგებენ რომ ნაცნობის ვინმე დაიღუპა და მიდიან პანაშვიდასა და დასაფლავებაზე. ასევე თავისით გადაწყვეტენ ხოლმე დახმარების ხელის განვეპას, თუ დაინახავენ, რომ მეზობელი მამაკაცი მაგალითად ავტოფარეხისთვის აკეთებს რაიმეს. წელს ერთობლივი ძალებით გადახურეს თუნუქის ფილებით ერთმენთის გვერდით მდგარი სამი ავტოფარეხი.

წეოლიბერალურმა გარდაქმნებმა ქალების კომუნიკაციაშიც შეიტანა ცვლილებები. როგორც ინფორმანტები იხსენებდნენ „გაჭირვების დროს”, ხშირი იყო ერთმანეთთან ფულის სასესხებლად ან საჭმლის გაკეთების დროს დაკლებული ინგრედიენტის სათხოვნელად მეზობლებთან მისვლა. ხშირად ტოვებდნენ სახლიდან გასული ერთი ოჯახის წევრები გასაღებს მეზობელთან და მაშინ, როდესაც ბინის გაქურდვის შემთხვევები ფიქსირდებოდა, ინფორმანტი იხსენებს, რომ როდესაც მისი ოჯახი დასასვენებლად მიდიოდა, გასაღებს მეზობელ მერის უტოვებდა. მერი თბილისიდან თითქმის არასდროს გადიოდა, ამიტომ ის ამონმებდა ხოლმე, ვინმემ ხომ არ გატეხა მეზობლის

კარები. დაბრუნებულ მეპატრონეებს მერისთვის პატივსაცემად ხან ლვინო ჩამოჰქონდათ, ხან სოფლის ყველი.

კორპუსის მაცხოვრებლებში ჩამოყალიბდა „არაპირდაპირი კომუნიკაციის ფორმებიც“: მუსიკას ბოლო ხმაზე არ აუწევ იმაზე ფიქრით, რომ შეაწყებ მეზობლებს; ლიფტში უხერხული დუმილის ან ნაძალადევი დიალოგის თავიდან ასაცილებლად იტყვი – არა ჯერ თქვენ ადით და მერე ჩვენ ავალთ (მიუხედავად იმისა, რომ სივრცე არის დარჩენილი ლიფტში და შემოსულებს თავისუფლად დაიტევდა) და არსებობს სარეცხის გაფენის კომუნიკაცია – აივანზე სარეცხს დაკიდებ ამორჩეულ მხარეს, მაგალითად ყველა სარეცხი მარცხენა მხარეს დაიკიდება, რაც ზედა ან ქვედა მეზობელს საშუალებას აძლევს მარჯვენას მხარეს გაფინოს თავისი სარეცხი, რომ არ დაეწვეთოს შენი სარეცხიდან წვეთები.

აივანზე სარეცხის გაფენის დროს მეზობელი ქალები თუ შეხვდებოდნენ საკუთარ აივნებზე ერთმანეთს, მოკლე დიალოგს მართავდნენ. განსაკუთრებით საუბრის მოყვარული იყო და დღის განმავლობაში დიდ დროს ატარებდა აივანზე მერი. ვისაც დაინახავდა აივანზე, სარეცხის გასაფენად ან ჰაერის ჩასასუნთქად გამოსულ ცდილობდა გამოლაპარაკებოდა. მერი ახლა ავადაა, ღრმად მოხუცია, თუმცა ჯერ კიდევ მაშინ შეწყდა ჩვენი აივნიდან სხვების აივანთან კომუნიკაცია, როცა მარჯვენა მხარეს რკინის სათავსო დავდგით და მთელს მარჯვენა სამეზობლოს აივნებისგან აგვეფარა. აივნებიდან და ფანჯრებიდან ბავშვების გადაძახილი ისმოდა კოვიდის დროს. ზოგიერთს აძლევდა მშობელი ეზოში ჩასვლის უფლებას, ზოგი არა. სკვერი, რომელიც კორპუსის წინ იყო, დღესაც არის, თუმცა მოსაწესრიგებელია. ამ სკვერში, რამდენიმე დღის წინ შეიკრიბდნენ კორპუსიდან 20-25 ადამიანი კორპუსის თავმჯდომარის ასარჩევად. 3-9 ივლისის კვირაში სადარბაზოებში ლიფტებთან გამოჩნდა გაცხადება (ფოტო), რომელიც 8 ივლისს, შაბათ დღეს, 6 საათზე

სკვერში გეგმავდა მეზობლების შეკრებასა და თავმჯდომარის არჩევას. კორპუსს თავმჯდომარე დაახლოებით 1 წელია არ ჰყოლია, მას შემდეგ რაც წინა თავმჯდომარე გარდაიცვალა. ინიციატივა კორპუსში მცხოვრებ აქტიურ ქალბატონს გამოუჩენია და ის აურჩევია შეკრებილებს. კრებაზე ჩემი თხოვნით, კვლევისათვის ვთხოვე მამაჩემს წამომყოლოდა და ჩავედით. დაახლოებით ნახევარი საათის დაგვიანებით ჩავედით და უკვე არჩეული დაგხვდა თავმჯდომარე. როცა მივედით ვნახეთ, რომ ცალკე იყო დაყოფილი 40+ ასაკის ქალების წრე, სადაც ერთდროულად ლაპრაკობდნენ და განიხილავდნენ სხვადასხვა პრობლემებს და დაახლოებით 40 წლამდე ხუთიოდე მამაკაცის რეალი – ჩაცუცქულები იყვნენ და სიგარეტს მდუმარედ ეწოდნენ და ზოგჯერ იქვე მყოფ ძაღლს ეფერებოდნენ და ერთამენ-თთან თითო მოკლე წინადადებას ლიმილით ცვლიდნენ და 70+ ასაკის სამი მამაკაცი, ბორდიურზე ჩამომსხდარნი და სიცხისგან შენუხებულები; ამავე ასაკის ერთი მამაკაცი კი იდგა და განიხილავდა ოცდამეცხრე კორპუსის უკან ახალი კორპუსის მშენებლობის საკითხს, რომლის ქვეშაც გადიოდა ოცდამეცხრე კორპუსის წყალმომარაგების მილები. იგი ერთ ხელჯოხიან ხანშიშესულ ქალთან, ერთ 40 წლამდე მამაკაცთან და უკვე ახალ თავმჯდომარესთან ერთად იდგა და ამტკიცებდა, რომ ეგ ნაწილი არის ჩვენი კორპუსის საკუთრება და რაიმე უნდა ვიღონოთ. ჯერ ქალებთან დავდექი, ინფორმაციის მიღების მიზნით, თუმცა თითქოს ვერ შემნიშნეს, წრიდან არავინ განეულა ჩემს მისაღებად და ვერც მესმოდა მკაფიოდ ვინ რაზე ლაპარაკობდა. მოშორებით 4 კაციანი ჯგუფი უფრო საინტერესოდ მომეჩვენა, რადგან ეს ხანში შესული კაცი რალაცას ამტკიცებდა, დანარჩენები კი უსმენდნენ, ზოგჯერ კი პასუხობდნენ. ამ კაცის რამდენიმე წუთიანი მოსმენის შედმეგ, მამაჩემი მიხვდა რასაც გულისმობდა. საკითხში გარკვეულმა აუხსნა, რომ კორპუსის უკან, კორპუსიდან მხოლოდ 1 მეტრის სიგრძეზეა ჩვენს წითელ ზონაში შე-

მოსული, იმის იქით, მათ შორის ბორდიულის ის მხარე, სადაც ჩვენი კორპუსის მაცხოვრებლები მანქანებს აპარკინგებენ, ეგეც კი არ გვეკუთვნის ჩვენ და თავის დროზე, დამტკიცებები როცა იყო, წითელ ზონაში მხოლოდ წინა მხარეს შეუყვანიათ მეზობლებს ის სივრცე, სადაც ავტოფარეხებია და მთავარ გზას უახლოვდება.

ჩემი სადარბაზოს მეზობლებიდან მხოლოდ ორნი დავინახე – ჩვენი წინა კარის მეზობელი ქალი და მესამე სართულზე მცხოვრები ახალგაზრდა გოგონა თავისი შვილებით. ჩვენი ჩასვლიდან რამდენიმე წუთში, შემოგვიერთდა ორი მეზობელი კაცი და ერთი ჩემი კარის მეზობელი გოგონა, რომელთანაც ინტერვიუს ჩაწერას ამ დროის განმავლობაში ვცდილობდი. გოგონა შორიდან მომესალმა, თავი დამიქნია, დედამისთან მივიდა, გადაკოცნა მესამე სართულზე მცხოვრები ახალგაზრდა ქალი და მათთან ერთად დადგა. მე ისევ შუახნის ასაკის ქალების უკვე შეთხელებულ ჯგუფთან მივედი ინფორმაციების მიღების იმედად, თუმცა, ისევ მთელი ემოციებით, თანადროულად იმ მეზობლებს ლანძლავდნენ, რომლებიც ზედა სართულებიდან მოურიდებლად ყრიდნენ ფანჯრებიდან ნაგავს. მალე წვიმა დაიწყო და ხალხმა დამლა დაიწყეს. იძახდნენ, კარგი, ყოჩალი გოგოა ნინო (ახალი თავმჯდომარე) და წესით უნდა გამოცხოცხლდეს კორპუსით. ერთ-ერთი 40 წლამდე მამაკაცი, შუბლზე შავი სათვალით და ყელზე „ბენდენით“ ნინოს მიუახლოვდა და უთხრა: „თუ რამე „საკარაო“ და საჩხუპარი იქნება მე აქ ვარ და დანარჩენი რავიცი“. ქალები კი ამბობდნენ რომ ერთად და ერთიანობით ყველაფერს შევძლებდით და რამდენიმე ძველმა მობინადრემ გაიხსენა, 1990-იანებში სულ თავიანთი ძალებით როგორ დაამსგავსეს კორპუსი საცხოვრებლად ვარგის ადგილს. ახლა კი საზს უსვამდნენ, რომ კარგია თავმჯდომარის არჩევა, რომელიც მოსახლეების სათქმელს მიიტანს მერიასთან და გუძღვება პრობლემების მოგვარებას. არჩეული თავმჯდომარე იქამდე და-

იკავებს პოზიციას, სანამ ამის სურვილი ექნება და ხალხიც არ მოითხოვს გადარჩევას.

ეთნოგრაფიული მასალიდან იკვეთება ტრანსფორმაციისა და პოსტსოციალისტური გარდაქმნების შედეგად გამოწვეული კრიზისული სიტუაცია და სივრცის გამოყენების კომუნალური გამოცდილება. საბჭოთა კავშირის დანგრევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ქვეყანაში ყველაფერი შეჩერდა. მათ შორის, საბჭოთა კავშირის მიერ დაგეგმარებული დიდი დილმის განაშენიანების პროცესი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სოციალისტურ გარემოში მცხოვრებმა ადამიანებმა განიცადეს კანონის, ინსტიტუციებისა და მათი წესების, ავტორიტარების მიმართ პატივისცემის დანაკლისი (იხ. Humphrey 2005).

ოცდამეცხრე კორპუსის მაცხოვრებლები გადმოსვლის დღიდან მუდმივად ცდილობენ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. მათგან ბევრს არ დაუშურებია საკუთარი რესურსები როგორც პირადი, ისე საჯარო მოხმარების კეთილდღეობის შექმნისთვის, მაგრამ მსგავსი საკუთარი ხელებით შექმნილი კეთილდღეობა, მაგალითად ბალები და სარეკრეაციო ზონები, რომლებიც გადაჯაჭვული იყო მაცხოვრებლების ყოველდღიურ პრაქტიკასთან, ნეოლიბერალურმა ყოფამ და ქაოტურმა განაშენიანებამ გაანადგურა, შეცვალა მასზე მიბმული პრაქტიკებიც. სივრცის პრივატიზაციისთვის ზოგ მაცხოვრებელს მოუწია ოფიციალურ პირებთან გაერკვია პრობლემა, ზოგს კი მეზობლებთან ურთიერთობის ფორმის შეცვლა მოუხდა. სივრცის ტრასფორმაცია თავდაპირველად სრულიად დამოკიდებული იყო ოცდამეცხრე კორპუსის მაცხოვრებლებსა და მათ შესაძლებლობებზე. კომუნიკაციურმა ქცევამ გარდაქმნა ოცდამეცხრე კორპუსის და მისი მიმდებარე სივრცე, მისმა მაცხოვრებლებმა შექმნეს ადგილები, რომლებიც დატვირთეს მათთვის საჭირო შინაარსით.

დამოწმებული ლიტერატურა:

- Bukharin N. (1979),** Notes of an economist (the beginning of the new economic year). *Economy and society*, 8(4), 473-500.
- Christmann, G. B. (2014),** Investigating spatial transformation processes: ethnographic discourse analysis in disadvantaged neighbourhoods. *Historical Social Research*, 39(2), 235–256. <https://doi.org/10.12759/hsr.39.2014.2.235-256>
- Coleman, S., & Collins, P. (2020),** *Locating the field: Space, Place and Context in Anthropology*. Routledge
- Humphrey, C. (2005),** Ideology in Infrastructure: architecture and Soviet imagination. *Journal of the Royal Anthropological Institute*, 11(1), 39–58. <https://doi.org/10.1111/j.1467-9655.2005.00225.x>
- Knoblauch, H. (2013),** Communicative constructivism and mediatization. *Communication Theory*, 23(3), 297–315. <https://doi.org/10.1111/comt.12018>
- Low, S. M., & Lawrence-Zúñiga, D. (2003),** *Anthropology of space and Place: Locating Culture*. Wiley-Blackwell.
- Merkel, W., Kollmorgen, R., & Wagener, H. (2019),** *The Handbook of Political, Social, and Economic Transformation*. Oxford University Press.
- Polanyi, K. (2001 [1944]),** The Great Transformation: The Political and Economic Origins of Our Time. Beacon Press
- Smith, J. S. (2018),** *Explorations in place attachment*. The Routledge Research in Culture, Space and Identity Series. Series editor: Dr Jon Anderson. Routledge
- Stanilov, K. (2007),** *The post-socialist city: Urban Form and Space Transformations in Central and Eastern Europe after Socialism*. Springer Science & Business Media.

Mariam Chaladze

**Ethnographic understanding of space and
place in Didi Dighomi settlement
(The everyday life of one 9-storey residential building)**

The paper discusses the problem of ethnographic understanding of space and place constructions in the Didi Dighomi settlement. The ethnographic material presented in the research is based on social and cultural reflections on the daily life of one 9-storey building. The neoliberal order and the commercialization of urban infrastructure led to the chaotic development in Tbilisi. Among them, in Didi Dighomi, where ten years ago, you would have seen empty meadows, it has slowly turned into an area of construction of new residential buildings arranged like Lego blocks. On this territory, before that, grey residential buildings designed by Soviet planning were built. Around the old buildings, in every possible space, buildings symbolizing the neoliberal order are being constructed, whose development is chaotic and sporadic. The fourth micro-district of Didi Dighomi has been in an active phase of this development for the last three years. About a dozen new buildings have been built and are still under construction. In the paper, on the example of the twenty-ninth nine-storey building of the fourth micro-district of Didi Dighomi, the perceptions and interpretations of the locals are presented in the background of understanding the spatial change. The master's thesis consists of an annotation, divided into three main chapters, in which there are sub-chapters according to the relevant topic, and finally, the conclusion of the research and a list of certified literature.

6060 ჩირგაძე

სოციალური ეკოლოგიის ხალხური ტრადიციები (ხევის ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით)

სტატიაში ანთროპოლოგიური ასპექტით განხილულია ხევში ადამიანისა და სოციალური გარემოს ურთიერთდამოკიდებულება, ადგილობრივი ზნეობრივი ნორმებისა და ადამიანისა სოციალური დაცვის, სოლიდარობის ხალური ტრადიციები, გამოკვლეულია ასაკობრივი ჯგუფები და გენდერული საკითხები.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ხევში დაიწყო სოციალურ-ეკონომიური გარდატეხა, ტერიტორიალურ-თემობრივი სისტემა თანდათანობით დაიშალა და დამყარდა ახალი სოციალური ურთიერთობა, რასაც ხევის საზოგადოებრივ-ეკონომიური დიფერენციაცია მოჰყვა. იცვლებოდა მოხევეთა საზოგადოებრივი ყოფა-ცხოვრებაც, რადგან ძველი ჩვევები ნელ-ნელა ქრებოდა პრაქტიკიდან.

საქართველოს მთიელებში ხევი მოწინავე რეგიონად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, 1930-იან წლებში აქ არსებული ძველი საზოგადოებრივი ნორმები ჯერ კიდევ არსებობდა და ამის მომხრე ხევის უფროსი თაობა იყო (მაკალათია 1934, 85-86). ძველად, ხევში თითოეული ოჯახი წარმოადგენდა ერთ დიდ და განუყრელ ოჯახს, სადაც რამდენიმე თაობა ცხოვრობდა. მეოცე საუკუნის დასაწყისში ასეთ მრავალრიცხოვან ოჯახს იშვიათად შეხვდებოდით. ეს ოჯახები იყოფილნენ და მასთან ერთად ძველი საოჯახო წესებიც სწრაფად იცვლებოდა.

უნინ დიდი ოჯახის სათავეში იდგა უხუცესი მამაკაცი **სახლის უფროსი** და უხუცესი დედაკაცი დიასახლისი, რომელთაც ეკითხებოდა მთელი საოჯახო საქმეები. ოჯახის ხელმძღვანელის არჩევა მხოლოდ ასაკით უფროსობაზე არ იყო დამოკიდებული, ითვალისწინებდნენ მის პირად თვისებებსაც. ის უნდა ყოფილიყო სხვებზე ჭკვიანი, შრომისმოყვარე და უნარიანი კა-

ცი. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს მოვალეობა ასევე ხანდაზ-მული და გონიერი მამაკაცის ხელში გადადიოდა. ამ წესის მიხედვით, გარდაცვლილი მეთაურის ადგილზე ირჩევდნენ მის მომდევნო ძმას ან უფროსს შვილს. ოჯახის ხელმძღვანელად ქალის გამოყოფა ხევში მოუღებელი იყო. ამ მოვალეობის შესრულება მას მოუწევდა მხოლოდ უკაცო ოჯახში, რაც შესაძლებელი იყო ინდივიდუალურ ოჯახში (ითონიშვილი 1970, 80).

საკვლევ რეგიონში ასაკით უმცროსი ოჯახის წევრები იცავდნენ უფრო-უმცროსობის ტრადიციას, როგორც საოჯახო თათბირის, შრომის თუ ყოველდღიური ურთიერთობის შემთხვევაში. მოხევეთა საოჯახო ყოფის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა შრომის ორგანიზაცია, ერთი მხრივ საკაცო და სადედაკაცო, ხოლო მეორე მხრივ, **საუფროსო** და **საუმცროსო** საქმიანობა. ქალთა საქმიანობას ხელმძღანელობდა **დიასახლისი**, კაცთა შრომის ორგანიზატორი იყო **მამასახლისი** (ოჯახის უფროსი), მას ევალებოდა ოჯახის მართვაც. ოჯახის მმართველობა სოლიდარობის პრინციპს ეფუძნებოდა. ოჯახის უფროსი მამაკაცი ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებდა ოჯახის წევრთა ინტერესებს.

ხევში ოჯახის გაყოფა მამის სიცოცხლეში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე იშვიათობა იყო. გაყოფის დროს უმცროსი ვაჟი რჩებოდა მშობლებთან, მას უნდა ეზრუნა მათთზე, ხოლო უფროსები იყრებოდნენ, რაც დღესაც შენარჩუნებულია.

ხევში არსებობდა დედ-მამის შენახვის ზნეობრივი კანონი. ასეთ დროს **ერობა** (უფროსთა კრებული) შერცხვენილ შვილს ქორწილში, ხატობასა თუ სხვა რაიმე წვეულებაში დასწრების უფლებას უკრძალავდა და მას ასე უნდა ევლო განსაზღვრულ დრომდე, სანამ დანაშაულს არ აპატიებდნენ (ჩირგაძე 2020, 5).

ჩემს მიერ ჩატარებულ ეთნოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით გაირკვა, რომ ასაკოვანი მოსახლეობაისთვის, თაობები შეიცვალა. მიიჩნევენ, რომ მათი თაობა უფრო დამჯერი, ყუ-

რადღებიანი იყო, მეტი პატივისცემა ჰქონდათ ასაკოვანი ადამიანების და მშობლების მიმართ. „უწინ უფრო იყო პატივისცემა ვერ შეძედავდი უფროსს. ისე ქალაქთან შედარებით ჩვენთან უფრო მეტად არის რიდი ასაკოვანი ადამიანების“ აღნიშნა მთხოვნელმა (ჩირგაძე 2020, 33). აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა თაობის ნაწილი ემადლიერება მშობლებს სწორ აღზრდაში და ცდილობენ ამავე მეთოდით აღზარდონ შვილები (ჩირგაძე 2020, 34).

ეთნოგრაფიული მასალით ასევე დასტურდება, რომ ქალი ფასობდა თავმდაბლობით, უნდა ყოფილიყო კარგი მეოჯახე, ერთგული, პატიოსანი, ქმრისა და შვილების მომვლელი, დაძმის მიმხედვი, ქმრის შემოტანილის მომვლელი და კარგი განმკარგველი. **მამაკაცი** ფასობდა ვაჟკაცობითა და სამართლიანობით, სამშობლოს და ოჯახის ერთგულებით (ჩირგაძე 2020, 11).

ჯანსაღი ადამიანისთვის ზრუნვა ხევში საქორწინო წყვილთა გაკითხვით იწყებოდა. ახლა გაკითხვა ნაკლებად ხდება, მაგრამ თითქმის ყოველთვის ხდება საქორწინო წყვილის წინაპრების ჯანმრთელობის შემოწმება. „უწინ ცდილობდნენ სარძლო და სასიძო მკვლელის, ქურდის, ცუდი ყოფაქცევის, ბნედიანისა და სულიერად დაავადებული გვარის ოჯახებიდან არ ყოფილიყნენ, ახლა ნაკლებად აქცევენ ამას ყურადღებას“ – მითხრა მთხოვნელმა. ასევე, ირკვევა, რომ ყურადღებას აქცევნდნენ ფიზიკურ და გონებრივ სიჯანსაღეს, საოჯახო და სამეურნეო საქმიანობის გაძლიერებული უნარს და სხვა (ჩირგაძე 2020, 6).

ხევში დასტურდება ბავშვების აკვანში დაწიდვა (დანიშვნა). 1930-იანი წლებიდან დაწიდვა უკვე აღარ გვხვდება და ქალ-ვაჟს 14-15 წლიდან ნიშნავდნენ. ჩემს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ირკვევა რომ ხევში მშობლების ჩარევის პროცესი შვილების ქორწინების საქმეში შემ-

ცირდა და ახლა ახალგაზრდები მეორე ნახევარს ირჩევენ საკუთარი შეხედულებებისა და სურვილის მიხედვით. უწინ, კი ხევში ქალები იღებდნენ **მზითვს**, როგორც მშობლების ქონების წილს. ქალისათვის მზითვის მიცემა არ იყო სამართლებრივად რეგულირებული. ქალს მზითვთან ერთად ატანდნენ **სათავნოს**. გაყრის შემთხვევაშიც მზითვი ქალის საკუთრებაში რჩებოდა და ოჯახში მას მნიშვნელოვან ადგილს სძენდა. დღეისათვის მზითვის გატანების პრაქტიკა მხოლოდ სოფლებშია შემორჩენილი და აქაც იშვიათად გვხვდება (არველაშვილი 2015, 15).

საკულევ ჯგუფში ქალის მხრიდან ღალატი დაგმობილი იყო. „კაცს უფრო ეპატიებოდა ღალატი, ვიდრე ქალს, ხელითაც შეეხებოდნენ, სახედარზეც კი შესვამდნენ უზნეო ქცევისთვის, ხელდასმით სულ კარგები არსად არ არინ, ქალს მეტი მოეთხოვება ვიდრე მამაკაცს“ – აღნიშნა მთხობელმა. თანამედროვე პერიოდშიც უარყოფითად უყურებენ ამ საკითხს, მაგრამ თვლიან რომ საზოგადოების განსასჯელი არ არის და ოჯახის დონეზე უნდა გადაწყდეს (ჩირგაძე 2020, 21).

ხევი უწინ საერო კრებით, **ერობით** იმართებოდა. საკითხი, რომელიც მთელ ხევს ეხებოდა, თემობით უნდა გადაწყვეტილიყო. ხალხის გადაწყვეტილებას ერობის დეკანოზები უწევდნენ მეთვალყურეობას, მათ ხელმძღვანელობდა ხევისბერი, მთელი თემობის უფროსი (ითონიშვილი 2006, 201).

ხევისბერობის მოშლის შემდგომ თემის საბჭოში შეკრება აღარ ხდებოდა. საბჭოში მონაწილეთა შეჩევა განისაზღვრებოდა ერთი მხრივ განსასჯელი საქმის სახეობით, ხოლო მეორე მხრივ საქმის განხილვაში თითოეული მათგანის შესაძლებლობებით (ითონიშვილი 2017, 74).

ჩემი ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ ძველად გერგეტის სამებაში არსებულ საბჭოს ხევისბერი მეთაურობდა და განაგებდა მთელ ხევს. სოფლის საკითხების მოგვარებაში მონაწილეობდნენ ასევე დეკანოზებიც. სოფელ ახალციხეში

ცნობილი დეკანოზი იყო **გიორგი ქერაშვილი**, რომელიც განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩეოდა.

ხევისბერების შემდგომ ასაკოვანი **თავკაცები** აგვარებდნენ სოფლის საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ ჭკუით, დამრიგებლური და კეთილშობილური თვისებებით. სოფლის გამორჩეული თავკაცები იყვნენ – **არჩილ ქისტაური, დავით და გიორგი სუჯაშვილები** და სხვ. „ჩემი მამამთილი იყო სოფლის თავკაცი გიორგი სუჯაშვილი სოფელი გერგეტიდან, კარგი მოსაუბრე იყო და ბევრი ოჯახიც შეარიგა“ – აღნიშნა მთხოვნელმა (ჩირგაძე 2020, 16).

საბჭოთა პერიოდში სამართლის ყოველგვარ საქმეებს სასალხო სასამართლო აწესრიგებდა. შურისძიებისა და სისხლის აღება, ასევე ურვათი, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრამდე შერბილებულ ფორმაში, ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა ხევში. ამჟამად ძველი წესები აქ უკვე აღარ გვხვდება.

მოხევეები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩინდნენ მარტოხელა, დავრდომილი, ხელმოკლე ოჯახების, ასევე ფსიქიკური პრობლების მქონე პირების მიმართ. მათ ეხმარებოდნენ როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად. „უკაცო ოჯახს გაჭირვებულებს ვეხმარებოდით, სოფელს ერთი პირი ჰქონდა ყველაფერში. ასეთი ხალხისთვის მიწვდომა ვიცოდით, რაც გვებადა – საკლავი, ქადა, მხლოვანი და სხვ. ზოგიერთ ოჯახს სპეციალური ჯამი ჰქონდა გამოყოფილი გაჭირვებული ოჯახებისთვის საკვების მისაწოდებლად, ვეხმარებოდით თიბვაზე, სახნავზე“ (ჩირგაძე 2020, 31).

ავადმყოფის, მოხუცის, უნარშეზღუდული ადამიანის დაცინვა, მისთვის შეურაცხყოფის მიყენება ხევში, მოუღებელი იყო – „ბავშვებიც კი ისე ჩაუვლიდნენ მათ, რომ არაფერს ეტყოდნენ, სიტყვას არ აკადრებდნენ, უფრო მეტიც, მათი შეურაცხყოფა ცოდვადაც კი ითვლებოდა“ – აღნიშნა მთხოვნელმა (ჩირგაძე 2020, 33). ეს ტრადიცია, მოხევეების გარკვეულმა

ნაწილმა დღემდე შეინარჩუნა, რაც ყაზბეგის რეგიონში, საველე მუშაობის დროს, არაერთმა მთხოობელმა დაადასტურა.

მოხევეთა ასეთი დამოკიდებულება ავადმყოფის და საერთოდ გაჭირვებაში მყოფ პირთა მიმართ მათი ზნეობრივი ნორმების დახვენლობაზე მიგვითითებს, რომელთა ჩამოყალიბებაში დიდი წილი ქრისტიანულ რელიგიას ეკუთვნის. ქრისტიანულმა ზნეობრივმა ნორმებმა აქ მძლავრად მოიკიდა ფეხი, რაც ჩანს სოციალური დაცვის, სოლიდარობის ხალხურ ტრადიციებში და სხვა. სწორი უნარშეზღუდულის თუ უსახსროდ დარჩენილის, გაჭირვებული ადამიანის, დაუძლურებული მოხუცის, მიმართ ასეთი დამოკიდებულება უცვლელია ხევში, თუმცა, როგორც არა ერთმა მთხოობელმა აღნიშნა: ხალხი უნინ უფრო თბილი იყო ვიდრე ახლა.

ცნობილია, რომ ნოემბრის რევოლუციამდელ სოციალურ სისტემაში მამაკაცი მეტი უპირატესობით სარგებლობდა საზოგადოებაში. ამ პერიოდში ქალები შედარებით ნაკლებად იყვნენ ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. საბჭოთა პერიოდიდან აღარ იგრძნობოდა ისეთი დისპალანსი ქალსა და მამაკაცს შორის. ქალის სტატუსი უფრო ამაღლდა, სოციალური როლიც მნიშვნელოვანი გახდა. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა პერიოდს, ნელ-ნელა გათანაბრდა მამაკაცის და ქალის ფუნქციები და მოხდა საქმიანობის დანაწილება.

ჩემი მონაცემებით, ხევში ძირითადად დასაქმებული არიან ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორში. მოსახლეობა ძირითადად მუშაობს სასტუმროებში, სკოლებში, მერიაში და ასე შემდეგ (ჩირგაძე 2020, 40).

საკვლევი რეგიონის მოსახლეობის ეთნოგრაფიული მონაცემებისა და ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე ჩატარებულია შედარებითი ანალიზი.

საზოგადოების მიერ პიროვნების მიმართ ჩამოყალიბებული მოთხოვნილებები განხილულია აღნიშნული მოსახლეობის

ზნეობრივი ნორმების ფარგლებში, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბდა მოხევეებში. ეს ნორმები, ძველად განიხილებოდა, როგორც ზნეობრივი კოდექსი, რომლის დარღვევას გარკვეული რეაქცია მოჰყვებოდა საზოგადოების, მისი ორგანიზაციული ხელმძღვანელების მხრიდან და გასული საუკუნის შუა ხანებამდე მკაცრად მოქმედებდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხევში.

ძველად და ახლაც განსაკუთრებით მთის მოსახლეობაში სხვადასხვაგვარია დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის მიმართ, თუმცა ქალის ჩაგვრის ფაქტები ტრადიციულ ყოფაში განსაკუთრებით მთის მოსახლეობაში ნაკლებად გვხვდება. ტრადიციულ ყოფაში ქალისა და მამაკაცის ფუნქცია განსხავებულია, მაგრამ მკვეთრად განსხვავებულია დამოკიდებულება ადიულტერის მიმართ. ქალის ცოლ-ქმრული ღალატი მკაცრად იყო გაკიცხული, მაშინ როდესაც მამაკაცის ღალატი არ განიკითხებოდა. ახლაც საზოგადოების დამოკიდებულება მოღალატე ცოლის მიმართ უარყოფითია, მაგრამ უკვე ხშირად საჭიროდ აღარ მიიჩნევენ ოჯახურ კონფლიქტში ჩარევას.

ირკვევა, რომ მამაკაცი ოჯახში შეუზღუდავი ძალაუფლების მიუხედავად არ წარმოადგენდა საოჯახო თემის ერთპიროვნულ ლიდერს. ის ითვალისწინებდა ოჯახის წევრების საერთო ინტერესს და მნიშვნელოვან საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილებას მათთან მოღაპარაკების შემდგომ იღებდა. ეს ადასტურებს, რომ ხევში დიდი ოჯახი და მისი მმართველი, ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით. სოლიდარული და დემოკრატიული ხასიათის ნიშნების მატარებელი იყო.

ქალს გარკვეული ქონებრივი უფლება მაინც ჰქონდა მინიჭებული. ხევში, ისევე როგორც, ტრადიციულად საქართველოში ქალი გათხოვებისას მშობლებისგან მზითევს იღებდა, რომელიც მის მფლობელობაში რჩებოდა და ახალ ოჯახში გადასვლის შემდეგ თავისი სირვილისამებრ განკარგავდა მას. ეს

ქალს გარკვეულ უფლებებს და დამოუკიდებლობას ანიჭებდა ოჯახში და მის როლს მნიშვნელოვნს ხდიდა.

მართალია, ქალის უფლებების გარკვეული შეზღუდვები არსებობდა, მაგრამ ქმრის ძალაუფლებას ცოლზე არასოდეს მიუღია ისეთი რადიკალური ფორმები, როგორებიც მუსულმური აღმოსავლეთისა და ქრისტიანული დასავლეთის ქვეყნებში ხდებოდა.

სოციალური დაცვის ინსტიტუტი უფრო აქტიური იყო ტრადიციულ საზოგადოებაში. ხევში უქონელთა და უძლურთა დახმარება ორგანიზებულ ხასიათს ატარებდა, რაც დღემდეა შენარჩუნებული, თუმცა მას ორგანიზებული ხასიათი უკვე ნაკლებად აქვს და პიროვნების ინიციატივაზეა დამოკიდებული.

თანამედროვე ყოფაში უმეტესწილად ქალი ოჯახის მარჩენალის ფუნქციასაც ითავსებს და ზოგჯერ, გარკვეულ თანამდებობებზეც ინიშნება. ამის მიუხედავად, ოჯახსა და საზოგადოებაში მამაკაცის სტატუსი მაინც პრიორიტეტულია.

ჩვენი კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია თეორიული ასპექტით, რადგან პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება დღეს მეტად აქტუალურია, ასევე აქტუალურია პრაქტიკული თვალსაზრისითაც იმდენად, რამდენადაც დღევანდელ დაძაბულ ვითარებაში, როდესაც საზოგადოებაში დღითიდლე იზრდება აგრესიულობა, წარსულის შესწავლა და სათანადოდ შეფასება გარკვეულ სარგებლობას მოიტანს.

დამოწმებული ლიტერატურა:

არველაშვილი, მ. (2015), მემკვიდრეობის განაწილების გენდერული ასპექტები ქართულ კულტურაში, (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (1970), მოხვევების საოჯახო ყოფა, თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (2006), ალექსანდრე ყაზბეგი, თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (2017), თემი და თემობრიობაში თბილისი.

მაკალათია, ს. (1934), ხევი, თბილისი.

ჩირგაძე, ნ. (2020), ხევის ეთნოგრაფიული დღიური, (ხელნაწერი), პი-
რადი არქივი.

Nino Chirgadze

**Folk traditions of social ecology
(according to Khevi ethnographic data)**

The article discusses the interdependence of human and the social environment in Khevi from an anthropological aspect. The current traditions of local moral norms and human social protection, solidarity, age groups and gender issues are investigated. The socio-economic differentiation of Khevi impacted the social life of the Mokheves. The old habits were slowly disappearing from practice. The institution of social protection was more active in the traditional society. Helping the poor and the weak in Khevi had an organized character, which has been preserved to nowadays, although it has less organized character and depends on the individual's initiative.

In contemporary life, for the most part, a woman is the breadwinner of the family, and sometimes she is appointed to certain positions. Despite this, the status of men in the family and society is still a priority.

ნანა ჩხატარაშვილი

ელექტროცული მუსიკა, როგორც იღებოდის გამოხატვის საშუალება თანამედროვე საქართველოში

საბჭოთა კავშრის დაშლის შემდეგ, საქართველოში, ღირებულებათა ცვალებადობის ფონზე, ელექტრონული მუსიკის შექმნასთან ერთად ვითარდებოდა საკლუბო კულტურა, რომელიც დღეს ხშირად მოიხსენიება, როგორც ახალგაზრდული სუბკულტურა. საბჭოთა პერიოდში კონტროლს დაქვემდებარებული ხელოვნება პოსტკომუნისტურ სივრცეებში, რეგულაციებისგან გათავისუფლდა. ელექტრონული მუსიკა, რომელიც თავისუფლებიასთან და თვითგამოხატვასთან ასოცირდება, საკლუბო ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ჩემს კვლევაში, ელექტრონული მუსიკის წარმოებისა და გამოხატვის სოციოკულტურულ პრაქტიკებზე დაკვირვებით გამოვლინდა ქართული ელექტრონული მუსიკის არსებითი მახასიათებლები, რომელიც განხილულია ტრადიციული კულტურისა და ყოფის ელემენტების კონტექსტში. კვლევამ ცხადჰყო, რომ ელექტრონული მუსიკის წარმოების და რეალიზების ძირითად მაპროვოცირებელ ფაქტორს მიმდინარე სოციო-კულტურული მოვლენები წარმოადგენს, ხოლო ელექტრონული მუსიკის კლუბის სუბკულტურა თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების იდენტობის ფორმირებისა და თვითგამოხატვის მნიშვნელოვანი მექანიზმია. სტატიაში აღნიერილია ქართული ელექტრონული მუსიკის ხასიათი, სუბკულტურული პრაქტიკები და ელემენტები.

სტატიაში¹ ელექტრონული მუსიკა განხილულია, როგორც

¹ ნაშრომი შესრულებულია სამაგისტრო კვლევის ფარგლებში: „ელექტრონული მუსიკა, როგორც იდენტობის გამოხატვის საშუალება პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში“, ხელმძღვანელი დოქტორი თეა ქამუშაძე, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის

სოციალური იდენტობის მაკონსტრუირებელი მექანიზმი პოსტსაბჭოთა საქართველოში, რომლის აქტუალობასაც განაპირობებს პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების ფონზე, ღირებულებათა ტრანსფორმაციების გავლენების კვლევის აუცილებლობა იმ სამიზნე ჯგუფებში, რომელთა მაფორმირებელიც ალტერნატიული ხელოვნებაა.

პოსტსაბჭოთა საქართველოში ელექტრონული მუსიკა და საკლუბო ცხოვრების წესი, რომელიც ევროპული და ამერიკული „თავისუფლების იდეასთან“ ასოცირდება, წარმოადგენს ახალგაზრდების სოციალურ ჯგუფად/სუბკულტურულ ერთობად შემკვრელ მექანიზმს. სუბკულტურა მისი წევრებისათვის ქმნის სივრცეს, სადაც შესაძლებელია, ალტერნატიული იდენტობის შექმნა და არსებულის გამოხატვა დომინანტურ კულტურასთან კავშირის შენარჩუნების გზით. სუბკულტურების აქტიური შესწავლა სათავეს იღებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც ადამიანებისათვის თვითიდენტიფიკაციის პროცესი განსაკუთრებით რთული გახდა. გარდამავალ და პოსტ-ტრავ-მულ ღირებულებათა გადაფასების და საკუთარი თავის რეალიზების პროცესში იკვეთება, სუბკულტურის გაგების მნიშვნელობა. 1980-1990-იანი წლებიდან კლუბური კულტურა, სუბკულტურული მიდგომების გათვალისწინებით, სოციალური მეცნიერებების საკვლევ არეალში მოექცა (Thornton 1995).

საქართველოში, ამერიკის და ევროპის დიდი ქალაქების კვალდაკვალ, მკვეთრად გაიზარდა ელექტრონული მუსიკის პოპულარობა და საკლუბო სივრცეების რაოდენობა, რომლებიც ელექტრონული მუსიკის ირგვლივ კონცენტრირდა. კლუბი „ბასიანი“, „ხიდი“ და „მტკვარზე“, მათ შორის მოცულობით ყველაზე დიდია და ყოველ წვეულებაზე აერთიანებენ საერთო მუ-

ინსტიტუტი, 2020 წელი. ავტორი მადლობელია ამავე ინსიტუტის აკად. ასისტენტის ბორის კომახიძის ნაშრომის შექმის პროცესში განხული რჩევებისა და რეკომენდაციებისათვის.

სიკალური გემოვნების მქონე ასეულობით ადამიანს. თუმცა, ელექტრონული მუსიკის შექმნა, საქართველოში გაცილებით ადრე, 1980-1990-იან წლებში დაიწყო, რაც საბჭოთა კავშირის დაშლას და სოციო-პოლიტიკური სისტემის ცვლილებას დაემთხვა.

საბჭოთა ცენტურა ხელოვნების ყველა დარგს იდეოლოგიურ ჩარჩოებში აქცევდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი თავისუფლად და მრავალმხრივ განვითარების შესაძლებლობა გაჩნდა მუსიკაში, რომელიც აღმოჩნდა, რომ ყველაზე მკვეთრად აირეკლავს ეპოქის მოვლენებს, მნიშვნელობებს, ცვლილებებს. ელექტრონული საცეკვავო მუსიკა (Electronic Dance Music) თანამედროვე კლუბური სუბკულტურის ფუნდამენტური ღერძია და წარმოადგენს სინთეზური ხელოვნების ნიმუშს, სადაც ელექტრონულ სიგნალებთან/ბგერებთან ერთად მნიშვნელობა აქვს სივრცეს, განათებას, აუდიტორიას, ცეკვას/მოძრაობას. ელექტრონული საცეკვაო მუსიკის (EDM) მზარდმა პოპულარობამ განსაზღვრა მისი მასშტაბური ხასიათი. ციფრული სამყაროს მიღწევებთან ერთად, სხვადასხვა რეგიონში/ქვეყანაში იქმნება EDM-ის ქვეყანრები, დამახასიათებელი ხმით/„საუნდით“ და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით.

ელექტრონული მუსიკის თავისებურებათა შესწავლა გულისხმობს მის პოლისტურ კვლევას სუბკულტურის ელემენტების კონტექსტში. საქართველოში ელექტრონული მუსიკა, ყოველდღიურობის ნაწილი ხდება. ბოლო წლებში, ელექტრონული მუსიკა ახალგაზრდების ცხოვრების სტილის ფორმირების, იდენტობის ფორმირების და ქვეყნის ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. ასეთ პირობებში, აქტუალური ხდება ქართული ელექტრონული მუსიკის სპეციფიკის ანალიზი და მასთან დაკავშირებული სოციო-კულტურული მოვლენების შესწავლა. რა განაპირობებს მისდამი ინტერესის ზრდას და თვითგამოხატვის რა შესაძლებლობებს იძლევა მუ-

სიკის ეს მიმართულება ახალგაზრდებისათვის? რა სპეციფიკა გააჩნია ქართულ ელექტრონულ მუსიკას და რა როლი აქვს სო-ციალური ტრანსფორმაციის პროცესში?

სტატია ეფუძნება ეთნოგრაფიულ კვლევას, რომლის დროს გამოყენებული მეთოდებია: უბრალო და ჩართული დაკვირვების, ნახევრადსტრუქტურირებული ინრევიურება. კვლევის მიზანს წარმოადგენდა ქართული ელექტრონული მუსიკის სოციალური კონტექსტისა და კულტურული პრაქტიკების ფუნქციური შესწავლა. მიზნის მისაღწევად კვლევის ამოცანები იყო, დამედგინა რა სოციალური პრობლემები აძლევს სტიმულს ქართული ელექტრონული მუსიკის წარმოებას; ელექტრონული მუსიკის გამოხატვის რა კულტურული პრაქტიკები არსებობს; ტრადიციული კულტურის რა ელემენტები გამოიყენება (ან საერთოდ გამოიყენება თუ არა) ელექტრონულ სამუსიკო ხელოვნებაში.

კულტურა ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს, წარმოადგენს მთლიან მნიშვნელობათა სისტემას, რომელსაც ჯგუფის წევრები/აქტორები მემკვიდრეობით იღებენ და იზიარებენ. რ. უილიამსი თვლის, რომ კულტურა ცხოვრების განსაკუთრებული წესია, რომელიც გამოხატავს მნიშვნელობებსა და ფასეულობებს, ხელოვნებასა და განათლებაში, სოციალურ ინსტიტუტებსა და ყოველდღიურ ქცევებში (Williams 1961, 57). ყველა საზოგადოებაში არსებობს ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ვითარდებიან დომინანტურ ლირებულებათა სისტემების კვალდაკვალ. კლასობრივი კულტურა მიჩნეულია კულტურის ძირითად ფორმად, სუბკულტურები კი ამ დომინანტი კულტურის ნაწილად. მისთვის დამახასიათებელია ლირებულებების და ქცევების ორგანიზებული ერთობლიობა, რომელიც განსხვავდება დომინანტურ კულტურაში გაზიარებული ნორმებისგან (Brake 1985, 6).

სუბკულტურების არსებობას ისტორიულიად განაპირობებდა სოციალური ჯგუფების შეურიგებლობა დომინანტური კულტურის ნორმებთან, რომელიც მათ საკუთარ თავთან გაუცხოებას „აიძულებდა“. ე. კოენი, რომელიც მსგავს კონტექსტში აანალიზებდა ახალგაზრდულ სუბკულტურებს მიიჩნევდა, რომ „რასაც ადამიანები აკეთებენ, დამოკიდებულია მათ წინაშე მდგომ პრობლემებზე“ (Cohen 1955, 51). ყოველი თაობა დგას ახალი გამოწვევების, კოლექტიური პრობლემების წინაშე, და ამ პრობლემებთან გამკლავების არჩეული სტრატეგიები ცვლის კულტურული პროცესების დინამიკას. იმისთვის, რომ ზოგადი კულტურული ჩარჩოს ფონზე ამა თუ იმ ჯგუფის სუბკულტურული მიშვნელობა თვალსაჩინო გახდეს, საჭიროა, არა მხოლოდ, მნიშვნელობების გადაფასება, არამედ მათი გამოხატვა, ვიზუალიზება, მოვლენებს შორის ფუნქციური მიმართების მკაფიო ასახვა, ახალი სტილის ფორმირება, ის რაც საბოლოო ჯამში კულტურულ მრავალფეროვნებას ქმნის.

ახალგაზრდებისთვის, იდენტობის ფორმირების გარდამტებ ეტაპს წარმოადგენს ზრდასრულობის პერიოდი (როდესაც ისინი სრულწლოვანები ხდებიან). ამ დროს, იწყება საკუთარი თავის და სამყაროს შეცნობის ახალი ეტაპი, რომელსაც თან ახლავს ღირებულებათა გადაფასება. უჭირთ საკუთარი ადგილის პოვნა, ვერ იზიარებენ არსებულ იდეოლოგიას, ვერ თავსდებიან კულტურულ ჩარჩოებში და ამ დროს კონკრეტული სუბკულტურა ესახებათ „გამაშუალებელ“ სივრცედ, რომლის საშუალებითაც იდენტობასთან დაკავშირებულ პრობლემებს წყვეტინ. სუბკულტურის წევრები ჯგუფის სოციალური სტრუქტურიდან ირჩევენ სასურველ როლებს/„იმიჯებს“, იდენტობებს, იდეებს, ქმნიან საკუთარ ცხოვრების სტილს და ამ გზით ცდილობენ გადაჭრან კოლექტიური პრობლემები, რაც საფუძველს ქმნის სოციალური ცვლილებებისთვის. სუბკულტურული ერთობის გამომხატველობით ფაქტორს წარმოადგენს მუსიკა, რომელიც

უზრუნველყოფსა ამ ერთიანობის განმსაზღვრელი იდეოლოგიის გაზიარებას და სუბკულტურული ცხოვრების სტილის/მნიშვნელობის გათავისებას.

მუსიკა კომუნიკაციის უძველესი და გავრცელებული ფორმაა, რომელიც მისი მსმენელებისგან შემდგარ კულტურულ საზოგადოებას ქმნის. ს. ფრიტი, მუსიკისა და ადამიანის დამოკიდებულებას/ურთიერთობას იდენტობის განვითარების მთავარ ფაქტორად განიხილავს. მუსიკის სუბიექტური შეგრძნება განსაზღვრავს ჩვენს სოციალურობას, რომელიც გაზიარებული გამოცდილებებით/ემოციებით ნიადაგს უქმნის კოლექტიურ იდენტობას და, ამავე დროს, ადამიანებს/მსმენელებს ყოფიერების საზრისის გაგებაში ეხმარება, საშუალებას აძლევს მათ „იპოვონ“ საკუთარი თავი (Frith 1998, 273).

დღეისათვის პოპულარულ ახალგაზრდულ სუბკულტურას ელექტრონულ საცეკვაო მუსიკასთან ასოცირებული კლუბური სუბკულტურა ქმნის. ელექტრონული მუსიკა ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ვითარდება. 1970-იანი წლებიდან ელექტრონულ მუსიკაში ახალი მიმართულება გაჩნდა საცეკვაო მუსიკის სახით, რომელიც დღემდე პოპულარულია თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ მუსიკის ამგვარ განვითარებას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. დ. კლარკი დისკო მუსიკას, (ელექტრონული საცეკვაო მუსიკის ერთ-ერთ პირველ ქვე-ჟანრს) 1970-იანი წლების უაზრო მუსიკას უწოდებს, რომელსაც დამანგრეველი გავლენა აქვს მუსიკის ინდუსტრიაზე, მისი სპეციფიკის, ტექნოლოგიური მიღწევების ფონზე პროდუსერების გაზრდილი ძალაუფლების გამო, რაც მისი აზრით მუსიკალური ღირებულებების მთლიან გაქრობას იწვევს (Clarke 1989, 344).

ღირებულებების ანულირებას მუსიკაში მით უფრო ემსრობოდნენ, როდესაც მუსიკის შინაარსობრიობაზე კეთდებოდა აქცენტი. ინსტრუმენტული/ელექტრონული მუსიკის შესახებ საუბრისას ჩნდება კითხვა, როგორ ახერხებენ მუსიკოსები,

მხოლოდ ბგერათა თანწყობით, ვერბალური ნაწილის არარსებობის პირობებში, გამოხატონ აზრი. თუ ხელოვნება/მუსიკა ყოველგვარ აზრს მოკლებულია, მისი არსებობის დროც ვერ იქნება ხანგრძლივი. ბგერა, რომელიც მუდმივად მეორდება, თანდათანობით იძენს და იცვლის მნიშვნელობას ჩვენს აღქმაში, ისე როგორც ეს ხდება თანამედროვე ელექტრონულ მუსიკაში (Nye 2013).

ასოციაციურობა, რომელსაც დამუშავების შემდეგაც ბოლომდე ვერ კარგავს ხმოვანება/ხმა, გაგების მრავალფეროვნებას იწვევს და ინტერპრეტაციის საშუალებას აძლევს, როგორც შემსრულებლებს, ისე მსმენელს. ამგვარი შინაარსობრივი პლურალიზმი, რომელიც ხმებში და მის ინდივიდუალურ ინტერპრეტირებაში გამოიხატება, აჩენს სხვადასხვაგვარ მნიშვნელობებს და მოსმენის სურვილს.

კლუბური კულტურის სტრუქტურის გასაანალიზებლად და მათი წევრი ახალგაზრდების მისწრაფებების, შეხედულებების შესასწავლად, მნიშვნელოვანია სარა სორთონის მიერ ჩატარებული კვლევა „კლუბური კულტურა: მუსიკა, მედია და სოციალური კაპიტალი“ (1995). ავტორი კლუბურ კულტურაში მოიაზრებს იმ ახალგარდების კულტურას, რომელთა თავშეყრის ადგილს წარმოადგენს კლუბები და „რეივები“ (არასტანდარტული, ცვალებადი სივრცეები), ხოლო თვითგამოხატვის სიმბოლურ საშუალებას ელექტრონული საცეკვაო მუსიკა. სივრცესთან მჭიდრო კავშირის გამო, ადამიანები, რომლებიც ხშირად სტუმრობენ მსგავს ადგილებს და აქვთ საერთო მუსიკალური გემოვნება „რეივერებად“ და „კლუბერებად“, („ქლაბერებად“) მოიხსენიებიან. სორთონი მიიჩნევს, რომ კლუბური/სუბკულტურული იდეოლოგიით ახალგაზრდები ეცნობიან, საკუთარ და სხვა სოციალურ ჯგუფებს და „მეინსტრიმისაგან“/მასებისგან დისტანცირებით, აქცენტს აკეთებენ თავიანთ განსხვავებულ თვისებებზე, „ლიბერალურ სივრცის მოპოვე-

ბის“ მნიშვნელობაზე, ინდივიდუალური/პიროვნული უფლებების პრიორიტეტებზე და ასე შემდეგ. სორთონი აღნიშნავს, რომ საკლუბო კულტურა ყველაზე წარმატებული მაშინაა, როდესაც ახალგაზრდები თვლიან, რომ მუდმივი ინტერაქციით თავად შექმნეს ეს კულტურული სივრცე. საკლუბო კულტურის („ქლაბინგის“) ტრადიციული გაგება, კონკრეტულ სივრცეებში, ადამიანთა იმგვარ გაერთიანებებს გულისხმობს, სადაც უსმენენ ელექტრონულ მუსიკას, ცეკვავენ, იღებენ ალკოჰოლს და მოიხმარენ კლუბურ ნარკოტიკებს, სადაც იკვეთება ამ კულტურის, როგორც გლობალური ფენომენის საერთო მახასიათებლები, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კლუბური სუბკულტურა ყოველთვის ლოკალური პრობლემების გარშემო კონცენტრირდებოდა და გარდა მისი საერთო ხასიათის გამოვლინებებისა, შესაძლებლობა გვაქვს ვისაუბროთ სხვადასხვა ქვეყნების სპეციფიკურ გამოცდილებებზე (Thornton 1995).

კლუბური კულტურა მიისწრაფის დომინანციური კულტურის/აზრის რეკონსტრუირებისკენ. კლუბი, როგორც სოციალური სივრცე და ელექტრონული საცეკვაო მუსიკა, როგორც ამ სივრცეში მყოფი ადამიანების „თავისუფლების ხმა“ თითქმის მთელი მისი ისტორიის მანძილზე სოციალური/პოლიტიკური ცვლილებების და ტრასფორმაციის ცენტრში იყო. ამიტომ, ამ სუბკულტურსთან დაკავშირებულ კულტურულ მოვლენებთან ერთად, ყურადღება უნდა გავამახვილოთ სოციალურ პროცესებზეც.

1980-იანი წლებიდან, კლუბური კულტურის საერთო ხასიათი გამოიკვეთა, უფრო ზუსტად ჰუმანური იდეების გამავრცელებელი და სისტემის საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირების არეალი გახდა. საკლუბო სივრცეში, სპეციფიკური სტილი და ქცევის კოდები/მნიშვნელობები გაზიარებული და გაგებულია გარშემომყოფებისთვის. ეს არის სივრცის კოლექტიური გაგება, რასაც მითოლოგია ქმნის. ადამიანებისთვის ერთი და იგივე

ადგილს სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ცოდნა, რა განცდა გააჩნიათ მათ ამ ადგილის შესახებ და რა ტიპის სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ მას (Hubbard & L. Holloway 2000). იმ შემთხვევაში, თუ საკლუბო სივრცის სპეციფიკა მოკლებული იქნებოდა „კოლექტური გაებას“, ფუნქციას და ლირებულებას, სრულიად გაუგებარი იქნებოდა ასეულობით ადამიანის ბნელ, მიწისქვეშა სივრცეებში შეკრების მიზეზი, მაგრამ დღეს თუ ჯგუფის წევრებს არ უქმნის დისკომფორტს მსგავსი „ლოკაციები“ და პირიქით, ყოველდღიურად ადამიანების მზარდ რაოდენობას იზიდავს, სწორედ იმ გაზიარებული მნიშვნელობების დამსახურებაა, რაც მათთვის თვითგამოხატვის და თვითრეალიზების საშუალებას იძლევა. ადამიანები, კლუბში წასვლით არჩევანს აკეთებენ სივრცეზე, რომელიც მათ აძლევს იდენტობის გამოხატვის საშუალებას. დ. მაგლტონი (2000) აღნიშნავს, რომ იმ ადამიანებზე დაკვირვებით, რომლებიც ცდილობენ გაექცნენ ყოველდღიურ/რუტინულ სივრცეებს და იკრიბებიან მსგავს ადგილებში, შესამჩნევი ხდება სტიგმატიზირებული გარემოდან იდენტობების გათავისუფლების მცდელობის წარმოჩენა (Muggleton 2000).

ინდივიდი/ჯგუფი ირჩევს და მნიშვნელობას ანიჭებს იმ ნიშნებს, რომელსაც თავად მიიჩნევს საჭიროდ (მუსიკალური გემოვნება, სტილი, ლირებულებები), კლუბი კი ამ ახალგაზრდული კულტურის, იდენტობების გამოხატვის სივრცულ კონტექსტს წარმოადგენს. ამიტომ, თანამედროვე სუბკულტურული თეორიები მიმართულია ინდივიდუალიზმისკენ, ხაზს უსვამს განსხვავებულობას, ჰეტეროგენურობას და არა კოლექტივიზმს და კონფორმიზმს, რომელიც სტერეოტიპების უკრიტიკო მიღებას გულისხმობს (Laughey 2006; Muggleton 2000; Williams 2011).

ელექტრონული მუსიკის სახელის ქვეშ ათასობით ქვეყან-
რი ერთიანდება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ბოლოდან
დღემდე აქტიურად ვითარდება. ჩემი ინტერესის საგანი ელექ-
ტრონული საცეკვაო მუსიკის სპეციფიურობის ეთნოგრაფიული
შესწავლა და ანალიზია, რომელიც ელექტრონული მუსიკის
ერთ-ერთი მსხვილი კატეგორიაა და მასში „ელექტრო“, „ტექ-
ნო“, „ჰაუსი“, „ემბიენტი“, და სხვა უანრები მოიაზრება. დღევან-
დელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ EDM ყველაზე მეტადაა
გათვლილი „მასების გემოვნებაზე“, ის განსაზღვრავს საკლუბო
სცენის და თანამედროვე ფესტივალების მუსიკალურ მიმართუ-
ლებას/ტენდენციას (Wagner 2014). ამ ფონზე უნდა გავიგოთ რა
გარე ფაქტორები (რა მექანიზმები) განაპირობებს ახალგაზ-
რდებში ელექტრონული საცეკვაო მუსიკით დაინტერესებას.
სოციალური გარემოს ცვლილებასთან ერთად, საკლუბო კულ-
ტურაში და ელექტრონული მუსიკის ინდუსტრიაში მუდმივად
იცვლება ტენდენციები, არ კარგავს აქტუალობას და ახალგაზ-
რდებში იძენს „სადემონსტრაციო“ ხმის/სივრცის მნიშვნელო-
ბას. მუსიკით და ცეკვით მიღწეული თავისუფლების შეგრძენება
იზიდავს ახალგაზრდებს და განსაზღვრავს მათ გემოვნებას,
ცხოვრების სტილს და კლუბური სუბკულტურისადმი მიკუთ-
ვნებულობას, რაც მხოლოდ მუსიკასთან ან ცეკვასთან არ არის
დაკავშირებული, აქ გადამწყვეტია ყველა ის სოციალური თუ
კულტურული ფაქტორი, რაც მათ აფერხებთ. მუსიკა ძლიერი
სოციალური მექანიზმია, რომელიც აყალიბებს იდენტობებს და
საზოგადოებას, მას შეუძლია შექმნას ორგანიზაციები და ინ-
სტიტუტები, განასახიეროს იდეალები და ფასეულობები. ინდე-
ვიდუალური იდენტობებისათვის ნიადაგის შექმნით წვლილი შე-
აქვს კოლექტიური იდენტობის მშენებლობაში (Street 2012, 173).

სოციალურმა მედიამ, ინფორმაციის უზრუნველყოფით,
ელექტრონულ მუსიკა გლობალურ ფენომენად აქცია. მისი მეშ-
ვეობით ვხედავთ, როგორ ხდება მუსიკაში ინოვაციის შემოტანა

და ტრანსფორმაცია. ამ ფონზე, ქართული თუ უცხოური გა-მომცემლობები აღნიშნავენ, რომ თბილისის საცეკვაო სცენა ელექტრონული მუსიკის ახალ ცენტრს წარმოადგენს. ელექტრონულმა უურნალმა „Resident Advisor”-მა ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ქართული საკლუბო ცხოვრების კონცექსტის წარმოსაჩედან. სტატიაში აღნიშნულია, რომ საქართველოში ელექტრონული მუსიკის სცენის აქტუალობა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: კლუბების სწორმა დაგეგმარებამ, გამართულმა ხმის სისტემამ, სიახლეებისთვის ღიად განწყობილმა აუდიტორიამ, მიმზიდველმა წვეულებებმა და ასე შემდეგ. მაგრამ, არსებობს უფრო რთული რეალობა, რომელიც წარმატების უმთავრესი ფაქტორია და გულისხმობს საბჭოთა კავშირის დაშლას და მის შემდგომ ტრაგიკულ პერიოდს, როდესაც საქართველომ კონფლიქტები და სილარიბე გადაიტანა, რამაც დროთა განმავლობაში მოამზადა ნიადაგი, წარსულიდან თავის დაღწევისათვის.

„20 წლის წინ თბილისს ელექტრონურია იშვიათად მიეწოდებოდა, დღეს კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ელექტრონული მუსიკის სცენა აქვს“, სადაც საცეკვაო მუსიკა სოციალური ცვლილებების „საუნდტრეკია“ და კლუბში სიარული შეფასებულია როგორც „პოლიტიკური აქტი“ (Lynch 2016).

მუსიკა იმ რეალობაში იქმნება, რომელშიც მის შემსრულებლებს უწევთ ცხოვრება. მას არ აქვს იმის მისწრაფება, რომ მოწყდეს რეალობას და განვითარდეს დამოუკიდებლად. ამიტომ, მოვლენები, რომელიც იღექება ადამიანების ცნობიერება-ში და პირდაპირ თუ ირიბად განსაზღვრავს მათ ცხოვრებას, გავლენას ტოვებს ხალხის შემოქმედებაზე. ამ შემთხვევაშიც მუსიკა, მათ შორის ელექტრონული საცეკვაო მუსიკა წარმოადგენს ადამიანების/თაობის მისწრაფებებს და სურვილებს ცვლილებების, მიზნებისა და შედეგებისკენ.

1921 წლის თებერვლიდან საქართველოს, როგორც საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას 70 წელი მოუწია ცხოვრება იმ რეჟიმში, რომელშიც ცენზურა თავიდანვე დაკანონდა. საეჭვოდ აღიქმებოდა ყველა ისეთი იდეის არსებობა, რომელიც „საბჭოთა ადამიანის“ ფორმირებას შეუშლიდა ხელს. მკაცრად კონტროლდებოდა მედია, ლიტერატურა, თეატრი, კინო, მუსიკა. თვითრეალიზმის ასეთ უალტერნატივო პირობებში, ცალკეულმა ადამიანებმა მოახერხეს ყოფილიყვნებ ინდივიდუალურები, ეფიქრათ, გამოეთქვათ პროტესტი, უკმაყოფილება, თანაგრძნობა, სიყვარული.

1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა ცენზურის შესუსტების ფონზე ირაკლი ჩარკვიანმა, კოტე ყუბანეიშვილმა და პატა ქურდაძემ დაარსეს „რეაქტიული კლუბი“ (რეაქტიული პოეზია), რომელიც რეაქცია იყო იმ სისტემაზე, რომელშიც ცხოვრებაც უწევდათ. ეს იყო კულტურული მანიფესტი, „ანდერგრაუნდის“ გაერთიანება, რომლის შესახებაც, მძიმე სოციალური ფონის გამო, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცოდა. „კლუბიც“ იმიტომ დაარქვეს, რომ მის წევრებს (სულ რამდენიმე ადამიანს) საზოგადოების/ერის აზრი გამოეხატა და ყველას სათქმელი ეთქვა, გადაერჩინათ კულტურა საბჭოთა გავლენებისგან, რომელსაც ერი დეგრადაციამდე მიჰყავდა. ირაკლი ჩარკვიანი საუბრობდა ერის განკურნების აუცილებლობაზე და რეაქტიული კლუბის მნიშვნელობაზე. თვლიდა, რომ კლუბმა საზოგადოების ცნობიერებაში, რომელიც კომუნისტური გავლენებისგან ვერ თავისუფლდებოდა, მნიშვნელოვანი გარდატეხა გამოიწვია:

„რეაქტიულ კლუბის“ დაარსებას, ვფიქრობ, სერიოზული შედეგები მოჰყვა. მაგალითად, მანამდე ინგლისური მუსიკა და რუსული საზოგადოების მოდურად ითვლებოდა. მიაჩნდათ, რომ ქართულად შეუძლებელი იყო როკ-ენ-როლის სიმღერა. თვლიდნენ, რომ ქართული თანამედროვე ენა რუ-

სულთან და ინგლისურთან შედარებით ჩამორჩენილი იყო“ (გაბუნია 2017).

მოგვიანებით დადა დადიანმა და ირაკლი ჩარკვიანმა და-იწყეს ალტერნატიული მუსიკის შექმნა, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა საზოგადოების ცნობიერების შეცვლისკენ, და ასახავდა იმ განწყობებს, რაც 1980-1990-იანი წლების საქართველოში არსებობდა. იმ დროს, საქართველოში ალტერნატიულ მუსიკას ბევრი ქართველი მუსიკოსი უკრავდა. ირაკლისა და დადას მუსიკა იყო ელექტრონული (ელექტროაკუსტიკური), სადაც გარდა ელექტრონული სიგნალების მიერ წარმოებული ხმებისა, სხვადსხვა ინსტრუმენტებიც ფიგურირებდა და უან-რობრივად საინტერესო სინთეზს წარმოადგენდენდა, რაც განსაკუთრებით ჩანდა ალტერნატიულ ბენდებში „ქართული ცეკვის იმპერია“ (Gorgian Dance Empire) და „საბავშვო მედიცინა“ (Children’s Medicine). მათ მუსიკაში იგრძნობა უკომპრომისობა, სიახლე, რევოლუციური სული, სითამამე. მიუხედავად ინგლისურნოვანი ლირიკისა, მათი მუსიკა არ კარგავდა ინდი-ვიდუალიზმს:

„დადა ყოველთვის ცდილობდა შეექმნა ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით აქტუალური ქართული მუსიკა. სწორედ ასეთი სტანდარტებისკენ უნდა აიღონ გეზი ახალგაზრდა შემსრულებლებმა, რაც გამოიწვევს კიდეც ჩვენში ახალი მუსიკის განვითარებას, თორემ დამერნმუნეთ, ინგლისური მუსიკა ლონდონში ყოველთვის უფრო კარგი გაკეთდება, ვიდრე თბილისში ან ქუთაისში“ (მჭედლიძე 2013, 7).

ირაკლის და დადას შემოქმედება განვითარდა „ანდერ-გრაუნდში“, მაგრამ აუღერებდა მასშტაბურ საზოგადოებრივ იდეებს, ინტერესებს და კონტექსტს უცვლიდა არსებულ მუსიკალურ/კულტურულ რეალობას. მოგვიანებით, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან მათ მიერ მუსიკაში დამკვიდრებულ ახალ ტენდენციებს ნიკა მაჩაიძე აგრძელებს. მისი შემოქმედება

იმ პერიოდს ემთხვევა, როდესაც ბერლინში ელექტრონული მუსიკის ძუმი იყო. მისი ალბომები საზღვარგარეთ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, სამშობლოში კი არ არსებობდა მსმენელი, აუდიტორია, რომელიც მის შემოქმედებას მოუსმენდა. მუსიკოსების ენთუზიაზმი და ნიჭი, მათ მიერ მომზადებული ნიადაგი, არ აღმოჩნდა საკმარისი 1990-იანი წლების მძიმე ყოფითი პრობლემების ფონზე „ახალი მუსიკის“ ტრადიციული ხაზის გასაგრძელებლად. ნიკა მაჩაიძე საავტორო გადაცემაში „გამოტოვებული 70 წელი“ საუბრობს საბჭოთა კავშირის პერიოდში გამოტოვებული ინფორმაციის პლასტის აღდგენის აუცილებლობაზე, იმისთვის, რომ „წინაპრების მსგავსად არ გვეშინოდეს ჭექა-ქუხილის“. შევეჯახეთ რეალობას, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ჩამოვრჩით და ახლა იმ ეტაპის გავლა გვიწევს, რაც წინა საუკუნეში უკვე გაიარა სხვა არასაბჭოთა ქვეყნებმა. ამ ეტაპზე, ყველაზე კარგი, რაც ქართულ საზოგადოებას შეუძლია გააკეთოს ისაა, რომ მეტად იყვნენ მზად სიახლეებისთვის და ნაკლებად განსჯისთვის“.

2010-იან წლებში კრიტიკის ობიექტი გახდა ქართული ნაციონალური/ეროვნული ცეკვის ანსამბლი „სუხიშვილები“ ქორეოგრაფიაში გამოყენებული ელექტრონული მუსიკის გამო. ილიკო სუხიშვილი ამბობს, რომ ანსამბლი ყოველთვის ასრულებდა და შეასრულებს ახალ მოძრაობებს, განახლებულ მელოდიებზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით მოცეკვავებმა შეიძლება დაკარგონ ქართული ცეკვის შემსრულებლის იდენტობა, ან თვითმყოფადობა. ი. სუხიშვილმა აღნიშნა:

„თუ ქართველი ახალგაზრდა ქართულ ელექტრონულ მუსიკაზე მოძრაობს, როგორც თვითონ, იდენტურად და არა სხვა ვინმე, ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს ქართული არ არის. არ არის აუცილებელი, ჩოხა ჩააცვა და დიმპიტაური დაუკრას“ (გვაძაბია 2018, 4).

ქართული ელექტრონული მუსიკის სცენა იძენს იმ სოცია-ლურ და კულტურულ მნიშვნელობებს, რაც თვითგამოხატვის თავისუფალ შესაძლებლობებს ქმნის. პერფორმანსის მთავარ სივრცედ იქცა კლუბები. კლუბური სივრცის გაჩენის საჭიროება, კლუბის წევრების თქმით, უალტერნატივო კულტურულმა და სოციალურმა მდგომარეობამ განაპირობა. ახალგაზრდებს სჭირდებოდათ, სივრცე, სადაც სოციალური და კულტურული ცვლილებებისთვის ბრძოლა იქნებოდა მათი მთავარი მიზანი. სადაც ერთად გააპროტესტებდნენ ნარკოპოლიტიკას, ჰომოფონიას, ქალთა მიმართ ძალადობას. მათივე თქმით, ქვეყანაში არსებულმა მდგომარეობამ განაპირობა ღამის კლუბების სოციალური მოძრაობებისთვის მნიშვნელოვან პლატფორმად ქცევა და კლუბების პოლიტიკური კონტექსტი (აბაშიძე 2019). საქართველოში, კლუბურმა კულტურამ ის მნიშვნელობა შეიძინა, რაც 1980-იანი წლებიდან პქონდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და ევროპის ქალაქებში. კლუბი იქცა სივრცედ, სადაც ერთდროულად ხდებოდა პროტესტი და გართობა. ელექტრონული საცეკვაო მუსიკის მიმართ მზარდი მოთხოვნის კვალდაკვალ თბილისში თანდათან იმატებს საკლუბო სივრცეების რაოდენობა. თბილისი, როგორც რეგიონში, ისე აღმოსავლეთ ევროპაში ელექტრონული მუსიკის ცენტრს წარმოადგენს, თუმცა თბილისსაც დრო დასჭირდა იმისთვის, რომ ჩაბმულიყო მსოფლიო სცენის მოძრაობაში.

კვლევის დროს ყურადღება თბილისის ელექტრონული მუსიკის სცენის ძირითად და წამყვან კლუბებზე: „მტკვარზე“, „ბასიანი“ და „ხიდი“ გავამახვილე. კლუბი „მტკვარზე“ გაიხსნა 2012 წელს, „ბასიანი“ 2014 წელს, ხოლო ხიდი – 2016 წელს. ესენი წარმოადგენენ კლუბებს, რომლებიც, გახსნის დღიდან გამოხმაურებას ჰპოვებს პროფესიული თავლსაზრისით და წამყვან როლს ასრულებენ ახალგაზრდების ცხოვრების წესის ფორმირებასა და მსოფლიოს ელექტრონული მუსიკის სცენაზე საქართველოს ადგილის განსაზღვრაში.

კლუბ „მტკვარზე“ დამფუძნებელი ქეთა გაბუნია, კლუბის არსებობის პირველი წლების განხილვის დროს აღნიშნავდა, რომ კლუბში შესვლის მსურველებს სათითაოდ არჩევდა და ზოგჯერ მეგობრებსაც ვერ აძლევდა „მტკვარზე“ ყოფნის უფლებას, რადგან არ წარმოადგენდნენ საზოგადოების უსაფრთხო წევრებს. თუმცა, დროთა განმავლობაში მიდგომა შეიცვალა და მკვეთრი კონტრასტი შეინიშნება კლუბის დაარსების პერიოდსა და დღევანდელობას შორის, რადგან შეიცვალა კლუბის მიმართ დამოკიდებულებები, ასევე კლუბის სივრცეში შესაძლებელია საუბარი გენდერულ ბალანსზე. წინა წლებთან შედარებით, ელექტრონული მუსიკის სცენაზე ბევრი ქალი დიჯეი უკრავს. მათი მუსიკა განსხვავებულია და მასში თითქოს გადმოცემულია ყველა ის ბრძოლა, რაც გამოიარეს საკუთარი ადგილის დასამკიდრებლად იმ საქმეში, რაშიც ყველაზე უკეთ გამოხატავდნენ საკუთარ თავს (იხ. აბაშიძე 2019).

კლუბ „ხიდის“ დამფუძნებელი თამუნა აქსანდერი აღნიშნავს, რომ კლუბში, გარდა საკლუბო ღამეებისა, ეწყობა თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო დღეები, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუმარს გაეცნოს ხელოვნებაში მიმდინარე ტენდენციებს და დაინახოს თუ როგორ იცვლება გარემო ტექნოლოგიური ცვლილებების კვალდაკვალ. „ხიდი“, რომელიც აერთიანებს ხელოვნებისა და მუსიკის მოყვარულებს, ხელს უწყობს ადამიანების თვითიდენტიფიკაციას და ათავისუფლებს მათ სტიგმებისგან, შლის/აქრობს განსხვავებებს, ბარიერებს და თავისუფლად აზროვნების შესაძლებლობას ქმნის: ამ სივრცეში შემოსული ყველა ერთია და ერთი იდეის/სულისკვეთების ქვეშ ერთიანდება. “We create bridges not walls” (აბაშიძე 2019).

„ბასიანის“ ორგანიზატორებმა და დამფუძნებლებმა კლუბის ძირითადი დანიშნულება და ფუნქცია გასაგები გახადეს მისივე სახელწოდებისა და ლოგოს მეშვეობით, რომელზეც შავფონზე თეთრი მუზარადია გამოსახული. სახელწოდება „ბასია-

ნი“ საქართველოს ისტორიაში ქალი მეფის მმართველობის დროს მოგებული ბრძოლის აღმნიშვნელია, რომელმაც საქართველოს ავტორიტეტი მკვეთრად გაზარდა. კლუბ ბასიანის სივრცეში არის ორი, დიდი და პატარა საცეკვაო სივრცე. პატარა საცეკვაო სცენა ქართული საბრძოლო ცეკვის „ხორუმის“ (Horum) სახელს ატარებს. კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნაჯა ორაშვილი მიიჩნევს, რომ: „ბასიანი“- გამარჯვების სიმბოლოა, რომელიც საკლუბო კულტურისა და მუსიკალური სცენის განვითარების გარდა, თავიდანვე მოიაზრებდა უთანასწორო გარემოს წინააღმდეგ ბრძოლას. რკინის მუზიკადის უკან გაბრაზებული ადამიანები დგანან, რომლის მთვარი იარაღი ერთობა და სოლიდარობა“ (აბაშიძე 2019). „ბასიანის“ სივრცეშივე გაჩნდა „თეთრი ხმაურის მოძრაობა“, რომელმაც შეითავსა ნარკოპოლიტიკასთან ბრძოლის ფუნქცია.

კლუბური სუბკულტურის აღსაწერად მკვლევართა უმეტესობა სუბკულტურის რამდენიმე განზომილებაზე აკეთებს აქცენტს, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჯგუფის წევრებს, მათ სტილს (ქცევა-მანერა, გარეგობა-ჩაცმულობა), ასევე საკლუბო სივრცეს, მუსიკას, ცეკვას და იმ მნიშვნელობებს, რომელსაც ჯგუფი ანიჭებს მათ. ჩემს მიერ განხორციელებული დაკვირვების დროს კლუბებში („ბასიანი“, „მტკვარზე“ და „ხიდი“) შეიმჩნევოდა ის მახასიათებელი, რომლითაც სუბკულტურა აღიწერება.

კლუბურ სუბკულტურასთან პირველი შეხება კლუბში შესვლის დროს იჩენს თავს, რომელიც წესებს ექვემდებარება. სანამ კლუბში შეხვალ რიგი უნდა დაიკავო, რომელიც მრავალ-რიცხოვანია. აქ დგომის დროს შეიძლება ნახო ნაცნობები, შეამჩნიო ცნობილი და უცნობი ადამიანი, დააკვირდე მათ სტილს, განწყობას. რიგში მდომებს შესაძლოა არ გაუმართლოთ და წარმატებით ვერ გაიარონ „ფეისკონტროლი“, რომელიც კლუბში შესვლისათვის აუცილებელი პირობაა. ამის მიზეზი შეიძლე-

ბა იყოს კლუბში შესვლის მსურველის არაფხიზელი მდგომარეობა, აგრესიული განწყობა, ჰომოფობიური დამოკიდებულებები. ინტერაქცია რიგში დგომით იწყება, რომელიც ამძაფრებს განცდას, რომ კლუბში შესვლით სასურველი მიიღწევა და ადგილზე გარეთ მყოფ ადამიანებს უდასტურებს იმას, რომ ეს ადამიანიც ელექტრონული საცეკვაო მუსიკის მიმდევარი და კლუბური კულტურის განუყოფელი ნაწილია. ერთი რიგი იმათ-თვისაა, ვინც ბილეთები ადგილზე უნდა შეიძინოს, მეორე კი მათთვის, ვინც ონლაინ უკვე შეიძინა, „ვერიფიკაციის“ გავლის შედეგად. „ვერიფიკაცია“ უპირატესობაა, რითაც კლუბის წევრი სარგებლობენ ფასდაკლებებით, არ უწევთ რიგში დიდხანს დგომა, მის მიმართ „ფეისკონტროლიც“ შემწყნარებლურია (გამონაკლისი შემთხვევების გარდა). „ვერიფიკაციას“ კლუბი ანიჭებს მომხმარებელს, კლუბის ვებ-გვერდზე დარეგისტრირების შემდეგ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი სოციალურ ქსელში არსებული პროფილი აკმაყოფილებს ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა სუბკულტურის წევრებთან ნაცნობობის ხარისხი, გაზიარებული ინტერესები, ცხოვრების სტილი და სხვა. არსებობს ე.ნ. შავი სია, რომელშიც წესების დარღვევის შემთხვევებში, კონფლიქტური სიტუაციის შექმნაში, სხვისი პირადი სივრცის დარღვევაში შემჩნეული ადამიანები შეჰვათ, რის შედეგადაც ვეღარ მოხვდებიან კლუბის ტერიტორიაზე.

კლუბური სივრცის თავისებურებები, რაც ვლინდება ნორმატიულ სისტემაში, ადასტურებს სუბკულტურის არსებობას. ამაზე მეტყველებს გაფილტვრისა და კონტროლის მექანიზმი – „ფეისკონტროლი“. განირჩევა ფეისკონტროლის ორი სახე: ვირტუალური და რეალური. ვირტუალური ფეისკონტროლის დროს, კონკრეტული ინდივიდის ჯგუფში გაწევრიანება („ვერიფიკაცია“) სოციალურ ქსელში არსებული პროფილიდან მიღებული ინფორმაციით ხდება. იგი მოიცავს მომხმარებელთა ინტერესებს, ვიზუალურ იმიჯებს, თვითგამოხატვის პრაქტი-

კებს, სოციალურ და კულტურულ კაპიტალს. რეალური ფეის-კონტროლის შემთხვევაში მოწმდება ფიზიკური პარამეტრები: ჩაცმულობის სტილი, ჰაბიტუსი, აქტივობის მანერა, სიფხიზლის ხარისხი. კონტროლის მეორე სისტემა, კლუბში არსებული დაცვა, უშუალოდ, კლუბში მომხმარებელთა ქცევის ეტიკეტის მონიტორინგს გულისხმობს, რითაც მოწმდება სოციალური დისტანცია, აქტივობის სიხშირე, მოძრაობის მანერა, ვერბალური თავშეკავება და ცნობიერების მდგომარეობა. კლუბში შესვლის პროცესი აჩვენებს, რომ სივრცე ფუნქციონირებს გაზიარებული ნორმებისა და ქცევის წესების საფუძველზე, მისი დაცვა ყველა წევრისთვის სავალდებულოა. ყველა ეს პარამეტრი ქართული კლუბურულ სუბკულტურის ნორმატიულ სპეციფიკას აღნერს.

კლუბში აუდიტორია (Club Audience) წარმოადგენს სტილს, რომელიც სუბკულტურებისთვის სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია. პირველ რიგში, რაც საკლუბო ღონისძიებებზე შესამჩნევი ხდება მონანილების ჩაცმულობაა: კედები, ქუდები, ვინტაჟური სტილის სამოსი. მაშინ როცა, მაგალითად ბრიტანულ კლუბებში ახალგაზრდები გამოირჩევიან ფერადი და ბრჭყვიალა კოსტიუმებით, ქართული საკლუბო სივრცის-თვის დამახასიათებელია სპორტული სტილი, ტანსაცმლის დიდი ზომა და შავი ფერი, ის რაც არ უსვამს ხაზს ადამიანის გარეგნობას, არ მიჯნავს სქესს, და აქცენტს აკეთებს საერთო ხასიათის სტილზე/გარეგნობაზე. მსგავსი სამოსით, თბილისში, ახალგაზრდები მარტივად იდენტიფიცირდებიან, როგორც „ქლაბერები“. თუმცა, აქვე, შეიმჩნევა ახალგაზრდები, რომლებიც ინდივიდუალური სტილით არიან წარმოადგენილები და გამოირჩევიან მასისგან უფრო ფერადი, ბრჭყვიალა ტანსაცმლით, თამამი ჩაცმულობით, ვარცხნილობით, რაც, პირიქით, ხაზს უსვამს სხეულებრივ ესთეტიკას. ქართულ საკლუბო სივრცეში, ჯგუფის წევრების სტილი წარმოადგენს გაზიარებული შეხედუ-

ლებების თვალსაჩინო ელემენტს, ამავე დროს, საკუთარი თავის რეპრეზენტაციის, სხვა კულტურული აუდიტორიებისათვის იდენტობის წარდგენის საშუალებას. ინფორმანტები ქართული კულტურის წევრთათვის დამახასიათებელ ტანისამოსის ფერს და 1990-იანი წლების ჩაცმულობის სტილს ქართული კლუბური სუბკულტურის მარკერად განიხილავენ და მას კულტურული გამოცდილების გაგრძელებად მოიაზრებენ ერთ-ერთმა მთხოვბელმა მითხრა:

„შავი ტანსაცმელი, რომელიც გლოვის ფერად აღიქმება ჩვენს კულტურაში, საკლუბო კულტურამაც მნიშვნელოვნად აითვისა. 1990-იანების ჩაცმულობის გადმოტანაც მასიურად ხდება ქართულ კლუბებში, რითაც შეიძლება გაუაზრებლად, მაგრამ მაინც მნიშვნელობას ვანიჭებთ წარსულის გამოცდილებას, არ ვივიწყებთ, რომ ის ჩვენი ნაწილი იყო.“

აუდიტორია უყურებს სცენაზე მდგომ დიჯეის, რომელიც არც თუ ისე დისტანცირებულია მასისგან/მოცეკვავებისგან, თითქოს მუსიკა ყველას აერთიანებს. ახალგაზრები, ღამის განმავლობაში, გამოხატავენ სხვებთან ინტერაქციის სურვილს, ერთვებიან ვერბალურ ან არავერბალურ ურთიერთქმედებებში. მაგალითად: ერთად ცეკვავენ, საუბრობენ აივანზე ან მოსასვენებელ ოთახებში. ქართულ კლუბებში, შეამჩნევთ მარტო მყოფ ადამიანებსაც, რომლებიც დიჯეისთან/მუსიკასთან უწყვეტ კავშირს ამყარებენ და „იკარგებიან“ სასცენო სივრცეში. თუმცა, ნაწილი უპირატესობას მეგობრებთან, თანამოაზრებთან ერთად გართობას ანიჭებს. წვეულების/„ივენთის“ განმავლობაში ერთმანეთს უმასპინძლდებიან ალკოჰოლური სასმელებით, მწეველებისთვის განკუთვნილ სივრცეებში სიგარეტით და ა.შ. (კეთილგანწყობას თავისებურად გამოხატავენ). ის ტენდენცია, რომ საქართველოში, ყოველდღიურ პრაქტიკაში კოლექტიური გართობის, გაზიარებული ემოციების, ურთიერთდახმარების სურვილს გამოხატავენ კლუბშიც შესამჩნევი ხდება, მაგრამ გა-

რე რეალობიდან განსხვავებით, კლუბში შესამჩნევად მრავალ-ფეროვანი წრე იკვრება, სხვადასხვა სოციალური სტატუსის, ეთნიკური კუთვნილების, სქესობრივი ორიენტაციის მქონე ადამიანების მონაწილეობით. ჩემმა ინფორმაცია აღნიშნა:

„კლუბში მეგობრებთან ერთად დავდივარ, თუმცა ხშირად მარტოც. კლუბი თავიდანვე დიდი აღმოჩენა იყო ჩემთვის, რადგან გაჩნდა სივრცე, სადაც შემეძლო მარტო ნასვლა და აბსოლუტურად არ მქონდა სიმარტოვის, შიშის, დაუცველობის განცდა, პირიქით, თითქოს დიდი ოჯახის ნაწილი ხდები, სადაც ნაცნობიც და უცნობიც ყველა შენი მეგობარია.“

ერთი შეხედვით, კლუბში მოძრაობა ქაოტურია, თუმცა ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად ცხადი ხდება მოძრაობათა რიტუალური სკრიპტები და ქცევის მოდელები. თვალშისაცემია განმეორებითი/მონოტონური მოძრაობები ცეკვაში, ეს იმ მინიმალიზმის ფონზე მიმდინარეობს, რასაც ელექტრონული მუსიკა ქმნის პერმანენტულად განმეორებადი ბერითი სისტემით. ერთი მუსიკალური მონაკვეთიდან მეორეზე გადასვლისას იცვლება მოცეკვავების მოძრაობებიც, თითქოს ამას შეთანხმებულად აკეთებენ. თუმცა, თითოეული მონაწილისთვის ცეკვა ინდივიდუალურ ექსპერიმენტად რჩება, რადგან ემოციებს, განცდებს ყველა თავისებურად გამოხატავს. მიუხედავად, კლუბში მოძრაობის მინიმალური სპექტრისა, კველვის მონაწილეები განმეორებად, რიტმულ მოძრაობებშიც კი ტრადიციულ კულტურულ ანარეკლებს ამჩნევენ. ჩემმა ინფორმაცია მითხრა:

„ცეკვის დროს, „დენსფლორზე“ მარტივად შეიმჩნევა ვინ ქართველია და ვინ უცხოელი. ქართველები, ხშირად ქართული ცეკვების მანერებს იყენებენ ცეკვის დროს, მაგრამ ეს სულაც არ არის გააზრებული მათი მხრიდან. ეს მათი ბუნებრივი მოძრაობებია, რადგან მშობლებს ბავშვების ორმოცდაათი პროცენტი მაინც დაჰყავთ ქართულ ცეკვებზე. შედეგეად,

მათ მოძრაობებში უჯდებათ ის მანერები, რაც კლუბში ცეკვის დროსაც შესამჩნევია. მე არ დავდიოდი ქართულ ცეკვებზე და ამიტომაც ვამჩნევ, ალბათ.“

ქართული კლუბური სუბკულტურის დამახასიათებელ ნიშნად კვლევის მონაწილეები ცეკვაში სივრცული დისტანციის პარამეტრს განიხილავენ. მაგალითად: ქართულ კლუბებში უფრო ზედმეტი შეხება, ზედმეტი კონტაქტი ვლინდება. დისტანციას მაინც ვერ/არ იცავენ. ელექტრონული მუსიკა თავისი კონცეფციით საკუთარ თავთან ცეკვას გულისხმობს, საკუთარი თავის შეცნობის და დაკვირვების მიზნით, მაგრამ, საქართველოში ჯერ კიდევ ვერ გაითავისეს, რომ ეს ტანგო არ არის“ – ამბობს ჩემი ინფორმანტი.

სტილისა და იდენტობის დისკურსის მსგავსად, ცეკვაშიც/მოძრაობაშიც აირეკლება ტრადიციული კულტურული ელემენტები. კერძოდ, ქცევისა და ხასიათის ისეთი თავისებურებები როგორიცაა: აქტიურობა, კონტაქტურობა და ტრადიციული ფოლკლორული ცეკვის ზოგადი გავლენები. მუსიკა (EDM) ერთ სივრცეში მყოფ ყველა ადამიანს აქცევს რიტუალის მონაწილედ, რითაც ყოველდღიური უსიამოვნებებისგან და პასუხისმგებლობებისგან დისტანცირების შესაძლებლობებს ქმნის“. ჩემმა ინფორმანტმა აღნიშნა:

„მე და ჩემს „ხიდზე“ მოსიარულე მეგობრებს განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაქვს მზესთან. მე და ჩემი ერთი მეგობარი ვმსჯელობდით და მივედით დასკვნამდე, რომ ეს მზე წარმართული სიმბოლიკის განსახიერებაა. როგორც ოდესლაც ადამიანებს სჯეროდათ რომ უნდა ეცეკვათ და ასე გამოეხმოთ წვიმა, ჩვენ, უცნობი ადამიანების ჯგუფი მთელ ლამეს ცეკვაში ვატარებთ და ბოლოს ჩვენი ენერგიების ერთობას მზე ამოჰყავს. ამ დროს, უჩვეულო განცდა ჩნდება, თითქოს ჩვენ, ყველა, უცნობები, როლებმაც ერთმანეთის გვერდით მთელი ლამე ვიცეკვეთ, ერთი საერთო მთლიანო-

ბის, სამყაროს ნაწილები ვართ. ეს მზე, აქაურ და ჩამოსულ დიჯებთან და მათ მუსიკასთან ერთად, „ხიდის“ იდენტობის ნაწილი და ჩემი ერთ-ერთი საყვარელი დეტალია.“

რიტუალური ქცევითი პრაქტიკების ისეთი გავრცელებული ეფექტები როგორიცაა ტრანსი, ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობა, კლუბური სუპერტურის რიტუალური პრაქტიკებისთვისაც დამახასიათებელია. რადგან, როგორც ჩემმა ინფრომანტმა აღნიშნა, სხეული უფრო მეტად ჩართულია მუსიკა-ის რიტმებში და იქმნება განწყობა, რომ მელოდია არ არსებობს ინდივიდისგან დამოუკიდებლად, რომ მუსიკა და სხეული უშუალოდ კონტაქტობენ და არ არის საჭირო სხვა დამატებითი მაკავშირებლები.

ქცევის რიტუალიზაცია კლუბურ სივრცეში ადასტურებს ელექტრონული მუსიკის კლუბის ფუნქციას – ახალ გარემოში, ახლებური წესრიგის დამყარების საჭიროების შესახებ. პოსტსაბჭოთა სივრცეში საზღვრების გახსნამ და ღირებულებათა მრავალფეროვნების გაცნობამ შექმნა იდენტობის შენარჩუნებისთვის ღირებულებათა გადაფასების საჭიროება. ახალი რიტუალი, ახალი წესრიგის რეპრეზენტაცია. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ელექტრონული მუსიკა არ ფუნქციონირებს მხოლოდ კლუბში. მას უსმენენ ყველგან, ხასიათის და განწყობის შესაბამისად. ელექტრონული მუსიკა მათი იდენტობის ნაწილია. ინფორმანტები აღნიშნავენ მუსიკის ზემოქმედების უნარს და რეალობასთან, გარემოსთან კავშირის მნიშვნელოვან მექანიზმად განიხილავენ. ერთ-ერთმა ინფორმანტმა მითხრა:

„როცა ელ-მუსიკას ვუსმენ გარემოსთან მჭიდრო კავშირს ვგრძნობ, დისტანცია ქრება და განცდა მაქვს რომ შეწყმული ვარ მასთან. თითქოს მთიშავს უაზრო, დამღლელი ფიქრებისგან (ზოგადად ნებისმიერი ფიქრისგან იღლება ადამიანი) და თავს გაცილებით კომფორტულად ვგრძნობ.“

სუბკულტურული იდენტობა, კლუბის გარეთაც არ კარგავს მნიშვნელობას, მუსიკალური გემოვნება და ცხოვრების სტილი ხდება ადმიანების დაახლოების მთავარი მიზეზი:

„საპროტესტო აქციებზე, სხვადასხვა საჯარო ლექციაზე თუ გამოფენაზე ხშირად მხვდება კლუბში გაცნობილი ადამიანები, გამოდის რომ სულ ერთ წრეში ვტრიალებთ, ერთი ღირებულებების ირგვლივ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს კლუბში დაორგანიზდა, უპრალოდ ეს საერთო ღირებულებები ჩვენს კულტურაში სხვადასხვა სივრცეებშიც იჩენს თავს.“

ელექტრონული მუსიკის სუბკულტურა მის წევრებს ტრადიციულ კულტურაში არსებობის შესაძლებლობებს უქმნის. ერთი მხრივ, იგი კომპენსირებას ახდენს ტრადიციულ კულტურაში რეპრესირებული მდგომარეობების, ხოლო მეორეს მხრივ, ტრადიციულ კულტურაში დაბრუნების გზებს სახავს. ელექტრონული მუსიკის, როგორც სუბკულტურული ელემენტების გავრცელება და მისი ფართოდ გამოყენება კლუბის საზღვრებს გარეთ, ყოფით ცხოვრებისეულ აქტივობებში ერთგვარ ხიდს ქმნის კულტურასა და სუბკულტურას შორის. ელექტრონული მუსიკის მზარდი პოპულარობა ხელს უწყობს ტრადიციულ კულტურის წევრების ელექტრონული მუსიკის ღირებულებებთან ზიარებას. კლუბური სუბკულტურა დომინანტურ კულტურაში ჩნდება და მასთან ერთად ვითარდება. თუ შევისწავლით კონკრეტული სუბკულტურისთვის დამახასითებელ ელემენტებს, სიმბოლურ ნიშნებს წარმოდგენა შეგვექმნება იმ კულტურაზეც, რომელშიც მოცემული სუბკულტურა არსებობს. ელექტრონული მუსიკა უნივერსალური ენაა, რადგან ემოცია, რომელიც ელექტრონული სიგნალებით იქმნება და გადმოიცემა, გასაგები ხდება მეორე კონტინენტზე მცხოვრები ადამიანისთვისაც. თუმცა, ხშირად, როდესაც კულტურის გაზიარებული ელემენტების, გამოცდილებების, წარსულის მნიშვნელობების ასახვა ხდება მუსიკაში, საშუალება გვეძლევა ვისაუბროთ კონკრეტული ქვეყნის მუსი-

კის სპეციფიკურ თვისებებზე, მის ლოკალურ ხასიათზე. ჩემმა მთხოობელმა მითხრა:

„ქართველი ახალგაზრდა დიჯენტი ხშირად მიმართავენ ფოლკლორული, ნაციონალური მელოდიების, სხვადასხვა ქართველი კომპოზიტორების (მაგ. გია ყანჩელის) შემოქმედების გადმოტანას ელ. მუსიკის „ტრეკებში“ და ვფიქრობ ამას წარმატებით ახერხებენ. ამ შემთხვევაში, ნამდვილად ვფიქრობ, რომ ამგვარი კომპოზიცია ქართულია. ეს მუსიკა ყველას მოეწონება, ყველა ქვეყანაში, მაგრამ მხოლოდ ჩვენ მივხვდებით, რომ ის ყანჩელის მელოდიაზეა.“

ინფორმანტები, ჩემთან საუბრისას აღნიშნავდნენ ქართველი ელექტრონული მუსიკის შემსრულებლების წარმატებებს. საუბრობენ იმ განცდებზე, რაც ჯგუფურ/ეთნიკურ სოლიდარობას ახასიათებს. მათთან დისკუსიისას დადასტურდა ელექტრონული მუსიკისა და კლუბის ეთნოკულტურული ასპექტები, რაც ვლინდება ეთნიკურ სოლიდარობაში და ქართული მუსიკალური ნაწარმოებების „ელექტრონულ თარგმანში“.

„მიუხედავად, დიდი ენერგეტიკისა, რითმულობისა და ტემპისა სევდაც გასდევს (ქართულ) მელოდიას, რაც ჩემი აზრით უფრო ინტელექტუალური და კარგია. თუ სადმე ჩართულია მათი მუსიკა, ეგრევე ვხვდები, რომ ეს *Hamatsuki* ან *HVL*-ია (ქართველი დიჯენტი). მათი მუსიკის მიმართ სხვა ასოციაციები მიჩნდება, თუმცა ვერ ვიტყვი კონკრეტულად რა და რატომ – მითხრა ჩემმა ერთ-ერთმა მთხოობელმა.

სუბკულტურა ჩნდება იმ კულტურაში, სადაც ადამიანებს უჩნდებათ ცვლილების მოთხოვნილება, პროტესტის განცდა, დომინანტურ ღირებულებებთან გაუცხოება, თვითგამოხატვის პრობლემები. კლუბური სუბკულტურა ადამიანებს სთავაზობს სივრცეს, სადაც იქნებიან თავისუფალი, ჯგუფში ინტერგრირებული. ამასთანავე, საინტერესოა ისიც, რა მექანიზმებით უზრუნველყოფს სუბკულტურა ჯგუფის წევრების კულტურაში

არსებობას. ელექტრონული მუსიკის კლუბი, ეფექტურად აპ-როვოცირებს ცვლილებას. ამას ადასტურებს სუპკულტურის საპროტესტო პრაქტიკები, რომელიც ვლინდება ინფორმაცია ბრძოლის დისკურსში. ერთ-ერთმა ინფორმაცია ჩემთან საუბრისას აღნიშნა:

„გარემოში, სადაც შენ არ შეგიძლია იყო ის ვინც ხარ, რადგან მშობელი, სახელმწიფო, ეკლესია ყველა გეუბნება როგორი უნდა იყო და სინამდვილეში როგორი ხარ არც ერთს არ აინტერესებს. საქართველოში ცდილობენ მოგარგონ ამ ჩარჩოებს. კლუბი ამას არ ეგუება, მუდმივად ბრძოლობს, რა თქმა უნდა არააგრესიული ფორმით. ქართული ელექტრონული მუსიკის სცენა, ამ მხრივ, გვთავაზობს სრულ თავისუფლებას, იქ ის ხარ ვინც გინდა რომ იყო და ამით წინააღმდეგ მიდიხარ ყველა იმ აზრის წინაშე, რომელიც ცდილობს, რომ უარი გათქმევინოს საკუთარ თავზე.“

2018 წლის 12 მაისს, თბილისის დამის კლუბებში ანტინარკოტიკული ოპერაცია განხორციელდა. კლუბ „ბასიანის“ და „კაფე გალერის“ დარბევას ათასობით ადამიანის ქუჩაში გამოსვლა მოჰყვა, სადაც აპროტესტებდნენ პოლიციის ძალადობას და მშვიდობიანი შეკრების დარბევას. ინციდენტამდე სხვადასხვა მედიასაშუალებებში ერთგვარი საინფორმაციო ნიადაგი მომზადდა კლუბების, როგორც ქვეყნის ნარკოტიკული საშუალებების გასაღების მთავარ ცენტრად წარმოსაჩენად. სპეცოპერაციის აგრესიული ფორმა მოულოდნელი იყო ყველასთვის და ფართო გამოხმაურება მოჰყვა. გააქტიურდნენ ულტრანაციონალისტური ძალებიც („ქართული მარში“) და დაუპირისპირდნენ კლუბურ კულტურის დამცველებს. ჩემმა ერთ-ერთმა მთხოვნელმა მითხრა:

„როცა აქციაზე მივედი, იმისთვის, რომ ჩემი მეგობრებისთვის წყალი მიმეტანა, პოლიციამ არ შემიშვა კლუბში და მომინია უკან გამოპრუნება, მაგრამ მეორე მხარეს დამხვდა

დაპირისპირებული მხარე და სანამ ქაშუეთის უკანა ქუჩიდან რუსთაველას გამზირამდე გადმოვიდოდი, მგონი ერთი სი-ცოცხლე დავკარგე. ძალიან შემეშინდა.”

აქციის მონაწილეები სლოვანით „We Dance Together, We Fight Together“ ხმამაღალი მუსიკის ფონზე საათობით ცეკვაზ-დნენ პარლამენტის შენობის წინ იმის სათქმელად, რომ „ძალა-დობა არ არის პასუხი“. ისინი საპოლიციო სისტემის და ნარკო-პოლიტიკის რეფორმას მოითხოვდნენ. ამ ფაქტს BBC-იმ 15 წუ-თიანი რეპორტაჟი მიუძღვნა სახელწოდებით: „საქართველოს რეივ რევოლუცია“, რომელიც შეფასებულია როგორც „ლიბე-რალურ ახალგაზრდებსა და ულტრამემარჯვენე ჯგუფებს შო-რის დაპირისპირება“. ფილმში კლუბის წარმომადგენელი ამ-ბობს, რომ „ქვეყანაში ყველა ნარკოტიკი იმპორტირებულია, ამიტომ მთავრობამ უნდა აკონტროლოს საზღვრები და არა ადამიანები საცეკვაო სცენაზე“, ხოლო, ის ნარკოპოლიტიკა, რომელიც მომხმარებლებისთვის წლობით თავისუფლების აღ-კვეთას გულისხმობს, უსამართლობაა და არა გამოსავალი. აქ-ვე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, უურნალისტის კით-ხვაზე, გამართლებულიათ არა ავტომატებით კლუბში შევარ-დნა და ადამიანების გამოყვანა, პასუხობს; როდესაც საქმე ეხე-ბა ნარკოტიკებს, მით უფრო ნარკოდილერების იდენტიფიკაცი-ას, მაშინ მსგავსი ტაქტიკა გამართლებულია (R. Demytrie 2018). მთხოვნელმა მითხრა:

„დედაჩემი, რომელიც ძალიან ცუდად რეაგირებდა ჩემს კლუბში სიარულზე, როცა აქციაზე მოუსმინა კლუბის წევრე-ბის გამოსვლებს, თქვა, რომ პროგრესული ახალგაზრდები ყოფილან, სწორს ამბობენო, თურმე რას ვერჩოდიო. დედაჩე-მიდან დაიწყო რევოლუცია.“

ბრიტანულმა გამოცემა “The Guardian”-მა ქართულ კლუბ „ბასიანს“ სტატია მიუძღვნა სახელწოდებით: „ტექნოსცენის მექა, რომელიც ანგრევს პოსტსაბჭოთა ჩაკეტილობას“. თბი-

ლისის საკლუბო სივრცე მუდმივად ვითარდება, რაშიც დიდი როლი შეაქვს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაბადებულ ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან წარსულზე ორიენტირებულები (Ravens 2019).

საკლუბო კულტურა წარმოადგენს თანამედროვე სუბკულტურას, რომელიც მის წევრებს სთავაზობს გარდამავალ – „ლიმინალურ“ სივრცეს არსებულ და სასურველ რეალობას შორის. კვლევის შედეგად მოპოვებული მოინაცემები ადასტურებს მერდოკის შეხედულებას სუბკულტურის თვითგამოხატვისა და თვითიდენტიფიკაციის ფუნქციის შესახებ: სუბკულტურის მეშვეობით მისი წევრები დომინანტური შეხედულებების სისტემის პარალელურად ახერხებენ საკუთარი თავის გამოხატვას, თვითიდენტიფიკაციას. სუბკულტურა ქმნის სიმბოლურ მნიშვნელობებს, აყალიბებს სასურველ, ალტერნატიულ იდენტობებს, რომელიც მის წევრებს ეხმარება გაერკვეს „არსებულ რეალობაში“ (Murdock 1974). მუსიკის მიმართ ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულება იდენტობის ფორმირების მთავარ ფაქტორადაც შეიძლება განვიხილოთ, რომელიც ჯგუფის/სუბკულტურის ფარგლებში გაზიარებული ემოციებით და მნიშვნელობებით ნიადაგს უქმნის კოლექტიურ იდენტობას (Frith 1998).

ქართულ კლუბურ კულტურაში ელექტრონული მუსიკა სუბკულტურული მახასიათებლების და მისი წევრების ერთობის განმსაზღვრელი მექანიზმია. მუსიკის ჟანრების სპეციფიკა იცვლება სოციალური სისტემების ცვლილების პარალელურად. შესაბამისად, მათი განვითარება სხვადასხვა ტიპის გარემოში მიმდინარეობს და აირეკლავს მიმდინარე სოციალურ და კულტურულ მოვლენებს. პოსტსოციალისტური პერიოდის საქართველოში, ლირებულებათა ტრანსფორმაციის ფონზე, ახალი თაობისთვის ელექტრონული მუსიკა ხდება იდენტობის გამოხატვის და შენარჩუნების მექანიზმი. ელექტრონული მუსიკის, როგორც სუბკულტურული ელემენტების გავრცელება და მისი გამოყენება კლუბის საზღვრებს გარეთ, ყოფით, ცხოვრებისე-

ულ აქტივობებში, ერთგვარ ხიდს ქმნის იმისათვის რომ ინდი-
ვიდა თავი მიიჩნიოს, როგორც დომინანტი კულტურის, ისე
სუბკულტურის წევრად.

ჩემს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ელექტრო-
ნული მუსიკა, რომელიც იქმნება საქართველოში, შეიცავს ტრა-
დიციული კულტურის ელემენტებს. ქართულ ელექტრონულ
მუსიკას აქვს პოტენციალი იყოს თვითმყოფადი, გამოირჩეო-
დეს სპეციფიკური ჟღერადობებით, მნიშვნელობებით და ამას-
თანავე წარმოადგენდეს გლობალური მნიშვნელობის მუსიკას.

თეორიული მასალისა და ემპირიული ინფორმაციის შეჯე-
რების შედეგად დგინდება, რომ საკლუბო კულტურას, როგორც
სუბკულტურას, მკაფიო საზღვრები და ნორმატიული სპეციფი-
კა გააჩნია. იმისათვის, რომ გახდე „ქლაბერი“ / „რეივერი“ მნიშ-
ვნელოვანია ყველა იმ წესის გათვალისწინება და დაცვა, რასაც
კლუბი უწესებს მის წევრებს. სუბკულტურული რეგულაციების
დამსახურებად კლუბის წევრები მიიჩნევენ ახალგაზრდებში აგ-
რესის გამოვლინებების შემცირებას.

სუბკულტურისათვის მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს
სტილს (ჩაცმულობა, იმიჯი, ქცევა-მანერა), რიმელიც გამოხა-
ტავს ჯგუფის იდეოლოგიურ შინაარსს. მ. ბრეიკის აზრით, სუბ-
კულტურული სტილი, „მეინსტრიმული“ მოდიდან აღებულ დე-
ტალებს, საკუთარი კონტექსტის შესაბამისად ცვლის და ახლე-
ბურ დატვირთვას სძენს (Brake 1985).

თანამედროვე ქართულ კლუბებში, შეიმჩნევა სტილი, რო-
მელიც დომინანტურ/ტრადიციულ კულტურაში არსებულ
სტილს მოგვაგონებს, კერძოდ: ტანისამოსის ფერი, ადრეული
გამოცდილებებისთვის დამახასიათებელი მოდის ელემენტები,
მოძრაობისა და ცეკვის მანერა, ხასიათის თავისებურებები და
სხვა. თანამედროვე ქართველი ახალგაზრდები ელექტრონული
მუსიკის კლუბის სუბკულტურაში ისტორიული და კულტურუ-
ლი გავლენების, ძველი და ახალი გამოცდილებების კომბინაცი-

ით, ქმნიან ახალ რეალობას, რომელიც დატვირთულია სიმბოლურ მნიშვნელობებით. იგი აპროვოცირებს ტრადიციული კულტურის ცვლილებას და ახალ მნიშვნელობას სძენს წარსულის ელემენტებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

- აბაშიძე, ა. (2019),** მიწისქვეშეთის სათავეში. Forbes Woman Georgia მაისი 30 <https://www.forbeswoman.ge/post>
- გაბუნია, ლ. (2017),** ამონარიდები ირაკლი ჩარკვიანის ინტერვიუებიდან. On.ge ივლისი 12. <http://go.on.ge/eiy>
- გვაძაბია, მ. (2018),** მინდოდა ხასიათი და განწყობა წარმომეჩინა – ილიკო სუხიშვილ კრიტიკას ეხმანება. Netgazeti.ge იანვარი 18 <https://netgazeti.ge/news/246598/>
- მჭედლიძე თ. (2013),** 90-იანი წლების ქართული ალტერნატიული მუსიკა“. უურნალი ტაბულა აპრილი 18 <http://tbl.ge/j2q>
- Brake M. (1985),** *Comparative Youth Culture the Sociology of Youth Cultures and Youth Subcultures in America Britain and Canada.*
- Clarke D. (ed.) (1989),** *The Penguin Encyclopedia of Popular Music.* Viking, London.
- Cohen A.K. (1955),** *Delinquent Boys, The Subculture of the Gang.* Collier MacMillan, London.
- Demytrie R. (reporter) (2018),** Ed Ram (film-maker), Georgia's rave revolution“. BBC. July 30 <https://www.bbc.com/news/av/world-europe-44999599/georgia-s-rave-revolution>
- Frith S. (1998),** *Performing rites: On the value of popular music.* Cambridge, MA: Harvard University Press.
- Hubbard P. & Holloway L. (2000),** *People and place: The extraordinary geographies of everyday life.* Harlow, England: Prentice Hall.
- Laughey D. (2006),** *Music and youth culture.* Edinburgh: Edinburgh University Press.
- Lynch W. (2016),** Tbilisi and the politics of raving”. Resident Advisor. August, <https://www.residentadvisor.net/features/2666?fbclid=IwAR1PMic2> 15.

- 2rkiNmmy0uSTczVC41NY5cz7jTwOBy4Pl9Rm6enWbV-McOxZIsE
- Muggleton D. (2000),** Inside Subculture: The Postmodern meaning of style (Dress, Body, Culture). Oxford: Berg Publishers.
- Murdock, G. (1974),** Mass communications and the construction of meaning. In Armistead, N. (ed.), Reconstructing Social Psychology, Penguin, Harmondsworth
- Nye, S. (2013),** Minimal Understandings: The Berlin Decade, The Minimal Continuum, and Debates on the Legacy of German Techno. Journal of Popular Music Studies, University of Minnesota, Pp:154–184
- Ravens, C. (2019),** Bassiani: The Tbilisi techno mecca shaking off post-Soviet repression. The Guardian. January 22 <https://www.theguardian.com/music/2019/jan/22/bassiani-tbilisi-techno-nightclub-georgia>
- Thornton S. (1995),** Club Cultures Music, Media and Subcultural Capital. London.
- Wagner, A. M. (2014),** Gettin' Weird Together: The Performance of Identity and Community Through Cultural Artifacts of Electronic Dance Music Culture". Theses and Dissertations. <https://ir.library.illinoisstate.edu/etd/131>
- Williams, J. (2011),** Subcultural theory: Traditions and Concepts. 1st ed. Cambridge, UK: Polity Press, Pp:107-125; 146-163

Nana Chkatarashvili

**Electronic music and identity expression in
contemporary Georgia**

The article is based on ethnographic field research analysis, which aims at studying the functions of subcultural practices and the social contexts of electronic dance music in terms of postsocialist undertakings in Georgia. Electronic music, which is associated with Western perceptions of freedom and self-expression, is a major

factor in the shaping of club culture. The young people who are members of this community are united by common musical interests. The main problem of this research is to understand the social and cultural practices for the production and expression of electronic music in Georgia. One of the main tasks of the work was to seek out whether any of the elements of traditional culture were revealed in Georgian electronic music. The study made it clear that an important factor in the production and realization of electronic music is current socio-cultural events, and the nature of music is an important mechanism for young people to connect with the given time. In addition to the social problems, the cultural aspects of the country where the music is created directly should be considered. In the process of globalization, establishing and sharing elements of a common culture is often perceived, but in art, preference is still given to regionalism and nationalism. The study also found that Georgian electronic music has a specific character, which is manifested in various aspects of club culture, such as melody, dance, meaning, et cetera.

რამაზ ხაჭაპურიძე

ეორნილის და დაკრძალვის ტრადიციები სოფ. იახეთის ჩეპატრირებულ მოსახლეობაში

იანეთში მცხოვრები რეპატრირებული მესხების ტრადიციების კვლევა საინტერესოა, რადგან იძულებითი გამუსლიმანების შემდეგ, რეპატრიინტ იანეთელთა ყოფა და ქცევის პრაქტიკული ასპექტები შეიცვალა, თუმცა, არსებობს ყოფის ისეთი ელემენტებიც, რომლებმაც კვლავ შენარჩუნებულია.

ეთნოგრაფთა ნაშრომებში აღნიშნულია (იხ: ხოსიტაშვილი 1983) და ჩვენი კვლევაც ადასტურებს, რომ, ამჟამინდელ რეპატრიიანტთათვის ოსმალთა სამცხე-ჯავახეთში გაბატონებამდე ჩვეულებრივი ამბავი იყო ადგილობრივ და დანარჩენ ქართველებთან ქორწინებით შეძენილი ნათესაური ურთიერთობები. სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა 250 წლიანი (1578-1828წ.წ.) ბატონობის შემდეგ ადგილობრივი ქართველები ქრისტიანს ცოლად არ შეირთავდნენ და ქრისტიანზე ვერ გაათხოვებდნენ. გადასახლების შემდეგ კი ქორწინებისას ყურადღება ველარ ექცეოდა რელიგიურ-ეთნიკურ კუთვნილებას და ასევე, დედის ხაზით ნათესაობის შვიდ თაობამდე დაცვის წესს. გამუსლიმება - გადასახლების მიუხედავად შენარჩუნდა ქორწინების მონოგამიური წესი; მამის და დედის ხაზით სისხლით და ხელოვნური ნათესაობის (ნათესავი იყო ნათლია, შვილად აყვანილი, სისხლით შერეული, დაძმობილებული, მძახალ-მოყვარე) ტრადიცია; იკრძალებოდა ერთი სოფლის მკვიდრთა შორის ქორწინება; შეიცვალა მზითევის შემადგენლობა და შინაარსი, კერძები.

ეთნოგრაფიულ მასალებით და სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებული მოსაზრების თანახმად, ნათესაობის დამკარგველს და გათათრებულს ეძახდნენ ნათესავზე დაქორწინების მსურველს მთელს საქართველოში; 'საქართველოს მოსახლეობაში სისხლით ნათესავთა (როგორც პირდაპირი, ისე

გვერდითი ხაზით) დაქორწინება შვიდი თაობის გასვლამდე და-უშვებელი იყო. ქორწინება აკრძალული იყო არა მხოლოდ ორ, არამედ რამდენიმეგვარიან სოფლებშიც“ (ითონიშვილი 1965, 63; შავიანიძე 2005). იგივე შეიძლება ითქვას იანეთელ რეპატ-რიანტებზეც. მათში დღესაც იკრძალება თავის ძირი და სხვა ქართული სოფლების ნათესავ მკვიდრებზე ქორწინება. იანეთის რეპატრიანტ მესხთა თქმით: «დღემდე ბევრი შემორჩა ჩვენი ტრადიციები. ეს ერთცოლიანობაა. მე ხო მაჰმადიანი ვარ, მაგრამ არ შიიზლება მეორე ცოლის მოყვანა – ეს ქართული ტრადიციაა”; «ვერ დაქორწინდები შენს მეზობლად მცხოვრებზე, შენს სოფლელზე თუმცა პრობლემაა ის, რომ ჩვენზე ჯერ-ჯერობით არ ქორწინდებიან ქრისტიანი ქართველები. თუმცა გადასახლებამდე პერიოდში ქართველი ქალი არ გაჰყვებოდა არა-ნათესავსაც მაჰმადიანს, და თუ მამაკაცი გადაწყვეტდა თათრის ქალის ცოლად შერთვას, მას მონათლავდნენ და ქართული წესით დაიწერდნენ ჯვარს“.

იმდენად დიდი იყო მართლმადიდებლური ქრისტიანობის სიმყარე, რომ ერიდებოდნენ ერთმანეთზე ქორწინებას ქართველი კათოლიკები და მართლმადი-დებლებიც. იცავდნენ ერთცოლიანობის წესსაც (ხოსიტაშვილი 1983, 15; 24). ქორწინებას ერიდებიან მამის ხაზით შვიდ თაობაში. რაც შეეხება დედის ხაზს ცდილობენ რაც შეიძლება მეტი, „ხუთი თაობა მაინც გაარკვიონ და ხუთი თაობის შიგნით მაინც არ დაქორწინდნენ. მამის და დედის მხრიდანაც სისხლი ერთია და შთამომავლობას არაფერი უნდა წაუჭირდეს. დედის ხაზის გაყოლა შვიდ თაობამდე მათი გაფანტულად სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების გამო ვერ ხერხდება. კაროჩე არ შიიზლება ნათესავებიდან ქალი, სძალი მოიყვანო. ხანდახან, ზოგიც გააკეთებს... ისე არ შიიზლება, არც დედიდან, არც მამიდან. სისხლი ერთნაირი იქნება. ქალი რო გათხოვდება, ნავა, ის სისხლი ირევა და მერე რომელი-მე თაობიაში რაღაც შეიძლება მოხდეს. ახლა, რო არ დამავინ-

ყდეს, წელან რო თქვით, თუ სისხლი აირიაო, თუ ბიძაშვილი ბიძაშვილზე დაქორწინდაო, არ შეიძლება, მეტი ქართული რა გინდა, ქართულია ჩვენობაში სისხლის არევის არდაშვება. არ შიიზლება, არ გამოვა... ბავშვი ისე გამოვა, ხელი თვალი არ ექნება. ერთი არის ასე. დედამ შვილი მოიყვანა და ეს ერთი თვალი ასე მოდის, მეორე იქეთ მიდის... ახლობელია... არ გამოდის... აზერბაიჯანშია ასე, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ჩვენთან არ შიიზლება, საქართველოში გვარზე არ შიიზლება. არ დაიკარგოს ეს ურთიერთობა და კავშირი შთამომავლებს შორის. მეშვიდე თაობის შემდეგ ვაძლევთ ცოლად.“

ნათლიაზე არდაქორწინებით რეპატრიანტი მესხები არა მხოლოდ ქრისტიანობას, ქართველობასაც ინარჩუნებდნენ¹. „უდიდეს არს ნათლობითი ნათესავობა სისხლით ნათესავობისა...“ (ქართული სამართლის ძეგლები 1965, ტ. II, 144). სამცხე-ჯავახეთში ნათლიის და განათლულის მხარეთა ურთიერთობის შესახებ მსჯელობისას ს. ხოსიტაშვილი შენიშნავს, რომ ‘ნათლიის გვარის ყველა წევრი ნათლიად ითვლებოდა ნათლიმამის გვარის ყველა წევრისთვის (ხოსიტაშვილი 1983, 9). იანეთის მკვიდრ მესხებს შემორჩენილი აქვთ ხელოვნურად შეძენილი ნათესავზე, ძუძუმტეზე არგათხოვების და ართხოვის ქართველური ტრადიცია.

მთხოვობელმა ჩემთან საუბრისას აღნიშნა:

„ჩემი ბიჭი, ჩემი ბიძაშვილი თუ ვიღაცის ბიჭი ჩემი ცოლის რძე ჭამს და ვსიუ დამთავრდა, არ შიიზლება, რაფერ და და ძმა არ შიიზლება. ეს ქართული ადგილის იყო, ქართული წესია. მაგი უჟე და და ძმა, არ შეიძლება. ძუძუ რო ჭამს არ შიიზლება... ნათლია, რაფერ მამა ისეა. არ შიიზლება... ნათლია, ‘ქირვა’ ვაფშე ახლობელია შენთვის, რა... აქედან ეს ნათლიდან არ შიიზლება არც გოგო, არც ბიჭი, არც სძალი არაფერი არ შიიზლება.

¹ მიტროპოლიტ ნაომ შავიანიძის ქადაგებიდან: «ქვეყანას გადაშენება რომ ემუქრებოდა, ნათელ-მირონობამ გადაარჩინა».

ძაან ახლობელია. რაფერ შვილი ისე, უფრო მეტია. ცხრა, შვიდი თაობა არ მასოვს, შვიდი თაობა რომ არ შიიზლება იცის. არ შიიზლება ნათლიის ოჯახიდან, მაგი არ შიიზლება, მიტო ისეთი არის რაფერც დედა-შვილი.”

რეპატრიანტებს იანეთში ჩამოსახლებისას ქალ-ვაჟის მხოლოდ მშობლების ნებით ქორწინების წესი ჯერ კიდევ შე-ნარჩუნებული ჰქონდათ; პატარძალი დედამთილის დამჯერი უნდა იყოს; პატარძლის ძმა კი სიძეს მანამ არ აძლევს დას, სანამ მის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს: „თუკი ვაჟის მშობლებს ქალი მოეწონებოდა, მას ისე დანიშნავდნენ, ვაჟს არც კითხავდინ. ქორწილის დღესაც თვითონ წავიდოდნენ პატარძლის მოსაყვანად. მშობლების მოყვანილ პატარძალს ქმარი მეორე სართულის აივანზე დახვდებოდა სიტკბოსა და სიძლიერისთვის კანფეტსა და ხურდა ფულს გადმოაყრიდა. პატარძალს კი ჰქონდა ბრინჯით სავსე ქისა, რომელსაც სახლში შესვლის დროს მიმოაბნევდა. ეს ნიშნავდა, რომ მას ოჯახში ხვავი და დოვლათი შემოჰქონდა, თუმცა «საქართველოში ჩამოსახლების მერე ისე ფრთხილებიც აღარ ვართ. თან დრო გადის, ყველაფერი იცვლება”; „ერთხელ ცოლის ძმას სიძისათვის დეკეული მოუთხოვია, სიძეს კი თხოვნა უყოყმანოდ შეუსრულებია. ქორწილის დამესვე დეკეული ცოლისძმას ნასაკირალში წაუყვანია. მოთხოვნის შესრულების შემდეგ გადმოდის პატარძალი მანქანიდან, შეჰყავთ ცალკე ოთახში, სადაც რიგ-რიგობით შედიან მნახველები. პატარძალი ვალდებულია მათ მადლობა გადაუხადოს, ისე, რომ სახე არ აჩვენოს, ვინაიდან, პატარძალი ქორწილის დღეს განსაკუთრებით ლამაზია და, თუ სახეს სხვას აჩვენებს, მისი სილამაზე სხვაზე გადავა. ყველაზე გვიან ოთახში შემოდის სიძე თავის ორ მეჯვარესთან ერთად, რომელთაგან ერთი ცოლიანი უნდა იყოს, მეორე კი – უცოლო. მათ „იენგე“-ს (თურქ. *yenge* – მდადე, ხელისმომკიდე ქალი) ვეძახიან. ასაკოვან რეპატრიანტებს ახსოვთ „იენგე“-ს ძველი სახელწოდებაც: „

, „eskiden biz ona mağkar diyirdux, şindi yenge diyilär“ – ადრე ჩვენ მას მაყარს ვეძახდით, ახლა უწოდებენ „იენგე“-ს (მთხოვბელი, ტოპიკი იზნო, 77 წლის). მეჯვარეებს შემოაქვთ დანები და რამ-დენჯერმე ეკითხებიან ხალხს პატარძალზე: „dilini mi kesax tavşalını mi kesax?“ – „ენა მოვაჭრათ თუ თავშალი“-ო? ხალხი ერთხმად გაიძახის – „dilini kesax“ ე.ი ენა მოვჭრათო. ამის შემ-დეგ დანის წვერით ერთ თავსაფარს ახსნიან და პატარძალს დე-დამთილს ჩაბარებენ. ანუ, პატარძალს ენა მოაჭრეს და ის ამი-ერიდან დედამთილის მორჩილი ხდება. შემდეგ იწყებოდა ქორ-ნილი“.

იანეთელ მესხთა ქორწილში მოწვეული სტუმრის მრავ-ლობა (იპატიუება ნათესავი და ახლო მეზობლები – ხაზი ჩვენია) ძველ საქართველოში არსებული ტრადიციის მსგავსია. ეთნოგ-რაფიული მასალები ადასტურებენ, რომ მათთან «ქორწილის სტუმრები სისხლით ნათესავი ახლობლები და მეზობლები არი-ან».

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „კვების მენიუში არსებული განსხვა-ვებანი იქმნებოდა და ყალიბდებო-და ბუნებრივი პირობებისა და არსებული ცხოვრების ხასიათის მქიდრო კავშირში. მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედე-გად საქართველოს გეოგრაფიული და ეკოლოგიური პირობე-ბის საფუძველზე ქართველმა ხალხმა მრავალნაირი სასმელი და საკვები შექმნა, რაშიც ნათლად აირეკლა ხალხის კულტურის განვითარების დონე და ბუნებრივი სიმდიდრის გონივრულად გამოყენების უნარი ბუნებრივ პირობებთან შეხამებით“ (ივე-ლაშვილი 1999, 187). იანეთის რეპატრიანტ მესხთა აწინდელ ქორწილთა მენიუ ნაწილობრივაა შეპირობებული ტრადიციუ-ლით და ნაწილობრივ ახალ ბუნებრივ გარემოში იძულებით გა-დასახლების დროს შეძენილი წესებით. „კაცები ცალკე ოთახში ისხდნენ და მათთან იმყოფებოდა სიძე, ქალები კი ცალკე ოთახ-ში ისხდნენ პატარძალთან ერთად. იატაკზე მსხდომნი მიირ-

თმევდნენ ფლავს, წვნიანს (ჩორბას) და ა.შ.“ საქორნილო სუფრის მენიუში შედის «ოსტრი», ხარშო, ხაშლამა დღეს უკვე ქორნილში აუცილებლად აქვთ ალკოჰოლური სასმელები, ძირითადად ლვინო.

მყარი და ფუნქცია აქვს შემორჩენილი ქორნილის სუფრის თამადას და დალოცვა-სადლეგრძელოებს. თამადა ოჯახის ახლობელი ნათესავია. ან ახლო მეზობელი, ან საქართველოში გადმოსახლების შემდეგ გაცნობილი მოკეთე, რომელიც დალოცვავს ნეფე-დედოფლის ბედნიერებას, მათი და მათი მშობლების ოჯახებს, რომელსაც უნდა შეეძლოს ლამაზად სიტყვის თქმა და რაც მთავარია სუფრის გაძლოლა: „თამადად უმეტესად ადგილობრივ ქართველს ირჩევენ. ქალები მამაკაცებთან ერთად არ სხდებიან. ლვინოს თითქმის ყველა მამაკაცი და ახალგაზრდა ვაჟი სვამს. ქორნილში დათრობა «ჰარამ»-ად (თურქ. ჰარამ – შარიათით აკრძალული) არ ითვლება. მუზიკა ქორნილის აუცილებელი თანმხლებია. ჟღერს ქართული მუზიკა, ქორნილი აუცილებლად დილამდე გრძელდება. როცა უფროსები აიშლებიან, ახალგაზრდები იწყებენ გართობას“; „არის, ვინო არის... ტოსტები უნდა იცოდიოდი, ყოლაფერი, რა, რაფერ უთრა რა ვიცი. ადგილების ხალხია ჩვენი, რომელი ვინ უყვარს, ახლობელია. თუ ძან კარგათ იციან ილაპარაკონ, ლამაზათ რო დავლიო და ლამაზათ უნდა უთხრა... აი, ტოსტი სძალისთვის, ბიჭისთვის, ოჯახისთვის და მაგის ოჯახის ყოლას და რომელი ქორნილში არის ეს ხალხი, მაგნისთვის და თამადა ასეა, რა ვიცი ახლა. მე მყავს, აი ოთხი ქორნილი მქონდა ჩემთან, ოთხვე ასე იყო, რაფერც თქვენთან ისე ჩვენთან“.

იანეთელ რეპატრიანტებს სურვილი აქვთ, რომ ქორნილმა ისეთივე სახე მიიღოს, როგორც ამას ადგილობრივი მოსახლეობა აკეთებს. დახმარებას ზოგიერთი საჭმლის მომზადებასა და სუფრის გაწყობაში ადგილობრივებს თხოვენ. ქორნილში უზარმაზარი სუფრა იშლება. სიძე-პატარძლისათვის სეფის ბოლოს

ცალკე ადგილია გამოყოფილი, სუფრა ტორტით, სასმელებითა და ხილითაა გაწყობილი. საერთო სუფრაზე გოჭის ხორცის გარდა ყველა ტრადიციული ქართული კერძია.

ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებენ, რომ იანეთელ მესხებს შემორჩენილი აქვთ გამზითვების წესიც. ქართველური ტრადიციის შესაბამისად გათხოვილ ქალს წილი ეკუთვნის. აჩუ-ქებენ აუცილებლად ლოგინს და სხვა საჭირო ნივთებს: «მაი საბან, ხო იცი, ხალიჩა, სავახშმო სერვიზი, სკამი, სტოლი, რაცხა, ეს შიიზლება, სხვაც იყოს». მისცემენ ცხვარსა და ძროხასაც, ან მის სასყიდელ ფულს. აღვნიშნავთ, რომ რეპატრიანტთათვის ქორწინების დროს მზითვის და საჩუქრის ერთი მთავარი ატრიბუტი გამხდარა ფული: «მეტი ფული მეტი მიეცი. ვალდებულება არის ამისი. ვალდებულია. ვალდებულებები არის ბიჭის და ასევე ვალდებულებები არის გოგოს მხრიდან». მისი ნაწილი, რაც შვილს ეკუთვნის უნდა მიცე. შეიძლება ის ყველაფერი ჩამოთვლილთაგან გარდა ლოგინისა არ მისცენ და ფულით უყიდონ ვეში და სხვა გამოსაყენებელი ნივთები.

იშვიათად, თუმცა არის ჩასიძების „უხერხული“ წესიც. გეუბნებიან, რომ მუსლიმურ ქვეყნებში ასეთი წესი უფრო იშვიათია. თუმცა ზედსიძეც (ისტენ/იმტენ) შვილია. ის მისი მეუღლის ქონების, მეუღლის მამის ქონების სრულუფლებიანი მფლობელია: „ისე უხერხულია მაინც. არ ესიძებიან ასე. გოგო, ქალი ხო არ ვარ. ადრე ჩვენთანაც იყო. ახლა. ერთათ ცხოვროფს! ნაშვილები და შენი რადნო შვილი უფლებრივად ერთი და იგივეა. ორივე თუ შენია, შენი უნდა იყოს! ახლა მაგას შენ მოგცემ და მაგას არა, არ შიიზლება მასე. რო სიძიეა, იშვილე შენი შვილია, ვსიო და, შენია. ესეც ქართულია! არ უყურეთს მაგის დედა სხვა და ჩემი დედა სხვა. ოჯახში თუ შენ რაფერ მამა და დედა იქნები, იგი შენია. მაგი რათ მინდოდაო არ შიიზლება“.

მიუხედავად იმისა, რომ რეპატრიანტებმა იანეთში ცხოვრების შემდეგ ბევრი აკრძალვა „მოხსნეს“, პატარძლის მიმართ

მაინც მკაცრნი არიან. დღესაც ევალება პატარძალს მამამთი-ლისაგან ითხოვოს უფლება, რათა ის ქორწილის დღეს ხალხთან ერთად იყოს. ეს წესი უფრო ფორმალურია და ოჯახის უფროსი-სადმი რიდსა და მოწინებას გამოხატავს.

იანეთელი რეპატრიანტებს სჯერათ, რომ „ჯვრისნერის პროცესის დროის გაგება, მაკრატლის გახსნილი დატოვება, ახ-ლგაზრდა წყვილსათვის ჯადოს გაკეთება ოჯახის დანგრევას გამოიწვევს.~ ახლადშეუღლებულებს აუცილებელად სასულიერო პირი, მოლა ლოცავს. მას ესწრებიან მხოლოდ სიძე-დედოფლის მამაკაცი მეჯვარები. სიძე-პატარძლის დასწრება ამ დროს აუცილებელი არ არის. მათ არც უნდა იცოდნენ ჯვრისნერის თარიღის შესახებ. ეს არის საიდუმლო, რომელსაც მხოლოდ მეჯვარეები ფლობენ; საკუთარი წინაპრებიდან ახსოვთ, რომ ქორწილს თუ ორშაბათს და პარასკევს, ანუ მძიმე დღეებში თუ გადაიხდი ქორწილიც მძიმე იქნება“. იანეთის მკვიდრ მესხთათვის ოთხშაბათი კარგი დღეა და ყოფილა შემთხვევა ოთხშაბათს ქორწილის სუფრის გაშლისა, რადგან იქცევიან გამოცდილების „დაცდის“ მიხედვით. შეძენილი აქვთ სამშაბათი დღის ურნების ტრადიცია. არ გადაიხდიან ოთხშაბათს ქორწილს, თუ რამაზანია: „სამშაბათს, რა ვიცი, ჩვენი, ჩვენზე ისე იყო, რა ვიცი, ისეთი დღე, კაროჩე რა, საქმეზე რო წახვალ არ გამოდის, თუ გამოვა თუ არ გამოვა, ისე რა. ოთხშაბათი ყველაფერი, ბარაქამ არის. ოთხშაბათ, ხუთშაბათ, ხუთშაბათ უფრო კარგია... რა ვიცი, ადრიდან ასე... ამიტომ უყურეფთ რომელ დღეში მოდის. ახლა ჩვენ რამაზანობა არის ხო, ახლა მევდა რამაზანობა, ერთი თვეა და ქორწილი არ გამოდის, არ შიიზღება“.

ლოკალურ-ტერიტორიული ერთეულების ყოფითი თავი-სებურებებითაა გამორჩეული სამცხე-ჯავახეთიდან გადასახლებულ, იანეთის მკვიდრ ქართველთა მიცვალებულის გლოვისა და დაკრძალვის ტრადიციები. დგინდება, ქართული კულტურის მედეგობა, რომ საქართველოს ამ თემში ოსმალთა ბატონო-

ბამდე ქრისტიანული რელიგიის ჩარჩოში მოქცეული გლოვისა და დაკრძალვის ტრადიციებიდან ბევრი მართალია სახეცვლილი, მაგრამ მაინც შემორჩი. «უზბეკებისაგან განსხვავებული წესით ვიქცევით ძირითადად, მაგრამ მაინც მაჰმადიანურით. უჯობესია დასაფლავდეს იმ დღესვე მზის ჩასვლამდე. უურანში დაწერილი არის რო მოკტა კაცი, თუ ქალი დროზე მიწაში უნდა დამარხო, მაგრამ შეიძლება, თუ ვინმეს შორიდან მომავალი ჭირისუფალი ყავს გააჩერებენ ორ-სამ დღეს“. შდრ.: „სამცხე-ჯავახეთში მიცვალებულს ქრისტიანები მესამე დღეს ასაფლავებდნენ, მუსულმანები კი იმავე დღეს“. ეთნოგრაფილი მასალები გვამცნობს, რომ: ‚მეშვიდე დღეს ხდება ნათესავების შეკრება მიცვალებულის სახელზე და მისთვის ხოჯას მიერ ლოცვების კითხვა. შიიზლება ნაიყითხოს ნათესავმა მისივე სურვილის შესაბამისად. სასურველია ეს იყოს ნათესავი. ის შიიზლება იყოს მოლა. ამ მეშვიდე დღემდე არ მომზადდებოდა და არ იჭმევა ხორცი მიცვალებულის ოჯახში. მეზობელს ან ნათესავს უნდა მიეტანა თევზი, ყველი, მუავე“ შდრ.: სამცხე-ჯავახეთში გარდაცვლილის ოჯახში სადილის და ვახშმის სასმელ-საჭმელს მეზობლები, განაყოფები და ახლო ნათესავები მიიტანდნენ შორიდან მოსული სტუმრების გასამასპინძლებლად. სოფლის ხალხი ჭირისუფლის ოჯახში არ ჭამდა, ერიდებოდა ოჯახის შენუების (ხოსიტაშვილი 1983).

იანეთის მკვიდრ მესხთა გლოვისა და დაკრძალვის ტრადიციებში მონმდება მეორე, მესამე დღის ტრადიცია, მეორმოცე დღე და ორმოცდამეთორმეტე დღე. ‚ტირილი არ შეიძლება. ქალების ვაფშე არ შიიზლება. წესი ასეა მუსულმანურად. იცი რა, ქალები რო მიდან სასაფლაოზე, მკვდარი ტიტველი ჩანს და არ შიიზლება ამიტო. ქალს-ქალი, სპეციალურათაა იქ ვინმე... თუ წავა იქ ქალი, დასაფლავებაზე მარტო თვალები უნდა უჩანდეს, ვაფშე არ შიიზლება... ქალები ახლა მთელ თურქეთში დადის, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი. არ უნდა იტიროს, არ უნდა

იცინოს, უნდა ილოცოს მისთვის... იქ როცა მარხავენ, მწყობ-რად დგებიან, თუ კარგი გააკეთა, ან თუ ცუდი მოუვიდა ვინ-მესთან, იქ მოლაა და განიხილავენ თუ მოლა მოგვყავს, თუ არა-და უფროსები-მათ მოლას ვერ უწოდებთ, მაგრამ წესს ისინიც ასრულებენ... მესამე დღეს დაახლოებით შვიდ ქალს მიაქვს „სა-როჩკები“, შარვლები, რაც მიცვალებულისაა და შიიზლება ვინც ცოდვა ცხოვროფს მიეცი მას“; მთელ საქართველოში გავრცე-ლებული წესის მსგავსად იანეთელ მესხთა გარდაცვალის ოჯახში მეორმოცე დღეს საფლავზე გადიან, ორმოცს იხდიან. ორმოცი დღე შექია იმ ოთახში ანთებული, სადაც ადამიანი გარდაიცვლება. «ჩვენთან „ხეირათ“ ამბობენ. ხალვას გააკეთე-ბენ ხალხისთვის“. არ შეიძლება, თუმცა, როგორც კვლევით დგინდება ადგილი აქეს აღნიშნული წესის დარღვევებს. «ხორ-ცი არ უნდა იყოს, მარა ეხლა აკეთებენ... ორმოცზე ხორცი წე-სიაში არ შიიზლება, მარა ისეთი დრო მოვიდა თუ ოჯახში არის მაგის საშუალება გააკეთებ, თუ არის „შაშლიკი“ გინდა? დავია, გააკეთებს. მარა პროსტა ლამაზი არ არის, იცი? მაგალითად, შენ დღეს მოსული ხარ. კაცი მოკტა, მაგის ორმოცი დღეა და აქანა „ბაირამიბა“ ხო არაა? ჩვენთან ვინო არაა. მეზობლები მოიტანს, ზოგი ხალვას მოიტანს, რაცხა-რაცხები. ჭადი, ხაჭა-პური და ყველი და სუფრაა ჩვეულებრივი. მეორმოცე დღეს სუ-ლი მიდის ოჯახიდან“.

ერთ-ერთმა მთხოვბელმა იანეთელ მესხებში მიცვალებუ-ლის გლოვასთან დაკავშირებით ჩემთან საუბრისას, ასეთი ამბა-ვი გაიხსენა: „ფარცხანაყანეველი კაცის შვილი თუ შვილიშვი-ლი, მოკტა და ერთი წელი წვერით დადიოდა. ქრისტიანი კაცი იყო. უთხრა მეზობელმა რო ორმოცი დღის მერე მეიპარსე კა-ცორ, არაო, მე გაფიცებული მაქვსო, არ მევიპარსავო... ხოდა შვიდი დღემდე, მერე სიზმარში ნახა მისი შვილი ტყეში, დაბნეუ-ლი ტყეში, ვერ გამოდიოდა ვერსად სიბნელის გამო. უთხრა მა-მამისს – მამიკო მიშველეო, ვერ გამოვდივარ ტყიდანო, სიბნე-

ლიდანო. დილას ადგა და მეზობლებს და ამხანაგებს უთხრა სიზმარში ვნახე ჩემი შვილი და ასე და ასე დამემართაო. ე, რამ-დენი ვიზახედ მოიპარსე წვერი და იმის ბრალიაო... ჩვენი ყუ-რანში არაა, სამი დღის მეტი არა, არ შიიზლება. მარა ჩვენ წესი-აში კი იციონ ორმოცამდე, რაფერ თქვენთან არის, მარა არ ში-იზლება. ყურანში არაა მაი. შენი საქმეა ეს... ორმოცამდე ყოველ ხუთშაბათს ვლოცულობთ... აუცილებელი ხალვა არის და ყვე-ლაზე ბევრი არის. მოლა მოვა ან შიიზლება ოჯახის წევრი, მე ვიცი ლოცვა, ყურანის კითხვა ვიცი... მოვგროვდებით ოჯახის წევრები და ვილოცავთ იმის სულისთვის... ორმოცდამეთორმე-ტე დღეს მკვდარი ხორცი ძვალს შორდება. მანამ, კვირაში ერ-თხელ უნდა იკითხო ლოცვები მიცვალებულის სახელზე. ილო-ცება ხალხი, რომ მარტივად “უმტკივნეულოდ” იქნეს ხორცის და ძვლის გაცილება“.

ისლამის გავლენა ჩანს რეპატრიანტთა მიცვალებულის დაკრძალვის წესზე. `მარხავენ თეთრ პროსტინაში შეხვეულს. თეთრში იმიტომ, რომ სუფთაა. პირი დამარხულ მიცვალებულს აქვს სამხრეთით, რადგან მექა დგას სამხრეთით”.

საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულის სამცხე-ჯავახეთის მკვიდრ ქართველთა გამუსლიმებისა და გა-დასახლების შემდეგ შეძენილი და შენარჩუნელი საერთო ქარ-თული და ლოკალურ-ტერიტორიალური ყოფითი მახასიათებ-ლებით გამორჩეული წეს-ჩვეულებების შესწავლის თვალსაზრი-სით ჩვენი ეთნოგრაფიული მასალები კიდევ ერთხელ ადასტუ-რებენ ქართველური ეთნიკური კულტურის სპეციფიურობას, უნიკალურობას და მდგრადობას.

დამოწმებული ლიტერატურა:

ბექაია, მ. (1980), ოჯახის განვითრების სოციალური პრობლემები, თბილისი.

იველაშვილი, თ. (1999), საქორწინო წეს-ჩვეულებანი საქართველოში, თბილისი.

ითონიშვილი, ვ. (1965), ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობების ისტორიიდან ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II, თბილისი.
შავიანიძე, დ. (2005), ოკრიბა, ქუთაისი.
ხოსიტაშვილი, ს. (1983), ქორწინებისა და მიცვალებულის დაკრძალვის წესი სამცხე-ჯავახეთში. თბილისი.

Ramaz Khachapuridze

Marriage and Burial Traditions among the Repatriate Population of Yaneti

Among the Meskhetians in the village of Ianeti many customary characteristics of marriage have been altered as a result of their forced conversion to Islam, and are no longer detectable. However, there are certain customs that have been modified in form while maintaining their Georgian content. Even before the migration, Muslimized Georgians in Samtskhe-Javakheti "were not permitted to marry a Christian." Following repatriation, emphasis was placed on one's ethnic heritage. Both men and women made every effort to marry a Meskhetian. Some of the recently changed Christian funeral rituals that existed prior to Ottoman domination are significant. "Unless someone has a mourner who is coming from a faraway region," a deceased person is buried on the same day, before sunset. Much has been established concerning the particular, unique, and sustainable nature of their original ethnic culture based on analysis of data obtained during the work with the Meskhetians in Ianeti. Marriage and burial rites have been conditioned by historical customs as well as those gained as a consequence of Islamization and repatriation, that is, ethnic traits that are common to Georgians and indicative to the specific province where they now dwell.

ელისო ჭალიძე

ეპიდემიების კვალი გათერიალურ კულტურასა და ისტორიულ მეცნიერებაში (ხევის ეთნოგრაფიული მასალის მაგალითზე)

წინამდებარე სტატიაში განხილული და გაანალიზებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში შეკრებილი საველე-ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ადასტურებს ხევში დაავადებათა მასობრივი გავრცელების კვალს. ოდესლაც არსებული ეპიდემიის/ეპიდემიების შესახებ შემონახული ცნობები მკაფიოდა აღბეჭდილი მოხვევთა ისტორიულ მეხსიერებაში და მჭიდროდაა დაკავშირებული ხევის მატერიალური კულტურის ძეგლებთან – „აკლდამებთან“. შესაბამისად, კვლევაში მთხოვნელთა ზეპირ გადმოცემებს დავიმოწმებთ და მიმოვიხილავთ ამა თუ იმ სოფელში არსებულ აკლდამასა თუ აკლდამათა კომპლექსთან ერთად. სტატიაში დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალა შეკრებილია 2020-23 წლებში ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: დაბა სტეფანწმინდა, სოფლები: ახალციხე, კარკუჩა, სნო, ფხელშე, გორისციხე, ტყარშეტი, გარბანი, სიონი, გაიბოტენი, არშა, ფანშეტი, გერგეტი, ცდო.

ისტორიულ მეხსიერებაში დაცული ცნობების ანალიზის საფუძველზე განვიხილავთ ეპიდემიის დროს საზოგადოების დამოკიდებულებას დაავადებული ადამიანისადმი, რომელიც, ერთი მხრივ, მისი ზრუნვის ობიექტია და ამავდროულად გააზრებულია, რომ იგი წარმოადგენს პირს, რომელიც დაავადების გამავრცელებელია და საფრთხეს უქმნის სოციუმის სიცოცხლესა და არსებობას. ამ დამოკიდებულებაში განსაკუთრებით საყურადღებოა თავად პიროვნების მიერ გამოვლენილი პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა, რომელიც გამოიხატება საზოგადოების გადასარჩენად ნებაყოფლობით მისგან განრიდებაში გარდაუვალი სიკვდილის საფრთხის წინაშე.

როგორც სამეცნიერო წრეებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი გადმოცემები ანატორის აკლდამების შესახებ, რომელსაც ისტორიული მეხსიერება ხევ-სურეთში შავი ჭირის გავრცელებას უკავშირებს. აღნიშნული ცნობები დამოწმებულია ქართველ მკვლევართა ნაშრომებში (ოჩიაური 1954:98, კიკნაძე 2009... და სხვ.). ანატორსა და ფშავებურეთის სხვა სოფლების აკლდამებში ნებით შესვლის ამბავსაც არაერთგან ვხვდებით: „სამოც კვამლ ანატორელ ახალგაზრდა თავის ფეხით ეკალდამაში შასულ. იქ დაურტყყამ ისრები [ჟამს] და დამრჩალან იქ.“ (კიკნაძე 2009:86-87); „ჟამშეყრილ თითონ მიდიოდ და წვებოდ 0აკლდამაში, დამმარხავ აღარავინ რჩებოდ“ (კიკნაძე 2009, 127); „ანატორის აკლდამებში მარტო ერთ დღეს სამოცი ხმლიანი შესულა, რადგან ჟამისაგან მოკლულს არავინ ეკარებოდა დასამარხავად. სწეული თავისი ფეხით შედიოდა აკლდამაში და იქ ლევდა სულს“ (კიკნაძე 2009, 104).

სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე ნაკლებადაა ცნობილი, რომ ეპიდემიათა კვალი არანაკლები სიმძაფრითაა დაცული მოხევეთა ისტორიულ მეხსიერებაში. გადამდები სწეულებების გავრცელების შესახებ არსებული ეს ინფორმაცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მჭიდროდაა დაკავშირებული სამარხთა ერთ ტიპთან – აკლდამებთან, რომელსაც მოსახლეობა „ეკალდამების“, „აკალდამების“, „კალდამების“ სახელით მოიხსენიებს და ჟამინობის დროს გადამდები სწეულებით დაავადებულის სამყოფად მიიჩნევს. ამავე სახელწოდებებს ვხვდებით არაერთი სოფლის ტოპონიმთა შორისაც (ითონიშვილი 1971, 18, 26; ჭელიძე 2023).

სოფლად არსებული მიგრაციისა და ხევში ტურიზმის მძლავრი განვითარების ფონზე, რაც სავარაუდებელს ხდის ისტორიული მეხსიერების შესაძლო წაშლას, საჭიროდ ვცანით

დაწვრილებით აღგვენერა თითოეულ სოფელში ჩაწერილი მასა-ლა.

გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში აკლდამების, როგორც უამიანობის დროს დაავადებულთა განსარიდებლის შესახებ ხევში ერთადერთ ცნობას ვხვდებით ს. მაკალათიას ნაშრომში „ხევი“. აკლდამებისა და შავი ჭირის ეპიდემიის ერთმანეთთან კავშირის ამსახველია სოფ. ცდოში აკლდამათა ტერიტორიაზე არსებული სალოცავის სახელწოდება „უამის ხატი“. „აქვეა „უმის (მბეჭდავის შეცდომა უნდა იყოს – ე.ჭ.) საწირავის“ ნიში, სადაც ცდოელები ხატს სახადისა და ყოველგვარი მოარულისაგან მფარველობას შესთხოვენ. უამის ნიშთან ძველი აკლდამებია. აკლდამა ძველია, ფიქალი ქვით არის ნაგები და წარმოადგენს თაღიან ოთახს, რომელიც ადამიანის ძვლებია თავმოყრილი. ხალხური თქმულებით აკლდამა უამობის დროს აუშენებიათ. მასში ჭირიანებს ათავსებდნენ თურმე და ისინიც იქვე იხოცებოდნენ“ (მაკალათია 1934, 242-243). ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 1966 წლის ექსპედიციის მასალებში (ბარდაველიძე 1966, 41-42)¹ დაცულია ცნობები „კვირეს ხატის სამხრეთის მხარეს, თხასეტის გორაზე“ არსებული ორი აკლდამის და „ხატის ქვემოთ, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ნახევრად ჩანგრეული“ აკლდამის შესახებ, რომლის ფორმა წაკვეთილ პირამიდას მოგვაგონებს. საყურადღებოა, რომ დროთა განმავლობაში მიწის ზედაპირის ჩაქცევამ აკლდამების მეტი რაოდენობა გამოაჩინა. ნაგებობათა ორი მესამედი მთხოვნელი მ. წიკლაურის გადმოცემით უკვე განადგურებულია: „ძველი იყო და ორივე მხარეს დასაწოლი, დასაჯდომი /ჰექონდა/. შავი ჭირი რომ გამოჩნდებოდა, ვინმე შეატყობდა თავს რომ უკვე ისე იყო და ... თავისებური ხალხი იყო. ახლა რომ ვებლრევით ამ სიცოცხლესა...

¹ მანქანაზე ნაბეჭდი.

საჭმელს წაიღებდნენ, წავიდოდნენ და თვითონ ეცლებოდნენ სოფელს, რო არ გადადებოდა სხვას. იქიდან არ გამოდიოდნენ. საჭმელს, სანამ ცოცხლები იყვნენ, ანვდიდნენ. ვინც გადარჩებოდა, გამოვიდოდა. ეს დიდი ხნის წინ ყოფილა. ჩემს პაპებს და იმათ პაპებსაც არ ახსოვთ.“ იგივეს გვიდასტურებს სოფ. ცდის მცხოვრები, წიკლაურების რძალი 6. სუჯაშვილი. საყურადღებოა, რომ ცნობები ჟამის ხატის შესახებ შემონახულია, თუმცა აღნიშნული ხატზე სალოცავად არავინ დადის. „შავი ჭირი რო იყო ადრე, მანდ თურმე შედოდნენ. ჟამის ხატი იყოო. სალოცავად მანდ არ დადიან. 47 წელი გამიხდა მე ეხლა რაც აქ ვარ და მანდ ერთხელაც არ ვარ ნამყოფი.“

კრძალვა და შიში ჟამიანობასთან დაკავშირებული აკლდა-მებისადმი, რაც გადამდები გადაავადებისაგან თავის დაცვის რაციონალური მოსაზრებითაა ნაკარნახევი, ბოლო დრომდე დამახასიათებელი იყო მოხევეთა უფროსი თაობებისათვის. სოფ. ფანშეტში მთხ. რ. საბაურმა (საყოველთაოდ ცნობილი ექიმის, ლადო საბაურის შვილმა) გაიხსენა, როგორ უშლიდა ბავშვობაში ბაბუა, გვარის უხუცესი არტიომ საბაური, „ძველ ფანშეტას“ აკლდამების ტერიტორიაზე ყოფნას: „მანდ ნუ იჩხრიკები, შავი ჭირი არ მოგვიტანოო“. იგივე დაგვიდასტურა სოფ. ფანშეტში მცხოვრებმა ე. საბაურმა: „ბავშვობაში გვიშლი-დენ-კე მანდ ყოფნასო“.

სოფელ ფანშეტში ჟამიანობის დროინდელ აკლდამებს მიგვითითებუნ თრ ადგილზე. ერთი მათგანია „ძველ ფანშეტაÁ“-ს სახელით ცნობილი შუასაუკუნეების ნასოფლარი, რომელიც მდებარეობს დღევანდელი სოფლის „ჩრდილოეთით მდებარე კონცხზე, სადაც შემორჩენილია ნაკოშკარები, ნასახლარები, სამარხები, ღობეები და ხელოვნურად გაკეთებული პატარა მოედნები“ (ითონიშვილი 1971, 102). 1970-იან წლებში ჯერ კიდევ არსებული ღობეებისა და ტერასების ახლა მხოლოდ საძირკვლების კვალი შეიმჩნევა, მისი ქვები კი ფერდობებზეა

კონცენტრირებულად ჩამოშლილი. ჩვენი დაკვირვებით საძირ-კვლების კვალის მიხედვით შესაძლებელია 4 ტერასის გამოყოფა. სამლოცველოს, თავდაცვითი ნაგებობისა და სავარაუდო აკლდამის ნაწესები კი ჯერ კიდევ დგას. ისტორიული მეხსიერება ძველ ფანშეტს საბაურთა პირველსაცხოვრისად მიიჩნევს, სოფლის ადგილმონაცვლეობას კი შავი ჭირისაგან მოსახლეობის განადგურებას უკავშირებს: „საბაურები ცხოვრობდნენ ძველ ფანშეტაში. შავი ჭირი იყო თურმე იმ პერიოდიში. მე რომ მომიყვანეს აქ, იმათგან მომისმენია, რომ ასე იყო. ასე მახსოვს უფროსებისგან. დარჩა ერთი ქალი მარტო ფეხმძიმე, წავიდა ის თუშებში თუ ფშავში. იქ გააჩინა ბალლი და მემრე უკვე 16 წლი-სა ჩამაიყვანა და დასახლდნენ აქა. იქ უკვე აღარავინ იყო. გას-წყდნენ. ბოლო ვინც იყო, მშვილდ-ისარი ჰქონდა იმ კაცა. ბო-ლო ვინც ცუდად გახდა და შავიდა, ცოლიც შეჰყვა. „არაო“ – ეს მშვილდისარი თურმე გადმაუღერაო და უთხრაო: „არაო, არ შა-მაადგა ფეხიო. შენ უნდა ბალლი გააჩინო და შენ მაჰუდებიო მაგ ისტორიასო“. მე რომ აქ მოველ 80 წელში, ჩემმა მეუღლემ მით-ხრა, რომ იქაო მშვილდი და ისარი ისევ არისო კედელზეო მიყუ-დებულიო. ჩვენაო გვეუბნებოდნენო, ხიზანნიო როცა ვთამა-შობდითო, იქო არ შეხვიდეთო.“ – მზალო სუჯაშვილი, სოფ. ფანშეტი.

ამავე სოფელში აკლდამის სახელით ცნობილი მეორე ად-გილი დღევანდელი ფანშეტისაგან ჩრდილოეთით და ძველი ფანშეტის კლდოვანი კონცხის ძირში, შემაღლებულ ადგილზე მდებარეობს. დღეისათვის უწინდელი „აკლდამის“ ადგილზე პა-ტარა ეკლესია დგას, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ წინა ათწლეულში ააგო. ნანგრევების გაწმენდისა და ეკლესიის მშენებლობისას გამოვლინდა, რომ აკლდამის სახელით ცნობი-ლი ნაგებობის ნაშთი უწინაც ეკლესიას წარმოადგენდა, რასაც ადასტურებს იქ გამოვლინდი საკურთხეველი და ტრაპეზის ქვა. ნაგებობა აკლდამად მიიჩნია მოსახლეობამ, სავარაუდოდ,

ზომებისა და იმ გარემოების გამო, რომ მასში დიდი რაოდენობით იყო ადამიანის ძვლოვანი ჩვენს ხელთ თვითმხილველთა გადმიცემით ექვსიოდე კვადრატული მეტრი ფართობის მქონე შენობაში 28 თავის ქალა და ჩონჩხის ფრაგმენტები იყო (რისი დამადასტურებელი ფოტომასალაც არსებობს), მათ შორის საკურთხევლის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ბავშვის ჩონჩხიც. იგივე მთხრობელის სიტყვით თავის ქალებსა და ძვლებს ჭრილობების კვალი ეტყობოდა. მოსახლეობამ აღნიშნული ძვლოვანი მასალა ეკლესის შენობაშივე არსებულ სამ სამარხში მოათავსა, რომლებიც აგებულია ფიქალი ქვებით და ზემოდანაც ფიქალი ფარავს. ვფიქრობთ, აღნიშნული მასალის კვლევა ფიზიკურ ანთროპოლოგთა მიერ საყურადღებო ცნობებს მოგვცემს სოფ. ფანშეტში საუკუნეების წინ დატრიალებული ტრაგიკული მოვლენის შესახებ.

ზემოთმოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რამდენად მყარდაა დაკავშირებული მოხევეთა ცნობიერებაში აკლდამები და შავი ჭირი და რომ შესაძლოა, ზოგიერთ შემთხვევაში საქმე სრულიად განსხვავებულ გარემოებასთან გვქონდეს, რაც უდაოდ არქეოლოგთა, ფიზიკურ ანთროპოლოგთა და ეთნოლოგთა კომპლექსიკური კვლევის საგანია.

ფანშეტის მსგავსად ეპიდემიის გამო გვარის გაწყვეტამდე მისვლისა და სოფლის ადგილმონაცვლების შესახებ უფროსებისაგან მოსმენილი ცნობები მოგვაწოდა სოფ. კარკუჩის მკვიდრმა, 75 ნ. შალვა მარსაგიშვილმა: „ყამარაულები რაც ომიანობამ გაწყვიტა, გაწყვიტა. დანარჩენს შავი ჭირი გამაერია და ერთადერთი გადარჩა ფეხმძიმე ქალი, რომელიც თავის მშობლებთან იყო ფშავში... გააჩინა ბავშვი. გაიზარდა ეს ბავშვი.... ყამარი ერქვა იმ ქალს და და იმაზე მოდიან.“ მარსაგიშვილი შალვა, სოფ. კარკუჩა. მანვე დაგვიდასტურა ამაღლების ხატის, იგივე ყანანაზის წმინდა გიორგის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული აკლდამების შესახებ, რომელთა მხოლოდ ნაშთე-

ბია შემორჩენილი. „ყანანაზას რო ახლოზე გაცდები, იქ არის ქერისა და სვილის შესანახი ორმო. ჩემს ბავშვობაში იქ იყო, ეგ-და უფრო, თავის ქალები... ადამიანის. ერთხელა და ორჯერ კი არ მინახია, ბევრჯელა... გამიგია, ვისაც ეს ავადმყოფობა ჰქონ-და, ერთად სადღაც იყვნენ მიქუჩებული. იცოდნენ, რომ აღარ გადარჩებოდნენ. რაიღა სხვას გადაედოსო და, ალბათ, მიჰქონ-დათ საჭმელი, სასმელი...“

არ არის გამორცხული, რომ სწორედ დაავადებათა მასობ-რივი გავრცელებით იყოს განპირობებული განსახლების ად-გილმონაცვლეობა სოფლების, ტყარშეტისა და გორისციხის მა-გალითზე, რაც ვიზუალურადაც იოლი შესამჩნევია. ორივე ამ სოფელში არაერთმა მთხოვნელმა მიგვითითა აკლდამათა კომ-პლექსების არსებაზე და გაგვიმეორა არაერთგზის მოსმენილი ამბავი, როგორ ეცლებოდნენ უამიანობის დროს დაავადებულე-ბი სოფელსა და ახლობლებს, რათა მათთვის ცოცხლად გადარ-ჩენის შესაძლებლობა მიეცათ, რასაც დაავადებულთან სიახ-ლოვე გამორიცხავდა.

სოფელ ტყარშეტში, ვ. ითონიშვილის მიერ კვირეცხოვ-ლის, კვირეცხოვილისა და კვირეთანგელოზის სახელით მოხ-სენიებულ სალოცავზე და მის ზემოთ ბორცვზე მდგარი თავ-დაცვითი და საცხოვრებელი ნაგებობების კომპლექსის მიმდე-ბარედ შეიმჩნევა სამართა სიმრავლე, კვლავ და კვლავ მოსახ-ლეობის მეხსიერებაში აკლდამების სახელით ცნობილი და უამი-ანობასთან დაკავშირებული. „კვირეცლობასთან და ზემოთაც... ჭირიანები მიჰყვანდათ მანდა. აწვდიდეს საჭმელსა. ვინც გა-დარჩებოდა, მოდიოდა. მიწის ქვეშ არ იყო, ღიად იყო. იქაც არის, გალმა, სასაფლაოები, ბევრი ძალიან. ქომიშას ვეძახით ჩვენ. ჩვენს სოფელს ეკუთვნის. ნამოსახლარებიც არის“ – სოფ. ტყარშეტისა და კობის მკვიდრი ზ. ავსაჯანიშვილი, 85 წლის. „აკლდამები არის. ძვლებიც იყო. ახლა ამოვსებულია. ჭირიანობა რომ იყო, ოჯახიდან გადიოდნენ, რო შეატყობდა

თავსა. იქ აშენებული ქონდათ წინასწარა და თუ გადარჩებოდა, დაბრუნდებოდა უკან. თუ არა და კვდებოდა იქა. საჭმელი მიქონდათ. ოთახი იყო მინაში აშენებული, ქვით. რომელიც ძველი სოფელი არის ყველა სოფელში არის თითქმის ეს აკლდამები, იმიტომ, რომ ხომ იყო ჭირი მოდებული და შესაბამისად, ყველა სოფელში მიდიოდნენ“ – შალვა ჩქარეული, 73 წლის, სოფ. ტყარშეტი.

სოფ. გორისციხეში აკლდამათა არსებობა მიგვითითეს ახალი ეკლესის სიახლოვეს უწინ არსებული ძველი ეკლესის მიმდებარე ტერიტორიაზე. დაავადებათა მასიურ გავრცელებასთან უნდა იყოს დაკავშირებული ამავე სოფელში არსებული ტოპონიმი „ჭირობი“¹. ამ სახელით აღინიშნება სოფელში დიდ მანძილზე ვეებერთელა ლოდებით შედგენილი ქედი და მისი მიმდებარე სათიბ-საძოვარი. მთხობელ ლ. აგსაჯანიშვილის სიტყვებით: „ჭირობში იყო აკლდამები და ბავშვების ჩონჩხები“.

აკლდამათა მთელი კომპლექსია გამოვლენილი სოფ. ტყარშეტსა და გორისციხის შუაში მდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც მოსახლეობა „ქედურის“ სახელით მოიხსენიებს. მსგავსად ჭირობისა, ეს ტერიტორიაც წარმოადგენს ვეებერთელა ლოდების ჩამოშლისაგან წარმოქმნილ ქედს, რომელზეც რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრის ფართობზე შემორჩენილია ნაგებობათა ნანგრევები და მინისქვეშა აკლდამები, რომლებიც წარმოადგენენ თლილი ოთხუთხა ქვით გამოშენებულ ნაგებობებს, ჩასასვლელით ზემოდან. როგორც ცნობილია, დღეისათის სოფ. ტყარშეტის ნაწილად ქცეული ეს ადგილი მე-15 საუკუნეში ცალკე სოფელი იყო (ითონიშვილი 1971, 81).

¹ „ხევის ტოპონიმიკაში“ ვ. ითონიშვილი აფიქსირებს ტოპონიმს „ჭურობი“, თუმცა აღნიშნული სახელწოდება სოფელში ვერ დავადასტუროთ, მაშინ როცა მოსახლეობა ერთხმად მიუთითებს „ჭირობის“ სახელით ცნობილ ადგილს. შესაძლოა, აღნიშნული ცდომილება ბეჭდვისას ტექნიკური ხარვეზით უნდა იყოს გამოწვეული.

მსგავსი კონსტრუქციისა სოფ. ახალციხეში ეკლესიის მიმდებარე ქედზე არსებული 3 აკლდამა, რომელთაგან მხოლოდ ერთის დათვალიერება შევძელით. „აქ შიგნით ოთახია, კედლებია. კარგად, მაგრად ნაშენები. იქნება ასე ორი მეტრა სამ მეტრაზე. ზემოდან იყო ჩასასვლელი. იყო თავის ქალები. ჩინჩხი ადამიანისა. იმ ორში ახლა ვეღარ ჩახვალ. ჩაყრილია მიწა“- გაიოზ ბუჩქური, სოფ. ახალციხე. სწორედ ახალციხის აკლდამები და მთხოვბელ გ. ბუჩქურისა და დ. ბაზალის (სოფ. არშა) ცნობები იყო პირველი, რამაც ჩვენი ყურადღება მიაპყრო ეპიდემიის კვალს მოხევეთა ისტორიულ მეხსიერებაში და პიროვნებისა და საზოგადოების ქცევის მოდელს დაავადებათა მასობრივი გავრცელების კრიზისულ სიტუაციაში. ამისათვის გულითად მადლობას მოვახსენებ ბატონ გაიოზს და ჩვენი ექსპედიციის მეგზურსა და ერთგულ მეგობარს, დავით ბაზალს.

მატერიალური კულტურის ზემოთგანხილული ძეგლები-საგან რამდენადმე განსხვავებულია სიონის ტაძრის ჩრდილოეთ კედელში გამოშენებული სამი აკლდამა. ისინი, ისევე, როგორც მთელი კედელი, ნაგებია მშრალი წყობით საშუალო და დიდი ზომის თლილი ქვით. აკლდამების შესასვლელები დღეისათვის მიწის ზედაპირიდან მეტრასხევარზეა. ცნობებს სოფ. სიონში არსებული აკლდამების შესახებ ავსებს თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივში დაცული 1966 წლის ექსპედიციის მასალები. სიონის სამუალო სკოლის მაშინდელი დირექტორის არჩილ კობაიძის სიტყვებით: „აქ, ქვემოთ, სულ აკლდამებია. მე თვითონ წავიდე მუზეუმში თიხის ჭურჭელი. აკლდამიდან აკვანი გამოვიტანე, პატარა ვაზა /ხილის/. თიხის ჭურჭელი შებოლილი იყო. აკლდამები მიწის ქვეშ არის, ამოშენებულია. ქვაყუთის ტიპისა არ არის.“

გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ნაგებობები ჩაშლილია, როგორც მაგალითად სოფ. ფხელშეს ტერიტორიაზე თერგის პირას არსებული აკლდამები. ამ ადგილს ად-

გილობრივი მოსახლეობა „ნაცარგორისა“ და „კეტოს“ სახელით მოიხსენიებს.¹ არაერთგზის დამიდასტურეს „დიდი გათლილი ქვებით“ ნაგები აკლდამების არსებობა, რომელშიც ძვლები და ქალამნის ნაშთები უნახავთ (მთხ. ი. ელოშვილი, ვ. ელოშვილი, ს. ფხელშე). როგორც მითხრეს, აკლდამები თერგს თითქმის დაუნგრევია. განსაკუთრებით ზარალი გამოუწვევია 60-იან წლებში დაგუბებული მდინარის მოვარდნას, რომელსაც „თრუ-სოს ხეობიდან აკვნები მოჰქონდა“, „კეტოს“ მიდამოებში თერგის ჭალაზე მდგომი ფარა კი თავისი მწყემსით გაუტაცნია და უმსხვერპლია.

აკლდამების კვალის დაკარგვისა და წაშლის საპირისპიროდ არის შემთხვევები, როცა მოულოდნელად გამოვლინდება არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურაში, ადგილობრივთა რამდენიმე თაობისათვის უცნობი ნაგებობები. სოფელ გორისციხის ტერიტორიაზე მთის კალთაზე, რომელზეც იოლი შესამჩნევია დატერასების კვალი, რასაც ადგილობრივები ამ მიდამოებში ყანების არსებობით ხსნიან, ფიქსირდება საინტერესო ტოპონიმი „სახლნი“. დღეისათვის იქ შენობა ნაგებობების კვალი მიწის ზედაპირზე ალარ შეიმჩნევა, თუმცა ვ. ითონიშვილი ამ ადგილს მოიხსენიებს, როგორც სახნავ-სათიბსა და ნასახლარს (ითონიშვილი 1971, 19). მის ქვემოთ მთის ძირში მთხრობელი ი. ელოშვილის სიტყვით ორიოდე კვირის წინ სრულიად შემთხვევით საბჯენი ჯოხი ცარიელ ადგილზე მოხვდა და დათვალიერების შემდეგ აკლდამა გამოჩნდა. არა მარტო დასახლებისაგან დაცილებულ ადგილზე დავაფიქსირეთ უცნობი აკლდამის გამოვლენა, არამედ ისეთ ადგილებშიც, სადაც მოსახლეობა განუწყვეტლივ მიდიმოდის. ასეთია სოფ. ფხელშეში არსებული IX-XI საუკუნეებით დათარიღდებული ზედვაკის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზო, სადაც ფხელშელები ყოველკვირეულ წირვა-ლოცვას ეს-

¹ ეს ტოპონიმიცა და ადგილიც საერთოა ფხელშეკელებისა და ხურთისელთათვის.

წრებიან და ტრადიციულ დღეობებსაც აღნიშნავენ. ტაძარი დგას შემაღლებულ ადგილზე, რომლიც აღმოსავლეთ ფერდზე მე-20 საუკუნის დასაწყისის საფლავებია. ეზოს ფართობი ნაგებობიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეს სულ თხუთმეტიოდე კვადრატული მეტრი იქნება. ეზოს განაპირას, შემაღლებული ადგილის კიდეზე შედარებით დიდი ზომის ქვები დაუწყვიათ, რის გამოც მის ქვეშ არსებულმა აკლდამის სახურავად გამოყენებულმა ფიქალის ქვამ სიმძიმეს ვერ გაუძლო, ჩაინგრა და აქამდე უცნობი აკლდამა გამოვლინდა: „72 წლის მარტო მე ვარ, ახლა მამაჩემი, პაპაჩემი, იმათი მამები. არავის ახსოვს ამ აკლდამის არსებობა“ – ამბობს ვ. ელოშვილი. სახურავის ზემოთ არანაკლებ ნახევარი მეტრის სიმაღლეზე არსებული მიწის მასა აკლდამაში ჩაიყარა და მისი იატაკი დაფარა, რის გამოც შეუძლებელია თქმა, რამდენიმე მიცვალებული შეიძლებოდა ყოფილიყო მასში დაკრძალული. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აკლდამა ნაგებია მშრალად, კარგად გათლილი ქვით მსგავსად ახალციხისა და ქედურის ტერიტორიაზე არსებული აკლდამებისა. ზომებით ოდნავ აღემატება ამ უკანასკნელთ, სიგრძე (ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ დასავლეთ ღერძზე) დაახლოებით 3 მეტრი, სიგანე 2 მეტრამდე, სიმაღლე არანაკლებ 2 მეტრისა. აკლდამაში არსებული თავის ქალის მდებარეობის მიხედვით მიცვალებული დაკრძალული უნდა ყოფილიყო ჩრდილო-აღმოსავლეთ – სამხრეთ დასავლეთ ღერძზე, თავით სამხრეთ დასავლეთისაგან. სამხრეთ-დასავლეთ კედელზევეა ჩასასვლელად დატოვებული კიბის საფეხურისებურად გამოშვერილი ქვები. აკლდამის სახურავად გამოყენებულია ორი ან მეტი დიდი ზომის ფიქალი ქვა (მოხევური დიალექტით „ჭაჭი“), რომელთა გადარჩენილი ნაწილი დაფარულია მიწით ეზოს სიმაღლემდე. მიწის ფენის სიმაღლის გათვალისწინებით, საფიქრებელია, რომ მიწიმუმ მისი ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი კედელიც თავის დროზე მიწის ზემოთ უნდა ყოფილიყო. შე-

საძლოა, იგივე შემთხვევა გვქონდეს ახალციხის აკლდამების შემთხვევაშიც, სადაც მთხრობელები გადმოგვცემენ, რომ „აქ ოდესლაც მიწა მოზვავებულა“.

საველე ეთნოგრაფიული კვლევისას აკლდამის არსებობა დავადასტურეთ სოფ. გერგეტში, ოხარეშის წმინდა გიორგის, იგივე ამაღლების ხატის სახელით ცნობილი ეკლესის ტერიტორიაზე. ეკლესის ამჟამინდელი ნაგებობიდან ახლოშივე დასავლეთით მთხ. გ. წიკლაურმა გვაჩვენა მიწაში საშუალო ზომის უხეშად გათლილი ქვით მშრალად ნაგები ორმო, რომელსაც დღეისათის სახურავი აღარ აქვს შემორჩენილი, თუმცა ცალსახაა, რომ აკლდამას ჩასასვლელი ზემოდან უნდა ჰქონოდა. ნაგებობის კედლები არ ქმნის სწორ კუთხეს, არამედ მეტ-ნაკლებად მომრგვალებულია. დღეისათვის აკლდამა ნახევრად მიწითაა ამოვსებული. გ. წიკლაურის სიტყვით რამდენიმე ათეული წლის წინ თავადაც უნახავს ორმოში ადამიანის ძვლოვანი ნაშთები. ალნიშნული არაერთგზის დაგვიდასტურეს სოფ. გერგეტში და, ტრადიციულად, დაუკავშირეს შავი ჭირის გავრცელებას.

მკვლევარებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ზოგჯერ აკლდამა შემორჩენილია, მაგრამ სახეცვლილია არა მხოლოდ დროთა დინების, არამედ ადამიანის ჩარევის შედეგად. ამის მაგალითია სოფ. გარბანში წმინდა გიორგის ეკლესის ეზოში დღემდე შემონახული ორსართულიანი აკლდამა. გარედან აკლდამა მართკუთხა მოყვანილობისაა მომრგვალებული კუთხეებით. მიწის ზედაპირიდან ზემოთ ჩანს დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლეზე. გადახურულია დიდი ზომის ფიქალის ქვებით. ჩასასვლელი ზემოდან ღიად არის დატოვებული და კედლებშივე ჩანს საფეხურებად მოწყობილი ქვები. აკლდამაში ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე მოწყობილი ყოფილა საწოლები. ამჟამად აკლდამა ჩაქცეულია და ორსართულიანად აღარ აღიქმება. როგორც მთხრობელებმა ი. და გ. გუჯარაიძეებმა ალნიშნეს, ეზოში ამ ერთის გარდა კიდევ რამდენიმე აკლდამა ყო-

ფილა, რომელიც დაუნგრევიათ, მათში არსებული ძვლები და დღეისათვის შემორჩენილ აკლდამაში მოუთავსებიათ. მთხობელებმა ვერ გაიხსენეს, როდის ჰქონდა ამ ფაქტს ადგილი და გამოთქვეს ვარაუდი, რომ ეს რამდენიმე ათეული წლის წინ მოხდა, როცა ეკლესიის ეზო გაკეთდა.

საკითხის შემდგომი კვლევისათის საყურადღებოა არა მხოლოდ იმ სოფელთა სიმრავლე, სადაც არსებული აკლდამები მთხობელთა გადმოცემით შავი ჭირის ეპიდემიასთან უნდა იყოს დაკავშირებული, არამედ ჩამონათვალიც იმ სოფლებისა, სადაც მატერიალური კულტურის ეს ძეგლები და მათთან დაკავშირებული ისტორიული მეხსიერება არ ფიქსირდება. დღეისათვის დასახლებული სოფლებიდან აკლდამების არსებობას არ გვიდასტურებენ სოფ. აჩხოტში, ქოსელში, ყანობში, ასევე ნასოფლარ თოთში. ამ სოფლებს ახასიათებს ერთი საერთო ნიშანი, ისინი შედარებით ახალია (მაგ., სოფ. აჩხოტი, სოფ. თოთი), ან ბოლო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში შეუცვლიათ განსახლების არეალი. მაგ.: სოფ. ყანობი გაშენებული ყოფილა თერგის მარჯვენა ნაპირზე, სადაც სოფლის მთავარ დღეობას „თარანგელოზობას“ დღემდე აღნიშნავენ ყანობლები 13 ივლისს; დღევანელი სოფელი ქოსელიც¹ სინოსნების ხეობის ნასოფლარ „ქოსელისა“-დან გამოსულ მოსახლეობას დაუარსებია, სადაც 1970-იან წლებში შემორჩენილი ყოფილა „ნაკოშკარი, ნასახლარები, აკლდამები“ (ითონიშვილი 1971, 161).

აღნიშნული გარემოება მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ მოხევეთა ისტორიულ მეხსიერებაში ეპიდემიის შესახებ დაცული ცნობები უნდა იყოს არა მხოლოდ XVIII-XIX სს-ის შავი ჭირის ტალღის გამოძახილი, არამედ უფრო ადრინდელი ხანის. ხევში ეპიდემიის მე-14 საუკუნით დათარიღება სავარაუდებელი ჩანს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებითაც: ეს ისტორი-

¹ სოფელში ერთადერთი მუდმივი მაცხოვრებელია, ზაფხულობით კი ვლადიკავკაზიდან კიდევ ერთი მოსახლე ჩამოდის.

ულ-ეთნოგრაფიული მხარე ოდითგანვე წარმოადგენდა საქართველოს „ჩრდილოეთ კარიბჭეს“ და ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ვერც შუა საუკუნეებში ასცდებოდა ინტენსიურ სამიმოს-ვლო გზებს მოყოლილ მომაკვდინებელ გადამდებ დაავადებას. ამ კუთხით საყურადღებოა დ. მინდორაშვილის შენიშვნა, რომ ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებში მთის პირობების კვალობაზე საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული დარიალის ციხე გვიანდელ შუა საუკუნეებში კარგავს თავის ფუნქციას (მინდორაშვილი 2001, 23). დარიალის ციხის ფუნქციონირების მოშლას მკვლევარი მე-14 საუკუნით ათარიღებს და აღნიშნულის მიზეზად მხოლოდ თემურ-ლენგის შემოსევები მიაჩნია (მინდორაშვილი 2001, 24). ვფიქრობთ არ იქნება აზრს მოკლებული, თუკი დარიალის ციხის დაქვეითების ერთ-ერთ შესაძლო მიზეზად შავი ჭირის გავრცელებასაც ვივარაუდებთ.

ხევში მე-14 საუკუნეში შავი ჭირის შესაძლო გავრცელებას არ ეწინააღმდეგება და გარკვეულწილად მხარს უჭერს მის მიერ აკლდამათა დათარიღებაც: „აკლდამების ფუნქციონირების ქვედა ზღვარად მიჩნეულია IX-X საუკუნეები, მაგრამ ხევის ვერტიკალურკედლებიანი აკლდამები აღნაგობით იმდენად ახლოს დგას არაგვის აუზის VI-VIII საუკუნეებით დათარიღებულ აკლდამებთან (ნეძიხი, კართანა და სხვ), რომ მათი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი უთუოდ გადასახედი და დასაძველებელია“ (მინდორაშვილი 2001, 18).¹

¹ როგორც ცნობილია შავი ჭირის პირველი დიდი აფეთქება მეექსე საუკუნეში მოხდა და იგი ისტორიაში ცნობილია „იუსტინიანეს შავი ჭირის“ სახელით. როგორც მკვლევარები ნ. მინდაძე (მინდაძე 2021, 246) და ნ. გოგოლაური (გოგოლაური 2023, 19) აღნიშნავენ, არ არსებობს პირდაპირი ცნობები საქართველოში ეპიდემიის ამ ტალღის გავრცელების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა მკვლევართა მიერ დამოწმებული პროკოპი კესარიელის ცნობის გაანალიზება მეექსე საუკუნეში დასავლეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების ფონზე. „როდესაც ხოსრო, კავადის ძე, კოლხეთის ქვეყანაში შეიქრა, ბევრი რამ მოიმოქმედა იქ, რაც მე ზემოთ მაქვს მოთხრობილი და

ზოგადად ეპიდემიების ისტორიას ჩვენს ქვეყანაში და მის კვალს ჩვენი წინაპრების ყოფასა და კულტურაში არაერთი მეცნიერის ნაშრომი ეძღვნება: ისტორიკოსთა (სამუშა 2020, კიკ-ნაძე 2016-2017, სოსიაშვილი 2020, გოგოლაური 2023 და სხვ.), ფოლკლორისტთა (მამისიმედიშვილი 2021, არაბული 2021...), მედიცინის ისტორიის მკვლევართა (შენგელია 1981)... გადამდები დაავადებების მასობრივი გავრცელების კვალი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში, ასევე მათთან დაკავშირებული რწმენა-ნარმოდენები ასახული და გაანალიზებულია ქართველ ეთნოგრაფთა შრომები (ბარდაველიძე 2006, მაკალათია 1934, მინდაძე 1979, 1981, 2005, 2021, ბურდული 2010, გაგულაშვილი 1998., ოჩიაური 1954, 1977 და სხვ.)

საზოგადოების დამოკიდებულება დაავადებულისადმი როგორც ცალკეულ შემთხვევებში, ასევე ეპიდემიის ფონზე, სიღრმისეულადა განხილული და გაანალიზებული ეთნოლოგ ნ. მინდაძის ნაშრომებში. ისტორიული წყაროების, სამედიცინო ხელნაწერებისა და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე მკვლევარი განიხილავს იმ მაგიურ თუ რაციონალურ ხერხებს, რომელსაც გადამდები დაავადებით სწორი გარემომცვა მიმართავდა პაციენტის განკურნებისა და სოციუმის სწორი.

პეტრაც აიღო: მოხდა ისე, რომ მიღიელთა ჯარში ბევრი დაიღუპა, როგორც ომში, ისე ძნელსავალი გზების წყალობით. ლაზიკე ხომ, როგორც ითქვა, ძნელადსავალია და მთლად კლდიანი, **და როდესაც ჯარში ჭირი გაჩნდა, მეტი წილი ჯარისა დაიღუპა ...**” (ყაუხჩიშვილი 1965, 224) 541 წელს დაწყებული იუსტინიანეს შავი ჭირის ეპიდემია ემთხვევა ბიზანტიასა და ირანს შორის დასავლეთ საქართველოში გაჩაღებულ 20 წლიან იმს, რომლის მიმდინარეობის დროსაც კოლეთში მდგარ სპარსელთა ჯარში ჭირი გაჩნდილა. აღნიშნული გარემოება სავარაუდებელს ხდის, რომ დაავადების მასობრივი გავრცელების გარეშე ვერც დასავლეთ საქართველო გადარჩებოდა და ვერც აღმოსავლეთი, რომელთაც მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტები ჰქონდათ როგორც ერთმანეთთან, ისე ირანთან და ბიზანტიასან, სადაც ამ დროს შავი ჭირი მძვინვარებდა.

საგან დაცვისათვის (მინდაძე 2021, 253-258). 6. მინდაძე აღნიშნავს, რომ დაავადებულის სახლის კარ-ფანჯრების ნარ-ეკალით მორთვა და საცხოვრებელი ნაგებობისათვის საგანგებო ხნულის შემოვლება უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ მაგიური აზროვნების გამოვლინებად, არამედ ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით სახიფათო ზონის იდენტიფიცირებად. ჩვენს საკვლევ საკითხთან მიმართებაში განსაკუთრებით საინტერესოა სწორედ გადამდები დაავადებით სწორულის იზოლირების სისტემა, რომელიც ამავდროულად მოიცავდა პაციუნტზე ზრუნვას: მის უზრუნველყოფას საკვებით და რიგ შემთხვევებში სწორულისთვის მზრუნველად ასაკოვანი ადამიანის მიჩნას.

გადამდები დაავადების სამართავად პაციენტის განრიდების შემთხვევები ხევში შემორჩენილი იყო მე-20 საუკუნის პირველ ნახევარშიც. სოფ. არშის მკვიდრმა მ. ჩქარეულმა გაიხსენა ჭლექით დაავადებული ადამიანისათვის სოფლის განაპირას აგებული ქოხი, რომელშიც ახალგაზრდა ბიჭი ცხოვრობდა. მოგეხსენებათ, ქოხს მოხევები უწოდებენ როგორც ფიქალი ქვით ნაგებ სადგომ ოთახებს, ასევე ბუნებრივი ან ადამიანის ხელით გამოკვეთილ გამოქვაბულებს. განსაკუთრებული ყურადღება აკლდამათა კომპლექსისა და გამოქვაბულების განლაგებაში მიიღიცა შემდეგმა გარემოებამ: მთხოვბელები სწორულთა განსარიდებლად არ ასახელებენ სოფლისაგან ისეთი დაშრომებით მდებარე ნაგებობებსა და ქვაბულებს, სადაც საზოგადოება ვერ შეძლებდა ავადმყოფისათვის ხმის მიწვდენას და თვალის მიღევნებას. ამის მაგალითია სოფ. ფანშეტის ჩრდილოეთით ყაზბეგისაკენ მიმავალ გზაზე არსებული გამოქვაბულთა კომპლექსი „აშადეს ქოხები“, ასევე სოფ. ტყარშეტში არსებული ბუნებრივი ქვაბული, ე.წ. „კაკოის ქოხი“. ისინი არ მოიხსენიება, როგორ უამით სწორულთა თვითიზოლაციის ადგილები.

თვალსაჩინოა, რომ საზოგადოება ეპიდემიის სამართავად და თავის დასაცავად დაავადებულ ადამიანს განარიდებს და-სახლებულ პუნქტს, მაგრამ იზოლაციის ადგილი სოფლიდან

ისეთ სიახლოვესაა, რომ საზოგადოებამ შეძლოს დაავადებულ-ზე ზრუნვა. ავადმყოფთა სამყოფი აკლდამები ყოველთვის გან-ლაგებულია ხატ-სალოცავების უშუალო სიახლოვეს. საფიქრე-ბელია, რომ ამით საზოგადოება ცდილობს განუკურნელი სენით შეპყრობილ ადამიანს სიკვდილს წინ შეუქმნას ის ემოციური და ფსიქოლოგიური კომფორტი, რომელიც ეფუძნება რწმენა-წარ-მოდგენათა მყარ სისტემას, ნიშანდობლივს მაშინდელი ეპოქის ადამიანის მსოფლმხედველობისათვის.

თავის მხრივ, უკურნებელი და გადამდები სენით სწეული ამჟღავნებს გარშემომყოფთა გადასარჩენად აუცილებელ შე-მაძრნუნებელ პრაქტიკიზმს და თვითიზოლაციისათვის ირჩევს აკლდამებს იმის გათვალისწინებით, რომ შავი ჭირით სწეულის დამარხვაც საზოგადოებისათვის სასიკვდილო საფრთხეს წარ-მოადგენს. ეპიდემიის ფონზე პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობა გვესახება მათი ურთიერთგადარჩენის უზრუნ-ველმყოფი იმ მყარი სისტემის ფუნქციონირების გამოვლინე-ბად, რომელიც ადამიანთა საზოგადოების ევოლუციის პრო-ცესში ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბდა.

გარშემომყოფთა მიერ ინდივიდზე ზრუნვის უადრეს გა-მოვლინებად არქეოლოგთა და ანთროპოლოგთა შორის მიიჩნე-ვა 1,77 მილიონის წლის წინ დამანისის ტერიტორიაზე მცხოვრე-ბი ჰომინიდის *Homo Georgicus*-ის (D3444) თავის ქალა და მასზე არსებული შეხორცებები კბილების დაკარგვის შემდეგ, რაც ცხადყოფს რომ *Homo Habilis*-სა და *Homo Ergaster*-ის სახეო-ბებს შორის გარდამავალ საფეხურზე მდგომი ადრეული ჰომი-ნიდები ზრუნავდნენ ჯგუფის ერთ-ერთ წევრზე და ამ უკანას-კნელმა კბილების დაკარგვიდან რამდენიმე წელი კიდევ იცოც-ხლა, რაც შეუძლებელი იქნებოდა, თუკი გარშემომყოფნი მას საკვებს არ დაუქუცმაცებდნენ (*Lortkipanidze, Vekua, Ferring*

2005, 717-718)¹. სწორედ ინდივიდისა და მისი გარემომცველი საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულება გვევლინება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად შემდგომი ასობით ათასი წლის მანძილზე ბუნებასთან ჭიდილში ადამიანის მიერ თვითგადარჩენისათვის შექმნილ იმ სისტემაში, რომელსაც კულტურას ვუწოდებთ. საზოგადოების მხრიდან ინდივიდისადმი მხარდაჭერის მაგალითებია ურთიერთდამარების ტრადიციული ფორმები სხვადასხვა ყოფით სიტუაციებში. შრომის დროს ნადი და ულამი, მოულოდნელი ზარალის წინაშე დამდგარი ოჯახის მხარდასაჭერად გამართული ოჩხარი, თავის კერას მოცილებული ადამიანის დასაცავად სტუმარმასპინძლობის უზენაესობის წესი, ჭირისუფლისათვის ემოციური და ეკონომიკური თანადგომა – ეს ის სიტუაციებია, რომელშიც თითოეული პიროვნება ცხოვრების სხვადასხვა ეტაზზე შეიძლება იყოს როგორც შემწის, ისე მხარდაჭერის მიმღების როლში. ათასობით და ასიათასობით წლის განმავლობაში ჩამოყალიბებული საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთგადამრჩენი სისტემა, რომლის რამდენიმე გამოვლინებად ტრადიციულ ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში კარგად ცნობილი ზემოთ დასახელებული მაგალითებია, პიროვნებისაგან ითხოვს აღნიშნული წესების დაცვას, რათა თავადაც იყოს დაცული.

ამ ფონზე გახსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ამ ორიოდე წლის წინ კოვიდ-პანდემიის დროს ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, როდესაც საგანგებო მითითებები არ იყო საკმარისი და აკრძალვების ფონზეც არაერთი ჩვენგანი გამხდარა მომსწრე ისეთი ელემენტარული და აუცილებელი წესის დარღვევისა, როგორიცაა პირბადის ტარება. აღნიშნულის ერთ-ერთ მიზეზად შეგიძლება ისტორიული მეხსიერების განყვეტაც მივიჩნიოთ. თუკი ცალკეულ ადამიანთა ტრაგედიები,

¹ Lordkipanidze D., Vekua A., Ferring R. et al. The earliest toothless hominin skull // Nature, 2005, V.434, pp.717-718; დამონებულია ვებ-გვერდიდან: <https://antropogenез.ru/fossil/126/>

რომელშიც მქადავნდება პიროვნების უდიდესი პასუხისმგებლობა საზოგადოებისადმი, გახდებოდა პოეტთა, მწერალთა, რეჟისორთა შთაგონების წყარო და შეიქმნებოდა ლიტერატურული და მხატვრული სახეები, რომლებიც თავის ადგილს დაიმკვიდრებდნენ ადამიანთა ცნობიერებაში, ისეთივე იქნებოდა თუ არა საზოგადოების ქცევა თანამედროვე პანდემიის პირობებში? გაზრდიდა თუ არა ეს მოქალაქეთა პასუხისმგებლობას და შეცვლიდა თუ არა საზოგადოების ქცევის მოდელს პანდემიის მართვის პროცესში? თუკი ფართო საზოგადოებას ეცოდინება საკუთარი წარსული და ეს ცოდნა გადაიქცევა კოლექტიურ გამოცდილებად, ვფიქრობთ, ეს ფაქტორი ხშირ შემთხვევაში გახდება განმსაზღვრელი ინდივიდის მიერ საზოგადოების წინაშე პირადი პასუხისმგებლობის გაზრებისა.

დამოწმებული ლიტერატურა:

არაბული, ა. (2021), პანდემიური მოვლენების ზეპირსიტყვიერი ვარიაციები. ქართული ფოლკლორი 10 (XXVI), თბილისი.

ბარდაველიძე, ვ. (2006), ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, ღვთაება ბარბარ-ბაბარ. თბილისი.

ბარდაველიძე, ვ. (1966), ხევის ექსპედიციის მასალები, თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი.

ბურდული, მ. (2010), ხალხური მედიცინა დასავლეთ საქართველოში (სვანური ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). ახალციხე.

გაგულაშვილი, ი. (1998), ქართული ხალხური მედიცინა, თბილისი, „მეცნიერება“.

გოგოლაური, ნ. (2023), XIV საუკუნის შავი ჭირი და საქართველო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, <http://eprints.iliauni.edu.ge/11799/2/>

ითონიშვილი, ვ. (1971), ხევის ტოპონიმიკა, თბილისი.

კიკაძე, ვ. (2016-2017), ახალი მასალა XIV საუკუნეში საქართველოში შავი ჭირის ეპიდემიის გავრცელების შესახებ (სვანური საბუთე-

ბი) / ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, კრებული: ტ.14-15.

კიკაძე, ზ. (2009), ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური-მითოლოგიური გადმოცემები), ილია ჭავჭაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

მაკალათია, ს. (1934), „ხევი“, ტფილისი.

მაკალათია, ს. (1984), „ხევსურეთი“, თბილისი.

მამისიმედიშვილი, ხ. (2021), უამის გამავრცელებელი მითოსური არსებები ქართულ ფოლკლორში. ქართული ფოლკლორი 10 (XXVI) თბილისი.

მინდაძე, ნ. (1979), ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებული წეს-ჩვეულება და რწმენა-წარმოდგენები ფშავ-ხევსურეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, ტ. XX, თბ. გვ. 122-128.

მინდაძე, ნ. (1981), ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბილისი.

მინდაძე, ნ., ჩირგაძე, ნ. (2005), ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები – კახეთი, თბილისი.

მინდაძე, ნ. (2021), ეპიდემიურ დაავადებათა ისტორიისათვის საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი, გვ. 244-270.

მინდორაშვილი, დ. (2001), ხევი შუა საუკუნეებში, ავტორეფერატი. თბილისი.

ოჩიაური, თ. (1954), ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი.

სამუშა, ჯ. (2020), შავი ჭირი ეპიდემიები მსოფლიოსა და საქართველოში წერილი I. ისტორიანი N4 (112) აპრილი.

სოსიაშვილი, გ. (2021), საქართველოში „შავი ჭირის“ გავრცელების ისტორიიდან (XIV-XVIII სს) ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XXII.

შენგელია, მ. (1980), ქართული მედიცინის ისტორია, თბილისი.

Lordkipanidze D., Vekua A., Ferring R. et al. (2005), The earliest toothless hominin skull // Nature, V.434, pp.717-718; დამონტ. ვებ-გვერდიდან: <https://antropogenez.ru/fossil/126/>

Eliso Chelidze

**Traces of epidemics in material culture and historical memory
(on the example of Khevi ethnographic data)**

The present article discusses and analyzes the field-ethnographic material collected in the Kazbegi municipality, which confirms the traces of the mass spread of diseases in the ravine. The preserved reports about the once existing epidemic/epidemics are clearly imprinted in the historical memory of the local population and are closely related to the monuments of Khevi's material culture – "akldamas". Accordingly, in the research we will verify and review the oral transmissions of the narrators together with the Akldama or Akldama complex in various villages. The article is based on the ethnographic data collected in 2020-2023 in the following settlements of Kazbegi Municipality: Stepantsminda, villages: Akhaltsikhe, Karkucha, Sno, Pkhelshe, Goristsiikhe, Tkarsheti, Garbani, Sioni, Gaiboteni, Arsha, Fansheti, Gergeti, Tsdo.

ნინო (ნუნუ) მინდაქა – 80



ნინო (ნუნუ) მინდაქე თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური სკოლის გამორჩეული წარმომადგენელია. იგი არის ეთნოლოგი, რომლის მოღვაწეობასაც უკავშირდება საქართველოში მედიცინის ეთნოლოგიური კვლევის სკოლის დაფუძნება. ნ. მინდაქე გ. ჩიტაიასა და ვ. ბარდაველიძის მოსწავლე და მათი საქმის ღირსეული გამგრძელებელია. მან წინა თაობის ქართველ ეთნოლოგთა ღვაწლს ქართული ტრადიციული ყოფითი კულტურის შესწავლის საქმეში, მნიშვნელოვანი წვლილი შემატა.

6. მინდაძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1972 იგი წლიდან მუშაობას იწყებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში (მაშინდელ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში) სადაც მოღვაწეობს დღემდე. არის საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

ეთნოლოგიური კვლევის დაწყების პირველი ეტაპიდანვე მისი სამეცნიერო ყურადღების ცენტრში ქართული ხალხური სა-მედიცინო კულტურა მოექცა. 6. მინდაძემ საკანდიდატო ნაშრო-მი 1977 წელს დაიცვა თემაზე: “აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ხალხური მედიცინა (ეთნოგრაფიული მასალების მი-ხედვით). 2000 წელს კი წლების განმავლობაში განეული შრომა შეაჯამა სადოქტორო ნაშრომში: “ქართული ხალხური სამედიცი-ნო კულტურა”. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა ტრადი-ციული სამედიცინო კულტურა, სამედიცინო ანთროპოლოგია, ადამიანის ეკოლოგიის ხალხური ტრადიციები და ამ საკითხებ-თან დაკავშირებული სხვა თემები და სამეცნიერო პრობლემები.

6. მინდაძეს შესწავლილი აქვს ეპიდემიურ დაავადებებთან ქცევის წესები ქართულ ეთნოგრაფიულ პრაქტიკაში. გაანალი-ზებული აქვს ქართველების შეხედულებები ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის არსის, დაავადებების წარმოშობისა და მათ-გან თავის დაცვის ხერხების შესახებ. დადასტურებული აქვს სხვადასხვა დაავადებების მოვლისა და პრევენციის მრავალფე-როვნი პრაქტიკა. გამოტანილი აქვს დასკვნები, რომ დაავადე-ბათა სახეები ადამიანთა საზოგადოების ფიზიკურ-ფიზიოლო-გიური მონაცემების გარდა დამოკიდებულია გეოგრაფიულ გა-რემოზე, კვების სისტემაზე, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და სხვა სოციო-კულტურულ მახასიათებლებზე. ამასთან დაავადებებთან გამ-კლავების ფორმებს ისიც განსაზღვრავს, თუ როგორ ესმით

ადამიანებს დაავადების არსი და მისი გაჩენის მიზეზები. შესაბამისად ჩამოყალიბებული აქვთ დაავადებებთან დაკავშირებული ემპირიულ-რაციონალური და მაგიურ-რელიგიური პრაქტიკები. ემპირიულ-რაციონალური მიდგომები ყოფით გამოცდილებას, საცხოვრებელი გარემოსა და ადამიანის ფიზიკური აგებულების ცოდნას ემყარება. მაგიურ-რელიგიური პრაქტიკა კი გულისხმობს დაავადებების გამომწვევი მიზეზების ტრანსცენდენტურ ახსნას და შესაბამისი რიტუალური პრაქტიკის გამოყენებას. ქართულ სინამდვილეში ორივე მიდგომა ერთობლივად გამოიყენებოდა და ეს სისტემა საფუძვლიანად აქვს შესწავლილი 6. მინდაძეს. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ეთნოლოგის განყოფილების თანამშრომელთა ჯგუფი წლების მანძილზე მუშაობს ტრადიციული სამედიცინო კულტურის საკითხებზე. გამოცემული აქვთ არაერთი პუბლიკაცია.

6. მინდაძე არის 7 მონოგრაფიისა და 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი სამეცნიერო ლირებულებით, ცოდნის სილრმითა და აკადემიურობით გამორჩეულია მისი მონოგრაფიები: “ქართველი ხალხის ტრადიციული სამედიცინო კულტურა, თბ., 2013; ქართული ხალხური მედიცინა (აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1981; ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები – კახეთი (თანაავტორი ნ. ჩირგაძე), თბ. 2005; ღვთისმშობლის სარტყელის ქვეყანაში (თანაავტორი ნ. ხაზარაძე), თბ. 2008; მეომრის აღზრდის ტრადიციები: სამხედრო მედიცინა ძველ საქართველოში, თბ. 2009; სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები: ქართული ხალხური მედიცინა (სერია “ჩვენი ღირსებანი” 9) თბ. 2016 და ქართული ხალხური სამზარეულო (შემდგენელი, სერია “ჩვენი ღისებანი” 10) თბ. 2016.

ამჟამად, 6. მინდაძე თავის მოწაფეებთან ერთად მუშაობს პროექტზე: “საზოგადოება, მკურნალი, პაციენტი: ტრადიციული ქართული სამედიცინო სისტემის სოციოკულტურული ას-

პექტები და თანამედროვეობა”. იგი ხელმძღვანელობს და აქტი-ურად მონაწილეობს საველე ეთნოგრაფიულ სამუშაოებში.

2009 წლიდან 6. მინდაძე ლექციებს კითხულობს ივანე ჯა-ვახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სასწავ-ლო პროგრამების სტუდენტებისთვის. მისი პედაგოგიური საქ-მიანობა მოიცავს ასევე სალექციო კურსებს ანდრია პირველ-წოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. 6. მინდაძის ხელმძღვანელობით დაცულ იქნა არაერთი სადოქტორო დისერ-ტაცია. ქალბატონი ნუნუ უშურველად გასცემს ცოდნასა და გა-მოცდილებას, ყოველთვის მხარში უდგას ახალგაზრდებს და პი-რადი მაგალითითაც დიდი წვლილი შეაქვს მათი ღირსეულ მო-ქალაქებად და მკვლევრებად აღზრდის საქმეში.

6. მინდაძის უაღრესად პროფესიული დამოკიდებულება საქმისადმი, უდიდესი დარგობრივი ცოდნა, ფართე ერუდიცია და უშუალო, გულთბილი დამოკიდებულება ადამიანების მიმართ განაპირობებს უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას მის მი-მართ. ქალბატონ ნუნუსთან ურთიერთობა დიდი პრივილეგიაა. ვულოცავთ მას იუბილეს, ვუსურვებთ მხნეობას და კიდევ მრავა-ლი წელი მისი საყვარელი საქმის შემართებით მსახურებას!

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება.

**ქართაბის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველობის
სამეცნიერო-კვლევით ცენტრის დაარსებილდა
30 წელი შეუსრულდა**

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი 1992 წლის მარტში დაარსდა ქართველური ენების, დიალექტებისა და ფოლკლორის შემსწავლელი ლაბორატორიის სახელწოდებით. 1992 წლის დეკემბრიდან დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ტარიელ ფუტყარაძე.

2005 წელს დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ეწოდა ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ცენტრმა ფრიად მასშტაბური მიზნები დაისახა: ქართველური დიალექტური მასალების ჩანერა-დოკუმენტირება და მეცნიერული შესწავლა; საქართველოს სხვადასხვა კუთხისთვის დამახასიათებელი მეტყველების, ეთნოგრაფიული და კულტურული მახასიათებლების აღწერა, კვლევა.

2017 წლის მაისში ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების ბაზაზე ჩამოყალიბდა ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც ცალკე სტრუქტურულ ერთეულად შევიდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ცენტრის ხელმძღვანელია ასოც. პროფ. ეკა დადიანი. ცენტრი შედგება ორი მიმართულებისაგან:

I. ქართველური დიალექტოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შემსწავლელი მიმართულება: მაია მიქაუტაძე, დავით შავიანიძე, თინათინ მილორავა, თეონა მაჭავარიანი.

II. უცხოეთში მცხოვრებ თანამებამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი მიმართულება: ავ-

თანდილ ნიკოლეიშვილი, ნესტან კუტივაძე, სულხან კუპრაშვილი, ლუკა დვალიშვილი.

2021 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ქართველოლოგის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელი მიენიჭა.

ქართველოლოგის ცენტრში დაფუძნებულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები“, რომლის ეგიდითაც იმართება სიმპოზიუმები. ამათგან 16 კონფერენცია ტ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა. მე-17 კონფერენცია კი უშუალოდ მას, კონფერენციის დამფუძნებელს, მიეძღვნა.

ქუთაისური საუბრები – XVIII (9-10 ივნისი, 2023 წ.) მიედღვნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისა და ქართველოლოგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაფუძნების 30 წლის საიუბილეო თარიღებს.

ცენტრი გამოსცემს სამეცნიერო უურნალს „ქართველური მემკვიდრეობა“. „ქართველური მემკვიდრეობის“ პირველი ნომერი 1997 წელს გამოვიდა ტარიელ ფუტკარაძის რედაქტორობით. დღემდე გამოცემულია 27 ტომი.

დიდია უურნალის მნიშვნელობა არა მხოლოდ ქართველოლოგის ცენტრისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოჩენის კუთხით, არამედ ზოგადად ქართველოლოგის სფეროს განვითარებისათვის.

ქართველოლოგის ცენტრის ორგანიზებით ტარდება სამეცნიერო და სტუდენტური ექსპედიციები. 1993-2005 წლებში დიალექტოლოგიური ექსპედიციები განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, სამეგრელო, ხევსურეთი, ლეჩხუმი, იმერეთი), 2006 წლიდან კი რეგულარულად ტარდება – ისტორიული საქართველოს ტერი-

ტორიაზე, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში (თურქეთის რესპუბლიკა). 2022 წლის 6-13 აგვისტოს ექსპედიცია მოეწყო ტაოსა და იმერხევში, 2023 წლის 22-29 ივნისს – ფერეიდანში (ირანის ისლამური რესპუბლიკა).

ცენტრი ახორციელებს ეთნოგრაფიული ექსპედიციებსაც (ხელმძღვანელი ასოც. პროფ. დავით შავიანიძე). 2022 წლის ივლისში ექსპედიცია განხორციელდა ზემო აჭარაში (ხულოს მუნიციპალიტეტი), 2023 წლის ივლის-აგვისტოში – შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში. მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა ინახება ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით რეგულარულად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, სადაც განიხილება დიალექტოლოგიური და ეთნოგრაფიული პრაქტიკა-ექსპედიციის შედეგები.

ქართველოლოგიის ცენტრში საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან სამეცნიერო პროექტს – ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც 2007 წლიდან ტარდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2023 წლის 19-20 მაისს ჩატარდა XV კონფერენცია.

ნაყოფიერია გზა ქართველოლოგიის ცენტრისა. მნიშვნელოვანია ცენტრის მიერ შეტანილი წვლილი ქართული მეცნიერების საქმეში.

ვულოცავთ კოლეგებს საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილება.

რეცენზია ნაშრომზე:
The Legitimacy of Healthcare and Public Health:
Anthropological Perspectives (Italo Pardo and Giuliana B. Prato eds.,
ISSN 2946-2444, Palgrave Studies in Urban Anthropology, 2023)

კენტის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ანთროპოლოგიისა და კონსერვაციის სკოლის პროფესორების იტალო პარდოსა და ჯულიანა პრატოს რედაქტორობით 2023 წელს პალგრეივ მაკმილანის გამომცემლობამ გამოსცა მონოგრაფია: "The Legitimacy of Healthcare and Public Health: Anthropological Perspectives" (ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ლეგიტიმურობა: ანთროპოლოგიური პერსპექტივები). წიგნი დაიბეჭდა პალგრეივის ურბანული ანთროპოლოგიის კვლევების სერიის ეგიდით. ეს სერია საერთაშორისო ურბანული სიმპოზიუმის გამოცემაა, რომელიც ურბანული კვლევების ემპირიული ანალიზის მზარდი აუცილებლობის გააზრებით იქნა დაფუძნებული. სერიის რედაქტორების კენტის უნივერსიტეტის პროფესორების იტალო პარდოსა და ჯულიანა პრატოს აზრით, ანთროპოლოგიას შეუძლია უნიკალური წვლილი შეიტანოს განვითარებადი ურბანული სამყაროს გაეხდაში. მსოფლიოში ურბანულ გარემოში მცხოვრებთა პროპორცია მზარდია, რაც ახალ გამოწვევებს აჩენს და დგება გადაუდებელი აუცილებლობა რომ საკითხები სიღრმისეულად იქნას გაანალიზებული თეორიული და პრაქტიკული პერსპექტივებით. თვალსაჩინო ხდება ინტერდისციპლინურ აკადემიურ დებატებში ანთროპოლოგიური პარადიგმის მნიშვნელობის ზრდაც, რაც საშუალებას იძლევა უკეთ იქნას გააზრებული თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ-კულტურული, დემოგრაფიული, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ცვლილებები და მათი გავლენა ყოველდღურობაზე.

მონოგრაფია წარმოადგენს კრებულს, რომელიც უკვე პანდემია განცდილი საზოგადოებისთვის მეტად აქტუალურ სა-

კითხებს ეხება და ანთროპოლოგიური პერსპექტივით აანალიზებს ჯანდაცვის პრობლემებს. 315 გვერდიანი ნაშრომი მოიცავს რედაქტორთა წინასიტყვაობას და 14 თავს, რომელთა ავტორებიც მსოფლიოს სხვადახვა კუთხეში ჯანდაცვის საკითხებზე მომუშავე თანამედროვე ანთროპოლოგები არიან. მათი სტატიები ეფუძნება 2021 წლის სექტემბერში ტოსკანაში, იტალიაში ჩატარებული სემინარის მოხსენებებს. სემინარის ჩატარების დროს პანდემია მძვინვარებდა. თუმცა, ეს არ ყოფილა საკიხის შერჩევის მიზეზი. საზოგადოებრივი ჯანდაცვის თემით დაინტერესებას მანამდე გაცლებით ადრე დაედო სათავე და როდესაც კვლევების ნაწილი განხორციელდა, გაჩნდა იდეა სამეცნიერო ფორუმის მოწყობისა. თუმცა, სწორედ პანდემიამ გადაავადა სამეცნიერო საქმიანობა. როგორც კი შესაძლებლობა გაჩნდა სემინარი შედგა და მკვლევრებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან საშუალება მიეცათ ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ კვლევის შედეგები და კიდევ ერთხელ წარმოეჩინათ ანთროპოლოგიური (თვისებრივი) კვლევის მნიშვნელობა. როგორც ი. პარდო და ჯ. პრატო აღნიშნავენ, ჯანმრთელობის საფრთხეებს არ აკავებთ საზღვრები, თანამედროვე მოფლიოში მწვავედ დგება ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი ისეთი გლობალური საკითხები როგორიცაა სანიტარია, ჰაერის, ნიადაგის და წყლის დაბინძურება, ნაგვისა და ნარჩენების უტილიზაციის საკითხები, გარემოსდაცვითი პრობლემები. შესაბამისად, ჯანმრთელობაზე ზრუნვა მოითხოვს მენეჯმენტის არსებობას. შედეგად დგება მოქალაქეების კონტროლის, ნახევრად კანონიერი შეზღუდვების ან იძულებითი ქცევის წესების დანერგვის საფრთხეები და ჯანმრთელობის დაცვის უფლება (ჯანმრთელობის უსაფრთხოება) გადაიქცვა ბიოუსაფრთხოების მოთხოვნად. ახლებურად ისმის საკითხი კეთილდღეობისა და სამართლიანობის კორელაციის შესახებ. პანდემიამ გააძაფრა არსებული უთანასწორობები და წარმოქმნა ახალი უსამართლობები. პანდემიამ გვაჩვენა, რომ ადამიანები დაუცველი

არიან არა მხოლოდ დაავადებების, არამედ მათი კონტროლის მექანიზმების წინაშეც. ამიტომ არის აუცილებელი ჯანდაცვის მენეჯმენტის ლეგიტიმაციის წყაროების და მისი დინამიკის კვლევა. ასეთი კვლევებია წარმოდგენილი კრებულში. წიგნის პირველი წაკვეთი წარმოდგენს რედაქტორების შესავალს სახელწოდებით: ლეგიტიმურობის, ჯანდაცვისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების შესახებ. ამ წაკვეთში იტალო პარდო და ჯულიანა პრატო მსჯელობენ, იმაზე თუ რა ფაქტორებზეა დამოკიდებული დემოკრატიულ სახელწიფოებში მოქალაქეთა და მმართველობის სისტემის მიმართება, არის თუ არა პასუხისმგებლობის, ნდობისა და უფლებამოსილების ცნებები რელევანტური საკითხის ანალიზისას. შესავალ წაკვეთში კონცეპტუალურად არის გააზრებული საკითხის მულტიდისციპლინარული მიღებით გრძელვადიანი კვლევის აუცილებლობა. ისმის საკითხი მორალურად და იურიდიულად ლეგიტიმური თუ არა-ლეგიტიმური ქცევის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანდაცვის მენეჯმენტისა და ლეგიტიმაციის დინამიკის თაობაზე.

კრებულში წარმოდგენილი თავები ემპირიულ მასალას ეფუძნება და კიდევ ერთეულ ხაზს უსვამს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტის კომპლექსურობასა და სოციო-პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ჯულიანა პრატოს (კენტის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) სტატია – “ჯანდაცვის უთანასწორობა და პასუხისმგებლობის ეთიკა: კომპარატიული ეთნოგრაფია” განიხილავს იტალიისა და დიდი ბრიტანეთის მაგალითებს და საკითხს სვამს ჯანდაცვის სფეროს პრივატიზირებისა და ფინანსური პასუხისმგებლობის დეცენტრალიზაციის პირობებში რეგიონების მიხედვით მომსახურების არათანაბარ შესაძლებლობებზე. მორალის, ეთიკისა და ლეგიტიმურობის კონცეპტების გამოყენებით მოსახლეობის კეთილდღეობასა და უთანასწორობაზე მსჯელობს. ეთნოგაფიული მასალა ავტორს სამი ასპექტით აქვს გაანალიზებული: ესაა პროცესი, პერფორმანსი და ეთიკური ღირე-

ბულებები. გამოტანილია დასკვნა, რომ სისტემის ლეგიტიმურობა ეჭვქვშ დგება უთნასწორობის გაჩენა-ზრდასთან ერთად.

იტალო პარდოს (კენტის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) სტატია – „არამართებული მართვა კლავს: იტალიური მაგალითი“ განიხილავს ნეაპოლის მაგალითს და მსჯელობს არასწორი მმართველობის, მორალური და კრიმინალური კორუფციის გავლენაზე საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე. ი. პარდოს აზრით, პაციენტების კლიენტებად ქცევამ საფრთხე შეუქმნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მართებულ მართვას. ი. პარდოს კვლევამ აჩვენა, რომ მმართველობის ხარვეზები საფრთხეს უქმნის „სისტემის“ (ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის) ლეგიტიმურობას, ნდობასა და ავტორიტეტს.

დოლორეს კონიგისა (ვაშინგტონის ამერიკული უნივერსიტეტი, აშშ) და თიემან დიარას (მალის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, მალი) ნაშრომი – „ლეგიტიმურობის სიმყიფე: ჯანდაცვაზე წვდომა მანანტალიში, მალი“ მალის სამხრეთ დასავლეთით მდებარე ქალაქ მანანტალის მაგალითს განიხილავს. მსჯელობა ეხება ჯანდაცვის სფეროში ურბანულ-რურალურ განსხვავებებს, კერძო და სახელმწიფო დაფნანსების არათანაბარ გადანაწილებას, შედეგად ჩრდილოვანი პრაქტიკების გაჩენას.

ფალია ვარელაკი (ეგეოსის უნივერსიტეტი, საბექნეთი) თავის სტატიაში – „მე ვრჩევ „სხვა გზას“: ეთნოგრაფიული მიდგომა სამედიცინო პლურალიზმისადმი საბერძნეთში სიმსივნის მოვლის კონტექსტში“ სამდიცინო სფეროში პლურალიზმის შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას, განხილულია თერაპიული პრაქტიკების მრავალფეროვნება ბერძნულ კონტექსტში, სიმსივნის მქონე პაციენტების მიერ ბიომედიცინასა და ალტერნატიულ მედიცინას შორის არჩევანის მიზეზები და ჯანდაცვის სფეროსადმი მოლოდინების კულტურული ცვლილებები.

ებრუ კაიალპ იურიჩი (იედიტეფეს უნივერიტეტი, თურქეთი) სტატიაში – “კოვიდ-19 პანდემია, ჰიდროქსიქლოროქვინი და ჯანდაცვის სისტემა თურქეთში”, მსჯელობს კოვიდ-19 პირობებში თურქეთში ხელისუფლების მხრიდან წამალ ჰიდროქსიქლოროქვინის, როგორც მკურნალობის საშუალების წარდგენაზე. აანალიზებს როგორ იქნა აღქმული და მიღებული ეს საზოგადოების მხრიდან, ევროკავშირის ქვეყნებში ამ წამლის უკუჩვენებების გამო აკრძალვის ფონზე. ამჯერადაც საკითხი მმართველთა და მოქალაქეთა მიმართებას, ლეგიტიმურობასა და ნდობას ეხება.

სუბპადრა მიტრა ჩანას (დელის უნივერსიტეტი, ინდოეთი) სტატია – “ადამიანთა სხეულებზე ძალაუფლების საკითხი: პოპულიზმი, ადამიანები და ჯანმრთელობის პოლიტიკა დელიში” პასუხისმგებლობის პრობლემას ეხება, განსაკუთრებით პასუხისმგებლობას კრიზისულ სიტუაციაში, როცა საზოგადოების კომპლექსურობა, შიდა დაყოფა და იდენტობის მრავლობითობა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად იქცევა.

ჯუდი არნოლდი (ლინკოლნის მემორიალური უნივერსიტეტი, აშშ) ნაშრომში – “შესაძლებლობების სიმწირე: საით მივდივართ, სად ვიყავით”, კოვიდ-19 პანდემიის დროს ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებაა გაანალიზებული ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით და შემდგომი საკვლევი კითხვებია ჩამოყალიბებული. ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითია განხილული თალბოთ როგორსის (ლინკოლნის მემლორიალური უნივერსიტეტი, აშშ) სტატიაშიც – „ტენესელთა შეხედულებები უნივერსალურ ჯანდაცვაზე როგორც უფლებაზე“. ავტორი განიხილავს ნოქსვილში ჩაწერილ მასალას და ხუთი მაგალითის საფუძველზე განავრციობს მსჯელობას ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემებზე.

ლიორა სარფატი (თელ-ავივის უნივერსიტეტი, ისრაელი), სტატიაში – „სულიერი კურნების ბიოპოლიტიკა სამხრეთ კორე-

ასა და ისრაელში“ განიხილავს ქრონიკული დაავადებების, ფსიქიკური პრობლემებისა და ტერმინალური მდგომარეობის შემთხვევაში ტრადიციული კულტურების მიდგომებს. იგი აანალიზებს მკურნალებსა და პაციენტებს შორის ურთიერთობას სულიერი და სომატური პრობლემების მოგვარების პროცესში. მისი ემპირიული მასალა ორი ერთმანეთისგან განსხვავებული კულტურულ-ლირებულებით კონტექსტიდანაა და საინტერსოა, რომ საერთო დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, კერძოდ, რომ წინააღმდეგობები ძირითადად დაკავშირებულია ინსტიტუციურ საკითხებთან და რელიგიურ ასპექტებთან.

ელიზაბეთ ოლსონი (სამხრეთ იუტას უნივერსიტეტი, აშშ) სტატიაში – „ჯანმრთელობის სუვერენულობა დასავლეთ და ცენტრალურ მექსიკაში: ლეგიტიმურობა ქვემოდან“. მსჯელობს იმაზე თუ როგორ დაუპირისპირდნენ ინდივიდები და თემები ჰეგემონურ ბიოსამედიცინო სისტემას დასავლეთ-ცენტრალურ მექსიკაში კვებისა და ჯანმრთელობის სუვერენიტეტის მოძრაობით. ეს მოძრაობა აღმოჩნდა რეაქცია/პასუხი გარე გამლიზიანებლებზე (ფიზიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ კონფლიქტებზე და სხვა სოციალურ პრობლემებზე) და ეთნოკულტურულ იდენტობას დაემყარა.

მანოს სპირიდაკისის (სასექსის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) ნაშრომში – “შეღუდული შესაძლებლობის პირები და სამუშაო ბაზარზე წვდომა: საბერძნეთის მაგალითი” ცნებების „ჯანმრთელი საზოგადოება“ და „პირადი კეთილდღეობა“ კომპლექსურობის ფარგლებში განხილულია საბერძნეთის სამუშაო ბაზარზე არსებული უთანასწორობა და უსამართლობა. მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთში კანონითაა განსაზღვრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, ეს ჯგუფი დისკრიმინირებულია შრომით ბაზარზე. ემპირიული მასალა ადასტურებს, რომ ასეთი ვითარება ეხება როგორც კერძო ასევე სახელმწიფო სექტორს და საბოლოოდ საკითხის განხილ-

ვა ისევ ინსტიტუციური ლეგიტიმურობის პრობლემას მიემართება.

მარჩელო მოლიკას (მესინის უნივერსიტეტი, იტალია) სტატია – „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა მყიფე გარე-მოში: ლიბანი ომებს, აფეთქებებსა და კოვიდ-19 პანდემიას შორის“ მრავალწლიანი ეთნოგრაფული ველის საფუძველზეა დაწერილი. ავტორი განიხილავს კრიზისულ ვითარებაში ჯანმრთელობის საკონსერვაციო ტურბულენტობას სამი მოვლენის კონტექსტში, ესენია ჰეზბოლა-ისრაელის 2006 წლის ომი, კოვიდ-19-ს გავრცელება და 2020 წელს ბეირუთის პორტში მომხდარი აფეთქება. ამ მოვლენებმა შეარყია ჯგუფის ინტერ-რელიგიური და ეროვნულ-ლოკალური ტოლერანტობა. ხოლო პოლიტიკოსთა ზოგადი განცხადებები ნოვერი ნიადაგია სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებსთვის, მოიქცნენ საკუთარი შეხედულებისა-მებრ.

გარი არმსტრონგი (ლონდონის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი) და ჯეიმს როსპრუკ-თომპსონი (ლონდონის ეკონომიკის სკოლა, დიდი ბრიტანეთი) ნაშრომში – „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიღებობა კითხვის ნიშნის ქვეშ: გაკვეთილები ურბანული ძალადობის სფეროდან“ მსჯელობენ სახელმწიფოს მნიშვნელობის შესახებ დიდი ბრიტანეთის მაგალითზე, სადაც ქალაქებში ქუჩის ძალადობა და მასთან დაკავშირებული საკითხები სახელმწიფოს „გადაუდებელ, სასწრაფო “სახელმწიფოდ”“ გააზრებას უკავშირდება. ემპირიული მასალა თვალსაჩინოს ხდის სახელმწიფოს „ზემოდან“ და „ქევმოდან“ ლეგიტიმაციის ასიმეტრიას.

დევიდ ნაჯენტი (ემორის უნივერსიტეტი, აშშ) სტატიაში – „საზოგადოების ჯანმრთელობის შენარჩუნება: ტერორიზმის აღორძინების საფრთხე ჰერუში“ აღნიშნულია, რომ მსოფლიოს მასშტაბით თანამედროვე საზოგადოებების მზარდი რაოდენობა ძალადობის, არასტაბილურობის ან ეპიდემიური დაავადების

გავრცელების გახანგრძლივებულ პერიოდებს განაპირობებს. პერიუს მაგალითზე ნაჩვენებია ექსტრემიზმის ზრდის საფრთხე-ები.

წიგნი The Legitimacy of Healthcare and Public Health: Anthropological Perspectives (Italo Pardo and Giuliana B. Prato eds., Palgrave Studies in Urban Anthropology, 2023) მნიშვნელოვანი შენაძენია სამეცნიერო სივრცისთვის. ჯანმრთელობის დაცვის საკითხების ანთროპოლოგიური პერსპექტივით, მსოფლიოს სხვა-დასხვა კუთხის ემპირიულ მასალაზე დაფუძნებით გაანალიზებულია ისეთი პრობლემები, რომელთაც თეორიულთან ერთად პრაქტიკული ღირებულებაც გააჩნია. ავტორების მიერ წარმოდგენილი ემპირიული მასალა საშუალებას იძლევა საკითხი განხილულ იქნას კონტექსტურად და კომპარატივისტულად. კოვიდ-19 პანდემიის შედეგად თვალსაჩინო გახდა ჯანდაცვი-სადმი არსებულ გლობალურ და ლოკალურ მიდგომებში არსებული მთელი რიგი პრობლემები, რამაც კითხვის ნიშნები გააჩინა გადაწყვეტილების მიმღებთა ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით სხვადასხვა დონეებზე. ანთროპოლოგიური მიდგომით ემიკური და ეტიკური პერსპექტივების ანალიზი მიმდინარე პრობლემებისკენ მიმართავს მკითხველის ყურადღებას და სამეცნიერო დებატებში შემოაქვს ახალი ცოდნა.

პროფ. ქ. ხუციშვილი

რეცენზია

ჯაბა სამუშიას ახალ მონოგრაფიაზე „კვების კულტურა და ეტიკეტი შუა საუკუნეების საქართველოში (ესსე და მასალები ქართველთა გასტრონოსტორიდან)“

ათწლეულებია, რაც დასავლური ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო ნარმომადგენლები დიდ ადგილს უთმობენ შუა საუკუნეების ყოფითი ყოველდღიურობის თემაზე კი მატიკის შესწავლას. კვლევის ეს მიმართულება ინტერდისციპლინურ სფეროს განეკუთვნება და მას იკვლევენ როგორც ეთნოლოგები/ანთროპოლოგები, ასევე ისტორიკოსები.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპელ მედიევისტთა ნაწილის ყურადღების ცენტრშია შუასაუკუნეების ე.წ. ტოტალური ისტორიები: კვლევა ამა თუ იმ ქვეყნის, რეგიონის, კონკრეტული თემის ყოფითი თავისებურებებისა კონკრეტულ ეპოქაში. ისტორიკოსები საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით იკვლევენ ყოფით ყოველდღიურობას: ტრადიციული მეურნეობის დარგებს, მიწათმფლობელობის სისტემებს, სხადასხვა სოციალური კლასის ცხოვრებას, მათ ერთმანეთთან დამოკიდებულებას, ქალთა საკითხებს, მათ უფლებებს, ნათესაურ სისტემათა სოციო-კულტურულ კონტექსტს, ბავშვთა სოციალიზაციის ფორმებს, სიკვდილიანობის პრობლემებს, ეპიდემიათა პრევენციისა თუ მათი დაძლევის გამოცდილებას, რელიგიისა და ყოფის კორელაციას, რელიგიისა და ომების ურთიერთმიმართებას, ინკვიზიციის ისტორიას, კვების კულტურას, სამოსის სახეობებსა და დამზადების ტექნოლოგიას, დამოკიდებულებას სიცოცხლისა და სიკვდილის თემასთან, კლიმატის ცვლილების გავლენას სოციო-ეკონომიკურ პროცესებზე, ენის სტრუქტურის ფორმირებასა და მიმართებას კულტურასთან და ა.შ. რასაკვირველია, ეს არის ეთნოლოგიური/ანთროპოლოგიური თემატიკაც და, ბუნებრივია, რომ ისტორიული ეთნოანთროპოლოგიის სპეციალისტები, მსგავსად ისტორიკოსებისა, სწორედ რომ სასიტორიო წყაროთა ანალიზით ახდენენ ისტორიის რეკონ-

სტრუქციას, მაგრამ, ამავე დროს, იყენებენ ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდებს და ამ ორი დარგის სინთეზის საფუძველზე აღადგენენ წარსულის სურათებს. ცხადია, რომ ინტერდისციპლინური კველვა ყველაზე შედევგიანია და წარმატებული. ამ მხრივ, ქრონოლოგიურად რომ მივყევთ, „უდიდესი დამსახურება მიუძღვით ფრანგული „ახალი ისტორიული მეცნიერების“ ფუძემდებლებს ლუსიენ ფევრსა და მარკ ბლოკს, „ანალების“ სკოლის ყველა სხვა შემდგომი თაობის წარმომადგენლებს: ფერნან ბროდელს, უორჟ დიუბის, უაკ ლე გოფს, ემანუელ ლე რუა ლადიურს, ბერნარ ლეპტის, როჟე შარტიეს, უაკ რეველს, ანდრე ბიურგერს და სხვ. ევროპაში შესაბამისი სამეცნიერო უურნალებიც გამოიცემა, ძალიან ცნობილი და რეიტინგული. ჩვენში მეოცე საუკუნის მიწურულიდან, სამწუხაროდ, შეიმჩნევა ტენდენცია ისტორიის მკვლევართა დისტანცირებისა ეთნოგრაფიული მასალისაგან. თანამედროვე ისტორიკოსთა და ანთროპოლოგთა ერთი ნაწილი, ფაქტობრივად, არც კი იცნობს არათუ ამ ორი მომიჯნავე დარგის მიღწევებს, არამედ საკუთარი დარგის ისტორიასაც კი. გამოიცემა სტატიები, წიგნები, რომელთა ავტორებს წარმოდგენაც არა აქვთ სამეცნიერო წყაროებისა და უკვე არსებული ლიტერატურის შესახებ: ისტორიკოსთა და ანთროპოლოგთა ეს ჯგუფი, უმრავლეს შემთხვევაში, მეორე დარგის მიღწევათა გაუთვალისწინებლად და გაუანალიზებლად წერს ნაშრომებს, რაც კვლევის არეალსა და სიღრმისეულობას საკმაოდ აკნინებს. არადა ყველას გვახსოვს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის შრომები – „ქართველი ერის ისტორიაში“ სათანადო ადგილი ეთმობა ქართველთა ყოველდღიურობას, ანუ, ეთნოგრაფიულ მასალას და რაც დრო გადის, მით უფრო თვალსაჩინო ხდება ივანე ჯავახიშვილის დამსახურება საქართველოს ისტორიის კვლევისა და ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

ბუნებრივია, რომ ივანე ჯავახიშვილისეული მეთოდოლოგია აქტუალურია ჩვენს დროშიც, რადგან დიდი მეცნიერი იკვლევდა კომპლექსურად და ეყრდნობოდა როგორც თავისთა-

ვად საისტორიო წყაროებს, ასევე ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მონაცემებს. ცხადია, რომ შუა საუკუნეების საქართველოს შესახებ მსჯელობა სრულიად წარმოუდგენელია ამ მონაცემთა გათვალისწინების გარეშე. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულო აღმოჩნდა ერთი ახალი მონოგრაფია, დაწერილი ისტორიკოსის მიერ, რომელშიც სწორედ რომ ივანე ჯავახიშვილისეული მასშტაბურობითა და სიღმისეულობით არის შესწავლილი და გაანალიზებული ქართველთა შუასაუკუნეობრივი ყოფის ერთი კონკრეტული სეგმენტი – კვებითი ტრადიცია და მისი სოციო-კულტურული კონტექსტი.

ვგულისხმობთ ჯაბა სამუშიას ახალ მონოგრაფიას „კვების კულტურა და ეტიკეტი შუა საუკუნეების საქართველოში (ესსე და მასალები ქართველთა გასტრონოსტორიდან)“. წიგნი 312 გვერდისაგან შედგება და გამოქვეყნებულია გამომცემობა „პალიტრა L“-ის თხუთმეტომეულის – „საქართველოს ისტორიის პალიტრა“ – მეთორმეტე ტომში.

ჯაბა სამუშიას მონოგრაფია ტრადიციული ქართული კულტურით და ინტერესებული მკითხველისათვის შესანიშნავი საჩუქარია: წიგნი ინტერდისცილინურია, ეყრდნობა საისტორიო წყაროთა გამოწვლილებით ანალიზს და, ამავე დროს, ისტორიული ეთნოლოგიის/ანთროპოლოგიის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს და სრულად თანხვდება. ევროპული „ანალების“ სკოლის ფორმატსაც.

ავტორი შესავალ ნაწილში ნამდვილი მეცნიერისათვის დამახასიათებელი თავმდაბლობით აღნერს მონოგრაფიის შინაარსა და კვლევის შედეგს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ წიგნი დიდი მნიშვნელობის მქონეა: მასში დეტალურად არის ყველა არსებული წერილობითი წყარო შესწავლილი და გაანალიზებული, წარმოდგენილია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის მეორეული ანალიზიც – ფაქიზად და წინამორბედ მეცნიერთა მიმართ პატივისცემით.

გამოვლენილია არაერთი სამეცნიერო სიახლე და მთლიანობაშია წარმოჩენილი მრავალსაუკუნოვანი ქართველი ეთნოსის გასტრონომიული კულტურა.

ტრადიციული კვებითი სისტემა შესწავლილია ისტორიულ ქრილშიც და დიაქრონულ არეალშიც, რელიგიის გავლენასთან დაკავშირებითაც, არსებულ გეოპოლიტიკურ კონტექსტშიც, შიდა ლოკალურ-ტერიტორიულ ერთეულთა მონაცემების გათვალისწინებითაც და სხვ.

პირველ და მეორე თავში აღნერილია ქართველთა ყოველ-დღიური კვების რეჟიმი, პროდუქტები და რაციონი V-XVIII საკუნეებში (გვ., 21-53). მესამე თავში განხილულია საეკლესიო კანონების გავლენა ყოფით ყოველდღიურობაზე, კერძოდ, ტრადიციულ კვების კულტურაზე და შესწავლილია, როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთა (ბერ-მონაზონთა) ტრაპეზი და სამარხვო რაციონი (გვ., 54-75).

მეოთხე თავში წარმოდგენილია ვრცელი და დეტალური ინფორმაცია შუასაუკუნეების საქართველოში გავრცელებული კერძებისა და სასმელების შესახებ: შინაური და გარეული ცხოველებისა და ფრინველებისაგან მომზადებული კერძები, ბოსტნეულის კერძები, ზღვის პროდუქტების, სასმელთა ნაირსახეობანი, ხილის ასორტიმენტი, მემინდვრეობის პროდუქტები, საწებლების მთელი მრავალფეროვნება, ტკბილეულის სახეობანი. თემატურადაა დალაგებული მგზავრობის რაციონი (გვ., 76-165).

მეხუთე თავში წარმოდგენილია სოციალურ ფენათა ყოველდღიური კვების ტრადიციები: მეფის, დიდებულისა თუ გლეხის სადაგი და სადღესასწაულო სუფრა (გვ., 166-180).

ვრცელი მონაკვეთი ეთმობა შუა საუკუნეების ქართული სუფრის ეტიკეტს. ეს საკითხი ყოველთვის ინვევდა მეცნიერთა ინტერესს და გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებანი. ჯაბა სამუშავანი განიხილავს არსებულ სასიტორიო წყაროებს და მათი მეშვეობით აღადგენს ეტიკეტის ყველა ეტაპსა და ნიუნს (გვ., 181-215). აღნერილია სუფრის მიმდინარეობა და სადღეგრძელოთა წარმოთქმის ტრადიცია: სადღეგრძელოთა ჩამონათვალი და მათი არსი. ცნობილია, თუ რაოდენ უნიკალურია ქართულ სადღეგრძელოთა სისტემა და საყურადღებოა მათი ტრანსფორმაციის პროცესიც.

საისტორიო წყაროთა მონაცემების საფუძველზე გამოვ-ლენილია სამეფო კარის მომარაგების ისტორია და შესაბამის მოხელეთა ჩამონათვალი და ფუნქციები (გვ., 232-243).

შესწავლილია სამხედრო საქმესთან კვების მიმართების პრობლემა (გვ., 245-255).

გამოვლენილია კვების მიმართება ადამიანის ეკოლოგიას-თან და სათანადოდა აღწერილი ჩვენი წინაპრების უდიდესი გამოცდილება ჯანსაღი კვებისა და ზოგადად ეკოლოგიური ბა-ლანსის დაცვის საქმეში. გათვალისწინებულია მედიცინასთან მიმართებით წამოჭრილი პრობლემები და ქართველთა მიღწე-ვები ჯანდაცვის კუთხით (გვ., 232-244).

ქართულ ისტორიოგრაფიისათვის, ვფიქრობთ, უაღესად სა-ინტერსო პასაჟია მეთორმეტე თავი, რომელშიც აღწერილია „ლხინისა და შეთქმულების“ ისტორიები: ლხინი, სუფრა, როგორც შეთქმულებისა და პოლიტიკური შურისძიების ადგილი, როგორც პოლიტიკური მკვლელობის არეალი, მონამვლის კონკრეტული მა-გალითები, ჭაშნაგირის ხელობის არსი და სხვ. (გვ..256-263).

კლასიფიკაცია ქართული კვებითი სისტემისა ბევრი მხრი-თაა შესაძლებელი. მონოგრაფიაში ყველა ყოფით ელემენტსა თუ სოციალურ თუ რელიგიურ ჯგუფს სათანადო ადგილი აქვს მიჩინილი: წარმოდგენილია ბერ-მონაზონთა, საეროთა, მეფეთა, დიდებულთა, დაბალის სოციალური წრის წარმომადგენელთა როგორც სადაგი, ასევე, სამარხეო, სადღესასწაულო, საომარი, სამონადირეო და სხვ., კვების რაციონი.

შუასაუკუნეების ქართული ეკონომიკის ფორმები, საერ-თაშორისო ვაჭრობა თუ შიდა ეკონომიკური ცირკულაცია მე-ცამეტე თავშია აღწერილი (გვ., 264-274).

შესწავლილია გლობალურ ან რეგიონულ ეკონომიკურ კრიზისთა გავლენა საქართველოზე და შიმშილობით სიკვდი-ლიანობის მძიმე ისტორიები (გვ., 275-280).

ყურადღება გამახვილებულია ქართული სუფრის თანმხლე-ბი ეთნომუსიკალური კულტურის, გართობა-სანახაობითი ელე-მენტების შემქმნელთა, წარმომდგენთა შესახებ (მგოსანნი და მუ-

შაითნი, მუტრიბნი, აჯაპნი...) და სალხინო ნაირსახეობებზე: სიმღერა, ლექსთა თქმა, „ჩანგთა ჟღერა“, დაირათა ხმიანობა. აღწერილია ადგილი, სადაც იმყოფებოდნენ მუსიკოსნი. ქართულ წყაროებთან ერთად გამოყენებულია უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა აღწერილობანი. საგულისხმოა, რომ შუასაუკუნეების ქართული ლხინის მუსიკალურ ნაწილს ქალთა ჰანგებიც და ცეკვაც ახლდა, რაც ქალთა მაღალ უფლებრივ მდგომარეობაზეც მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ ქართულ ლხინსა თუ დღესასწაულს ახლდა საწესო-სპორტული ასპარეზობანიც (გვ., 281-287).

მეთექვსმეტე თავში აღწერილია კვებისათვის საჭირო დგამ-ჭურჭელი, გამოვლენილია სამეფო თუ სხვა მოხელეთა კონკრეტული ჩამონათვალი და როლი კვების მენეჯმენტსა და წარმართვაში (გვ., 288-306).

წარმოჩენილია შუასაუკუნეების საქართველოს კვების ეკონომიკის რუკა რეგიონალურ ასპექტში.

მონოგრაფია შუასაუკუნეების ქართული ყოფისა და კულტურის შესანიშნავი აღწერილობა და ასეთი ერთიანი სახით წარმოდგენილი პირველი ნაშრომია.

საკვები, როგორც ადამიანთა შორის ინტერაქციის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ინსტრუმენტს დიდი სოციალური მნიშვნელობა გააჩნია. ზოგადად კვების სისტემა როგორც კულტურის ერთ-ერთი ქვესისტემა კულტურის ყველა სხვა ელმენტთან არის დაკავშირებული და მისი კვლევა საშუალებას იძლევა გაკეთდეს გარკვეული დასკვნები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით როგორიცაა იდენტობის, სოციალური სტატუსის, პრესტიჟის, გენდერული დიფერენციაციის, მსოფლმხედველობისა და რელიგიური პრაქტიკის შესახებ. ეს მიმართებები კარგად არის გამოკვეთილი ჯ. სამუშაოს ნაშრომის სტრუქტურაში.

კვების სისტემის კვლევა სოციო-კულტურულ, მატერიალურ, ნუტრიციის და სამედიცინო განზომილებებს მოიცავს ერთნამეთთან მჭიდრო კავშირში. შესაძლებელი ხდება კვების კულტურასა და მასთან დაკავშირებული ეტიკეტის ანალიზისას მათი სოციო-კულტურული დეტერმინანტების იდენტიფიცირე-

ბა ლოკალურ, რეგიონალურ, ეროვნულ და საერთაშორისო დო-
ნეებზე, სწორედ, ამ მიდგომითაა შესრულებული ჯ. სამუშავის
ნაშრომი. ეს არის საფუძვლიანი კვლევა, რომელიც სცდება ის-
ტორიული კვლევის საზღვრებს. ნაშრომი თავად წარმოდგება
ახალი იდეებისა და კვლევის მიმართულებების წყაროდ. მკით-
ხველს სთავაზობს ახლებურ პერსპექტივას საზოგადოებრვი
ყოფის თითქოსდა ძალიან ჩვეულებრივი სფეროს მიმართ. გვაძ-
ლებს საშუალებას გავითავისოთ შუა საუკუნეების საქართვე-
ლოს ყოველდღიურობა და მის კონექსტში ახლებურად გავიაზ-
როთ იმ პერიოდის ისტორიული პერიპეტიიები. მონოგრაფია
უპირველეს ყოვლისა საინტერესო და მნიშვნელოვანია სამეც-
ნიერო წრეების წარმომადგენლებთათვის (ისტორიკოსების,
ეთნოლოგების და სხვ.), მაგრამ არანაკლებ მიზიდავს საქარ-
ტველოს კულტურითა და ისტორით, ან უბრალოდ კვებითი
სსტემით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას. მონოგრა-
ფიის შინაარსთან ერთად, ავტორის თხრობის სტილი და ენა
გვაძლევს საშუალებას დარწმუნებით განვაცხადოთ რომ მო-
ნოგრაფია მაღლ იქცევა მრავალი ადამიანის სამაგიდო წიგნად.

აუცილებელად მიგვაჩნია წიგნის თარგმნა ფრანგულ,
გერმანულ, ინგლისურ და სხვა ენებზე, რათა უცხოელმა მკით-
ხველმა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ქართველთა ტრადი-
ციული კულტურის ამ კონკრეტული სეგმენტის შესახებ.

პროფ. ქეთევან ხუციშვილი
პროფ. როზეტა გუჯეჯიანი

**დამკაბადონებელი
ნანა ღუმბაძე**

**დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე**



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტარვის ქ. №4. ტელ: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

მასალები საქართველოს ეთნოლოგიურ კულტურული

4 (30)